საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მიხეილ გონიკიშვილი

საადგილმამულო-საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1984

63.3(2Г)
9(47.922)
673

ნაშრომში მდიდარი საარქივო მასალის (რომლის ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში), წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული განხილვა-შეფასების საფუძველზე მონოგრაფიულად არის შესწავლილი ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული ერთეულის — თერგის ოლქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში.

თერგის ოლქში შემავალ ხალხთა—ყაბარდოელთა, ბალყარელთა, ჩრდილო ოსთა, ჩეჩენ-ინგუშთა, უუმიყთა და სხვათა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება განხილულია ისტორიულ ასპექტში. ნაჩვენებია მათი რუსეთთან ურთიერთობისა და რუსეთის იმპერიაში შესვლის ხანგრძლივი და რთული პროცესი, მისი პროგრესული მნიშვნელობა ამ ხალხთა შემდგომი განვითარების საქმეში.

ნაჩვენებია თერგის ოლქის კონკრეტული ვითარების შესაბამისად როგორ მომზადდა და გატარდა საადგილმამულო და საგლეხო რეფორმა, რა ფორმებში განხორციელდა ყმებისა და მონების განთავისუფლება, რა თავისებურებანი ახლდა ამ თვალსაზრისით რეფორმას ოლქის ცალკეულ რაიონებში.

ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის გატარებას, შეზღუდულობის მიუხედავად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მხარის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური ვანვითარებისათვის.

8 $\frac{0505020000}{М\ 607(06)\ -84}$ 181—84

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984

შესავალი

თერგის ოლქი ჩრდილო კავკასიის ცენტრში მდებარეობდა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონით თერგის ოლქში და საერთოდ მთელ ჩრდილო კავკასიაში ყაბარდო გამოირჩეოდა. რუსეთ-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობა სწორედ აქ ჩაისახა თავდაპირველად XVI ს. შუახანებში და საუკუნეთა მანძილზე ვითარდებოდა.

ჩრდილო კავკასიის რეგიონთა რუსეთთან ურთიერთობა და დაახლოება დიდხანს მიმდინარეობდა, რაც ხსენებული მხარის იმპერიის საზღვრებში მოქცევით დამთავრდა.

ჩრდილო კავკასიის და კერძოდ, თერგის ოლქში შემავალ ცალკეულ ხალხთა რუსეთთან შეერთების თარიღის შესახებ დღემდე არაა მკვლევართა შორის ერთი აზრი.

ვ. პ. ნევსკაიას თანახმად, ჩერქეზეთი 1829 წ. შეუერთდა რუსეთს[1]. ამავე ავტორის მონაწილეობით 1957 წ. გამოცემულ წიგნში ჩერქეზეთის რუსეთთან შეერთების თარიღმა 272 წლით უკან გადაიწია. ავტორთა აზრით, სამი — 1552, 1555, 1557 წლების — ელჩობის შედეგი იყო ჩერქეზეთისა და ყაბარდოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან[2].

ს. ჩეკმენოვი თვლის, რომ ყარაჩაი რუსეთს შეუერთდა 1829 წ. 20 ოქტომბერს გენ. ემანუელის ექსპედიციის შედეგად, ხოლო ჩერქეზეთის რუსეთთან შეერთება 1864 წ. — კავკასიის ომის დამთავრებასთან დაკავშირებით მოხდა[3].

ასევე აზრთა სხვადასხვაობაა ყაბარდოს რუსეთთან შეერთების თარიღზე. გ. კოკიევის აზრით, 1774 წ. კუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით ყაბარდო შეუერთდა რუსეთს[4]. მოგვიანებით გ. კოკიევმა

---

[1] Невская В. П. Присоединение Черкесии к России и его соц.-экономические последствия, Черкаск, 1956, с. 67.

[2] Алексеева Е. П., Калмыков И. Х., Невская В. П. Добровольное присоединение Черкесии к России, Черкаск, 1957, с. 13—15.

[3] Очерки истории Карачаево-Черкесии, Черкаск, 1967, с. 289.

[4] Кокиев, Г. А. Из истории сношении России с Кавказом, Нальчик, 1946, с. 79.

ყაბარდოს რუსეთთან შეერთების თარიღად 1588 წელი მიიჩნია[5]. ს. ბუშუევი 1956 წ. წერდა, რომ ყაბარდო 1557 წ. შევიდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში[6]. ეს აზრი გაიზიარა ავტორთა კოლექტივმა 1957 წ. გამოცემულ ყაბარდოს ისტორიაში[7]. ყაბარდოს რუსეთთან შეერთების თარიღად 1557 წ. აღიარებს ტ. კუმიკოვიც[8]

1967 წ. გამოქვეყნებულ „ყაბარდო-ბალყარეთის ისტორიაში" აღნიშნულია: „არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყაბარდოს რუსეთთან შეერთების პროცესი დამთავრდა 1557 წ. აქტით. ყაბარდოს რუსეთისაგან ვასალურ-ქვეშევრდომული დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყაბარდოს საბოლოოდ ჩართვას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში"[9]. თ. ბოცვაძე ყაბარდოს რუსეთთან შეერთებას 1774 წ. კუჩუკ-კაინარჯის ზავს უკავშირებს. იგი წერს: „ამ ზავით მარტო ყაბარდოს რუსეთთან შეერთების საკითხი არ გადაჭრილა. ყაბარდოსთან ერთად ამიერიდან რუსეთთან თავისებურად აღმოჩნდნენ შეერთებული ყაბარდოელ მთავართა ქვეშევრდომ-ვასალებიც — ბალყარეთი, ჩრდილო ოსეთი და ჩეჩნეთ-ინგუშეთი"[10]. მართლაც, უფრო შეტი საფუძველი არსებობს ვაღიაროთ, რომ ყაბარდო რუსეთს შეუერთდა 1774 წ. კუჩუკ-კაინარჯის ზავით.

ბალყარეთის რუსეთთან შეერთება, ქ. აზამატოვის აზრით, 1827 წ. მოხდა, როცა გენ. ემანუელმა ბალყარელი ტაუბობისაგან ერთგულების ფიცი მიიღო[11]. თუ გავითვალისწინებთ ყაბარდო-ბალყარეთის ურთიერთდამოკიდებულებას XVIII ს., საფუძვლიანი იქნება ვაღიაროთ, რომ ბალყარეთი რუსეთს შეუერთდა ყაბარდოსთან ერთად 1774 წ. ჩრდილო ოსეთის რუსეთთან შეერთების საკითხიც დიდხანს სადავო იყო. ბ. სკიტსკის აზრით ოსეთის ცალკეული საზოგადოებები სხვადასხვა დროს შეუერთდნენ რუსეთს[12]. იგი წერს:

---

[5] Кокиев, Г. А. Русско-кабардинские отношения в XVI веке, УЗ КНИИ, т. IV, Нальчик, 1948, с. 57—63.

[6] Бушуев С. К. Из истории русско-кабардинских отношений, Нальчик, 1956.

[7] История Кабарды с древнейших времен до наших дней, М., 1957, с. 38.

[8] Кумыков Т. Х. Присоединение Кабарды к России и его прогрессивные последствия, Нальчик, 1957, с. 19.

[9] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, М., 1967, с. 112.

[10] ბოცვაძე თ. ჩრდილო კავკასიის ხალხები რეფორმამდელ ხანაში, „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები", ნაკ. II, თბ., 1978, გვ. 21.

[11] Азаматов К. Г. Соц.-экономическое и обычное право балкарцев в первой половине XIX века, Нальчик, 1968, с. 19.

[12] Скитский Б. В. Очерки из истории осетинского народа с древнейших времен до 1857 года, Дзауджикау, с. 138—139.

1815 წ. რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო ალაგირის საზოგადოებამ, 1827 წ. დიგორის საზოგადოება შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში, 1830 წ. კი, გენ. აფხაზოვის დამსჯელი ექსპედიციის შედეგად, თაგაურისა და ქურთათის საზოგადოებებმა აღიარეს რუსეთის მორჩილება. მ. ტოტოევი ოსეთის რუსეთთან საბოლოოდ შეერთებას 1830 წლით ათარიღებს[13]. ოსეთის რუსეთთან შეერთებას გენ. აფხაზოვის ექსპედიციას უკავშირებს ა. ჯანაევიც[14]. მოგვიანებით მ. ტოტოევმა სამართლიანად დაასკვნა, რომ ოსეთის რუსეთთან შეერთება 1774 წ. კუჩუკ-კაინარჯის ზავით მოხდა[15]. ოსეთის რუსეთთან შეერთების თარიღად 1774 წელს აღიარებს ოსეთის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი პროფ. მ. ბლიევი[16].

ჩეჩნეთ-ინგუშეთის რუსეთთან შეერთებაზე შედარებით ნაკლებია აზრთა სხვაობა. ბ. სკიტსკი თვლის, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთი 1774 წ. შეუერთდა რუსეთს[17]. ა. ფადეევის აზრით, ჩეჩნეთ-ინგუშეთი 1859 წ. შევიდა რუსეთის შემადგენლობაში[18]. ნ. გრიცენკო ინგუშეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას 1810 წლით ათარიღებს[19], რაც უდავოდ სინამდვილეს შეეფერება. ნ. გრიცენკოს აზრით, ჩეჩნეთი აღმ. კავკასიაში ომის დამთავრების შემდეგ შეუერთდა რუსეთს. ამ მოსაზრებას იზიარებს ნ. თავაქალიანიც[20]. დღეისათვის ჩეჩნეთ-ინგუშეთის რუსეთთან შეერთებას 1782 წლით ათარიღებენ. ამას მოწმობს ჩეჩნეთ-ინგუშეთის რუსეთთან შეერთების 200 წლისთავის ზეიმი 1982 წ. და ამ თარიღთან დაკავშირებით გამოცემული ლიტე-

---

[13] Тотоев М. С. Некоторые вопросы из истории Осетии XIX века, «Известия» СОНИИ, т. XIII, вып. I, Дзауджикау, 1948.

[14] Джанаев А. Г. Присоединение Осетии к России и его прогрессивное значение, Баку, 1951 (Автореферат).

[15] Тотоев М. С. Из истории дружбы осетинского народа с великим Русским народом, Орджоникидзе, 1954, с. 23.

[16] Блиев М. М. Присоединение Северной Осетии к России, Орджоникидзе, 1959.

[17] Скитский Б. В. Назрановское возмушение 1858 года, Владикавказ, 1930, с. 2.

[19] Фадеев А. В. О некоторых соц-экономических последствиях присоединения Чечено-Ингушетии К России. «Известия» чечено-ингушского института истории, языка и литературы, т. II, вып. I, Грозный, 1960, с. 3.

[19] Гриценко Н. П. Соц.-экономическое развитие притеречных районов в XVIII в.—в первой половине XIX века, Грозный, 1961, с. 29.

[20] Тавакалян Н. А. Присоединение Чечено-Ингушетии К России и его объективно прогрессивное значение, «Очерки истории Чечено-Ингушской АССР», Грозный, 1967, с. 78.

ратურა. რაც შეეხება ყუმიყებს, რუსეთის ხელისუფლება მათ უბრძოლველად აღიარეს.

საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის წინ თერგის ოლქში შემავალ ცალკეულ რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე სხვადასხვაგვარი იყო. თერგის ოლქში და მთელ ჩრდილო კავკასიაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონით ყაბარდო გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე უამრავი ლიტერატურა არსებობს, ავტორთა აზრის სხვადასხვაობის გამო იგი დღემდე არაა ზუსტად დადგენილი.

ავტორთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ყაბარდოში განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა არსებობდა. ზოგი ავტორი ყაბარდოელებში მიწაზე კერძო საკუთრების არსებობას უარყოფს და ამდენად ფეოდალური ურთიერთობის არსებობასაც საეჭვოდ მიიჩნევს. კერძოდ, ლ. ლავროვის აზრით, ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობა XIV—XV საუკუნეებიდან არსებობდა[21]. სათანადო საბუთებიც მოჰქონდა ამის დასამტკიცებლად, მაგრამ ბოლოს მან აზრი შეიცვალა, უარყო თავისი შეხედულება და დაადგა სრულიად მცდარ გზას. მისი მტკიცებით, ყაბარდოში არ არსებობდა მიწაზე საკუთრება და, ამდენად, გამორიცხა ამ მხარეში ფეოდალური ურთიერთობის არსებობა[22].

ვ. ნევსკაიას აზრით, ფეოდალური ურთიერთობები ყველაზე მეტად ჩერქეზეთში იყო გამოკვეთილი[23]. „გვიან შუა საუკუნეებში, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ყველა ხალხში არსებობდნენ ფეოდალები და გლეხობა"[24]. ჩერქეზული მოდგმის ტომებისაგან ყაბარდოელები იყვნენ სოც.-ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებულები. მკვლევარი ე. ნალოევი სამართლიანად ასკვნის, რომ „ფეოდალურმა ურთიერთობამ ყაბარდოში უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია, ვიდრე ადიღეელთა სხვა ხალხებში"[52]. მ. ცინცაძის სწორი დასკვნით კი, ისინი

---

[21] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, М., 1967, с. 82.

[22] Лавров Л. И. Историко-этнографические очерки Кавказа. Л., 1978, с. 12—14.

[23] Невская В. П. Соц.-экономическое развитие Карачаево-Черкесии в первой половине XIX в., «Очерки истории карачаево-Черкесии», т. I, Ставрополь, 1967, с. 328.

[24] Невская В. П. Древняя и средневековая истории Карачаево-Черкесии, М., 1971, с. 259.

[25] Налоев Е. Дж. Об особенностях Кабардинского феодализма, «Из истории феодальной Кабарды и Балкарии», Нальчик, 1980, с. 8.

XVI—XVIII სს. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ადრეულ სტადიაზე იდგნენ[26].

ყაბარდოელებსა და ბესლენელებში ფეოდალური ურთიერთობის არსებობას ამტკიცებს ე. ალექსეევაც[27]. მეზობელ რეგიონებთან შედარებით, ყაბარდოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე იმდენად მაღალი იყო, რომ მათი გავლენით მთიან ბალყარეთშიც კი შესამჩნევი იყო ფეოდალური ურთიერთობის არსებობა, რასაც ე. კუშევაც იზიარებს. XIX ს. პირველი ნახევრის ყაბარდოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა თ. ბოცვაძემ[28]. მან სრულიად საფუძვლიანად დაასკვნა, რომ „ყაბარდო იდგა ადრეფეოდალური განვითარების უმაღლეს საფეხურზე“[29].

ბალყარეთი ყაბარდოსთან შედარებით გაცილებით ჩამორჩენილი იყო თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით. თ. ბოცვაძის აზრით „ბალყარეთში მთელი საზოგადოება ადრეფეოდალური ურთიერთობის საშუალო საფეხურზე იდგა“[30]. მართლაც, ყაბარდო-ბალყარეთის შესახებ საგლეხო-საადგილმამულო რეფორმისათვის მოძიებული საბუთებისა და არსებული ლიტერატურიდან ჩანს, რომ XIX ს. I ნახევრის ყაბარდოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე სავსებით საფუძვლიანად შეიძლება განისაზღვროს ადრეფეოდალური ურთიერთობის უმაღლესი საფეხურით, ბალყარეთისა კი — ადრეფეოდალური ურთიერთობის საშუალო საფეხურით.

ჩრდილოეთ ოსეთი XV—XVIII სს. არ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს. იგი ცალკეული საზოგადოებებისაგან შედგებოდა. მართალია, ჩრდილო ოსეთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით ყაბარდოსა და ყუმიყეთთან შედარებით დაბალ დონეზე იდგა, მაგრამ იქ ფეოდალური ურთიერთობა დიდი ხნის წინათ იყო შეჭრილი. XV—XVIII სს. მიწა კერძო საკუთრების საგნად იყო ქცეული[31]. გვაროვნული წყობილების რღვევისა და ფეოდალურ ურთი-

---

[26] ცინცაძე მ. ადიუელია სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება XVI—XVIII საუკუნეებში, თბ., 1961, გვ. 101.

[27] Алексеева Е. П. Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии, М., 1971, с. 271.

[28] Боцвадзе Т. О. Социально-экономические отношения в Кабарде в первой половине XIX века, Тбилиси, 1965.

[29] ბოცვაძე, თ. ჩრდილო კავკასიის ხალხები რეფორმამდელ ხანაში, „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“, ნაკ. II, თბ., 1978. გვ. 13.

[30] იქვე.

[31] თოგოშვილი, გ. საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV — XVIII სს., თბილისი, 1963, გვ. 59.

ერთობათა განვითარების პროცესი მთაში გარკვეული თავისებურებებით ხორციელდებოდა, გვაროვნული მიწათსაკუთრება ადრე შეიცვალა კერძო საკუთრებით[32].

ოსეთის სინამდვილეს სავსებით შეესაბამება ფ. ენგელსის სიტყვები: „მთების ვიწრო ხეობებში გვაროვნული მიწათსაკუთრება ძალიან ადრე იცვლება საოჯახო საკუთრებით და თემის განკარგულებაში მხოლოდ დაუმუშავებელი მიწები რჩება“[33]. XIX ს. პირველ ნახევარში, რეფორმის წინ ჩრდილოეთ ოსეთში მიწის დიდი ნაწილი გაბატონებული წოდების ხელში იყო და დამოკიდებული წოდების ექსპლოატაცია ღრმავდებოდა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ჩრდილო ოსეთის საზოგადოებები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. ამ მხრივ დიგორისა და თაგაურის საზოგადოებები გამოირჩეოდნენ ფეოდალური განვითარების შედარებით მაღალი დონით. ქურთათისა და ალაგირის საზოგადოებები კი თავიანთი განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ დიგორისა და თაგაურის საზოგადოებებს. დიგორისა და თაგაურის საზოგადოებები ადრეფეოდალური ურთიერთობის საშუალო საფეხურზე იდგნენ, ხოლო ქურთათისა და ალაგირის საზოგადოებები დაბალ საფეხურზე.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით თერგის ოლქში ჩეჩნეთ-ინგუშეთი გამოირჩეოდა.

საგლეხო რეფორმის გატარების წინ აქ იმდენად დაბალი იყო ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონე, რომ ძნელი შესამჩნევი იყო მოსახლეობაში კლასობრივი დაყოფა. ამიტომ იყო, რომ რევოლუციამდელი მკვლევრები[35] უარყოფდნენ ამ ხალხში ფეოდალური ურთიერთობის არსებობას, თუმცა ჩანასახის სახით იგი დიდი ხნიდან არსებობდა[36]. მკვლევართა მეტი ნაწილი[37] სამართლიანად ამტკიცებს ჩეჩნეთ-ინგუშეთში საზოგადოების კლასებად დაყოფას და, აქედან გამომდინარე, ფეოდალური ურთიერთობის არსებობას.

ე. ბორჩაშვილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის სოციალურ-ეკონომიკურ გა-

---

[32] იქვე.

[33] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XIV, с. 633.

[34] ბოცვაძე თ. დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[35] Берже А. П. Чечня и чеченцы, Спб., 1859; Лаудаев, У. Чеченское племя, ССКГ, вып. VI, და სხვა.

[36] შავხელიშვილი ა. საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI—XVIII სს-ში, თბ., 1980, გვ. 40.

[37] Гриценко Н. П., Ахмадов Ш., შავხელიშვილი Тавакалян Н. А., ბორჩაშვილი ა. და სხვ.

ნვითარებას ადრეფეოდალური ურთიერთობის დაბალი და შუა საფეხურებით განსაზღვრავს. ზ. ანჩაბაძე და ა. რობაქიძე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ადრეფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებაში, ცალკეულ საზოგადოებათა მიხედვით, სამ საფეხურს გამოყოფენ: უმდაბლესს, საშუალოსა და უმაღლესს[38].

თ. ბოცვაძე ჩეჩნეთ-ინგუშეთს ცალკეული საზოგადოებების მიხედვით განიხილავს და უფრო აკონკრეტებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს მხარეთა მიხედვით. იგი შენიშნავს: „ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანი რაიონები ადრეფეოდალური ურთიერთობის დაბალ საფეხურზე იდგნენ. იყო ისეთი საზოგადოებებიც — ჰაჩარო, მაისტა, ტერელო, წორი, რომლებიც ადრეფეოდალური ურთიერთობათა დონეზე დაბლა იდგნენ. მცირე და დიდი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ბარის რაიონები განვითარების უფრო მაღალ დონეზე იდგნენ—ადრეფეოდალური განვითარების საშუალო საფეხურზე“[39].

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონით თერგის ოლქში, ყაბარდოს მსგავსად, ყუმიყეთი[40] გამოირჩეოდა. ყუმიყეთი გაბატონებული და დამოკიდებული წოდების სახეობათა სიმრავლითაც ყაბარდოს უახლოვდებოდა[41]. თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითაც თითქმის ისეთსავე დონეზე— ადრეფეოდალური ურთიერთობის უმაღლეს საფეხურზე იდგა[42].

ამრიგად, თერგის ოლქის მთიელ ტომებში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონე არ იყო ერთნაირი. მათ შორის დიდი განსხვავება იყო: ერთნი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ბალყარეთი, ოსეთში — ქურთათი, ალაგირი) თავიანთი სოციალ-ეკონომიკური განვითარებით დაბალ დონეზე იდგნენ, მეორენი კი (ყაბარდო, ყუმიყეთი, ოსეთში — დიგორი და თაგაური) გაცილებით მაღალ დონეზე.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ხალხების სოციალური წყობილების შესწავლამ შესაძლებელი გახადა იმ პროცესის განზოგადება, რომელმაც ისინი ფეოდალურ-კლასობრივ ურთიერთობამდე მიიყვანა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ზ. ანჩაბაძისა და ა. რობაქიძის წერილი „კავკასიური მთური ფეო-

---

[38] ანჩაბაძე ზ., რობაქიძე ა. კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XVIII, თბ., 1973.

[39] ბოცვაძე თ. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[40] 1865 წ. ადმინისტრაციული დაყოფით ყუმიყეთი თერგის ოლქს მიაკუთვნეს, ასე იყო რეფორმის გატარების დროსაც, მოგვიანებით კი დაღესტნის ოკრუგში შეიყვანეს.

[41] საქ. ცსა, ფონდი 220, აღწ. 1, წიგნი II, ფ. 10.

[42] ბოცვაძე, თ. დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

დალიზმის ბუნების საკითხისათვის"[43]. წერილის ავტორების აზრით, ჩრდილო კავკასია თავის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით იყოფა ბარად, მთისწინეთად და მაღალმთიანეთად, რომელთაც მეურნეობის განსაზღვრული ტიპი ახასიათებს. სოციალური ურთიერთობებიც მათი შესაბამისი იყო. მონღოლთა თავდასხმების შედეგად ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა მოწყდა ისტორიული განვითარების მაგისტრალურ გზას, რამაც განაპირობა მათი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ტრადიციული ფორმების მეტი შემონახულობა.

ავტორები თვალს ადევნებენ კავკასიელ მთიელებში ფეოდალურ ურთიერთობათა აღმოცენების გზებს და ხაზს უსვამენ, რომ აქ წოდებრივი დიფერენციაცია მიმდინარეობდა თემურ-გვაროვნული ურთიერთობების რღვევის საფუძველზე, სამხედრო-დემოკრატიული წყობის პირობებში და ვითარდებოდა ადრეფეოდალური საზოგადოების ხაზით. ამის შედეგად მიაჩნიათ მათ ფეოდალურამდელი ურთიერთობების ისეთი გადმონაშთური ფორმები, როგორიცაა საოჯახო თემი, ასტრონომია, საკუთრების სათემო ფორმები, მმართველობის სოლიდარული სისტემა და სხვ.

ზ. ანჩაბაძე და ა. რობაქიძე მიიჩნევენ, რომ კავკასიელ მთიელთა სოციალური სისტემა ადრეფეოდალურ ურთიერთობათა გარკვეულ სახესხვაობას ქმნის, რომელმაც თავის განვითარებაში სამი საფეხური განვლო — დაბალი, შუა და მაღალი. კავკასიის მთიელებში ადრეფეოდალურ ურთიერთობათა სამივე საფეხური აქვთ მათ დადასტურებული.

კავკასიელ მთიელთა სოციალური წყობილების საკითხზე საინტერესო კონცეფცია წამოაყენა აკად. გ. მელიქიშვილმა[44]. მან ხაზი გაუსვა იმ ტენდენციას, რაც მდგომარეობს კავკასიის მთიან რაიონებსა და ნაწილობრივ ბარის რაიონებში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონის გაზვიადებაში. კავკასიის რიგ რაიონებში იგი აღიარებს როგორც „აღმოსავლური ფეოდალიზმის", ასევე „მთური ფეოდალიზმის" ელემენტების გადახლართვის ფაქტს, მაგ., მწარმოებელთა ძირითადი მასის მიერ პირადი თავისუფლებისა და მიწაზე უფლების შენარჩუნება, გაბატონებული კლასის სამმართველო ხასიათი, რიგ შემთხვევებში მის მიერ წარმოების საშუალებებსა და წარმოების მუშაკზე მემკვიდრეობითი საკუთრების უფლების უქონლობა.

---

[43] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, თბ., 1973, გვ. 111—126.

[44] К вопросу о характере древних закавказских и средневековых горских северокавказских классовых обществ, ж. «История СССР», 1975, № 6, с. 47—53.

ფეოდალიზმის ის ფორმა, რაც კავკასიის მთიელებში არსებობდა, ავტორის აზრით, მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამო, არ გადაიზრდება დასავლეთევროპული ტიპის განვითარებულ ფეოდალიზმში, ამიტომაც მკვლევარს სამართლიანად მიაჩნია „მთური ფეოდალიზმის“ მიმართ „ადრეფეოდალურის“ ნაცვლად ტერმინების — „ფეოდალურამდელის“ ან „პროტოფეოდალურის“ — ხმარება.

მკვლევარი მ. ქანთარია თვლის, რომ ტერმინი „მთური ფეოდალიზმი“ ყაბარდოს მიმართ სიცხადეს მოკლებულია, რადგან ყაბარდო დაბლობია. მისი აზრით, უფრო გამართლებულია ტერმინის — „პროტოფეოდალური“, ან „კავკასიური ფეოდალიზმის“ შემოღება, რომელშიც მაინცდამაინც არ იგულისხმება მთა თუ ბარი და იერთებს კავკასიის მასშტაბით იმ თავისებურებათა მთელ კომპლექსს, რომელიც ახასიათებს საზოგადოებრივი განვითარების ამ ფორმაციის კონკრეტულ ვარიანტს[45].

მიუხედავად იმისა, რომ თერგის ოლქის ცალკეული რეგიონები ფეოდალური ურთიერთობის განვითარების სხვადასხვაგვარ დონეზე იდგნენ, რეფორმა ყველგან ერთნაირი პრინციპით იქნა გატარებული.

თერგის ოლქში, საადგილმამულო რეფორმის გატარებისას, ყველგან ერთნაირი არ იყო საკომლო მიწის ოდენობა. იგი 16 დესეტინიდან 47,5 დესეტინამდე მერყეობდა. ყაბარდოში საკომლო მიწის ნორმა 16 დესეტინიდან 41 დესეტინამდე ადიოდა. ყაბარდოს ოკრუგის მთის საზოგადოებებში ნორმად 18,1 დესეტინა იქნა მიღებული. ოსეთის ცალკეულ საზოგადოებებში მიწის საკომლო ნორმა 24 დესეტინიდან 47,5 დესეტინამდე მერყეობდა.

ჩეჩნეთში საადგილმამულო რეფორმის გატარება გააიოლა 1865 წ. 5000 კომლის თურქეთში გადასახლებამ. ნაზრანში (ინგუშეთში) კომლმა 18 დესეტინა მიწა მიიღო, მთაში კი რეფორმამ თითქმნის ვერ შეიტანა ცვლილებები. ყუმიყეთში საკომლო მიწის ნორმა ზოგან 28 დეს. იყო, მომთაბარეებმა კი 36 დეს. მიიღეს. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა თერგის ოლქში სრულყოფილად არ გატარდა და თანაც დიდხანს გაგრძელდა. მან ვერ იხსნა მოსახლეობა გაჭირვებისაგან.

საადგილმამულო რეფორმა ჯერ დამთავრებული არ იყო, როცა მთავრობა საგლეხო რეფორმის გატარებისათვის მოსამზადებელ საშუშაოებს შეუდგა, რის შემდეგაც დაიწყო ბატონყმური ურთიერთობის გაუქმება.

ჩრდილოეთ კავკასიაში 43833 სული ყმა-გლეხი და მონა იქნა

---

[45] ყაბარდოს სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 147—148.

განთავისუფლებული. აქედან მარტო თერგის ოლქში 23605 სული დამოკიდებული წოდების სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენელი განთავისუფლდა.

რეფორმის შედეგად ჩრდილო კავკასიაში მთლიანად და სამუდამოდ გაუქმდა ბატონყმობა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა რეფორმით გაძარცული აღმოჩნდა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ნატურალური მეურნეობის რღვევა და რეგიონის კაპიტალისტური გზით განვითარება უზრუნველყო, რაც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელ პირობას შეადგენდა.

თავი I

თერგის ოლქის ხალხების ურთიერთობა რუსეთთან

§ 1. ყაბარდოს ურთიერთობა რუსეთთან

ყაბარდოელები ჩერქეზული მოდგმის ხალხთა ერთ-ერთი წარმომადგენელნი არიან და დაკავებული ტერიტორიისა და მოსახლეობის მხრივ ყველაზე ხალხმრავალ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. განსახილველად აღებულ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში მყოფი მოგზაური აკად. გიულდენშტედტი წერდა: „ჩერქეზეთის პროვინციის ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი მხარეებია მცირე და დიდი ყაბარდო"[1].

XV—XVI სს. ყაბარდოელები სახლობდნენ ჩრდილოეთით „ბეშტოვის მთებიდან" ანუ პიატიგორიედან და მდინარე კუმაზე ქ. მაჯარის ნანგრევებიდან სამხრეთით კავკასიის დიდი მთების ხეობამდე მდინარე თერგის მარცხენა და მარჯვენა შენაკადების რაიონებში, მდინარე სუნჯამდე[2]. აღნიშნული ადგილებიდან ყაბარდოელებმა შემდეგში სამხრეთ-აღმოსავლეთით გადმოინაცვლეს.

„XVI—XVII საუკუნეებში ისინი დამკვიდრდნენ მდინარე თერგის მარცხენა და მარჯვენა შენაკადების რაიონში, კავკასიის მთებიდან გამომავალ ხეობამდე და მდ. სუნჯამდე"[3].

„ჩრდილოეთკავკასიის მთისწინეთი და მთისწინეთსა და მთავარი ქედის ჩრდილოეთ ძირს შორის მოთავსებული, მდინარე სუნჯას დასავლეთ ნაპირას მდინარე კუმამდე მდებარე დაბლობი უკავია ჩერქეზი ხალხის იმ ნაწილს, რომელთა მხარეებსაც ყაბარდო ეწოდება"[4].

---

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 199; შეად. Красильников, Ф. С. Кавказ и его обитатели, М., 1919, с. 59; Главани, К. Описание Черкесии, 1729, перевод Вейденбаума, Тифлис, 1893, 9.

[2] ბოცვაძე, თ. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 10.

[3] იქვე.

[4] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში..., გვ. 169.

XVII ს. მეორე ნახევრიდან XVIII ს. ბოლომდე ყაბარდოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დამაკავშირებელ გზას ევროპასა და აზიას შორის და, განსაკუთრებით, როგორც საუკეთესო პლაცდარმს რუსეთ-თურქეთის გაუთავებელ ომებში ურთიერთმოქიშპე რუსეთის იმპერიისა და თურქეთისათვის.

ყაბარდოელებს, ისევე როგორც ადიღეელი ხალხის ყველა ეთნიკურ წარმომადგენელს, არ ჰყავდათ ერთი საერთო მმართველი და არც ცალკეულ ფეოდალებს შორის არსებობდა მჭიდრო კავშირი. თავადები ერთმანეთს მტრობდნენ, ხშირად კი ეხმარებოდნენ მოწინააღმდეგე პარტიებს[5]. გაუთავებელი შინაფეოდალური დაჯგუფებებისა და მათ შორის წარმოებული ბრძოლების შედეგად XVI ს. ყაბარდო ორ ნაწილად—დიდ და მცირე ყაბარდოდ—გაიყო. დაკავებული ტერიტორიის მხრივ დიდი ყაბარდო ორჯერ აღემატებოდა მცირე ყაბარდოს.

დიდი ყაბარდო მდინარე მალკასა და მდინარე თერგშორის მდებარეობდა, მცირე ყაბარდო კი მდინარეებს — თერგს, სუნჯასა და ქედის მთისწინეთს შორის[6].

XVIII ს. შუახანებში დიდ ყაბარდოში 74 სოფელი და 8 სიმაგრე იყო, მცირე ყაბარდოში კი 45 სოფელი და 2 სიმაგრე[7]. დიდი ყაბარდოს მოსახლეობის მეტი ნაწილი დასახლებული იყო მდინარეების ნაპირებზე: ბაქსანი (20 სოფელი და 5 სიმაგრე), ნალჩიკის (24 სოფელი), ჩეგემის (10 სოფელი), კურკუჟინის (9 სოფელი და 2 სიმაგრე), შალუშკას (6 სოფელი და 2 სიმაგრე), მდინარე კიშპეკის ნაპირებზე 2 დასახლება იყო, მდინარეების — ურხის, გუნდელენისა და მალკას — ნაპირებზე კი თითო დასახლებული ადგილი[8].

მცირე ყაბარდოს მოსახლეობის უმრავლესობა მის დასავლეთ ნაწილში, თერგის დინების მიმართულებით, იმ ადგილებში იყო დასახლებული, სადაც მდინარე მალკა მდინარე თერგს ერთვის. აქ 34 სოფელი და გელეხსტანოვების სიმაგრე მდებარეობდა. ამ ადგილების ცენტრი იყო ტატარტუპი. მცირე ყაბარდოს აღმოსავლეთ ნაწილში მდ. სუნჯამდე 11 სოფელი და ტაუსულტანოვების სიმაგრე იყო[9].

მოსახლეობის მხრივ იმავე პერიოდში, 1753 წლისათვის დიდ

---

[5] იქვე, გვ. 55.

[6] Красильников Ф. С. Кавказ и его обитатели (Географическо-этнографический очерк), М., 1919, с. 58.

[7] История Кабардино-Балкарской АССР, С древнейших времен до наших дней, в двух томах, т. I, М., 1967, с. 132.

[8] იქვე.

[9] იქვე.

ყაბარდოში 8500 კომლი ითვლებოდა. მცირე ყაბარდოში დაახლოებით ხსენებული რიცხვის ნახევარი, ე. ი. სულ ყაბარდოში — დიდსა და მცირეში — 13000 კომლი იყო[10]. თუ XVIII ს. ყაბარდოულ კომლში, როგორც ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ისტორიის I ტომშია[11] მოცემული, დაახლოებით 10—12 სული ითვლებოდა, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა 130000—155000 სული უნდა ყოფილიყო. XVIII ს. ბოლოსათვის კი ეს რიცხვი გაიზარდა 35—40 ათასით და 165—200 ათასს მიაღწია.

XVIII საუკუნესთან შედარებით XIX ს. I ნახევარში ყაბარდოს დასახლებული ადგილების რაოდენობაც და მოსახლეობაც შემცირდა. თუ 1753 წ. ყაბარდოში 129 დასახლებული ადგილი იყო, 1830-იანი წლებისათვის ეს რიცხვი 108-მდე შემცირდა. დასახლებული ადგილების რაოდენობის შემცირების მიზეზი იყო რუსეთის მთავრობის მიერ ამ მხარეში სხვა ხალხთა ჩამოსახლებები.

მოსახლეობის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ქოლერისა და სხვა გადამდებ სნეულებათა გავრცელებითა და რუს სამხედრო მოხელეთა მიერ ყაბარდოში მრავალჯერ მოწყობილი დამსჯელი ექსპედიციებით. მოსახლეობის საერთო რიცხვის შემცირებას ხელი შეუწყო ხსენებული დამსჯელი ექსპედიციების შედეგად ყაბარდოელთა გადასახლებამ ყუბანს იქით, როგორც XVIII ს. ბოლოს, ისე XIX ს. 20-იან წლებში[12].

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ყაბარდოში მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი საკმაოდ დიდი იყო.

1769 წ. ყაბარდოში ახალი ჩამოსახლებისათვის საჭირო მიწების გამოსანახავად ჩამოსულმა რუსმა მოხელემ (ოფიცერმა) გასტოტიმ მთავრობას მოახსენა: „ყაბარდოს მახლობლად მდებარე, ჩამოსახლებისათვის ვარგისი ყველა ადგილი დიდ და მცირე ყაბარდოს მოსახლეობის მიერაა დაკავებული, რის გამოც სხვა ხალხთა ჩამოსახლებისათვის ვარგისი ადგილები არ აღმოჩნდაო“. სხვა ხალხთა ჩამოსახლებების შედეგად ყაბარდოელები თვითონ განიცდიდნენ სახნავ-სათესი მიწების, სათიბისა და განსაკუთრებით საძოვრების უკმარობას, რაც XVIII ს. მეორე ნახევარში მოსახლეობის აშკარა აჯანყებებში იხატებოდა.

ყაბარდოს ტერიტორია განაწილებული იყო საგვარეულოთა შორის. XVIII ს. II ნახევარში ორივე ყაბარდო შვიდ თავადურ საგვა-

---

[10] История Кабардино-Балкарской АССР..., т. I, М., 1967, с. 133.
[11] იქვე, გვ. 133.
[12] იქვე.

რეულოდ იყო გაყოფილი: დიდი ყაბარდო — ჯამბულატოვების, ატაჟუკინების, ბეკმურზინების, მისოსტოვების და კაიტუკინების თავადურ საგვარეულოებად[13]; მცირე ყაბარდოში ორი თავადური გვარი იყო: ტაუსულტანოვები და გელეხსტანოვები (მუდაროვები).

თავადთა წოდების ყოველ წარმომადგენელს ჰყავდა დამოკიდებული ფეოდალ-უორკები და გლეხები[14].

მთელი მოსახლეობა იყოფოდა: თავადებად, სასულიერო წოდებად, აზნაურ-უზდენებად (უორკებად), გლეხებად და მონებად[15]. თავადის წოდება იმდენად წმინდა იყო ყაბარდოელი ხალხისათვის, რომ მზად იყვნენ საჭირო შემთხვევაში შეეწირათ არა მარტო თავიანთი ქონება, არამედ სიცოცხლეც[16]. გლეხები ვალდებული იყვნენ თავადისათვის ძველთაგანვე დაწესებული გადასახადი ეძლიათ, რაც მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ამიტომ მთელი სიმძიმე გლეხობას აწვა[17]. უორკები (უზდენები) ყაბარდოში სამ ხარისხად იყოფოდნენ. განსაკუთრებით მათი ზედაფენა — ტლიაკოტლიაშები (ტლაკოტლეშები) — გამოირჩეოდა სიმდიდრით. მათ ჰყავდათ პირუტყვის ჯოგები და დამორჩილებული გლეხები[18].

მაჰმადიანური რელიგიის გავრცელების შედეგად ყაბარდოში გაბატონებული ადგილი დაიკავა უმაღლესმა მუსლიმანურმა სამღვდელოებამაც, რომლის პოლიტიკური როლი განსაკუთრებით XVIII ს. გაიზარდა[19].

გლეხობა (ფშიტლები) სხვადასხვა კატეგორიად იყოფოდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავისუფალი მეთემე (ტლფოკოტლები). ისინი დამოკიდებული იყვნენ თავადებსა და აზ-

---

[13] ანჩაბაძე ზ., ყაბარდო-ბალყარეთი XVIII საუკუნეში, „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები", თბ., 1969, გვ. 212—213.

[14] იქვე.

[15] იქვე.

უნდა ღინიშნოს, რომ ყაბარდოს ისტორიის მკვლევარი გრაბოვსკი შეცდომით წერდა 1870 წ. „Сборник сведений о Кавказских горцах» IV ნაკვეთში მოთავსებულ სტატიაში: «Очерк суда и уголовных преступлений в Кабардинском округе»: დიდი ყაბარდო ოთხ თავადურ საგვარეულოდ იყო გაყოფილი და ივიწყებს ჯამბულატოვების საგვარეულოს. ეს შეცდომა გამეორებული აქვს ყველას, ვინც ხსენებული სტატიით ისარგებლა.

[16] Кудашев В. Историческия сведения о кабардинском народе, Киев, 1913, с. 147.

[17] Гарданов В. К. Общественный строй адыгских народов, М., 1967, с. 195.

[18] ანჩაბაძე ზ., დასახ. ნაშრ., გვ. 215.

[19] იქვე.

ბაურებზე (უზდენებზე) და უკანასკნელთ უხდიდნენ დაწესებულ გადასახადს. მათვე ევალებოდათ სამხედრო სამსახური[20].

ყველაზე მძიმე იყო ყმა გლეხთა — ჩაგარების ანუ ლოგანაპუტების მდგომარეობა. ისინი მთელი წლის განმავლობაში დაკავებული იყვნენ ფეოდალის საქმეებით.

ყაბარდოში ყველაზე დაბალ კატეგორიას შეადგენდნენ მონები — უნაუთები, რომლებიც ფეოდალის სრულ განკარგულებაში იყვნენ. მწარმოებელი კლასის ხარჯზე ცხოვრობდნენ პრივილეგირებულ წოდებათა წარმომადგენელნი და, პირველ რიგში, თავადები. თავადს შეეძლო ყველაფერი წაერთმია ქვეშევრდომისათვის, წაერთმია ქალიშვილი, ცოლიც კი, სიცოცხლის წართმევის უფლება კი არ ჰქონდა[21].

უფლებების მხრივ აღსანიშნავია ყაბარდოელთაგან წარმომდგარი მამასახლისი, რომლის აზრსაც დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა მფლობელებზე[22].

თითქმის XVIII ს. მიწურულამდე (რუსული მმართველობის დამყარების ცდებამდე) ყაბარდოელების ყოველგვარ საქმიანობას მფლობელები განაგებდნენ, არავითარი კანონი არ არსებობდა, მისდევდნენ ადათჩვეულებებს...

ყოველგვარი ინიციატივა მფლობელებიდან ღებულობდა სათავეს. „ორი ან სამი უზდენი წამოაყენებს საკითხს, წინადადებას, შემდეგ სხვა უზდენები და მამასახლისები შეიყრიან თავს მის გასაცნობად და ბისაღებად"[23]. თავის შეყრა ხდება ერთდროულად, ერთ ადგილას. დანიშნულ დროზე, გაიყოფიან ცალკე საგვარეულოს მიხედვით: მფლობელები, უზდენები და მამასახლისები ცალ-ცალკე[24].

საკითხი პირველად მფლობელებში წყდებოდა. მფლობელების შეთანხმების შემდეგ მიღებული წინადადება უზდენებს გადაეცემოდათ, რომლებიც უფრო ხშირად მფლობელთა მიერ მიღებული წინადადების მომხრეები რჩებოდნენ. მფლობელთა და უზდენთა მიერ მიღებული წინადადება საბოლოოდ ხალხს უნდა გადასცემოდა, რო-

---

[20] იქვე.

[21] Кудашев В. Исторические сведения о кабардинском народе. Киев, 1913, с. 147; შეად. Зубов П. Соч., т. III, Картина Закавказского края, принадлежащего России и сопредельных к нему земель в историческом, статистическом, этнографическом, финансовом и торговом отношениях, Сб., 1835, с. 91.

[22] ЦГВИА, ВУА, д. 18473, л. 4; Кабардино-русские отношение в XVI—XVIII вв., в 2 томах, т. I, с. 361, док. № 256.

[23] იქვე, გვ. 2; იხ. დასახ. ტომის გვ. 360.

[24] იქვე.

მელთა მიერ მისი მიღების შემდეგ წინადადებას „კანონის“ ძალა ენიჭებოდა[25].

ასეთი გზით მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ეწეოდნენ თავადები, უზდენები კი მფლობელთა ბრძანების შემსრულებელნი იყვნენ[26]. ხალხი ვალდებული იყო მფლობელთა განკარგულებებს დამორჩილებოდა, გამონაკლისი ძალიან იშვიათი იყო.

უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლად ვალის და მეხკემეს ვხედავთ.

ვალის თანამდებობა ხნოვანებით უფროს თავადს ეკუთვნოდა, რომელიც ერთ-ერთი გამოჩენილი ტლაკოტლეშის, თანამდებობით კოძ-ად წოდებულის, დახმარებით მართავდა საშინაო და საგარეო საქმეებს.

მეხკემე, რომელიც სასულიერო წოდების წარმომადგენლისა და საპატიო „ვორკ“-ებისაგან შედგებოდა[27], ვალისა და კოძ-ის მონაწილეობით სასამართლო საქმეებს წარმართავდა და საჭირო შემთხვევაში აკანონებდა ვალის მიერ დადგენილ ძველ ადათ-ჩვეულებათა მაგიერ ახლის შემოღებას, ე. ი. კანონმდებელ ორგანოს წარმოადგენდა.

XVIII ს., როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განსაკუთრებით გაიზარდა მუსლიმანური სამღვდელოების პოლიტიკური როლი. სასამართლო წარმოებას კი ძირითადად მოლები განაგებდნენ, რომლებსაც ყირიმსა და თურქეთში ჰქონდათ განათლება მიღებული[28]. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ როგორც პრივილეგიურ წოდებაზე, ასევე მთელ მოსახლეობაზე და თავგამოდებით ეწეოდნენ რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას თურქეთის სასარგებლოდ, რაც ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო ყაბარდოში ახალი სასამართლო წარმოების დანერგვისა XVIII ს. 90-იან წლებში.

* * *

ყაბარდოელებსა და რუსებს შორის კავშირი ძველი დროიდან უნდა ყოფილიყო, თუმცა ამის დამამტკიცებელი საბუთები არ შემოუნახავს ისტორიას.

---

[25] Зубов П. დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[26] იქვე.

[27] Грабовский Н. Ф. Очерк суда и уголовных преступлении в Кабардинском округе, «Сборник сведении о кавказских горцах», вып. IV, Тиф., 1870, с. 9.

[28] ანჩაბაძე ზ., დასახ. ნაშრ., გვ. 215.

გვიანდელი ისტორიული მონაცემები კი ცხადყოფენ, რომ ჩერქეზები და რუსები იცნობდნენ ერთმანეთს X ს. მიწურულიდან — დიდი თავადის სვიატოსლავის 967 წ. ყუბანს იქით ლაშქრობის დროიდან.

1022 წ. ტმუტარაკანის თავადმა მსტისლავ ვლადიმერის ძემ ჩერქეზებზე გაილაშქრა, დაამარცხა ისინი და ხარკი დააკისრა.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩერქეზებმა დაამარცხეს თავიანთი მეხარკენი, შეიჭრნენ მათ ტერიტორიაზე და დიდი ნადავლით, მრავალრიცხოვანი ტყვეებით უკან დაბრუნდნენ. ყაბარდოელ თავადთა შორის გაუთავებელი უთანხმოებისა და 1223 წლიდან კავკასიაში და შემდეგ რუსეთში თათარ-მონღოლთა შემოსევის გამო ხსენებულ ხალხებს შორის კავშირი დიდი ხნით შეწყდა.

XV—XVI სს. მიჯნაზე ყირიმის სახანოს ჩამოყალიბებამ, მის თურქეთის ვასალად გადაქცევამ და ამ უკანასკნელთა მიერ ყაბარდოს თავის საზღვრებში მოქცევისაკენ მისწრაფებამ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, კავკასიაში რუსეთის იმპერიის კოლონიურმა ზრახვებმა ყაბარდოელი ხალხი დამოუკიდებლობის მოსპობის საშიშროების წინაშე დააყენა. ყაბარდოელებს თურქეთის ან რუსეთის ერთგულება უნდა ეღიარებინათ. მეფის რუსეთსა და თურქეთს შორის მომავალ ბრძოლებში როგორც მთელ ჩრდილო კავკასიას, ასევე თვით ყაბარდოს ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც პლაცდარმს ზემოხსენებულ სახელმწიფოებს შორის. ამიტომ იყო, რომ ორივე სახელმწიფო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის და, პირველ რიგში, ყაბარდოს ხელში ჩაგდებისაკენ მიისწრაფოდა.

ყაბარდოელი ხალხი ძლიერი რუსეთის მხარდაჭერასა და დახმარების მიღებას ესწრაფვოდა.

სხვადასხვა მომთაბარე ტომთა ხშირმა თავდასხმებმა და განსაკუთრებით ყირიმის სახანოსა და თურქეთის გაუთავებელმა მტრობამ, აიძულა ყაბარდოელი მფლობელები რუსეთისათვის დახმარება ეთხოვათ.

ყაზანის შემოერთების შემდეგ, 1552 წ. ნოემბერში, ჩერქეზი თავადები მოსკოვში მეფე ივანე ვასილის ძეს ეახლნენ თხოვნით: მიეღოთ „ჩერქეზი“ ტომები რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში და ერთობლივი ძალით ებრძოლათ თურქეთის, ირანისა და ყირიმის სახანოს წინააღმდეგ[29].

---

[29] Грабовский Н. Ф. Присоединение Кабарды к России и борьба ея за независимость, «Сборник сведений о кавк. горцах», вып. IX, Тиф., 1876, с. 115.

«...Того же месяцы приехали к государю царю и великому князю Черкеские государи Князя Машук-Князь да Князь Иван Езболзуков да Танашук-князь бити челом, чтобы их государь пожаловал, в ступился в них, а их с землями взял к себе в холопии, а от Крымского царя Оборонил»[30].

1555 წ. ჩერქეზი თავადები კვლავ წარდგნენ რუსეთის ხელმწიფესთან იმავე მისიით. 1557 წ. კი უაბარდოელი თავადები თემრიუკ იდაროვი და სხვ. ეახლნენ რუსეთის ხელმწიფეს. რათა უაბარდო მიეღო თავის ქვეშევრდომობაში[31].

უაბარდოელებს რუსეთის იარაღის ძალით უნდოდათ გარეშე ტომთა და, პირველ რიგში, ყირიმის სახანოსა და თურქეთის შემოტევებისა და თავდასხმების აღკვეთა. ამ მიზნით ცდილობდნენ რუსეთთან დაახლოებასა და კარგი ურთიერთობის დამყარებას. მეფის რუსეთი, ცხადია, უაბარდოელთა და მთელი ჩერქეზი ხალხის მისწრაფებას თავისი ინტერესებისათვის იყენებდა.

უაბარდოელი თავადის — თემრიუკ იდაროვის ვაჟი სულთანი და ქალიშვილი მარიამი მოსკოვში სამეფო კარზე იზრდებოდნენ, სადაც ქრისტიანობა მიიღეს[32].

1561 წ. 21 აგვისტოს რუსეთის ხელმწიფე ივანე ვასილის ძე დაქორწინდა თემრიუკ იდაროვის ქალიშვილ მარიამზე, რის შემდეგ უფრო განმტკიცდა მეგობრული ურთიერთობა უაბარდოელებსა და რუსებს შორის[33]. ამრიგად, ამ ორ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობა სისხლით ნათესაობით იქნა განმტკიცებული.

XVI ს. მეორე ნახევრიდან აღდგენილი ურთიერთობა იმდენად მეგობრული და მყარი იყო უაბარდოელებსა და რუსებს შორის (რა თქმა უნდა, პირველ რიგში უაბარდოელების მხრივ), რომ ძალიან ხშირად უაბარდოელები იარაღით ხელში რუსეთის ჯარის გვერდით იბრძოდნენ ყირიმის სახანოსა თუ სხვათა წინააღმდეგ. უაბარდოს ტერიტორიას კი, როგორც პლაცდარმს, რუსეთის სამხედრო ნაწილები იყენებდნენ საომარი მოქმედების დროს.

ჩერქეზი ტომების მეტი ნაწილი იმდენად ენდობოდა და თავიანთ მხსნელებად მიიჩნევდა რუსთა წარმომადგენლებს, რომ 1567 წ.

---

[30] Кабардино-русские отношения в XVI—XVIII вв., Документы и материалы в 2 томах, т. I, XVI—XVII вв., М., 1957, с. 3.

[31] Алексеева Е. П. Калмыкова И. Х., Невская В. П. добровольное присоединение Черкасии к России, Черкаск, 1957, с. 13.

[2] Ногмов Ш. История адыгейского народа. Сост. по преданиям Кабардинцев, Кавказский календарь на 1861 год., Тифлис, 1860, с. 108—109.

[33] იქვე. გვ. 111.

თვით ყაბარდოელ თავადთა თხოვნით, თავად თემრიუკის თაოსნობით, რუსებმა ააშენეს ციხე-სიმაგრე თერგი[34].

ჩერქეზი ხალხი და, კერძოდ, ყაბარდოელები ხსენებული ციხე-სიმაგრით თავისი ქვეყნის დაცვას ფიქრობდნენ.

მეფის რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხის მოკიდებას ცდილობდა, ამიტომ აქტიურად ეხმაურებოდა ყაბარდოელთა მისწრაფებას რუსეთთან დაახლოებისაკენ.

მალე მეფის რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ თეოდორე ივანეს ძის მეფობის დროს რუსეთის ხელმწიფეთა ტიტულს „ყაბარდოელთა მიწების ხელმწიფის" ტიტულიც მიემატა.

ამრიგად, ყაბარდოსა და მეფის რუსეთს შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. იგი ვლინდებოდა მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

მაგრამ მეფის რუსეთსა და ყაბარდოს შორის ჭეშმარიტი მეგობრობის დამყარებას ბევრი ხელშემშლელი მიზეზიც ჰქონდა: განსხვავებული ენა, ზნე-ჩვეულებები, რელიგია და, საერთოდ, ინტერესები ხშირად ერთიმეორეს უპირისპირდებოდა კიდეც. კარგი და მტკიცე ურთიერთობის დამყარებას ხელს უშლიდა სიშორეც ყაბარდოსა და მეფის რუსეთის ცენტრს შორის. ეს უკანასკნელი დიდად აბრკოლებდა სავაჭრო-გაცვლით ურთიერთობებსაც მათ შორის, რაც მტკიცე კავშირის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა.

XVI ს. ბოლოსა და XVII ს. დასაწყისში მომხდარმა შინაგანმა არეულობამ აიძულა მეფის რუსეთი დროებით გაეწვიტა ყაბარდოელებთან ესოდენ საჭირო და აუცილებელი ურთიერთობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყაბარდოელები და ჩერქეზთა სხვა ტომები ზოგჯერ მტრობდნენ კიდეც რუსებსა და მათ ერთგულებაში მყოფ მთიელ ტომებს, რისთვისაც ხშირად უგემიათ ფეოდალური რუსეთის იარაღის ძალაც, რუსეთთან ურთიერთობის დროებით გაწყვეტა მათთვის მაინც დიდად საზიანო იყო, ყაბარდოელები იძულებული გახდნენ ყირიმის სახანოს დამორჩილებოდნენ, და მათ სასარგებლოდ ხარკი ეხადათ[35].

ყირიმის ხანს ნებაყოფლობით დამორჩილდნენ ყაბარდოელები, ეს იყო მათი დიდი შეცდომა, რისი გამოსწორებაც უცდიათ თხოვნით

---

[34] Полиевктов М. А. Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе, Тифлис, 1932, с. 7.

[35] Дюбуа де Монпере Ф. Путешествие вокруг Кавказа, т. I, пер. с. франц. Н. А. Денкевич-Пушиной, Сухуми, 1937, с. 31.

თუ იარაღის ძალით, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. ყაბარდო ხარკს უხდიდა ყირიმის სახანოს[36].

ყირიმის ხანის უღლისაგან ყაბარდოელთა განთავისუფლება არ მოხერხდა XVIII ს. დასაწყისამდე, მიუხედავად იმისა, რომ ყაბარდოელები მეფის რუსეთის ქვეშევრდომობას აღიარებდნენ და იმ დროისათვის — 1672 წ. მათი მძევლები თერგის ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდნენ. XVIII ს. დასაწყისში, პეტრე I-ის დროს, კვლავ ხდება ყაბარდო-რუსეთის დაახლოება.

1711 წ. პეტრე I-მა ყაბარდოელებს (ჩერქეზებსაც) სიგელი გამოუგზავნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ისინი მიიღებდნენ დახმარებას თურქეთისა და ყირიმის სახანოს მტრული საქმიანობის აღსაკვეთად და რომ ხშირად მთიელ ხალხებს შორის უთანხმოებაა თურქეთისა და ყირიმის სახანოს მტრული მოქმედების შედეგად[37].

სიგელის შინაარსს რომ გაეცნენ, ყველამ თანხმობა განაცხადა რუსეთის ქვეშევრდომობაზე[38]. ყაბარდოელებმა რუსეთის წარმომადგენელს განუცხადეს: „მთელი ყაბარდო მზად არის იბრძოლოს ყირიმის სახანოს წინააღმდეგ, მხოლოდ რუსეთისა და ყალმუხების ჯარს უცდის ერთობლივი შეტევისათვის“[39].

1711 წ. 28 აგვისტოს, გენ. პ. მ. აპრაქსინის ხელმძღვანელობით, აზოვიდან ყუბანსიქითა ჩერქეზების წინააღმდეგ გაემართა რუსთა ჯარი. სამხედრო ნაწილებს მხარს უჭერდა 20 ათასი ყალმუხი, მათ შორის იყვნენ ყაბარდოელებიც[40].

ყუბანსიქით მცხოვრები ჩერქეზთა ტომები სასტიკად იქნენ დამარცხებულნი, თუმცა ყაბარდოელების ლაშქარს რუსთა სამხედრო ნაწილები ვერ შეუერთდნენ. ყაბარდოელები უკმაყოფილონი იყვნენ ამის გამო.

დამარცხებულ ყუბანსიქითა ჩერქეზებისაგან სალთან ნურადინმა 10 ათასამდე მებრძოლი შეკრიბა და ყაბარდოელთა დასჯა გადაწყვიტა რუსების მხარეზე მათი გამოსვლისათვის. რუსთა და ყალმუხთა შეერთებულმა ძალებმა კვლავ გაანადგურეს ჩერქეზთა 10 ათასიანი ლაშქარი. ყაბარდოელები გადარჩნენ დასჯას[41]. ყაბარდოელებმა მოითხოვეს 3 ან 2 ათასი კაზაკის გამოგზავნა, რათა საბოლოოდ დაემარცხებინათ ყუბანსიქითა ჩერქეზი ტომები[42].

---

[36] Дюбуа де Монпере Ф. Путешествие..., с. 31.
[37] ЦГВИА, ВУА. ф. 1525, лл. 19, 20, 21.
[38] იქვე, ფურც. 23.
[39] იქვე, ფურც. 31.
[40] იქვე.
[41] ЦГВИА, ВУА, ф. 1528, л. 32.
[42] იქვე.

ყაბარდოელები ყოველთვის ცდილობდნენ სამხედრო ნაწილებისათვის აღმოეჩინათ დახმარება საჭირო შემთხვევაში. დახმარება მათი ინტერესებიდან გამომდინარეობდა, იმავე დროს რუსეთის წარმომადგენელთა გულის მოგებაც უნდოდათ.

პეტრე I-ის დერბენტისაკენ ლაშქრობისას 1722—1723 წწ. რუსთა ჯართან ერთად ყაბარდოელებმაც მიიღეს მონაწილეობა. ორი მფლობელი — დიდი ყაბარდოდან ელმურზა ჩერკასკი (თავად ალექსანდრე ბეკოვიჩის უმცროსი ძმა ჯამბულატოვთა საგვარეულოდან, გვარად ბეკმურზინი) და მცირე ყაბარდოდან, ტაუსულტანოვის საგვარეულოდან, ასლან ბეგ კაიტუკინი — თავიანთი სურვილით გამოცხადდა პეტრე დიდთან თავისი ხალხით და მონაწილეობა მიიღო ხსენებულ ლაშქრობაში[43].

ასეთი ურთიერთობის მიუხედავად, ყაბარდოში, თურქეთის ზეგავლენით, ზოგიერთი მფლობელი რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა. 1728 წ. ყაბარდოს მფლობელთა — როსლან ბეკ კაიტუკინისა და ატაჟუკინების და მისოსტოვების საგვარეულოთა შთამომავლებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რასაც მალე დიდი უსიამოვნება მოჰყვა როგორც ყაბარდოელი ხალხისათვის, ისე რუსეთის პოლიტიკისათვის ჩრდილო კავკასიაში. ყაბარდოელთა მფლობელები და სხვა გავლენიანი პირნი ორ ჯგუფად გაიყვნენ[44].

ჯამბულატოვების შთამომავალთა მფლობელი კაიტუკინი ხამურზი არსლანბეკი, მისოსტ ბამატოვი და ელმუზდუკ კანამატოვი ყუბანის მხარეს გაიხიზნენ და, რუსეთისადმი უკმაყოფილების გამო, ყირიმხანის ერთგულებისაკენ გადაიხარნენ. მათ თავიანთ მომხრეებს კაშკატაუელები[45] უწოდეს (მდ. ჩერეკის ახლოს მდებარე მთა კაშკატაუ).

კაშკატაუელთა საწინააღმდეგო ჯგუფს შეადგენდნენ ატაჟუკინებისა და მისოსტოვების საგვარეულოთა წარმომადგენელნი თავიანთი მფლობელის მაჰომედ კურგოკინის ხელმძღვანელობით; მათ თავიანთ ჯგუფს ბაქსანელების[46] პარტია უწოდეს. ბაქსანელები რუსეთის მომხრენი და ერთგულები დარჩნენ.

---

[43] Ногмов Ш. История адигейского народа..., Кавк. календарь на 1861 г., Тиф. 1860, с. 108—109.

[44] Акты, Собранные Кавказской археографической комиссией, т. I, Тифлис, 1866, с. 85.

[45] ისინი ცხოვრობდნენ მდ. ნალჩიკის, შალუშკის და კაშკატაუს მთის რაიონებში.

[46] ვასში შემავალი ფეოდალების სამფლობელოები მდებარეობდა მდ. ბაქსანზე, მალკასა და ჩეგემზე.

კაშკატაუელებმა ყირიმის სახანოს ერთგულება იკისრეს, რათა უკანასკნელის დახმარებით ზეგავლენა მოეხდინათ მოწინააღმდეგე ბაქსანელთა პოლიტიკაზე.

ამ ორი პარტიის პოლიტიკას ის ასხვავებდა, რომ ერთნი, ბაქსანელები — რუსეთის მომხრეები და ერთგულნი იყვნენ, მეორენი კი — კაშკატაუელები, რუსეთთან ყოველგვარი კავშირის წინააღმდეგნი, ერთგულების ფიცი უარყვეს, აშკარად რუსეთისათვის მტრული საქმიანობა იწყეს და ყირიმის ხანის ერთგულება მიიღეს[47]. მათ ყირიმის ხანის შეიარაღებული ძალების დახმარებით უნდოდათ მოწინააღმდეგე ბაქსანელთა დამარცხება, რათა უკანასკნელთ ხელი აეღოთ რუსეთის ერთგულებაზე. ამ მიზნით, 1732 წ. რუსეთთან დაახლოების მოწინააღმდეგეებმა ყირიმის ხანისაგან მიცემული შეიარაღებული რაზმი მოიყვანეს ყაბარდოში, რაც პირველ რიგში რუსეთის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული[48].

რუსეთის მომხრე „ბაქსანელებმა" ორჯერ მოიგერიეს კაშკატაუელთა და ყირიმხანის მიერ გამოგზავნილი ლაშქარის ერთობლივი შემოტევა.

ბაქსანელთა პარტიის მომხრე ყაბარდოელები რუსეთისადმი კარგ დამოკიდებულებას არა მარტო კაშკატაუელთა და ყირიმელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოხატავდნენ, არამედ ხშირად შეიარაღებულ დახმარებასაც უწევდნენ რუსთა სამხედრო შენაერთებს, რისთვისაც 1732 წ. 10 ივლისს იმპერატორ ანა ივანეს ასულის ქების სიგელიც მიიღეს[49].

1733 წ. რუსთა სამხედრო შენაერთი ატამან კრასნოშჩეკოვის მეთაურობით დონიდან წმინდა ჯვარის სიმაგრისაკენ მიდიოდა. გზაში შემთხვევით ყირიმელი თათრებისა და ყალმუხების გაერთიანებულ ბრბს გადაეყარა, რომლებიც თავს დაესხნენ გზად მიმავალ სამხედრო ნაწილს. თავდამსხმელთა ძალები ჯობნიდა სამხედრო შენაერთს ძლიერებით, რუსთა დამარცხება გარდუვალი იყო.

ასეთ განსაცდელში ჩავარდნილ მებრძოლებს დროული და საჭირო დახმარება აღმოუჩინეს „ბაქსანელთა" წარმომადგენლებმა, თა-

---

[47] Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. I, Тиф., 1866, с. 85.

[48] Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722—по 1803 год, т. I, Спб, 1869, с. 119.

[49] Кудашев В. Исторические сведения о кабардинском народе, Киев, 1913, с. 48.

ვდამსხმელნი იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ, დახმარებამ რუსთა რაზმი განსაცდელისაგან იხსნა[50].

ამრიგად, ყაბარდოელ ფეოდალთა ნაწილი რუსეთის ერთგული იყო, ნაწილი კი საწინააღმდეგო საქმიანობას განაგრძობდა. საჭირო იყო მათი ერთგულებაში მოყვანა, რასაც ხელს უშლიდა ჩრდილო კავკასიაში შექმნილი არახელსაყრელი ვითარება და იქ განლაგებული სამხედრო ნაწილების სიმცირე.

იქ დაბანდებული ჯარი რომ საკმარისი ყოფილიყო არსებული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად და დამატებით ყაბარდოელებისათვის დახმარების გაწევაც შეძლებოდათ, ყაბარდოელთა დიდი ნაწილი გახდებოდა რუსეთის ერთგული. ადიღეელი ხალხის და, პირველ რიგში, ყაბარდოელთა მიერ რუსეთის ერთგულების უარყოფის მიზეზი ხშირად აქ რუსეთის სამხედრო ძალების სიმცირე იყო.

ამასთანავე, ყაბარდოელები ყირიმხანისაგან დამოკიდებულად თვლიდნენ თავს 1736 წლამდე, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე. ამ ომში ყაბარდოელებმა, როგორც ყოველთვის მეზობელ მთიელ ტომთა მოწინავე და მაორგანიზებელმა ძალამ, რუსეთის მხარე დაიჭირეს და ყალმუხთა 40000-იან ლაშქართან ერთად თურქეთის ქვეშევრდომობაში მყოფ ყუბანელ თათართა წინააღმდეგ გაილაშქრეს.

ამავე წელს ყაბარდოელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აზოვის აღებისათვის ბრძოლებში.

ხსენებულ ომში, დაწყებიდან დამთავრებამდე, ყაბარდოელებმა ღიდი დახმარება გაუწიეს რუსეთის არმიას. რუსეთის ცენტრალურმა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ყაბარდოელთა ერთგულებასა და სამხედრო დახმარებას ომის მსვლელობისას. ამიტომ იყო, რომ ომის დამთავრების შემდეგ, 1739 წ. 18 სექტემბრის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისას არც ყაბარდო იყო დავიწყებული. ამ ხელშეკრულების VI პუნქტის თანახმად ყაბარდო დამოუკიდებლად იქნა აღიარებული როგორც თურქეთის, ისე რუსეთის მხრივ. სამშვიდობო ხელშეკრულების VI პუნქტში, კერძოდ, აღნიშნულია:

«Артикул 6. Об обейх Кабардах, т. е. большой и малой, Кабардинском народе, с обейх сторон соглашенность, что быть тем Кабардам вольным, и не быть под владением ни одного, ни другого Империи, но токмо за бариеру между обейми империями служить имеют. И что и от другой стороны блистательной порты туркам и татарам во оныя не вступаться и оных не обезпокоивать, такожде и от все-

[50] Сборник сведении о кавказских горцах, вып. IX, Тиф., 1873, с. 117—118.

российской империи оныя в покое оставлены будут. Но что однако-же по древнему обыкновению браны будут во всероссийскую Империю от тех кабардинцев, для спокойного их пребывания, аманаты; И оттоманской порте також позволятся для такой-же причины, брать от ных таких-же аманатов; а ежели помянутые кабардинцы причину жалобы подадут одной или другой державе, каждой позволяется наказать»[51].

რუსეთისა და თურქეთის მიერ ყაბარდოს (დიდი და მცირე ყაბარდო) დროებით, მაგრამ მაინც ოფიციალურად დამოუკიდებლად აღიარება დიდ მოვლენას წარმოადგენდა ყაბარდო-რუსეთის შემდგომი მეგობრული ურთიერთობისათვის და, პირველ რიგში, რუსეთის მომავალი მიზნებისათვის.

ყაბარდო, ბელგრადის 1739 წ. სამშვიდობო შეთანხმებამდე, თურქეთისა და ყირიმის სახანოს ხელდებულად ითვლებოდა, ამას თვით ყაბარდოელებიც არ უარყოფდნენ. ასეთ ვითარებაში ძნელი იყო რუსეთისათვის ყაბარდოს დიპლომატიური ხერხით, ნებით ან ძალით, იმპერიის საზღვრებში მოქცევა.

საჭირო იყო ჯერ ორივე მოქიშპე მხარეების — რუსეთისა და თურქეთის მიერ ყაბარდოს დამოუკიდებლად აღიარება, რასაც რუსეთმა მიაღწია 1739 წ. ყაბარდოს დამოუკიდებლად აღიარება რუსეთის იარაღისა და დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. რუსეთის მთავრობა ყაბარდოს თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას შეუდგა პრაქტიკულად.

ყაბარდოს დამოუკიდებლად აღიარებას, როგორც აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში რუსეთის მომავალი გეგმებისათვის, თუმცა ამ აქტმა დროებით შეაფერხა რუსეთთან ურთიერთობის წინსვლა.

რუსეთი ერთგულად იცავდა ბელგრადის 1739 წ. ხელშეკრულებას, საერთოდ, ყაბარდოს შესახებ, კერძოდ; პარალელურად ძალებს იკრებდა და ყაბარდოელთა თავის მხარეზე გადმობირების ცდებს ფარულად ატარებდა.

თურქეთი და ყირიმის სახანო ასეთივე ფარული გზებით ცდილობდნენ ყაბარდოზე თავიანთი ძველი უფლებების აღდგენას და მფლობელებისა და სხვა გავლენიან პირთა გადაბირება იწყეს.

1740 წ. ყუბანის სერასკირმა ყაბარდოს დალაშქვრა გადაწყვიტა. ყაბარდოელებს რუსების დახმარების იმედი ჰქონდათ[52].

---

[51] Полное собрание законов Российской империи, том, X, с. 899, 901, № 7900.

[52] Грабовский Н. Ф. დასახ. ნაშრ., გვ. 120.

რუსეთის წარმომადგენლები, არახელსაყრელი პირობების გამო, ხელშეკრულების დაცვის საბაბით, ყაბარდოელთა თხოვნას დახმარების შესახებ არ გამოეხმაურნენ, მიუხედავად იმისა, რომ ყუბანის სერასკირის წინააღმდეგ ყაბარდოელებისადმი დახმარება ფაქტიურად კავკასიაში რუსეთის ინტერესების დაცვას წარმოადგენდა[53].

მალე ვითარება შეიცვალა. რუსეთის მთავრობის მითითებით, მისი ადმინისტრაციის ადგილობრივი წარმომადგენლები აშკარად შეუდგნენ ყაბარდოელთა გადმობირებას. ამ მიზნით პრაქტიკული ნაბიჯიც იქნა გადადგმული. 1742 წ. ყაბარდოში გაიგზავნა არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი, ყაბარდოს მფლობელთა ნათესავი, ქართველი ბატონიშვილი ბაქარ ვახტანგის ძე.

ქართველმა გენერალმა დაკისრებული მოვალეობა იმდენად კარგად შეასრულა, რომ იმავე 1742 წ. ყაბარდოელებმა რუსეთისადმი საყოველთაო ერთგულება აღიარეს, ფიცი მიიღეს და ელისაბედ პეტრეს ასულის ტახტზე ასვლის ცერემონიალზე (კორონაციაზე) დასასწრებად თავისი წარმომადგენელი მაჰომედ სიდაკოვი გაგზავნეს[54].

ყაბარდოელთა მიერ რუსეთისადმი ერთგულების ფიცის მიღების პარალელურად, თურქეთი ცდილობდა ამ ხალხის გადაბირებას.

რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ხელში ჩაგდება, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყაბარდოელთა ერთგულებას.

ყაბარდოს რუსეთთან დაახლოებას, გარდა თურქეთისა და ყირიმის სახანოსი, დიდ წინააღმდეგობას უწევდა კაშკატაუელთა პარტია, რომელიც რუსეთის საწინააღმდეგო ხმებს ავრცელებდა და უნდოდა ყაბარდოელები ყირიმის სახანოს ქვეშევრდომად გაეხადა.

1742 წ. ბაქსანელებმა რუსეთის წარმომადგენელს ყაბარდოში სამხედრო ნაწილის მუდმივად ყოფნა სთხოვეს[55]. ამ თხოვნისთანავე ყიზლარის კომენდანტმა 1743 წ. ყაბარდოში კაპიტანი გამოგზავნა 500 კაზაკით. მალე გენ. დოლგორუკოვმა დაითხოვა ყაბარდოდან ხსენებული 500 კაზაკი და მათ ნაცვლად მაიორი გამოგზავნა დრაგუნებითა და 120 კაზაკით, რომელთაც საიდუმლო მრჩეველმა ტატიშჩევმა 280 კაზაკი დაუმატა[56]. ამრიგად, ბაქსანელთა თხოვნით ყაბარდოში 1743 წ. 400 კაზაკი იქნა დაბანაკებული. კაზაკებს ისინი კაშკატაუელთა შემოტევებისაგან უნდა დაეცვა[57].

---

[53] Грабовский Н. Ф. დასახ. ნაშრ., გვ. 120.
[54] იქვე.
[55] Кабардино-русские отношения..., т. I, с. 155.
[56] იქვე.
[57] იქვე.

1746 წ. ყაბარდოში კვლავ თავი იჩინა ორ პარტიას შორის უთანხმოებამ; ამჯერად მათ შორის დავა როსლან ბეკის თაოსნობით დაიწყო[58].

როსლან ბეკმა მიატოვა საცხოვრებელი ადგილი, გასცილდა რუსეთის საზღვრებს და მთებს შეაფარა თავი მდინარე ჩეგემის მახლობლად, დაიკავა ბაქსანელთა სამფლობელო ადგილებიც.

კაშკატაუელთა მეთაურის როსლან ბეკის ამგვარი საქციელის მიზანი იყო ყაბარდოს ტერიტორიიდან რუსეთის მომხრე თავადების გაძევება, რათა რუსეთს აქ დასაყრდენი არ ჰქონოდა[59].

როსლან ბეკის ამგვარი მოქმედების შედეგად რუსეთის მომხრე თავადი ატაჟუკინი გაძევებულ იქნა ყაბარდოდან, მან ერთგულების ფიცი მიიღო და ყიზლარში დასახლდა[60].

1749 წ. კაშკატაუელთა ინიციატივით და ზეგავლენით თითქმის მთელმა ყაბარდომ გადაწყვიტა რუსეთისაგან განდგომა და ყირიმის სახანოს ერთგულებაში შესვლა[61].

ეს გადაწყვეტილება მალე შეიტყვეს რუსეთის წარმომადგენლებმა და მოწინააღმდეგის გეგმების ჩაშლას შეუდგნენ, რაც აუცილებელი იყო, მით უფრო, რომ თურქეთი საომრად ემზადებოდა რუსეთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ერთიორად იზრდებოდა ყაბარდოსა და ყაბარდოელთა მნიშვნელობა. რუსეთის წარმომადგენლებმა ყაბარდოელებს ბელგრადის 1739 წ. ხელშეკრულების VI მუხლის შესრულება მოსთხოვეს, თუ ერთგულების ფიცს უარყოფდნენ, დამოუკიდებლობა მაინც შეენარჩუნებინათ და ყირიმის სახანოს ერთგულებაში არ შესულიყვნენ.

ამ მოთხოვნით კაშკატაუელებს უნდა დაეტოვებინათ ზემოხსენებული, ძალით მითვისებული რუსეთის მომხრეთა მამულები მდინარე ჩეგემთან და დაბრუნებულიყვნენ ძველ საცხოვრებელ ადგილებში — კაშკატაუსთან. ყაბარდოელთა გადმოსაბირებლად რუსები შეპირდნენ ყიზლარში თავშეფარებული სპარსეთის ტყვეების დაბრუნებას[62]. რუსეთის ხელისუფლებამ მოლაპარაკებით და დაპირებებით მიაღწია იმას,

---

[58] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 262, 515.
[59] იქვე. გვ. 162.
[60] Грабовский Н. Ф. დასახ. ნაშრ., გვ. 129.
[61] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 515—516.
[62] იქვე, შეად. Грабовский Н. Ф. დასახ. ნაშრ., გვ. 122.

რომ ყაბარდოელებმა თავი შეიკავეს ყირიმხანის ქვეშევდრომობაში მესვლისაგან.

ჩრდილო კავკასიაში რუსეთის სამხედრო ძალების სიმცირით აიხსნება ყაბარდოელი ფეოდალების ნაწილის მერყეობა რუსეთის ქვეშევრდომობის მიმართ.

1751 წ. ყაბარდოში ახალი ძალით იფეთქა მეფის რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილებამ, რამაც აშკარა გამოხატულება პოვა ურთიერთმტრულად განწყობილი ორი პარტიის ურთიერთობაში[63]. ყაბარდოელთა ასეთი განწყობილებებისადმი ყუმიყთა თანაგრძნობაც შეინიშნებოდა. რუსეთმა ვერ გაბედა თავისი მომხრე „ბაქსანელთათვის" დახმარების გაწევა, ყუმიყ მფლობელებს კი მითითება მისცა, რათა ყაბარდოელთა საქმეებში არ ჩარეულიყვნენ[64].

ყაბარდოში საჩქაროდ გაიგზავნენ მაიორები: ბარკოვსკი და ტატაროვი, რომელთა ძირითადი მიზანი იყო ურთიერთმტრულად განწყობილი პარტიების შერიგება და მფლობელთა მოქრთამვა, რისთვისაც სათანადო თანხა მიეცათ[65]. „კაშკატაუელები" შეარიგეს „ბაქსანელებთან", ისინი დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ აღგილებში. დაბრუნდნენ 1746 წ. მთებში გახიზნული კაშკატაუელებიც[66], რომლებიც კაშკატაუს ხეობაში მდინარეებთან — შალუშკასა და ნალჩიკთან — დასახლდნენ.

ატაჟუკინებისა და მისოსტოვების შთამომავლობა დასახლდა მდინარეების — მალკას, ბაქსანისა და ჩეგემის მახლობლად.

რუსეთის დროულმა ჩარევამ ყაბარდოში სიმშვიდე ჩამოაგდო, რამაც ყირიმის ხანის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან უკანასკნელი დარწმუნებული იყო ყაბარდოელთა ერთგულებაში, რომ ისინი საბოლოოდ უარყოფდნენ რუსეთისადმი მიცემულ ფიცს.

ყირიმის ხანი სელიმ-გირეი გამუდმებით ჩიოდა თურქეთის მთავრობასთან ყაბარდოელთა საქციელის გამო და დახმარებას თხოულობდა უკანასკნელთა ერთგულებაში მოსაყვანად

1754 წ. მან თურქეთის მთავრობას განუცხადა ყაბარდოელთა მიმართ თავისი უკმაყოფილება და დასძინა, რომ „იგი შეეცდება იარაღი იხმაროს მათ წინააღმდეგ". თურქეთის მთავრობამ არ მოიწონა სელიმ-გირეის გადაწყვეტილება[67].

ცენტრალური მთავრობის მითითებით, რუსეთის წარმომადგენლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ყიზლარში მდგარი სამხედრო ძალები გაეგზავ-

---

[63] Грабовский. Н. Ф. იქვე, გვ. 122.
[64] Бутков П.Г. დასახ. ნაშრ., ნ.წ. I, გვ. 515.
[65] იქვე, გვ. 263.
[66] იქვე.
[67] იქვე, გვ. 264.

ნათ ყაბარდოელთა დასახმარებლად, თუკი მათ ყირიმის ხანი შემოუტევდა.

ყირიმის ხანმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვერ მიიღო თურქეთის მთავრობისაგან თანხმობა ყაბარდოს დარბევაზე, ამასთანავე შეიტყო რუსთა სამხედრო შენაერთების მზადება და გადაწყვეტილებაც, რომ ყაბარდოზე თავდასხმას რუსეთი არ აპატიებდა. ყირიმის ხანმა ხელი აიღო ყაბარდოზე თავდასხმისაგან, ამჯერად რუსეთის სამხედრო ნაწილებსა და ყირიმხანის ჯარს შორის კონფლიქტი თავიდან იქნა აცილებული[68].

მალე დიდი ყაბარდოს მესვეურებმა მცირე ყაბარდოს შემოერთება მოისურვეს. სარგებლობდნენ რა მოსახლეობის რაოდენობრივი უპირატესობით, პრაქტიკულად დაიწყეს მცირე ყაბარდოს სამფლობელოების ძალით მითვისება[69].

რუსეთის მთავრობას შექმნილ პირობებში ყაბარდოელთა შორის შინაგანი არეულობა ხელს აძლევდა და დროულადაც შეეცადა შექმნილი გარემოების იმპერიის სასარგებლოდ გამოყენებას.

მცირე ყაბარდოს მფლობელებს ძალა არ შესწევდათ დიდი ყაბარდოს შემოტევებისაგან თავდასაცავად. ისინი რუსეთის დახმარებით ცდილობდნენ თავიანთი უფლებების შენარჩუნებას. ამიტომ იყო, რომ მცირე ყაბარდოს მფლობელებმა — კურგოკო კონჩოკინმა, გირეი მამეტოვმა და ისლამ ხანოვმა — რუსეთის სამხედრო ხელისუფლებას თერგის მარჯვენა ნაპირას — ჩერვლენსკოისა და შედრინსკის სტანიცების მოპირდაპირე მხარეს — დასახლება სთხოვეს[70]. რუსეთის ხელისუფალთა თანხმობის მიუხედავად ყაბარდოელთა ახალ ადგილზე გადასახლება არ მოხდა[71].

ყირიმის ხანი კვლავ ცდილობდა ყაბარდოელთა დარბევისათვის ნებართვის მიღებას თურქეთის მთავრობისაგან.

თურქეთი 1754 წელს უარყოფითად შეხვდა ყირიმის ხანის გადაწყვეტილებას, ამჯერად კი უკვე აღარ ერიდებოდა რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას; რუსეთის მთავრობა კი, პირიქით, თავს იკავებდა თურქეთის გაღიზიანებისაგან.

რუსეთის კავკასიურ ადმინისტრაციასა და ყაბარდოელ მფლობელთა შორის ცალკეული უთანხმოებების წარმოქმნის მიუხედავად რუსეთსა და ყაბარდოს შორის მეგობრული სულისკვეთება მაინც არ ქრებოდა.

1758 წ. ზოგიერთმა ყაბარდოელმა მფლობელმა მონაწილეობა მი-

---

[68] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 264.

[69] იქვე. გვ. 2.

[70] იქვე.

[71] იქვე.

იღო ყიზლარის კომენდანტის გენერალ-მაიორ ფრაუენდორფის მიერ აჯანყებულ ჩეჩენთა წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში[72].

1760 წ. ბაქსანელთა და კაშკატაუელთა პარტიებს შორის კვლავ აშკარა უთანხმოებამ იჩინა თავი. ბაქსანელებმა გადაწყვიტეს კაშკატაუელთა გაძევება თავიანთი სამფლობელოებიდან, რამდენიმე სოფელიც ჩამოართვეს მათ.

პარალელურად ბაქსანელებმა პირველად უარყვეს რუსეთთან მეგობრული კავშირი, ყირიმის ხანის ერთგულება მიიღეს და მას ყუბანსიქითა თემირგოელების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა აღუთქვეს[73]. ყაბარდოში მანამდე არნახული ანტირუსული განწყობილება შეიქმნა.

რუსეთს ხელიდან ეცლებოდა თურქეთთან მოახლოებული საომარი მოქმედებისათვის აუცილებელი და საჭირო ყაბარდოს ტერიტორია, როგორც საუკეთესო პლაცდარმი და ყაბარდოელთა ერთგულება, როგორც დამხმარე ძალა ომის შემთხვევაში. საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება ყაბარდოელთა გადაწყვეტილების ჩასაშლელად.

ყაბარდოში საჩქაროდ მაიორი ტატაროვი გაიგზავნა, მას ორი პარტიის წარმომადგენლები უნდა შეერიგებინა, ბაქსანელებისათვის რუსეთის ერთგულება უნდა მიეღებინებინა და მათი ხელმძღვანელი ბამატა ატაუკინი აეძულებინა არ მიეღო მონაწილეობა ყირიმის ხანის მიერ თემირგოელთა წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში.

მაიორმა ტატაროვმა დროულად შეასრულა დავალება. ყაბარდოში არსებულ ორ პარტიას შორის კვლავ მშვიდობა ჩამოვარდა. ყაბარდოელთა მეტი ნაწილი რუსეთის მხარეზე გადავიდა და ერთგულების ფიციც მიიღო[74]. რუსეთის მთავრობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ერთგულებისა და ფიცის მიღებას. მალე, 1769 წ. 23 დეკემბერს, რუსებსა და მთის მოსახლეობას შორის კავშირის დამყარების მიზნით, მთავრობამ ნება დართო იმპერიის ქვეშევრდომ ხალხში — ყაბარდოელებში, ოსებში და სხვ. შეეტანათ სხვადასხვა სახის მანუფაქტურული საქონელი[75].

1762 წ. პეტერბურგში რუსეთის ხელმწიფის — პეტრე III წინაშე წარდგნენ დიდი ყაბარდოდან ბაქსანელთა პარტიის უხუცესი წარმომადგენელი, ატაუკინთა შთამომავალი, მფლობელი ბამატ კურგოკინი

---

[72] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 515—516.

[73] იქვე.

[74] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 265.

[75] Кудашев В. Историческия сведения о кабардинском народе, Киев, 1913, с. 60.

და მცირე ყაბარდოდან ტაუსულთანოვის საგვარეულოს წარმომადგენელი — კურგოკო კაიტუკინი[76].

ხსენებულ წარმომადგენლებს რუსეთის ხელმწიფისათვის ერთგულების ფიცის დამტკიცებისა და ქვეშევრდომობაში მიღებისათვის მადლობა უნდა მოეხსენებინათ ყაბარდოელთა სახელით. ამრიგად, რუსეთი დიდხანს არ დარჩენილა ერთგული 1739 წ. ბელგრადის ტრაქტატის VI მუხლისა, რომლის თანახმადაც ყაბარდოს დამოუკიდებლობა მიენიჭა.

ხსენებული ტრაქტატის შესაბამისი მუხლით, რუსეთის მთავრობამ ყაბარდოს იმპერიის საზღვრებში მოქცევისათვის პირველი და აუცილებელი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა წინ. შემდეგში საჭირო იყო დამოუკიდებლად აღიარებული ყაბარდოს ჯერ თავის გავლენის ქვეშ, ხოლო შემდეგ, როგორც საბოლოო მიზანი, ქვეშევრდომობაში მოქცევა, რაც პრაქტიკულად იმპერიის საზღვრებში მისი მოქცევით დამთავრდებოდა.

რუსეთის მთავრობას ამგვარი მიზნის მისაღწევად თითქოსდა 200 წლის წინათ — 1557 წ. საფუძველიც ჰქონდა ჩაყრილი, როცა ყაბარდოელი თავადები თემრიუკ იდაროვი და სხვები ეახლნენ რუსეთის ხელმწიფეს, რათა ყაბარდო მიეღო თავის ქვეშევრდომობაში. ერთი სიტყვით, თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთი ყაბარდოში დაკარგული უფლებებისათვის იბრძოდა.

თვით ყაბარდოელები ბელგრადის 1739 წ. შეთანხმების მეექვსე პუნქტის მომხრენი უფრო იყვნენ, ვინემ რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში ყოფნისა. თავისუფლებას ჩვეული მთიელები დამოუკიდებლობას ნატრობდნენ.

რუსეთის მთავრობას ადრევე ჰქონდა გადაწყვეტილი კავკასიის იმპერიის საზღვრებში მოქცევა, რაც ჩრდილოეთ კავკასიის და, კერძოდ, ყაბარდოს შეერთების გარეშე რამდენადმე გაძნელდებოდა. ამიტომ იყო, რომ ყაბარდოს საკითხის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ყაბარდოელებმა ვერ გამოიყენეს 1739 წ. მიღებული დამოუკიდებლობა, რაც რუსეთის იარაღით იქნა მიღწეული და რუსეთისავე მიზნებს ემსახურებოდა.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მალე გადაეწყვიტა ყაბარდოს საკითხი. ყაბარდოელთა დამოუკიდებლობას, გარდა ზემოხსენებული უარყოფითი შედეგებისა, შეეძლო ცუდი გავლენა მოეხდინა მეზობელ ხალხებზე: ოსებზე, ინგუშებზე, კუმიკებზე, და სხვებზე, რომლებიც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომო-

---

[76] Бутков, П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 266.

ბაში შესვლას ესწრაფვოდნენ. აუცილებელი შეიქნა 1739 წ. ბელგრადის ტრაქტატის VI მუხლის უარყოფა რუსეთის მიერ, რისთვისაც უკანასკნელი შესაფერის საშუალებას და მომენტს ელოდა.

ამასთანავე, თანდათანობით უნერგავდნენ ყაბარდოელებს აზრს, რომ აუცილებელი იყო რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა. ამ მიზნით, არც ფულადი სახსრების ხარჯვას ერიდებოდნენ. ყიზლარში მყოფ ყაბარდოელთა მძევლებს ასწავლიდნენ რუსულ და თათრულ ენებს, ცდილობდნენ განერიდებინათ ისინი რუსეთისათვის მავნე ჩვევებისაგან და შეექმნათ კარგი შეხედულება ქრისტიანულ სამყაროზე და, პირველ რიგში, რუსეთის იმპერიაზე[77]. იწვევდნენ სადღესასწაულოდ გაწყობილ მაგიდასთან, ხშირად ფულითაც აინტერესებდნენ[78]. რუსეთის მთავრობამ ზემოხსენებულის პარალელურად მთიელებში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება იწყო.

ქრისტიანული რელიგიის გავრცელებით უნდოდათ რუსეთის ერთგულებისადმი მიუდრეკელი მთიელებისა და, კერძოდ, ყაბარდოელთა ნამდვილი ერთგულების მიღწევა. წასახალისებლად, ვინც ქრისტიანობას მიიღებდა და რუსეთის მხარეს დასახლდებოდა, ყიზლარის შემოსავლიდან აძლევდნენ: აზნაურებს ათ-ათს, უბრალო ადამიანებს ხუთ-ხუთ მანეთს. ამგვარმა წახალისების მეთოდმა დადებითი შედეგი გამოიღო. ჯერ კიდევ ადრე, 1759 წ., მცირე ყაბარდოს მფლობელმა კურგოკო კონჩოკინმა მიიღო ქრისტიანობა და მოზდოკის ხეობის მახლობლად თერგზე დასახლდა[79].

1763 წ. გახშირდა მთებიდან გაქცეულთა მიერ ქრისტიანობის მიღება. 1764 წ. გაქრისტიანებულთა რიცხვი მარტო მოზდოკში 200-ს აღემატებოდა[80].

მფლობელთა უკმაყოფილების გამო სამშობლოდან გაქცეული ყაბარდოელები მოზდოკში ღებულობდნენ თავშესაფარს და ქრისტიანულ რელიგიას იღებდნენ.

ამ გარემოებამ ყაბარდოს მფლობელთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, მეორე ნაწილი — რუსეთის მომხრე მფლობელები კი, პირიქით — კმაყოფილნი იყვნენ და ზოგი გადასახლდა კიდეც მოზდოკში.

---

[77] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 268.

[78] Кудашев В. Исторические сведения о кабардинском народе..., с. 60—61.

[79] Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. I, Тиф., 1866, с. 82.

[80] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. III, გვ. 106.

სწორედ ამ ნიადაგზე განახლდა 1763 წ. ორ პარტიას შორის დიდი ხნის წინათ წარმოქმნილი უთანხმოება[81].

1764 წ. ორივე პარტიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ: პეტერბურგში დიდი ყაბარდოს მფლობელი კაიტუკო კაისანოვი გაეგზავნათ შემდეგი თხოვნით:

1) რუსეთის მთავრობას დაენგრია ციხე-სიმაგრე მოზდოკი და მოზდოკის ახალშენი გაეუქმებინა;

2) ყაბარდოს მფლობელებსა და აზნაურებს, რომლებიც ქრისტიანობას მიიღებდნენ და დასახლდებოდნენ რუსეთის მხარეზე, უარი ეთქვათ თავიანთ ქონებაზე, რომელსაც ყაბარდოში დატოვებდნენ;

3) რუსეთის მთავრობას ყიზლარში ბაჟი შეემცირებინა სავაჭრო საქონელზე და სხვ.

რუსეთის მთავრობამ ყაბარდოელ ფეოდალთა ამ მოთხოვნას უარით უპასუხა[82].

ყაბარდოელი ფეოდალები უკმაყოფილონი დარჩნენ. მათ უარი განაცხადეს იმ სამი ათასი მანეთის მიღებაზე, რომელიც რუსეთის მთავრობამ გამოუგზავნა საჩუქრად, ვითომცდა დახმარების საზღაურად ჩეჩნების წინააღმდეგ ბრძოლაში 1758 წ[83]. სინამდვილეში ამ „საჩუქარით“ ყაბარდოს მფლობელთა გადმობირებას ფიქრობდნენ.

ყიზლარის კომენდანტს, გენერალ-მაიორ პოტაპოვს საიდუმლოდ ებრძანა მოზდოკის ციხე-სიმაგრის გამაგრება. იქ სპეციალურად მიავლინეს პოდპოლკოვნიკი ჰაკი, რომელსაც ცენტრალური მთავრობისათვის უნდა ეცნობებინა მოზდოკში არსებული მდგომარეობა[84].

ყაბარდოში თანდათან მატულობდა რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილება[85]. ყირიმის ხანი თურქეთის მხარდაჭერით ცდილობდა ყაბადროში შექმნილი ვითარებით ესარგებლა.

1765 წ. ყირიმის ხანმა ყაბარდოს მფლობელი დუდარუკო ბამატოვი შეიპყრო და ბახჩისარაიში გადაიყვანა, სადაც ხსენებული მფლობელის თავის მხარეზე გადაყვანისათვის ხანმა დაპირებებსა და ფულით მოქრთამვას, შემდეგ კი მუქარას მიმართა. დუდარუკო ბამატოვმა ყირიმის ხანის ერთგულებაზე უარი განაცხადა, მაგრამ ყაბარდოელ მფლობელთა მეტი ნაწილი თავიანთი ხელქვეითებით ყირიმის მხარეზე გადაიხარა[86].

---

[81] Акты..., т. I, გვ. 282.

[82] Акты, т. I, с. 282, შეად. Бутков, П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 5,8.

[83] იქვე.

[84] აქტები, ტ. I, გვ. 282; შეად. Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 12.

[85] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 4, 11.

[86] აქტები, ტ. I, გვ. 82.

ყირიმის ხანი და თურქეთი დაინტერესებულნი იყვნენ ყაბარდოელთა გადაბირებით და, რა თქმა უნდა, კმაყოფილებით შეხვდნენ მათ გადაწყვეტილებას.

მოზდოკის სიმაგრის მშენებლობის შესაჩერებლად ყირიმის ხანსა და თურქეთის მთავრობას სპეციალური დიპლომატიური მიმოწერა ჰქონდათ რუსეთის მთავრობასთან[87]. ყირიმ-თურქეთის რუსეთთან მიმოწერის უგულვებელყოფა შეუძლებელი იყო. დროებით შენელებულ იქნა ყიზლარის სიმაგრის მშენებლობის ტემპი, რაც მოწინააღმდეგეებმა რუსეთის სისუსტედ მიიჩნიეს.

ყაბარდოელებმა ყუბანსიქითა თათრებთან შეკრეს კავშირი და საზღვრისპირა სოფლებზე იწყეს თავდასხმები[88].

მოზდოკში აუცილებელი გახდა სამხედრო შენაერთების ვაძლიერება და ერთგული მოსახლეობის ჩამოსახლება.

1764 წ. ივნისში ყიზლარსა და მოზდოკში ჩამოასახლეს ვოლგისა და დონის კაზაკთა 500—500 კომლი, ე. ი. სულ 1000 კომლი[89].

ამავე წლის 23 ივნისს ყიზლარის გარნიზონში გააგზავნეს 2000 კაზაკი[90].

ყაბარდოელთა აჯანყებამ აიძულა რუსეთის წარმომადგენლები ყიზლარის სამხედრო შენაერთებიც გაეძლიერებინათ. ყაბარდოელები მთელი სამი წლის მანძილზე (1764—1766) მოლაპარაკებითა და თხოვნით ცდილობდნენ მოზდოკის სიმაგრის დანგრევას. რუსეთის წარმომადგენლებს კი მოსმენაც არ სურდათ ამ საკითხის შესახებ, ვინაიდან „მოზდოკი მათი განცხადებით ყაბარდოს ტერიტორიაში არ შედიოდა“.

სამი წლის მშვიდობიან თხოვნა-მოლაპარაკებას შედეგი არ მოყვა. 1767 წ. ყაბარდოელმა მფლობელებმა მოზდოკზე თავდასხმა გადაწყვიტეს და მზადებას შეუდგნენ, მაგრამ რუსეთსა და თურქეთს შორის საომარი მოქმედების დაწყების მოახლოებამ მათ ხსენებულ განზრახვაზე ხელი ააღებინა[91].

1768 წ. 25 სექტემბერს თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. თურქეთი მოუმზადებელი იყო ომისათვის, ომი გარეშე სახელმწიფოთა ზემოქმედების შედეგი იყო.

ომის გამოცხადებიდან საომარი მოქმედების დაწყებამდე საკმაო

---

[87] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. III, გვ. 105.

[88] აქტები, ტ. I, გვ. 282; შეად. Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 518.

[89] აქტები, ტ. I, გვ. 282.

[90] იქვე, გვ. 282, შეად. Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 11.

[91] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 13.

დრომ განვლო. სამხედრო ნაწ-ლები 1769 წ. გაზაფხულზე ჩაებნენ ბრძოლაში[92].

თურქეთზე ადრე ყირიმის სახანო ჩაება რუსეთის წინააღმდეგ ომში კრიმ-გირეის ხელმძღვანელობით.

რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულ ძირითად წინააღმდეგობებს ყაბარდოს საკითხიც ერთვოდა.

ყირიმის ხანმა დიდი ხნით ადრე დაიწყო ცდა თავისი სამფლობელოს გაფართოებისა ჩრდილო კავკასიის მიმართულებით. ამ მხრივ ზოგიერთ წარმატებასაც მიაღწია; დაიმორჩილა აზოვის ზღვასა და ყუბანს შორის მომთაბარე ნოღაელები. თურქები და თათრები ერთობლივ თავდასხმებს აწყობდნენ საზღვრისპირა სოფლებზე და სულ უფრო და უფრო აფართოებდნენ იერიშებს ყაბარდოზე.

თურქეთის ბიერ გამოცხადებული ომით უნდა ესარგებლა რუსეთს და თავის სასარგებლოდ გადაეჭრა სხვა საკითხებთან ერთად ყაბარდოს საკითხიც.

1768 წ. დაწყებულ ომს დიდი როლი უნდა ეთამაშა ყაბარდოს საბოლოო ბედის გადაწყვეტაში. ამიტომ საჭიროა მოკლედ შევეხოთ ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებას ამ ომისადმი.

საფრანგეთი უნდობლად უყურებდა რუსეთის პოლიტიკას თურქეთის მიმართ. იგი შეშფოთებული იყო რუსეთის გაძლიერებით და თუ მაინც რუსეთთან კავშირს ესწრაფვოდა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ შეესუსტებინა თავისი მოწინააღმდეგე ინგლისის პოლიტიკური და კომერციული ზეგავლენა რუსეთზე. საფრანგეთის მთავრობა ვერ ხედავდა საერთო ინტერესს რუსეთის იმპერიასთან. რუსეთთან ის ფორმალური დაახლოებაც არ მოხდებოდა, რომ საფრანგეთს ზურგი არ შეექცია თურქეთისათვის, რისი წინააღმდეგნიც იყვნენ საფრანგეთში[93]. რუსეთის დაახლოებამ ისეთ სახელმწიფოებთან, როგორიც იყო პრუსია და ინგლისი, საბოლოოდ დაარწმუნა საფრანგეთი, რომ დიდი ხნის მანძილზე არავითარი საერთო აღარ უნდა ჰქონოდა რუსეთთან.

საფრანგეთი წინააღმდეგი იყო რუსეთის დაახლოებისა ავსტრიასთან და ამ უკანასკნელს ინგლისთან კავშირის უარყოფასაც ურჩევდა. საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა რუსეთი ჩამოეცილებინა პოლონეთის საქმეებში ჩარევისაგან.

უშედეგოდ შეწყდა რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკება სავაჭრო

---

[92] Дружинина Е. И. Кючук-Кайнарджийский мир, М., 1955, с. 104.

[93] Уляницкий В. А. Дарданель, Босфор и черное море в XVIII веке. М., 1883, с. 107, 168.

ურთიერთობის შესახებ, რის შედეგადაც რუსეთმა პრუსიასა და ინგლისთან დაიწყო მოლაპარაკება[94].

საფრანგეთ-თურქეთს სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ. თურქეთთან საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობამ XVIII ს. შუა ხანებში უმაღლეს წერტილს მიაღწია.

საფრანგეთის 10 სავაჭრო გემზე ინგლისის მხოლოდ 1 გემი მოდიოდა. საფრანგეთს თურქეთთან პოლიტიკური ამბებიც აკავშირებდა, რაც საბოლოო ჯამში რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. საფრანგეთს ინგლისთან ომისა ეშინოდა და ყოველმხრივ ცდილობდა პრუსიისა და რუსეთის ნეიტრალურ მდგომარეობაში ყოფნას.

ინგლისი რუსეთთან კარგი ურთიერთობით იყო დაინტერესებული იმიტომ, რომ უნდოდა უკვე ვადაგასული, 1742 წ. დადებული სამოკავშირეო ტრაქტატი განეახლებინა და აღედგინა აგრეთვე ვადაგასული სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც 1734 წ. იყო დადებული. ყოველივე ამის გამო ინგლისის მთავრობა პეტერბურგში თავის წარმომადგენელს — ბუკინჰემს სამოკავშირეო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ აღდგენას ავალებდა[95]. ინგლისი ფარულად თურქეთსაც თანაუგრძნობდა, რაც რუსეთის კავკასიისაკენ გამიზნული გეგმების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

ავსტრია და პრუსიაც მეგობრულ კავშირს ეძებდნენ რუსეთთან მას შემდეგ, რაც ეკატერინე II-მ შეარიგა ისინი[96]. რუსეთი მიესალმებოდა პრუსიასა და ავსტრიასთან მეგობრობას. მას აქტიური მოკავშირეები ესაჭიროებოდა შვეციისა და, რაც მთავარია, თურქეთის წინააღმდეგ საჭირო შემთხვევაში დახმარებისათვის. ასეთ მოკავშირეებად რუსეთის მთავრობას ინგლისი, ნაწილობრივ დანია და, ბოლოს, პრუსია და ავსტრია მიაჩნდა[97].

ასეთი იყო საერთაშორისო ვითარება, მოწინავე სახელმწიფოთა მიზნები და ურთიერთობანი 1768 წ. წინ.

ასეთ რთულ საერთაშორისო ვითარებაში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყაბარდოელთა პოზიციას ხსენებულ ომში. ომის გამოცხადებისთანავე, ყაბარდოელ მფლობელთა მეტმა ნაწილმა რუსეთის ერთგულება მიიღო, მფარველობა ითხოვა და განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებდა თურქეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში.

---

[94] Улянницкий В. А. დასახ. ნაშრ., გვ. 269.
[95] იქვე. გვ. 208.
[96] იქვე. გვ. 307.
[97] იქვე. გვ. 308.

ყაბარდოელთა ნაწილმა ყირიმის ხანის ერთგულება ირჩია[99], მოსახლეობის მეტი ნაწილი კი დამოუკიდებლობის მომხრე იყო.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მიმართულებით ყუბანიდან მტრის შემომტევი ძალების საწინააღმდეგო სამხედრო ნაწილების საერთო ხელმძღვანელად გენერალ-მაიორი დე-მედემი იყო დანიშნული. მასვე დავალებული ჰქონდა ყაბარდოელებზე თვალყურის დევნება, საჭირო შემთხვევაში ყოველგვარი ზომების მიღება, ძალის გამოყენებაც იმისათვის, რომ, თურქეთის გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ყაბარდოელებს რუსეთის ერთგულებისათვის არ ეღალატათ და ქვეშევრდომად თუ არა, რუსეთის მომხრეებად მაინც დარჩენილიყვნენ. გენერალ-მაიორ დე-მედემის ჯარებმა 1769 წ., ნოღაელთა მხარდაჭერით, გაათავისუფლეს სიმაგრე კოპილი და უშუალოდ ყაბარდოს საზღვრებს მიუახლოვდნენ[100]. ყირიმის ხანმა ვერ მიაღწია Გიზანს — ჩაება ყაბარდოელები რუსეთის წინააღმდეგ ომში ყუბანის სერასკირის ხელმძღვანელობით[101]. ყაბარდოს ჩაგრული ხალხი რუსეთის მხარეზე იყო და უნდოდათ კვლავ ერთგულება ეღიარებინათ.

„მონებს გადაწყვეტილი აქვთ, რუსეთის ჯარის მოსვლისთანავე, მათ მხარეზე გადავიდნენ, რის შედეგადაც მათი მფლობელები და აზნაურებიც დასუსტდებიან და წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ შეძლებენ“[102], იტყობინებოდა ყაბარდოში ნამყოფი რუსი აგენტი ე. ჩორინი.

„მდაბიო ხალხს ყირიმის ხანის ქვეშევრდომობის გაგონებაც კი არ სურთ“, წერდა ასტრახანის გუბერნატორი ბეკეტოვი[103].

1769 წ. მაისში გენერალ-მაიორმა დე-მედემმა ჯარებით ყაბარდო დაიკავა[104].

რუსეთის სამხედრო კორპუსს ყაბარდოში თან ახლდნენ და მხარს უჭერდნენ ყალმუხები, რომლებიც ყუბანზე მოქმედებისათვის იყვნენ გამიზნულნი.

ყაბარდოს მფლობელები, რომლებიც ომამდე და ომის დაწყების შემდეგაც რუსეთის მხარეზე იყვნენ თავიანთი მოსახლეობით, სიხარულით შეხვდნენ სამხედრო ნაწილების შესვლას ყაბარდოში. მათ რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარეს და ერთგულების ფიციც მიიღეს. ამჯერად, ეკატერინე II-სადმი მიღებული ერთგულების ფიცის დასადას-

---

[99] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 294.

[100] Дружинина Е. И. დასახ. ნაშრ., გვ. 108.

[101] Скитский Б. В. Холэпий вопрос и антирусское движение кабардинских князей..., Владикавказ, 1930, Приложение, с. 32—33.

[102] აქტები, ტ. I, გვ. 82.

[103] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 294.

[104] იქვე.

ტურებლად და განსამტკიცებლად ყაბარდოს მფლობელები იძულებული გახდნენ გავლენიან პირთა შვილები მძევლებად წარედგინათ.

მფლობელთა მეორე ნაწილი, რომლებიც რუსეთთან კავშირის წინააღმდეგნი იყვნენ, აღშფოთებით შეხვდა ყაბარდოში სამხედრო ნაწილების შესვლას.

თავიანთი უკმაყოფილების ნიშნად მათ დატოვეს საცხოვრებელი ადგილები, მთებში გაიხიზნენ და განაცხადეს, რომ „იქ დარჩებიან ყაბარდოდან სამხედრო ნაწილების გასვლამდე"[105].

ამ მოვლენას დიდი ზიანის მიყენება შეეძლო რუსეთის მიზნებისათვის კავკასიაში. ჯერ ერთი, შესაძლებელი იყო მათი მაგალითისათვის მიებაძათ ერთგულების ფიცმიღებულ ყაბარდოელებსაც და, მეორეც, ყაბარდოელებს, როგორც კავკასიის მთიელი მოსახლეობის მაორგანიზებელ ძალას, გარშემო შემოეკრიბათ რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილო მეზობელ ტომთა მოსახლეობა და თურქეთის მხარეზე დაეწყოთ საომარი მოქმედება.

გენერალ-მაიორმა დე-მედემმა არაერთხელ მიმართა მთებში გახიზნულ ყაბარდოელებს თხოვნით, რუსეთის მომხრე თანამემამულეებისათვის მიებაძათ, თავიანთ ადგილებს დაბრუნებოდნენ და ერთგულების ფიცი მიეღოთ.

ამგვარ თხოვნას შედეგი არ მოყოლია: ყაბარდოელი მფლობელები რუსეთის სამხედრო ძალებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად მთის გაუვალ ადგილებსა და ხევებში ჩასაფრდნენ.

1769 წ. 29 მაისს მათ წინააღმდეგ ყუბანის სათავისაკენ გაიგზავნა 700 კაზაკი და 2000 შეიარაღებული ყალმუხი[106].

ყაბარდოელთა წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი და ერთსულოვანი იყო, რომ მათ წინააღმდეგ გაგზავნილმა 2700 კაცისაგან შემდგარმა რაზმმა მიზანს ვერ მიაღწია.

საჭირო შეიქნა დამატებითი ძალების გაგზავნა. ერთი კვირის შემდეგ, 6 ივნისს, აჯანყებულთა წინააღმდეგ გაიგზავნა ჰუსართა 1 ესკადრონი ორი ზარბაზნით, 800 კაზაკი და 3000 ყალმუხი ქართველი მაიორის რატიევის ხელმძღვანელობით[107].

პირველი დიდი შებრძოლება მდინარე ეშკაკონთან მოხდა.

ყაბარდოელებმა ვერ გაუძლეს შეტევას. ამ ბრძოლებში ყაბარდოელთა წინააღმდეგ 6500 კაზაკი და ყალმუხი იბრძოდა, ჰუსართა 1 ეს-

---

[105] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 294.
[106] იქვე, გვ. 294.
[107] იქვე.

კადრონისა და ორი ზარბაზნის დახმარებით. ღამის სიბნელემ იხსნა ყაბარდოელები სრული განადგურებისაგან[108].

აჯანყებულმა ყაბარდოელებმა კვლავ ერთგულება აღიარეს. გახიზნულთა მეტი ნაწილი ძველ საცხოვრებლებს დაუბრუნდა[109]. 1769 წ. ივნისის აჯანყებაში, მფლობელთა გარდა, მოსახლეობის ნაწილი იღებდა მონაწილეობას. ბრძოლის დროს დაიღუპა 50 ყაბარდოელი, 300 კი ტყვედ იქნა წამოყვანილი[110]. დამსჯელი ექსპედიციის მოქმედებამ სასურველი შედეგი გამოიღო. აჯანყებულ ყაბარდოელთა დამარცხებისთანავე დიდი ყაბარდოდან მდინარე კუმას სათავეებთან გადასახლებული მოსახლეობა მდ. ბაქსანთან თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდა[111].

მალე მცირე ყაბარდოს უკმაყოფილო მოსახლეობამ მიიღო რუსეთისადმი ერთგულების ფიცი, ქვეშევრდომობა აღიარა და მძევლების გაგზავნა გადაწყვიტა.

ყაბარდოში სიმშვიდე ჩამოვარდა. გენერალ-მაიორ დე-მედემს მიმართეს თხოვნით, რათა ყაბარდოში რუსი ოფიცერი დაენიშნათ მმართველად[112]. ყაბარდოელთა თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, იქ მმართველად რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის სეკუნდ-მაიორი დიმიტრი ტაგანოვი დანიშნეს[113].

მაიორი ტაგანოვი აულის სულთან მუსა-მურზას შვილი იყო და, ამიტომ ყაბარდოელთა შორის დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. გენერალ-მაიორ დე-მედემის აზრით, მაიორ ტაგანოვის ყაბარდოში სამსახურს დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. იგი ყაბარდოელებს დააჯერებდა, რომ აუცილებელი იყო სამუდამოდ შეეჭციათ ზურგი თურქეთისა და ყირიმის ხანისათვის, რომ მათთვის ყველაზე სასარგებლო რუსეთის ქვეშევრდომობა ან მფარველობა იყო.

ყაბარდოს მმართველს დავალებული ჰქონდა მოსახლეობისადმი ლმობიერი მოპყრობა, ზოგჯერ ფულადი დახმარების გაწევაც მათთვის, რისთვისაც მას დიდი ჯამაგირი — წელიწადში 1570 მანეთი და 11 1/2 კაპიკი დაუნიშნეს[114].

იმავე 1769 წ. ბაქსანელთა და კაშკატაუელთა პარტიებიდან პეტერბურგში ორი კაცი გაიგზავნა — ჯანხოტ სიდაკოვი ბაქსანელებისაგან

---

108 Дружинина Е. И. დასახ. ნაშრ., გვ. 108.
109 Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 295.
110 Прибавление к С.-Петербургским ведомостям, № 64, 11 авг. 1868 г.
111 Дружинина Е. И. დასახ. ნაშრ., გვ. 108.
112 Грабовский Н. Ф. დასახ. ნაშრ., გვ. 133.
113 Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 296, ნაწ. II, გვ. 108.
114 Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I. გვ. 296.

და კურგოკო ტატარხანოვი კაშკატაუელებისაგან. მათ ეკატერინე II-სათვის უნდა დაემოწმებინათ ყაბარდოელთა ერთგულება და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა[115]. სინამდვილეში დეპუტატების გაგზავნის მთავარი მიზანი იყო თხოვნა მოზდოკის ციხე-სიმაგრის დანგრევისა და ყაბარდოდან მოზდოკში თავშეფარებულ ყმათა დაბრუნების შესახებ[116].

ეს თხოვნა 1770 წ. გადაეცა რუსეთის მთავრობას. ყაბარდოელთა დეპუტატები ჯერ ისევ პეტერბურგში იყვნენ, როცა 1771 წ. ბაქსანელთა პარტიამ უკმაყოფილება გამოამჟღავნა როგორც რუსეთისადმი, ისე მათი მომხრე კაშკატაუელთა მიმართ. რუსეთის მოწინააღმდეგე ბაქსანელთა გამოსვლებმა სერიოზული ხასიათი მიიღო. აუცილებელი გახდა ყაბარდოში დაბანაკებული გარნიზონის გაძლიერება.

1771 წ. ივნისში ბაქსანელთა თაოსნობით რუსეთის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა გაიზარდა. აჯანყება ახლოვდებოდა. საფრთხეში ჩავარდა მაიორი ტაგანოვიც. რომელსაც სიკვდილით ემუქრებოდნენ.

ხელმძღვანელობის ნებართვით ტაგანოვი მოზდოკში გადავიდა. პეტერბურგში მყოფმა კაშკატაუელთა დეპუტატმა კურგოკო ტატარხანოვმა საიდუმლოდ აცნობა რუსეთის მთავრობას, რომ ყველა თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი ყაბარდოელები რუსეთის იმპერიის ნამდვილი ერთგულები არ იქნებოდნენ და რომ მათ მისოსტ ბამატოვის ძმა — თემრიუკი გამოგზავნეს თურქეთის სულთანთან კავშირის დასამყარებლად და ყაბარდოელთა ერთგულების დასამტკიცებლად[117].

ტატარხანოვმა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალიც უჩვენა რუსეთის მთავრობას: „მანამ მფლობელები არ იქნებიან გაძევებულნი ყაბარდოდან, მოსახლეობა ყოველთვის უკმაყოფილო იქნება მათი ზეგავლენით“[118]. ტატარხანოვი ურჩევდა მათ მძევლად აეყვანათ აჯანყებულთა ხელმძღვანელის — მისოსტ ბამატოვის შვილი ან ასტრახანში დაეკავებინათ ბაქსანელთა დეპუტატი — ჯანხოტ სიდაკოვი[119].

მეფის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ტატარხანოვის განცხადება ყურად არ იღო და არც მის მიერ შეთავაზებული ზომები გამოუყენებია. 1771 წ. დეპუტატებს გადაეცათ ყაბარდოელი ხალხის

---

[115] იქვე, გვ. 297.
[116] Кабардино-русские отношения..., т. I, с. 319.
[117] Сборник свед. о кавказских горцах, вып. IX, Тиф., 1876, с. 135.
[118] იქვე.
[119] იქვე.

სახელზე დაწერილი, უმაღლესად ბოძებული სიგელი[120] და მშვიდობით გამოისტუმრეს სამშობლოში.

სიგელში ჩამოთვლილი იყო ყაბარდოელთა მიერ მეფის რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებები და აფრთხილებდნენ ყაბარდოელებს: ხელი აეღოთ რუსეთისადმი ზიანის მიმყენებელ მოქმედებაზე და საბოლოოდ ეღიარებინათ ერთგულება[121].

ყაბარდოელთა თხოვნაზე იმპერატორი წერდა: „მოზდოკის მიჯნასთან არსებული დასახლების გაუქმებას (დანგრევას) არასოდეს არ დავეთანხმებით... მოზდოკი არასოდეს არ ყოფილა ყაბარდოელთა მფლობელობაშიო“[122]. ეხება რა მოზდოკის ახალშენში დასახლებულ ყაბარდოელებს, სიგელში აღნიშნულია: „ ამიერიდან გაქცეული ყაბარდოელი ყმები დაბრუნებულნი იქნებიან უკან“[123].

სიგელთან ერთად 1771 წ. 17 აგვისტოს გენერალ-მაიორმა დე-მედემმა მთავრობისაგან შემდეგი განკარგულება მიიღო:

1. სასწრაფოდ აეყვანათ მძევლად მისოსტ ბამატოვის შვილი. თუ უკანასკნელი წინააღმდეგობას გაუწევდა, აეძულებინათ იგი, რათა ერთგულების დასამტკიცებლად მხოლოდ და მხოლოდ შვილი გაეგზავნა მძევლად.

პარალელურად აჯანყებულთა მიმართ ისეთი ზომები მიეღოთ, რომ მომავალში აღარ გაებედათ რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობა.

2. იმპერატორი ურჩევდა დე-მედემს, რომ ყაბარდოში ყოველთვის ორი ერთნაირი ძალისა და შესაძლებლობის პარტია ყოფილიყო. ყაბარდოელები უნდა შეჩვეოდნენ იქ რუსეთის ბოქაულის ყოფნას, რისთვისაც, ხელმწიფის რჩევით, მას ფულიც კი უნდა გამოეყენებინა.

ეს დავალება დროებით მაინც უნდა შესრულებულიყო, მანამ თურქეთთან ომი დამთავრდებოდა, რათა ყაბარდოელთა წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყენება არ გამხდარიყო საჭირო.

3. იმპერატორი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ 1764 წ. ყაბარდოელმა მფლობელებმა მათთვის გაგზავნილ 3000 მან. მიღებაზე უარი განაცხადეს, და მოითხოვა ის თანხა ხელმეორედ გადაეცათ მათთვის. ფულის მიმღებთ მადლობა უნდა გადაეხადათ იმპერატორისათვის[124].

სიგელმა თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა, ყაბარდოელების

---

[120] Кабардино-русские отношения в XVI—XVIII вв., т. II, с. 299—309. док. № 213.

[121] იქვე.

[122] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 321.

[123] იქვე, გვ. 321.

[124] იქვე, გვ. 323—324.

უკმაყოფილება ვერ შეანელა. გენერალ-მაიორმა დე-მედემმა ვერ შეძლო მათი დამშვიდება. მისოსტ ბამატოვი რუსეთის ერთგულებას გაურბოდა. შეუძლებელი აღმოჩნდა ყაბარდოში ორი ერთნაირი გავლენისა და შესაძლებლობის პარტიის შექმნაც.

ყაბარდოელები თურქეთთან კავშირის დამყარების გზებს ეძებდნენ. „ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაარწმუნა ყაბარდოელები რუსეთის წინააღმდეგ აშკარა აჯანყების სრულ უშედეგობაში, მაგრამ ჩვენთან დაახლოებისაგან მაინც შორს არიან“ — წერდა კრივენკო[125].

სიგელის მიღებით გამოწვეული უკმაყოფილების შესახებ ყაბარდოს მფლობელმა კურგოკო ტატარხანოვმა 1772 წ. მარტში გენერალ-მაიორ დე-მედემს მოახსენა: „... სიგელის წაკითხვას მოსახლეობის ნაწილი კარგად შეხვდა. წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ კასაი ატაჟუკინი და მისოსტ ბამატოვი თავიანთ მომხრეებთან ერთად“[126].

მოხსენებიდან ჩანს, ყაბარდოში დიდი არეულობა მოხდა. განახლდა შუღლი რუსეთის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

რუსეთის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა და ძალები მეტი აღმოჩნდა მომხრეებთან შედარებით, რის გამოც რუსეთის ერთგული კურგოკო ტატარხანოვი თხოვდა დე-მედემს: „... ჩვენს (რუსეთის მომხრეების, მ. გ.) გასამაგრებლად საჭიროა გამოგზავნოთ სამხედრო ნაწილი კარგი წინამძღოლით, რომლის დანახვითაც ისინი თავიანთი სიმხდალის გამო დამშვიდდებიან და ქვეშევრდომობაში შესვლის აუცილებლობას შეიგრძნობენ“[127]. ასეთ ვითარებაში, 1772 წ. 7 ნოემბერს, ქ. კარასში რუსეთსა და ყირიმის სახანოს შორის ტრაქტატი დაიდო[128]. ტრაქტატის თანახმად ორთავე — დიდი და მცირე ყაბარდო რუსეთის ქვეშევრდომებად იქნა აღიარებული[129]. კარასის ტრაქტატის შემდეგაც ყაბარდოში არ შეწყვეტილა რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლები.

1772—1773 წწ. განსაკუთრებით მცირე ყაბარდოს წარმომადგენლები ეწეოდნენ რუსეთისადმი მტრულ საქმიანობას. ისინი თითქმის ყოველთვის იმპერიის ერთგულებას აცხადებდნენ, ახლა კი მეზობელ ხალხსაც (ოსებს) რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობისაკენ უბიძგებდნენ. ოსებს აგიტაციას უწევდნენ არ მიეღოთ ქრისტიანობა და უბიძგებდნენ რუსეთისაგან განდგომისაკენ. რუსეთის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ გადამწყვეტი ზომების მიღება ყაბარდოში[130]. მთელი ძალე-

---

[125] Крывенко В. С. Очерки Кавказа, I, Спб., 1893, с. 151.

[126] Кабардино-русские отношения, т. II, с. 304, док. № 214.

[127] იქვე.

[128] Полное собрание законов Российской империи — აქ 1773 წ. 21 იანვრითაა დათარიღებული ე. ი. რატიფიკაციაზე ეკატერინე II მიერ ხელის მოწერის დღე.

[129] Бутков П. Г. დასახ. ნაშრომი, ნაწ. III, გვ. 127.

[130] ССКГ, вып. IX, с. 144.

ბი თურქეთის ფრონტზე იყო დაბანდებული, და თანაც ერიდებოდნენ ამ ხალხის საბოლოოდ განდგომას, რაც მხოლოდ დიდი სისხლისღვრით შეიძლებოდა გამოსწორებულიყო.

1773 წ. ყაბარდოელებმა ინგუშების შევიწროება იწყეს. მათ გენერალ-მაიორ დე-მედემს ყაბარდოელებისაგან დაცვა და რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა სთხოვეს[131]. გენერალ დე-მედემს მთავრობისაგან მითითება მოუვიდა: „არ ჩამოეშორებინა ინგუშები ყაბარდოელებისაგან, რომ ეს უკანასკნელნი უფრო მეტად არ გაეღიზიანებინათ"[132]. მიუხედავად ასეთი დათმობებისა, ყაბარდოში დღითი დღე მატულობდა უკმაყოფილება. ამჯერად, ყაბარდოელებმა თავიანთი უკმაყოფილება კვლავ მოზდოკის სიმაგრეს დაუკავშირეს.

1774 წ. რუსეთის მოწინააღმდეგე მფლობელებმა — მისოსტ ბამატოვმა და ხამურზა არსლანბეკოვმა ყირიმის ხანთან დევლეთ-გირეისთან, ყუბანსიქითა თათრებთან და თურქებთან კავშირი დაამყარეს რუსების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის[133]. ყაბარდოელთა მხარეზე გადავიდნენ ჩეჩნები და კუმიკები. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ყიზლარისა და მოზდოკის მოსახლეობას აეკრძალა თერგსიქითელ მთიელებთან ურთიერთობა.

ადრე გამოგზავნილი 3000 მანეთის გადაცემას ყაბარდოს გავლენიან პირებზე არავითარი შედეგი არ მოყოლია[134]. მისოსტ ბამატოვი და ხამურზა არსლანბეკოვი მოზდოკზე თავდასხმას აპირებდნენ, მაგრამ მოზდოკის გარნიზონის გაძლიერებამ მათ ხელი ააღებინა განზრახვაზე[135].

1774 წ. ყაბარდოში თურქეთის აგენტები შემოაგზავნეს, რომელთა შესაპყრობად 100 კაზაკი და 24 დრაგუნი იქნა გაგზავნილი. მალე ოთხი ყირიმელი ჯაშუში შეიპყრეს ატაჟუკო ხამურზინის აულებში. ისინი მოზდოკში მიიყვანეს ხამურზინთან ერთად. ცხადი იყო, რომ მათ აჯანყების თავკაცებთან ჰქონდათ კავშირი. ყაბარდოში მღელვარება დაიწყო. გავრცელდა ხმები, რომ ყირიმის ხანი ყაბარდოელებისათვის დახმარების აღმოჩენას აპირებდა.

რუსეთის მომხრეებმა — ჯანხოტ ტატარხანოვმა და სხვებმა, გენერალ დე-მედემს მიმართეს თხოვნით, რათა ყირიმის სახანოდან მოსალოდნელი შემოსევისა და დარბევისაგან რუსეთის ერთგულ ყაბარდოელთა დაასცავად ყაბარდოში სამხედრო შენაერთი შეეყვანათ. ამ თხოვ-

---

131 Бутков П. Г. დასახ. ნაშრომი, ნაწ. III, გვ. 133.
132 ССКГ, Вып. IX, С. 145.
133 იქვე.
134 იქვე, გვ. 145.
135 Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 332.

ნის თანახმად ყაბარდოში მაიორ კრიდნერის მეთაურობით 1356 მებრძოლი იქნა გაგზავნილი.

გზაში, რედუტ-ბეშტაბასთან მაიორი კრიდნერი შეხვდა დავლეთ-გირეი კასაევს, რომელმაც აცნობა დიდი და მცირე ყაბარდოს ყველა მფლობელისა და მთელი მოსახლეობის თურქეთის მხარეზე გადასვლა და უკანასკნელისადმი ერთგულების ფიცის მიღება. ასეთ ვითარებაში ყაბარდოში მიმავალი მაიორი კრიდნერი 1356 მებრძოლით ვერას გახდებოდა, იგი უკან დაბრუნდა მოზდოკში.

ყაბარდოელებმა ყირიმის ხანი დევლეთ-გირეი მიიწვიეს ჯარით. თურქეთის, ყირიმისა და ყუბანსიქითა თათრებისაგან შემდგარი ჯარით დევლეთ-გირეი მოზდოკისაკენ გაემართა[136].

1774 წ. 3 ივნისს გენერალმა დე-მედემმა მოზდოკიდან 35 ვერსის მოშორებით ბეშტაბას ხეობასთან დაამარცხა დევლეთ-გირეის ჯარი[137]. დამარცხებულთა ნაწილი მოზდოკის კაზაკთა პოლკისათვის ახლად მოწყობილ სტანიცას—ნაურს დაეხსნა, გაანადგურა სურსათის მარაგი და მოსახლეობა ამოწყვიტა. გენერალი დე-მედემი მტერს დაედევნა და ყაბარდოში შეავიდა. რუსეთის სამხედრო ძალების გამარჯვებას ხელი შეუწყო მაშველი ძალების მოსვლამ, რაც შესაძლებელი გახდა თურქეთთან ომის დამთავრებით.

თურქეთთან საზავო ხელშეკრულების დადებისას, 1774 წ. 10 ივლისს განსაზღვრული იქნა, რომ ყაბარდოს შეერთება რუსეთთან უნდა მომხდარიყო ყირიმის ხანის თანხმობით.

კუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულების 21-ე არტიკულში აღნიშნულია: „ორთავე ყაბარდო, ე. ი. დიდი და მცირე, თათართა მეზობელია და დიდი კავშირი აქვთ ყირიმის ხანებთან, რის გამოც მათი რუსეთის საიმპერატორო კარისათვის მიკუთვნება ყირიმის ხანის, მისი მრჩევლებისა და თათართა მამასახლისების ნებასურვილით უნდა მოხდეს“[138].

ვინაიდან ყაბარდოს რუსეთთან შეერთება ყირიმის ხანმა რუსეთთან 1772 წ. დადებულ ხელშეკრულებაში უკვე აღიარა[139], კუჩუკ-კაინარჯის ზემოხსენებულ 21-ე არტიკულში მოცემული „ყირიმის ხანის თანხმობა“ უკვე ადრე იყო მიღებული.

1774 წ. 5 სექტემბერს რუსეთის მთავრობამ გენერალ დე-მედემს დაავალა ყაბარდოელებისათვის გადაეცა რუსულ და თურქულ ენებზე

---

[136] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. III, გვ 133, ნაწ. I, გვ. 332—496.

[137] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 332, 495, ნაწ. III, გვ. 133.

[138] ЦГВИА, Ф. ВУА, д. 133, л. 25.

[139] Дружинина Е. И. Кючук-Кайнарджийский мир, М. 1955, с. 232; შეად. ССКГ, Вып. IX, с. 147.

შედგენილი კუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების ის მუხლი, რომლითაც ყაბარდო რუსეთის იმპერიის საზღვრებში ექცეოდა.

ეს მუხლი ყაბარდოს მფლობელთა კრებაზე იქნა წაკითხული. მცირე ყაბარდოს მფლობელებმა ცნეს რუსეთთან შეერთება. დიდი ყაბარდოს მფლობელთაგან მხოლოდ ერთმა — ხამურზა არსლანბეკოვმა განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებს რუსეთის ქვეშევრდომობას ყირიმ ხანისაგან ნებართვის მიღებამდე[140]. ყაბარდოსთან ხანგრძლივი ურთიერთობით რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ თავისუფლების მიცემით უფრო შეიძლებოდა ყაბარდოელთა გულის მოგება. აქედან გამომდინარე, მთავრობამ ყაბარდოელებს გამოუცხადა: მიუხედავად საერთაშორისო ტრაქტატით მათი რუსეთთან შეერთებისა, ისინი დარჩებოდნენ ისეთივე მდგომარეობაში, როგორც შეერთებამდე ჰქონდათ[141]. რჩებოდათ აგრეთვე ძველ ადათ-ჩვეულებებზე დამყარებული, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მმართველობა.

გენერალ დე-მედემს დაევალა ყოველმხრივი მზრუნველობა გამოეჩინა ყაბარდოელებისადმი, არ მიემართა სასჯელისათვის. მაგრამ მას არც იარაღის გამოყენება ეკრძალებოდა. საიდუმლო მომართვაში აღნიშნული იყო: თვალყური ედევნებინა მოსახლეობისათვის და განსაკუთრებით მფლობელებისათვის, არ დაეშვა არეულობა საზღვრისპირა სოფლებში, რომ მზად ჰყოლოდა შეიარაღებული სამხედრო შენაერთი ახლადშეერთებულ ყაბარდოელთა სრულ მორჩილებაში ყოფნისათვის.

1774 წ. 10 ივნისს კუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულებით ყაბარდოს რუსეთთან შეერთება საბოლოოდ გადაწყდა იურიდიულად.

რუსეთის გავლენა საგრძნობლად გაიზარდა კავკასიაში. ყაბარდოელ მფლობელებთან დაკავშირებულმა ბალყარელმა და ოსმა ხალხმაც დააჩქარეს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა. ბალყარეთისა და ოსეთის სამფლობელოები რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. რუსეთს გზა გაეხსნა დიდი კავკასიის გადასასვლელით საქართველოსაკენ, დაუახლოვდა ყუბანისიქითელ ადიღელეებსაც[142].

რუსეთის ცარიზმს ამიერიდან შეეძლო წინაკავკასიის ველებზე შიდაგუბერნიებიდან ხალხი ჩამოესახლებინა, რაც საბოლოოდ ნიშნავდა საიმედო დასაყრდენის შექმნას კავკასიის ამ რაიონში. თურქეთი და ყირიმის სახანო ვერ შეურიგდნენ ყაბარდოს რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევას და ცდილობდნენ დაკარგული გავლენის დაბრუნებას.

---

[140] Сборник сведении о кавказских горцах, вып. IX, с. 148.

[141] Бутков П. Г. დასახ. ნაშრომი, გვ. 495.

[142] История Кабардино-Балкарской АССР, с древнейших времен до наших дней, а двух томах, т. I, М., 1967, с. 171.

1776 წ. სექტემბერში ყირიმის ხანმა დევლეთ-გირეიმ გენერალ დე-მედემთან კაცი გამოგზავნა განცხადებით, რომ ყაბარდო თურქეთთან უკანასკნელი შეთანხმებით ყირიმს ეკუთვნოდა, რის გამოც თხოულობდა ყაბარდოელთა მძევლების განთავისუფლებას.

მალე პეტერბურგიდან უმაღლესად ხელმოწერილი ახსნა-განმარტება მოვიდა, სადაც ყირიმის ხანის განცხადების სრული უსაფუძვლობა იყო მოცემული: ყაბარდოელები ძველთაგანვე და განსაკუთრებით ივანე ვასილის ძის მეფობის დროიდან, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, აღიარებდნენ რუსეთის ქვეშევრდომობას, რომ ძველთაგანვე მიღებულია ყაბარდოელთა მძევლების ყოლა რუსეთში. მიუხედავად იმისა, რომ ბელგრადის 1739 წ. ტრაქტატით რუსეთის მთავრობამ აღიარა ყაბარდოელი ხალხის დამოუკიდებულება, მაინც დაიტოვა ძველად მოპოვებული უფლება — ჰყოლოდათ ყაბარდოელთა მძევლები რუსეთში.

განმარტებაში აღნიშნული იყო ისიც, რომ ბელგრადის 1739 წ. ტრაქტატი გაუქმდა 1774 წ. კუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით, რის საფუძველზეც ყაბარდო კვლავ რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა, რაც უფრო ადრე ყირიმხანმაც აღიარა 1772 წ. ხელშეკრულებით. ამრიგად, 1774 წ. კუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულებით ყაბარდო არამცთუ რუსეთის ხელდებულად იქნა ცნობილი, არამედ თვით ყაბარდოელებმა მიიღეს იმპერიისადმი ქვეშევრდომობის ფიცი.

იურიდიულად, რუსეთის იმპერიამ სამუდამოდ გაიმაგრა თავისი პოზიცია ჩრდილოეთ კავკასიაში და, კერძოდ, ყაბარდოში.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ყაბარდოელები მაინც არ ერიდებოდნენ რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას. მათი ზეგავლენით მთელი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხები ჩაებნენ იმპერიის საწინააღმდეგო მოქმედებაში.

აუცილებელი გახდა იმპერიის სამფლობელოებსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მტრულად განწყობილ მოსახლეობას შორის კვლავ აშენებულიყო სიმაგრეები და გადმოეყვანათ რუსი მოსახლეობა. 1777—1782 წწ. გაიყვანეს მოზდოკ-აზოვის ახალი ხაზი. რომელიც იწყებოდა მდ. მალკასა და თერგის შესართავთან და მთავრდებოდა აზოვთან. ამ ათეული სიმაგრეებისაგან შემდგარი ხაზის, მათ შორის გეორგიევსკისა და სტავროპოლის, დასასახლებლად გადმოიყვანეს ვოლგასა და მდ. ხოფრზე მცხოვრები კაზაკები. სიმაგრეებთან გაჩნდა კაზაკთა სტანიცები, ჩამოყალიბდა ვოლგისა და ხოფრელ აქ დასახლებულ კაზაკთა პოლკები[143]. სიმაგრეების მშენებლობა არც მომდევნო წლებში შე-

[143] Эсадзе С. Покорение западного Кавказа и окончание кавказской войны, «Исторический очерк Кавказско-Горской войны в Закубанском крае», Тифлис, 1914, с. 2.

წყვეტილა. ციხე-სიმაგრეთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა, რაც ყაბარდოელთა აღშფოთებას იწვევდა. 1787—1791 წწ., რუსეთ-თურქეთის ომის დროს ყაბარდოელები რუსეთის საწინააღმდეგოდ აშკარა მასიურ გამოსვლებს ვერ ბედავდნენ, მაგრამ თვალი თურქეთისაკენ ეჭირათ და ხშირად აჯანყებებს აწყობდნენ. 1791 წ. 29 დეკემბერს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ დიდი ხნით ააღებინა ხელი ყაბარდოელებს იმპერიის საწინააღმდეგო საქმიანობაზე. იმავე წელს გენ. გუდოვიჩმა, ყაბარდოელთა დამორჩილების მიზნით, ახალი მმართველობისა და სასამართლოს შექმნა გადაწყვიტა[144]. სასამართლო საქმეები თითქმის მთლიანად რუსეთისადმი მტრულად განწყობილი მოლების ხელში იყო[145] და, ამდენად, აუცილებელი გახდა სიახლის შეტანა, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთის პოლიტიკისათვის ამ მხარეში.

თანახმად მთავრობის მითითებისა, ახალი მმართველობის დანერგვისას არავითარ ბალადობას არ უნდა ჰქონოდა ადგილი. ყველაფერი მოსახლეობისა და, პირველ რიგში, მფლობელთა თანხმობით უნდა გაკეთებულიყო.

1793 წ. გადაწყდა დიდ ყაბარდოში ორი საგვარეულო სასამართლო შექმნილიყო, ერთი — მფლობელებისა, მათი ბეგოულებით, და მეორე — მათზე დამოკიდებული „შავი“ ხალხისათვის. მცირე ყაბარდოში 1 საგვარეულო სასამართლო და 1 საგვარეულო აღმასრულებელი უნდა შექმნილიყო.

მოზდოკში ჩამოყალიბებულ იქნა უმაღლესი სასაზღვრო სასამართლო.

საგვარეულო სასამართლოები მფლობელებისაგან შედგებოდა — 1 თავმჯდომარე და 2 მსაჯული. არჩევნები ხდებოდა სამხედრო მოხელის ჩაურევლად, სამი წლის ვადით, რუსეთის სამაზრო და ქვედა საერობო სასამართლოს უფლებებით[146].

საგვარეულო აღმასრულებელი უზდენებისაგან შედგებოდა — 1 თავმჯდომარე და 7 მსაჯული. აქედან, ერთი ყადი ან მოლა უნდა ყოფილიყო აღმასრულებელის ქვედა საერობო სასამართლოს უფლებით.

სასამართლო და აღმასრულებელი ერთმანეთზე არ იყო დამოკიდებული. ისინი არჩევდნენ სამოქალაქო და მცირე დამნაშავეთა საქმეებს, თავიანთი ადათ-ჩვეულების საფუძველზე. რუსი მოხელეები არ

---

[144] Дебу И. О кавказской линии и присоединенном к ней черноморском войске или общие замечания о населенных полках..., Спб., 1826, с. 169.

[145] იქვე, გვ. 264; შეად. ანჩაბაძე ზ.] ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, გვ. 215.

[146] Бутков П. Г. დასახ. ნაშრომი, ნაწ. II, გვ. 264.

მონაწილეობდნენ სასამართლოში, სასამართლოც და აღმასრულებელიც მხოლოდ ყაბარდოელებისაგან შედგებოდა[147].

უმაღლესი სასაზღვრო სასამართლო შედგებოდა 6 მფლობელისა და 6 უზდენისაგან დიდი და მცირე ყაბარდოდან, მოზდოკში მცხოვრებ ერთი სომხის, 1 ქართველისა და 1 თათარი მურზასაგან (ბეშტაუს მთაში მომთაბარე თათრებისაგან).

უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მოზდოკის კომენდანტი იყო. სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდა რუსი მოხელე — ყაბარდოს მამასახლისი და პოლკის შტაბის ერთ-ერთი ოფიცერი. შტატის შემადგენლობაში შედიოდა სასამართლოს მდივანი, თარჯიმნები და კანცელარიის მუშაკები[148]. სასამართლოებიც და აღმასრულებელიც სასაზღვრო სასამართლოს ემორჩილებოდნენ. რომელიც რუსეთის სასამართლო კანონებით ხელმძღვანელობდა. უმაღლესი სასამართლო არჩევდა მძიმე დანაშაულებს: მკვლელობა, ძარცვა და სხვ.

თავდაპირველად, მფლობელებიც და უზდენებიც კმაყოფილები იყვნენ ახალი სასამართლოს შემოღებით. მოსამართლეები იღებდნენ ჯამაგირს. აღარც მძევლების გაცემა იყო საჭირო. ყაბარდოელებს ადრე ჩადენილი დანაშაულებებიც ეპატიათ.

ზემოჩამოთვლილი შეღავათების პარალელურად, აიკრძალა საზღვარზე გადასვლა ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე, აიკრძალა თვითნებური მკვლელობისათვის სამაგიეროს გადახდა, დამნაშავეთა დამალვა. საერთო კრების მოწვევა სათანადო ნებართვის გარეშე და სხვ[149]. ამასთანავე, სასამართლოებიც და აღმასრულებლებიც პოლიციურ ხასიათს ატარებდნენ და ფაქტიურად მთლიანად სამხედრო ხელმძღვანელობას ემორჩილებოდნენ. უხეშად ირღვეოდა სასამართლო წარმოების წესები[150], რამაც თავისი გამოხატულება პოვა ყაბარდოელთა უკმაყოფილებაში. ყაბარდოელებმა განაგრძეს რუსეთისადმი მტრული საქმიანობა.

1783 წ. 8 იანვარს ყირიმის სახანო რუსეთთან იქნა შეერთებული. ამით ყაბარდოელებს მოესპოთ უკანასკნელი იმედიც. ამიერიდან ყაბარდოელებს ნამდვილი ერთგულება უნდა გამოეცხადებინათ რუსეთისათვის. მაგრამ ასე არ მომხდარა. ისინი კვლავ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. განსაკუთრებით გააქტიურდნენ 1806 წ. დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომის დროს. თურქეთის ემისრები ყოველნაირად

---

[147] Кудашев В. Исторические сведения о кабардинском народе, Киев, 1913, с. 80.

[148] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 264—265.

[149] Кудашев В. Исторические сведения о кабардинском народе, Киев, 1913, с. 82.

ცდილობდნენ ყაბარდოელთა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებას. 1807 წ. რუსეთსა და თურქეთს შორის დროებით შეწყდა საომარი მოქმედება, რამაც წელიწადნახევარს გასტანა, 1809 წ. აპრილის ბოლოს საომარი მოქმედება განახლდა. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა კავკასიის ხაზზე მდებარე საგუშაგოები გაეძლიერებინა. საზღვრის დასაცავად 2086 ცხენოსანი და 1081 ქვეითი მებრძოლი იქნა გადმოყვანილი[151]. პარალელურად, სამხედრო ხელმძღვანელობა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან და პირველ რიგში ყაბარდოელებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას შეუდგა, რათა ამ მხრივ დაეახლოვებინა ისინი. მთიელები მარილისა და სხვა საჭირო ნივთების შეძენას საჭიროებდნენ და შესაძლებელი იყო ვაჭრობის მეშვეობით მტრულ საქმიანობაზე აეღოთ ხელი. მართლაც და, ვაჭრობის განვითარებამ საგრძნობლად შეასუსტა ყაბარდოელთა მტრული გამოსვლები, მაგრამ სრული სიმშვიდე ჯერ კიდევ შორს იყო. 1812 წ. 28 მაისს რუსეთსა და თურქეთს შორის საომარი მოქმედება შეწყდა. კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობას საშუალება მიეცა უფრო აქტიურად ემოქმედათ მთიელთა დამორჩილებისათვის. ყაბარდოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თანდათანობით რუსეთის ერთგული ხდებოდა.

1812 წ. ზაფხულში ყაბარდოელებმა სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიეღოთ საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. ინიციატორებად გამოვიდნენ რუსეთის ერთგული თავადები: ბეკოვიჩ-ჩერკასკები, აიტეკ-მისოსტოვი, სულთან მენგლი-გირეი და სხვები, რომელთა თაოსნობით, რამდენიმე ათასი მოლაშქრე შეიკრიბა. „ჩერქეზთა“ ლაშქარი მზად იყო მიეღო მონაწილეობა სამამულო ომში, რუსი მებრძოლების გვერდით. საჭირო იყო მხოლოდ ლაშქრის შეიარაღება. მთავრობამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა მთიელთა შეიარაღება. ომში მონაწილეობის სულისკვეთებით განწყობილი ყაბარდო-ჩერქეზთა ლაშქარი დაშალეს[152]. მთავრობა არ ენდობოდა მთიელებს და ამიტომაც ვერ გაბედა მათი შეიარაღება და გამოყენება ბრძოლებში.

1817—1818 წწ. ყაბარდოელმა მფლობელებმა და უზდენებმა კვლავ განაახლეს კავკასიის ხაზზე თავდასხმები. ყაბარდოელთა უკმაყოფილება არ ცხრებოდა. მოსახლეობა მთებში იხიზნებოდა. დიდი ნაწილი ყუბანსიქით გადაიხიზნა, სადაც მთიელ ტომთა აჯანყებებს აწყობდნენ, აჯანყების ხელმძღვანელები კი თვითონ იყვნენ. ყაბარდოელთა უკმაყოფილების მიზეზი იყო ახალი სასამართლო წარმოების დანერგვა, რომელმაც ვერ გაამართლა მოლოდინი. სასამართლოს წევრებმა საქმე

---

[150] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 265.

[151] ЦГВИАМ, ВУА, д. 6174, л. 230—231.

[152] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, М., 1959, с. 228.

ისე ვერ წარმართეს, როგორც კავკასიის მთავარსარდალმა გენ. ერმოლოვმა ჩამოაყალიბა სასამართლოს დანერგვისას თავის „დარიგებაში“. ამას დაერთო ახალი ხაზისა და ციხე-სიმაგრეების მშენებლობა. ყაბარდოელთა უკმაყოფილება ღრმავდებოდა. 1825 წ. აჯანყება დაიწყო. ყაბარდოში დამატებითი სამხედრო ნაწილები შეიყვანეს. ყაბარდო სასტიკად ააოხრეს. აჯანყება ჩააქრეს. მოსახლეობა მთებში გაიხიზნა. აჯანყებების შედეგად (1804,1810,1822,1825 და სხვა დროსაც მცირე მასშტაბით) და შავი ჭირით მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურდა. 1834 წლისათვის ყაბარდოში მხოლოდ 35 ათასი სული მოსახლე იყო[153]. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობა ცდილობდა მთიელთა დამორჩილებას ლმობიერი მოპყრობითა და ზოგიერთი გავლენიანი ბეფლობელის მოსყიდვით, საქმე მაინც არ მიდიოდა იმპერიის სასარგებლოდ. 1840 წ. ყაბარდოელთა თაოსნობით აჯანყება მოხდა ყუბანსიქითა მოსახლეობაში[154]. აჯანყებულებმა რამდენიმე სიმაგრე აიღეს. მალე დამხმარე ნაწილები გამოჩნდნენ. აჯანყებულები სასტიკად დამარცხდნენ და თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდნენ. 1842 წლისათვის შამილის ავტორიტეტი გაიზარდა მთიელ ტომებში, რომლებიც აშკარად გამოდიოდნენ ახლად დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ. კავკასიის ხაზზე საჭირო გახდა დამატებითი სამხედრო ნაწილების შემოყვანა, რაც იმ დროს დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. კავკასიაში თითქმის არსად იდგა სარეზერვო ძალები, რუსეთიდან გადმოყვანა კი ასე სასწრაფოდ შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ყაბარდოელთა ძალით ან თხოვნით დათანხმება, რომ არ მიმხრობოდნენ შამილს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მათთან გამოცხადდებოდა ლაშქრით.

1844 წ. დასაწყისში გენ. ნეიდგარტმა წერილობით მიმართა მთიელებს, რათა შორს ყოფილიყვნენ შამილისაგან და არ მიმხრობოდნენ რუსთა შეირაღებული ძალების წინააღმდეგ[155]. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი მთიელი ტომების ერთგულებას 1844 წლიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა შამილის შემოტევებთან დაკავშირებით.

გენ. -ადიუტ. ნეიდგარტმა მოწოდებით მიმართა მთიელებს. მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. „ხალხის სახელით“ მას მტრული პასუხი გასცა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ანტირუსული მოძრაობის მეთაურმა, თურქეთისა და შამილის ერთგულმა მუჰამედ ემინმა.

---

[153] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, с. 228.
[154] აქტები, ტ. IX, გვ. VI.
[155] აქტები, ტ. IX, გვ. 753, სან. № 640.

ნეიდგარტი ვორონცოვმა შეცვალა. 1845 წ. აგვისტოში გრაფი ვორონცოვი თავის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ დაათვალიერა კავკასიის მარცხენა და მარჯვენა ფლანგები; ინახულა მდ. ლაბაზე მშენებარე სტანიცები, იყო კისლოვოდსკში, სტავროპოლში, ვლადიკავკაზში. შავიზღვისპირეთში; წავიდა მდ. სუნჯასთან ახალი სტანიცების სანახავად, საიდანაც თბილისში დაბრუნდა. თბილისიდან ხელმწიფე იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ვორონცოვი წერდა: „ჩემს მიერ შემოვლილ ტერიტორიაზე მე ყოველ ადგილას შესანიშნავი წესრიგი ვნახეო“[156]. არსად დარღვეულა სიმშვიდე. როგორც უფროსები, ასევე მათი ხელქვეითები ვალდებულებას ასრულებენ გულმოდგინებითა და საქმიანად[157].

ვორონცოვმა, მართლაც, იმ დროს დაათვალიერა კავკასიის ხაზი, როცა სიმშვიდე იყო გამეფებული. მან ვერ შეიტყო შამილის გაგზავნილი აგენტის სულეიმან-ეფენდის საქმიანობა, რომელიც შამილთან ყაბარდოელთა შეერთებას ცდილობდა. სულეიმან-ეფენდის, შამილის დავალებით, ყარაჩაისა და ყაბარდოს ხალხი უნდა აეჯანყებინა შამილთან შესაერთებლად და მხარდასაჭერად[158]. ვორონცოვმა შეიტყო მხოლოდ სულეიმან-ეფენდის დაბრუნება შამილთან, რაც 7 სექტემბერს მოხდა. იგი თავის მოხსენებით ბარათში მადლობის გრძნობით იხსენიებდა ყაბარდოელებს: „ყაბარდოში სიმშვიდეა და შამილისა და მის თანამოაზრეთა ახალ ხრიკებზე და თავდასხმებზე აქ არაფერი არ ისმისო“.

ვორონცოვის ვარაუდი არ გამართლდა. მალე მთიელთა აშკარა გამოსვლებმა იჩინა თავი.

1846 წ. 15 აპრილს ჩერქეზთა დიდი ბრბო შეიკრიბა მდ. სუნჯასთან. 16 აპრილს, ღამით, გადალახეს მდინარე და ახლოვის აულთან გაათენეს ღამე. იყო ცნობები, რომ აჯანყებულები დიდი ყაბარდოსაკენ აპირებდნენ წასვლას.

გენ. ფრეიტაგი სამხედრო შენაერთით დაედევნა მოწინააღმდეგეს, გენ. ნესტერევი კი ნაზრანელთა და სუნჯის მოსახლეობას იცავდა, რათა მოწინააღმდეგეს არ მოეწყო მათზე თავდასხმა.

გრაფ ვორონცოვს აცნობეს შამილს დიდი ლაშქარით ყაბარდოში შესვლა უნდაო. ვორონცოვი სამხედრო მინისტრ ჩერნიშევისადმი მიწერილ ბარათში წერდა, რომ მან ვერ შეიტყო გენ. ნესტერევისაგან — „იყო თუ არა თვით შამილი ბრბოში, როგორია მისი ძალები და წა-

---

[156] აქტები, ტ. X, გვ. 573, საბ. № 526.

[157] СМОМПК, Вып. XXII, Тиф., 1897, с. 153.

[158] აქტები, ტ. X, გვ. 573, საბუთი № 526; შეად. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXIII, Тифлис, 1897, с. 151.

ვიდნენ თუ არა მთიელები ლაშქრითა და არტილერიით ყაბარდოში"[159]. წუხდა, რომ არ იცის შამილის მანევრების შესახებ. და დასძენდა: „გადავწყვიტე დავრჩე შემახაში, ვისარგებლებ რა ამ პუნქტის ცენტრალური ადგილმდებარეობით, საშუალება ნექნება, დავბრუნდე თბილისში და გავცე საჭირო განკარგულებანი საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად და ამავე დროს დავიცვა ყაბარდოს დაბლობი, ანდა გავეშურო დაღესტანში, თუკი იქ მოწინააღმდეგის დიდი ძალები გამოჩნდებიან"[160].

კავკასიის მეფისნაცვალი თავადი ვორონცოვი წინასწარ იღებდა ზომებს, რათა კავკასიის ხაზის მახლობლად მთიელებს და, პირველ რიგში ყაბარდოელებს, შამილის მხარე არ დაეჭირათ. ამ მიზნით, მან 1846 წ. 27 აპრილს ბოწოდებით მიმართა ყაბარდოელებს: „შამილმა შეიტყო, რომ სახელგანთქმული თქვენი სამფლობელოს ყველა ტომი მოქმედებს თავის სასარგებლოდ, უმორჩილდება რუსეთის დიდ მპყრობელს, ახლა დადგა დრო დაამტკიცოთ თქვენი სიტყვის სიმართლე, რომ თქვენ ბედნიერები ხართ ჩვენი მთავრობის მმართველობით.

ერთი მხრივ: მდიდარი მიწები, რუსთა ხელმძღვანელობითა და მფარველობით წყნარი ცხოვრება და სავაჭრო ურთიერთობა, მეორე მხრივ — განუწყვეტელი ომები და ნგრევა, დაკარგვა მიწებისა და თქვენი და თქვენი შვილების გამღიდრების საშუალებისა. ამოირჩიეთ, მე თქვენ გიუბნებით თქვენი პირადი სარგებლობისათვის.

ჩვენი ჯარი ყოველი მხრიდან მოედინება. მე თვითონ მოვედი სამოქმედო ადგილას, უდანაშაულოთა დასაცავად და მათ დასასჯელად, ვინც დაივიწყეს ვალდებულების ფიცი და სინდისი.

შამილი შეეცდება წავიდეს, თქვენ კი დარჩებით მისი დაუფიქრებელი თავდასხმის უბედურ მსხვერპლად"[161].

ვორონცოვის მიერ მიღებული ზომები დროული აღმოჩნდა.

1846 წ. აპრილში ცნობილი გახდა, რომ შამილი ყაბარდოსაკენ წასვლას აპირებდა თავისი ლაშქრით. მან თავისი ნაიბები: საიუბდულუ, დუბუი და ათაბაი გააგზავნა მცირე ყაბარდოს შორი-შორს გაფანტული აულებიდან მოსახლეობის გამოსაყვანად.

18 აპრილს გენ. ფრეიტაგი თავად აითემირის აულთან შეჩერდა. აითემირმა გენერალს მოახსენა: მთელი ყაბარდო შამილის მოსვლას ელის. მოსახლეობა მზად არის მას შეუერთდესო[162]. ელხოტოვის აულ-

---

[159] აქტები, ტ. X, გვ. 578, საბუთი № 531.

[160] იქვე.

[161] აქტები, ტ. X, გვ. 579, საბ. № 533.

[162] Н. И. Записки во время поездки из астрахана на Кавказ и в Грузию, М., 1829, с. 69.

ში შამილის რაზმები თარეშობდნენ. შამილს მოესწრო მოსახლეობის გამოყვანა, ისინი თავიანთი ქონებით და საქონლით თან მიჰყვებოდნენ[163]. შამილის მიზანი იყო ყაბარდოელთა აჯანყება, რადგანაც ცნობილი იყო, რომ მათ მეზობელი ტომებიც დაუჭერდნენ მხარს რუსთა წინააღმდეგ.

შამილმა ყაბარდოელებს წერილობითი მიმართვა გაუგზავნა. მიმართვა გენ. გოლიცინს ჩაუვარდა ხელში, რომელმაც იგი გენ. ფრეიტაგს გადასცა, რათა საქვეყნოდ ყოფილიყო ცნობილი შამილის მიზნები. მიმართვაში ნათქვამია: „... მე მოვიდი იმათ დასახმარებლად, ვინც ერთ ღმერთს აღიარებს, თქვენთან ჩემო თანამოაზრენო და სამტროდ ცთომილთა და იმ მუსულმანთა, ვინც რუსების მიუდგება. თქვენ, თუ გიყვართ ღმერთი და მისი წინასწარმეტყველება და თუ გსურთ იყვეთ ამ ქვეყნად ბედნიერნი და მომავალში მშვიდად, თქვენ ვალდებულნი ხართ, რაც შეიძლება მალე გამოცხადდეთ ჩემთან, ჩვენი საერთო სარგებლობისათვის მოსათათბირებლად, ან მომწერეთ, რასაც მოიფიქრებთ თქვენთვის სასარგებლოდ. დაფიქრდით მომავალზე და იცოდეთ, რომ მე არ მივიღებ თქვენგან არავითარ გასამართლებელ საბუთს[164].

ყაბარდოელებმა შამილს ერთგულება და რუსთა წინააღმდეგ ბრძოლებში დახმარება აღუთქვეს. მათ მიბაძეს ყუბანსიქითა მხარეს მცხოვრებმა ტომებმაც, მათაც ერთსულოვანი თანხმობა განაცხადეს შამილის დახმარებაზე.

თანახმად თხოვნისა, შამილი ყაბარდოში გამოცხადდა, შეჰპირდა მათ, რომ აიღებდა ყველა სიმაგრეს, სტანიცებს და გარეკავდა რუსებს იქიდან.

ყაბარდოელებმა ულტიმატუმი წაუყენეს შამილს: „ჩვენ შევასრულებთ დაპირებას, თუკი რუსებს გარეკავთ აქედანო“. ასეთი მოთხოვნის საპასუხოდ, შამილმა მათ განუცხადა: „მომეცით ყოველი კომლიდან 1 მხედარი და მე ჩემს სიტყვას შევასრულებო“[165].

ასეთი მოკლე საუბრის შემდეგ, თითქოსდა მყარი კავშირი დამყარდა ყაბარდოელებსა და შამილს შორის. სულ სხვა აზრისანი იყვნენ ის ყაბარდოელები, რომლებიც ჩეგემის, ბაქსანსა და მალკას გაყოლებით ცხოვრობდნენ. შამილი თავისი ლაშქრით მათკენ არ იძვროდა, თანაც შამილის ლაშქარსა და მათ შორის რუსთა შეიარაღებული საშხედრო ნაწილები იდგნენ, ვერ ბედავდნენ ერთგულების ფიცის დარღვევას და საცხოვრებელი ადგილებიდან არსად მიდიოდნენ.

შამილი მიხვდა, რომ ყაბარდოელები მერყეობდნენ, თვითონ მისვლა ვერ გაბედა და მიმართა წერილით, გამოცხადებულიყვნენ მასთან.

---

[163] აქტები, ტ. X, გვ. 580, საბ. № 533.

[164] იქვე.

[165] იქვე.

აპრილის ბოლოსათვის ვლადიკავკაზში საქართველოდან წასული სამხედრო შენაერთი გამოცხადდა. დამატებითი ჯარის შემოყვანით სულ უფრო და უფრო მცირდებოდა პურისა და სურსათ-სანოვაგის მარაგი. უარესი მდგომარეობა იყო ყაბარდოში. იქ შეყვანილ სამხედრო ნაწილებს განკუთვნილი ულუფა აღარ ურიგდებოდათ. ისინი მიტოვებულ აულებში დარჩენილი პურითა და სურსათით იკვებებოდნენ[166].

მიუხედავად ამისა, სამხედრო ნაწილების თავმოყრა კვლავ გრძელდებოდა.

1846 წ. მაისში ვორონცოვმა სამხედრო მინისტრს — ჩერნიშევს წერილობით აცნობა შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ბოლოს დასძინა: „მადლობა ღმერთს საქმე მთლად ცუდად არაა. მცირე ყაბარდოს მოსახლეობამ უარი განაცხადა შამილთან შეერთებაზე, მხოლოდ იმ აულთა მოსახლეობა წაიყვანეს ძალით, რომელთა ახლოსაც მოწინააღმდეგის ლაშქარმა გაიარა. დიდი ყაბარდოს მოსახლეობის მეტი ნაწილი მთებში გაიხიზნა შამილის შიშით. ამჟამად თავის საცხოვრებელს უბრუნდებიან.

არ იგრძნობა ყაბარდოელთა ერთგულება ჩვენდამი. ჩვენი მიმართვა მათ უპასუხოდ დატოვეს. სხვათა შორის, ვფიქრობ, მკაცრად დავსაჯო ისინი, ვინც თავისი ნებით გაჰყვნენ შამილს, თანაუგრძნეს აჯანყებაში და იწვევდნენ მას ყაბარდოში.

შამილის აშკარა შემოტევამ მატერიალური ზარალი მოგვაყენა, მაგრამ იგი ჩვენთვის სასარგებლოა, ვინაიდან შევიტყვეთ ვინაა ჩვენი მომხრე და ვინ მტერი. „კარგი იქნებოდა, რომ შამილი 3—4 დღე დარჩენილიყო ყაბარდოში, იქ მას საბოლოოდ გავანადგურებდით“[167].

აჯანყების ჩაქრობისთანავე დაიწყო დამნაშავეთა დასჯა. გენ. კოვალევსკის მიერ გენ. ზავადოვსკისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული იყო: აბაძეხებსა და მდ. კურჯიპს შორის მცხოვრები გაქცეული ყაბარდოელები შამილის ჯარში იმყოფებოდნენ, ისინი უკანდახევის დროს ჩამოცილდნენ მას. თავად სიდაკოვს საუბარი ჰქონდა შამილთან. ამ საუბრისა და იმ ორი წერილის შინაარსი, რომლებიც შამილმა უკანდახევის შემდეგ გაუგზავნა ყუბანსიქითა მხარეს დასახლებულ, გაქცეულ ყაბარდოელებსა და აბაძეხებს, ერთი და იგივეა. საუბრიდან და წერილებიდან ერთხელ კიდევ ნათელი ხდება, რომ შამილი ლაშქრით თვითონ ყაბარდოელებმა მიიწვიეს თავისთან[168]. აი, წერილის შინაარსიც: „ყაბარდოელებმა თვითონ მოინდომეს ჩემი მის-

---

166 აქტები, ტ. X, გვ. 583.
167 იქვე.
168 იქვე.

ვლა მათ ქვეყანაში და მეც მივედი. ყველაფერი ვნახე, მოვისმინე და გავაანალიზე: მაგრამ ჩემი პირველი გადაწყვეტილება მომეჩვენა მეტად სასარგებლო. მე ვიხევ არა იმიტომ, რომ რუსებთან შებრძოლებისას დავკარგავ მეტს, ვინემ ისინი; არა ამისათვის — ჩვენთვის სასარგებლო სხვა ათასი მიზეზისათვის; მე უკან ვბრუნდები ჩვენი საერთო სიკეთისათვის.

არ დაგორჩილდეთ, მანამ არ იქნებით ყოველგვარ საშუალებას მოკლებული. თქვენ თუ ნამდვილი მუსულმანები ხართ, დამიჯერეთ მე. დაიჯერეთ, რომ ჩემით არ ვმოქმედებ, მე სხვა სახელმწიფოები მიჭერენ მხარს, ვფიცავ უმაღლეს არსებას; თუ თქვენ ეჭვი შეგეპარებათ ჩემს ნათქვამში, ეს ეჭვი წინააღმდეგი იქნება ჩვენი წმინდა რწმენის, თქვენ თქვენს თავს დაუნდობლად დაღუპავთ და ღმერთის რისხვაში ჩავარდებით. მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი ყაბარდოელთა მოქმედებით და ვშორღები მათ ასეთივე გრძნობით.

ვბრუნდები თერგის სათავესთან, საიდანაც გავემართები ვითარებისამებრ. თქვენთვის თუ აუცილებელი იქნება ჩემი დასწრება, მომწერეთ და თუ რაიმე მნიშვნელოვანი საქმე დამაბრკოლებს, გამოვგზავნი სულეიმან-ეფენდის 3000 მხედრით. არ იფიქროთ, რომ დავიხიე რუსთა შიშით, — არა!

ჩვენი საერთო სარგებლობისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საქმეების გამო ვბრუნდები უკან"[169].

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ყაბარდოელებმა მიიწვიეს შამილი, რათა გაერთიანებული ძალით ებრძოლათ რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. წერილიდან ირკვევა ისიც, რომ შამილს სხვა სახელმწიფოები უჭერდნენ მხარს, კერძოდ, ინგლისი და საფრანგეთი, სხვანაირად იგი ვერ შეძლებდა რუსეთის შეიარაღებული ჯარისადმი ესოდენ დიდი ხნით მედგარი წინააღმდეგობის გაწევას. 1846 წ. შემდეგ ყაბარდოელებს რუსეთის საწინააღმდეგოდ აშკარად აღარ აუღიათ იარაღი ხელში.

1858 წ. ყაბარდოელ ფეოდალთა თაოსნობით, ჩერქეზებმა პეტიცია გაუგზავნეს თურქეთის სერასკირს რიზა-ფაშას, სადაც რუსეთისადმი თავიანთ მტრულ განწყობილებას აღიარებდნენ და დასძენდნენ, რომ არასრდოს ყოფილან რუსეთის ერთგულები და არც იქნებიან, რომ ისინი ბრძოლას განაგრძობენ რუსეთთან.

პეტიციაში აღნიშნულია: „...თქვენმა ადიუტანტმა გადმოგვცა, რომ თქვენამდე მოაღწია ცნობამ, თითქოსდა ჩვენ გვინდა მშვიდობაზე შევთანხმდეთ ჩვენი ხალხის მტერთან — რუსეთთან.

---

[169] აქტები, ტ. X, გვ. 585, საბ. № 535.

ჩერქეზთა ერთადერთი საწადელი, როგორც ეს მთელმა მსოფლიომ იცის, ყოველთვის იყო თავისუფლება, რისი ღირსებიც ნამდვილად ვართ.

მანამ ეს წადილი არ შეგვისრულდება, ევროპის სახელმწიფოთა თანხმობითა და დახმარებით, ამასთანავე ჩვენი მიზნების გათვალისწინებით, ჩვენ ჭკუაში არ მოგვივა რუსეთთან მშვიდობიანი შეთანხმება; ამასთანავე ჩვენ ვიმოქმედებთ მხოლოდ თქვენს აღმატებულებასთან შეთანხმებით

მანამ ჩვენი წადილი არ შესრულებულა, არ შევწყვეტთ რუსეთთან ბრძოლას და არასდროს სიტყვა მშვიდობა არ იქნება ჩვენ მიერ წარმოთქმული"[170].

პეტიციის შინაარსი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ კავკასიის მუსულმანური სამყარო ვერ შეეგუა მეფის რუსეთის მიერ აქ დამყარებულ რეჟიმს. ისინი არც შამილის დამარცხების შემდეგ დაცხრნენ. განსაკუთრებით ყაბარდოელები იყვნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგნი, რისთვისაც ყველაზე მეტად კავკასიაში ისინი დაისაჯნენ. ყაბარდოს მოსახლეობის 4/5 იმსხვერპლა შექმნილმა ვითარებამ. გავრცელებულმა ავადმყოფობამ და მოუსავლიანობამ, 1860-იან წლებში კი დარჩენილი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი გადასახლდა თურქეთში.

§ 2. ჩრდილო ოსეთის ურთიერთობა რუსეთთან

ყაბარდოელთა გვერდით ოსები სახლობდნენ.

XV ს. ოსებს კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მთის ოთხი — თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორის — ხეობა ეკავათ[171]. ხეობათა სახელები ეწოდათ საზოგადოებებს, რომლებიც იქ დასახლებულებმა შეადგინეს. ამრიგად, ჩრდილოეთ ოსეთი შედგებოდა თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორის საზოგადოებებისაგან. შემდეგში, მიწის უკმარობის გამო, ხეობებიდან შორს, მაღლა მთებში, ძნელად მიუვალ ადგილებში გაგრძელდა ოსთა დასახლება. დიგორისა და ალაგირის ხეობები უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე ქურთათისა და თაგაურისა[172]. XVIII ს. დასაწყისისათვის მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი ძალიან მაღალი იყო. 1742 წ. ქართველი არქიეპისკოპოსი იოსები და არქიმანდრიტი ნიკოლოზი ოსეთ-

---

[170] აქტები, ტ. XII, გვ. 809, საბ. № 679.

[171] Кавказский календарь, Тифлис, 1858, с. 294.

[172] Берозов Б. П. Переселение осетин с гор на плоскость, Орджоникидзе, 1980, с. 46.

ში სასულიერო კომისიის გამოგზავნის შესახებ ელისაბედ პეტრეს ასულისადმი წერილობით თხოვნაში ოსეთს ასახელებდნენ, როგორც ხალხმრავალ მხარეს, და დასძენდნენ, რომ ხსენებული ხალხი ორივე სქესის ჩათვლით 200 ათას სულზე მეტია[173].

მოსახლეობის რაოდენობის ასეთივე რიცხვია მოცემული მოგვიანებით ცნობებშიც. ოსეთის სასულიერო კომისიის უფროსი ათანასე ლებედევიც, ოსეთში მისიონერთა მუშაობის შესახებ 1772 წ. 18 მაისის მოხსენებით ბარათში, მოსახლეობის რაოდენობას 200 ათასი სულით განსაზღვრავდა[174]. თუ გავითვალისწინებთ ოსთა დასახლებული ადგილების სიმჭიდროვის მაღალ კოეფიციენტს, ზემომოყვანილი რიცხვი ბევრად გადაჭარბებული არ უნდა იყოს. ოსეთის მოსახლეობის რიცხვის შეფარდება მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიასთან ცხადყოფს, რომ ოსები მიწის უკიდურეს უკმარობას განიცდიდნენ.

XVI ს. დასაწყისამდე ოსი მოსახლეობა მთის მიმდებარე დაბლობი ადგილებით სარგებლობდა, რაც საგრძნობლად აუმჯობესებდა მათ საყოფაცხოვრებო პირობებს. XVI ს. დასაწყისისათვის თერგის აუზის ველები და ზემოაღნიშნული მთის მიმდებარე დაბლობები ყაბარდოელებმა აითვისეს და უშუალოდ ჩეჩნებს, ინგუშებსა და ოსებს დაუმეზობლდნენ[175]. ყაბარდოელთა დასახლებები მდინარე სუნჯიდან მდინარე მალკამდე და იქით, დასავლეთისაკენ იყო გადაჭიმული. მათი დასახლება თვით ოსთა მიერ დაკავებული ხეობების შესასვლელამდე აღწევდა[176]. ყაბარდოელმა ფეოდალებმა თავიანთი უფლებები გაავრცელეს ოსებზე, მორჩილებაში მოიყვანეს და გადასახადებს ახდევინებდნენ. XVII ს. დიგორელი გლეხები გადასახადებს უხდიდნენ ალეგუკო და ხადაჟუკო ჩერკასკებს და ზაზარუკო ანზოროვს. XVIII ს. იგივე დიგორიელი გლეხები მაჰმედ გირეის, ნაფი მურზას, მისოსტ კანაიბეკოვს, ბეკუმურზა და მაჰმედ კოგოლკინებს. ადილგირეი გილიაქსანოვს და ასლანბეგ კაიტუკინს ემორჩილებოდნენ და გადასახადებს უხდიდნენ. ქურთათელები დიდი ყაბარდოს თავადს — მისოსტ ბამბეტოვსა და მცირე ყაბარდოს ფეოდალებს — ახლოვებსა და ტაუსულთანოვებს ემორჩილებოდნენ და, რაღა თქმა უნდა, მათივე მოხარკეები იყვნენ.

ყობანელები თათარხანოვებისა და ტაუსულთანოვების მორჩილება-

---

[173] Русско-осетинские отношения в XVIII веке, т. I, Орджоникидзе, 1976, с. 30.

[174] Материалы по истории Осетии, т. I, Орджоникидзе, 1932, с. 156.

[175] Берозов Б. П. Указ. соч., с. 19.

[176] Тотоев М. С. Кабардино-балкаро-осетинские отношения в XVI—XVIII вв., Известия СОНИИ, т. 25, с. 140.

ში იყვნენ და უხდიდნენ გადასახადებს, დარიალის ხეობის მოსახლეობა — მცირე ყაბარდოს თავად მუდაროვსა და მის უზდენებს[177].

მართალია, ოსთა ცალკეული საზოგადოებების ყაბარდოელებზე დამოკიდებულება და გადასახადების რაოდენობაც ერთნაირი არ იყო, მაგრამ მეტ-ნაკლებად ყველანი მათ მორჩილებაში იყვნენ და უხდიდნენ გადასახადებს. დიგორიელები ყოველმხრივ დამოკიდებული იყვნენ ყაბარდოელ ფეოდალებზე და ამ უკანასკნელთა მეხარკენი იყვნენ. თაგაურის, ქურთათისა და ალაგირის მთიელთა ყაბარდოელებზე დამოკიდებულება შედარებით სუსტი და არასისტემატური იყო. გადასახადები მთის მოსავალზე იყო დამოკიდებული. ოსი გლეხობა მიწის სიმცირისა და ცუდი კლიმატური პირობების გამო საუკუნეთა მანძილზე აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სამაგიეროდ, მიუვალი ხევები და მთები საიმედო თავშესაფარ' წარმოადგენდა გარეშე მტერთა თავდასხმებისაგან. ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავდა: „ხოლო ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუვალი უცხოს მტერთაგან, მაღლის მყინვარის და თოვლიანის მთის მიერ ...“[178]

მთაში სახნავ-სათესად გამოსადეგი მიწა ცოტა იყო და ისიც ნაკლებად მოსავლიანი. ცოტა იყო სათიბებიც და საძოვრებიც. წლის მოსავალი გლეხს სამ-ოთხ თვეს ყოფნიდა. მთაში გლეხი ამუშავებდა სახნავ-სათესად ვარგისსა და უვარგის მიწასაც. „ნაყოფიერება ამ ქვეყნისა არს მცირედი, ვინათგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თვინიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრივისა, სიცივის, გვიან ზაფხულისა და ადრე შემოდგომისათვის, გარნა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო“[179].

მთაში სახნავ-სათესად ვარგისი მიწა ძალიან ძვირი იყო. რამდენიმე კვადრატულ საჟენში აბლედნენ ერთ მონას ან 100—160 ცხვარს[180]. მთის მოსახლეობა XIX ს. 339 ათას დესეტინა მიწას ფლობდა. აქედან მხოლოდ 10 ათასი დესეტინა იყო სახნავ-სათესად ვარგისი. მოსახლეობის რაოდენობა კი იმავე პერიოდში დაახლოებით 60—70 ათასი სული იყო. ეს რიცხვები ნათლად მეტყველებენ მიწის არგაგონილ უკმარობაზე[181].

---

177 Тотоев М. С. დასახელებული ნაშრომი, გვ. 143—144.

178 ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედ., თფილისი, 1904, გვ. 180—181.

179 იქვე, გვ. 81.

180 Клапрот Ю. Путешествие по Кавказу и Грузии, предпринятое в 1807—1808 гг., Известия СОНИИ, т. 22, с. 240.

181 Берозов Б. П. დასახ. ნაშრ., გვ. 24.

მიწის უკმარისობას ერთვოდა მთის მკაცრი კლიმატური პირობები. იქ მუდამ შიმშილი და ეპიდემიური დაავადებანი ბატონობდა, რის შედეგადაც მოსახლეობის რაოდენობა განუწყვეტლივ კლებულობდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ XVIII ს. შუახანებში მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო, ვინემ მომდევნო პერიოდში.

1783 წლისათვის ოსეთის მთის მოსახლეობა 35750 სულს შეადგენდა. 1800 წლისათვის 25 ათას სულს. მომდევნო წლებში მოსახლეობის რაოდენობა კვლავ იკლებდა და 1826 წ. იგი 20 ათას სულამდე შემცირდა[182].

ოსი ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მხოლოდ ბარში ჩამოსახლებით შეიძლებოდა, მაგრამ ეს ნაბიჯი არც ისე იოლ საქმეს წარმოადგენდა.

ოსთა მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ სიღარიბისა და გაუთავებელი გაჭირვებისაგან თავის დახსნა მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეიძლებოდა. ოსებმა ჯერ კიდევ XVII ს. შუახანებში განუცხადეს რუს ელჩებს თავიანთი სურვილი რუსეთთან შეერთების შესახებ. 1651 წ., ოსეთის ტერიტორიაზე გავლისას, სუფრაჯ ნ. ტოლოჩანოვის ხელმძღვანელობაში მყოფ რუსეთის ელჩებს მდ. ურუხთან მცხოვრებმა დიგორელმა ოსებმა თხოვნით მიმართეს, რათა ხელმწიფეს მთასთან ახლოს ქალაქი აეგო და სამხედრო ნაწილი დაეყენებინა, ისინი — დიგორელები და მთის ყველა ხალხი, ხელმწიფის მონები იქნებოდნენ და რასაც ჩერქეზ მურზებს აძლევენ იასაკს — მოსკოვის ხელმწიფეს მისცემდნენ[183]. ოსეთი ყაბარდოელთა გავლენის ქვეშ მყოფად ითვლებოდა, ყაბარდო კი თურქეთის ხელდებული იყო. ამდენად, რუსეთს არც ღრო და არც საშუალება ჰქონდა ოსი ხალხისათვის ხელი გაეწვდინა. ამავე დროს, თურქეთის გაღიზიანებასაც ერიდებოდა. 1736—1739 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთი დამარცხდა. დადებული სამშვიდობო—ბელგრადის ხელშეკრულებით ყაბარდო თავისუფლად იქნა აღიარებული. ვინაიდან ოსეთი ყაბარდოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მათ საქმეებში ჩარევა ყაბარდოს ნეიტრალიტეტის დარღვევა იქნებოდა. ამიტომ ოსეთის საქმეებში რუსეთი საიდუმლოდ ერევა, რომ თურქეთი არ გააღიზიანოს. იგი არწმუნებს ოსებს მოთმინება გამოიჩინონ ღრომდე, შემდეგ კი უკმაყოფილონი არ დარჩებიან[184]. ოსი ხალხი რუსეთის მფარველობისაკენ მიისწრაფოდა. რუსეთთან დაახლოე-

---

[182] ბოცვაძე, თ. ჩრდილო კავკასიის ხალხები 1801—1826 წწ., „ჩრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები", თბ., 1978, გვ. 14.

[183] История Северо-Осетинской АССР, М., 1959, с. 125.

[184] იქვე, გვ. 127.

ბისაკენ ოსებს, პირველ რიგში, სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების უკიდურესი სიმცირე უბიძგებდა.

ოსები რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ მიმართვებში ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მიწის უკმარობას. ისინი ფიქრობდნენ, რომ რუსეთის უაბარდოში დამკვიდრებით მთისწინა დაბლობები სახელმწიფო მიწებად გამოცხადდებოდა და, თუ ოსები რუსეთის ქვეშევრდომობაში იქნებოდნენ, ხსენებული მიწებით სარგებლობის უფლებას მიიღებდნენ.

გარდა ამისა, ოსებს სავაჭრო ურთიერთობის დამყარება უნდოდათ რუსებთან, კერძოდ კი ყიზლარისა და სხვა სასაზღვრო პუნქტების კაზაკ და რუს ვაჭრებთან[185]. ამასთან, ისინი რუსეთის დახმარებით ფიქრობდნენ თურქეთისა და ყირიმელთა თავდასხმების აღკვეთას.

რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობის სტრატეგიული მნიშვნელობა კავკასიაში პოზიციების გამაგრებისათვის და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავის საზღვრებში მოექცია იგი. რუსეთთან შეერთებით მოისპობოდა ოსეთში ხშირი შინაფეოდალური ბრძოლებიც.

ოსეთის მშრომელი ხალხი რუსეთთან არა მარტო ეკონომიკური კავშირით იყო დაინტერესებული, არამედ მისი მეშვეობით ცდილობდა თავიანთი ფეოდალებისა და უაბარდოელი თავადების, აგრეთვე თურქეთისა და ირანის ძალადობისაგან გათავისუფლებას. ოსი ფეოდალები, პირიქით, მეფის მთავრობისაგან თავიანთი ექსპლუატატორული უფლებების გაფართოებას მოელოდნენ. თაგაურის ფეოდალები კი საქართველოს სამხედრო გზაზე გასავლელი ბაჟის აკრების პრივილეგიის გამაგრებას ლამობდნენ[186].

რუსეთის მთავრობა ჩრ. კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების ერთ-ერთ პირობად აქ ქრისტიანობის კვლავ აღდგენას თვლიდა. ამიტომ ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ჩრ. კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებას.

1747 წ. ასტრახანის გუბერნატორი შეეკითხა მთავრობას, თუ რითი წაეხალისებინათ ოსები, რომლებიც ყიზლარში მიდიოდნენ მოსანათლად და რუსეთის ქვეშევრდომობას იღებდნენ. ამასთანავე დასძენდა: „ამავე — 1747 წლის თებერვალში, ამ მიზნით ყიზლარში ოსთა აზნაურის ორი კაცი მოვიდა“. ყიზლარში ხშირად მიდიოდნენ ოსები ქრისტიანობისა და რუსეთისადმი ერთგულების ფიცის მისაღებად. რუსეთის მთავრობა ერიდებოდა ბელგრადის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევას და ოსთა ქვეშევრდომობაში მიღებაზე დროებით

---

[185] История Северо-Осетинской АССР, М., 1959, с. 127.

[186] იქვე, გვ. 128.

უარს აცხადებდა. იმავე წელს სენატის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო: „თუ ოსები უკანდაუხევლად მოითხოვენ ფიცის მიღებას, ეს არ მოხდეს მანამ, სანამ მთელი მოსახლეობა არ გაქრისტიანდება“[187]. ოსთა გაქრისტიანებით რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო, მაგრამ ქვეშევრდომობაში მიღებისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. რუსეთის მთავრობა განგებ მიზეზობდა გაქრისტიანებას, სინამდვილეში თურქეთთან დადებული ხელშეკრულება უშლიდა ხელს. საჭირო იყო ბელგრადის ხელშეკრულების დარღვევა ან სხვა დიპლომატიური გზით მისი გადალახვა.

რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებისათვის 1749 წ. ოსთა ელჩობა გაემგზავრა პეტერბურგში.

ამ ელჩობის ინიციატორი იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის“ უფროსი, არქიმანდრიტი პახომი, მხოლოდ სამი კაცი შევიდა ელჩობაში — ორი ალაგირის ხეობიდან და ერთი ქურთათიდან; ალაგირის ხეობიდან ქვემო ზარამაგელი ზურაბ ელიხანოვი და სოფელ ქვემო ზაყის მცხოვრები ელისეი ხეთაგოვი, ქურთათის ხეობიდან კი პატერ მიზა ქუთათი. ელჩობის მეთაური იყო ზურაბ ელიხანოვი. ისინი იმ დროისათვის განსწავლულნი, შეძლებული და გავლენიანი პირები იყვნენ. ელჩობის მიზანი იყო ოსთა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღება, დაცვა მეზობელ ფეოდალთა თავდასხმებისაგან და მთიდან ბარში ჩამოსახლების ნებართვის მიღება. თავის მხრივ ელჩობა აცნობებდა რუსეთის მთავრობას, რომ მთელი ოსეთი მზად იყო გასაქრისტიანებლად.

1750 წ. ელჩობა მიღებულ იქნა პეტერბურგში და იმავე წელს საჩუქრებით უკან გამობრუნდნენ. მაშინდელი რთული საერთაშორისო ვითარების გამო ოსეთი არ იქნა ქვეშევრდომობაში მიღებული. არც მიწების საკითხი გადაჭრილა. სამაგიეროდ ოსებს შეღავათები მიეცათ ყიზლარსა და ასტრახანში ვაჭრობისას, კერძოდ განთავისუფლებული იქნენ სავაჭრო ბაჟისაგან.

ოსთა რუსეთთან დაახლოებას ყოველმხრივ ხელს უშლიდა თურ-

---

[187] ოსებმა ქრისტიანობა მიიღეს ოფიციალურად X ს. პირველ მეოთხედში ბიზანტიიდან. ქართულმა ფეოდალურმა მონარქიამ შეძლო ოსეთში ბიზანტიის რელიგიური გავლენის აღმოფხვრა და იგი ამ მხრივ თავის გავლენას დაუმორჩილა. იქ ინტენსიური სამისიონერო მუშაობა მიმდინარეობდა. ოსეთში აგებული იქნა მრავალი საკულტო ქრისტიანული ძეგლი. საქართველოს დასუსტების შემდეგ ოსეთში ქრისტინობის ბაზაც დასუსტდა და მისი პოზიციები შეირყა. XVII—XVIII სს., ყაბარდოს გავლენით, ოსთა თაეკაცებში ისლამი იჭრება. XVIII ს. 40-იანი წლების დასაწყისიდან ოსეთში ქრისტიანობის პროპაგანდას ეწევა რუსეთის მთავრობის მიერ ქართველ მისიონერთაგან დაკომპლექტებული და ფინანსირებული „ოსეთის კომისია“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქრისტიანული რელიგიის პოზიციებისა და ოსი მოწინავე წრეების პროგრესული ორიენტაციის განმტკიცების საქმეში.

ქეთი და ყირიმის სახანო, ვინაიდან რუსეთის გავლენის ზრდა ოსეთში აუცილებლად გამოიწვევდა რუსეთის გავლენის ზრდას საქართველოში და მთელ კავკასიაშიც. ეს კი თურქეთის ინტერესების საბოლოო მარცხს წარმოადგენდა საერთოდ კავკასიაში. XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხი იდგა. ამ მიზნით აუცილებელი იყო საქართველოსთან სახმელეთო გზით დაკავშირება. საქართველოში მომავალი გზა ოსეთის ტერიტორიით დარიალის ხეობაში გამოდიოდა, ამ გზის ნაწილი რედანტიდან ლარსამდე, თაგაურელი ფეოდალების (ალდარების), დუდაროვების საგვარეულოს მფლობელობაში იყო; მეორე, ნაკლებად მნიშვნელოვანი გზა, რომელიც აგრეთვე საქართველოში მოემართებოდა, ალაგირის ხეობაში გამოდიოდა[188]. მეფის მთავრობა დაინტერესებული იყო ამ გზების ხელში ჩაგდებით.

1768 წ. რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II (1744—1798) და იმერეთის მეფემ სოლომონ I (1751—1784) რუსეთის მთავრობას დახმარება სთხოვეს თურქეთის წინააღმდეგ. სამაგიეროდ კისრულობდნენ რუსეთის მხარეზე ბრძოლებში მონაწილეობას. რუსეთი დაინტერესებული იყო ქართველთა მხარდაჭერით თურქეთის წინააღმდეგ ომში და საქართველოში გენ. ტოტლებენის ხელმძღვანელობით სამხედრო ნაწილი გამოგზავნა.

რუსეთთან ოსების ურთიერთობის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო ზარბაზნების თანხლებით რუსი მებრძოლების გამოჩენა ოსეთში. რუსეთის ჯარს ოსები შეხვდნენ, როგორც თავის მხსნელს[189]. თერგის ხეობაში გამოვლას სამი დღე დასჭირდა, ვინაიდან ძნელი იყო ზარბაზნების გამოტარება ხეობაში. გენ. ტოტლებენის ჯარის ხეობაში გამოვლამ პრაქტიკულად ცხადყო ოსეთის რუსეთთან შეერთების დაჩქარების აუცილებლობა.

პროფ. მ. ბლიევი ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე სამართლიანად შენიშნავს: „მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის ორივე მხარეს დასახლებულ ოსეთს რუსეთისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა“[190]. რუსე-

---

188 История Северо-Осетинской АССР, М., 1959, с. 32.

189 Чудинов В. Окончательное покорение Осетии, «Кавказский сборник», т. XIII, Тиф., 1899, с. II.

190 Блиев М. М. Русско-осетинские отношения (40-е гг. XVIII—30-е гг. XIX в). Орджоникидзе, 1970, с. 3.

თის მომავალი გეგმებისათვის ოსეთის უაღრესად დიდ მნიშვნელობას ძირითადად განაპირობებდა გზა, რომელიც დარიალის ხეობაზე გადიოდა და თბილისამდე მიემართებოდა. საქართველოსთან ამ გზით უშუალო კავშირი რუსეთისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში ბატონობისათვის. ამ გზით შეიძლებოდა რუსეთის საქართველოსთან დაკავშირება, რომელთაც კავკასიის მთები ჰყოფდა ერთმანეთისაგან. კარლ მარქსი თავის დროზე შენიშნავდა: „კავკასიის მთები სამხრეთ რუსეთს ჰყოფს რუსეთის მიერ მუსულმანებისაგან ბრძოლით მოპოვებული საქართველოს, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის უმდიდრესი პროვინციებისაგან. ამრიგად, გიგანტური იმპერიის ფეხები მოჭრილია ტანისაგან; ერთადერთი სამხედრო გზა, რომელიც ამ სახელოწოდებას იმსახურებს, გადის დარიალის ვიწრო ხეობაში და მიემართება მოზდოკიდან თბილისისაკენ; იგი დაცულია ციხე-სიმაგრეთა უწყვეტი ჯაჭვით, მაგრამ ორივე მხრიდან კავკასიელ ტომთა განუწყვეტელ თავდასხმებს განიცდის“[191]. გარდა ოსეთის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისა, რუსეთის მთავრობას ოსთა დასახლება უნდოდა თავის სამფლობელოებში — ყიზლარიდან მოზდოკამდე[192]. მეფის მთავრობამ იცოდა, რომ ოსეთში მიწების უკმარობა იყო და ცდილობდა ოსთა დაკმაყოფილებას მთიდან ბარში ჩამოსახლებით.

ჯერ კიდევ ადრე — 1762 წ. საგარეო საქმეთა კოლეგიამ ოსთა მთებიდან ბარში ჩამოსახლების საკითხი დააყენა სენატში. წარდგენილ იქნა ჩამოსახლების გეგმაც. იმავე წელს ეს გეგმა მოიწონეს და დაამტკიცეს[193]. 1763 წ. მოზდოკში ციხე-სიმაგრე იქნა აშენებული. ჩამოსახლებულებს მეფის მთავრობა ასაჩუქრებდა: ზედაფენების წარმომადგენლებს ათ-ათი, რიგითებს ხუთ-ხუთი მანეთით. ეძლეოდათ სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვრებიც. ახალჩამოსახლებულები სარგებლობდნენ სხვა პრივილეგიებითაც: ნება ჰქონდათ ბაჟის გარეშე პურით ევაჭრათ, გაეყიდათ ან გაეცვალათ ზედმეტი პროდუქტები მარილზე, ტილოზე, თევზზე და სხვ. ამ შეღავათებით ცდილობდა მეფის მთავრობა ოსების დაინტერესებას, რათა შედარებით მოკლე დროში მომზდარიყო მათი მთებიდან ბარში ჩამოსახლება. ეს მოვლენა ორივე მხარისათვის სასურველი იყო. მთიელთაგან კი განსაკუთრებით ოსები იყვნენ ამით დაინტერესებულნი. ადგილობრივი სამხედრო ხელისუფ-

---

[191] Маркс К. и Энгельс Ф., Соч., II изд., т. IX, М., 1957, с. 408.

[192] История Северо-Осетинской АССР, М., 1959, с. 132.

[193] Материалы по истории Осетии (XVIII в.). «Известия Сонии», VI, 1933, с. 295.

ლება ბარში ჩამოსახლებულებს მიწის დიდ ნაკვეთებს აძლევდა იმ პირობით, რომ ხვნა-თესვას მოკიდებდნენ ხელს და გააშენებდნენ ბაღ-ვენახებსაც.

რუსეთის მთავრობა მიისწრაფოდა ოსეთის თავის საზღვრებში მოქცევისაკენ, მაგრამ 1739 წ. ბელგრადის საშვიდობო ხელშეკრულების დარღვევას ერიდებოდა. 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი დასრულდა თურქეთის დამარცხებით. 1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით ყაბარდოს მიერ 1739 წ. ბელგრადის ხელშეკრულებით მიღებული „ნეიტრალიტეტი" გაუქმდა. ამ პერიოდში ოსეთის ზოგიერთი საზოგადოება კვლავ ყაბარდოზე დამოკიდებულად ითვლებოდა. ამიტომ, ყაბარდოს ნეიტრალიტეტის გაუქმებით, ოსეთი რუსეთთან შეერთებულად იქნა მიჩნეული[194].

ეს საკითხი გადაწყდა ქუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულებითა და აგრეთვე რუსეთ-ოსეთის 1774 წ. მოზდოკის მოლაპარაკების შედეგად[195]. ოსთა საზოგადოებები ერთიმეორის მიყოლებით იღებდნენ რუსეთისადმი ერთგულების ფიცს. მოსახლეობა გაქრისტიანების გზას დაადგა. ოსთა ბევრმა დიდებულმა მიიღო ქრისტიანობა.

ოს ფეოდალებს (ალდარებს) ქრისტიანობის მიღებისთანავე რუსეთის მთავრობის მითითებით ჩინები ეძლეოდათ, შესაფერისი ჯამაგირებით[196]. მეფის მთავრობა ამგვარად ცდილობდა ოსი ხალხის ზედაფენის წარმომადგენელთა რუსეთის მხარეზე გადმობირებას. მშრომელი მოსახლეობა კი ბუნებრივად იყო რუსეთისადმი კეთილად განწყობილი, რაც ძირითადად სათიბ-საძოვრებით დაინტერესებით იყო გამოწვეული. მეფის მთავრობის აქაური წარმომადგენლები მათ სხვა პრივილეგიებთან ერთად მიწის დიდ ნაკვეთებს ჰპირდებოდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მთის მოსახლეობა ბარისაკენ დაიძრა. მთიდან ბარში მასიურად ჩამოსახლების შედეგად, ჩრდილო ოსეთის მოსახლეობამ მკვეთრად გაიუმჯობესა ცხოვრების პირობები. ბარში ნოყიერი მიწებისა და უკეთესი ბუნებრივი პირობების შედეგად მოსახლეობამ კლებადობის ნაცვლად სწრაფი ტემპით იწყო მატება. საადგილმამულო რეფორმის წინ, 1869 წ. ჩრდილო ოსეთის მოსახლეობის რიცხვი 66 ათას სულამდე გაიზარდა, 1890 წ. კი 160 ათასი სული შეადგინა[197].

---

[194] История Северо-Осетинской АССР, с. 135.

[195] Блиев М. М. О времени присоединения народов Северного Кавказа к России. «Вопросы истории», № 7, 1970, с. 48.

[196] Бутков, П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 259.

[197] Магометов А. Х. Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, с. 39.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბარში ჩამოსახლებულები ხშირად მეზობელ ტომთა — ყაბარდოელთა, ყუმიყთა და სხვათა თავდასხმებს განიცდიდნენ. თავდასხმების დროს იტაცებდნენ პირუტყვს, ქონებას, ხშირად კი ტყვეებიც მიყავდათ. ყაბარდოელი თავადები ჩამოსახლებულ ოსთა მიერ დაკავებულ ვლადიკავკაზის დაბლობს თავის საკუთრებად თვლიდნენ და მასზე ოსების დასახლებას საკუთრების ხელყოფად მიიჩნევდნენ. ამის გამო ახლად ჩამოსახლებულებს ისინი თავიანთ ხელქვეითებად თვლიდნენ და მათგან გადასახადებს მოითხოვდნენ. ყაბარდოელი მფლობელები: მუდაროვები, ბეკოვიჩ-ჩერკასკები, ახლოვები და ანზოროვები — XIX ს. 30-იანი წლების ბოლომდე ახდევინებდნენ თერგის მარჯვენა მხარეს ბარში მცხოვრებ ოსებსა და ინგუშებს გადასახადებს მიწით სარგებლობისათვის[198]. ოსები და ინგუშები ამ გადასახადებისაგან რუსი სამხედრო ხელმძღვანელობის დახმარებით გათავისუფლდნენ XIX ს. 30-იანი წლების მიწურულში. დაბლობ ადგილებში ოსები მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნებით დასახლდნენ და ამიტომ არ არიან ვალდებულნი ყაბარდოელ მფლობელებს მიწით სარგებლობისათვის გადასახადები უხადონ[199].

1839 წ. ტუასულთანოვებმა ოსთა სოფელ ელხოტოვოს მცხოვრებთაგან 35 ათასი მანეთი მიიღეს, დესეტინა მიწაზე 1 მან. და 50 კაპ[200]. მოსახლეობას შესაძლებლობა არ ჰქონდა და ამ თანხის ნაწილი ხაზინამ გადაუხადა ტაუსულთანოვებს. ასეთსავე მდგომარეობაში იყო რუსთა ციხე-სიმაგრეებიდან მოცილებით მცხოვრები მოსახლეობაც. მთის აულის ქვედა ქარცის 10 კომლი 1810 წ. მთისძირას ჩამოსახლდა სუადაგში. ახალდასახლებულნი კარგად მოეწყვნენ ახალ აღგილზე. მაგრამ ყაბარდოელების, ინგუშთა და ხშირად თაგაურელ ფეოდალთა შეიარაღებული რაზმების თავდასხმების გამო იძულებულები გახდნენ მთაში, ძველ ადგილსამყოფელს დაბრუნებოდნენ. 1825 წ. ისინი კვლავ ჩამოსახლდნენ სუადაგში. ამჯერად მათი რიცხვი 100 კომლს აღემატებოდა. ზემოხსენებულ ფეოდალთა თავდასხმებს ახლა იშვიათი ხასიათი ჰქონდა. ახალჩამოსახლებულები მინდვრის სამუშაოებს შეიარაღებული რაზმის მეთვალყურეობის ქვეშ ასრულებდნენ თავდასხმის მოლოდინში.

აულ კარდიუსარის მოსახლეობა იმდენად ხშირად განიცდიდა მეზობელ ფეოდალთა შეიარაღებულ თავდასხმებს, რომ 15 წლის მან-

---

[198] Скитский Б. В. Хрестоматия по истории Осетии, ч. I, Орджоникидзе, 1956, с. 126.

[199] ЦГВИА, фонд 13454, опись 15, дело 609, л. 19.

[200] Берозов Б. П. Земельный вопрос и аграрное движение на Северном Кавказе в дореформенный период, Орджоникидзе, 1978, с. 4.

ძილზე მათ დაკარგეს 56 კაცი მოკლულთა სახით, 300-მდე პირუტყვი და 6000 ზვინი თივა[210]. 1803 წ. ჩამოსახლებულთა აული ირიკაუ მდებარეობდა რუსთა ციხე-სიმაგრის ახლოს, მაგრამ მოსახლეობაზე თავდასხმები მაინც იყო. ამ აულის მცხოვრებლებმა 1803—1820 წწ. შეიარაღებული თავდასხმების შედეგად 36 კაცი დაკარგეს მოკლულთა სახით, 73 დაიჭრა, 64 კი ტყვედ წაიყვანეს. გაიტაცეს 120 ცხენი, 600 ხარი, 3000 ცხვარი, დაწვეს უამრავი მარცვლეული და 15000 მარხილი თივა[202].

ასეთივე თავდასხმების ქვეშ უხდებოდათ ცხოვრება ახლად ჩამოსახლებულებს აულებში: ზამანყულში, ბათაყოიურთში, ქარჯინში და სხვ.

მიუხედავად თავდასხმებისა და მუდმივად შიშის ქვეშ ცხოვრებისა, ბარში ახლად ჩამოსახლებულები, მთასთან შედარებით, გაცილებით უკეთ გრძნობდნენ თავს. ისინი პირველად ამუშავებდნენ იმდენ მიწას, რამდენიც შეეძლოთ. ამ მხრივ მათ არავინ ზღუდავდა, მთაში მუდმივ სიღარიბეს შეჩვეულებს აქ იმდენი პური მოყავდათ, რომ მოსავლის დიდ ნაწილს ყიდიდნენ; ბაღები გააშენეს; გაიჩინეს ფუტკარიც. მალე ოსური კავი ძივირ-ი ხის მძიმე გუთნით — გუტონ-ით შეცვალეს. გუთანში 4—6 უღელ ხარს აბამდნენ და მიწას საკმაოდ ღრმად ხნავდნენ. შემდეგში, რეფორმის წინა პერიოდში, ხის გუთანი რკინის მსუბუქი გუთნით შეიცვალა. გაუმჯობესდა სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც: ცელი, ნამგალი და სხვ. უმეტეს შემთხვევაში მიწა ნასვენი იყო, იქ ჯერ გუთანს არ გაევლო და ამიტომაც მოსავალი მაღალი მოდიოდა. თესდნენ ხორბალს, ფეტვს, ქერს, ჭვავს, 1830-იანი წლებიდან სიმინდის თესვაც დაიწყეს. მოსავალი ოჯახსაც ყოფნიდა, პირუტყვისა და შინაური ფრინველებისათვისაც იყენებდნენ და მაინც ბევრი რჩებოდათ გასაყიდად. უნდა აღინიშნოს, რომ ბარის მოსახლეობა 1830-იან წლებამდე ხორბალს მთაში ეზიდებოდა გასაცვლელად, მთის მკვიდრთ საშუალება მიეცათ ახლო მდებარე დაბლობებში მოყვანილი მარცვლეულით დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მოთხოვნილებები. ადრე, მარცვლეულის შესაძენად მათ შორს უხდებოდათ წასვლა. ერთი სიტყვით, ბარის მოსავალი მთასაც აკმაყოფილებდა და ბარის მოსახლეობასაც.

1830-იანი წლებიდან ბარის მოსახლეობა ხორბლის გაყიდვას იწყებს[203].

ჩამოსახლებულებს იმდენი სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი

---

[201] Берозов Б. П. დასახ. ნაშრ., გვ. 5.
[202] იქვე, გვ. 6.
[203] აქტები, ტ. X, გვ. 681.

ჰქონდათ, რომ სოფლის საზოგადოების მიწები რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი. ყოველი მათგანის დამუშავება რიგრიგობით ხდებოდა. ერთ ნაწილს რომ ხნავდნენ, მეორეს საძოვრად ტოვებდნენ, მესამეს სათიბად იყენებდნენ. მეორე წელს სახნავს საძოვრად ტოვებდნენ, საძოვარს სათიბად, სათიბს სახნავად იყენებდნენ. მიწის ამგვარი შენაცვლებითი გამოყენებით გაცილებით უკეთესი მოსავალი მოდიოდა. ბარის მოსახლეობამ პირუტყვიც გაიჩინა. ახლადჩამოსახლებულს მთიდან თუ თითო-ოროლი ცხვარი, ერთი ძროხა, იშვიათად ცხენი ჩამოყვა, რამდენიმე წლის შემდეგ ძნელი მოსაძებნი იყო კომლი, რომელსაც 10—20 ცხვარი, ორი ძროხა, უღელი ხარი და ცხენი არ ჰყოლოდა[204]. ოსეთის ბარში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია მიწათმოქმედი მოსახლეობის ძირითადი მასის, მონა-ყმათა — კუმიაგების, ადამიხატების, ქავდასარდებისა და ფარსაგლაგების უმიწაწყლოდ დატოვება.

თანდათანობით მიწის დიდი ნაწილი ფეოდალურ საგვარეულოთა მფლობელობაში გადადის. ფეოდალები ყოველმხრივ ცდილობენ გლეხთა სრულ დაყმევებას, იზრდება ბეგარა და გადასახადები[205], რასაც თითქმის ადგილი არ ჰქონია მთაში. მიწის დიდ ნაწილს იტაცებენ: დიგორიაში — ტუგანოვები, კუბატიევები; თაგაურში — დუდაროვები, კუნდუხოვები, კანუკოვები, მამსუროვები, ალაგირისა და ქურთათის საზოგადოებებში — მაძაევები, ესიევები, დათიევები[206]. ამრიგად, მიწების ერთ მუჭა ფეოდალთა ხელში თავმოყრამ მკვეთრად გააძლიერა მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატაცია. გაწვავდა კლასთა ბრძოლა, რაც ხელს უწყობდა ბატონყმური ურთიერთობის რღვევას.

1840-იან წლებში ოსეთში იწყება ფერადი ლითონების საბადოთა დამუშავება. 1850 წ. აშენდა მთისწინა ოსეთში ვერცხლისა და ტყვიის ქარხანა. ქარხანაში ურალისა და ალტაის ქარხნებიდან გადმოსახლებული ყმა მუშების გვერდით ადგილობრივი მოსახლეობა მუშაობდა. მთიდან ბარში მოსახლეობის თითქმის 2/3 ჩამოსახლდა. რეფორმის წინ ჩრდილო ოსეთში სულ 78 ათასი სული ითვლებოდა, აქედან ბარში 49 ათასი სული ცხოვრობდა, მთაში კი 29 ათასი. ჩამოსახლებამ იხსნა მთის დასახლება სიმჭიდროვისა და მიწის უკმარისობისაგან. მათი მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა.

ბარში ჩამოსახლებულები თავიანთ მიწებს ყიდიდნენ ან იჯარით

---

[204] История города Дигора (макет), Орджоникидзе, 1972, с. 52.

[205] Скитский Б. В. Сословный вопрос в Северной Осетии во второй половине XVIII и в начале XIX вв., «Известия СОНИИ», т. XVI, Орджоникидзе, 1954, с. 73.

[206] Березов Б. П. დასახ. ნაშრ., გვ. 10.

უტოვებდნენ იქ დარჩენილ მეზობლებს. ხშირად მიწებს უტოვებდნენ ნათესავებს უსასყიდლოდ. მთა ჭარბი მოსახლეობისაგან განიტვირთა. ბარში ჩასოსულებმა შვება იგრძნეს. ჩამოსახლების შედეგად განსაკუთრებით დიდი შეღავათი მიეცა მთის აღმოსავლეთი ნაწილის — სანიბას, ყობანის, დარიალისა და ქურთათის ხეობათა მოსახლეობას, საიდანაც ძირითადი მასა გადმოვიდა ბარში საცხოვრებლად. კვლავ მჭიდრო დასახლება დარჩა თაგაურის, დიგორისა და განსაკუთრებით ალაგირის საზოგადოებაში[207].

ამრიგად, ჩამოსახლებამ შუდმივი გაჭირვებისაგან იხსნა როგორც მთაში დარჩენილი მოსახლეობა, ასევე ბარში დასახლებულებიც.

ბარში ჩასახლებულები ყოველთვის, განსაკუთრებით მოუსავლიან წლებში, ამარაგებდნენ მთის მოსახლეობას ხორბლით. მოუსავლიანი წლები კი მთაში ხშირი იყო. თუ მოსავალი საშუალო ან კარგი იყო, მაინც სამ-ოთხ თვეს ყოფნიდათ, რვა-ცხრა თვის სარჩო სადმე უნდა ეშოვნათ — შეეძინათ. ახლა მთაში დარჩენილ მოსახლეობას შორს აღარ უხდებოდა საჭირო ხორბლისა და სხვა პროდუქტების შესაძენად სიარული. ერთი სიტყვით, ბარში ჩამოსახლებით მშრომელი მოსახლეობა წელში გაიმართა. სამხედრო ხელმძღვანელობა ადგილობრივი ფეოდალური წრეების მხარდაჭერით ცდილობდა ოსეთის მთლიანად რუსეთის პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოქცევას. გათამამებულმა ფეოდალებმა გააძლიერეს გლეხთა ექსპლოატაცია. გლეხებს ორმაგი უღელი დააწვათ. რუსეთთან ურთიერთობის დამყარებამდე ისინი ალდარ-ბადელიატების მსახურები და ხელქვეითები იყვნენ, რუსეთთან შეერთების შემდეგ კი რუსთა ბეგარაც დაემატა მშრომელ ხალხს. ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ 1770-იანი წლებიდან გლეხთა უკმაყოფილებამ იჩინა თავი. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიგორის ხეობის გლეხთა აჯანყება 1781 წ. დიგორი, ფაქტიურად, XVIII ს. 80-იანი წლების დასაწყისამდე არ იყო შეერთებული რუსეთთან.

1774 წ. დიგორის ხეობის მოსახლეობას არ მიუღია რუსეთისადმი ერთგულების ფიცი. ამ წელს თაგაურის, ქურთათისა და ალაგირის მოსახლეობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მოზდოკში რუსეთთან მოლაპარაკებაში. დიგორელ ხალხს არ მიუღია მონაწილეობა მოლაპარაკებაში. რუსეთის წარმომადგენლები მეტ ყურადღებას აქცევდნენ თაგაურს, ქურთათსა და ალაგირს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილმდებარეობის გამო. დიგორს კი ამ მხრივ ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. გარდა ამისა, დიგორის მოსახლეობა უფრო მეტად იყო დამოკიდებული ყაბარდოელ მფლობელებზე, ვიდრე

---

[207] Берозов Б. П. დასახ. ნაშრ., გვ. 11.

ზემოხსენებული სამი საზოგადოება. რუსეთის ხელისუფლება ერიდებოდა ყაბარდოელთა ზედმეტად გაღიზიანებას დიგორელთა საქმეებში ჩარევით[208]. დიგორელები რუსეთის ქვეშევრდომებად არ თვლიდნენ თავს. ამიტომ დიგორელი ბადელიატები თვითნებურად ეწეოდნენ გლეხთა ექსპლოატაციას. გლეხობა ჩიოდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და თხოულობდა დახმარებას.

სამხედრო ხელმძღვანელობამ ვერ გაილაშქრა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, გლეხობამ ვერ მიიღო მხარდაჭერა. 1781 წ. დიგორის გლეხთა უკმაყოფილება აჯანყებაში გადაიზარდა. გლეხებმა უარი თქვეს ბადელიატებისა და ყაბარდოელი თავადების გადასახადებზე. პროტესტის ნიშნად უარყვეს მაჰმადიანობა და მასობრივად ქრისტიანობა მიიღეს. ამით ისინი ფიქრობდნენ რუსეთისაგან დახმარების მიღებას.

რუსეთის წინააღმდეგ განწყობილმა დიგორის ბადელიატებმა გლეხთა უკმაყოფილება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. აჯანყებულთა ძალებით უნდოდათ დიგორის ხეობაში გამავალი გზის ჩაკეტვა, რათა რუსეთის წარმომადგენლებთან არ ჰქონოდათ ურთიერთობა. გლეხობა რუსეთის ერთგული რჩებოდა. მათ რუს ოფიცერს — შტედერს თხოვეს დახმარება. ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევით ბადელიატებსა და გლეხობას შორის მოლაპარაკების შედეგად დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც:

ფიცი უნდა დაედოთ რუსეთის ერთგულებაზე;

ბადელიატთა ყველა მონა-ყმა უნდა გაეშვათ; თვითნებურად მითვისებული მიწები უნდა ჩამორთმეოდათ. ძალით დაკავებული პირუტყვი და იარაღი, თუკი მოიძებნებოდა, უკან უნდა დაებრუნებინათ;

ბადელიატებს გადასახადებს მისცემდნენ ძველი ჩვეულების მიხედვით. მათ არ შეეძლოთ თავისი სოფლებიდან გადასახადი მოეთხოვათ შეთანხმების პუნქტთა ზუსტ შესრულებამდე, შემდეგ კი ისინი კვლავ ისარგებლებდნენ თავიანთი პრივილეგიებით[209].

დიგორელ გლეხთა აჯანყების შედეგად 1781 წ. 20 ივლისს 3000-ზე მეტი კაცი რუსეთის ქვეშევრდომი გახდა[210]. დიგორის 47 სოფელმა მიიღო ერთგულების ფიცი. ამრიგად, დიგორელ გლეხთა ბადელიატების წინააღმდეგ აჯანყებას დიდი და დადებითი შედეგი მოჰყვა. დიგორი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. შეთანხმების დარჩენილი მუხლები, რა თქმა უნდა, ბადელიატებს არ შეუსრულებიათ. ოსების ძირითადი მოსახლეობა რუსეთის ერთგული რჩებოდა. ოსებმა არც შეიხ მანსურს დაუჭირეს მხარი 1785—1786 წწ., როცა მან თურქეთის მიერ

---

[208] Блиев М. М. Указ. трду., с. 252—253.

[209] იქვე. გვ. 256—257.

[210] იქვე.

წაქეზებული, რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობილი ჩრდილო კავკასიის ზედაფენები დარაზმა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ცრუწინასწარმეტყველს უნდოდა თავისი დროშის ქვეშ ჩაეთრია მთელი მაჰმადიანური მოსახლეობა და გაემაჰმადიანებინა სხვა მთიელი ტომები, რომლებიც აქამდე ამ რელიგიას არ ეკუთვნოდნენ. მისი მოწაფეები, ემისრები ოსებთან გამოცხადდნენ და მათ თავიანთ მხარეზე გადმობირებას ცდილობდნენ. ოსები არ აჰყვნენ ჩეჩენ წინასწარმეტყველის მოძღვრებას“[211]. ოსი გლეხობა რუსეთის ხელისუფლებისაგან მოელოდა შველას და ერთგულების ფიცს არ ღალატობდა. ოსეთის ზედაფენების ნაწილი იყო რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ განწყობილი, რადგან მათ დაკარგეს ზოგიერთი პრივილეგია. განსაკუთრებით თაგაურის მამასახლისები იყვნენ უკმაყოფილონი. ისინი ხშირად თავს ესხმოდნენ გზაზე მიმავალ ოფიცრებს, ვაჭრებსა და სხვა მოხელეებს. ხშირი იყო ძარცვაც. იყო შემთხვევები, როცა ტყვედ მიყავდათ. აუცილებელი იყო საქართველოს სამხედრო გზის გამაგრება ბალთასა და ლარსში. საჭირო იყო აგრეთვე ოსეთ-საქართველოს საზღვარზე სიმაგრეთა აშენება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა გზაზე მშვიდობიან მიმოსვლას. 1802 წ. საქართველოს მთავარსარდლად გენ. კნორინგის ნაცვლად გენ. პ. ციციანოვი დაინიშნა. მან ენერგიულად მოკიდა ხელი საქართველოსა და ოსეთში რუსეთისათვის სასარგებლო წესრიგის დამყარებას. თავისი პრაქტიკული საქმიანობა საქართველოდან ბაგრატიონთა სამეფო ტახტის შთამომავალთა რუსეთში გადასახლებით დაიწყო. დიდ ყურადღებას აქცევდა ოსების რუსეთისადმი ერთგულების საკითხს, რისთვისაც პირველ რიგში საქართველოს სამხედრო გზაზე წესრიგის დამყარება განიზრახა. საქართველოს სამხედრო გზაში ციციანოვი მარტო სტრატეგიულ ობიექტს არ ხედავდა. ის ხაზს უსვამდა მის ეკონომიკურ მნიშვნელობას ვაჭრობის განვითარებისა და ჯარის სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმეში[212]. 1803 წ. თებერვალში ციციანოვმა ალექსანდრე პირველს საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის პროექტი გაუგზავნა. პროექტით მთელ გზაზე — მოზდოკიდან საქართველოს საზღვრამდე სამხედრო ციხე-სიმაგრეები და ავანპოსტები უნდა აშენებულიყო. გათვალისწინებული იყო მუდმივი საგუშაგოებიც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრესა და ბალთის სანგარს ენიჭებოდა. ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრე უნდა გამხდარიყო ძირითადი რგოლი ოსეთში რუსეთისათვის

---

[211] Дубровин Н. Ф. История войн и владычества русских на Кавказе, т. II. Спб., 1871, с. 105.

[212] Блиев М. М. Указ. труд., с. 291.

ესოდენ აუცილებელი და საჭირო ნორმალური ვითარების შექმნისა და განმტკიცებისათვის. რაც შეეხება კავკასიის ხეობის დასაწყისში მდებარე ბალთის ციხე-სიმაგრეს, ის თაგაურელ მამასახლისთა ხელში იყო. ისინი ხშირად რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდნენ და ამის გამო ციციანოვმა გადაწყვიტა იქ ორი ზარბაზნით შეიარაღებული სამხედრო რაზმი დაეყენებინა თაგაურელთა დასაშინებლად და საერთოდ ხეობაში მუდმივი წესრიგის დასამყარებლად[213].

ციციანოვი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა რუსეთში ძალით გადასახლებას შეუდგა, რამაც ქართველ თავად-აზნაურთა უკმაყოფილება და კვლავ რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო განწყობილება გამოიწვია. ციციანოვის მოღვაწეობით არც თაგაურელები იყვნენ კმაყოფილნი. ქართველ თავად-აზნაურთა უკმაყოფილებას თაგაურელთა უკმაყოფილება დაემატა. ორივე მხარეში რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედება დაიწყო.

ციციანოვმა თაგაურელი ოსებისაგან შემდგარი საფოსტო რაზმის შექმნა გადაწყვიტა, რომელიც გზაზე სიმშვიდეს უზრუნველყოფდა. ამ რაზმის უფროსი საქართველოს ცნობილი ფეოდალი ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი უნდა ყოფილიყო[214]. ყაზიბეგს დიდი გავლენა ჰქონდა თაგაურელებზე და ამდენად, მისი გადმობირება აუცილებელი იყო, თუკი რაიმე საბრძოლო მოქმედებას ექნებოდა ადგილი. ყაზიბეგის თაოსნობით გზაზე შედარებით მშვიდობიანი მიმოსვლა დაიწყო. ციციანოვმა ალექსანდრე პირველს აცნობა ყაზიბეგის რუსეთისადმი ერთგულება, მისი საქმიანობის შედეგად გზაზე რუსეთის ოფიცრებსა და სხვა მოხელეებს არავითარი წინააღმდეგობა აღარ ეღობებოდათ წინ. ხიდებზე გადასვლაც ბაჟის გარეშე ხდებოდა. ერთი სიტყვით, ციციანოვის იმპერატორისადმი მიმართვაში ხაზგასმული იყო საქართველოს სამხედრო გზაზე სიმშვიდის დამყარება[215]. სინამდვილეში თაგაურელები უკმაყოფილონი იყვნენ. უკმაყოფილების მიზეზი იყო ციციანოვის მიერ გზაზე რუსეთის ოფიცრებისა და სხვა მოხელეთაგან ბაჟის გადახდევინების აკრძალვა. ბაჟს ახდევინებდნენ მხოლოდ ვაჭრებს, ისიც შემცირებული ტარიფით.

თაგაურის მამასახლისები რუსეთის პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას აღარ მალავდნენ. მალე ციციანოვმაც შეიტყო თაგაურელ თავკაცთა კავშირი ქართველ ბატონიშვილებთან. იმ ხანებში ციციანოვმა დედოფალ მარიამის რუსეთში გადასახლება გადაწყვიტა. გზა კი მხოლოდ დარიალის ხეობაზე გადიოდა. თუკი დედოფალ მარიამის გადასახ-

---

[213] აქტები, ტ. II, გვ. 225—231.

[214] აქტები, ტ. I, გვ. 225.

[215] იქვე.

ლება გადაწყდებოდა, მისი წინასწარი თხოვნით თაგაურელებს გზა უნდა გადაეკეტათ და დედოფალი მარიამი ბადრაგთან ერთად არ გაეშვათ. ამის გასამრჯელოდ დედოფალმა მარიამმა თაგაურელ მამასახლისებს წინასწარ 1000 მანეთი გაუგზავნა და სხვა საჩუქრებსაც შეჰპირდა. ციციანოვმა ყოველივე ეს დროზე შეიტყო. მან ისიც კი დაადგინა, რომ ახმედ დუდაროვს კვლავ ქართველ ბატონიშვილებთან ჰქონდა კავშირი. ბატონიშვილი იულიონი და სხვა რუსეთის პოლიტიკის მოწინააღმდეგე აზნაურები ქუთაისში შეხვდნენ ახმედ დუდაროვს. დუდაროვის დახმარებით ისინი საიდუმლოდ თაგაურსა და დიგორიაში, კერძოდ კი, ჩმის რაიონში უნდა მოხვედრილიყვნენ. ქართველ ბატონიშვილებს უნდოდათ ხსენებულ ადგილებში მცხოვრებ ოსთა დახმარებით საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელი გზა აეოხრებინათ. ჩრდილო ოსეთიდან მათ განზრახული ჰქონდათ დაღესტანში, იქიდან კი ირანში გადასვლა[216]. ქართველ ბატონიშვილთა ეს გადაწყვეტილება ცნობილი გახდა ციციანოვისათვის. იგი უკვე აღარ ენდობოდა თაგაურელებს. მას გადაწყვეტილი ჰქონდა თერგზე სტეფანწმინდიდან ბალთამდე რამდენიმე ხიდი აეგო[217].

1803 წ. ზაფხულში ბატონიშვილები ფარნაოზი და იულონი ახმედ დუდაროვის დამხარებით დიგორის ხეობაში ჩავიდნენ. აქ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ვერც ალაგირისა და ქურთათის მოსახლეობაში პოვეს მხარდაჭერა. იმავე წლის ოქტომბერში თაგაურში შავი ჭირი გავრცელდა. მოსახლეობა მთაში გაიხიზნა. გზაზე ინგუშებმა იწყეს თავდასხმები. აუცილებელი გახდა მკაცრი ზომების მიღება, რათა გზაზე ძალადობა და ძარცვა აღკვეთილიყო. საჭირო იყო საჩქაროდ საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის დაწყება.

ციციანოვმა კვლავ შეახსენა ალექსანდრე პირველს, რომ როგორმე გამოერნახათ თანხები ხსენებული გზის მშენებლობისათვის. ამჯერად იგი მშენებლობის დაწყებისათვის 70 ათას მანეთს ითხოვდა. მთავრობამ 71028 მანეთი გამოყო თაგაურის ხეობაში გზის მშენებლობის საჩქაროდ დასაწყებად. დამატებით უნდა გამაგრებულიყო ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრეც. ციციანოვმა თაგაურის მამასახლისთან, მაჰმად დუდაროვთან შეთანხმებით სოფელ ლარსის მოსახლეობა ბარში გადაასახლა. ამ დამსახურებისათვის მაჰმად დუდაროვს 1804 წ. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კაპიტნის წოდება მისცეს და 350 მანეთი პენსია დაუნიშნეს წელიწადში[218].

საქართველოს სამხედრო გზაზე თანდათან სიმშვიდე მყარდებო-

---

[216] Блиев М. М. Указ. труд., с. 293.
[217] აქტები, ტ. II, გვ. 128.
[218] იქვე, გვ. 230.

და. პარალელურად იზრდებოდა უკმაყოფილოთა რიცხვი, რომელთა სათავეში ქართველი ბატონიშვილები — ალექსანდრე, ფარნაოზი, იულონი და სხვები იყვნენ. მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკით განაწყენებულთა საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთ-ირანის საომარი მოქმედების დროს.

1804 წ. გზაზე კვლავ არეულობა დაიწყო. თაგაურელი მამასახლისები ბარცავდნენ ვაჭრებს, ხშირად ტყვედ მიყავდათ. 1804 წ. გაძარცვეს და დაატყვევეს სომეხი ვაჭრები. ეს იყო რუსეთის საწინააღმდეგო აშკარა პრაქტიკული საქმიანობა. ციციანოვის უშუალო ჩარევით სომეხი ვაჭრები გაათავისუფლეს, მაგრამ წართმეული ქონება არ დაუბრუნეს. თაგაურის მამასახლისებსა და ციციანოვს შორის ურთიერთობა დაიძაბა. თაგაურის მოსახლეობას აეკრძალა საქართველოსა და მოზდოკში გადასვლა. ციციანოვის უკმაყოფილებას დაერთო სამხრეთ ოსეთის თანაგრძნობა თაგაურელი მამასახლისებისადმი[219]. გააქტიურდა ახმედ დუდაროვიც. მან ქართველ ბატონიშვილებს სთხოვა საერთო ძალებით ემოქმედათ რუსეთის წინააღმდეგ. ბატონიშვილებიდან განსაკუთრებით ალექსანდრე იყო რუსეთის დაუძინებელი მტერი, რომელიც საჩქაროდ გამოეხმაურა ახმედ დუდაროვის თხოვნას და თავისი ძმის ხელით თაგაურელ ფეოდალებს ოქრო გაუგზავნა[220]. ახმედ დუდაროვს მხარს უჭერდა ირანის ფეტხ-ალი შაჰიც.

ახმედ დუდაროვი რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილოთა მეთაურად იქცა. 1804 წ. ბოლომდე საქართველოს სამხედრო გზასა და მის მახლობლად სამხედრო ნაწილებსა და სხვა დამხმარე საინტენდანტო სამსახურის დანაყოფებზე თავდასხმები არ შეწყვეტილა. ასეთ ვითარებაში, თაგაურში გლეხთა უკმაყოფილებამ იჩინა თავი.

1804 წ. მაისის ბოლოს, ახმედ დუდაროვის თაოსნობით, თაგაურელებმა ლარსის სამხედრო ავანპოსტს ალყა შემოარტყეს. მცირერიცხოვან რაზმს, რომელსაც მაიორი შჩეგოლევი მეთაურობდა, ძალა არ ეყო თავდაცვისათვის. სურსათ-სანოვაგის მიღება შეუწყდათ. რაზმი შიმშილობდა. საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლა შეწყდა. კავშირს ამიერკავკასიასა და რუსეთს შორის, საიდუმლოდ, ერთგული ოსების საშუალებით ახერხებდნენ. ახმედ დუდაროვს მხარს უჭერდნენ და მატერიალურად ეხმარებოდნენ ბატონიშვილები, რომლებიც პერიოდულად მოითხოვდნენ აჯანყებულებისაგან გზების შეკვრას, რათა სამხედრო ნაწილები არ გაეშვათ საქართველოსაკენ.

კავკასიის ხაზის უფროსის გენერალ გლაზენაპის აზრით საჭირო

---

[219] აქტები, ტ. II, გვ. 552—553.

[220] Блиев М. М. Указ. труд, с. 296.

იყო ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრის გამაგრება. აქ უნდა გადმოეყვანათ სამხედრო შენაერთები, რათა გზაზე მიმოსვლა და, რაც მთავარია, კავშირი აღმდგარიყო რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის. ციციანოვის მიერ მოსყიდული ყაზიბეგი კვლავ რუსეთის ერთგული რჩებოდა. მის ციხე-სიმაგრეს — სტეფანწმინდას თავს აფარებდნენ გზის მშენებლობის 34 რუსი მუშა და რამდენიმე ფეოდალი, რომლებიც აჯანყებულებს არ უჭერდნენ მხარს. სტეფანწმინდის ციხე-სიმაგრეზე თავდასასხმელად აჯანყებულთა რაზმი გაემართა. მათ სამხრეთ ოსების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. შეუერთდნენ ახლო მცხოვრები ხევსურები და მთიულებიც. აჯანყებულთა რიცხვი 3000 აღწევდა. მათ აიღეს სტეფანწმინდის ციხე-სიმაგრე. შიგ ნყოფნი დაატყვევეს. აჯანყებულებმა დროებით გამარჯვებას მიაღწიეს. ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრეში გადმოყვანილ იქნა რამდენიმე ასეული, რის გამოც თავდასხმა ვეღარ გაბედეს აჯანყებულებმა. ოსეთისაკენ სამხედრო ნაწილები დაიძრნენ. მათ იოლად დაძლიეს აჯანყებულთა ძალები. აჯანყებამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ციციანოვის ენერგიული მოქმედებით აჯანყება ჩაქრობილ იქნა.

1804 წ. 26 ოქტომბერს ციციანოვმა ბრძანება გამოსცა — „თაგაურის ყველა მამასახლისს და ხალხს". ბრძანებაში მოხსენებული იყო თაგაურელთა მიერ ჩადენილი ცარიზმის საზიანო საქმიანობა. ციციანოვი იმუქრებოდა, რომ თუ არ იქნებოდნენ ერთგულნი და სამუდამოდ არ დაანებებდნენ ურჩობას თავს, განადგურდებოდნენ სამხედრო ნაწილების მიერ. გარდა ნუქარისა, იგი ჰპირდებოდა, რომ უფლება ექნებოდათ რუსებთან ვაჭრობისა; უფასოდ მოამარაგებდნენ მარილით. გზაზე ლარსიდან ყაზბეგამდე ბაჟის აკრეფის ნებართვას მიიღებდნენ: ფეხით მოსიარულეთაგან 1 მანეთს, ცხენოსნიდან — 2 მანეთს. ასეთსავე ნორმებს აწესებდა ლარს-ვლადიკავკაზის გზაზეც[221]. თაგაურში სამხედრო ნაწილები შევიდნენ. ციციანოვი მოითხოვდა მოსახლეობას პატიება ეთხოვა, დაებრუნებინა გზებზე სხვადასხვა დროს მიტაცებული ქონება, დაენგრია კოშკები და თითოეული ოჯახიდან მძევალი წარედგინა[222]. ციციანოვის სამხედრო ექსპედიციამ სამხრეთის ოსებიც შეაშინა. ბევრი სოფელი და დასახლებული პუნქტი ააოხრა და ბევრიც გადაწვა. ციციანოვის ვერაგულად მოკვლის შემდეგ, საქართველოში დიდი გამოცდილების მქონე, 70 წლის გენერალ გულლოვიჩი გამოგზავნეს. წინამორბედებთან შედარებით იგი ლმობიერი და ზოგიერთ ეკონომიკური ხასიათის საკითხში დამთმობიც იყო. ოსეთის ფეოდალებთან დათმობა-

---

[221] აქტები, ტ. II, გვ. 555.

[222] Блиев М. М. Указ. труд. с. 308.

ზე წავიდა; ვაჭრებისათვის გზაზე გასავლელი ბაჟი 10 მანეთამდე გაზარდა. ბაჟს იხდიდა სამხედრო მოსამსახურე და რუსეთის სხვა მოხელეებიც დაბალი ტარიფით და სხვ. მიუხედავად ამისა ქართველი ბატონიშვილების წაქეზებით ჩრდილო ოსეთში სრული და საიმედო სიმშვიდე არც შემდეგში დამყარებულა. 1812 წ. თებერვალში კახეთში გლეხთა აჯანყება დაიწყო. მალე კავკასიის ბევრ ადგილას იფეთქა გლეხთა გამოსვლებმა. აჯანყებამ მოიცვა საქართველოს სამხედრო გზის სამხრეთი მხარე[223].

1812 წ. ბოლოს კახეთის აჯანყება ჩაქრობილ იქნა. მალე თითქმის მთელ კავკასიაში სიმშვიდე ჩამოვარდა.

1822 წ. კავკასიის მთავარსარდალმა გენ. ერმოლოვმა ოსების მთიდან ბარში ორგანიზებული ჩამოსახლება გადაწყვიტა. თაგაურთა საზოგადოებას მიწები გამოეყოთ მდ. თერგსა და მდ. მაირამადაგს შორის, ქურთათის საზოგადოებას — მდ. მაირამადაგსა და მდ. არდონს შორის, ალაგირის საზოგადოებას — მდ. არდონსა და მდ. კრუპს შორის. დიგორელებს მიწები მიეცათ ფეოდალთა საგვარეულოების მიხედვით, თუგანოვებს — მთიდან მდ. რაზბუნამდე. კუბატიევებს მდ. დურ-დურიდან მდ. ბელაიას შესართავამდე, უზუხში მცხოვრებ კუბატიევებს, კამანოვებსა და ყარაჯაევებს მდ. ბელაიას მარჯვენა ნაპირი მდ. კრუპსამდე.

ზემოხსენებულ ადგილებში მთიდან ჩამოსახლება XIX ს. 20—30-იან წლებში მოხდა. თერგის მარცხენა ნაპირზე გაჩნდა ხუტორი ბალთა. აული კარდიუ და სხვ[224]. ქურთათელებმა წარმოქმნეს სოფელი სუადაგი, ზემო და ქვემო ყადგარონი. ალაგირელებმა — სოფელი სალუგარდანი და არდონი[225].

დიგორში XVIII ს. ბოლო მეოთხედში მიწების პირველი გამიჯვნისას ბადელიატებმა, თუგანოვებმა, კუბატიევებმა და ყარაჯაევებმა მიწის დიდი ნაკვეთები იგდეს ხელთ. 1830-იან წლებში მათი მიწების ფართობი განისაზღვრა და დამტკიცდა ხელისუფლების მიერ. 1837 წ. თუგანოვებს დიგორის ბარში მიეცათ 19790 დეს. მიწა[226]. თაგაურელ ფეოდალთაგან მხოლოდ დუდაროვებმა მიიღეს 1804 წ. 5496 დეს. მიწა.

XIX ს. 30—60-იან წლებში თაგაურიდან გადასახლებულთა მიერ ბარში შეიქმნა სოფლები: 1833 წ. — ზამანკული, 1837 წ. — ელხოტო-

---

223 ჩრდილოეთ მხარეს უკმაყოფილება სუფევდა, მაგრამ ელადიკავკაზის ციხე-სიმაგრე აკავებდა ამკარა გამოსვლებს.

224 История Северо-Осетинской АССР..., с. 11.

225 იქვე.

226 აქედან შემდეგში მთავრობამ სტანიცა ნიკოლაევსკაიასათვის შეისყიდა 6287 დესეტინა.

ვო, 1844 წ. — ბატაკაიურტი, 1847 წ. — ბესლან თულათოვი, 1855 წ. — ზილგი. 1864 წ. — დარგ-კოხი და ოლგინსკაია. ჩამოსახლებულებს ბარში უკეთესი პირობები ჰქონდათ, მაგრამ თანდათანობით მძიმდებოდა მათი ფეოდალური ექსპლოატაცია. პარალელურად ძლიერდებოდა ცარიზმის კოლონიალური ჩაგვრაც. მატულობდა მშრომელი ხალხის უკმაყოფილება. ხელისუფლება სრულებითაც არ ფიქრობდა გლეხთა პირობების გაუმჯობესებაზე, რასაც ოსთა ზედაფენებიც არ მალავდნენ[227]. ფეოდალთა წაქეზებით თაგაურის მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდა[228], საქართველოს სამხედრო გზაზე თავდასხმებს მოუხშირეს. 1829 წ., რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით, თაგაურის ალდარებმა კვლავ რუსეთის წინააღმდეგ იწყეს გამოსვლები. ღელავდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე, 1830 წ. სამხრეთ და ჩრდილო ოსეთში დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნა გადაწყდა. კავკასიის მთავარსარდლის პასკევიჩის მითითებით სამხრეთ ოსეთში დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა გენ. რენენკამპფის ხელმძღვანელობით. სამხედრო ნაწილებმა მთლად ააოხრეს სამხრეთ ოსეთი. რამდენიმე კაცი ციმბირში გადაასახლეს. სამხრეთ ოსეთი ოთხ სამოურავოდ დაიყო. სამოურავოებს ახლად დანიშნული ბოქაულები მართავდნენ. ჩრდილო ოსეთში დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა გენ. აფხაზოვის ხელმძღვანელობით, რომელსაც მთავრობის სამსახურში მყოფი ალდარები დაეხმარნენ. ალდართა ნაწილი ბესლან შანაევის ხელმძღვანელობით მოსახლეობის აჯანყებას ცდილობდა. გენ. აფხაზოვი გლეხებს პატიებას შეჰპირდა, თუკი დაიშლებოდნენ და სახლებში დაბრუნდებოდნენ. აჯანყებული გლეხები დაიშალნენ. მათი ძალები საგრძნობლად შესუსტდა. გენ. აფხაზოვთან გამოცხადდნენ ალდარები — კუნდუხოვი, ესენოვი, ბეტა კანოკოვი და მთავარი მეამბოხე ბესლან შანაევი. მიუხედავად ამისა, ექსპედიცია აოხრებდა აულებს. განადგურებულ იქნა თაგაურის რამდენიმე სოფელი და ზოგიერთი აული ქურთათის ხეობაში. ბესლან შანაევი გადაასახლეს ციმბირში. თაგაურის ალდარებს ჩამოერთვათ გზებზე ბაჟის აღების უფლება. გავლენიანი გვარებიდან მძევლები აიყვანეს.

1830—1831 წწ. სამხედრო ექსპედიციის შემდეგ თაგაურსა და დიგორის მთის ნაწილში ადგილობრივი მმართველობა იქნა შემოღებული, რომლის სათავეში ბოქაული იდგა. ბოქაული ოთხი თანაშემწისა და ცალკეულ ხეობებსა და სოფლებში დანიშნულ მამასახლისთა დახმარებით მართავდა საბოქაულოს. მეფის მთავრობა ოსეთში თავისი ხელისუფ-

---

[227] აქტები, ტ. IV. გვ. 446.

[228] Чудинов В. Окончательное покорение Осетии, «Кавказский Сборник», т. XIII, Тиф., 1889, с. 81.

ლების გამაგრებას ცდილობდა. 1832—1837 წწ. ოსეთის ბარში კაზაკთა ოთხი სტანიცა — ზმეისკაია, ნიკოლაევსკაია, არდონსკაია და არხონსკაია შეიქმნა, სადაც ვლადიკავკაზის პირველმა პოლკმა დაისადგურა. ამიერიდან ოსეთში სამხედრო პოლკი იდგა მუდმივად. სიმშვიდე დამკვიდრდა. ოსეთის მშრომელი მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის დახმარებით ცდილობდა ბარში ჩამოსახლებას და შემდეგ ფეოდალთა შევიწროებისაგან თავის დაღწევას. ამიტომ იყო, რომ ოსი ხალხი რუსეთთან კავშირისაკენ მიისწრაფოდა და ყოველთვის ერთგული იყო მიცემული ფიცისა. ოსთა ზედაფენის ნაწილი იყო რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ განწყობილი და ხშირად უარყოფდა მიცემულ ერთგულების ფიცს. ფეოდალთა ნაწილი, რომლებმაც რუსეთის ხელისუფლებისაგან სამხედრო წოდება, პენსია ან სხვა შეღავათი მიიღეს, რუსეთის ერთგულ სამსახურს ეწეოდა.

სწორედ რუსეთთან შეერთების უშუალო შედეგი იყო ოსების მთიდან ბარში ჩამოსახლება, რითაც მოსახლეობამ არა მარტო ეკონომიკური პირობები გაიუმჯობესა, არამედ საუკუნეთა მანძილზე ყოველმხრივი ჩამორჩენილობაც დაძლია.

ბარში ჩამოსახლებამ ბიძგი მისცა ჩრდილო ოსეთში კულტურის განვითარებასაც. 1836 წ. ვლადიკავკაზში გაიხსნა ოსური სასულიერო სასწავლებელი. ამ სკოლაში, აგრეთვე რუსეთსა და საქართველოში, აღიზარდნენ ოსეთის ინტელიგენციის პირველი წარმომადგენლები. 1850—1860-იან წლებში ჩრდილო ოსეთში იხსნება დაწყებითი სამრევლო სკოლები, რომელთა რიცხვი 1869 წლისათვის 20-ზე მეტს შეადგენდა. 1864 წ. მოზდოკში გაიხსნა პირველი ოსური სკოლა, 1848 წ. — პირველი ქალთა სკოლა, 1864 წ. კი მეორე ასეთივე სკოლა აშენდა. ოსთა ბარში ჩამოსახლებამ, აქ მიწის საკმარისი რაოდენობით მიღებამ განაპირობა მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარება. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირს, რაც თავის მხრივ თანდათანობით საფუძველს აცლიდა ოსეთში არსებულ პატრიარქალურ, კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობას.

§ 3. ჩეჩნეთის ურთიერთობა რუსეთთან

ოსების აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ ვაინახები (ინგუშები და ჩეჩნები), რომელთა ტერიტორია ყუმიყეთის ბარამდე იყო გადაჭიმული. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ჩეჩნეთის ოკრუგი თერგის ოლქის ყველა ოკრუგს აღემატებოდა.

აქ ცხოვრობდნენ ერთმანეთის მონათესავე ტომები, რომლებიც მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენ. ძველი ადმინისტრაციული დაყოფით ჩეჩნების შემადგენლობაში შედიოდნენ აუხოს, არღუნის, იჩკერიის, ჩეჩნეთისა და ნაზრანის ოკრუგთა საზოგადოებები[229].

ისინი ჩეჩნურ ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ყველას ჩეჩნებს არ უწოდებდნენ. ჩეჩნებს უკავია ქვემო არღუნისა და სუნჯის მიდამოების მნიშვნელოვანი ადგილი, ამიტომ მისი მოსახლეობის სახელს — ჩეჩნებს უწოდებენ ხშირად მთელ ქისტურ მოსახლეობას[230].

ჩეჩნეთს ჩრდილოეთით მდინარე თერგი ჰყოფდა რუსეთის სტანიცებისაგან. სამხრეთ საზღვარს კავკასიის ქედის ხერხემალი წარმოადგენდა.

ჩეჩნეთის ბარში ნოყიერი და მიწათმოქმედებისათვის საუკეთესო ნიადაგი იყო. მცირეოდენი შრომით კარგი მოსავალი მოდიოდა. ნიადაგი ზედმიწევნით კარგი იყო მებაღეობისთვისაც[231]. მიწათმოქმედების, მებაღეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას ხელს უწყობდა მდინარეები, ზოგი მდინარე მუდმივად თოვლით დაფარული მთებიდან მოედინებოდა და ზაფხულობით წყალუხვი ხდებოდა. ადიდებული, ჩქარი მდინარეები ვიწრო და ღრმა ხეობებს ქმნიდნენ[232]. ზოგი მათგანი სუნჯაში ჩადიოდა და საერთო აუზს ქმნიდა. მდინარე სუნჯა ჩადიოდა მდინარე თერგში, რომელიც ჩეჩნეთს რუსული დასახლებიდან ჰყოფდა. დიდი და მცირე ჩეჩნეთის ბარის სიგრძე კაჩკალიკის მთისძირიდან დასავლეთით აულ გაზინ-იურტამდე (მდ. ფორტანგაზე) 70 ვერსი იყო. სიგანე, შავი მთების ბოლო, სამხრეთ შვერილიდან ჩრდილოეთით მდ. სუნჯამდე დაახლოებით 40 ვერსს შეადგენდა. სულ ტერიტორია დაახლოებით 2800 კვ. ვერსი იყო. ჩეჩნეთის ბარს მდინარე გოიტა ორ ნაწილად ყოფდა. მდ. გოიტას მარცხენა მხარეს მდებარე ტერიტორია მცირე ჩეჩნეთს ეკავა, მარჯვენა მხარეს კი დიდი ჩეჩნეთი მდებარეობდა. ტერიტორია — დაბლობი, ზოგან შემაღლებული, მთიანი, ხშირი ტყით იყო დაფარული. მთავარი მდინარე არღუნი თოვლით დაფარული მთავარი ქედიდან გამოდიოდა, მდინარე შარო-არღუნს ერთვოდა და მთიდან ვიწრო და ღრმა ხეობით ბარში მოედინებოდა. მდინარე არღუნის ზემოდინებასთან ახლოს მდებარე, ყოველი მხრიდან მაღალი მთებით გარშემორტყმული ქვაბული ძნელად მისადგომი იყო. მდინარე არღუნის გარდა მცირე ჩეჩნეთის ტერიტორიას

---

229 Лаудаев У. Чеченское племя, ССКГ, Вып. VI, Тиф., 1872, с. I.

230 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბ., 1964, გვ. 77.

231 Лаудаев У. Указ. труд, с. 2.

232 Зимняя экспедиция, 1852 г. в Чечне, «Кавказский сборник», т. XXVI, Тиф., 1859, с. 500.

სერავდნენ შავი მთიდან გამომავალი მდინარეები: ფორტანგა, გეხი, მარტანი და გოიტა[233].

დიდი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მოედინებოდნენ ანდიის მთიდან მომავალი მდინარეები: აჟალკა, ხულხულაუ, გუდერმესი, აქსაი და სხვ. ჩეჩნეთის ბარის სიგანე ყველაზე ფართო ადგილას 20 ვერსს აღწევდა. ბარში მოსახლეობა XVII ს. შუახანებში ჩამოსახლდა: „გადმოცემით ეს ხალხი [ჩეჩნები], — წერდა პოლკოვნიკი ბარტოლომეი, — ორასი წლის წინათ გადმოვიდა მთებიდან, დიდი და მცირე ჩეჩნეთის გაუვალი ტყეებით დაფარულ ბარში"[234].

როგორც წყაროებიდან ირკვევა, ჩამოსახლებულებს პირველად ყუმიყებთან მოუხდათ შებრძოლება მდინარე მიჩიკთან. ამის გამო ყუმიყელებმა ჩამოსახლებულებს მიჩიკიშ-ები შეარქვეს. თვითონ ჩეჩნები თავიათ თავს ნახჩებს ანუ ხალხს უწოდებდნენ. ამ სახელს უწოდებდნენ ყველა იმათ, ვინც ჩეჩნურ ენაზე და მის კილოზე ლაპარაკობდა.

სიტყვა „ჩეჩენი" დაახლოებით 250 წლის წინათ უნდა იყოს წარმოქმნილი მდინარე არღუნის ნაპირას მდებარე აულ დიდი ჩეჩენის სახელწოდებისაგან[235]. ბარის ჩეჩნები, დასავლეთის ზოგიერთი ტომის — ნაზრანების, ინგუშებისა და ყარაბულაყების გარდა, იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელზეც მთის ჩეჩნები. მთის ჩეჩნებს ეკავათ მდინარეების — არღუნის, ხულხულაუს, მიჩიკისა და მათი შენაკადების მიერ წარმოქმნილი ხეობები. ამავე ენაზე ლაპარაკობდნენ იჩქერიელები, რომლებმაც ყველაზე სუფთა გამოთქმა შეინარჩუნეს[236]. ისინი სახლობდნენ მდ. აქტაშისა და მდ. ხულხულაუს ზემოდინებისა და ანდიის ქედს შორის[237].

ჩეჩნურ ენაზე ლაპარაკობდნენ ღალღები, ჯაირახები, აქელები. ქისტები, ცორელები, მიჩიკები, აუხოელები, კაჩკალიკები და სხვ. ჩეჩნეთში. X ს. შემდეგ. ქრისტიანობა შევიდა საქართველოდან[238]. XVI ს. ბოლოს კი ქრისტიანული სარწმუნოება დაღესტანიდან შემოსულმა ისლამმა შეცვალა[239]. ჩეჩნეთში დღემდეა შემორჩენილი ქრისტიანული ძეგლები. 1850-იან წლებში ქისტეთში, მატხოხის მთაზე სამი დანგრეული შენობა იყო, რომლებსაც ქისტები ეკლესიებს უწოდებდნენ. ერთ

---

[233] Зимняя экспедиция 1852 г. в Чечне. «Кавказский сборник», т. XXVI, Тифлис, 1859, с. 500.

[234] Кавказский календарь на 1858 год, Тифлис, 1857, с. 296.

[235] Советская историческая энциклопедия, т. 15, М., 1979, с. 896.

[236] Кавказский календарь на 1858 год, Тифлис, 1857, с. 296.

[237] Берже А. П. Чечня и чеченцы, Тифлис, 1859, с. 82.

[238] Советская историческая энциклопедия, т. XV, М., 1979, с. 996.

[239] იქვე.

მათგანში წმინდა გიორგის დღესასწაულს მართავდნენ, მეორეში ღვთისმშობლის და მესამეში წმ. მარინეს დღესასწაულობდნენ ყოველი წლის 5 ივლისს.

ეკლესიებში თავშეყრა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ღვთის პატივსაცემად კლავდნენ ცხვრებს და ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ სუფრასთან.

ღალღებში, აულ ხეირისთან იყო შემორჩენილი ძველი ეკლესია, რომელსაც კაბა-ერდს უწოდებდნენ. ეკლესია XII ს. აშენებულა თამარ მეფის ან რუსუდანის მიერ[240]. აქ წელიწადში ორჯერ იმართებოდა დღესასწაული — აღდგომას და სამებას. მოსახლეობა ამ დღეებში მთელი ოჯახებით და ხშირად ნათესავებით მიდიოდნენ შესაწირებით, კლავდნენ ხარებსა და ცხვრებს. დაკლული პირუტყვის სისხლს ეკლესიის კედლებს უსვამდნენ. ხარისა და ცხვრის თავებს ეკლესიის კედლებზე კიდებდნენ. შემდეგ იმართებოდა ჯირითი და ქეიფი[241].

ისლამი ჩეჩნეთში XVII ს. იკიდებს ფეხს და თანდათანობით გაბატონებულ პოზიციას იკავებს. მუსულმანური რელიგიის მსახურებს აქ არ ჰქონდათ ისეთი დასაყრდენი, როგორც სხვა მუსულმანურ ქვეყნებში. ჩეჩნეთში ყველაფერს ადათი და ჩვეულება წყვეტდა და ამდენად მოლებსა და ყადიებს არა ჰქონდათ გავლენა ხალხზე. ისინი მეტწილ დროს ვაჭრობასა და ხვნა-თესვას ანდომებდნენ[242]. თითქმის მთელ ჩეჩნეთში არ იყო არც ერთი სწავლული. თუ ვინმეს უნდოდა არაბული ენისა და ყურანის შესწავლა, მიდიოდნენ ჩირკეიში, აკუშაში ან კაზიკუმუხში (დაღესტანში). მოლებს არ ჰქონდათ მაჰმადიანური სარწმუნოების საშსახურიდან შემოსავალი შამილის ხელისუფლების დამყარებამდე.

მოლებიდან ირჩევდნენ ყადი-ს, რომელსაც მოლის მსგავსად არავითარი ძალაულფლება არ გააჩნდა არც ხალხზე და არც მოლებზე. იგი მხოლოდ ნდობით აღჭურვილი პირი იყო, რომელიც მოლებისაგან განსხვავებით, საქმეებს არჩევდა შარიათის საფუძველზე, ადგენდა წერილობით აქტებს და სხვა სამოქალაქო საქმეებს, სადაც სასულიერო წოდების წარმომადგენლების ჩარევა იყო საჭირო.

რაც შეხება წოდებრივ დაყოფას, ჩეჩნეთში იგი სუსტად იყო ჩამოყალიბებული. იგი მიჩნეულია ადრეფეოდალურ ურთიერთობათა საწყის ეტაპზე მდგარად. მათ არ ჰყავდათ თავიანთი ტომის თავადები. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ითვლებოდა უზდენებად, ე. ი. თავისუფალ ხალხად და საგვარეულოებად იყოფოდნენ. ჩეჩნეთის მო-

---

[240] Берже А. П. დასახ. ნაშრ., გვ. 3.
[241] იქვე, გვ. 84.
[242] იქვე.

სახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება იყო. მთის რაიონებში მიწის სიმცირისა და ძნელად დასამუშავებელი ადგილების გამო მიწათმოქმედება ნაკლებად იყო განვითარებული[243]. ბარის ჩეჩნები კი მიწათმოქმედებას მისდევდნენ და მთასთან შედარებით საკმაოდ დიდ მოსავალს იღებდნენ. სამაგიეროდ მთაში მესაქონლეობა იყო განვითარებული. მთიელის სიმდიდრე პირუტყვის რაოდენობით იზომებოდა. ხორბალს, მარილსა და სხვა ზოგიერთ პროდუქტს მთიელი ჩეჩნები ბარში იძენდნენ. მაგალითად, ზემო არღუნის ჩეჩნები ნაკლებად მისდევდნენ ხვნა-თესვას და ამიტომ არ ჰყოფნიდათ პური ოჯახის გამოსაკვებად[24]: საჭირო რაოდენობის ხორბალს ქვედა აულების მოსახლეობისაგან იძენდნენ. ქვედა აულებში ხვნა-თესვისათვის უკეთესი პირობები ჰქონდათ. მოსავალი იმდენი მოჰყავდათ, რომ ნაწილს მათგან მთის მოსახლეობა იძენდა. ბარის მოსახლეობა ხორბალს ცვლიდა თაფლზე, სანთელზე, მატყლზე, ნადირის ტყავებზე და სხვ.

ზამთრობით ამზადებდნენ სამშენებლო ხე-ტყესა და შეშას და მდინარეების ადიდების დროს აცურებდნენ მდ. სუნჯაზე, შემდეგ მდ. თერგზე ყიზლარამდე. აქ კი ხე-ტყის რეალიზაცია ხდებოდა. შემოდგომით ჩეჩნები ყიზლარში მიდიოდნენ დღიურ ქირაზე ბაღებში სამუშაოდ. ჩეჩნეთიც ადრე მოხვდა რუსეთის თვალთახედვის არეში. ჩეჩნეთის და ინგუშეთის გამოვლით მოდიოდნენ რუსეთის ელჩობები ქართლ-კახეთში XVI ს. ბოლოდან. ისინი გარკვეულ ურიერთობებს ამყარებდნენ ცალკეულ ვეინახურ საზოგადოებებთან. პეტრე I-ის მიერ აღმოსავლური პოლიტიკის განსახორციელებლად ჩეჩნეთის დამორჩილებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და მანაც 1718 და 1722 წლებში დონის კაზაკები გაგზავნა სუნჯასა და არღუნზე სალაშქროდ[245].

მსგავსი ღონისძიებები შემდგომაც ტარდებოდა.

1770 წ. გენ. დე-მედემმა სუნჯის ჩეჩნები დაიმორჩილა და მათგან მძევლები აიყვანა. ჩეჩნები მორჩილებას ვერ ეგუებოდნენ და სამხედრო დასახლებებზე თავდასხმებს აწყობდნენ[246]. 1774 წ. სტანიცა ნაურს დაესხნენ, გაძარცვეს იგი და კაზაკთა პოლკს 1000-ზე მეტი ცხენი წაართვეს[247]. 1775 წ. ივნისში კი ჩეჩნების რაზმი თავს დაესხა რუსეთის

---

[243] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, с древнейших времен по март 1917 года, Грозный, 1967, с. 59.

[244] Берже А. П. Указ. труд, с. 89.

[245] აქტები, ტ. VI, ნაწ. 2, საბუთი № 896, გვ. 512.

[246] გიულდენშტეიდტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 77.

[247] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 23.

საზღვარს. გენ. დე-მედემმა უკუაქცია თავდამსხმელები და მდინარე თერგს გადაღმა გაანადგურა ისინი[248].

1775 წ. აგვისტოში ჩეჩნეთის მფლობელმა არსლანბეგ აიდემიროვმა კვლავ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო იმ პირობით, რომ ხელქვეითებთან ერთად სხვა ადგილზე გადასახლდებოდა. იმავე დროს მას უნარჩუნებდნენ ადრე დანიშნულ ჯამაგირს.

1781 წ. დიდი ჩეჩნეთისა და აჯიაულის მოსახლეობამ რუსეთისადმი ერთგულების ფიცი მიიღო და მძევლები წარადგინა არსლანბეგ აიდემიროვის თაოსნობით. 1782 წ. ბოლოს ჩეჩნეთის მოსახლეობამ, სოფელ ატაგის მცხოვრებთა გამოკლებით, მძევლები გადასცა გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს. ატაგის მოსახლეობამ რუსეთისადმი ერთგულების ფიცის მიცემაზე უარი განაცხადა. ესეც არ იკმარეს და, ინგუშებთან ერთად, მდ. თერგის მახლობელ დასახლებაზე თავდასხმა გადაწყვიტეს. თავდასხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ატაგის თავდამსხმელების წინააღმდეგ პოლკოვნიკი კეკი გაიგზავნა სამი ქვეითი ბატალიონით, 12 ზარბაზნით, კავალერიის ესკადრონითა და 1150 სახაზო კაზაკით. ინგუშთა წინააღმდეგ კი მაიორი რიკი გაიგზავნა ქვეითი ბატალიონის, დრაგუნთა ესკადრონისა და 100 კაზაკის თანხლებით.

1783 წ. 3 მარტს პოლკოვნიკი კეკი სტანიცა ნაურიდან დაიძრა თავისი ჯარით. მეორე დღეს მდინარე სუნჯა გადალახა. ატაგელებს ალდელებიც შეერთებოდნენ. აჯანყებულები სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ პოლკოვნიკ კეკის სამხედრო შენაერთმა იოლად დაამარცხა ისინი, განდევნეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან და სოფელი ატაგი გადაწვეს[249]. ატაგში ჯერ კიდევ ხანძარი იყო, როცა აჯანყებულებმა, სხვა მხარის ჩეჩენთა დახმარებით, პოლკოვნიკ კეკის შენაერთის უკანდასაბრუნებელი გზის შეკვრა გადაწყვიტეს. მათ თავდასხმა მოაწყეს ხან-ყალეს ხეობაში პოლკოვნიკ კეკის მიერ დატოვებულ სამხედრო რაზმზე. აჯანყებულებს ხან-ყალესთან ძირითადმა სამხედრო ძალებმა მოუსწრეს. თავდამსხმელები დამარცხდნენ და თავს გაქცევით უშველეს.

ჩეჩნებმა ამ დღეს 400 კაცი დაკარგეს. ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ. პოლკოვნიკ კეკის ექსპედიციამ დაარბია მეამბოხეები და 7 მარტს სტანიცა ნაურში დაბრუნდა. აჯანყებულმა ატაგის მოსახლეობამ გენ.-პორუჩიკ პოტიომკინს პატიება სთხოვა. მათ მიბაძეს გეხის მცხოვრებლებმა და ალდელებმა, რომლებმაც რუსეთისადმი ერთგულების

---

[248] არსლანბეგ აიდემიროვის მამას აიდემირ მარდიხანოვს 1735 წ. დაენიშნა ჯამაგირი, 1747 წ. ჯამაგირი შეუწყვიტეს.

[249] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 110.

ფიცი მიიღეს და მძევლები წარმოადგინეს[250]. მ..ორმა რიკმა ინგუშები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიმორჩილა. ინგუშებმა ერთგულების ფიცი მიიღეს და 8 კაცი მძევლად მისცეს. ცარიზმის იარაღის ძალას ისიც ერთვოდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მეზობელ ტომებს ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ, რომ მათი ძალები დაესუსტებინათ და ადვილად დაეპორჩილებინათ. ამდაგვარი ხერხით 1783 წ. დიდი უთანხმოება ჩამოვარდა ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის. უთანხმოება მალე ბრძოლაში გადაიზარდა, რომელშიც ორივე მხრიდან ათას-ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. ჩეჩნებმა 20 კაცი ღაკარვეს მოკლულთა სახით, 40 კაცი დაიჭრა. გამარჯვება მაინც მათ მხარეზე დარჩა. ინგუშებს 2000 ცხვარი წაართვეს.

ატაგი მეამბოხეთა ბუდე იყო. საერთოდ, ჩეჩნები არაფრად თვლიდნენ ერთგულების ფიცის მიღებას. მათთვის არც ხელისუფლებისათვის მიცემულ მძევალს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. სამხედრო ნაწილებთან ბრძოლებში დამარცხებისთანავე ისინი პატიებას ითხოვდნენ, რუსეთისადმი ერთგულების ფიცს ღებულობდნენ, მძევლებს იძლეოდნენ და პარალელურად თავდასხმის ახალი გეგმის შემუშავებაზე ფიქრობდნენ. მთებში, შიუვალ ადგილებში მცხოვრები ჩეჩნები უფრო გათამამებულები იყვნენ. მათ იცოდნენ, რომ სამხედრო ნაწილებს უჭირდათ მთებში თავშეფარებულთა დასჯა. მთიელ ტომთა მორჩილებაში მოსაყვანად მათი მთიდან ბარში ჩამოსახლება იყო საჭირო. ბარში იოლად შეიძლებოდა მათდამი თვალყურის დევნება. მთიდან ჩამოსახლებული ჩეჩნები ერთიმეორის ახლოს, მჭირდოდ უნდა დაესახლებინათ, რათა დამალვის საშუალება მოსპობოდათ. თავისუფლების მოყვარულმა ჩეჩნებმა ბევრგან მფლობელები გააძევეს. უკანასკნელნი იძულებულები ხდებოდნენ სამხედრო ხელმძღვანელობის ნებართვით ბარში ახალი დასახლება შეექმნათ მდ. სუნჯასა და მდ. თერგის მარჯვენა ნაპირს შორის, გრებენელ და მოზდოკის კაზაკთა სტანიცების მოპირდაპირე მხარეს. გერმენჩიკიდან და შალიდან გაძევებულ დევლეთ გირეებს 1784 წ. 400 კომლი ჰყავდათ; დიდ ატაგიდან, დიდ ჩეჩნეთიდან და ტოპლიდან გაძევებულ როსლანბეგებს რასლაბეგ აიდემიროვის დროს ორ სოფელში 400 კომლი ჰყავდათ[251]. იგივე ტოპლიდან გაძევებულმა ტერლოვებმა ნაურის მოპირდაპირე მხარეს ორი სოფელი წარმოქმნეს: ზემო და ქვემო ნაური. ამ და სხვა ახალშექმნილ სოფლებში ძირითადად მონები და ნებაყოფლობით მოსული ჩეჩნები ცხოვრობდნენ.

---

[250] Буткѳв П. Г. დასახ. ნაშრ., გვ. 111.
[251] იქვე. გვ. 112.

ახალშექმნილ სოფელთა მფლობელები ცდილობდნენ ჩეჩნებთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ[252], რათა უკანასკნელთა თავდასხმების მსხვერპლნი არ გამხდარიყვნენ. მიუხედავად მიღებული ზომებისა, ხშირი იყო მათზე ჩეჩენთა თავდასხმები; ჩეჩნები არც რუს მოსახლეობას ინდობდნენ, მათაც ხშირად ესხმოდნენ თავს, მოსახლეობას აწიოკებდნენ და პირუტყვს იტაცებდნენ. იყო შემთხვევები, როცა თავდასხმის დროს მკვლელობას ჰქონდა ადგილი, ზოგჯერ კი იტაცებდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ჩეჩენთა თავდასხმებმა იმდენად გააძწარეს მოსახლეობა და სამხედრო ნაწილებიც, რომ თავადი გრ. პოტიომკინი იძულებული გახდა ებრძანებინა გენ.-პორუჩიკ პ. პოტიომკინისათვის ჩეჩენთა მკაცრად დასჯა მკვლელობის შემთხვევაში[253]. თავდასხმები ჩეჩნებს სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ, თუმცა სამხედრო ნაწილებსაც დიდი ზარალი მოსდიოდათ. 1783 წ. სექტემბრის ბოლოს გენ. სამოილოვის სამხედრო შენაერთებმა ატაგი გაანადგურეს და გადაწვეს. სოფელი გიხი გააპარტახეს. 12-საათიანი ბრძოლის დროს ბევრი ჩეჩენი დაიღუპა. სამხედრო ნაწილებმა დაკარგეს 18 კაცი, 43 დაიჭრა[254].

1783 წ. ნოემბერში ალდის, ატაგის, შალის, აჯიაულის, გიხისა და სხვა აულების ჩეჩნებმა კვლავ პატიება ითხოვეს და რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულების ფიცი მიიღეს. 1784 წ. განმავლობაში ჩეჩნებს თითქმის არაფერი ღაუშავებიათ. თურქეთის მთავრობა ვერ ეგუებოდა ჩრდილო კავკასიის თანდათანობით რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევას და თავის ემისრებს მთიელ ტომთა ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ ასაჯანყებლად მოუწოდებდა. იგი არც ფინანსურ ხარჯებს ერიდებოდა ამ მიზნის მისაღწევად.

1785 წ. ჩრდილო კავკასიაში მთიელთა მოძრაობა დაიწყო, რომელსაც ჩეჩნეთის აულ ალდის მკვიდრი უშურმა, შემდეგში ცნობილი შეიხ მანსური, ედგა სათავეში. მთიელთა მოძრაობა დაღესტნის ნაწილსა და მთელ ჩეჩნეთს მოედო, იგი კლასობრივი და ანტიკოლონიური ხასიათისა იყო, თუმცა შეიხ მანსურს უნდოდა მისთვის რელიგიური შეფერილობა მიეცა და მისი მეშვეობით რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა მუსულმანური მოდგმის ხალხი. შეიხ მანსურის ქადაგებასა და პრაქტიკულ საქმიანობას ყოველმხრივ ეხმაურებოდა და ხელს უწყობდა თურქეთის ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძრაობას თავიდან მთიელ ტომთა ფართო მასები გამოეხმაურნენ, ჩეჩენ და-

---

[252] Советская историческая энциклопедия, т. 15, М., 1979, с. 997.
[253] Бутков П. Г. Указ. труд, с. 112.
[254] იქვე.

ინგუშ მშრომელ მოსახლეობას მისთვის დიდი მონდომებით არ დაუჭერიათ მხარი[255]. მალე შეიხ მანსურის რელიგიური დროშის ქვეშ მოწყობილი მთიელთა რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობა დაქვეითების გზას დაადგა. შეიხ მანსურს ხალხი გაეცალა. მოძრაობა დამარცხდა[256]. ბევრი შეიხ მანსურის მოკვლას ფიქრობდა. თურქეთმა 1787 წ. რუსეთთან ომი დაიწყო. შეიხ მანსურმა თურქეთის ციხე-სიმაგრე ანაპაში შეაფარა თავი. 1791 წ. ციხე-სიმაგრე რუსეთის ჯარმა, გენ. გუდოვიჩის სარდლობით, აიღო და შეიხ მანსური დაატყვევა.

თურქეთი შემოგზავნილი ემისრების საშუალებით კვლავ ცდილობდა ჩრდილო კავკასიის მთიელ ტომთა ჩაბმას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მშრომელი მოსახლეობა რუსეთის დახმარებით ფიქრობდა მოებიდან ბარში მასიურად ჩამოსახლებას და საუკუნოვანი ნატვრის აღსრულებას —მიწის მიღებას[257]. ამიტომ იყო, რომ რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობილ მთიელთა ზედაფენის წარმომადგენლებმაც ვერ შეძლეს მოსახლეობის ფართო მასების თურქეთის მხარეზე გადაბირება და თურქეთს ამჯერადაც გაუცრუვდა იმედი.

1792 წ. დადებული იასის სამშვიდობო ხელშეკრულებით რუსეთმა პოზიციები საგრძნობლად გაიმაგრა კავკასიაში და ბალკანეთშიც. თურქეთი ჩრდილო კავკასიის დაკარგვას ვერ ეგუებოდა, მაგრამ ძალა აღარ შესწევდა ძლიერი მოწინააღმდეგის — რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

XVIII ს. მიწურულში თურქეთის აგრესია კავკასიის ხელში ჩაგდებისათვის დროებით, ირანის ხელისუფლების სათავეში აღა-მაჰმად-ხანის მოსვლასთან დაკავშირებით, შენელდა.

1795 წ. მან დაარბია აზერბაიჯანი, სომხეთი და გაანადგურა თბილისი. აქედან დაღესტანზე გავლით ჩრდილო კავკასიაში უნდოდა გადასვლა, 1796 წ. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარი რომ არ შემოსულიყო. რუსეთის ჯარის შემოსვლამ იხსნა კავკასია აღა-მაჰმად-ხანის მეორედ შემოსევისაგან. იგი კვლავ ამიერკავკასიის აოხრების გეგმებს აწყობდა, როცა 1797 წ. მოკლეს[528].

თურქეთის ხელისუფალთა მიერ ემისრების კვლავ შემოგზავნის მიუხედავად, მომდევნო წლებში ჩრდილო კავკასიაში და, კერძოდ, ჩეჩნეთში დიდი მასშტაბის გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ სტანიცებსა და სხვა რუსულ დასახლებებზე თავდასხმები არ შეწყვეტილა.

---

[255] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, с. 87.
[256] Советская историческая энциклопедия, т. 15, столб. 996—997.
[257] Мартиросян Г. К. История Ингушии, Орджоникидзе, 1933, с. 61.
[258] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, с. 89.

1807 წ. დასაწყისში დიდი ჩეჩნეთის მოსახლეობა უკმაყოფილებამ მოიცვა. თებერვლის შუა რიცხვებში აჯანყებული მოსახლეობა ორ მთას შორის მდებარე, გაუვალსა და ხშირი ტყით დაფარულ ხან-ყალეს ხეობაში შეიკრიბა.

მათ ყუბანელები და სხვა მეზობელი მთიელები შეუერთდნენ. აჯანყებულთა რაოდენობამ 10 ათასს მიაღწია[259]. „უკეთესია გავწყდეთ, ვინემ შევუშვათ მეფის ჯარი ჩვენს სამფლობელოებში“ — ასეთი პირობა მისცეს ერთმანეთს. სამხედრო ნაწილებმა ძალე დაამარცხეს აჯანყებულები და გაათავისუფლეს ხან-ყალეს ხეობა. 10 ათასი აჯანყებულიდან 1000 კაცი იქნა მოკლული, დანარჩენებმა თავს გაქცევით უშველეს. სამხედრო ნაწილებმა დაკარგეს 3 ობერ-ოფიცერი, 2 არტილერიის ფეიერ-ვერკერი, 2 უნტერ-ოფიცერი, 109 რიგითი მებრძოლი, არტილერისტი და კაზაკი[260]. ხან-ყალეს ხეობაში აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ გენერალ ლეიტანანტ მუსინ-პუშკინისა და გენერალ-მაიორ გრაფ იველიჩ მესამის სამხედრო შენაერთებმა ყარაბულაყთა სოფლებზე მიიტანეს იერიში და მალე გამარჯვებაც იზეიმეს.

წინასწარ შემუშავებული გეგმით, ხან-ყალეს ოპერაციებში ყაბარდოელებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. 1807 წ. 20 მარტის № 196 მიმართვით გრაფი გუდოვიჩი გენ. ბულგაკოვს სწერდა: ჩეჩნების წინააღმდეგ, სამხედრო ნაწილებთან ერთად, ყაბარდოელებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ყაბარდოელები ჩვენ დაგვეხმარებოდნენ ბრძოლაში და თანაც ამ ორ ხალხს შორის შუღლი ჩამოვარდებოდა, რაც ჩვენთვის არანაკლებ სასარგებლოა[261]. გუდოვიჩის აზრით, მათი დახმარება აღარ იყო საჭირო. სინამდვილეში კი ყაბარდოელებმა ჩეჩნების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიიღეს იმის გამო, რომ უკანასკნელთ მოესწროთ პირუტყვისა და სხვა ქონების დამალვა ტყეში და ვერავითარ ნადავლს ვეღარ იგდებდნენ ხელთ. ყაბარდოელთა დახმარების გარეშე აჯანყებულები დამარცხდნენ. გენ. ბულგაკოვის სამხედრო რაზმმა ატაგი გადაწვა. მოსახლეობა იძულებული გახდა რუსეთისადმი ერთგულების ფიცი მიეღო და ხელისუფლებისათვის მძევლები გადაეცა. მათ შუამავლად სოფელ ჩორტუტაგაის მფლობელი ალგოტა ალხანოვი გაგზავნეს, რომელმაც რუსეთის წარმომადგენელს განუცხადა: „თუ ატაგის მოსახლეობის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება, მაშინ სამხედრო ექსპედიციის მიერ ყველა გადამწვარი სოფლის მოსახლეობა რუსეთისადმი ერთგულების ფიცს მიიღებს“. გენ. გუდოვიჩმა

---

[259] აქტები, ტ. III, გვ. 665, საბუთი № 1139.
[260] იქვე.
[261] იქვე, გვ. 666, საბუთი № 1146.

ატაგელთა თხოვნის დაკმაყოფილება მიზანშეწონილად ცნო, თუკი ისინი ერთგულების ფიცს მიიღებდნენ, მძევლებს წარუდგენდნენ და რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობილ ყაბარდოელ მფლობელს — კანჩოკინს აღარ მიიღებდნენ. გენ. გუდოვიჩი თანახმა გახდა დაეკმაყოფილებინა ატაგელთა თხოვნა და იმავე დროს მკაცრად აფრთხილებდა: თუ კვლავ გაბედავდნენ რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას, სამხედრო ნაწილები მათ საბოლოოდ გაანადგურებდნენ. ქვეშევრდომობაში მისაღებად ჩეჩნეთის მოსახლეობას 8 მუხლისაგან შემდგარი პირობა უნდა დაედო:

1. გზაში, ვლადიკავკაზიდან მოზდოკამდე, კავკასიის ხაზსა და რუსეთის სხვა ადგილებში, არავითარი ზიანი არ მიაყენონ მოსახლეობას; არამცთუ არავითარი მტაცებლობა არ ჩაიდინონ, არამედ თუ გაიგებენ რომ მტაცებელმა გაიარა სოფელში, დაუყოვნებლივ აცნობონ ახლო მყოფ სამხედრო ხელმძღვანელობას.

ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე მკაცრად იქნება დასჯილი რუსეთის კანონით.

2. ჩეჩენი ხალხი ვალდებულია, გზაზე, ვლადიკავკაზიდან მოზდოკამდე დაიცვას სიმშვიდე, რომ გზად გამვლელებზე არავითარი თავდასხმა და ძარცვა არ მოხდეს.

3. გაქცეული მებრძოლები, კაზაკები და სხვა ხალხი არ მიიღონ და არც იყიდონ. დაუყოვნებლივ გადასცენ ისინი ახლო მყოფ უფროსს ყიზლარში ან ვლადიკავკაზში და მოზდოკში, რისთვისაც მიიღებენ 50—50 მანეთს. თუ ვინმე დააკავებს, დამალავს და შემდეგ ცნობილი გახდება, ჩაითვლება ქვეშევრდომობის დარღვევად.

4. ყოველი სოფლიდან ერთგულების ნიშნად საუკეთესო გვარებიან უნდა წარმოადგინონ მძევლები, რომლებიც იცხოვრებენ ყიზლარში და თითოეული მათგანისათვის გამოყოფილი იქნება 120 მანეთი წელიწადში. თუ ჩეჩნების მიერ სადმე რუსეთის საზიანო საქმე მოხდება, მძევლები დაისჯებიან.

5. თუ ჩეჩნების პირუტყვი აღმოჩნდება რუსებთან, მათ უფლება ეძლევათ მოძებნონ იგი და დაიბრუნონ.

6. ჩეჩნების მიერ გასაყიდ და საყიდელ საქონელზე ბაჟი არ იქნება აღებული. ბაჟს გადაიხდიან ისინი, ვინც ჩეჩნებიდან იყიდიან ან მათ მიყიდიან რამეს.

7. თუ ჩეჩნები ერთგულები იქნებიან, მათზე ისევე გაიცემა მარილი, როგორც ყაბარდოელებსა და მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ერთგულ სხვა მთიელ ხალხზე.

8. თუ ჩეჩნები მტაცებლობას არ მოიშლიან, უნდა ელოდონ სრულ გაპარტახებასა და განადგურებას[262].

რუსეთის მომავალი ერთგულებისათვის გადაწყდა მცირე ატაგის ორ მამასახლისს — ჩულიკ კინდერგეევსა და ბეიბულატ ტაიმანოვს კაპიტნის ჩინი მიცემოდათ სათანადო ჯამაგირებით[263]. მთავარსარდლის გენ. გუდოვიჩის მიერ წაყენებულ ზემოხსენებულ პირობებზე დიდი და მცირე ატაგის 20 სოფელმა განაცხადა თანხმობა. ყოველმა სოფელმა მძევლები წარადგინა, რომლის ტანსაცმლისა და საჭმელ-სასმელისათვის თვეში 10 მანეთის გამოყოფას ითხოვდნენ. გარდა ჩამოთვლილი მუხლებისა, ჩეჩნები რუსებთან ურთიერთობის სხვა პირობებსაც სდებდნენ და თვითონაც მოითხოვდნენ მათთვის საჭირო პრივილეგიებს[264].

1807 წ. 2 ნოემბერს ჩეჩნებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს[265]. მალე სხვა მხარეებმაც მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა[266]. მოსახლეობა ერთგულების ფიცსა და ქვეშევრდომობას იღებდა, მაგრამ ყოველივე ეს იძულებით ხასიათს ატარებდა. სამხედრო ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა ეს და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავისი ხალხი გამოენახა ჩეჩნეთში, რომელთა საშუალებით მოსახლეობა თანდათანობით რუსეთის ერთგულებისაკენ გადაიხრებოდა.

1810 წ. ცნობით, რუსეთის წარმომადგენელთა ინიციატივით, ჩეჩნეთიდან მდ. სუნჯასთან ახლო მდებარე ციხე-სიმაგრე სუნჯასთან გადასახლდნენ თავიანთი ხალხით მამასახლისი აბაკარ-ბუსა და მისი ძმა ბეიუკ სულთანოვები. მათი თაოსნობით მთელმა სოფელმა პირობა დადო, რომ არამცთუ რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას არ დაუშვებდნენ, არამედ თავიანთ სოფელში თუ მტაცებლებსა და ავაზაკებს შენიშნავდნენ, მაშინვე სამხედრო ხელმძღვანელობას შეატყობინებდნენ[267]. ასეთი ღონისძიებები ხშირი იყო. მოსახლეობის რუსეთისადმი ერთგულება ამ გზით უფრო საიმედო ხდებოდა, ვინემ იარაღის ძალით. მშრომელი მოსახლეობის რუსეთისადმი ერთგულება თანდათან ფართო ხასიათს იღებდა.

1811 წ. იანვარში ქისტების გავლენიანმა მამასახლისებმა, მთელი თავიანთი ხალხით, რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს[268].

ჩრდილო კავკასიის რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევა ცარიზმის მიერ გეგმაზომიერად ხდებოდა.

---

262 აქტები, ტ. III, გვ. 670, საბუთი № 1148.
263 იქვე, გვ. 671, საბუთი № 1148.
264 აქტები, ტ. III, გვ. 671, საბუთი № 1149.
265 იქვე, გვ. 672, საბუთი № 1152.
266 იქვე, გვ. 673, საბუთი № 1156.
267 აქტები, ტ. IV, გვ. 894, საბუთი № 1374.
268 Мартиросян Г. К. Указ. труд, с. 53.

1812 წ. კახეთი აჯანყდა. აჯანყების ინიციატორი ბატონიშვილი ალექსანდრე იყო. ალექსანდრე ბატონიშვილს კავშირი ჰქონდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა ზედაფენასთან, განსაკუთრებით კი რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობილ პირებთან. ალექსანდრე ბატონიშვილის ზეგავლენით, კახეთის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხევსურებმა და ქისტებმა. 1813 წ. მაისში გენერალ რტიშევის მიერ გაგზავნილმა გენ. სიმონოვიჩის სამხედრო ნაწილებმა გზასთან ახლომდებარე ქისტების ყველა სოფელი გაანადგურეს.

ჩეჩნებმა სუნჯის ციხე-სიმაგრესთან დასახლებულ ინგუშთა სოფელზე გავლით რუსულ დასახლებაზე თავდასხმა გადაწყვიტეს, თანაც ინგუშების დასჯა უნდოდათ რუსეთის ერთგულებისათვის[269]. ინგუშებმა დადებული პირობის თანახმად სამხედრო ხელმძღვანელობას აცნობეს ჩეჩნების განზრახვა. ხელმძღვანელობამ დროულად მიიღო ზომები და ინგუშები შეაქო გამოჩენილი ერთგულებისათვის[270].

1816 წ. საქართველოს ჯარებისა და კავკასიის ხაზის უფროსად გენ. ერმოლოვი დაინიშნა. მისი აზრით, ჩრდილო კავკასიის მთიელთა დამორჩილება მხოლოდ გადამწყვეტი სამხედრო მოქმედებით შეიძლებოდა. 1817 წლიდან რუსეთის ხელისუფლება გეგმაზომიერად შეუდგა ჩეჩნეთისა და დაღესტნის დამორჩილებას. პირველად სამხედრო ნაწილები მიიწევდნენ წინ, აღებულ ადგილებზე ციხე-სიმაგრეებს აშენებდნენ და კაზაკთა პოლკებს ასახლებდნენ. გენ. ერმოლოვის მითითებით, 1817 წ. ნაზრანის სიმაგრე აშენდა[271], ხოლო 1818 წ. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, ხან-ყალეს ხეობაში შესასვლელთან ახლოს პირველი ციხე-სიმაგრე — გროზნო იქნა აშენებული[272].

გროზნოს ციხე-სიმაგრის აშენებით მდ სუნჯას ნაყოფიერი დაბლობი და მთიდან ხან-ყალეს ხეობის გავლით ბარში გამოსასვლელი გზა რუსი სამხედრო ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მოექცა.

1819 წ. ყუმიყელთა აულ ენდერთან ახალი ციხე-სიმაგრე ვნეზაპნაია აშენდა, რომელიც, სხვა სიმაგრეთა მეშვეობით, ციხე-სიმაგრე გროზნოსთან იყო დაკავშირებული და სალათაის მთებისაკენ გასასვლელ გზას იცავდა. ამრიგად, გზა მთის ჩეჩნეთიდან ყუმიყეთის დაბლობისაკენ სამხედრო ნაწილების ხელში აღმოჩნდა.

ჩეჩნებს მეზობელ ადგილებში უკონტროლო გადასვლა-გადმოსვლის საშუალება მოესპოთ. სამხედრო ციხე-სიმაგრეთა რიცხვი კვლავ მატულობდა. ჩეჩნეთი რკალში ექცეოდა. ციხე-სიმაგრეების მშენებ-

---

[269] აქტები, ტ. IV, გვ. 896, საბუთი № 1376.

[270] იქვე.

[271] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, с. 95.

[272] Советская историческая энциколопедия, т. 15, столб. 996—997.

ლობა აულების გადასახლებას, ბაღებისა და ტყეების გაჩეხვას იწვევდა, რაც აღაშფოთებდა ჩეჩნებს. ჩეჩნეთის მოსახლეობაში უკმაყოფილება მატულობდა. მცირეოდენი საბაბი იყო საჭირო, რომ საყოველთაო აჯანყება დაწყებულიყო რუსეთის საწინააღმდეგოდ.

1822 წ. ჩეჩნეთში აჯანყება დაიწყო. აჯანყების ხელმძღვანელი ჩეჩნეთის ერთ-ერთი ყადი აბდულ-კარიდი იყო. მან ხმები გაავრცელა, რომ ოთხ თვეში თურქები შემოვლენ და რუსებს გააძევებენო. იმავე დროს ასეთივე საფუძველს მოკლებული ამბავი აცნობა ჩეჩნებს ავარიელმა აჰმედ-ხანმა[273].

ამ აჯანყებას გასაქანი არ მისცემია, იგი მალე და იოლად ჩააქრეს.

1824 წ. მოხდა მთიელთა პირველი სერიოზული შეიარაღებული გამოსვლა დაღესტნის აულ იარაგის მკვიდრ მოლა მუჰამედ-იარაგელის მეთაურობით, რომლის საქმიანობას ხელს უწყობდნენ ირანის შაჰისა და თურქეთის სულთანის მიერ გამოგზავნილი ემისრები. აჯანყებას მხარი დაუჭირა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ცარიზმის დაუძინებელმა მტერმა, ჩეჩნეთის აულ მაიიურტუპის უზდენმა ბეიბულატ ტაიმანოვმა. მათი საერთო მიზანი მთიელთა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრება იყო. აული მაიიურტუპი აჯანყებულთა ორგანიზატორების ცენტრი გახდა.

1825 წ. აჯანყებამ დიდი ჩეჩნეთი მოიცვა. მათ შეუერთდნენ მიჩიკები, იჩკერიელები, კაჩკალიკები და სხვ. მათი რიგები სწრაფად იზრდებოდა. ისინი სერიოზულ ძალად იქცნენ. აჯანყებულებმა ხან-ყალეს ხეობის იქით აული ატაგი დაიკავეს და ციხე-სიმაგრე გროზნოზე აპირებდნენ შეტევას[274]. გენ. გრეკოვის სამხედრო შენაერთმა დაამარცხა აჯანყებულები, აული ატაგი დაიკავა[275], გაწმინდა ხან-ყალეს ხეობა და ციხე-სიმაგრე გროზნოში დაბრუნდა.

დამარცხებულ აჯანყებულებს ხელი არ აუღიათ განზრახვაზე. ბეიბულატ ტაიმანოვის თაოსნობით კვლავ აჯანყდა მთელი ჩეჩნეთი. მათ დაიკავეს ციხე-სიმაგრე ამირ-აჯიიურთი. 1825 წ. 12 ივლისს ბლოკადაში მოაქცეს გერზელ-აული თავისი გარნიზონით, თუმცა ხსენებული აული მალე დაიკავეს დასახმარებლად მოსულმა გენ. ლისანევიჩისა და გენ. გრეკოვის სამხედრო ნაწილებმა. გენ. ლისანევიჩმა და გენ. გრეკოვმა 318 მამასახლისი შეკრიბეს. მათ ბრალად ედებოდათ აჯანყებულებთან კავშირი. გენ. ლისანევიჩმა მამასახლისებისადმი მიმართული მოკლე სიტყვა დაამთავრა და მათი სათითაოდ გამოძახება დაიწყო.

---

[273] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, с. 102.
[274] აქტები, ტ. VI, ნაწ. II, გვ. 508, საბუთი № 893.
[275] იქვე..

რიგით მესამე გამოძახებული მოლა უჩარ-ხაჯა ეცა გენერლებს, მოკლა გრეკოვი და სისიკვდილოდ დაჭრა ლისანევიჩი, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ცარიზმის მოხელეებმა სამასთვრამეტივე მამასახლისი მოკლეს. გერზელ-აულის ამბავმა მთელი ჩეჩნეთი აღაშფოთა.

ამჯერად აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას თვით გენ. ერმოლოვი ჩაუდგა სათავეში. 1826 წ. 30 იანვარს მდ. არღუნთან აჯანყებულები სასტიკად დაამარცხეს გენ. ერმოლოვის სამხედრო შენაერთებმა. ჩეჩნებს ეშინოდათ სამხედრო ნაწილებთან შებრძოლებისა, მაგრამ მორჩილებიდან ჯერ კიდევ შორს იყვნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილება იზრდებოდა.

XIX ს. 30-იანი წლების დასაწყისში მთიელთა უკმაყოფილება და რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილება აშკარა ბრძოლაში გადაიზარდა. „ისლამის წმინდა იდეების“ დაცვის დროშით გამოვიდნენ ამ ბრძოლის ხელმძღვანელები. ბრძოლამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, რომელსაც სათავეში დაღესტნის აულ გიმრის მკვიდრი ღაზი-მუჰამედი ედგა. მან შემოიკრიბა თავისი მომხრეები და 8000-იანი ლაშქრით რუსეთის მომხრე ხუნძახის მფლობელის წინააღმდეგ გაილაშქრა. მასთან იყო მისი საუკეთესო მეგობარი შამილი.

ხუნძახის ხანის წინააღმდეგ ბრძოლა მარცხით დამთავრდა. 1831 წ. ღაზი-მუჰამედმა კვლავ შეკრიბა ახალი ძალები და მეფის რუსეთის სამხედრო ძალები დაამარცხა დაღესტნის მთელ რიგ რაიონებში. იგი მალე ყიზლარში შეიჭრა, აიღო და დაანგრია ციხე-სიმაგრე, ასობით ტყვე ჩაიგდო ხელში. 1832 წ. ღაზი-მუჰამედი შუაგულ ჩეჩნეთში შეიჭრა. აქედან ვლადიკავკაზის მიმართულებით წავიდა, ალყა შემოარტყა სტანიცა ნაზრანს. ნაზრანისაკენ საჩქაროდ რუსეთის სამხედრო ნაწილები დაიძრნენ. ღაზი-მუჰამედმა შეიტყო, რომ ჯარი მისი აულისაკენ — გიმრისაკენ მიემართებოდა. მან სასწრაფოდ მოხსნა ნაზრანს ალყა და უკან დაიხია. გენერალ ველიამინოვისა და კლიუგენაუს სამხედრო ნაწილებმა ალყა შემოარტყეს გიმრს, სადაც ღაზი-მუჰამედი და შამილი გამაგრდნენ.

1832 წ. 17 ოქტომბერს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო გიმრი. აჯანყების თავკაცი ღაზი-მუჰამედი ბრძოლაში მოკლეს. რუსეთის საწინააღმდეგო საყოველთაო ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ღაზი-მუჰამედის თანამოაზრე და ახლო მეგობარი ჰამზატ-ბეგი, რომელიც მოკლეს 1834 წ. 15 მაისს.

1835 წ. გაზაფხულზე დაღესტანში ავარიის აულების წარმომადგენლებმა შამილი[276] აირჩიეს იმამად (სულიერ წინამძღოლად)[277].

შამილი კარგად იცნობდა მთიელებს, მათ ხასიათს, ჩვეულებებსა და ტრადიციებს[278]. იყო დიდი ორგანიზატორული და მხედართმთავრული ნიჭის პატრონი. ჩაუდგა რა მოძრაობას სათავეში, ფართო მასების მხარდაჭერის მიზნით, შეუტია თავნება ხანებს, სიკვდილით დასაჯა ანდალალელთა საზოგადოების 45 ბეგი, რომლებიც ჯერ კიდევ ჰამზატ-ბეგის დროიდან იყვნენ პატიმრობაში აულ გიმრში. შამილი სასტიკად ებრძოდა ყველას, ვინც მის ხელისუფლებას არ ცნობდა. მან დაიმორჩილა ხუნძახის მთელი რიგი აულები — უნცუკული, ჩირკატა და სხვ.

შამილმა თავის მხარეზე გადმოიბირა ბევრი საზოგადოების მოსახლეობა. იგი დაუღალავად ეწეოდა მოსახლეობაში ადათის ამოძირკვასა და შარიათის დანერგვას. 1837 წლისათვის შამილის ხელისუფლება ცნო დაღესტნის ორი დიდი საზოგადოების — ყოისუბუსა და გუმბეტის აულების მოსახლეობამ. 1839 წ. 22 აგვისტოს აულ ახულგოში გამაგრებული შამილი დაამარცხა ბეფის რუსეთის ჯარმა გენერალ გრაბეს სარდლობით. დამარცხებული შამილი ჩეჩნეთში გადავიდა, სადაც დასახლდა ერთ-ერთ მიუვალ აულში. ჩეჩენთა მცირე რაზმი ტაშივ-ჰაჯის მეთაურობით ადრევე მიუღგა შამილს. 1840 წ. რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩენთა განიარაღება დაიწყო გენ. პულოს მეთაურობით, რამაც მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია. აჯანყებულებს შამილი ჩაუდგა სათავეში. თავის რეზიდენციად მან ჩეჩნეთში აული დარღო აირჩია.

აქედან იგი თავის წამომადგენლებს აგზავნიდა მთელ ჩეჩნეთსა და დაღესტანში. მცირე ჩეჩნეთსა და სუნჯისპირა აულებში შამილმა საკმაოდ დიდი რაოდენობის მომხრეები შემოიკრიბა. მალე მთელი ჩეჩნეთი აჯანყებამ მოიცვა. მოსახლეობა შეიარაღდა და ერთსულოვნად აღიარეს შამილის ხელისუფლება[279]. ჩეჩნეთში საყოველთაო აჯანყება მზადდებოდა. აჯანყების მზადებას ხელი შეუწყო 1830-იანი წლების ბოლოს ჩეჩნებს შორის გავრცელებულმა ხმებმა, რომ ჩეჩნეთში გადასახადების გაწერა უნდა დაიწყოსო[280]. რუსეთის ხელისუფლებას გადასახადების გაწერა გადაწყვეტილი კი ჰქონდა. მაგრამ ოფიციალურად იგი არავის გამოუცხადებია. ჩეჩნები 1840 წლამდე რუსეთის ხელისუფლების მორჩილებაში იყვნენ, და, ამდენად, გასაკვირი არ იყო გა-

---

[276] შამილი დაბადა 1798 წ. დაღესტანში, ავარიის აულ გიმრში. მისი მშობლები იყვნენ უბრალო ავარიელი უზდენები, რითაც ყოველთვის ამაყობდა შამილი.

[277] Бушуев С. К. Борьба горцев за независимость под руководством Шамиля, М., 1939, с. 82.

[278] Хаджи-Али, Сказание очевидца о Шамиле, ССКГ, Вып.V II, 1873, с. 12.

[279] Кастильон, Письма к Гизо, «Историк-марксист», 1936, № 5, с. 115.

[280] Берже А. П. Чечня и чеченцы, Спб, 1859, с. 108.

დასახადების გაწერა. აჯანყების წინ ჩეჩნეთი რამდენჯერმე დაარბიეს გენ. პულოს ხელმძღვანელობით მოწყობილმა სამხედრო ექსპედიციებმა. ექსპედიციებს მოჰყვა მოსახლეობის განიარაღების დაწყება იგივე გენ. პულოს მეთაურობით და ბოლოს, ზემოხსენებული ამბის გავცრელებამ ჩეჩნებს აჯანყება გადააწყვეტინა.

1840 წ. აღრე გაზაფხულზე დიდი და მცირე ჩეჩნეთის, კაჩკალიკისა და მიჩიკის მოსახლეობამ რუსეთისადმი მიცემულ ერთგულების ფიცს უღალატა და განზე გადგა. თერგს ზემო და სუნჯის ჩეჩნები სუნჯას იქით გაიქცნენ. სამხედრო ხელმძღვანელობამ გვიან შეიტყო ამის შესახებ.

სამხედრო ნაწილებმა ჩეჩნეთში რამდენიმე აული ააოხრეს[281]. ფაქტიურად ეს გახდა აჯანყების დაწყების სიგნალი და ჩეჩენთა შამილთან დაკავშირების საბოლოო მიზეზი. შამილი გაღიზიანებულ ჩეჩნებს არწმუნებდა, რომ აულების დარბევა-განადგურებისათვის სამაგიეროს მიუზღავდნენ მოწინააღმდეგეს. იგი თავისი პოზიციებისა და გავლენის განმტკიცებას ცდილობდა. ჩეჩნეთში ყოველ პატარა, მცირედ გამარჯვებასაც კი თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის იყენებდა. მართლაც და მისი ავტორიტეტი და ხელისუფლება დღითი დღე მტკიცდებოდა. 1840 წ. ციხიდან გაიქცა რუსეთის მიერ დაპატიმრებული ჰაჯი-მურატი[282], რომელიც მალე შამილის თანამებრძოლი გახდა. ჰაჯი-მურატის შამილის მხარეზე გადასვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მიურიდთა რიგების განმტკიცების საქმეში. ამის გამო იყო, რომ ავარიის სახანოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შამილის მხარეზე გადავიდა. 1842 წ. შამილმა მთელი ჩეჩნეთი სამ სანაიბოდ დაყო: 1. მიჩიკის, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მდ. აქსაისა და კაჩკალიკის ქედს, მდ. სუნჯას, მდ. ხულხულაუსა და ანდიის მთას შორის. აქ ნაიბად შუაიბ მოლა[283] იქნა დანიშნული. 2. დიდ ჩეჩნეთში, რომელიც ესაზღვრებოდა მდ. ხულხულაუს, მდ. სუნჯას, მდ. არღუნსა და შავმთას, ნაიბად ისსა დანიშნა[28]. ვ. მცირე ჩეჩნეთი ანუ ტერიტორია მდ. არღუნს,

---

[281] იქვე.

[282] ჰაჯი-მურატი წარმოშობით ცნობილი ავარიელი ბეგის შვილი იყო. თავიდან იგი, ჰაზბატ-ბეგის მიერ ავარიელი ხანების დახოცვის გამო, მიურიდთა წინააღმდეგ გამოდიოდა და სამაგიეროს გადახდას აპირებდა. მალე რუსეთის ხელისუფლებამ იგი ავარიის მმართველად დანიშნა. იმის მაგივრად, რომ რუსეთის სამსახურში ჩამდგარიყო, შამილის მხარე დაიჭირა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას შეუდგა.

[283] 1842 წ. ახვერდი-მაგომი გარდაიცვალა აულ ცორზე თავდასხმისას მიღებული ჭრილობისაგან. მის ადგილზე დანიშნულ იქნა დიდი ჩეჩნეთის ნაიბი ისსა, ამ უკანასკნელის ადგილზე კი შუაიბი დააწინაურეს, რომელიც მოკლეს თავის აულ ცენტერაროში.

[284] Берже, А. П. Указ. труд, с. III.

მდ. სუნჯას, მდ. ასასა და შავმთებს შორის. აქ ნაიბობა ახვერდი-მაგომას ებოძა. აუხოველთა უფროსად ჩალუბეი დაინიშნა[285].

ჩეჩნეთში შამილის ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად უკმაყოფილოთა რიცხვიც იზრდებოდა. საჭირო იყო მოსახლეობისათვის თვალყურის დევნება. ამ მიზეზით შამილმა მიჩიკისა და დიდი ჩეჩნეთის სანაიბოები ორ-ორ სანაიბოდ დაყო, მცირე ჩეჩნეთის სანაიბო კი — 4 სანაიბოდ. იჩქერიის საზოგადოების უფროსად მაჰომედ მუსაკაევი დაინიშნა. კაჩკალიკთა ღა მიჩიკთა საზოგადოებების უფროსად — ელდარი.

რუსეთის ხელისუფლება ხედავდა ჩეჩნეთში მიმდინარე საქმიანობას და სამხედრო ექსპედიციის მოწყობა გადაწყვიტა. შამილმა წინასწარ გაითვალისწინა მოწინააღმდეგის ძლიერება და ყოველი შემთხვევისათვის მიუვალი გუნიბის მთა გაამაგრა. გენ. გრაბეს ექსპედიცია ჩეჩნეთისაკენ დაიძრა. შამილმა წინასწარ დაიჭირა თადარიგი, ბრძოლისათვის მოამზადა ლაშქარი და იჩქერიაში შემოსული ჯარი დაამარცხა. მთავრობის ჯარებმა დაკარგეს 66 ოფიცერი და 1719 რიგითი ჯარისკაცი[286]. შამილის ლაშქარმა 2 ზარბაზანი იგდო ხელთ. იჩქერიაში დამარცხების შემდეგ, იმავე 1842 წ. გენ. გრაბემ მეორე დამარცხება განიცადა იგალთან. შამილის გავლენა ჩეჩნეთიდან ინგუშეთშიც გავრცელდა. მისი ხელმძღვანელობით მთიელთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ არნახულ მასშტაბს მიაღწია. ამ ბრძოლების შესახებ ცნობები ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის პრესაში იბეჭდებოდა. 1843 წ. შამილის ლაშქარმა რუსეთის ჯარი დაამარცხა ხუნძახთან. შამილის ამ გამარჯვებისთანავე მთელი ავარია აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. ამავე წელს შამილმა რუსეთის ციხე-სიმაგრე გერგებილი აიღო. სამხედრო ნაწილებმა უკან დაიხიეს და დატოვეს იანგი-იურტი, ზუბატი, მიატლო და ჩირ-იურტი. სამხედრო ნაწილებმა დიდძლი სამხედრო და სამეურნეო მნიშვნელობის მარაგი დატოვეს[287]. 1844 წ. ტაბასარანი დაემორჩილა შამილს. ტაბასარანის მფლობელი ხანი რუსეთის ერთგული იყო, გაიქცა და რუსეთის მხარეს შეაფარა თავი. შამილს მიემხრო მთელი ჩეჩნეთი, დაღესტანი და 1845 წ. ცარიზმის ერთგული, რუსეთის სამსახურის გენერალ-მაიორი, ელისუს მმართველი დანიელ-სულთანიც აჯანყებულების მხარეს გადავიდა.

შამილმა მთელი ჩეჩენი მოსახლეობა ჩაბა აჯანყებაში. 1845 წ.

---

[285] იქვე.

[286] Дубровин Н. и др. Обзор войны России от Петра Великого до наших дней, ч. IV, кн. I, Спб, 1898, с. 39.

[287] Бушуев С. К. Борьба горцев за независимость под руководством Шамиля, М., 1939, с. 96.

დიდი და მცირე ჩეჩნეთი, მიჩიკის, კაჩკალიკისა და იჩქერის საზოგადოებებთან ერთად, 7 სანაიბოდ დაყო. 1846 წ. ორი სანაიბო შეიქმნა: შატოის და ჭებერლოს. ჩეჩნეთში სანაიბოთა რაოდენობის გადიდებას ან შემცირებას შამილი შექმნილი სამხედრო ვითარების მიხედვით აწარმოებდა. იგი ბრძოლებში მიღებულ გამოცდილებას იყენებდა მომავალ სამხედრო საქმიანობაში. ამასთანავე, მისი მიღწევები მტკიცე რკინისებურ დისციპლინას ემყარებოდა. განსაკუთრებით მკაცრად უსწორდებოდა მოღალატეებს — სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც მის მითითებას არ შეასრულებდა და ვისაც რუსეთისაკენ ეჭირა თვალი. შამილთან ბრძოლამ მსოფლიო მნიშვნელობის ხასიათი მიიღო. საჭირო იყო კავკასიაში მყოფი ჯარის კვლავ გაძლიერება, ამავე დროს, სარდლობის შერჩევა-დაკომპლექტებაც. 1845 წ. 25 მარტს კავკასიის არმიის ახალი მთავარსარდალი თავადი მ. ვორონცოვი შეუდგა მოვალეობის შესრულებას. თავადი მ. ვორონცოვი, ახალ პოსტზე დანიშვნის წინ, 1844 წ. ნოემბერში ნიკოლოზ პირველმა შეაქო წარსულში დიდი დამსახურებისათვის და კავკასიაში დიდი წარმატებები უსურვა[288], თანაც მიუთითა: გაანადგურეთ შამილის თავშესაყარი, შეაღწიეთ მისი სამფლობელოს შუაგულში და იქ გამაგრდით[289]. თავად მ. ვორონცოვის მთავარსარდლობით ბრძოლაში უფრო მეტი სამხედრო ნაწილები იქნა ჩაბმული. სამხედრო ნაწილებს დიდი ზარალი მოსდიოდათ როგორც გადაადგილების დროს მთიელთა თავდასხმების გამო, ისე უშუალოდ ბრძოლის დროს. ერთ თვეზე ცოტა მეტი დროის განმავლობაში — 16 ივნისიდან 21 ივლისამდე, სამხედრო ნაწილებმა გადაადგილებისა და ბრძოლების დროს 3510 კაცი დაკარგეს. მათ შორის 856 მოკლულთა სახით, რომელთა შორის 3 გენერალი იყო, 7 შტაბის ოფიცერი და 27 ობერ-ოფიცერი[290]. შამილი და მისი თანამებრძოლნი გათამამდნენ გამარჯვებებით და უფრო გაბედულად უტევდნენ სამხედრო ნაწილებს. შამილის გვერდით თავგამოდებით იბრძოდა ჰაჯი-მურატი[291]. დიდი ზარალი მოსდიოდათ აჯანყებულებსაც. 1845 წ. 5 აგვისტოს ცნობით, უკანასკნელ ბრძოლებში და განსაკუთრებით ჩეჩენთა რაზმის დარღოდან ყუმიყეთის სამფლობელოსაკენ გადაადგილების დროს მათ 600 კაცამდე დაკარგეს. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი ხელმძღვანელები: შუბუტოველთა ნაიბი მააში, დიდი ჩეჩნეთის ნაიბი შუაიბი, სალათაელთა ათასისთავი ჰაჯი ბეგი, შამილის უერთგულესი თანამოაზრე და მეგობარი ბატირ-მირზა, მცირე ჩეჩნეთის ნაიბი საადულუ და სხვ.

---

288 აქტები, ტ. X, გვ. 11.

289 Бушуев С. К. Указ. труд, с. 97.

290 აქტები, ტ. X, გვ. 387—388, საბუთი № 377.

291 იქვე, გვ. 394, საბუთი № 380.

იმავე პერიოდში დაიჭრა ოთხი ნაიბი: შუა ჩეჩნეთის — დუბა, ანდიის-ლაბაზანი, ტეხნუცალის — შახმანდარი და მიჩიკის — მუჰამედ-მოლა[292]. შამილის ლაშქარს გამოცდილ მეთაურთა ხელი აკლდებოდა, რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები კი ენერგიულად უტევდნენ აჯანყებულებს.

1845 წ. 4 სექტემბერს გენერალ-ადიუტანტი ადელრებერგი ვორონცოვს ატყობინებდა იმპერატორის კმაყოფილებას 14 აგვისტოს მიღებული ცნობის გამო. ცნობაში ხაზგასმული იყო სამხედრო ნაწილების თავდადებული მოქმედება ჩეჩენთა ანდიიდან დარღოში გადაადგილების დროს. წაიკითხა რა ხსენებული ცნობა, ნიკოლოზ პირველმა თავისი ხელით წააწერა: „ცნობისმოყვარეობით და პატივისცემით წავიკითხე ჯარის ბრწყინვალე თავდადებული მოქმედება“[293]. კავკასიაში დამატებით იქნა შემოყვანილი სამხედრო ნაწილები. შამილის წინსვლა და ეპიზოდური გამარჯვებები თანდათანობით შეფერხდა. 1850-იან წლებში მეფის რუსეთის ჯარების სიმრავლემ, შინაგან სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდამ საიმამოში, რიგი ტერიტორიების გაპარტახებამ, ხალხის დაქანცულობამ, სურსათ-სანოვაგის უკმარობამ, აჯანყებულების ხელმძღვანელთა ბრძოლის ველზე დაღუპვამ და ნაიბთა ღალატმა მთიელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა დაქვეითების გზაზე დააყენა. სხვა გამოჩენილ პირთა ღალატს 1851 წ. აგვისტოში დაერთო ჰაჯი-მურატის აჯანყება შამილის წინააღმდეგ[294]. შამილის ძლიერება მის ავტორიტეტთან ერთად ეცემოდა. 1852 წ. შამილის სამხედრო ძალები 30000 მებრძოლითა და 30 ნაიბით განისაზღვრებოდა. თითოეული ნაიბის ხელმძღვანელობაში საშუალოდ 1000 მებრძოლი იყო. ზოგ ნაიბს 1000 მებრძოლზე ნაკლები ებარა, ზოგს კი 2000-მდე კაცი ჰყავდა. შამილის ნაიბებს შორის ყველაზე გავლენიანი და გამბედავები იყვნენ: აბაკარ-დებირი, კაირ-ბეგი, გაიტემირი, აბრაკ-ჰაჯი, ალი-სულთანი, ყრუ

---

[292] იქვე, გვ. 397, საბუთი № 382.

[293] აქტები, ტ. X, 397, საბუთი № 383.

[294] იქვე, გვ. 522, საბუთი № 469. 1851 წ. 20 აგვისტოს, აიტურში, შამილსა და ჰაჯი-მურატს შორის უსიამოვნო შელაპარაკება მოხდა დაღესტანში უშედეგო ბრძოლების გამო. შამილმა ჰაჯი-მურატის სიკვდილით დასჯა განიზრახა, უკანასკნელმა რუსეთის სარდლობას აცნობა. რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებული იყო მისი გადმობირებით. ისარგებლა რა ამ მომენტით, ციხე-სიმაგრე ვოზდვიჟენსკაიადან შეირაღებული რაზმი იქნა გაგზავნილი ჰაჯი-მურატის რუსეთის მხარეს გადმოსაყვანად. იგი 4 მიურიდით ციხე-სიმაგრე გროზნოში იქნა მოყვანილი.

ავარიის ნაიბის ჰაჯი-მურატის აჯანყებულთა რიგებიდან წასვლის გამო ავარიელთა დიდი ნაწილი ჩამოშორდა შამილს. 1852 წ. აპრილში ჰაჯი-მურატი ნუხიდან სამურის ოკრუგისაკენ გაიქცა ოთხივე მიურიდით და მოკლულ იქნა გზაში ორ მიურიდთან ერთად. დანარჩენი ორი მიურიდი კი შეიპყრეს და საველე სასამართლოს გადასცეს. (აქტები, ტ. X, გვ. 540, საბუთი № 486).

ინკო ჰაჯი, მუჰამედ-ემინი და სხვ[295]. 1853—1856 წწ. ყირიმის ომის დროს რუსეთის ჯარის ძირითადი შემადგენლობა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული. შამილმა გააქტიურა ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. თურქეთის, ინგლისის და საფრანგეთის დიპლომატია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მთიელთა აჯანყება თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. თურქეთის სულთანმა შამილს სთხოვა დახმარება, რათა საერთო ძალებით „გაერეკათ რუსები" კავკასიიდან. სამაგიეროდ სულთანი ჰპირდებოდა კავკასიის მმართველობას, კავკასიის მეფის ტიტულს. სულთანი შამილს გენერალისიმუსის წოდების მინიჭებასაც ჰპირდებოდა[296].

1853 და 1854 წლებში შამილი ორჯერ შემოიჭრა ამიერკავკასიაში. მას ამიერკავკასიის ცენტრის — თბილისის აღება ჰქონდა გამიზნული, აქედან კი შავი ზღვისპირეთში გადმოსხმულ ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის ჯარებთან ერთად ებრძოლა შეერთებას. თურქეთის სარდლობასთან უკმაყოფილების გამო შამილმა ხელი აიღო განზრახვაზე და უკან დაბრუნდა დაღესტანში[297]. მთიელებს, განსაკუთრებით მშრომელ მოსახლეობას, არ უნდოდათ თურქეთის მხარეზე გადასვლა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენ. მურავიოვი შენიშნავდა: მთიელები დამოუკიდებლობისათვის ებრძვიან რუსებს, თურქეთთან კავშირი კი, საბოლოო ჯამში, მთიელების დამოუკიდებლობის მოსპობით დამთავრდება. ამდენად, აჯანყებულებს არც თურქეთთან კავშირი აწყობთ. 1856 წ. 22 ივლისს კავკასიის მეფის ნაცვლად დაინიშნა გენ.-ადიუტ. და ინფანტერიის გენერალი თავადი ა. ი. ბარიატინსკი. მან აქტიურად და ამავე დროს გეგმაზომიერად დაიწყო მოქმედება აჯანყებულთა წინააღმდეგ. შამილის მედგარი წინააღმდეგობით ბევრი მოწინავე, სამხედრო საქმის მცოდნე იყო გულგატეხილი. გენერალ-მაიორი ვოლფი 1859 წ. 7 აპრილს სამხედრო მინისტრს სწერდა: „კავკასიაში ვერც ერთმა ჩვენმა ხაზმა ვერ მიიღო საბოლოო გაფორმება და ჩვენ ვერსად ვერ განვმტკიცდით სრულად, საეჭვოა შევძლოთ რაიმე გადამწყვეტი ზომების მიღება დაღესტნის მხრიდან მთიელთა საყოველთაო აჯანყების წინაამდეგ. მათთან მოქმედებდა მხოლოდ შამილი, ჩვენთან კი მთავარსარდლების 6 თაობა გამოიცვალა. ყოველ უფროსს დრო უნდა დაეხარჯა საქმის გასაცნობად. ყოველთვის საომარი მოქმედების წარმართვის უფლებაც არ ჰქონდათ. მთიელთა ზარალი განუსაზღვრელია: დავხოცეთ მთიელთა გაბედული წინამძღვრები.

---

[295] აქტები, ტ. X, გვ. 526, საბუთი № 476.

[296] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, с. 110.

[297] იქვე, გვ. 101.

უწინარეს ყოვლისა მათ დაბლობი უნდა წავართვათ. ბრძოლის გაგრძელებისათვის საუკეთესო საშუალებაა გამოცდილებით ნაჩვენები გზით შეტევა[298]. ბრძოლის სისტემის შეცვლისთვის მიზეზი არა გვაქვს. კავკასიაში მეტი სამხედრო ძალების დატოვებით შეიძლება ვერ დავიპყროთ მთა და ვერ დავამშვიდოთ მხარე, მაგრამ ბარის აღებას კი შევძლებთ.

საკმარისია კავკასიის კორპუსის[299] ერთი დივიზიით გაძლიერება, რომ ვიყოთ ძლიერნი სამი წლის განმავლობაში, შემდეგ კი კავკასიის კორპუსი დავიყვანოთ ნორმაზე, როგორც 1844 წ. იყო[300].

ჩვენი გავლენა უნდა განვამტკიცოთ მთის ჩეჩნეთში, იქ ჯარი უნდა გავაძლიეროთ. უნდა დავიკავოთ ჩეჩნეთი, რათა მდიდარი და ნაყოფიერი დაბლობის მფლობელნი ვიყოთ. სამხედრო მოქმედებასთან ერთად უნდა მივმართოთ მშვიდობიან საშუალებას — უკეთესად უნდა მოვაწყოთ დაპყრობილ ტომთა ყოფა და შინაგანი მმართველობა, ეს ღონისძიება ისეთივე მოქმედია, როგორც იარაღი. შამილი ცილისმწამებლურად ამბობდა: რუსებთან მთიელები უფრო ცუდად იქნებიან, რუსებმა არაფერი გააკეთეს იმ ტომებისთვისაც კი, რომლებმაც დიდი ხანია რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. რუსებმა მათ არ მისცეს არავითარი მყარი წყობა. სკოლები უნდა მოვაწყოთ მთიელთათვის[301]. თავად ერმოლოვის კავკასიის მეფის ნაცვლად გამოგზავნის წინ მთიელთა ბრძოლების ირგვლივ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა იყო პეტერბურგში. თვით ნიკოლოზ პირველი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ძალიან შეწუხებული იყო შამილის წინააღმდეგ ბრძოლების მიმდინარეობით. გენერალი მილიუტინი სამხედრო მინისტრს სწერდა: არ უნდა გაგვიტაცოს წუთიერმა უპირატესობამ, რომელიც ჩვენ შეიძლება მოგვცეს დიდი რაოდენობის ჯარით წარმოებულმა სამხედრო ექსპედიციებმა, რომლებიც კვალს არ ტოვებენ და ძვირი ჯდება. მთიელები მათ მქუხარე ღრუბლებს ეძახიან, რომლისგანაც უნდა დაიმალო და დაელოდო ქუხილის გადაღებას.

ახალი მთავარსარდალი გენ. ბარიატინსკი გადამწყვეტი ზომების მიღებას შეუდგა. მისი გეგმით მთიელებზე შეტევა ერთდროულად დაიწყო სამი მიმართულებით: დასავლეთიდან — ჩეჩნეთის მხრიდან უტევდნენ გენ. ევდოკიმოვის შენაერთები, აღმოსავლეთიდან — დაღესტნის

---

[298] Бобровский П. О. История 13-го Лейб-Гренадерского Ериванского Его Величества полка за 250 лет (1642—1892), часть пятая, гренадеры (1856—1892), Спб, 1898, с. 3.

[299] 1857 წ. 6 დეკემბრიდან კავკასიის ცალკე კორპუსს კავკასიის არმია ეწოდა.

[100] Бобровский П. О. Указ. труд, с. 3.

[301] იქვე.

კასპიისპირეთის რაიონებიდან—ბარონი ვრანგელი, სამხრეთ-დასავლეთიდან თავად ბელიქოვის სამხედრო ნაწილები დაიძრნენ[302]. თავად ბარიატინსკის ყურადღება მეტად მშფოთვარე ჩეჩნებისაკენ იყო მიქცეული. ბარის ჩეჩნები 1858 წ. ჩამოსცილდნენ შამილს, რამაც საგრძნობლად შეასუსტა აჯანყებულთა ძალები. შამილზე სამივე მხრიდან შეტევამ სასურველი შედეგი გამოიღო. 1859 წ. 7 მარტს შამილი 400 ერთგული კაცით ღუნიბში წავიდა. 8 დღის შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, 25 მარტს, შამილის უკანასკნელი დასაყრდენი — ღუნიბი რუსეთის ჯარმა აიღო. შამილი ტყვედ ჩაბარდა ბარიატინსკის.

1859 წ. 2 აპრილს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა თავადმა ბარიატინსკიმ კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის ჯარებს ბრძანებით გამარჯვება მიულოცა: „თქვენი დიდი შრომისა და გმირობისათვის უფალმა ღმერთმა დაგაჯილდოვათ თქვენ გამარჯვებით: აქამდე უძლეველი ზღუდე დაეცა! ვედენო აღებულია და დაპყრობილი. ჩეჩნეთი დაეცა დიდი ხელმწიფის მუხლების წინ! დიდება გენერალ ევდოკიმოვს! მადლობა მის მამაც თანამოღვაწეებს!“[303] 2 აპრილს სამხედრო მინისტრს მოახსენეს ეს დიდი გამარჯვება. იმავე დღეს რუსეთის ახალმა იმპერატორმა შეიტყო მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვება. რუსეთის ხელისუფლება კავკასიის ადმინისტრაციულ დაყოფას შეუდგა. 1859 წ. 23 ოქტომბრის ბრძანებით ჩეჩნებს გამოეყო იჩქერია, გუმბეთი, ანდია, ტეხნუცალი, აქის, შატოის, ჩანთის, შაროს, შიკაროს და სხვა საზოგადოებები. ჩამოთვლილი ერთეულებისა და საზოგადოებებიდან ჩამოყალიბებულ იქნა იჩქერიისა და არღუნის ოკრუგები. იჩქერიის ოკრუგში შევიდა: იჩქერია, გუმბეთი, ანდია და ტეხნუცალი, არღუნის ოკრუგში: აქის, შატოის, ჩანთის, შაროს, შიკაროსა და სხვა საზოგადოებები. იჩქერიისა და არღუნის ოკრუგები ხელოვნურად იყო გამოყოფილი ჩეჩნეთიდან და, ამდენად, ამ ოკრუგთა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებები თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა ჩეჩნეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებებისაგან.

რუსეთის მთავრობა აქ დამკვიდრებისთანავე შეუდგა ამ მხარეში მმართველობის ფორმების შემუშავებასა და დანერგვას. მალე საადგილ-მამულო-საგლეხო რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. ჩეჩნეთში დამოკიდებული წოდების განთავისუფლება მოხდა. განთავისუფლდნენ მცირერიცხოვანი მონა-ყმებიც, რომლებიც ჩეჩნეთში იყვნენ. ჩეჩნები ძნელად ეგუებოდნენ ცარიზმის რეჟიმის დამყარებას და

---

[302] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, с. 112.

[303] აქტები, ტ. XII, გვ. 1135, საბუთი № 1002.

ამიტომ ხშირი იყო მათი უკმაყოფილება, რომელიც ზოგჯერ აშკარა გამოსვლებშიც გადაიზრდებოდა ხოლმე.

1859 წ. ჩეჩნეთისაგან გამოიყო და დამოუკიდებელ ოკრუგად ჩამოყალიბდა არღუნის ოკრუგი.

1866 წ. მონაცემებით არღუნის ოკრუგში ორივე სქესის 25000 სული ითვლებოდა. ოკრუგის ტერიტორია დასერილი იყო დიდი და ღრმა მთის ხეობებით[304]. მთელი მოსახლეობის ადგილსამყოფელს 20 აული წარმოადგენდა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ჩეჩნურ ენაზე ლაპარაკობდა, თუმცა ჭებერლოთა საზოგადოება ჩეჩნურად ლაპარაკობდა, მაგრამ შეიმჩნეოდა, რომ იგი მათი მშობლიური ენა არ იყო[305]. ჭებერლოელები, ძველი გადმოცემის საფუძველზე, თავიანთ თავს რუსთა შთამომავლებად თვლიდნენ. ამ საზოგადოების ხალხი მართლაც განსხვავდებოდა არღუნის ოკრუგის ძირითადი მოსახლეობისაგან ხასიათით, სახის მოყვანილობით და ბოლოს ენითაც[306]. თუ გადავხედავთ ძველ ისტორიას, ამ ტერიტორიაზე და კავკასიის სხვა რაიონებშიც ხშირი იყო რუსთა შემოსევა. ისინი დიდხანს რჩებოდნენ ამ მიდამოებში, ხშირად აქ მკვიდრდებოდნენ სამუდამოდ, აქაურ ზნეჩვეულებებს იძენდნენ.

ზემოთ მოყვანილი გადმოცემა შეიძლება მართალიც იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭებერლოელების ზოგიერთ საგვარეულოში XVIII ს. ბოლომდე შეიმჩნეოდნენ სლავური ტიპები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეერწყნენ ანდიელებსა და ჩეჩნებს. დანარჩენი მოსახლეობა ჩეჩნები იყო, თუმცა ზოგი მათგანი თავის თავს სხვაგვარ წარმოშობას უკავშირებდა. მაგალითად, ძუმსოების საგვარეულო ქართლელებს უკავშირებდა თავის წარმოშობას, ქელოები — თუშებს, აგიშპატოელები ევროპულ წარმოშობას აღიარებდნენ, ვარანდოელთა საგვარეულოს წინაპრები ხევსურეთიდან იყვნენ გადმოსულები[307]. ზოგ საგვარეულოთა წარმომადგენლები ბერძენთა შთამომავლებად თვლიდნენ თავს და ა. შ.

ამრიგად, არღუნის მოსახლეობას, მათი წარმომავლობის მიუხედავად, აერთიანებდა ენა. სარწმუნოება და ერთნაირი ისტორიული ბედი. წოდებრივი დაყოფა აქაც ძნელი შესამჩნევი იყო, თუმცა ზოგიერთი გვარი მაღალი წარმოშობისად ითვლებოდა სხვა გვართან შედარებით.

მაგალითად, აგიშპატების გვარი სხვებზე ადრე ჩამოსახლდა ჩეჩ-

---

[304] Ипполитов А. П. Этнографические очерки аргунского округа, ССКГ, вып. I, с. 3.

[305] იქვე.

[306] იქვე.

[307] იქვე, გვ. 4.

ნეთის ბარში. ოდესღაც სხვებისაგან გამოსაღებს იღებდა მიწით სარგებლობისათვის და არისტოკრატიულ საგვარეულოდ ითვლებოდა[308]. როგორც ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, აქაც მუსულმანური რელიგია იყო გაბატონებული. ჩეჩნეთის[309] მსგავსად, არღუნის ოკრუგის მოსახლეობაშიც წოდებრივი დაყოფა, როგორც აღინიშნა, ძნელი შესამჩნევი იყო. ადრე ნათ მონები ჰყავდათ, მაგრამ ისინი ბრძოლების დროს წამოყვანილი ტყვეებისაგან იყვნენ წარმომდგარნი, როგორც საბუთებიდან ირკვევა. ტყვეები ძირითადად იყვნენ კახეთიდან, აგრეთვე თუშები და ნაწილი რუსებიც. მათ არავითარი უფლებები არ ჰქონდათ, ყოველმხრივ მფლობელებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ჩეჩნეთში და, კერძოდ, არღუნის ოკრუგის მოსახლეობაში დამოუკიდებული წოდების ეს სახეობა ბევრად მცირე რაოდენობისა იყო, ვიდრე ყუმიყებსა და ყაბარდოელებში.

არღუნის ოკრუგს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით შამილის ბრძოლების დროს. არღუნის ხეობაზე გავლით ახლო იყო დიდი და მცირე ჩეჩნეთი, აქედან მიდიოდა მოკლე გზა რუსეთისა და თბილისისაკენ[310]. მდინარე ჩანტი-არღუნის მიერ წარმოქმნილი არღუნის ხეობა ოკრუგს ორ ნაწილად ჰყოფდა. ხეობა ახლოს იყო კავკასიის ხაზთან და რუსეთისადმი დიდი ხნის წინათ ერთგულების ფიცმიღებულ ღალღების, ნაზრანებისა და სხვ ხალხთა ადგილსამყოფელთან. 1840-იანი წლებიდან არღუნის ხეობა რუსეთის მოწინააღმდეგე ძალების შესაკრებ პუნქტად იქცა. აქ დგებოდა გეგმები და აქედან იგზავნებოდნენ ყაჩაღები და ავაზაკთა ბანდები სუნჯის ხაზისა და ჩეჩნეთის ბარისაკენ. შეიარაღებულ რაზმებს აგზავნიდნენ საქართველოში, ყაბარდოში, ნაზრანსა და სხვა ადგილებში. არღუნის ხეობა დიდ დახმარებას უწევდა აჯანყებულ ჩეჩნებს და შემდეგ კი შამილის დროებით წინსვლას. არღუნის ხეობა შამილისათვის იყო მისი ხელისუფლების უკანასკნელი დასაყრდენი მთაში, სადაც საჭირო შემთხვევაში გადასახლდებოდა ვედენოდან[311]. აქაური მოსახლეობა რუსებს არ იცნობდა. ამდენად, ვერ წარმოედგინათ რუსებთან რაიმე ურთიერთობის დამყარება. სამხედრო ნაწილებისათვის ძნელი იყო არღუნის ხეობაში შეღწევა. ხეობისაკენ გზები არ იყო და სიმაგრეებითაც იყო გარემო-

---

[308] იქვე.

[309] არღუნის ოკრუგი, რეფორმის იოლად ჩატარებისა და მხარის უკეთ მართვის მიზნით, ჩეჩნეთს რეფორმის წინ გამოეყო და ცალკე ოკრუგად იქნა ჩამოყალიბებული. გამოყოფამდე ეს ოკრუგი ეთნიკურად ჩეჩნეთის განუყოფელი ნაწილი იყო.

[310] Дидимов К. Экспедиция в Аргунском ушелье с 15-го января по 18-е апреля 1858 года, «Военный сборник», т. VIII, Спб, 1859, с. 89.

[111] Ипполитов А. П. Указ. труд, с. 45.

ცული[312]. ამიტომ 1850-იანი წლების დასაწყისში რუსეთის არც ერთ წარმომადგენელს არ ენახა არღუნის ხეობა. მიუხედავად ამისა, იგი შედარებით ადრე იქნა აღებული რუსეთის ჯარების მიერ. მთიელები დაქანცა მუდმივმა ბრძოლამ, რომლის დროსაც ათასობით ადამიანი იღუპებოდა. შამილის დესპოტური მმართველობის შედეგად უფრო მეტი მთიელი იღუპებოდა, ვიდრე ჯარებთან ბრძოლის დროს. შამილს 1850-იანი წლების შუა ხანებში მთიელები პატივს აღარ სცემდნენ, აღარც ენდობოდნენ და აღარც უჯერებდნენ ძველებურად. მას ჩეჩნებმაც ზურგი შეაქციეს[313]. მართალია შამილის ხელისუფლება და ძალებიც დაქვეითების გზაზე იყო, მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა სამხედრო ნაწილებს, შამილი დიდ იმედებს ამყარებდა ხეობაზე. 1858 წ. 16 იანვარს რუსეთის ჯარმა ხეობა აიღო[314]. არღუნის ხეობის აღება შამილის ძალების მზის ჩასვენებას მოასწავებდა. სამხედრო ნაწილების ხეობაში შესვლით გაკვირვებული ახლო მდებარე ციხე-სიმაგრეების — ვოზდვიჟენსკოისა და გროზნოს — მოსახლეობა სანახავად მოდიოდა ხეობაში. შამილს ისე ეწყინა არღუნის ხეობის რუსეთის ჯარის მიერ დაკავება, რომ, თანამედროვის ცნობით, თვალებზე ცრემლები მოადგა[315]. არღუნის ხეობას რუსული მმართველობის დამყარების პირველ წლებშიც არ დაუკარგავს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა. აქედან სამხედრო ნაწილები კონტროლს უწევდნენ მოსახლეობის საქმიანობას. ჩეჩნეთში სამუდამო მშვიდობის დამყარებისთვისაც თავისი როლი შეასრულა ამ ხეობამ. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა იყო. მისდევდნენ ხვნა-თესვასაც. ზემო არღუნის მოსახლეობას არ ჰყოფნიდა პური ოჯახის საჭიროებისათვის და ხორბალს ხეობის ქვემო ნაწილის აულების მოსახლეობისაგან იძენდა, სადაც ხვნა-თესვისათვის უკეთესი პირობები იყო, თუმცა არც აქ იყო განვითარებული მიწათმოქმედება[316]. ასევე ითქმის მესაქონლეობაზეც. ქვედა აულების მოსახლეობას ხორბალი საკმაო რაოდენობით მოჰყავდა. მოსავლის ნაწილს ზემო არღუნის ჩეჩნებთან ცვლიდნენ: თაფლზე, სანთელზე, მატყლზე, ხამ მაუდზე, ნოხებზე, ნადირის ტყავზე, ნაბდებზე, თხის ტყავზე და სხვ. გაცვლის შედეგად მიღებული ჩამოთვლილი საქონელი ბარის ჩეჩნებს ყიზლარში მიჰქონდათ და ცვლი-

---

[312] იქვე.

[313] Ковалевский П. И. Кавказ, т. II, «История завоевания Кавказа», Спб, 1915, с. 31.

[314] Дидимов К. Экспедиция в Аргунском ушелье с 15-го января по 18-е апреля 1858 года, «Военный Сборник», т. VIII, Спб, 1859, с. 99.

[315] იქვე.

[316] Берже А. П. Чечня и чеченцы, Спб, 1859, с. 89.

დნენ: ტილოზე, ბამბის ხამ ქსოვილებზე, ირანიდან შემოტანილ ჩითსა და ჩითის თავშლებზე, დაბალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილებზე, სპილენძის ჭურჭლებზე, მარილზე და სხვ[317]. არღუნის ოლქი ხელოვნურად იყო გამოყოფილი ჩეჩნეთისაგან და ამდენად ამ ხალხის ყოფა, ზნე-ჩვეულებანი და ძირითადი საქმიანობა თითქმის ერთნაირი იყო. რაც შეეხება მმართველობას, საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის წინ არღუნის ოკრუგში დროებითი მმართველობა იყო, როგორიც თერგის ოლქში შემავალ ჩეჩნეთისა და იჩქერიის ოკრუგებში.

არღუნის ოკრუგის გვერდით იჩქერიის ოკრუგი მდებარეობდა. იჩქერიის ოკრუგი 1859 წ. გამოეყო ჩეჩნეთს.

მის შემადგენლობაში შედიოდა იჩქერია, გუმბეთი, ანდია და ტეხნუცალი[318]. იჩქერია ეწოდებოდა თერგის ოლქის იმ მთიან ნაწილს, რომელსაც ესაზღვრებოდა ჩრდილოეთით ჩეჩნეთის ოკრუგი, აღმოსავლეთით — მთის ოკრუგი. სამხრეთიდან — ანდიის ოკრუგი, სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით — არღუნის ოკრუგი. იჩქერია დაფარული იყო საკმაოდ მაღალი, ხშირი და გაუვალტყიანი მთებით. მის ტერიტორიაზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიედინებოდნენ საკმაოდ წყალუხვი და ჩქარი მდინარეები: ბასა, ხულხულავ, გუდერმესი, აქსაი და ამ მდინარეთა შენაკადები. მდინარე აქსაი იჩქერიას ჰყოფდა მთის ოკრუგისაგან.

იჩქერიის ფართობი დაახლოებით 1000 კვ. ვერსს შეადგენდა. მოსახლეობა, 1868 წ. კამერალური აღწერით, 12000 სულამდე იყო. ისინი ოკრუგის 40 აულში სახლობდნენ[319]. იჩქერიელები ჩეჩნურ ენაზე ლაპარაკობდნენ და, ჩეჩენთა აზრით, მათ შემორჩათ ჩეჩნური ენის ყველაზე სუფთა გამოთქმა[320].

იჩქერია ითვლებოდა ჩეჩენი ხალხის აკვნად, ამიტომ მას ნახჩემეკ-ს ანუ „ხალხის ადგილს“ უწოდებდნენ. როგორც ჩეჩნეთში, იჩქერიაშიც ძნელი შესამჩნევი იყო წოდებრივი დაყოფა. მოსახლეობა ჯერ კიდევ გვარებად — თოხუმ-ებად იყო დაყოფილი, რომლებიც იმ აულთა სახელებს ატარებდნენ, საიდანაც მათი წინაპრები იყვნენ ჩეჩნეთის დაბლობზე ჩამოსახლებულები. მეტი ნაწილი აულებისა, საიდანაც მათი წინაპრები ჩამოსახლდნენ ჩეჩნეთის ბარში, იჩქერიაში მდებარეობდა. ჩეჩნურ ენაზე ლაპარაკობდა იჩქერიიდან და ჩეჩნეთიდან ყუ-

---

[317] იქვე.

[318] აქტები, ტ. XII, გვ 1184, საბუთი 1064.

[319] Попов И. М. Ичкерия (историко-топографический очерк), «ССКГ» вып. IV, Тиф., 1870, с. I.

[320] Берже А. П. Краткий обзор горских племен на Кавказе, КК за 1858 год, Тиф, 1857., с. 297.

მიყეთის ბარში დამკვიდრებული მოსახლეობა, რომლებმაც შეადგინეს აულები: ისტი-სუ, ენგელ-იურთი, მახან-იურთი და სხვ.

იჩქერია ორ, ვედენოსა და დარღოს, სანაიბოდ იყო გაყოფილი. ვედენოს სანაიბო 12 აულისაგან შედგებოდა. მოსახლეობა ორივე სქესის 5105 სულს შეადგენდა. აულები რვა საგვარეულოთი იყო დასახლებული: ხარაჩოევები, დიშნი-ვედენები, ერსენოევები, ეხიშბატოევები, გუნოევები, ელისტანჟინები, ჩერმოევები და ჭებერლოევები. ჩამოთვლილი გვარებიდან, საზოგადოებაში ყველაზე მეტი უფლება და ხალხზე გავლენაც ჰქონდათ: ელისტანჟინებს, დიშნი-ვედენებს და ერსენოევებს, რაც იჩქერიაში საზოგადოების წოდებრივი დაყოფის დასაწყისი საფეხურის არსებობაზე მიგვითითებს. დარღოს სანაიბო 28 აულისაგან შედგებოდა. მოსახლეობა ორივე სქესის 6794 სულს შეადგენდა. აულები აქაც საგვარეულოთა მიხედვით იყო დასახლებული. დარღოს სანაიბოში ძირითადად ცხოვრობდნენ: ცონტაროევები, ეიტიკალინები, ენო-კალინები, ბელგატოევები, შუანინები, ალეროევები და სხვ. იჩქერიელებმა ბევრჯერ მიიღეს რუსეთის იმპერიისადმი ერთგულების ფიცი, მაგრამ არ შეასრულეს. 1832 წ. გენ. როზენმა იჩქერიელთა რამდენიმე სოფელი გაანადგურა, მოსახლეობამ ერთგულების ფიცი დადო, მაგრამ მალე უღალატა მიცემულ პირობას. 1839 წ. რუსეთის ჯარმა აქტიური შეტევა დაიწყო მიურიდთა წინააღმდეგ. გენ. გრაბემ მრავალათასიანი სამხედრო შენაერთებით ახულგოს შეუტია. შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ კავკასიის ომის ისტორიაში იგი „ახულგოს სისხლიანი შეტევის“ სახელით შევიდა[321]. ახულგოს დამცველთა ნახევარი სამხედრო ნაწილების შეტევის შედეგად დაიხოცა[322]. შამილის ლაშქარი დიდ გაჭირვებაში იყო სურსათისა და სასმელი წყლის უქონლობის გამო. ახულგოსთან ბრძოლების დროს უგზო-უკვლოდ გაქრნენ შამილის ორი თანამოაზრე და გამოჩენილი ხელმძღვანელნი — სურხაი და ალიბეგი. გენ. გრაბემ ახალი ახულგოს მისადგომები აიღო, ახულგოს ბედი სასწორზე იყო. 17 აგვისტოს, დილით შამილმა თეთრი დროშა გამოკიდა. იგი ეთათბირა გენ. პულოს ახალ ახულგოში. გენ. პულომ შამილს დამორჩილება შესთავაზა. ამასთანავე, იგი დროებით რუსეთში ან სტავროპოლში უნდა წასულიყო საცხოვრებლად. გენ. პულომ შამილს დროებით საცხოვრებლად აული უმანხან-იურთი, დიდი კულარახი და ბოლოს სამაშქები შესთავაზა. აქ რუსეთის ერთგული მამასახლისები იყვნენ და შამილთან გასწორებას იოლად შეძლებდნენ. თავის მხრივ შამილმა საცხოვრებლად აშილდა მოითხოვა, აქ მისი

---

[321] Бушуев С. К. Указ. труд, с. 87.
[322] აქტები, ტ. X, გვ. 505, საბუთი № 456.

ნათესავები სახლობდნენ. შამილის გიმრიც აწყობდა, ბოლოს ავტურში დასახლება მოითხოვა, რადგან იქ მისი ერთგული ჩეჩნები ცხოვრობდნენ. ამაზე პულომ უარი განუცხადა შამილს. სამხედრო ხელმძღვანელობას არ უნდოდა შამილის ისეთ ადგილას დასახლება, საიდანაც იგი იოლად გაიქცეოდა და კვლავ აჯანყებას ჩაუდგებოდა სათავეში. ასეთი შეცდომა გენ. კლუგენაუმ დაუშვა 1836 წ.[323]. გენ. პულოსა და შამილის თათბირის წინ გენ. გრაბემ შამილის შვილი ჯამალედდინი აიყვანა მძევლად, რომ აჯანყებულებს რაიმე მოულოდნელი არ ჩაედინათ. 22 აგვისტოს ახულგო რუსეთის ჯარის ხელში იყო[324]. აღნიშნული მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდა.

1839 წ. თითქმის მთელი იჩქერიის ოკრუგი აღმოჩნდა შამილის გავლენის ქვეშ. ახულგოს ბრძოლებში, ანდიის, გუმბეთისა და სალათაუს მოსახლეობაც იღებდა მონაწილეობას, რისთვისაც სასტიკად დაისაჯნენ ახულგოს დაცემის შემდეგ. გენერალმა გრაბემ რამდენიმე სოფელი გაანადგურა. იჩქერიის მოსახლეობა იძულებული იყო ხელი აეღო რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობაზე, თუმცა მაინც ხშირად ექცეოდა აჯანყებულთა გავლენის ქვეშ. კავკასიის ომის დამთავრებისთანავე თავად ბარიატინსკის ნებართვით მთის მოსახლეობამ ტყიანი ადგილების გასუფთავება დაიწყო სახნავ-სათესი ადგილების გაფართოების მიზნით. ამისათვის იჩქერიისა და მთის ოლქებში მოსახლეობამ რამდენიმე ათასი დესეტინა მიწა მიიღო შთამომავლობითი საკუთრებით. იჩქერიის ოკრუგში წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეკავა და ტყის გაჩეხვისა და გაწმენდის შედეგად მიღებული სახნავ-სათესი ადგილებისა და ახოების მეშვეობით მიწათმოქმედებაც შედარებით განვითარების გზას დაადგა. რაც შეეხება იჩქერიის მოსახლეობის ყოფასა და ზნე-ჩვეულებას, იგი ცოტათი თუ განსხვავდებოდა მეზობელ მთიელთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებებისაგან. იჩქერიის ოკრუგის მეზობლად, ანდიის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე მთის ოკრუგი მდებარეობდა. მისი ტერიტორია 1188 კვ. ვერსს შეადგენდა. ორივე სქესის მოსახლეობა, 1864 წ. ცნობით, შეადგენდა 16568 სულს[325]. 1860-იანი წლების დასაწყისში თერგის ოლქში ხალხის მასების დიდი მოძრაობის გამო მთის ოკრუგის მოსახლეობამ 1300-მდე სულით მოიმატა და 1868 წლისათვის 17860 სული შეადგინა[326].

მთის ოკრუგი სამი სანაიბოსაგან შედგებოდა: აუხოს, ზანდაკის,

---

[323] აქტები, ტ. X, 505, საბუთი № 456.

[324] იქვე.

[325] Стебницкий И. Статистическая таблица Кавказского края, КК, на 1867 г., Тиф., 1866, с. 310.

[326] С-ва Е. Статистическия сведения о кавказских горцах, состоящих в военно-народном управлении (с картою), «ССКГ», вып. I, с. 8.

და სალათაის სანაიბოებისაგან. აუხოს სანაიბოში ორივე სქესის 5597 სული ცხოვრობდა, ზანდაკში — 6750 სული და სალათაის სანაიბოში 5517 სული[327].

ამ ოკრუგის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა იყო. მისდევდნენ ხვნა-თესვასაც, მაგრამ მიწის უკმარობის გამო იგი წამყვანი არ იყო. თავადმა ბარიატინსკიმ 1860 წ. მთის მოსახლეობას ტყის მასივების გაწმენდის ნება დართო, რათა იგი სახნავ-სათესად გამოეყენებინათ და რამდენადმე გაეუმჯობესებინათ პირობები. თავ. ბარიატინსკის ამ ადგილებში ტყის გაჩეხვა და ნაკვეთების გაწმენდა უფრო აინტერესებდა, ვიდრე მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება. ეს ადგილები ომიანობის დროს რუსეთისადმი მტრულად განწყობილთა თავშესაყარს წარმოადგენდა. შამილის თანამოაზრეებს და აჯანყებულებსაც არაერთხელ გამოუყენებიათ ანდიის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობები რუსეთის ჯარის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის[328].

ტყისაგან გაწმენდილი ფართობი გამწმენდის შთამომავლობით საკუთრება ხდებოდა. ტყიანი ადგილების გაწმენდა ხდებოდა დიდი გზების ახლოს და იქ, სადაც შემდეგში ახალი გზების გაყვანა შეიძლებოდა. ამავე დროს ტყისაგან გაწმენდა ხდებოდა არა აქა-იქ, ცალკეულ ადგილებში, არამედ თანმიმდევრულად დიდ ფართობზე, რაც თავ. ბარიატინსკის აზრით, ავაზაკთა თავშესაყარსაც მოშლიდა და მთის ოკრუგის მოსახლეობასაც მეტ სარგებლობას მოუტანდა. ამ ღონისძიებით, მართლაც, მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა მიიღო და ბევრმაც გაიფართოვა მიწის ნაკვეთები. რამაც მესაქონლეობის გვერდით ხვნა-თესვის განვითარებასაც ბიძგი მისცა.

§ 4. ინგუშეთის ურთიერთობა რუსეთთან

ჩეჩნეთის ოკრუგს დასავლეთით ინგუშეთის ოკრუგი ესაზღვრებოდა. XVII ს. პირველ ნახევარში რუსებისათვის უკვე ცნობილი იყვნენ ინგუშებიც. მათ ქისტებსაც უწოდებდნენ. შრომისმოყვარე და მშვიდობიანი ინგუში ხალხი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მცირერიცხოვანი იყო და აქსაელი ყუმიყებისა და მცირე ყაბარდოს ფეოდალებზე დამოკიდებულად ითვლებოდნენ. ხშირად ტარკის შამხლებიც ცდილობდნენ მათ დამორჩილებასა და თავის მეხარკეებად გადაქცევას, რასაც ზოგჯერ დროებით აღწევდნენ კიდეც. ამრიგად, მეზობელი ხალხე-

---

327 იქვე.

328 Гаврилов Н. Ф. Устройство поземельного быта горских племен Северного Кавказа, ССКГ, вып. II, с. 63.

ბის ფეოდალები ერთმანეთს ეცილებოდნენ ინგუშთა დამორჩილებასა და მათგან ხარკის აკრეფაში. „ინგუშები ხან ასაელ მთავრებს, ხან ყაბარდოელ ფეოდალებს ემორჩილებოდნენ[329].

ამ უკანასკნელთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების მიზნით 1769 წ. ინგუშებმა რუსეთის ხელისუფლებას მიმართეს თხოვნით, რათა ქვეშევრდომობაში მიეღოთ ისინი. „ ბოლოს ინგუშები რუსებს დაემორჩილნენ და თავისი ერთგულების დასამტკიცებლად მისცეს მძევლები, რომლებიც ყიზლარში იმყოფებიან“, წერდა საქართველოში ნამყოფი, ცნობილი მოგზაური გიულდენშტედტი[330]. რუსეთის მთავრობამ იმ წელსვე აღიარა ინგუშების მფარველობაში მიღება. რუსეთის ცენტრალური მთავრობის მითითებით ინგუშებთან ყიზლარის კომენდანტმა თავისთან მომსახურე აზნაური და 10 კაზაკი განაწესა, ვითომცდა აქ ქრისტიანობის აღსადგენად[331]. სინამდვილეში კი კაზაკთა გამოგზავნის მიზანი იყო ინგუშთა დაცვა ყუმიყებისა და ყაბარდოელებისაგან, თუმცა ამ მხარეში რუსეთი ქრისტიანობის აღდგენითაც იყო დაინტერესებული.

1747 წ. რუსეთის მთავრობამ სცადა ინგუშთა გაქრისტიანება და ქვეშევრდომობაში მიღება, მაგრამ უკანასკნელნი ძირითადად მთებში ცხოვრობდნენ, მიუვალ ხევებსა და ციცაბო კლდის ნაპირებთან და მათთან ურთიერთობის დამყარება რთულ საქმეს წარმოადგენდა და ამიტომ რუსეთის ცდები მიზანს ვერ აღწევდა. მას შემდეგ, რაც ინგუშები მთიდან ბარში ჩამოსახლდნენ, რუსებთან ურთიერთობა უფრო რეგულარული და მყარი გახდა. მთებში ისინი გაფანტულად ცხოვრობდნენ და ერთმანეთთანაც კი იშვიათად ჰქონდათ კავშირი, ძირითადად უგზოობის გამო. როდის ჩამოსახლდნენ ისინი ბარში, ამაზე ზუსტი ცნობები არ არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ XVIII ს. პირველი ნახევრის ბოლოს ისინი უკვე ბარში იყვნენ დასახლებული, ვინაიდან 1784 წ. ინგუშთა სოფელ ზაურთან აშენდა სიმაგრე ვლადიკავკაზი[332].

ინგუშთა ჩამოსახლება მთებიდან ბარში განპირობებული იყო მიწის, საძოვრებისა და სათიბების სიმცირით, საერთოდ ის ადგილები, სადაც სახლობდნენ ჯაირახები, ქისტები, ღალღები და სხვა მეზობელი მთიელი თემები, საიდანაც ინგუშები ჩამოსახლდნენ, გამოუსადეგარი იყო მეურნეობის საწარმოებლად და საერთოდ საცხოვრებლად.

---

329 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი მეორე, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1964, გვ. 69.

330 იქვე.

331 ССКГ, Вып. IX, Тиф., 1876, с. I.

332 Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. I, Спб, 1869, с. 300.

ზემოთ ჩამოთვლილ თემთა მიერ დაკავებული მთელი ტერიტორია ქვიანი ხეობებისაგან შედგებოდა, რის გამოც იქაურობა მოკლებული იყო ცხოვრებისათვის აუცილებელ ყოველგვარ სიკეთეს[333]. ამ მიზეზებს ერთვოდა დროთა განმავლობაში მოსახლეობის გამრავლება. მთას ხომ საარსებო საშუალებებით მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის მოსახლეობის დაკმაყოფილება შეუძლია. საუკუნეების მანძილზე მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. სახნავ-სათესით, საძოვრებით, სათიბებით, წყლით, ხე-ტყით და სხვ. მისი უზრუნველყოფა შეუძლებელი შეიქნა. ეს გახდა მოსახლეობის მთებიდან ბარში ჩამოსახლების ძირითადი მიზეზი. მთებიდან ჩამოსახლებულ ინგუშებს პირველად მდინარე სუნჯასა და კამბილევსკის სათავესთან ახლო მდებარე დაბლობი ეკავათ. მათვე ეკავათ აგრეთვე მდინარე თერგის მარჯვენა სანაპიროს ის ადგილი, სადაც თერგი მთიდან გამოდის და დაბლობზე მიედინება. მთებიდან ბარში ჩამოსახლება, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა.

1860 წ., თარკის დაბლობსა და მდინარე სუნჯას სათავეს შორის — სტანიცა სუნჟენსკიასა და ახკი-იურთოვში კაზაკთა დასახლების დროს, ინგუშებმა თავი მოიყარეს იმ ადგილზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის გატარების დროს. ინგუშები სულ 14 სოფელში ცხოვრობდნენ. ეს სოფლები იყო: ბაზორკინო, სურხოხი, ეკაჟევო, ნასირ-კორტი, ჰამურზიევო. ალთი, ბურუსკოვსკოე, ფლიევო, იანდირსკოე, კანტიშევო, დალაკოვო, ზემო აჩალუქი, შუა აჩალუქი, და ქვემო აჩალუქი[334]. ჩამოსახლებისთანავე, ინგუშები, როგორც მცირერიცხოვანი ხალხის წარმომადგენლები, მეზობელ ძლიერ ხალხთა დამოკიდებულებაში მოექცნენ. ისინი სახნავ-სათესის, საძოვრებისა და სათიბებისათვის, წყლისათვის და სხვ. ხარკს, უხდიდნენ, როგორც აღინიშნა, ხან ყაბარდოელებს და ხან ყუმიყებს, ზოგჯერ ტარკის შამხალსაც კი[335]. ეს იყო მიზეზი, რომ 1769 წ. ინგუშებმა რუსეთის მთავრობას ქვეშევრდომობაში მიღება სთხოვეს. ამით მათ უნდოდათ ყაბარდოელებისა და ყუმიყებზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა[336].

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა აღიარა ინგუშების მფარველობაში მიღება, ყიზლარის კომენდანტმა კი, ერთი აზნაური და 10 კაზაკი გამოაგზავნა ინგუშებთან, რუსეთს იმ პერიოდში არ შეეძლო ინგუშებს

---

333 ССКГ, Вып. IX, 1876, с. 2.

334 ССКГ, Вып. IX, с. 3.

335 იქვე, გვ. 23.

336 Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. I, с. 300.

დახმარებოდა სამხედრო ძალებით, ამიტომ იყო, რომ ინგუშთაგან კვლავ მოითხოვდნენ გადასახადებს[337]. ამჯერად მათ ყაბარდოელები ავიწროებდნენ[338]. ისინი ახდევინებდნენ კომლზე 1 ცხვარს, ვისაც ცხვარი არ ჰყავდა, იხდიდა ერთი ცელის სამყოფ რკინას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგუშებში რუსთა წარმომადგენლების გამოჩენის შემდეგ ყაბარდოელები უკვე თავს იკავებდნენ ზედმეტი გადასახადების შეწერა-აკრეფისაგან.

ინგუშების ყაბარდოელებსა და ყუმიყებზე დამოკიდებულების მიზეზი მხოლოდ მცირერიცხოვნობა არ იყო. ინგუშთა სისუსტეს განაპირობებდა ისიც, რომ მათ არ ჰყავდათ გამაერთიანებელი, მაორგანიზებელი. გიულდენშტედტი წერდა, რომ „... მათ არ ჰყავთ აზნაურნი და ირჩევენ უფროსად იმას, ვინც მათ შორის ყველაზე მდიდარია, განსაკუთრებით, თუ მას ბევრი ნათესავი ჰყავს და მას ემორჩილებიან, სანამ მოესურვებათ“[339]. ესეც ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო ინგუშების სისუსტისა.

რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ რამდენიმე წელმა განვლო და ყაბარდოელებმა კვლავ ძველებურად მოითხოვეს გადასახადები. ინგუშები ერთ ხანს ასრულებდნენ ამ მოთხოვნას, 1773 წ. კი უარი განაცხადეს ხარკის მიცემაზე და, საერთოდ, მათ მორჩილებაში ყოფნაზეც და დახმარებისათვის რუსეთის წარმომადგენელ გენერალ დე-მედემს მიმართეს. ინგუშები გენერალს მოახსენებდნენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ყაბარდოელებს დროებით გადასახადებს უხდიდნენ, მათზე დამოკიდებულები არასდროს ყოფილან. ყაბარდოელები კი პირიქით ამტკიცებდნენ, რომ ინგუშები ძველთაგანვე მათი მოხარკენი იყვნენ. იმავე წელს რუსეთის მთავრობამ გენერალ დე-მედემს მიუთითა: „არ ჩამოაცილოთ ინგუშები ყაბარდოელებს, რათა მეტად არ გაღიზიანდნენ ყაბარდოელები, მითუმეტეს, რომ ინგუშებმა თავად აღიარეს, რომ მათი მოხარკენი იყვნენ“[340].

რუსეთის მთავრობა ერიდებოდა ყაბარდოელების უკმაყოფილების გაღრმავებას. ამიტომ იყო, რომ 1769 წ. ქვეშევრდომობაში მიღებული ინგუშების თხოვნა არ დააკმაყოფილეს და ისინი ყაბარდოელებზე დამოკიდებულად ცნეს. ეს გაგრძელდა 1779 წლამდე. ამ წელს ყაბარდოელები აჯანყდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ამ მიზეზით, მთავრობამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება ყაბარდოელებისადმი და ინგუშები გათავისუფლდნენ ყაბარდოელზე დამოკიდებულებისაგან ყაბარ-

---

[337] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 69.

[338] Скитский Б. В. Хрестоматия по истории Осетий, ч. I, Орджоникидзе, 1956, с. 125.

[339] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 69.

[340] Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа, ч. I, с. 303.

ლელი აჯანყებულები იოლად დაამარცხეს რუსეთის სამხედრო ნაწილებმა. 1779 წ. 9 დეკემბერს ყაბარდოელებმა კვლავ რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცი მიიღეს. რუსეთის მთავრობის მითითებით ყაბარდოელებს ამჯერად შემდეგი პირობები წაუყენეს: „დიგორელთა, კარაჟაველთა, ქურთათის, ალაგირისა და თაგაურის ოსებს, აგრეთვე ინგუშებსა და ყველა იმათ, ვინც რუსეთის ქვეშევრდომობაში არიან, მიღებული აქვთ ქრისტიანული ნათლობის წესები, გადასახლდნენ მოზდოკსა და ხაზის სხვა ადგილებში, ამისთვის არამცთუ წინააღმდეგობა გაუწიონ მათ, არამედ ამიერიდან არავითარ შემთხვევაში არ შეავიწროვონ ისინი, მათგან რაიმე უკმაყოფილების შემთხვევაში, ყაბარდოელებმა რუსეთის აქაურ წარმომადგენელს უნდა მიმართონ საჩივრით, თვითონ არ უნდა მიიღონ ზომები“[341]. ამიერიდან ინგუშები ნაწილობრივ მაინც უნდა განთავისუფლებულიყვნენ ძლიერი მეზობლის — ყაბარდოელებისაგან, მაგრამ არც ამ უკანასკნელმა პირობის დადებამ იხსნა ინგუშები გადასახადებისა და შევიწროებისაგან.

1784 წ. ტარკის შამხალმა მურთაზალმა რუსეთის მთავრობის ქვეშევრდომობაში მიღება ითხოვდა. ამასთანავე ითხოვდა ინგუშთა თავის მორჩილებაში დატოვებას[342]. იმავე წლის აგვისტოში იგი გარდაიცვალა. მისმა ძმამ — ბამათმა კვლავ შეახსენა რუსეთის მთავრობას საშამხლოს მიღება ქვეშევრდომობაში. 1786 წ. ტარკის საშამხლო რუსეთის ქვეშევრდომობაში იქნა მიღებული[343]. ინგუშთა მორჩილების დაკანონება იმჯერად არ მოხდა.

ინგუშთა გათავისუფლება ძლიერ მეზობელთა დამოკიდებულებისაგან მოგვიანებით, XIX ს. I ნახევარში მოხდა, კერძოდ 1810 წ. 22 აგვისტოს, ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრის კომენდანტ გენერალ-მაიორ დელპოცოს მიერ ინგუშებთან დადებული ხელშეკრულებით. ინგუშებმა მეზობელ ფეოდალებს საბოლოოდ დააღწიეს თავი. ამ ხელშეკრულებამ განსაზღვრა მათი რუსეთთან დამოკიდებულება და ვალდებულებებიც.

საბუთი 20 მუხლისაგან შედგებოდა, იგი ხელმოწერილი იყო გენერალ-მაიორ დელპოცოსა და ინგუშთა ექვსი გვარის წარმომადგენელთა მიერ.

სახელშეკრულებო საბუთი ინგუშეთ-რუსეთის ურთიერთობაში იმდენად დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი სრული ტექსტის მოყვანა. ეს საბუთი იმითაცაა დიდად

---

[341] ССКГ, Вып. IX, с. 4.

[342] Бутков П. Г. Материалы..... часть II, Спб, 1969, с. 134.

[343] იქვე, გვ. 134.

საინტერესო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი და სუსტები, ყოველთვის რუსეთის მფარველობით ან ქვეშევრდომობით ცდილობდნენ ძლიერი მეზობლების ჩაგვრისაგან თავის დაღწევას. მეფის რუსეთი თავის სასარგებლოდ იყენებდა მთიელების მძიმე მდგომარეობას. ხშირად ასეთ მფარველობას და ქვეშევრდომობას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა, ვინაიდან რუსეთის აქაურ მცირერიცხოვან სამხედრო ნაწილებს ძალა არ შესწევდათ ჩაგრული პატარა ხალხების დასაცავად და მფარველობასა და ქვეშევრდომობაში მიღება ქაღალდზე რჩებოდა.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა რუსეთის მთავრობა უარს აცხადებდა მთიელთა მფარველობაში ან ქვეშევრდომობაში მიღებაზე, რადგან მისთვის საზიანო იყო ყაბარდოელ თუ სხვა ფეოდალთა განაწყენება. ინგუშებთან საქვეშევრდომო ხელშეკრულების დადებას კი არ მოერიდა რუსეთის მთავრობა, თუმცა იცოდა, რომ ეს ნაბიჯი უარყოფითად იმოქმედებდა ყაბარდოელებსა და ყუმიყებზე. არც ტარკის შამხალი იქნებოდა კმაყოფილი. ეს ხელშეკრულება იმითაცაა საინტერესო, რომ იგი ერთგვარ ტრაფარეტს წარმოადგენდა ყველა მცირერიცხოვან ხალხთან საქვეშევრდომო ურთიერთობის დასამყარებლად. ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი უცვლელად მოყვანა:

1

ამიერიდან ჩვენ, თავისუფალი და დამოუკიდებელი ინგუში ხალხი, რომლებიც წარმოდგენილი ვართ ექვსი გვარით: თორგემენოვი, ცეცმებოხოვი, აგიევი, კარტუგოვი, იალურიევი. საშხოევი და ჩვენი შთამომავლობა, ნებაყოფლობით შევდივარო მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძის და ვინც დანიშნულ იქნება მისი მემკვიდრის სრულიად ერთგულ ქვეშევრდომის მდგომარეობაში და ამასთანავე ვკისრულობთ ვალდებულებებს:

2

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის რუსეთის ტახტის ყველა მტერი, ჩვენი გარემომცველი მაჰმადიანური კანონების ხალხთა ჩათვლით, ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩავთვალოთ ჩვენს მტრებად და რუსეთის აქაური უფროსების ნებართვის გარეშე მათთან დაზავება არ დავუშვათ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჩავითვლებით რუსეთის მტრებად, რისთვისაც სამართლიანად ვიქნებით დასჯილნი რუსეთის ხელისუფალთა მიერ.

3

ყოველთვის, როცა რუსეთის აქაურ უფროსობას დასჭირდება დახმარება აქაური ხალხის წინააღმდეგ ჯარის მოქმედებისას, ჩვენ ვალდებულნი ვართ მივცეთ მათ ჩვენი საზოგადოებიდან 1000 კაცი — შეიარაღებული დამხმარე მებრძოლი, ისეთი პირობით, რომ საბრძოლო მოქმედების დამთავრებამდე, სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილნი იქნენ რუსი მეომრის კვალობაზე; ჩვენი მებრძოლების მიერ მტრისაგან წამოღებული ყოველგვარი ნადავლი ჩვენს სარგებლობაში დარჩეს განუყოფლად.

4

რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობაში, თანხმობასა და ქვეშევრდომობაში მყოფი ყველა აქაური ხალხი ჩვენ უნდა ვაღიაროთ ჩვენს მეგობრებად და ახლობლებად, ამიერიდან მათ მიმართ არ გვქონდეს არავითარი მტრული გამოხდომები, გარდა ზოგიერთი პირადი მცირემნიშვნელობის მქონე დავისა, რომელთა გარჩევა უნდა მოხდეს არა ჩვენს მიერ, არამედ რუსეთის აქაური უფროსების მეშვეობით; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც თვითნებურად იმოქმედებს, იგი რუსეთის კანონით იქნება დასჯილი.

5

თუ ჩეჩნები, ყაბარდოელები და რუსეთისადმი არაკეთილგანწყობილი ხალხები ქურდულად შეიყრიან თავს საქართველოს გზებზე მიმავალ რუსეთის აღალსა და რაზმზე გაძარცვისა და დარბევის მიზნით თავდასასხმელად და ჩვენ შევიტყობთ, ვალდებულნი ვართ მაშინვე ვაცნობოთ ჩვენთან მყოფ რუსეთის წარმომადგენელსა და უახლოეს საგუშაგოს.

თუ რუსებზე თავდასხმისას გავიგონებთ ზარბაზნის სროლის ხმას, დაუყოვნებლივ ვაცნობებთ ჩვენთან მყოფ რუს ხელმძღვანელს, თვითონ ვალდებულნი ვართ მაშინვე გავეშუროთ იმ ადგილისაკენ ავაზაკებთან შესახვედრად და ვეცადოთ არ დავიშუროთ ჩვენი სისხლი და სიცოცხლე, რათა დავამარცხოთ ისინი, წავართვათ რუსებისაგან წაღებული ნადავლი და ჩავაბაროთ იგი იმ ადგილთან ახლოს მყოფ რუს მოხელეს.

6

თუ რომელიმე ჩვენგანი იმ ავაზაკებთან შეთანხმდება ბოროტების მოსახდენად, შეგნებულად გაატარებს ჩვენს მიწაზე და შემდეგ ყოველ-

ივე ეს გამომჟღავნდება, მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვიქნებით დამნაშავეები გადავცეთ რუსეთის წარმომადგენელს ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრეში.

7

თუ ჩვენი საზოგადოებიდან ვინმე გაბედავს რუსი ჯარისკაცის, ვაჭრის ან სხვა წოდების რუსეთის ერთგული ქვეშევრდომის მოკვლას, ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიპოვოთ დამნაშავე, შევიპყროთ და გადავცეთ რუსეთის ხელისუფლებას ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრეში. თუ დამნაშავენი გაიქცნენ, მაშინ მათი ოჯახი და ქონება ჩავაბაროთ ხელისუფლებას.

8

თუ ჩვენი საზოგადოებიდან ვინმე, რომელი წოდებისაც არ უნდა იყოს იგი, რუს ხალხის წარმომადგენელს გაძარცვავს ან დაჭრის, მოვექცეთ ისევე, როგორც მკვლელობის შემთხვევაში.

9

თუ ვინმე ჩვენი საზოგადოებიდან ჩეჩნებსა და რუსეთისადმი მტრულ განწყობილებაში მყოფ სხვა ხალხთაგანს, რომლებიც რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწევიან, თვითონაც მხარს დაუჭერს და ღალატი გამოაშკარავდება, მაშინ შემფარებელს და ბოროტებაში თანამონაწილეს გადავცემთ რუსეთის აქაურ ხელმძღვანელობას და თუ იგი გაიქცევა, გადავცემთ მის ოჯახსა და ქონებას.

10

ამიერიდან, სამუდამოდ, ჩვენ და ჩვენი შთამომავლობა ვალდებული ვართ: ყაბარდოელებს, ჩეჩნებსა და აქაურ მაჰმადიანური კანონის ხალხს არავითარი გადასახადები არ ვუხადოთ (როგორც აქამდე იყო), წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ მოგვექცნენ ისე, როგორც თავის მტრებს.

11

ამ დღიდან ჩვენ და ჩვენი შთამომავლობა სამუდამოდ ვალდებულებას ვიღებთ: აღარ მივიღოთ და არ დავუშვათ ქადაგება და ჩვენში ეფენდის, მოლებისა და სხვა მაჰმადიანური სარწმუნოების პირთა მაჰმადიანური კანონების შემოღება, არ დავუშვათ მეჩეთების მშენებლობა და თუ ამის წინააღმდეგ წავალთ, მაშინ რუსეთის ხელისუფლებს შეუძლიათ მოგვექცენ ისე, როგორც თავის მტრებს.

12

ჩვენი გარემომცველი ყველა ხალხი, რომლებიც ჩვენთან მოდიან იმ განზრახვით, რომ რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობისა და ერთგულების ფიცს გადავუხვიოთ, გავხდეთ მათი მოკავშირეები და ამასთანავე რუსეთის მტრები, ან გვიწვევენ რუსეთის წინააღმდეგ საქურდლად და საავაზაკოდ, ჩვენ ვალდებულნი ვართ ასეთები მაშინვე შევიპყროთ და წარვადგინოთ რუსეთის ხელისუფლებთან. და თუ ეს არ მოხდება და რუსეთს ზიანი მოუვა, მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვართ მოვძებნოთ ჩვენგან ამ ბოროტმოქმედებაში თანამონაწილეები და გადავცეთ ისინი რუსეთის უფროსობას; თუ ამასაც ვერ შევასრულებთ, დავისჯებით როგორც მოღალატეები და საერთოდ მშვიდობის დამრღვევები.

13

ამიერიდან ჩვენი ახლანდელი საცხოვრებელი ადგილიდან რუსეთის ხელისუფალთა ნებართვის გარეშე არსად არ უნდა გადავიდეთ და არც გადავსახლდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად ვიქნებით დასჯილნი.

14

თუ მოხდება, რომ დაუფიქრებლად ჩვენ ყველა ერთად დავარღვევთ ხელმწიფე იმპერატორისადმი მიცემულ ერთგულ ქვეშევრდომის ვალდებულების ფიცს და გავხდებით მოღალატეები და მეამბოხენი, მაშინ რუსეთის უფროსობა სამართლიანად მოგვექცევა ზუსტად ისე, როგორც მტერს.

15

გარეშე მტრებისაგან ჩვენს დასაცავად, აქაური მთავარი უფროსობის წყალობით, ჩვენ ვიღებთ ჩვენს სოფელში რუსეთის ჯარის ნაწილს, რომელიც ჩვენთან იდგომება, რისთვისაც სურსათ-სანოვაგე შემოიზიდება ციხე-სიმაგრე ვლადიკავკაზიდან. შეშა მათ საცხოვრებელ სახლებში იქნება მოტანილი, ავადმყოფი ჯარისკაცები გადაყვანილი იქნებიან ციხე-სიმაგრე ვლადიკავკაზში. ვალდებულებას ვიღებთ ყოველივე ეს შევასრულოთ უფასოდ, ჩვენი ურმებით.

16

თუ ჩვენთან დააყენებენ რუსეთის ჯარს გარეშე მტრებისაგან ჩვენს დასაცავად, იმ ვარაუდით, რომ იგი სამუდამოდ ჩვენთან დარჩება, ვალ-

დებულნი ვართ ჩვენი ურმებით, უფასოდ მოვზიდოთ ხე-ტყე და სხვა საჭირო მასალა. ჯარისათვის ბინების ასაშენებლად.

17

ამიერიდან ჩვენთან მდგარ რუსეთის ჯარს არავინ უნდა მიაყენოს უსიამოვნება, ზიანი. ამგვარად უნდა მოგვექცნენ ჩვენც ისინი, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი და დაისაჯოს დანაშაულის შესაფერისად.

18

თუ მოხდა, რომ აქ მდგარ ჯარს ჩვენ საერთო უსიამოვნება მივაყენეთ, რომელიც შეთქმულებას ემსგავსება, მაშინ ჩვენ ყველას მოგვექეცით ისე, როგორც რუსეთის მტრებს.

19

ამ აქტს ძალა რომ შევუნარჩუნოთ და მისი იმპერატორობის ერთგულება დავიცვათ, ჩვენს ყოვლად მოწყალე რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს, მისი იმპერატორობის უმაღლესობის ინტერესებისათვის, საერთო სიმშვიდისა და ჩვენი კეთილდღეობისათვის, ჩვენ, ქვემოთ მოხსენებული საპატიო ხალხი თითოეული გვარიდან ათ-ათი კაცი, ჩვენი ადათისდა მიხედვით, განსაკუთრებული ფიცის სიგელის თანახმად. ზეციური, ყოვლისშემძლე ღმერთისა და ჩვენი მთის სათაყვანო კერპის ჰალერდის წინაშე შემოგფიცავთ ერთგულებას; და ბოლოს

20

რუსეთის ტახტისადმი ჩვენი ურყევი ერთგულების დასამტკიცებლად კიდევ გაახლებთ თქვენს ხელმძღვანელობას ვლადიკავკაზში იმ ექვსი ჩვენი საგვარეულოს წარმომადგენლებს, რომლებიც არიან საუკეთესო და ყველაზე ძლიერი ოჯახები ჩვენში.

ეს ვალდებულება ჩვენ დავდეთ რუსეთის გენერალ-მაიორ დელპოცოსთან და ჩვენი ბეჭდებითაც დავამტკიცეთ ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრეში. 1810 წ. თვეს აგვისტოსა და დღეს22[344].

ამრიგად, 1810 წ. 22 აგვისტოს აქტით, ინგუშეთი რუსეთის ქვეშევრდომად იქნა მიღებული[345]. ამიერიდან იგი გათავისუფლდა მეზობელ ფეოდალთა — ყაბარდოელთა, ყუმიყთა, ტარკის საშამხლოსა და

---

[344] აქტები ტ. IV, გვ. 900—901, № 1382;

[345] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, с древнейших времен по I Марта 1917 года, т. I, Грозный, 1967, с. 78.

სხვათა როგორც გადასახადებისაგან, ასევე მათზე დამოკიდებულებისაგან. მეზობელ ფეოდალთა ძალადობამ აიძულა ინგუში ხალხი მიეღო რუსეთის მფარველობა და ამ გზით მიეწღია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

XVIII ს. 80-იანი წლებიდან, ზემოხსენებული მიზეზების გამო, კავკასიისა და, კერძოდ, ამიერკავკასიის ხალხებიც დაუკავშირდნენ რუსეთს, რათა მისი დახმარებით თავი დაეღწიათ ირან-ოსმალეთის ძალადობისა და დაღესტნელ ლეკთა თარეშისაგან.

1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთის მფარველობაში იქნა მიღებული. რუსეთის სამხედრო ნაწილი საქართველოში შემოვიდა. 1801 წ. საქართველო რუსეთს შეუერთდა და რამდენადმე მოისვენა გარეშე მტრების ძალადობისაგან.

1803 წ. სამეგრელოს სამთავრო მიღებული იქნა რუსეთის მფარველობაში. სამეგრელოს მთავარი დადიანი რუსეთის მფარველობით ცდილობდა იმერეთის მეფის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას. მალე, 1804 წ. იმერეთი რუსეთის მფარველობაში იქნა მიღებული. 1810 წ. იმერეთიც რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა.

ინგუშები კეთილსინდისიერად იცავდნენ რუსეთისაღმი მიცემულ ერთგული ქვეშევრდომის ფიცს. მათ არც მაშინ უღალატეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, როცა მეზობელ ჩეჩნეთში შამილის ხელისუფლება და ბატონობა დამყარდა.

რუსეთისათვის ინგუშების ერთგულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველთვის და, განსაკუთრებით, შამილთან ბრძოლის პერიოდში. შამილის ყოველი ცდა, რუსეთის წინააღმდეგ თავის მხარეზე გადაებირებინა ინგუშები, მარცხით მთავრდებოდა. ინგუშებმა მხოლოდ ერთხელ — 1782 წ. გადაწყვიტეს საყოველთაო აჯანყების მოწყობა რუსეთის წინააღმდეგ, ისიც ჩეჩენთა წაქეზებით. მომზადებული აჯანყება ჩაიშალა, რუსეთის სამხედრო ნაწილების გამოჩენისთანავე მათ იარაღი დაყარეს[346] და კვლავ ერთგულების ფიცი მიიღეს. 8 კაცი მძევლად წარადგინეს[347]. ჩეჩნების წაქეზებით ინგუშთა მიერ გამიზნული აჯანყების ჩაშლა გახდა მიზეზი ორ მეზობელ და ახლო მონათესავე ხალხს შორის უკმაყოფილებისა და მტრობისა.

ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის მტრობა ჩამოვარდა. რაც რუსეთის წარმომადგენელთა პრაქტიკული საქმიანობის შედეგს წარმოადგენდა. რუსეთის მთავრობის მითითებით, მისი აქაური წარმომადგენლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მთიელები ერთიმეორის წინააღმდეგ

---

[346] აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა ქვეითი ბატალიონი, დრაგუნთა ესკადრონი და კაზაკთა ასეული.

[347] Бутков П. Г. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 110—111.

განეწყოთ, რაც ხშირად საომარი მოქმედებით მთავრდებოდა. მთიელთა შორის უთანხმოება და ბრძოლები ორივე მხარეს ასუსტებდა. დასუსტებული მოწინააღმდეგის დამორჩილება კი შედარებით იოლი ხდებოდა სამხედრო ნაწილებისათვის.

1783 წ. ივნისში ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის შეიარაღებული ბრძოლა გაიმართა. ინგუშები დამარცხდნენ. ჩეჩნებმა ინგუშთა 2000-მდე ცხვარი გაიტაცეს[348]. ამან ინგუშებსა და ჩეჩნებს შორის, როგორც აღინიშნა, მტრობა ჩამოაგდო.

შემდეგში ინგუშებს ერთგულების ფიცისათვის აღარასოდეს გადაუხვევიათ. სუნჯის ხაზის დასახლების შემდეგ ინგუშებმა სამუდამოდ გადაწყვიტეს რუსეთის ერთგულება. ამიტომ იყო, რომ შამილის მრავალგზის მოთხოვნას მოკავშირეობის შესახებ ინგუშები ყოველთვის უარით ხვდებოდნენ.

შამილი ჩეჩნეთში ბატონობდა. მთელი ჩეჩნეთი მის ნება-სურვილს ემორჩილებოდა. მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგუშთა მიერ დაკავებულ ტერიტორიას. ამიტომ იყო, რომ სამჯერ სცადა ინგუშების თავის მხარეზე გადაბირება და ვერც ერთხელ მიზანს ვერ მიაღწია.

1840 წ. აპრილში შამილი 40000 მეომრით ნაზრანს მიადგა. მას ამჯერად იგივე მიზანი ჰქონდა: იარაღის ძალით უნდოდა ინგუშები მოკავშირედ გაეხადა. ვერც იარაღის ძალამ, ვერც პროკლამაციებმა და დაპირებებმა გაჭრა. ინგუშებმა მარტო თავიანთი ძალებით ჩაშალეს შამილის 40000 მებრძოლის შემოტევა. შამილმა ვერც ამჯერად მიაღწია საწადელს. ინგუშებმა ამ ერთგულებისა და თავდადებისათვის დროშა მიიღეს. განთავისუფლდნენ ურმების ბეგარისაგან. მათ მიეცათ ის მიწები, რომელიც ეკავათ 1840 წ[349].

შამილმა ვერც 1846 წ., ყაბარდოში შეჭრის დროს, შეძლო ინგუშთა გადაბირება. 1858 წ. შამილს ინგუშთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიემხრო, რომელთა დასახმარებლად შამილმა თავისი ძალები გამოგზავნა, მაგრამ ინგუშებმა არ მიიღეს დახმარება და ამჯერადაც, ამ ხელსაყრელ პირობებშიც, ვერ მიაღწია შამილმა ინგუშთა ერთგულებას.

1858 წლამდე ინგუშები ხუტორებად ცხოვრობდნენ. ერთი რომელიმე გვარის რამდენიმე კომლი ცხოვრობდა ერთიმეორის მახლობლად. მიუხედავად იმისა, რომ ინგუშები რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლებს ვერ ბედავდნენ და მიცემული ფიცის ერთგულები რჩებოდნენ, მაინც ცდილობდნენ მტრობას. ხშირად მეზობელი ჩეჩნეთიდან რუსეთის სა-

---

[348] იქვე, გვ. 111.

[349] Грабовский Н. Ф. Ингуши (их жизнь и обычай), ССКГ, вып. IX, с. 13

მტროდ გადმოსულებს იფარებდნენ, ზოგჯერ თავიანთ მიწაზე ატარებდნენ, რათა მოკლე გზით და იოლად მიეღწიათ მიზნისათვის. ხუტორებად გაფანტული მოსახლეობა ძნელი თვალსადევნებელიც იყო. ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეექმნა დიდი სოფლები. ინგუშებმა ხელმძღვანელობას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, არ უნდოდათ ხალხმრავალი სოფლების შექმნა. წინააღმდეგობა იმდენად სერიოზული იყო, რომ სამხედრო ნაწილების ჩარევა გახდა საჭირო. ინგუშები წინააღმდეგობისათვის დაისაჯნენ, მთელი მოსახლეობა კი ნაზრანის ციხესიმაგრის მახლობლად იქნა თავმოყრილი.

1873 წ. ცნობით, ინგუშთა მოსახლეობა შეადგენდა ორივე სქესის 21610 სულს: 11023 კაცსა და 10587 ქალს.

ინგუშეთის ოკრუგში შედიოდა მთის უბანიც; ოკრუგის მთის უბანში შედიოდა ინგუშთა ექვსი საზოგადოება: ჯაირახის, ქისტების, ღალღების, წორებისა და მერეჯების საზოგადოებები. ჯაირახებისა და ქისტების საზოგადოებები ცხოვრობდნენ ჯაირახის სიმაგრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე არმ-ხის დინებისაგან წარმოქმნილ ღრმა ხეობაში.

მდინარე კოჯარ-დოგუშთის თხემის იქით მდებარე ადგილზე, რომელიც მდინარე ასის ხეობაზე გადასასვლელად იყო გამოყენებული, დასახლებული იყო ღალღებისა და წორების საზოგადოებები. ამ უკანასკნელთა აღმოსავლეთით, მდინარე გეხის გაყოლებით სახლობდნენ ოკინები და მდინარე ფორტანგაზე მერეჯელები[350].

ჩამოთვლილი საზოგადოების მცხოვრებნი დასახლებული იყვნენ ხეობებში, ქვიან ადგილებში. მათი საცხოვრებელი თხემის ბოლოს ან კლდის წამონაშვერზე იდგა ქვისაგან აშენებული. ეს ადგილები მეურნეობის არც ერთი დარგისათვის არ იყო გამოსადეგი, ორ-სამ ასეთ სახლში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა და აულს წარმოადგენდა. ე. ი. თითოეულ აულში რამდენიმე კომლი შედიოდა. ინგუშთა მთის უბნის ექვსივე საზოგადოებაში 120 აული ითვლებოდა. აქედან მხოლოდ რამდენიმე აული იყო შედარებით ხალხმრავალი. დანარჩენ აულებში სამოოთხი კომლი ცხოვრობდა მხოლოდ. აულები ერთიმეორისაგან საკმაო მანძილით იყო დაცილებული. აულებს, გარდა მანძილისა, ღრმა ხრამები და ხეობები ჰყოფდნენ ერთმანეთისაგან. ეს აძნელებდა მათ შორის ყოველდღიურ კავშირს. სახლები ძალიან ღარიბულად გამოიყურებოდნენ. მხოლოდ ზოგიერთს, შედარებით მდიდარს, ჰქონდა გარდა საცხოვრებელი სახლისა ცალკე ნაგებობა სტუმართა მისაღებად და მოსასვენებლად.

---

[350] Грабовский Н. Ф. Экономический и домашний быт жителей горского участка Ингушевского округа, ССКГ, Вып. III, Тиф., 1870, с. 1.

მთაში აულები ბილიკებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. გზები არ იყო ცუდი, მხოლოდ ზამთრობით ფერხდებოდა მიმოსვლა. ბარიდან მთაში მიმავალი გზა მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით, სოფელ ბალთის წინ იწყებოდა. გზა, რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ გაყვანილი, თითქმის ას ვერსამდე იყო გაჭიმული და მდინარე ასამდე მიდიოდა. იგი აულებიდან მოშორებით და ზევით იყო და ამიტომ მთიელები იშვიათად სარგებლობდნენ ამ გზით. ისინი ვიწრო ბილიკებით ამჯობინებდნენ მიმოსვლას. მეორე გზა თარსკის დაბლობსა და ბუგუჩარის მთაზე გადიოდა, რომელიც ზამთრობით გამოუსადეგარი იყო მიმოსვლისათვის.

მესამე გზა სტანიცა ალკუნიდან მერეჯისა და აქელთა საზოგადოებას აკავშირებდა. ეს გზაც რუსი სამხედრო ნაწილების მიერ იყო გაყვანილი და აულ ალკუნიდან წორელთა საზოგადოების მოსაზღვრე აქელთა აულ ვაუგამდე აღწევდა.

მთის ამ უბანში, სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების უკმარისობისა და უვარგისობის გამო, მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა. აქ ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, თუმცა საძოვრებისა და სათიბების სიმცირის გამო ძნელდებოდა მესაქონლეობის განვითარება. არსებულ პირობებში მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის პირუტყვის ყოლა შეიძლებოდა.

მოსახლეობა ხვნა-თესვასაც მისდევდა, მაგრამ მიწის სიმცირის გამო წლის სარჩოს მოყვანა გამორიცხული იყო. ადგილობრივ მოყვანილი მარცვლეული რამდენიმე თვეს ყოფნიდათ. დანარჩენს კი იძენდნენ მესაქონლეობიდან და სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრებით.

1865 წ. სტატისტიკური მონაცემებით ინგუშეთის ოკრუგის მთის უბანში 1342 კომლი იყო, 6754 სული მოსახლით: 3429 კაცი და 3325 ქალი. აქედან ჯაირახების საზოგადოებაში — 109, ღალღების საზოგადოებაში — 558, წორის საზოგადოებაში — 122, აქის საზოგადოებაში — 153, ხოლო მერეჟის საზოგადოებაში — 71 კომლი. ინგუშეთის მთის უბანთა მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა იყო. მისდევდნენ ხვნა-თესვასაც, მაგრამ მიწის სიმცირისა და უვარგისობის გამო მოსავალი ნახევარ წელსაც არ ჰყოფნიდათ და იძულებულნი იყვნენ მეზობელ მხარეში შეეძინათ.

ყ უ მ ი ყ ე თ ი ს ოკრუგი ჩეჩნეთის აღმოსავლეთით — მდ. თერგსა და მდ. სულაკს შორის მდებარეობდა[351]. ოკრუგს აღმოსავლეთით კასპიის ზღვის აგრახანის ყურე ესაზღვრებოდა, სამხრეთით მდ. სულაკი და კავკასიის მთავარი ქედის ძირი, დასავლეთით მდ. აქსაი და ჩეჩნეთის ოკრუგის კაჩკალიკთა სანაიბო და ჩრდილოეთით მდ. თერგი[352]. ყუმიყეთის დაბლობი მდინარეებით იყო დასერილი და მდინარეების მიერ შემოტანილი მთის მიწით დაფარული, რის გამოც ეს ადგილები ყველაზე ნოყიერი იყო კავკასიაში. ზომიერი ჰავა ხელს უწყობდა ხვნა-თესვისა და მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას. მოსახლეობა საკმარისი მიწის ფართს ფლობდა და არასდროს მიწის უკმარისობას არ განიცდიდა. არც ცარიზმის სამხედრო ექსპედიციებს შეუწყუხებიათ და შეუვიწროვებიათ ისე, როგორც მეზობელი ჩეჩნეთი და დაღესტანი. ყუმიყები მშვიდობიანი ხალხი იყო და რუსეთთან იშვიათად თუ მოსვლიათ კონფლიქტი. XVI ს. საბუთებიდან ჩანს, რომ ყუმიყებს ჰქონდათ სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, მათი მფლობელები კი რუსეთის მფარველობის მიღებას ადრევე შეეცადნენ. XVI ს. მეორე ნახევარში, 1556 წ. შემდეგ, როცა ასტრახანი შეუერთდა რუსეთს, ყუმიყები უშუალოდ დაუკავშირდნენ რუსეთს[353]. ყუმიყეთის მფლობელთა პირველი ელჩობა 1556 წ. გაიგზავნა რუსეთში. თარკის შამხლის წარგზავნილმა ელჩებმა ასტრახანში რუსეთის წარმომადგენლებს მიმართეს თხოვნით, რათა მათთან სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ. 1557 წ. შევკალის მთელი სამფლობელოებიდან ყრიმ-შამხალის, ტიუმენის თავადისა და სხვათა ელჩები ეწვივნენ რუსეთის ვოევოდს ასტრახანში. ელჩები თხოულობდნენ ყუმიყი ხალხის რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებას და რუსებთან თავისუფალი ვაჭრობის ნებართვას.

1613 წ. ყარაბუდაღკენტის მფლობელმა სურხაიმ, ყუმთორღალის მფლობელმა მაგომედ ხან-მურზამ, გუბდენის სალთან-მაჰმუდმა და თარკის შამხალმა რუსეთის ახალ მეფეს მიხეილ რომანოვს ყურანზე შეჰფიცეს, რომ ყუმიყები განურიდებლად, ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის ხელმწიფეს[354].

მომდევნო წლებში რამდენჯერმე იქნა ელჩები გაგზავნილი რუ-

---

[351] Берже А. П. Указ. труд., с. 292.

[352] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 37.

[353] Гаджиева С. К. Кумыки (историко-этнографическое исследование). М., 1961, с. 54.

[354] Белокуров С. А. Сношения России с Кавказом, 1578—1613 гг. М., 1889, с. 538.

სეთის წარმომადგენელთან, ორჯერ ყუმიყეთის ყუმთორღალის მფლობელისაგან, რომლებიც რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას თხოულობდნენ.

1638 წ. ყუმიყეთისა და თარკის მფლობელის სახელით შამხალმა სურხაი-ხანმა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების სიგელი მიიღო. ეს სიგელი 1643 წ. რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძემ დაამტკიცა[355]. რუსეთის ქვეშევრდომობა ყუმიყებს, ერთი მხრივ, მათთან ვაჭრობის საწარმოებლად უნდოდათ, მეორე მხრივ კი სამხედრო დახმარების მიღება ჰქონდათ გამიზნული, რათა რუსეთის იარაღით თავიანთი Გტრები დაემარცხებინათ.

როგორც წესი, ყოველი ახალი მფლობელი, უფროსი თავადი იღებდა ერთგულებისა თუ ქვეშევრდომობის ფიცს. ყუმიყეთში მფლობელთა მიერ მიღებული ერთგულების ფიცი მომდევნო თაობებზე, ანდა ახლად დანიშნულ ან არჩეულ მფლობელებზე აღარ ვრცელდებოდა და ამიტომ იყო, რომ ყოველი ახალი მფლობელი, უფროსი თავადი, თავის მხრივ..ხელახლა იღებდა, უფრო ზუსტად, ანახლებდა წინაპრის მიერ მიღებულ ფიცს.

ზოგჯერ ყუმიყები ორმაგ ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ — რუსეთის მეფისა და ირანის შაჰისაგან, თუმცა ირანის შაჰისაგან დამოკიდებულება დროებითი ხასიათისა იყო[356]. მფლობელები ყოველთვის არ იყვნენ რუსეთისადმი მიცემული ფიცის ერთგულები. 1682 წ. იმერეთის ტახტიდან ჩამოგდებულმა არჩილ მეფემ რუსეთში წასვლა გადაწყვიტა. მოსკოვისაკენ მიმავალი არჩილ მეფის შესაჩერებლად ბუდაი-შამხალმა მრავალათასიანი ლაშქარი გაგზავნა სუნჯისაკენ. რუსეთის ჯარის დახმარებით არჩილ მეფე ქ. თერგში მივიდა, სადაც ბუდაი-შამხალის წერილი მიიღო. მას მეფე არჩილის გადმობირება უნდოდა, რათა რუსეთისათვის ზურგი შეექცია და თურქეთის მხარე დაეჭირა. ამ წერილმა მეფე არჩილამდე ვერ მიაღწია იგი რუსეთის ერთგულმა მსახურმა კაშკარინმა ჩაიგდო ხელში და მოსკოვში „პოსოლსკი პრიკაზს“ გაუგზავნა. წერილში ბუდაი-შამხალი წერდა, რომ არც მას და არც მის წინაპრებს მოსკოვის ხელმწიფეთაგან წყალობა და სარგებლობა არ უნახავთ. იგი არჩილს თავის სამსახურს ჰპირდებოდა, თუკი უკანასკნელი მის მხარეს გადმოვიდოდა და მასთან ერთად თურქეთის სულთანის მხარეს დაიჭერდა[357]. ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო ყუმიყებში. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი და მფლობელებიც, მცირე გამონაკლისის

---

[355] ССКГ, вып. I. с. 58.
[356] Гаджиева С. К. Указ. труд, с. 55.
[357] ССКГ, вып. I, с. 58.

გარდა, რუსეთის ერთგულები იყვნენ და ამ უკანასკნელის დახმარებით ცდილობდნენ თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებას.

1717 წ. თარკის შამხალმა, მურთაზ-ალის შვილმა ადილ-გირეიმ პეტრე დიდს ქვეშევრდომობაში მიღების თხოვნით მიმართა. 1718 წ. მან პეტრე დიდისაგან დადებითი პასუხი მიიღო. ამრიგად, 1718 წ. ადილ-გირეი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა[358]. 1719 წ. მან, რუსეთისადმი ერთგულების დასამტკიცებლად, თავისი შვილი უაზბულაყი შესთავაზა მძევლად[359].

1720 წ. ენდერის მფლობელმა ჩაბან-შამხალმა ითხოვა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა. აღსანიშნავია, რომ იგი წლიურად 2000 მანეთს იღებდა ჯამაგირის სახით ირანის შაჰის ერთგულებისათვის. ჩაბან-შამხალმა რუსეთის ქვეშევრდომობა ირჩია, შესაძლებელია ორმაგ ვასალურ დამოკიდებულებას ფიქრობდა, ასეთ ფაქტებსაც ხომ ჰქონდა ადგილი უუმიყეთში.

უუმიყეთის მფლობელმა მურთაზალი-ბუდაიმ 1720—1721 წწ. რუსეთის ხელმწიფეს აცნობა, რომ მზად იყო რუსეთის სამსახურისათვის. უუმიყთა მფლობელები ერთიმეორის მიბაძვით რუსეთის ქვეშევრდომობას ღებულობდნენ.

1721 წ. პეტრე დიდმა სპარსეთისაკენ გაილაშქრა. 14 ივნისს ასტრახანში ჩავიდა. მისი ჯარი ზღვით უუმიყეთს მიადგა. როცა ჯარი მდ. სულაკზე გადადიოდა, პეტრე დიდს ეახლნენ აქსაელთა მფლობელი სულთან-მაჰმუდი, თარკის შამხლის ადგილ-გირეისა და ბუინაკის მფლობელის მაგომედის წარმომადგენლები და სხვ. ყველამ ერთგული ქვეშევრდომობის სურვილი განაცხადა, ხელმწიფეს თავიანთი სამსახური შესთავაზეს და საჩუქრები მიართვეს[360]. პეტრე დიდი თავისი ჯარით, თარკიდან 5 ვერსის დაშორებით, დიდ მინდორზე დაბანაკდა. აქ ხელმწიფეს თარკის შამხალი ადილ-გირეი შეხვდა. ადილ-გირეიმ პეტრე დიდი თარკში მიიღო საზეიმო ვითარებაში, თანაც შამხალმა თავისი სამხედრო ძალები შესთავაზა.

დიდ ხელმწიფეს სხვა მფლობელებიც მეგობრულად შეხვდნენ[361].

1722 წ. პეტრე დიდი თავისი ჯარით დერბენტისაკენ წავიდა, ადილ-გირეიმ დიდი დახმარება გაუწია სურსათ-სანოვაგითა და ტრანსპორტით. უუმიყი მფლობელები მზად იყვნენ არა მარტო ერთგულება გამოეცხადებინათ პეტრე დიდისათვის, არამედ ყოველგვარი დახმარება აღმო-

---

[358] იქვე, გვ. 59.
[359] Гаджиева С. К. Указ. труд, с. 55.
[360] იქვე, გვ. 58.
[361] იქვე.

ეჩინათ შესაძლებლობის ფარგლებში, თუმცა ზოგიერთი მფლობელი კვლავ რუსეთის წინააღმდეგ იყო განწყობილი.

ენდირისა და ოტემიშის მფლობელები მტრულად შეხვდნენ რუსეთის ხელმწიფეს. ამან პეტრე დიდი აღაშფოთა. მისი ბრძანებით ჯარმა გააპარტახა ოტემიში და ენდირი. იგი იმდენად გააღიზიანა ხსენებულ მფლობელთა საქციელმა, რომ ოტემიშის სამფლობელო სულ გააუქმა. ხელმწიფის 1722 წ. 30 აგვისტოს სიგელით ოტემიშის სამფლობელოს მართვა-გამგებლობა თარკის შამხალს გადაეცა[362]. ენდირის მფლობელთა მტრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, 1723 წ. თავადმა აიდემირ-ხამზინმა პეტრე დიდს პატიება სთხოვა და თანაც პირობას დებდა მთელი თავისი საფლობელოთი ერთგულად ემსახურებოდა სიკვდილამდე. პეტრე დიდი მოულოდნელად უკან დაბრუნდა იმავე სამფლობელოებზე გავლით. მდ. სულაკს იქითა ყუმიყებთან ხელმწიფის ბრძანებით ციხე-სიმაგრე სვიატოი-კრესტი ააშენეს. ამ ციხე-სიმაგრის ირგვლივ რუსული დასახლება გაჩნდა. 1723 წ., სენატის მითითებით, აქ, სულაკის ნაპირებთან დონის კაზაკთა ოჯახი დასახლდა. თარკის შამხალი ადილ-გირეი უკმაყოფილო იყო ხსენებული ციხე-სიმაგრის აშენებით, ამას თურქების წაქეზებაც დაერთო ღა იგი რუსეთის წინააღმდეგ განეწყო[363]. 1725 წ. 30 ათასიანი ჯარით ციხე-სიმაგრე სვიატოი-კრესტს ალყა შემოარტყა. ციხე-სიმაგრის უფროსმა გენერალმა კუროპატოვმა მოიგერია თავდასხმა, დაედევნა შამხალს და ქ. თარკი ააოხრა[364].

პეტრე დიდი განარისხა ადილ-გირეის ღალატმა, ბრძანა მოღალატის შეპყრობა და შამხლის ღირსების გაუქმება. საშამხლო ახლო მყოფ ჯარის უფროსს უნდა ემართა[365]. ადილ-გირეი შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს, გარდაიცვალა არხანგელსკის გუბერნიაში. 1734 წ. დაღესტანში ნადირ-შაჰი შემოვიდა: ადილ-გირეის შვილმა ყაზბულაყმა დიდი სამსახური გაუწია ნადირ-შაჰს, რისთვისაც მან შამხლის ღირსება აღადგინა დაღესტნის ვალის სახით[366]. როგორც კავკასიის ყველა მფლობელს, ყუმიყთა მფლობელებსაც არ მოსწონდათ მათ სამფლობელოებში რუსეთის ციხე-სიმაგრეების მშენებლობა. ციხე-სიმაგრე ადგილობრივი მოსახლეობის უსიტყვო მორჩილების საფუძველს წარმოადგენდა. მცირეოდენი არეულობის დროსაც კი მოსახლეობას ციხე-სიმაგრის გარნიზონისაგან დასჯა მოელოდა.

1736 წ. გაუქმებულ იქნა ციხე-სიმაგრე სვიატოი კრესტი, სამა-

---

[362] ССКГ, вып. I, с. 59.
[363] იქვე.
[364] იქვე.
[365] იქვე.
[366] Гаджиева С. К. Указ. труд, с. 59.

გიეროდ ციხე-სიმაგრე ყიზლარი გაამაგრეს. იგი მნიშვნელოვან სასაზღვრო ქალაქად იქცა. იმ დროისათვის აქ საკმაოდ დიდი მასშტაბის ვაჭრობა წარმოებდა. ყიზლარის კომენდანტის მეშვეობით ხდებოდა დიპლომატიური თუ სხვა საჭირო ურთიერთობის დამყარება რუსეთის მთავრობასა და კავკასიის ხალხებს შორის. XVIII ს. I ნახევარში, ნადირ-შაჰის აგრესიის შედეგად, ყუმიყეთის ზოგიერთი მხარე ირანის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა[367]. რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულმა, ირანის შემოტევით შეშინებულმა მფლობელთა ნაწილმა რუსეთს ზურგი შეაქცია.

რუსეთის გავლენა შესუსტდა. თარკის საშამხლოში რამდენიმე წელს გაგრძელდა უშთამომავლო შამხალ-ყაზბულაყის მემკვიდრის შერჩევა. ბოლოს კრებამ თარკის შამხალად ყაზბულაყის ბიძაშვილი მეხტი აირჩია, რომელმაც სუსტი მხედველობის მიზეზით შამხლობა თავის შვილს მურთუზ-ალის დაუთმო. 1776 წ. ახალმა შამხალმა მურთუზ-ალიმ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო[368]. მურთუზ-ალის რუსეთის ქვეშევრდომობით დაიწყო შამხალთა რუსეთისადმი ურყევი ერთგულება. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მეზობელ სამფლობელოთა შამხალები იარაღითაც ებრძოდნენ თარკელებს რუსეთის ერთგულებისათვის, მათ მიცემული ფიციისათვის აღარ უღალატნიათ. 1777 წ. გენ. დე-მედემმა რუსეთის ხომალდის გამძარცველ კარაკაიტაგელთა დასასჯელად დერბენტში სამხედრო რაზმი გააგზავნა[369]. დერბენტის ხანმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია სამხედრო შენაერთს, განსაკუთრებით უკან დაბრუნებისას. თარკის შამხალმა მურთუზ-ალიმ კი ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინა ჩვენს ჯარს, წერდა გენ. დე-მედემი გრაფ ნიკიტა პანინს[370]. მურთუზ-ალის მემკვიდრე იყო მისი ძმა ბამატი, რუსეთის საიმპერატორო სიგელებში თარკის მაგომედ-შამხლად, ბუინაკისა და დაღესტნის მფლობელად წოდებული[371].

რუსეთის იმპერატრიცას ეკატერინე მეორეს 1793 წ. 19 აპრილის სიგელით მაგომედ-შამხალს შთამომავლობით ებოძა შამხლის ღირსება. მასვე შამხლის ღირსების ნიშნად მიეცა ქუდზე გასაკეთებლად ბრილიანტის ფრთა და საიდუმლო მრჩეველის წოდება. ფრთა და საიდუმლო მრჩეველის წოდება შთამომავლობით უნდა გადასულიყო ყოველ ახლად დანიშნულ შამხალზე. მასვე დაენიშნა 2000 მან. წელიწადში ჯარის შესანახად, რომელიც მზად იქნებოდა რუსეთის სამსახურისათვის.

---

[367] Гаджиева С. К. Указ. труд, с. 60.
[368] ССКГ, вып. I, с. 61.
[369] აქტები, ტ. I, გვ. 90, საბ. № 1777.
[370] იქვე.
[371] ССКГ, вып. I, с. 62.

1797 წ. 2 მაისს მაგომედ-შამხალის შვილი მეხტი, რუსების მიერ მეგდით წოდებული, პავლე პირველის მიერ შამხლად იქნა დამტკიცებული, საიდუმლო მრჩეველის წოდებით. მასვე მიეცა უფლება ეტარებინა ქუდზე ბრილიანტის ფრთა. როგორც ჩანს, თარკის შამხლისათვის ჯარის შესანახად დანიშნულმა 2000 მანეთმა საჭირო სარგებლობა მოუტანა რუსეთის მიზნებს და ხსენებული თანხა 6000 მანეთამდე გაუზარდეს ახალ შამხალს. 1806 წ. დერბენტის ხანმა უღალატა რუსეთის ერთგულებას. რუსეთის სამხედრო შენაერთი დერბენტში შევიდა[372]. ბრძოლის დროს დიდი დახმარება აღმოუჩინა რუსეთს თარკის შამხალმა მეხტიმ[373], რომელსაც საიდუმლო მრჩეველის წოდების მაგიერ გენერალ-ლეიტენანტობა ებოძა და დერბენტის ხანის ღირსებაც მიეცა. მასვე მიეცა უფლება, გარდა ზემოაღნიშნული ჯამაგირისა, ესარგებლა დერბენტის სამფლობელოს მთელი შემოსავლით, გარდა ქ. დერბენტისა, რომლის შემოსავალიც სახელმწიფო ხაზინაში უნდა შესულიყო. მეხტი-შამხალს დიდი დამსახურება ჰქონდა რუსეთის ხელისუფლების წინაშე. არც მეფის მთავრობა ზოგავდა მისთვის ფულსა და წოდებებს. როცა ჩეჩნეთსა და ყუმიყეთში რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლებმა იჩინა თავი, 1818 წ. იქ გაგზავნილ იქნა გენერალ ერმოლოვის სამხედრო შენაერთი, რომელსაც გარდა მეხტი-შამხალისა არავინ დახმარებია, ყველა მხოლოდ წინაღმდეგობას უწევდა. სამხედრო ექსპედიციის დროს თარკის მფლობელი ყოველთვის გენ. ერმოლოვთან იყო. მას დიდი შეფასება მისცა ალექსანდრე პირველმა. მეხტი-შამხალს ყველა მფლობელი გადაეკიდა. აუცილებელი გახდა თარკის საშამხლოში რუსეთის ჯარის შეყვანა. 1830 წ. მეხტი-შამხალი პეტერბურგში წარსდგა ნიკოლოზ პირველის წინაშე, რათა თავისი უფროსი შვილი სულეიმან-ფაშა დაემტკიცებინა თავის მემკვიდრედ[374]. იმპერატორმა დაამაყოფილა თხოვნა და სულეიმან-ფაშას პოლკოვნიკის ჩინი, ხოლო მეორე ძმას ზუბაირს მაიორის ჩინი უბოძა[375]. პეტერბურგში ყოფნისას მეხტი-შამხალმა ხელისუფლებას აცნობა, რომ აუცილებელი იყო სოფელ თემირ-ხან-შურის დაკავება, რათა ახლო მდებარე სოფელი კაზანიშჩი ჰყოლოდათ ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ, ვინაიდან ამ სოფელში ცხოვრობდა მოუსვენარი ხალხი და აქ გადიოდა მთიდან ბარისაკენ მომავალი მთავარი გზები[376]. მეხტი-შამხალის აზრი მოიწონეს პეტერბურგში და 1834 წ. თემირ-ხან-შურის მოსახლეობა გასახ-

---

[372] ССКГ, вып. I, с. 62.
[373] აქტები, ტ. III, გვ. 88, საბ. № 158.
[374] აქტები, ტ. VII, გვ. 538, საბ. № 497.
[375] იქვე.
[376] ССКГ, вып. I, с. 63.

ლებულ იქნა ახლომდებარე ხალიმბეკ-აულში. განთავისუფლებულ ადგილზე კი აშენდა ციხე-სიმაგრე თემირ-ხან-შურა[377]. 80 წლის მეხტი-შამხალი 1830 წ. 9 მაისს პეტერბურგიდან უკან დაბრუნებისას გზაში გარდაიცვალა[378]. სულეიმან-ფაშა დარჩა საშამხლოს მმართველად და გენერალ-მაიორის ჩინი ებოძა. რუსეთის მთავრობას დიდ სამსახურს უწევდა შორეულ დაღესტანში ესოდენ ერთგული თარკის შამხალი. იგი ყოველთვის მზად იყო თავისი ძალები გამოეყენა რუსეთის მტრების წინააღმდეგ. თარკის შამხლებმა იცოდნენ თავისი სამსახურის ფასი და ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მთავრობისაგან ყოველგვარ პრივილეგიებს მოითხოვდნენ. 1830 წ. ჩეჩნეთში არეულობა იყო. მოსახლეობამ იცოდა, რომ თარკის შამხალს მხარს უჭერდა რუსეთის მთავრობა და სწორედ მისი მეშვეობით აპირებდნენ რუსეთის მორჩილებაში შესვლას. 1829 წ. ჩეჩენთა უფროსი ბეიბულატი, 120 წარჩინებულ ჩეჩენთან ერთად, თარკის შამხალთან მივიდა და შუამდგომლობა სთხოვა რუსეთის წარმომადგენლებთან[379]. თარკის შამხალმა იმდენად დიდი ნდობა და ავტორიტეტი მოიპოვა, რომ იგი შუამავლის როლსაც კი ასრულებს მეზობელ ხალხებსა და რუსეთს შორის. მეგდი-შამხალმა დაღესტნის წინააღმდეგ 6000 მებრძოლი მოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან[380]. ამ ჯარით დაღესტანში წესრიგის დამყარებას აპირებდა, შემდეგ კი დაღესტნის მმართველობა უნდოდა ხელში ჩაეგდო[381]. გრაფი ნესელროდე 1830 წ. 25 თებერვალს გრაფ პასკევიჩს წერდა: „თარკის შამხალი თხოულობს მთელი დაღესტნის მმართველობასო“[382]. იმავე წელს მეგდი-შამხალმა დაღესტნის თავადებსა და ბეგებზე რუსეთის აზნაურთა ტიტულისა და პატივის გავრცელება ითხოვა[383]. ამით შამხალს დაღესტნის თავადებსა და ბეგებს შორის ავტორიტეტის მოპოვება სურდა. თუკი მას დაღესტნის მმართველობას ჩააბარებდნენ, ზედაფენა მხარს დაუჭერდა და საქმეს ისე წარმართავდა, რომ რუსეთის ინტერესებსაც დაიცავდა და არც დაღესტნის მაღალი წოდების წარმომადგენლები დარჩებოდნენ უკმაყოფილონი.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები იოლად არ შეცდებოდნენ და აჯანყებით მოცული დაღესტნის მართვას ხანშიშესულ მეგდი-შამხალს არ ჩააბარებდნენ. გრაფ პასკევიჩისადმი იმავე მიმართვა-

---

377 იქვე.
378 აქტები, ტ. VII, გვ. 538, საბ. № 497.
379 იქვე, გვ. 911, საბ. № 877.
380 იქვე, გვ. 532, საბ. № 490.
381 იქვე.
382 იქვე.
383 იქვე, გვ. 535, საბ № 495.

ში. გრაფი ნესელროდე წერდა: მეგდი-შამხალს უარი ეთქვას დაღესტნის მმართველად დანიშვნაზე, ვინაიდან შამხალი მოხუცია და თუ თვითონ არ ჩაიდენს დანაშაულს, სხვები, ახლობლები შეაცდენენო. დაღესტნის თავადებსა და ბეგებზე რუსეთის აზნაურთა ტიტულისა და უფლებების გავრცელების საკითხი კი გადაეცა ამიერკავკასიის ხელმძღვანელობას განსახილველად[384]. 1833 წ. 30 მარტის გრაფ ნესელროდესადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს მთავარსარდალი მიზანშეწოლად მიიჩნევდა თარკის შამხლისათვის დაღესტნის ვალის ტიტულის მინიჭებას[385]. ასეთი ტიტულის მფლობელს უფრო მეტი გავლენა და ავტორიტეტი ექნებოდა მთელ დაღესტანში, რაც გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანდა რუსეთის ინტერესებს ამ მხარეში[386]. 1833 წ. 1 ივლისს გაცემული სიგელით სულეიმან-ფაშა დამტკიცებულ იქნა თარკის შამხლად, ბუინაკის მფლობელად და დაღესტნის ვალიდ. მფლობელის ღირსების აღსანიშნავად ნება მიეცა ქუდზე ბრილიანტის ფრთა ეტარებინა. ამასთანავე მას მიეცა საიდუმლო მრჩეველის წოდება[387] და გენერალ-მაიორის ჩინი[388]. სულეიმან-ფაშა გარდაიცვალა 1836 წ. მის მაგივრად დანიშნულ იქნა აბუ-მუსელიმ-ხანი[389], რომელსაც 1837 წ. ებოძა გენერალ-მაიორის წოდება, უფრო ადრე, 1834 წ. რუსეთისადმი ერთგულებისა და სამხედრო დამსახურებისათვის[390] თავადის წოდება მიენიჭა. აბუ-მუსელიმ-შამხალსაც არ უღალატნია წინაპართა ტრადიციისათვის. ისიც ერთგულად ემსახურა მეფის რუსეთს, რისთვისაც 1856 წ. იმპერატორის კურთხევისას გენერალ-ადიუტანტად დაინიშნა. აბუ-მუსელიმ-ხანი გარდაიცვალა 1860 წ. თარკის შამხლად მისი უფროსი შვილი თავადი შამსუდინ-ხანი დაინიშნა. 1863 წ. 3 დეკემბერს მას მიენიჭა თარკის შამხლობა და ქუდზე ბრილიანტის ფრთის ტარების უფლება. წინამორბედ შამხალთა სხვა პრივილეგიებსა და ტიტულებზე უარი ეთქვა. მიუხედავად ამისა, იგი ერთგულად ემსახურებოდა იმპერიის ინტერესებს მცირე ხნის მანძილზე, ვინაიდან ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს დიდხანს ყოფილიყო თარკის საშამხლოს მმართველად. თავადმა შამსუდინმა ავადმყოფობის გამო თარკის მმარ-

---

384 იქვე.

385 ССКГ, вып. I, с. 64—65.

386 აქტები, ტ. VIII, გვ. 569, სბ. № 447.

387 ССКГ, вып. I, с. 65—66.

388 აქტები, ტ. VIII, გვ. 599, სბ. № 497. სულეიმან-ფაშას მომდევნო ძმა ზუბაირი ადრე გარდაიცვალა და ამიტომ უმცროს ძმას ერგო გარდაცვლილი შამხლ..ს თანამდებობა და ყველა ღირსება.

389 აქტები, ტ. VIII, გვ. 588, სბ. № 474.

390 ССКГ, вып. I, с. 65.

თველობის თავის შვილზე გადაცემა მოითხოვა. ამასთანავე, იგი თხოულობდა ხელმწიფე იმპერატორს მისი შვილისათვის მიეცა ყველა ის ტიტული, წოდება და ღირსება, რასაც თვითონ და წინამორბედები ფლობდნენ. თავად შამსუდინის თხოვნა ხელმწიფემ განიხილა. მას შეუნარჩუნეს შამხალის ტიტული. მხოლოდ თარკის მმართველობა გაუქმეს და მოგვიანებით იგი თემირ-ხანშურის ოკრუგის შემადგენლობაში შევიდა[391].

თარკის საშამხლოს მმართველებმა აუცილებელი და საჭირო სამსახური გაუწიეს რუსეთს კავკასიის ხანგრძლივი ომის პერიოდში. რუსეთის ჯარმა მთელი ჩრდილო კავკასია დაიმორჩილა და თავის საზღვრებში მოაქცია. ახლა აღარ იყო საჭირო ცალკეული ხანებისა თუ შამხალთა მოფერება. მეფის რუსეთის იარაღს აღარ სჭირდებოდა დათმობაზე წასვლა. თარკის შამხალთა დამსახურება დავიწყებას მიეცა, რასაც ძველი მმართველობის გაუქმება მოჰყვა. მთელი ჩრდილო-დასავლეთ კავკასია და, კერძოდ, ყუმიყეთი რუსეთის ნაწილად იქცა. საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის წინ ყუმიყეთის ოკრუგი სამი უბნისაგან შედგებოდა: აქსაევის, ანდრეევისა და ნოღაის. აქსაეველთა უბანში 2074 კომლი იყო ანუ ორივე სქესის 10848 სული, ანდრეევთა უბანში 3239 კომლი ანუ ორივე სქესის 15975 სული. ნოღაის უბანში 1751 კომლი ანუ ორივე სქესის 8411 სული ითვლებოდა. სულ ყუმიყეთის ოკრუგში 1867 წლისათვის ორივე სქესის 35234 სული ითვლებოდა[392].

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ხვნა-თესვას მისდევდა. ყუმიყეთის პური მეზობელ ოკრუგებშიც გადიოდა გასაყიდად. როგორც ზემოთ აღინიშნა, მებაღეობა-მევენახეობაც საკმაოდ იყო განვითარებული. კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ მიწათმოქმედება და სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგებიც სწრაფად ვითარდებოდა.

1860-იანი წლებიდან თანდათანობით გაუქმებულ იქნა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა ძველი მმართველობა და რუსულმა წეს-წყობილებამ მოიკიდა ფეხი.

---

[391] ССКГ, вып. I, с 67.

[392] Статистические сведения о кавказских горцах, состоящих в военно народном управлении, ССКГ, вып. I, с. 8. 1864 წ. მონაცემებით, ყუმიყეთის ოკრუგის მოსახლეობა გაცილებით მეტს — 60890 სულს შეადგენდა. იხ. И. Стебницкий, Статистическая таблица Кавказского края, КК, Тифлис, 1866, с. 319. ახალ ადმინისტრაციულ დაყოფასთან დაკავშირებით ზოგიერთი მხარე გამოეყო ყუმიყეთის ოკრუგს და მეზობელ ოკრუგსა და თვით დაღესტნის ოლქს შეუერთდა, რის გამოც, თითქმის განახევრდა მოსახლეობის რაოდენობა.

§ 6. თერგის ოლქის ხალხების სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობა რუსეთთან

ჩრდილო კავკასიის უკეთ შემომტკიცების გზებისა და საშუალებათა შესახებ რუსეთის სამეფო კარზე ერთი აზრისანი არ იყვნენ.

ერთი ნაწილი, თვლიდა რა ჩრდ. კავკასიას იმპერიასთან ნებაყოფლობით შეერთებულად, მოითხოვდა მთიელთა ეკონომიკურად დაინტერესებას, რომ ამ გზით იგი რუსეთზე დამოკიდებული გაეხადა. მეორე ნაწილი აუცილებლად მიიჩნევდა ჩრდილო კავკასიის ყველა ცალკეულ რეგიონში სუფთა რუსული მმართველობის დამყარებას, რითაც ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდებოდა მათი რუსეთთან შეერთება.

საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრის თვალსაზრისით, პირველ შემთხვევაში შეერთების პროცესი შედარებით მშვიდი და უმტკივნეულო იქნებოდა. ვიდრე მეორე — რუსული მმართველობის დანერგვისას. ვინაიდან ჩრდილო კავკასიის მთავრები თუ ცალკეულ გაერთიანებათა მეთაურები იოლად არ დათმობდნენ თავიანთ უფლებებს, ადათ-წესჩვეულებებსა და თავისუფლებას[393].

პირველი თვალსაზრისიდან გამომდინარე, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები ცდილობდნენ მთიელთა გადმობირებას ლმობიერი მოპყრობით, რათა ისინი დარწმუნებულიყვნენ რუსების კეთილგანწყობილებაში და, რაც მთავარია, ყოველმხრივ დახმარებოდნენ და წაეხალისებინათ მთიელები სახლის მშენებლობაში, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის[394].

ჩრდილო კავკასიის მთიელებთან კარგი ურთიერთობისათვის იმ ეტაპზე, მთავრობის თვალსაზრისით, მათთან სავაჭრო ურთიერთობის დანერგვა-განვითარება იყო საჭირო. რუსეთთან ვაჭრობით ისინი თავიანთ მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებდნენ და თავისთავად რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებულები გახდებოდნენ. პარალელურად შემცირდებოდა და შემდეგ მოისპობოდა მათზე თურქეთის ზეგავლენა და საზღვრისპირა ციხე-სიმაგრეებსა და სტანიცებზე თავდასხმებსაც შეწყვეტდნენ.

ამ მიზნით, 1810 წ. 6 ივლისს მინისტრთა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო „მთიელებთან სავაჭრო-გაცვლითი პუნქტების შექმნის შესახებ". ამ დადგენილების პრაქტიკული განხორციელება კავკასიის მთავარსარდალს გენ. ტორმასოვს დაევალა. გენ. ტორმასოვის

---

393 ბ ო ც ვ ა ძ ე თ. ჩრდილო კავკასიის ხალხები 1800—1826 წლებში, „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები", ნაკვ. II, თბილისი, 1978, გვ. 23.

394 იქვე.

მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ერთი წლის შემდეგ, 1811 წ. გაზაფხულიდან კავკასიის ხაზზე დაიწყო ექვსი სავაჭრო-გაცვლითი პუნქტისა და ოთხი სპეციალიზებული მარილით სავაჭროს გახსნა. ეს პუნქტები ტერიტორიულად მიეკუთვნებოდნენ ადიღე-ჩერქეზეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთს, ჩრდილო-ოსეთსა და ყაბარდო-ბალყარეთს.

მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ბევრი ხელშემშლელი ბარიერი ეღობებოდა წინ, მთიელები იმდენად იყვნენ სავაჭრო-გაცვლითი ოპერაციებით დაინტერესებულები, რომ ვაჭრობის მოცულობა ყოველწლიურად მატულობდა. კავკასიის ხალხთა სავაჭრო კავშირები რუსეთთან განსაკუთრებით მომდევნო წლებში ვითარდება[395].

1830-იან წლებში კავკასიის ოლქსა და შავიზღვისპირეთში 10 გაცვლითი-სავაჭრო პუნქტი არსებობდა, რომელთა გაცვლითი და სავაჭრო კოეფიციენტი ძალიან დაბალი იყო, რადგანაც ამ დროს მათი საქმიანობა დაქვეითების გზაზე იდგა. ვაჭრობის შეზღუდვა, ძირითადად, გამოწვეული იყო იმით, რომ ხსენებულ გაცვლით-სავაჭრო პუნქტებს რუსეთი მხოლოდ მარილით ამარაგებდა. მარილის შეძენა შეეძლოთ მხოლოდ მთიელებს. რუსეთის ვაჭრები არ იღებდნენ მონაწილეობას არც სამრეწველო საქონლით და არც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობაში[396]. ვაჭრობის დაქვეითებას ხელი შეუწყო ანაპის რუსეთის საზღვრებში მოქცევამაც. 1829 წ. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებამდე ანაპა თურქეთს ეკავა. თურქეთი დაინტერესებული იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა თავის მხარეზე გადაბირებით და ამიტომ ანაპის საშუალებით აწარმოებდა ვაჭრობას მათთან, ამარაგებდა მათ ყოველდღიური მოხმარების საშუალებებით, სამრეწველო საქონლით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და სხვ.

1829 წ. ხელშეკრულების შედეგად ანაპა რუსეთის ხელში გადავიდა და თურქეთს პრაქტიკულად მოესპო საშუალება მთიელ ტომებთან აშკარად ვაჭრობის წარმოებისა. მთიელები კავკასიის ხაზთან არსებულ გაცვლით-სავაჭრო პუნქტებში, როგორც აღინიშნა, მხოლოდ მარილს იძენდნენ და აქ თავიანთი ზედმეტი პროდუქტისა და ხე-ტყის გაცვლას ან გაყიდვას ერიდებოდნენ.

ვაჭრობას აფერხებდა საკარანტინო წესებიც, რაც ხშირად ცხადდებოდა კავკასიის ხაზის მახლობელ სპეციალურ პუნქტებში. არსებული მცირე მასშტაბის ვაჭრობაც სომეხთა ხელში იყო, რომლებიც სრულებითაც არ ფიქრობდნენ და არ ცდილობდნენ თავიანთი საქმიანობით

---

[395] История Северо-Осетинской АССР, М., 1959, с. 125.
[396] აქტები, ტ. VII, გვ. 880, სან. № 853.

მთიელთა გადმობირებას რუსეთის მხარეზე და ნხოლოდ გამდიდრების მიზნით აწარმოებდნენ ვაჭრობას მათთან[397].

გენ. ერმოლოვი 1820-იან წლებში, ასევე ვორონცოვიც დიდ როლს ანიჭებდა მთიელ ტომებთან ვაჭრობას, მათთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ეს არც შემდგომ წლებში მოხერხდა. კავკასიის მმართველთა მიერ ამ მიმართულებით მიღებულ ზომებს დადებითი შედეგი არ ჰქონია თვით 1840-იან წლებამდე.

გარდა ზემოხსენებული მიზეზებისა, ვაჭრობის დაცემას იწვევდა გაცვლის ან ვაჭრობის წარმოებისას ამ საქმეში გაუწაფავ მთიელთა მოტყუება — მათი პროდუქციის ჩალის ფასად ხელთ გდება და მათთვის საჭირო საქონლის ძვირად მიყიდვა.

შეისწავლა რა ვაჭრობის დაქვეითების მიზეზები, 1845 წ. ვორონცოვმა პიატიგორსკში მცხოვრები ვაჭრობის წარმოების მცოდნე შვეცოვი გამოიძახა და დაავალა მთიელებთან გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების მუშაობის საკითხი შეესწავლა და პარალელურად დაედგინა სად შეიძლებოდა ახალი პუნქტების გახსნა.

1845 წ. 17 აპრილს შვეცოვმა კავკასიის მმართველს წარმოუდგინა ყოველმხრივ დასაბუთებული და ძირფესვიანად შესწავლილი გეგმა, სადაც საკმაოდ სერიოზული საკითხები იყო წამოჭრილი ვაჭრობის შემდგომში გაფართოება-გაუმჯობესებისათვის; შერჩეული იყო ადგილებიც, სადაც უნდა გახსნილიყო გაცვლითი-სავაჭრო პუნქტები „ 1832—1840 წლებში, წერდა შვეცოვი, შინაგან საქმეთა მინისტრთან მიმოწერის შედეგად, აღმოჩნდა, რომ კავკასიის ოლქსა და შავიზღვისპირეთში 10 გაცვლითი-სავაჭრო პუნქტი არსებობდა: პროხლადნენსკის, კონსტანტინოგორსკის, რედუტის, მალო-ლაგერნის, ველიკო-ლაგერნის და ვლადიკავკაზის, ეკატერინოგრადის, უსტ-ლაბინსკის, პროჩნო-აკოპის და ეკატერინოდარის ...“[398]

1833 წ. გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების მუშაობის მასშტაბის შემცირებისა და საქმის კვლავ გაუმჯობესების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის შეკითხვის პასუხად კავკასიის ოლქის უფროსი ვარაუდობდა ხსენებული პუნქტების გადატანას საკარანტინო ხაზის გარეთ, საკარანტინო ხაზსა და ქედს შორის, რათა ამგვარი გადაადგილებით გაეუმჯობესებინათ ვაჭრობა მთიელებთან, რომლებსაც უძნელდებოდათ გადმოსვლა როგორც მათი საცხოვრებელი ადგილის სიშორის გამო, ისე საკარანტინო პროცედურით შევიწროების შედეგად[399].

კავკასიის ოლქის უფროსი საქართველოს მთავარმმართველს 1835 წ.

---

[397] აქტები, ტ. VII, გვ. 880, საბუთი № 853.
[398] აქტები, ტ. X, გვ. 570 (შვეცოვის 1845 წ. 17 აპრილის მოხსენებითი ბარათი).
[399] იქვე.

31 მაისის № 879 მიმართვაში[400] უხსნიდა, რომ ადგილობრივი გარემოებებისა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით მას მიზანშეწონილად მიაჩნდა გახსნილიყო გაცვლითი-სავაჭრო პუნქტი გორიაჩევოდსკის სიმაგრესთან, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირას, დევლეთგირეების სოფლის მახლობლად და იმჟამად არსებული გაცვლითი-სავაჭრო პუნქტები კი გადატანილი ყოფილიყო: პროხლადნენსკისა — ჩერეკის სიმაგრესთან, კონსტანტინოგორსკისა — ბაქსანის სიმაგრესთან, პროჩნოაკოპისა—წმინდა გიორგის სიმაგრესთან, ეკატერინოდარის—აფინის სიმაგრესთან. რედუტისა და მალოლაგერნის პუნქტები უნდა გაუქმებულიყო და მათ მაგიერ გაცვლითი-სავაჭრო პუნქტი გახსნილიყო აბინსკის სიმაგრეში, ანაპისა კი გადატანილი ყოფილიყო გელენჯიკში. ახალი გაცვლითი-სავაჭრო პუნქტი უნდა გახსნილიყო ვლადიკავკაზში. უსტლაბინსკის პუნქტი რჩებოდა ძველ ადგილას. ასეთი პრაქტიკული ღონისძიებების შემდეგ, კავკასიის ოლქის უფროსი მიუთითებდა: „ამ მოთხოვნის თანახმად, ხსენებული საქმისათვის ახლადშედგენილ იქნას დაახლოებითი შტატები. ის, ოლქის უფროსი, მიზანშეწონილად თვლის, მომავალში ზედამხედველებად დაინიშნონ სამოქალაქო მმართველობის მოხელეები, არანაკლებ VIII და VI კლასის ჩათვლით, საკარანტინო ინსპექტორთა სხვადასხვა წოდებით"[401].

გარდა გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების მუშაობის შესახებ კონკრეტული წინადადებებისა, შვეცოვი მიმოიხილავს ხსენებული პუნქტების საქმიანობას 4 წლის განმავლობაში და დაასკვნის, რომ თუ მთიელების გაცვლითი ვაჭრობა ვიწრო ხასიათს ატარებდა და არ ადგა გაფართოებისა და გაუმჯობესების გზას. მისი აზრით, ეს ყველაფერი გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთი ვაჭრობას აქ წარმოებდა მხოლოდ მარილით. გამორიცხული იყო რუსეთიდან მოტანილი ან აქაური ნაწარმის გაცვლა ან ვაჭრობა მთიელ ტომებთან[402].

ვაჭრობის გაფართოებას ზღუდავდა ისიც, რომ გაცვლითი-სავაჭრო პუნქტები გახსნილი იყო იმ სიმაგრეებში, რომლებიც დიდი მანძილით იყვნენ დაცილებული მთიელთა საცხოვრებელი ადგილებიდან და თანაც ყუბანსიქითა მხარეს, სადაც საზღვრისპირა მოსახლეობას არ შეეძლო ჩართულიყო გაცვლით ვაჭრობაში. მათ ყუბანსიქითა მხარეს მცხოვრები მძარცველებისა ეშინოდათ და ამჯობინებდნენ ზოგიერთი საგნის ან პროდუქტის უქონლობას. კავკასიის მმართველობისადმი მიწერილ ბარათში შვეცოვი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს მთიელებთან ვაჭრობის განვითარების დიდ მნიშვნელობას და დასძენდა: „კავკასიის ხაზზე

---

[400] იქვე, გვ. 571.
[401] იქვე, გვ. 570.
[402] აქტები, ტ. X, გვ. 570.

გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების საქმიანობის გაფართოება ყველაზე საუკეთესო საშუალებაა მთიელებთან დაახლოებისა და მათთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის"[403].

ათი გაცვლითი-სავაჭრო პუნქტიდან კავკასიის ოლქში არსებობდა სამი, ისიც საკარანტინო საგუშაგოებთან: 1) პროხლადნენსკოის, 2) პროხლოლოპსკოისა და 3) უსტ-ლაბინსკოის საგუშაგოსთან. ამ პუნქტებში მთიელები თავიანთ საქონელს ცვლიდნენ მათთვის საჭირო საქონელზე. ხაზზე ბოლო ხანებში გაუქმდა მთიელთა შემოშვებისათვის დადგენილი გადასახადი, რის შედეგადაც ვაჭრობამ გამოცოცხლება იწყო. მთიელებს შემოჰქონდათ უმეტესად ხე-ტყე, რასაც ისინი ცვლიდნენ ზედამხედველთან მარილზე, პურზე, მარცვალზე და სადუქნე საქონელზე. ხე-ტყის გარდა ძალიან იშვიათად, და ისიც მცირე რაოდენობით, შემოჰქონდათ სხვა საქონელი. სამაგიეროდ მთებში მიდიოდნენ სომეხი ვაჭრები, იძენდნენ სხვადასხვა საქონელს მთიელებისაგან, მოჰქონდათ და მოგებით ყიდიდნენ რუს მრეწველებზე.

მთიელები მარილს იძენდნენ ბოქაულის მიერ გაცემული სპეციალური ბილეთის საშუალებით, თუმცა ბილეთში იწერებოდა შესაძენი მარილის ოდენობა, ისიც მთხოვნელის განცხადებით, გასცემდნენ იმდენს, რამდენსაც მოისურვებდა შემძენი.

შეძენილი მარილის წაღება შეეძლო ნაწილ-ნაწილ. ძნელი არ იყო ბილეთის სხვაზე გადაცემაც. ერთი სიტყვით, ბილეთით სარგებლობა თითქმის შეუზღუდავი იყო. ასეთმა შეღავათმა მთიელთა ყურადღება მიიქცია. ისინი ბოქაულისაგან ღებულობდნენ საშვს და თავიანთ საქონელს ყიდიდნენ ფულზე, ოლქის შიგნით, სტანიცებისა და ქალაქების მოსახლეობაზე. ამიერიდან იშვიათად თუ ცვლიდნენ მარილზე თავიანთ საქონელს. ვაჭრობის შედეგად მიღებული ფულით ყიდულობდნენ საჭირო პროდუქტს, საგნებსა და, ძირითადად, მარილს. თანდათანობით შეიზღუდა გაცვლითი ვაჭრობა. გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების ზედამხედველები მთიელებისაგან გაცვლის შედეგად მიღებულ საქონელს ჰყიდიდნენ ადგილზეევ, ხაზინისათვის სასარგებლო ფასებში. მოსახლეობასთან ვაჭრობის ამგვარი შეზღუდვა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მთიელებში. რა თქმა უნდა, მოსახლეობაც არ იყო თანახმა ასეთი ვაჭრობისა[405]. ზედამხედველები ნებას არ აძლევდნენ კაზაკებს, რათა ამ უკანასკნელთ უშუალოდ მთიელებისაგან შეეძინათ საჭირო საქონელი. პუნქტის უფროსებს აწყობდათ მთიელებისაგან მარილზე გაცვ-

---

[403] იქვე.

[404] იქვე.

[405] აქტები, ტ. X, გვ. 570.

ლით მიღებული საქონელი ორმაგ ფასებში მიეყიდათ კაზაკებისათვის. ამიტომ იყო, რომ უსტ-ლაბის გაცვლითი-სავაჭრო პუნქტის ზედამხედველს უჩიოდნენ კაზაკებიც და მთიელებიც[406].

პროხლადნისა და პროჩნი-აკოფის სიმაგრეებში არსებული გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების საქმიანობა უკეთ მიმდინარეობდა, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან:

სავაჭარო-გაცვლითი ოპერაციების მონაცემები (მანეთებში) 1840—1845 წწ.

(მანეთებში)

	1840 წ.	1841 წ.	1842 წ.	1843 წ.	1844 წ.	1845 წ.
კავკასიის ოლქში არსებულ სამ გაცვლით-სავაჭრო პუნქტში მთიელებს მიეყიდათ მარილი ფულზე შემდეგი თანხის	7,028	6,596	6,120	5,724	8,784	7,935
მთიელებს თავიანთ საქონელზე გაეცვალათ მარილი (მარტო უსტ-ლაბის პუნქტში, სხვებში, ამგვარი არ ყოფილა) თანხის	79	271	322	805	420	403
გაცვლით მიღებული საქონელი გაიყიდა შემდეგი თანხის	ცნობა	არ არის	378	92	371	497
მთიელთა კერძო ვაჭრობა თავისუფალ მრეწველებთან მოიცავდა თანხას	2,825	8,774	14,197	17,965	5,138	7,365

მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მთიელებმა თანდათანობით შეამცირეს თავიანთი საქონლის გაცვლა მარილზე. საქონელს ისინი ფულზე ყიდიდნენ, ფულით კი მარილს იძენდნენ, რაც მთიელთათვის სასარგებლო იყო. მარილზე მთიელთა საქონლის გაცვლა შემცირდა, მაგრამ მას მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გაცვლით-სავაჭრო პუნქტების საქმიანობაში. ზედამხედველების მიერ გაცვლით შეძენილი საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხაც იზრდება მოცემულ წლებში, რაც იმის მომასწავებელია, რომ მთიელებთან არაეკვივალენტური ვაჭრობა კვლავ გრძელდებოდა.

ყველაზე დიდ გაქანებას მიაღწია მთიელთა კერძო ვაჭრობამ თავისუფალ მრეწველებთან. თუ ამგვარი ვაჭრობის საერთო მოცულობა 1840 წ. 2,825 მან. უდრიდა, 1841 წ. 8,774 მან. 1842 წ. 14,197 მან.,

[406] იქვე.

კავკასიის ხაზის მთიელებთან სავაჭრო ურთიერთობის უწყება[407]

№	ყუბანის საკარანტინო დაწესებულებები	შემოტანილია საქონელი					გატანილია საქონელი				
		1841	1842	1843	1844	1845	1841	1842	1843	1844	1845
1	ოლგინის საგუშაგო, თანხით	—	—	—	—	2300	—	—	—	—	—
2	ეკატერინოდარის კერძო კარანტინი	37,018	22,983	26,357	36,840	22,904	42,507	12,083	30,022	30,389	10,842
3	უსტ-ლაბის საგუშაგო	6000	7,091	8,302	4,705	15,906	775	2,963	958	904	623
4	პროჩნი-აკოფის საგუშაგო	24,180	22,580	36,826	28,802	11,933	5,274	26,146	33,077	23,706	39,353
5	ნეკინომისკის საგუშაგო	20,778	18,393	19,478	18,781	16,579	17.624	7,856	6,946	3,028	4,222
6	ბატალფაშის საგუშაგო	15,312	12,577	9,240	4,162	2,842	9,091	33,235	4,422	5,160	2,048
	სულ	103,288	83,627	100,203	93,290	72,464	75,271	82,283	75,425	63,187	57,088
	ცენტრალური ხაზის კარანტინი	ცხვარი		2 ჯოგი							
7	კამენომოსტის საგუშაგო	7000	4000	710	2 ჯოგი	—	—	—	—	—	—
8	იზეესტნობროდსკის საგუშაგო	41,383	17,038	18,044	28,285	20,679	17,940	147	9,500	532	7,842
9	პროხლადნის საგუშაგო	4,906	6,176	5,926	3,849	10,628	6,440	5,536	3,940	679	7,704
10	ეკატერინოდარის კარანტინი	ცნობები მთიელთა საქონლის შესახებ არაა...									
11	მოზდოკის საგუშაგო	19,231	13,953	16,045	10,856	16,556	1,535	2,256	2,143	1,842	1,263
12	ნაურის საგუშაგო	არ ყოფილა									
	სულ	72,520	41,167	40,725	42,990	47,863	25,915	7,939	15,583	3,053	16,809
	მარცხენა ფლანგის კარანტინი										
	ჩერვლენნაიას საგუშაგო	30,665	35,849	40,741	37,849	26,620	309,614	86,903	99,473	238,286	284,898
	ამირაჯი-იურთის საგუშაგო	22,168	30,270	44,288	20,466	16,699	31,027	46,195	50,055	48,850	60,013
	სულ	51,833	66,119	85,029	58,315	43,319	340,641	133,098	149,528	287,136	344,911
	ყიზლარის კერძო კარანტინი	ცნობები	მთიელ	თა საქონ	ლზე არ	არის.	წარმოდგენილ				
	ოსტროვო-ჩეჩენსკაიას საგუშაგო	ა რ	ყ ო ფ ი ლ ა								

[407] აქტები, ტ. X, გვ. 570, საბუთი № 525.

უწყება

კავკასიის ხაზის საცვლელ პუნქტებში 1842—1846 წლებში რამდენი მარილი მიეცათ მთიელებს და რა თანხას შეადგენდა მათთან გაცვლითი ვაჭრობა

რომელ წლებში, ოთელ გაცვლით საგაჭრო პუნქტში ცალკე	წელიწადში რამდენი გაეცა მთიელებს მარილი		გაყიდული მარილი											
			ვერცხლით											
	ფუთი	გირვ.	მან.	კაპ.	ფუთი	გირვ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	მან.	კაპ.		
1842														
პროხლადნის	5,272	20	1,506	42 6/7	—	—	—	—	—	—	—	—		
პრონნი-აკოფის	9,545	35	2,727	39 2/7	—	—	—	—	—	—	13,725	18		
უსტ-ლაბის	6,602	36	1,886	65 5/7	1,127	—	322	—	378	97 4/7	472	66		
ს უ ლ	21,421	111	6,120	4 6/7	1,127	—	322	—	378	97 4/7	14197	84		
1843 წ.														
პროხლადნის	2,048	—	576	8	—	—	—	—	—	—	—	—		
პრონნი-აკოფის	10,865	16	3,060	40 1/7	—	—	—	—		—	16939	91		
უსტ-ლაბის	7,408	16	2,087	69	303	—	85	69 3/4	92	85 3/7	1,025	80		
ს უ ლ	20,321	32	5724	17 2/7	303	—	85	69 3/4	92	85 3/7	17,965	71		
1844 წ.														
პროხლადნის	10,048	36	2813	69	—	—	—	—	—	—	—	—		
პრონნი-აკოფის	11,522	—	3226	16	—	—	—	—	—	—	4686	54		
უსტ-ლაბის	9,801	10	2744	35	1,500	—	420	—	371	50	451	51		
ს უ ლ	31,372	6	8,784	20	1,500	—	420	—	371	50	5,138	5		
1845 წ.														
პროხლადნის	9,676	20	2,709	42	—	—	—	—	—	—	—	—		
პრონნი-აკოფის	12,864	10	3,601	99	—	—	—	—	—	—	3,140	54		
უსტ-ლაბის	5,800	—	1,624	—	1,440	—	403	20	497	—	4,224	83		
ს უ ლ	28,340	30	7,935	41	1,440	—	403	20	497	—	7,365	37		

შენიშვნა: 1842 წ. საბუთებით ნავაგრ თანხაში შესულია 1843 წ. დარჩენილი 8 მან. და 9 კაპ. (ვერცხლით) მასალები.

1843 წ. კი 17,965 მანეთს მიაღწია. მომდევნო წლებში მთიელთა კერძო ვაჭრობა უშუალოდ თავისუფალ მრეწველებთან ძალიან შემცირდა, ოისი ძირითადი მიზეზიც ჩრდილოეთ კავკასიაში და, კერძოდ, ჩდრ.-დასავლეთ კავკასიაში შამილის აჯანყებით გამოწვეული არეულობა იყო.

გარდა მოცემული სამი გაცვლითი-სავაჭრო პუნქტის საქმიანობის ანალიზისა, ინტერესსმოკლებული არ იქნება, თუ მოვიტანთ სხვა დანარჩენი პუნქტების მუშაობის შედეგებს. კერძოდ, რომელ პუნქტში რა თანხის საქონელი იქნა შემოტანილი და გატანილი.

მოყვანილი ცხრილისა და პირადი დაკვირვების საფუძველზე შვეცოვი დაასკვნის: „მთიელებთან ვაჭრობის ძირითადი საფუძველი უნდა იყოს: 1) ამ ურთიერთობას არ უნდა ახლდეს მათი მცირედი შევიწროებაც კი. 2) მოვაჭრეს მიეცეს უფლება გაყიდოს ან გაცვალოს თავისი საქონელი თავისუფალ ფასში, ვისზეც უნდა და სადაც მოისურვებს, მოხელეთა ჩაურევლად, ისევე, როგორც აქ, ბაზარში, სოფლის ნაწარმით მოსულ ჩვენ მაცხოვრებლებს. 3) კავკასიის კომიტეტის დადგენილებით, მოხელეთა ვალდებულება იმაში მდგომარეობს, რომ მთიელს არ შეხვდეს მცირედი წყენაც კი ვაჭრობის დროს, რომ მათ კეთილსინდისიერი მოპყრობით შთავუნერგოთ ჩვენდამი სრული ნდობა. 4) მოხელეებს უნდა დაევალოთ მთიელებზე სახელმწიფო მარაგიდან მარილის ფულზე მიყიდვა დაკლებულ ფასებში. მდ. ლაბაზე შეიძლებოდა ხე-ტყეზე გაცვლის ნებართვაც დადგენილი ნიხრით. 5) ამჟამად არსებულ მარილის მაღაზიებს უნდა დავუმატოთ რამდენიმე ასეთივე მაღაზია ზოგიერთ ადგილებში... კაზაკებს კი ნება მიეცათ საბადოებიდან უფასოდ მიღებული ზედმეტი მარილის მთიელებზე თავისუფალ ფასად მიყიდვისა. ამგვარი გაყიდვა არ ჩაითვალოს ფარულ ვაჭრობად"[408]. 6) საკარანტინო საგუშაგოებს უნდა დავალებოდათ საბაჟო საქმეებიც. მათვე უნდა ეწარმოებიათ მთიელებზე მარილის გაცემა.

მარილის გაცემა, პირველ რიგში, უნდა ეწარმოებიათ იქ, სადაც უკვე მარაგი არსებობდა; ვლადიკავკაზში, ყიზლარში, მოზდოკში, გეორგიევსკში და სტავროპოლში სპეციალური მარილის მაღაზიები იყო გახსნილი. სადაც კვლავ გაგრძელდებოდა მთიელებთან გაცვლაც და ვაჭრობაც[409].

მთიელთა დასაინტერესებელად და, საბოლოო ჯამში, მათი გულის მოსაგებად, შვეცოვის აზრით, კარგი იქნებოდა მარილის ფასის კვლავ შემცირდება — ფუთის 28 კაპიკამდე. ვაჭრობის მოხერხებულობისათვის კარგი იქნებოდა ფასის დამრგვალება — ფუთზე 25 კაპ[410].

---

[408] აქტები, ტ. X, გვ. 571, საბუთი № 526.

[409] აქტები, ტ. X, გვ. 571.

[410] იქვე, საბუთი № 526.

კავკასიის მმართველის მითითებით, ვაჭრობის ქსელის გაფართოების საკითხიც დაისვა. ამ მხრივ აუცილებლად ჩაითვალა გახსნილიყო ახალი სავაჭრო პუნქტები შემდეგ საგუშაგოებთან: ჩერევლენნოისთან, იზვესტნო-ბოროდსკთან, ბატალ-ფაშასთან (ბატალ-ფაშასთან მარილით სავაჭრო პუნქტის გახსნა რამდენჯერმე ითხოვეს მთიელებმა, ითხოვეს მათმა თავადებმაც კი), სტანიცა პრიშიბსკოისთან და სტანიცა ბურგუსტანში. ვაჭრობა უნდა ყოფილიყო პაველოდოლსკსა და პიატიგორსკშიც: როგორც კავკასიის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დასძენდა, გარდა ჩამოთვლილი ადგილებისა, სავაჭრო პუნქტები უნდა გახსნილიყო იქ, სადაც მთიელები მოისურვებდნენ და სადაც მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა თავიანთი საქონლის გაყიდვა, საჭირო ნივთებისა და პროდუქტების შეძენა. „ერთი სიტყვით, წერდა შვეცოვი, რაც მეტი იქნებოდა ჩვენს კაზაკთა სტანიცებთან მთიელების შეხებისათვის სავაჭრო წერტები, მით უფრო შეიძლება ველოდოთ მათ ჩვენთან სასურველ დაახლოებას“[411].

გენ.-ლეიტ. ზავადოვსკიმ შესწორება შეიტანა შვეცოვის მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათში და საკმაოდ მართებულად განაცხადა: „იქ, სადაც ვაჭრობა წარმოებს, ე. ი. სავაჭრო პუნქტებში, გაცვლითი ოპერაციების წარმოება უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ჩვენი მიზანი ვაჭრობის განვითარებაა და არა უშუალოდ გაცვლა-გამოცვლა. გაცვლითი პუნქტები უნდა გაიხსნას იქ, სადაც სავაჭრო პუნქტი არ არსებობს“[412]. შემდეგ ჩამოთვლილია ადგილები, თუ სად უნდა გახსნილიყო გაცვლითი და სად სავაჭრო პუნქტი.

შვეცოვის მიერ გაცვლითი სავაჭრო საქმიანობის გასაუმჯობესებლად წარმოდგენილი მოსაზრებები კავკასიის მმართველმა ვორონცოვმა განსახილველად და შემდეგ დასამტკიცებლად ზემდგომ ორგანოებს გაუგზავნა.

1845 წ. 20 მაისს იგი მოსმენილ იქნა კავკასიის კომიტეტში. კომიტეტმა მთიელებთან ვაჭრობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული შვეცოვის მოსაზრებანი განიხილა ვორონცოვის შუამდგომლობით და მოიწონა კიდეც.

კავკასიის კომიტეტის სხდომაზე გამოითქვა აზრი: „გაცვლის ან ვაჭრობის წარმოებისას არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული მთიელთა მოტყუება და სიყალბე, რათა დავიმსახუროთ მათი ნდობა და შევაჩვიოთ ჩვენთან მშვიდობიან ურთიერთობას, დავანახოთ ამ ურ-

---

[411] აქტები, ტომი. X, გვ. 571.
[412] იქვე.

თიერთობის აუცილებლობა, რითაც გავლენას მოვახდენთ მათ დამშვიდებასა და დამორჩილებაზე"[413].

კავკასიის მმართველის გრაფ ვორონცოვის შუამდგომლობაში მოხსენებული იყო მრეწველთა უფლებების გაფართოებაზეც, რის შესახებაც კავკასიის კომიტეტში დაადგინეს: „ამ პროექტის ძირითადი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფლება მიეცეს ჩვენი მრეწველების სავაჭრო ურთიერთობას მთიელებთან"[414].

კავკასიის კომიტეტის სხდომაზე დადგენილ იქნა: „დამტკიცდეს შვეცოვის მიერ წარმოდგენილ ბარათში მოცემული მთიელებთან სავაჭრო ურთიერთობის მოწყობის ძირითადი საფუძვლები, რომელიც სავსებით მოწონებულია კავკასიის მეფისნაცვლის მიერ"[415].

გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების მოწყობაზე დიდ იმედებს ამყარებდა კავკასიის მმართველი გრაფი ვორონცოვი. ვაჭრობის გაფართოებით ფიქრობდა იგი მთიელებთან დაახლოებასა და ამ უკანასკნელთა გადმობირებას რუსეთის მხარეზე. ამიტომ იყო, რომ სასწრაფოდ მოხდა ვაჭრობის გაუმჯობესების გეგმის შედგენა, დამტკიცება.

1846 წ. 9 აპრილს ხსენებული გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების გახსნა-გაფართოების შესახებ პროექტი უმაღლესად იქნა დამტკიცებული[416].

ვორონცოვი 1846 წ. სექტემბერს გენ. ზავადოვსკისადმი მიმართვაში მოითხოვდა მთიელებთან მარილით ვაჭრობის სასწრაფოდ დაწყებას ვლადიკავკაზსა და საკარანტინო საგუშაგოებთან პროხლადნის, პროჩნი-აკოფისა და უსტ-ლაბის პუნქტებში. მარილის გასაცვლელი ან გასაყიდი ფასი უნდა ყოფილიყო: ახლად გახსნილ გაცვლით-სავაჭრო პუნქტებში — 28 კაპ. ვერცხლით, სხვა ადგილებში კი არა უმეტეს 52 კაპიკისა ვერცხლით, როგორც უკვე არსებულ პუნქტებში.

კავკასიის ხაზზე ახალი პუნქტების გასახსნელად ვორონცოვმა სპეციალური მოხელეები გამოყო: კ. უმანსკი და ნ. ნოვიცკი, რომლებიც დაათვალიერებდნენ მხარეს და შეარჩევდნენ ადგილებს, სადაც გაცვლაც და ვაჭრობაც ინტენსიურად წარიმართებოდა[417].

უმანსკიმ და ნოვიცკიმ თავისი წინადადებები წარუდგინეს ვორონცოვს. ისინი ძირითადად ემთხვეოდა შვეცოვის წინადადებებს. მათ მოხსენებაში განსაკუთრებით იყო ხაზგასმული ყაბარდოელებთან სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების აუცილებლობა. ყაბარდოს მახლობ-

---

[413] აქტები, ტ. X, გვ. 571.
[414] იქვე.
[415] იქვე.
[416] იქვე, საბუთი № 527.
[417] იქვე.

ლად რამდენიმე გაცვლითი-სავაჭრო პუნქტი არსებობდა და დამატებით ახალი პუნქტების გახსნაც იყო დაგეგმილი.

1846 წ. გაცვლითი-სავაჭრო პუნქტების გახსნა დადგენილ იყო შავი ზღვის კაზაკთა დასახლებასთანაც, სადაც მომსახურება ძირითადად ყუბანსიქითა მხარეს მცხოვრებ ჩერქეზებს გაეწეოდა[418]. ვაჭრობის ფორმები და წესები აქაც ისეთივე იქნებოდა, როგორიც კავკასიის ხაზზე არსებულ გაცვლით-სავაჭრო პუნქტებში. აქაც ძირითადი ყურადღება მთიელთა ინტერესებს ექცეოდა, რათა არ შეევიწროებინათ და შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ მათთვის.

კავკასიის მმართველის—ვორონცოვის ენერგიულ მოღვაწეობასა და დროულ მითითებებს — ვაჭრობის დანერგვისა და გაფართოების შესახებ უშედეგოდ არ ჩაუვლია. 1850-იანი წლებისათვის მთიელებთან საკმაოდ დიდი მასშტაბით ვაჭრობა წარმოებდა[419].

გარდა ადგილობრივი ვაჭრობისა, ყაბარდოელები რუსეთის სამხრეთ ქალაქებშიც მიდიოდნენ თავიანთი ნაწარმით; ასაღებდნენ რა თავიანთ საქონელს, იქ საჭირო საგნებსა და სამრეწველო საქონელს იძენდნენ პირადი მოხმარებისათვის, ზოგჯერ კი კვლავ გასაყიდად. კავკასიის ხელმძღვანელთა მითითებებით წახალისებულმა ვაჭრობის მიმდევრებმა ყაბარდოს საზღვრებიდან გარეთ გასატანი საქონელის ასორტიმენტის გაფართოება იწყეს. სავაჭროდ გაჰქონდათ ხე-ტყე, ბეწვეული, დაუმუშავებელი ტყავი და სხვ. 1843—1845 წწ. ყაბარდო-ბალყარეთიდან, მარტო იზვესტნიბროდიდან, პროხლადნიდან და მოზდოკიდან გატანილ იქნა 124,506 მანეთის 103. 756 ცხვრის, ხარისა და თხის ტყავი[420]. პირადი მოხმარებისათვის ყაბარდოელები იძენდნენ მარილს, ყოველდღიურად მოსახმარ საქონელს, ბინის მოსართავად საჭირო საგნებს და სხვ.

1840-იანი წლებიდან პურის მარცვლისა და ფქვილის შეტანა იწყეს დიდი რაოდენობით, რაც რამდენიმე წელს ზედიზედ მოუსავლიანობით იყო გამოწვეული.

ადგილობრივი ხელისუფლება ზღუდავდა პურის მარცვლისა და ფქვილის დიდი რაოდენობით შესყიდვას.

1845 წ. 21 ივნისს კავკასიის ხაზის საბაჟოს ზედამხედველი კავკასიის ოლქის უფროსს აცნობებდა: „ჩემს მიერ შემჩნეულია, რომ ეკატერინოდარის მახლობელ სიმაგრეზე გავლით ყაბარდოელები მუდმივ

---

[418] იქვე.

[419] აქტები, ტ. X, გვ. 573, საბუთი № 527.

[420] История Кабардино-Балкарской АССР, с древнейших времен до наших дней, т. I, М., 1967, с. 212

და დიდი რაოდენობით ეზიდებიან პურის მარცვალს და ფქვილს"[421], რაც, მისი აზრით, დაუშვებელი იყო. ცნობას კავკასიის მთავარ ხელისუფალთა პასუხი მოყვა: „მიიღეთ ქმედითი ზომები ყაბარდოში პურის შეტანის შესაზღუდად"[422].

მიუხედავად ზოგიერთი შეზღუდვებისა, ვაჭრობის მასშტაბი ნელი ტემპით, მაგრამ შეუჩერებლად იზრდებოდა. განსაკუთრებით იმატა რუსული ნაწარმის შეტანამ ყაბარდოში. რუს ვაჭრებს შეჰქონდათ ბამბის ნაწარმი (ძირითადად გლეხები ყიდულობდნენ ტანსაცმლისათვის), ფეხსაცმელი, დამუშავებული ტყავი, მოგვიანებით გაჩნდა ლითონისა და მინის ჭურჭელი[423].

თანდათანობით ვაჭრობაში ებმებოდნენ გლეხობიდან გამოსული მოვაჭრე ელემენტებიც. 1833—1834 წწ. მოზდოკის ბაზრობაზე იყო 20880 კაცი, აქედან 6460 — გლეხთა ფენიდან გამოსული. ამრიგად, ვაჭრობაში სულ უფრო და უფრო მეტნი ებმებოდნენ, რაც ფაქტიურად ვაჭრობის გაფართოებას წარმოადგენდა.

ვაჭრობის ამგვარმა მასშტაბმა ბალიან შეზღუდა გაცვლითი პუნქტების მუშაობა. ვაჭრები ფულზე გაყიდვით მეტ სარგებლობას ნახულობდნენ, ვიდრე გაცვლით, რამაც ძირითადად განაპირობა გაცვლითი ოპერაციების მინიმუმამდე შემცირება.

მოგვიანებით, 1850-იან წლებში, მთიელებს რკინის, ფოლადისა და სხვა ლითონთა ყიდვის უფლება მიეცათ. კვლავ ეკრძალებოდათ მხოლოდ საბრძოლო იარაღის შეძენა.

კავკასიის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ვაჭრობამ ჩრდილო კავკასიის ყველა რეგიონში მოიკიდა ფეხი. თერგის ოლქში, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით ყაბარდოელები მისდევდნენ ვაჭრობას. მათი წლიური შემოსავალი მარტო ცხენებით ვაჭრობიდან 50 ათას მანეთიდან 70 ათას მან. შეადგენდა ვერცხლით[244]. ყაბარდოში ყოველწლიურად ათეულ ათასობით ცხვარს ყიდიდნენ, საიდანაც საშუალოდ 20 ათასიდან 25 ათასამდე მან. ჰქონდათ შემოსავალი. ამ მხარეში მეფუტკრეობაც საკმაოდ იყო განვითარებული. მოუსავლიან წელს 50 ათასი მანეთის თაფლს ყიდიდნენ. თუ მოსავალი კარგი იყო, თაფლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა 80 ათას მან. აღწევდა ვერცხლით. ერთი ფუთი თაფლი დაახლოებით 3 მანეთიდან 4 მანეთ და 50 კაპიკამდე ღირდა. საშუალოდ, ყაბარდოში 800—

---

[421] История Кабардино-Балкарской АССР..., с. 213.

[422] იქვე.

[423] იქვე.

[424] Баратов Т. Г., О природе и хозяйстве Кабарды, «Кавказ», 1860, № 73.

1000 ფუთამდე თაფლს ყიდიდნენ. ყაბარდოელთა ვაჭრობის საგანს შეადგენდა ცხვრის ტყავი. ისინი წელიწადში ათასობით ცხვარს ყიდიდნენ ფეხად, გაცილებით მეტს კი, პირადი მოხმარებისათვის ჰკლავდნენ ოჯახში, რაზეც მეტყველებს მათ მიერ გაყიდული ცხვრის ტყავის რაოდენობა. 1850-იანი წლების ბოლოს ყაბარდოელებისაგან 500 ათასამდე ცხვრის ტყავს ყიდულობდნენ სომეხი და ებრაელი ვაჭრები[425]. ცხვრის ტყავს ისინი საშუალოდ 25—50 კაპიკად ყიდულობდნენ და გაცილებით მაღალ ფასებში ყიდიდნენ ყიზლარსა და სხვა ქალაქებში. ყაბარდოელების სავაჭრო ასორტიმენტში შედიოდა სანთელი და მატყლი.

1 ფუთი მატყლი 1 მან. და 50 კაპიკი ღირდა. სანთელი გაცილებით ძვირი იყო და 1 ფუთის საშუალო ფასი 15—18 მან. აღწევდა ვერცხლით. სანთელსაც და მატყლსაც დიდი გასავალი ჰქონდა, ვინაიდან მასზე საკმაოდ მაღალი მოთხოვნილება იყო. სანთელსა და მატყლს ყიდულობდნენ არა მარტო კავკასიის ხაზის ახლოს მცხოვრებნი, არამედ ჩეჩნებიც, ყუმიყებიც და სხვა მთიელები. მატყლი თითქმის ყველას სჭირდებოდა მთაშიც და ბარშიც. მატყლისაგან ამზადებდნენ ნაბდებს, ქეჩას, უხეშ მაუდს და სხვა საჭირო ჩასაცმელსა და დასახურს. ყაბარდოში ბევრი ოჯახი მისდევდა ხამი მაუდის ქსოვას. ყაბარდოში დამზადებული მაუდი ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზული მაუდის სახელწოდებით იყო ცნობილი. ნაბდებიც ხარისხიანად ითვლებოდა. იგი მსუბუქი და წყალგაუმტარი იყო, რის გამოც ყველა მონდომებული იყო ყაბარდოში დამზადებული ნაბადი შეეძინა. აქვე ამზადებდნენ ტყავის ნაწარმს, სხვადასხვა ფერებით მოქარგულ პისტოლეტის შალითებს და სხვა საჭირო ნაკეთობებს. ერთი სიტყვით, ყაბარდოში ვაჭრობა ჩქარი ტემპით ვითარდებოდა, რაც ერთგვარ სტიმულს აძლევდა მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას. ვაჭრობაში ებმებოდნენ ჩრდილო ოსეთის წარმომადგენლები და ჩეჩნები. ჩეჩნები ხე-ტყეს ამზადებდნენ და ყიდიდნენ მეზობელ მხარეებში და განსაკუთრებით ყიზლარში. ყიზლარში ჩეჩნები ყოველწლიურად 500—800 ტივს ყიდიდნენ. თითო ტივის ფასი საშუალოდ 30—50 მან. იყო. ვაჭრობის ამ დარგიდან ჩეჩნების ყოველწლიური შემოსავალი 15 ათასიდან 24 ათას მანეთამდე აღწევდა ვერცხლით[426].

გარდა სამშენებლო ხე-ტყისა, ჩეჩნები ამზადებდნენ და ყიდიდნენ ვენახის სარს. ვენახის სარი ყოველწლიურად 5—6 ათასი ურემი მიჰქონდათ ყიზლარში გასაყიდად. ურემი სარი სამიდან ხუთ მანეთამდე ღირდა, რაც წლიურად 15 ათასიდან 25 ათასამდე მან. შე-

---

[425] იქვე.

[426] Берже А. П., Указ. труд, с. 89.

ადგენდა ვერცხლ-თ. ჩეჩნები ყიდიდნენ საურმე ბორბლის სალტეებსა და საკასრე ფიცრებსაც. საკასრე ფიცრებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილება იყო. 1000 ასეთი ფიცარი 3 მან. ღირდა ვერცხლით. ვაჭრობაში სუნჯისა და თერგის ჩეჩნები იყვნენ ჩაბმულნი[427]. შორს მცხოვრები ჩეჩნები არ ეწეოდნენ ვაჭრობას. ისინი ოჯახისათვის საჭირო საგნებს სომეხი ვაჭრებისაგან იძენდნენ, რაც ძვირად უჯდებოდათ. მიუხედავად ვაჭრობაში არსებული ზოგიერთი ხარვეზისა, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთიელი ტომების რუსეთის მხარეზე გადმობირებისათვის. 1850-იანი წლების ბოლოსათვის მთიელმა ტომებმა პრაქტიკულად იგრძნეს ვაჭრობის გაფართოების საჭიროება და რუსეთისადმი ერთგულების აუცილებლობაც.

ყოველივე ეს რუსეთის ხელისუფლების ადგილობრივი ხელმძღვანელობის ზრუნვის შედეგი იყო, ვინაიდან ცარიზმის პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობის რუსეთის მხარეზე გადმობირების ერთ-ერთი მთავარი საშუალება მათთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება და გაფართოება-განვითარება იყო.

§ 7. კაზაკთა ჩამოსახლება თერგის ოლქში

ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, თერგის ოლქში კაზაკთა ჩამოსახლება და, საერთოდ, რუსული დასახლების წარმოქმნა XVI ს. იწყება[428].

1559 წ. რუსებმა მდინარე თერგის ერთ-ერთ ტოტზე მდებარე ქალაქი ტერკოტლე, ანუ ტიუმენი დაიკავეს, ქალაქს გალავანი შემოავლეს და დასახლდნენ[429].

დასახლებულთა შორის იყვნენ მეფის შვილდოსნები და დონის, ვოლგის და იაიცკის კაზაკები. ამ ხალხთა ზემოხსენებულ ადგილზე დასახლება თვითნებურ ხასიათს ატარებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალდასახლებულებს წინასწარ არ ჰქონდათ გადაწყვეტილი სწორედ ამ ადგილას დასახლება, სადაც შეჩერდნენ. მათ არც იცოდნენ ადგილმდებარეობა, მაგრამ მოეწონათ ადგილი, თანაც შედარებით იოლად ჩაიგდეს ხელში პატარა, ქალაქისმაგვარი დასახლება და გადაწყვიტეს სამუდამოდ აქ დარჩენა. მიუხედავად დასახლების კერძო ხასიათისა, როგორც ირკვევა, იგი მალე გახდა ცნობილი მეფის რუსეთის მთავრობისათვის. მთავრობამ ამ შემთხვევით ისარგებლა და საჩქაროდ

---

[427] Берже А. П. Указ. труд. с. 89.

[428] Пантюхов И. И. Влияние малярии на колонизации Кавказа. Тифлис, 1899, с. 8.

[429] Максимов Е. Терское казачье войско, историко-этнографический очерк. Владикавказ, 1890, с. 7.

გადაწყვიტა ახლადდასახლებულნი რუსეთის სახელმწიფოს სამსახურისათვის გამოეყენებინა[430].

1567 წ. აშენებულ იქნა ქალაქი თერგი, სადაც ახლად დასახლებულებმა ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიაში პირველად შექმნეს თერგის კაზაკთა ჯარი. რუსეთის ამ განაპირა საზღვრებთან კაზაკთა ჯარის შექმნა დიდ მოვლენას წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიაში. კაზაკებმა რუსეთისათვის სასარგებლო და ამასთანავე მძიმე სამსახური იკისრეს. 1590 წ. ქ. თერგის ვოევოდმა ხვოროსტინმა ხშირი თავდასხმებისა და ავაზაკობისათვის ტარკის საშამხლო დალაშქრა, დაამარცხა იგი და ნადავლით უკან დაბრუნდა[431]. იმავე საუკუნეში, მოგვიანებით, რუსთა მცირერიცხოვანი ჯგუფი იქნა გადმოსახლებული. კაზაკური მოსახლეობა ნელი ტემპით, მაგრამ შეუჩერებლივ იზრდებოდა.

1685 წ. კაზაკური მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ მდინარე თერგის მახლობელ მთებს შორის ტერიტორია დაიკავა. ვინაიდან მთებს შორის ცხოვრობდნენ, ამიტომ ისინი თავიანთ თავს გრებენელთა[432] კაზაკებს უწოდებდნენ.

ახლად დასახლებულმა გრებენელმა კაზაკებმა თავიანთი სახელები უწოდეს საცხოვრებელ ადგილებს. ატამანის პატივსაცემად ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტს ანდრეი შედრინი დაარქვეს[433].

წყაროებიდან ირკვევა, რომ გრებენელი კაზაკები ცხოვრობდნენ მდინარე თერგის მარჯვენა მხარეს, ყაბარდოში და ყუმიყელთა სამფლობელოში, მთებს შორის[434]. გრებენელი კაზაკებით იყო დასახლებული ადგილები, შემდეგში ე. წ. სტანიცები: შედრინი, კურდიუკოვი, ნოვოგლადკი და ჩერვლენი.

დროთა განმავლობაში კაზაკთა სტანიცებში არარუსული, ადგილობრივი ტომების ბევრი წარმომადგენელიც დასახლდა.

ამიტომ იყო, რომ თერგის კაზაკთა დასახლებებში მთელი სტანიცები არაქრისტიანული მოსახლეობით, ე. ი. ძირითადად მაჰმადიანური სარწმუნოების ადგილობრივ ტომთა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში, კაზაკთა გადმოსახლება და კაზაკთა სტანიცების რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა, მიუხედავად იმისა,

---

[430] იქვე, გვ. 8.

[431] Пантюхов И. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[432] Гребень — გადატანითი მნიშვნელობით თხემს, მთის ზემო ნაწილს ნიშნავს, იხ. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1956, გვ. 276.

[433] Бентковский И. В. Гребенцы, историческое исследование, М., 1889, с. 11.

[434] იქვე, გვ. 10

რომ ახალჩამოსახლებულები აქაურ ჰავასა და ცხოვრების პირობებს ვერ ეგუებოდნენ. ხშირი იყო მათ შორის ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის შემთხვევები. 1720 წ. პეტრე პირველმა მდინარე სულაკის მახლობლად დონის კაზაკთა 1000 ოჯახი დაასახლა[435]. მათ შორის ავადმყოფობა გაჩნდა და 10 წლის შემდეგ 1000 ოჯახიდან მხოლოდ 542 ოჯახი დარჩა, 1800 წლისათვის კი მათგან მეათედიც აღარ იყო. ყუბანისა და თერგის ოლქში მოსახლეობა ციებ-ცხელებისაგან იტანჯებოდა. ჯარის თითქმის ნახევარი სურავანდით იყო დაავადებული, ხშირი იყო წყალმანკითა და დეზინტერიით დაავადების შემთხვევები. ასეთ ვითარებაში ისეთი ჩქარი ტემპით ხდებოდა კაზაკთა ჩამოსახლება დიდ პარტიებად, რომ, დიდი სიკვდილიანობის მიუხედავად, მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა.

კაზაკი მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ XIX ს. დასაწყისში მარტო გრებენელი კაზაკების სარგებლობაში 140000-მდე დესეტინა მიწა იყო; აქედან უმეტესი ნაწილი — 98000 დესეტინა საუკეთესო, ნოყიერი, მცირე ნაწილი კი — 42000 დესეტინა მეურნეობისათვის გამოუსადეგარი, 37000 დესეტინა ყარანოღაელებთან სადავო მიწა იყო. მომთაბარე ყაბარდოელებსა და გრებენელ კაზაკებს შორის გაუთავებელი დავა იყო მიწების გამო. აუცილებელი გახდა გრებენელი კაზაკების მიწების გამიჯვნა. შეიქმნა გამმიჯნავი კომისია. გამიჯვნისას, ხელმძღვანელობის მითითებით, გენერალს 1500 დესეტინა მიწა ეძლეოდა, თითოეულ შტაბის ოფიცერს — 400, ზემდეგებს — 100—100, რიგით კაზაკებს კი 50—50 დესეტინა სულზე.

კაზაკებს გულმოდგინედ შეუდგნენ მიღებულ მიწებზე მეურნეობის მოწყობას. რამდენიმე წელიწადში უკვე საუკეთესოდ მოწყობილი ბაღ-ვენახები ჰქონდათ. ხვნა-თესვის გარდა, ისინი მევენახეობასაც მისდევდნენ. აყენებდნენ ღვინოს, ხდიდნენ არაყსაც. თერგის კაზაკები, განსაკუთრებით კი მამაკაცები, ღვინისა და არყის სმას ეტანებოდნენ. ამიტომ იყო, რომ სასმელს ბევრს ამზადებდნენ და მომგებიან ფასებშიც ყიდიდნენ.

1825—1828 წწ. საბუთებიდან ჩანს, რომ კაზაკის ოჯახი, რომელსაც კარგი ვენახი ჰქონდა, საკუთარი ღვინო-არაყის რეალიზაციით წელიწადში 400-დან 800 მანეთამდე შემოსავალს იღებდა[436].

ვენახებს 479 დესეტინა ეკავა, წლიურად 216 ათას ვედრო ღვინოს აყენებდნენ. აქედან 138 ათას ვედრო ღვინოს არყის გამოსახდელად იყენებდნენ. ვედრო არაყის ფასი 8 მან. და 50 კაპ. და 9 მან. და

---

[435] Кавказский календарь на 1867 год, Тифлис, 1866, с. 375.

[436] Пантюхов И. И. Указ. труд, с. 9; Максимов Е. Указ. труд, с. 19.

50 კაპ. შორის მერყეობდა[437]. სასმელებზე ასეთმა დიდმა მოთხოვნილებამ განაპირობა მევენახეობის განვითარება კაზაკთა დასახლებებში.

ღვინისა და განსაკუთრებით არყის წარმოებას სომხებიც მისდევდნენ. ისინი სტანიცებთან არყის სახდელ საწარმოს აწყობდნენ, სადაც სარეალიზაციოდ ნაყიდი ყურძნისაგან — ღვინოსა და ჭაჭისაგან — არაყს ამზადებდნენ. ხშირად კაზაკებისაგან დიდი რაოდენობით ღვინოსა და დასაკრეფ ვენახსაც ყიდულობდნენ.

ამრიგად, შემსყიდველს კაზაკების მიერ მოწეული ყურძნისა და ღვინო-არყისაგან უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე დიდი შრომით მიღებულ პროდუქციის პატრონს.

1757 წ. კაზაკებს აეკრძალათ თავიანთი ყურძნისა და ღვინის გაყიდვა ისე, როგორც მათ მოესურვებოდათ, ნებისმიერ ფასებში. ისინი ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ყურძენი, ღვინო და არაყი ჩაებარებინათ ასტრახანის მებაღეობის კანტორისათვის. რა თქმა უნდა, ჩასაბარებელი ფასი ძალიან დაბალი იყო. ასეთი შეზღუდვის გამო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება დროებით შეფერხდა, რამდენიმე წლის შემდეგ ზემოხსენებული დადგენილება გაუქმებულ იქნა, თუმცა ყურძნის, ღვინისა და არყის დიდი რაოდენობით გაყიდვა მაინც აღარ ხდებოდა[438].

კაზაკები მისდევდნენ მეთევზეობასაც მდინარე თერგსა და ზღვისპირებზე. მეთევზეობის განვითარებას ხელს უშლიდა თევზისა და თევზის ნაწარმის რეალიზაციის არსებული საიჯარო სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ კაზაკებს ნება დაერთოთ თავისუფალი თევზჭერისა, ზოგიერთი შეზღუდვა მაინც ძალაში დარჩა. მაგალითად, მეთევზეს წითელი ხიზილალის თავისუფლად გაყიდვის უფლება არ ჰქონდა. მას იგი შემსყიდველისათვის უნდა ჩაებარებინა, რა თქმა უნდა, დაბალ ფასებში.

მეთევზეობის განვითარებას ხელს უშლიდა ისიც, რომ კაზაკებს აეკრძალათ უფასოდ მარილის მოტანა, რაც თევზის დამარილებას აძნელებდა. მართალია, ეს დადგენილებაც მალე გაუქმდა, კაზაკებს ახალი დადგენილებით სულზე 85 გირვანქა მარილი ეძლეოდათ უფასოდ. მაგრამ მეთევზეობა კაზაკებში პირველხარისხოვან საქმიანობად მაინც არ იქცა[439].

კაზაკები მისდევდნენ ნადირობასაც. გრებენელ კაზაკთა სტანიცების მახლობელ ტყეებში ბევრი იყო გარეული ღორი, ჯიხვი და სხვ.

---

[437] Максимов Е. Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 19.
[438] იქვე.
[439] იქვე, გვ. 19—20.

ეს მხარე გარეული ფრინველებითაც მდიდარი იყო, მაგრამ ნადირობას მაინც ერთეულები ეტანებოდნენ.

კაზაკები მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ. რუსეთის მთავრობა მხარს უჭერდა მეაბრეშუმეობის განვითარებასა და გაფართოებას კაზაკებში და ამ უკანასკნელთა წახალისებით კარგ შედეგებსაც აღწევდა. 1825 წ. კაზაკთა 5 სტანიცის 1891 ოჯახს მეაბრეშუმეობისათვის ვაშენებული ჰქონდა 6865 თუთის ხე.

როგორც მევენახეობა-მეღვინეობაში, ასევე მეაბრეშუმეობაში კარგი მიღწევები ჰქონდათ სტანიცა ჩერვლენანიას კაზაკებს, რომლებმაც 1825 წ. 8 ფუთამდე აბრეშუმის პარკი მიიღეს[440].

კაზაკთა სტანიცების — შადრინსკაიას, კურდიუკოვსკაიას, სტაროგლადკოვსკაიას და ნოვოგლადკოვსკაიას მცხოვრებნი ენდროს მოშენებას მისდევდნენ. იმავე 1825 წ. მათ 3000 ფუთამდე ენდრო დაამზადეს.

კაზაკები თავიანთი შრომის შედეგად მიღებულ ზედმეტ პროდუქციას თერგსიქითა მეზობელ მთიელ ტომებზე ჰყიდიდნენ, მათგან კი იძენდნენ საჭირო ნივთებსა და საქონელს. კაზაკებს თერგსიქით გაჰქონდათ მარილი, ბაღ-ვენახებში მოწეული მოსავლის ნაწილი, თევზი და თევზის ნაწარმი, შინნაქსოვი ტილო და სხვ. სამაგიეროდ მეზობლებისაგან იძენდნენ ცხენებს, ცხვრებს, ნაბდებს, ყაბალახებს, ხიფთანებს, ურმებს, ურმის თვლებს და სხვ.

კაზაკები, როგორც აღინიშნა, ვერ ეგუებოდნენ მათთვის უცხო ჰავასა და ცხოვრების მძიმე პირობებს და ბევრი იღუპებოდა[441]. დროთა განმავლობაში ისინი შეეგუენ ადგილობრივ გარემოს, ისწავლეს მეურნეობის წარმოება და მთიელებთან შედარებით, მთავრობის მხარდაჭერითა და წახალისება-შეღავათებით, გაცილებით უკეთ მოეწყვნენ[442]. კაზაკთა მოსახლეობა თანდათან იზრდებოდა ახალჩამოსულთა ხარჯზე. 1763 წ. აშენებულ იქნა მოზდოკის პატარა ციხე-სიმაგრე, სადაც თერგისა და გრებენელი კაზაკები სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ. შვიდი წლის შემდეგ იგი დიდ ციხე-სიმაგრედ გადააკეთეს. ციხე-სიმაგრის გარნიზონს შეემატა დონიდან ახლად გადმოსახლებული 100 კაზაკი, მათი ოჯახები კი დასახლდნენ ხსენებული ციხე-სიმაგრის ახლოს და სტანიცა ლუკოვსკაია დააარსეს. იმავე წელს გადმოსახლებულ იქნა ვოლგის კაზაკთა 517 და დონის მეზარბაზნეთა 250 ოჯახი. ამ ახლადგადმოსახლებულ კაზაკთა პარტიებმა მოზდოკის კაზაკთა პოლკი შეადგინეს.

---

[440] იქვე, გვ. 20.

[441] Пантюхов И. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

[442] Максимов Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

ამრიგად, რუსული დასახლების ხაზი გავრცელდა ზემოთ, თერგის გაყოლებით. მოგვიანებით ამ პოლკის შემადგენლობაში ციხე-სიმაგრის მილიციელებად ჩაირიცხა მონათლულ კაზაკთა 202 ოჯახი, რომლებიც სარატოვიდან იქნენ გადმოყვანილნი.

საჭირო იყო კაზაკების დასახლებათა ხაზის გაგრძელება მოზდოკიდან აზოვამდე.

1777 წ. რამდენიმე ციხე-სიმაგრე აშენდა.

ხაზის დასასახლებლად ვოლგის კაზაკთა კიდევ 700 ოჯახი იქნა გადმოყვანილი, რომლებმაც შეავსეს ციხე-სიმაგრეები: ეკატერინინსკაია (შემდგომში სტანიცა ეკატერინოგრადსკაია), პავლოვსკაია, მარინსკაია და გეორგიევსკისა და ალექსანდროვსკაიას მახლობელი თავისუფალი ადგილები[443]. ამ ადგილებში დასახლებულთა რიცხვმა 4640 სულს მიაღწია. ვოლგის კაზაკთა პოლკმა 200-ვერსიანი ხაზი დაიკავა. მათვე მიეწერათ სამოქალაქო დასახლების 4 სოფელი 4050 სული მცხოვრებით.

1824 წ. კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გენ. ერმოლოვმა გადაწყვიტა მოზდოკსა და ვოლგის კაზაკთა პირველ სტანიცებს შორის კაზაკთა ახალი ხაზის შექმნა, რომელმაც ბთიელთა პოლკის სახელწოდება მიიღო. გარდა მოზდოკის კაზაკთა პოლკისა, ახალი ხაზის შემადგენლობაში შევიდა ოსთა ორი სოფელი, 4 სამოქალაქო დასახლების სოფელი და ვოლგის კაზაკთა პოლკის სტანიცა ეკატერინოგრადსკაია.

ასე შეიქმნა სტანიცები: გორსკაია, ჩერნოიარსკაია, პროხლადნაია და სალდატსკაია. 4 წლის შემდეგ ამავე პოლკს შეუერთდა სამოქალაქო დასახლების ორი სოფლისაგან შემდგარი სტანიცები: გოსუდარსტვენნაია და კურსკაია. ასეთი გზებით დაკომპლექტდა კაზაკთა 6 პოლკი, რომელთა დასახლება კასპიის ზღვასთან იწყებოდა და გრძელდებოდა დასავლეთით 700 ვერსზე, ჰქმნიდა რა კავკასიის სახაზო ჯარს[444].

კაზაკებს დიდი დამსახურება მიუძღვით რუსეთის იმპერიის წინაშე. მათი სამსახური, რაც მეტად სასარგებლო და აუცილებელი იყო. 15 წლის ასაკიდან იწყებოდა და 25 წელი გრძელდებოდა. თითოეულ ოჯახზე 1 კაცი გამოჰყავდათ. მარტო გრებენელ კაზაკებს 1000 შეიარაღებული მებრძოლი გამოჰყავდათ. აქედან ნახევარი — 500 კაცი რეგულარულ სამსახურს ეწეოდა, დანარჩენი კი თავიანთ სტანიცებს იცავდა. ჯამაგირს იღებდნენ მხოლოდ ისინი, ვინც რეგულარულ სამსახურში ირიცხებოდნენ. მთავრობა მოითხოვდა თითოეულ კაზაკს რეგულარული სამსახურისათვის ჰყოლოდა კარგი ცხენი,

---

[443] იქვე.

[444] Максимов Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 21—22.

სამხედრო ფორმა და იარაღი[445]. XVII ს. 30-იან წლებში კაზაკებს ძალიან მცირე ჯამაგირები ეძლეოდათ. იმავე საუკუნის ბოლოსათვის იგი საკმაოდ გაიზარდა. გაჩნდა ახალი, ჯამაგირიანი შტატებიც: სტანიცის იასაულის, მწერლის, მედროშისა და სხვ.

თითოეულ ატამანს ეძლეოდა წელიწადში 30 მანეთი, ჯარის იასაულს —20, ჯარის მდივანს —19, მედროშეს—18, სტანიცის ატამანს—17, სტანიცის იასაულს—16, ასისთავს—15, მწერალს—14, რიგით კაზაკებს—12—12 მანეთი. მათვე ეძლეოდათ ფქვილი, შვრია და მარილი[446].

1816 წ. კაზაკთა 500-კაციანი რეგულარული პოლკების პირადი შემადგენლობა 700 კაცამდე გაიზარდა. ამასთანავე, თერგის კაზაკთა ჯარში ცვლილებები მოხდა. ადრე ატამანს, იასაულს და სხვა თანამღებობის პირებს ირჩევდნენ. 1819 წ. ერმოლოვმა გააუქმა კაზაკთა ჯარში დამკვიდრებული არჩევითი წესი. ამიერიდან მეთაურებს ზემოდან ნიშნავდნენ: დანიშვნის საფუძველი ცოდნა-გამოცდილება და, რაც მთავარია, იმპერიისადმი ერთგულება იყო.

რეგულარულ ჯარში ჩარიცხული კაზაკი მხოლოდ სამხედრო სამსახურით იყო დაკავებული მთელი 25 წლის მანძილზე. მას სრულებით არ ჰქონდა დრო საშინაო საქმისათვის. მათ ოჯახებს ევალებოდათ. საჭიროების შემთხვევაში ურმების გამოყვანა, გზების შეკეთება, ციხე-სიმაგრეთა მშენებლობისას ხე-ტყის უფასოდ მოზიდვა და სხვ. მათვე ევალებოდათ ფოსტის ხარჯებისათვის ეხადათ წელიწადში 1 მან. და 90 კაპ. სულზე[447].

კაზაკები ჩიოდნენ ამ გადასახადის შესახებ. მრავალი წლის თხოვნა 1845 წ. იქნა დაკმაყოფილებული. ხსენებული გადასახადი სამუდამოდ მოეხსნათ. კაზაკთა სამსახური თანდათანობით მძიმე ხდებოდა. თუ ადრე მეურნეობის გაძღოლასაც ასწრებდნენ (ხვნა-თესვას, ბაღვენახების მოვლას, მეთევზეობას, პირუტყვის მოვლას), ახლა ველარ იცლიდნენ საკუთარი მეურნეობისათვის. XIX ს. დასაწყისიდან ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით შევიწროებული მთიელები მოსვენებას არ აძლევდნენ როგორც რეგულარულ-სამხედრო ნაწილებს, ისე კაზაკთა სტანიცებსა და სხვა დასახლებულ ადგილებს. ამავე დროს ხშირი იყო შემთხვევები, როცა გადმოსახლებული ვერ ეწყობოდა მუდმივ სამუშაოზე და შემთხვევით გამომუშავებული გასამრჯელოთი ირ-

---

[445] Бентковский И. В. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

[446] Максимов Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

[447] Благовещенский, Литварев, Марграф. Статистические материалы для изучения станичного быта терского казачьего войска, Сборник сведений о Кавказе, т. IV, Тифлис, 1878, с. 9.

ჩენდა თავს ანდა მათხოვრობდა. ასეთებს შორის, ხშირად, სამსახურის საძებნელად გადმოხვეწილი რუსები იყვნენ[448]. ასეთ მოხეტიალეთა შრომას იყენებდნენ კაზაკები. მათ ხაზზე მოხეტიალე უსაბუთო პირების დაკავება დაიწყეს, რათა ისინი გამოეყენებინათ სამუშაოდ. მთავრობამ აუკრძალა კაზაკებს ასეთი ქმედება. 1829 წ., კაზაკთა თხოვნის საფუძველზე, მთავრობამ ნება დართო მათ ჰყოლოდათ მოხეტიალე პირები და ემუშავებინათ მეურნეობაში 3 წელს, რის შემდეგაც მათ კაზაკთა წოდებას მიაკუთვნებდნენ. პარალელურად კაზაკებმა მუშახელის შეძენა დაიწყეს მთიელებში.

კაზაკების მიერ ნაყიდი მონა-ყმები ქრისტიანულ სარწმუნოებას იღებდნენ და დროებით ვალდებულნი, შემდეგ კი კაზაკები ხდებოდნენ[449].

კავკასიის არმიის მთავარსარდლის — ერმოლოვის დროს კაზაკები მთიელებისაგან ყიდულობდნენ მონა-ყმებს იმ პირობით, რომ როცა ნაყიდი პირი აანაზღაურებდა მისი ყიდვისას გადახდილ საფასურს თავისი შრომით, იგი თავისუფლდებოდა, პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებოდა, ან სახელმწიფო გლეხთა რიგებში გადადიოდა.

ამრიგად, კაზაკებს ეკრძალებოდათ მონა-ყმების ყიდვა და ყოლა მუდმივ შთამომავლობით მფლობელობაში. ნაყიდი სრულწლოვანი მონა-ყმების წლიური შრომის ფასი 100 მანეთი იყო, ხოლო მცირეწლოვანისა — 25.

კაზაკთა მიერ მონა-ყმის ყიდვა არ იყო ხშირი. იშვიათად იყვნენ კაზაკებს შორის ისეთი შეძლებულები, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგათ. მიუხედავად იმისა, რომ ყუბანისა და თერგის ჯარებში ბევრი იყო აზნაურთა წარმომადგენელი[450], მათაც არ ჰქონდათ ეკონომიკური შესაძლებლობა მონა-ყმების შესაძენად (მონა-ყმების ყოლა კაზაკებში მხოლოდ აზნაურებს შეეძლოთ).

რუსეთის კანონით მონა-ყმათა პირად მფლობელობაში ყოლა არააზნაურული წარმოშობის კაზაკებს შორის დაშვებული იყო მხოლოდ სტანიცა ბაბუკოვოში, რომლის მკვიდრნიც ყაბარდოელთა უზდენების შთამომავლები იყვნენ[451]. მათ ეს უფლება კავკასიის არმიის მთავარსარდლის ვორონცოვის 1846 წ. კერძო განკარგულებით მიიღეს. ასეთი უფლებით სარგებლობდნენ სტანიცა ასტრახანის სომხებიც[452]. თერგის კაზაკებისაგან რეფორმის წინ არც ერთს არ ჰყავდა

---

448 Пантюхов И. И. დასახ. ნაშრ.. გვ. 32.
449 Максимов Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 28—29.
450 საქ. ცსა, კაკ, ფონდი, 416, ანაწ. 3, საქმე 76, ფ. 10.
451 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 320, ფ. 1.
452 იქვე, ფ. 2.

ურჩი მთიელებისაგან შეძენილი მონა-ყმა, ვისაც ჰყავდა, ან შთამომავლობით. ერგოთ ან მორჩილებაში მყოფ მთიელებისაგან ჰყავდათ ნაყიდი.

ამრიგად. თერგის კაზაკებში XIX ს. დასაწყისიდან მონა-ყმების სხვადასხვა გზით შეძენა ხდებოდა. მართალია კაზაკებს დიდი რაოდენობით არ ჰყავდათ ისინი, მაგრამ, როცა დადგა საკითხი ყველა სახის დამოკიდებული წოდების განთავისუფლების შესახებ, იგი კაზაკებში არსებულ დამოკიდებული წოდების წარმომადგენლებსაც შეეხოთ.

კაზაკებში მონა-ყმათა შეძენა გამოწვეული იყო რეგულარულ ჯარში მოსამსახურეთა მოუცელლობით, განსაკუთრებით XIX ს. დასაწყისიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თერგის კაზაკები სამხედრო სამსახურთან ერთად მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ[453]. მეურნეობას მათი ოჯახის წევრები უძღვებოდნენ. ისინი თესდნენ საშემოდგომო და საგაზაფხულო პურს. მოსავალს ძალიან ცოტას იღებდნენ. იყო შემთხვევები, როცა საგაზაფხულო პურის მოსავალი თესლსაც ვერ ანაზღაურებდა მიწის სიმწირისა და ცუდი კლიმატური პირობების გამო.

პოლკთა მიწების ოდენობა არ იყო ზუსტად აღრიცხული. მიწა ხშირად ქვიანი იყო და, რა თქმა უნდა, მოუსავლიანიც.

მაგალითად, გრებენელთა პოლკში 6 სტანიცა იყო, ორივე სქესის 4193 სული ითვლებოდა. მათ შორის 2044 ქრისტიანი და 1085 მაჰმადიანი, 1035 ძველადათიანი და 29 გრიგორიანი სომეხი[454]. თითქმის ყველა ოჯახს თავისი მეურნეობა ჰქონდა. თერგის დაოჯახებული მებრძოლები მესაქონლეობასაც მისდევდნენ, თუმცა მას ძალიან უმნიშვნელო ადგილი ეკავა მათ ყოფაში. მათ ჰყავდათ 577 ცხენი, 1771 რქოსანი პირუტყვი, 678 ცხვარი. თერგის კაზაკებს მეტ-ნაკლებად ყველას ჰყავდა ცხენი, რქოსანი საქონელი, ცხვარი, თუმცა 1837 წ. მკაცრი ზამთრის გამო, დიდი რაოდენობით გაუწყდათ პირუტყვი. მესაქონლეობის დაწინაურება არც შემდეგ წლებში შეიმჩნეოდა გრებენელ კაზაკებში. მოგვიანებით, როგორც ყველას, თერგის დაოჯახებულ მებრძოლებსაც გამოეყო მიწის ნაკვეთები. გენერალს — 15000 დესეტინა მიწა, შტაბის ოფიცერს — 400, ობერ ოფიცერს—200, და უბრალო კაზაკებს 50—50 დესეტინა[455]. მათი მიწის საერთო ფართი 247925 დესეტინას შეადგენდა.

---

453 თოგოშვილი გ. დასახ. ნაშრომი. გვ. 155.

454 Максимов Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

455 Попка Ив. Черноморские казаки в их граджанском и военном быту, Спб, 1858. с. 82—83.

ამ რიცხვში შედიოდა უვარგისი და სადავო მიწებიც. მთავრობის მიერ დაწესებული ნორმით ამ პოლკს არ ყოფნიდა 174855 დესეტინა მიწა. 1832 წ. სახაზო ჯარების შემადგენლობაში შესულ კაზაკთა პოლკების ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის ისეთივე იყო, როგორც ზემოთ დახასიათებული პოლკებისა. მოგვიანებით სტანიცა სუნჟენსკაიაში ცხოვრობდა 518 ოჯახი, აქედან 497 კაზაკთა ოჯახი იყო, მოსახლეობა კი ორივე სქესის 2713 სულს შეადგენდა[456]. როგორც თერგის კაზაკთა სხვა პოლკებში, აქაც ხვნა-თესვასა და მესაქონლეობას მისდევდნენ.

სტანიცა სუნჟენსკაიაში კაზაკებს ჰყავდათ 909 ცხენი, 836 სული ხარი, 1656 სული ძროხა, თხა, 1212 ღორი, სულ 4613 სული.

ამ რიცხვში იყო 1745 მუშა საქონელი, საშუალოდ ოჯახზე მოდიოდა 9 სული, 3,3 მუშა საქონელი. სინამდვილეში იყო ოჯახები, რომლებსაც დიდი რაოდენობით ჰყავდათ საქონელი, ასეთი იყო 158 ოჯახი. მეტ ნაწილს კი ამ მხრივ სიღარიბე ეტყობოდათ, მათი რიცხვი 2/3 შეადგენდა[457].

მუშა პირუტყვს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაზაკთა ცხოვრებაში. სტანიცა სუნჟენსკაიას მოსახლეობას 11569 დესეტინა მიწა ჰქონდა. აქედან მეურნეობისათვის ვარგისი, ნოყიერი მიწები იყო 11175 დესეტინა, უვარგისი კი 392. გარდა ამისა, მათვე მიეცათ მოზდოკის პოლკის სარგებლობაში ყოფილი მიწები — 23490 დესეტინა ვარგისი და 2524 უვარგისი მიწა. სულ მათ სარგებლობაში იყო 37583 დესეტინა მიწა. აქ მიწათმოქმედება საკმაოდ იყო განვითარებული[458]. კაზაკები თესდნენ პურს, სიმინდს და წიწაბურას.

მიწა დაყოფილი არ ჰქონდათ. ბევრს თესდა ის, ვისაც ბევრი მუშა პირუტყვი ჰყავდა. მდიდრები 7—10 დესეტინას ამუშავებდნენ. ქირაობდნენ მუშახელსაც. ღარიბი ოჯახი კი 1/2 — 2 დესეტინას ამუშავებდა[459].

სტანიცა სუნჟენსკაიას მოსახლეობა მეფუტკრეობასაც მისდევდა. 22 ოჯახს 100—100 სკა ფუტკარი ჰყავდა. სულ სტანიცაში 3000-მდე სკა ფუტკარი იყო.

თითო სკიდან წელიწადში 2 მანეთი შემოსავალი ჰქონდათ. სუნჟის კაზაკები შორეულ სტანიცებში მიდიოდნენ სამუშაოდ, დღეში

---

[456] Благовещенский, Литварев, Марграф. დასახ. ნაშრომი, გვ. 1—2.

[457] იქვე, გვ. 5.

[458] თ ო გ ო შ ვ ი ლ ი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[459] Б л а г о в е щ е н с к и й, Л и т в а р е в, М а р г р а ф, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

70 კაპ. —1 მანეთამდე იღებდნენ. ქალები მეზობელ ინგუშებს ეხმარებოდნენ მინდვრის სამუშაოებში, 25—33 კაპიკად დღეში. ზაფხულის გასვლისას ბრუნდებოდნენ თავიანთ ადგილებში და ეხმარებოდნენ მდიდარ კაზაკებს.

კაზაკები თითქმის ყველა სტანიციდან მიდიოდნენ სამუშაოდ, რათა ზამთრის სარჩოს შესაძენი ფული ეშოვნათ. თერგის კაზაკებთან შედარებით შავი ზღვის კაზაკთა ჯარებში უფრო განვითარებული იყო მესაქონლეობა. გარდა იმისა, რომ ისინი ხვნა-თესვას მისდევდნენ, საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა მესაქონლეობა. რეფორმის წინ შავი ზღვის კაზაკებს ჰყავდათ 200 ათასამდე მუშა საქონელი, 500 ათასამდე უბრალო ჯიშის ცხვარი, 2000-მდე მერინოსის ჯიშის ცხვარი, 50 ათასამდე ცხენი, 60 ათასი ღორი[460]. ზამთრის საძოვრების უქონლობის გამო ამზადებდნენ 21250 ათას ფუთ თივას.

აქ ყოველწლიურად იყიდებოდა 30 ათასი რქოსანი პირუტყვი, 15000 ცხვარი, 5000 ცხენი, საიდანაც 800 ათასი — 1 მილიონი მანეთი (ვერცხლით) ჰქონდათ შემოსავალი. 1845 წ. კავკასიის სახაზო ჯარი საერთო სახელმწიფო ჯარს შეუერთეს. ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოსახლებები კვლავ' გრძელდებოდა. რუსეთს საქართველოსაკენ თავისუფალი გზა ესაჭიროებოდა და ამ მიზნით ჯერ კიდევ ადრე იქნა აშენებული ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრე. ეკატერინოგრადიდან ზემოთ, თერგის მიმართულებით, მცირე რუსეთიდან 1837 წ. ჩამოასახლეს ორი პოლკი. ეს პოლკები შეავსეს და გააძლიერეს ნაწილობრივ სახაზო კაზაკებით და ნაწილობრივ ვორონეჟის, ჩერნიგოვისა და ხარკოვის გუბერნიებიდან გადმოსახლებულებისაგან. ამ პოლკებიდან და ჩამოსახლებულთაგან 8 სტანიცა შეიქმნა.

1820 წ. ერმოლოვმა სუნჯის ხაზი დაათვალიერა და იქ ციხე-სიმაგრე გროზნო ააშენებინა, რაც აუცილებელი იყო ვლადიკავკაზთან რამდენიმე სტანიცის დასაკავშირებლად. 1845 წელსაც არ იყო დამთავრებული ვლადიკავკაზის ხაზის მშენებლობა.

1845 წ. ხაზის კაზაკებმა თერგის ხაზი დატოვეს და სუნჯის მიმართულებით გადავიდნენ. იმავე პერიოდში, მდინარე სუნჯის ბასეინთან კაზაკთა სამი ახალი პოლკი დაბინავდა, რომლებსაც 22 სტანიცა დაიკავეს. დასახლების პირველი ხაზი შეადგინა ვლადიკავკაზის მეო-

---

[460] Попка И. დასახ. ნაშრ., გვ. 83.

რე პოლკმა, მეორე და მესამე ხაზები სუნჯის პირველმა და მეორე პოლკებმა.

ამით ამ ეტაპზე დამთავრდა კაზაკთა ჯარების დასახლება თერგის ოლქში.

1865 წ. თერგის ოლქის ტერიტორიაზე მყოფ ჯარებში კაზაკთა წოდების ორივე სქესის 113306 სული ანუ მამრ. სქესის 57606 და მდედრ. სქესის 55700 სული ითვლებოდა[461]. გარდა ამისა, სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდა ორივე სქესის 1914 ანუ მამრ. სქესის 1347 და მდედრ. სქესის 567 სული კაზაკი. სულ თერგის ოლქში 115220 სული ითვლებოდა.

გარდა ამისა, მოზდოკის კაზაკთა პოლკში ირიცხებოდა 3118 მომთაბარე ყალმუხი. სულ თერგის ჯარების მებრძოლთა საერთო რიცხვი 118338 სული იყო[462]. მათ მიერ დაკავებული ტერიტორია 14053 კვ. ვერსს შეადგენდა. მოსახლეობის სიმჭიდროვე კვ. ვერსზე 8,2 სული იყო. კაზაკთა მიწებზე მოსახლეობის სიმჭიდროვე ყველა ოკრუგთან შედარებით ნაკლები იყო, გარდა ყაბარდოს ოკრუგისა, სადაც 1 კვ. ვერსზე 4,5 სული მოდიოდა[463].

მთელი მოსახლეობა 77 სტანიცასა და 102 ხუტორში ცხოვრობდა. კაზაკთა ჯარებს ეკუთვნოდათ 1905290 დესეტინა მიწა. აქედან 1438152 დესეტინა ვარგისი, კარგი მიწა იყო, 467138 დესეტინა კი მეურნეობისათვის გამოუყენებელი. კაზაკთა წოდების ერთ სულ მამრობითი სქესის წარმომადგენელზე 33 დესეტინა მიწაზე მეტი მოდიოდა. თერგის კაზაკთა მოსახლეობის რაოდენობის ზრდა არც შემდგომ წლებში შეწყვეტილა. 1871 წლისათვის თერგის ოლქში რუსული მოსახლეობის რიცხვი 167811 სულს შეადგენდა[464].

აქედან ყველაზე მეტი პიატიგორსკის ოკრუგზე მოდიოდა — 48190 სული, გროზნოს ოკრუგზე —29070 სული, ვლადიკავკაზის ოკრუგზე — 28299 სული და სხვ.

საერთოდ რუსული მოსახლეობის რაოდენობა თერგის ოლქის ქალაქებისა და ოკრუგების მიხედვით შემდეგნაირ სურათს იძლეოდა:

---

[461] Воронов Н. Статистическия данныя о терском казачьем войске, Кавказский календарь на 1867 год, Тифлис, 1866, с. 321.

[462] იქვე.

[463] ყაბარდოს ოკრუგში მოსახლეობის სიმჭიდროვის დაბალი კოეფიციენტი ყაბარდოელთა დიდი ნაწილის თურქეთში გადასახლებით იყო გამოწვეული.

[464] Фелицын Е. Статистическая таблица о народонаселении Кавказского края, Сборник сведений о кавказе, т. VII, Тифлис, 1880. с. II—III.

ქალაქებისა და ოკრუგების დასახელება	რუსი მოსახლეობის რაოდენობა
ვლადიკავკაზი	15552
ვლადიკავკაზის ოკრუგი	28299
შატოის დაბა	94
არღუნის ოკრუგი	0
ვედენოს დაბა და ციხე-სიმაგრე	268
ვედენოს ოკრუგი	0
ხასავ-იურთის დაბა	2618
ხასავ-იურთის ოკრუგი	0
ქ. ყიზლარი	0
ყიზლარის ოკრუგი	19851
ქ. გროზნო	5707
გროზნოს ოკრუგი	29070
ქ. პიატიგორსკი	13665
გეორგიევსკი სამაზრო ქალაქის გარეშე	3345
ნალჩიკის დაბა ებრაელთა დასახლებით	1149
პიატიგორსკის ოკრუგი	48190
სულ თერგის ოლქში	167811[465]

თერგის კაზაკებში, როგორც აღინიშნა, ერთ სულ მამრობითი სქესის წარმომადგენელზე 33 დესეტინაზე მეტი მიწა მოდიოდა. ამ მხრივ მათ გაცილებით მეტი მიწა ჰქონდათ, ვიდრე მთიელებს. მაგრამ კაზაკებს მიწა არ ჰქონდათ შთამომავლობით საკუთრებაში, მიუხედავად იმისა, რომ ყუბანისა და თერგის ჯარებში არსებობდა აზნაურთა კლასი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი, არც აზნაურებს და არც სხვებს, მცირედი გამოკლებით, არ ჰქონდათ მამულები პირად საკუთრებაში. მიწები მათ ეძლეოდათ სიცოცხლეულად. ასეთი პირის სიკვდილის შემდეგ ნაკვეთი გადადიოდა ჯარის საერთო საკუთრებაში. ამიტომ იყო, რომ მიწის მფლობელი ერიდებოდა დიდი ხარჯების გაწევას მიღებულ მიწაზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის[466], 1864 წ. კომიტეტმა დაადგინა მიწების ოფიცრებისათვის სრულ საკუთრებაში გადაცემა, რაც 1869 წ. დაამტკიცეს.

დადგენილების თანახმად ჯარის მიწები 3 კატეგორიად დაიყო: ერთი ნაწილი სტანიცების საზოგადოების ნადელებად იქნა დამტკიცებული და დარჩა თემურ მფლობელობაში. მეორე ნაწილი ოფიცრებსა და მოხელეებს გამოეყოთ, სრული საკუთრების უფლებით, მესამე ნაწილი სარეზერვოდ იქნა დატოვებული.

თერგის კაზაკთა ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარ-

[465] იქვე, გვ. III—IV.

[466] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 76, ფურცელი 10.

მოადგენდა მიწის მფლობელობის არსებული წესის შეცვლა სრული საკუთრების უფლებით.

მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა თერგის კაზაკთა წახალისებას, ხედავდა რა მათ დამსახურებას ჩრდილოეთ კავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარება-დანერგვაში. ამიტომ იყო, რომ კაზაკთა ჯარების დასახლებასთან დაკავშირებულ დიდ ხარჯებსაც არ ერიდებოდნენ. ასეულ ათასობით მანეთი იხარჯებოდა მათ მოწყობა-შენახვაზე. დიდძალი სახსრები მიდიოდა მათი ჯამაგირების სახითაც. ეს გასაკვირი არცაა. ისინი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. მათ დიდი როლი შეასრულეს რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილების საქმეში. კაზაკთა ნაწილების ერთგულმა სამსახურმა შედარებით გააიოლა მთიელთა მორჩილებაში მოყვანა და სიმშვიდის დამკვიდრება ჩრდილოეთ კავკასიაში და კერძოდ თერგის ოლქში. კაზაკთა ჩამოსახლებასა და სტანიცების შექმნას მეფის მთავრობა გეგმაზომიერად ახორციელებდა. მათი დასახლება ცენტრალური და სტრატეგიული მნიშვნელობის გზების პირას ხდებოდა, ურჩ მთიელ ტომთა მოსახლეობის გვერდით, ხშირად აულებს შორის. იყო შემთხვევები, როცა კაზაკთა დასახლებები ოკრუგის ტერიტორიას სერავდა და რამდენიმე ნაწილად ყოფდა. ყოველივე ამას თავისი მიზანი და დანიშნულება ჰქონდა: შიშის ქვეშ ჰყოლოდათ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილო, თავისუფლებას შეჩვეული მთიელი ტომები, კაზაკთა დასახლებამ თავისი როლი ითამაშა მთიელ ტომთა დამორჩილებაში. XIX ს. მთელ პირველ ნახევარში არ ყოფილა ისეთი ექსპედიცია მთიელთა წინააღმდეგ, რომელშიც ასობით კაზაკს არ მიეღო მონაწილეობა.

§ 8. ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ნაწილის თურქეთში გადასახლება

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში[467] ომის დამთავრებისთანავე მთიელები დარწმუნდნენ, რომ ცარიზმის შეიარაღებულ ძალებთან კვლავ წინააღმდეგობის განახლება უაზრობა იყო და გადაწყვიტეს გაცლოდნენ მათთვის მიუღებელ ახლად დამყარებულ კოლონიურ რეჟიმს და თურქეთში გადასახლებულიყვნენ. მთიელთა თურქეთში გადასახლება ნიშნავდა არა მარტო სამშობლოს მიტოვებას, მამაპაპური სახლ-კარის დაკარგვას, არამედ გამოუვალ მძიმე განსაცდელში ჩავარდნას. ეს მოვლენა კავკასიის მთიელ ხალხთა უმძიმესი ტრაგედია იყო[468].

---

[467] შამილის დატყვევების შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ომი დამთავრდა, მაგრამ იგი დასავლეთ კავკასიაში კვლავ გრძელდებოდა 1864 წლამდე.

[468] თ ო გ ო შ ვ ი ლ ი გ. ჩრდილო კავკასია XIX ს. რეფორმის შემდგომ ხანაში, „ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“, ნაკ. II, თბ., 1978, გვ. 138.

თურქეთის ემისრების, მთიელთა პრივილეგირებული წოდებისა და სასულიერო წრეების ზეგავლენით ჩრდილო კავკასიის მთიელმა ხალხმა თურქეთში გადასახლება გადაწყვიტა. გადასახლებას ხელი შეუწყო იმხანად გავრცელებულმა ამბავმაც, რომ მათ შვილებს რუსეთის არმიაში მოუწევდათ სამსახური. ისინი მზად იყვნენ მიეტოვებინათ ის ადგილები, რომლისთვისაც საუკუნეების მანძილზე სისხლს ღვრიდნენ, და თავშესაფარი ეძიათ სტამბოლში, როგორც მთიელები ეძახდნენ თურქეთს[469]. მთიელთა სოციალურ ზედაფენებს ეშინოდათ მამაპაპეული პრივილეგიების დაკარგვისა და ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი ხალხით თურქეთში გადასახლებულიყვნენ. სასულიერო წრეები მოსახლეობას აშინებდნენ, რომ რუსები მათ რელიგიურ გრძნობებს შელახავდნენ, ძალით გაქრისტიანებას შეეცდებოდნენ და რაც მთავარია ახალგაზრდობას რუსეთის არმიაში გაიწვევდნენ. ყველაფერი მზადდებოდა მთიელთა თურქეთში საყოველთაო გადასახლებისათვის.

მეფის რუსეთის ხელისუფლებამ მთიელთა გადასახლება თურქეთში კავკასიის კოლონიზაციისათვის საჭირო საქმედ და თავის სასარგებლოდ მიიჩნია. მას აწყობდა დაუმორჩილებელი მთიელების იმპერიის საზღვრებიდან მოცილება[470], მათი გადასახლებით ხომ მხარეში მყარი სიმშვიდე დამკვიდრდებოდა. თანაც მიწის უზარმაზარი ფონდი განთავისუფლდებოდა, რაც აუცილებელი იყო ახალი ჩამოსახლებებისათვის, რათა ცარისტული რეჟიმისათვის სამუდამო და მყარი დასაყრდენი შექმნილიყო ჩრდილო კავკასიაში[471].

მთიელი ტომები ადრეც ფიქრობდნენ თურქეთში გადასახლებას, მაგრამ 1859 წ. შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი — მშრომელი ხალხი, თანდათან რწმუნდებოდა რუსეთთან დაახლოების აუცილებლობაში. ისინი ხშირად უარს აცხადებდნენ თავიანთ მფლობელებთან ერთად თურქეთში გადასახლებაზე, თუმცა, ნებსით თუ უნებლიეთ, ზედაფენების გავლენის ქვეშ ექცეოდნენ და უკანასკნელთა ნება-სურვილს ასრულებდნენ. როგორც აღინიშნა, სოციალურ ზედაფენებს თურქეთში გადასახლებით უნდოდათ თავიანთი უფლებებისა და მათზე დამოკიდებული ხალხის შენარჩუნება. ისინი მოტყუებით მიმართავდნენ ხალხს: „...იქ ცხოვრობდნენ ჩვენი თანამორწმუნენი, იქ ჩავყრით ჩვენს ძვლებს და არა აქ, გიაურთა შორის, თავიანთი ბილწი ფეხებით ალაჰის მიერ მოცემულ,

---

[469] Кануков И. Горцы-переселенцы, ССКГ, вып. IX, Тиф., 1875, с. 84.

[470] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 160, ფ. 1—2.

[471] იქვე.

თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩვენი შვილებისა და მამების სისხლით მიწას რომ ტკეპნიან"[472].

მთიელებზე ყოველმხრივმა აგიტაცია-პროპაგანდამ სასურველი შედეგი გამოიღო. თითქმის ყველა მზად იყო გადასასახლებლად[473].

„არა, ჩვენ აღარ გვინდა დავრჩეთ რუსთა შორის, ჩვენ ყოველ საათს უნდა გვახსოვდეს კიამატის დღე — საზიზღარი სასამართლო, როცა ჩვენ ყველა წარვსდგებით ბრძოლებში დახოცილი ნათესავების სულთა წინაშე, რომლებიც გვკითხავენ ჩვენ, თქვენ, ლაჩრებო, გიაურებთან არეულებო, თქვენ რატომ დარჩით? თქვა ეს კეთილსინდისიერმა მუსულმანმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა საზარელი სასამართლოს დღე, — კიამატა[474].

ასე შთააგონებდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები მოსახლეობას განსაკუთრებით შამილის დამარცხების შემდეგ, რის გამოც მთიელებს თურქეთში გადასახლება ოცნებად ექცათ. 1850-იანი წლების ბოლოსა და 1860-იანი წლების დასაწყისში მთიელთა თურქეთში გადასახლებას არ კრძალავდა მეფის მთავრობა, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მათ მიერ დატოვებულ ადგილებზე იმპერიის გარე გუბერნიებიდან ჩამოსახლება იყო განზრახული. მთიელთა გადასახლება თურქეთში, რომელმაც მუჰაჯირობის სახელწოდება მიიღო, 1858—59 წწ. დაიწყო, კულმინაციას კი კავკასიის ომის დასკვნით ეტაპზე — 1863—64 წწ. მიაღწია[475].

მეფის მთავრობა თურქეთისაგან მოითხოვდა მთიელთა საზღვრებიდან შორს, შიგნით დასახლებას, რათა კვლავ იმპერიის საზღვარსა და საზღვრისპირა დასახლებებზე თავდასხმები არ დაეწყოთ. თურქეთის მთავრობა, პირიქით, საზღვრისპირა რაიონებში ცდილობდა მათ დასახლებას, რათა მამაცი მთიელები რუსეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ საჭირო შემთხვევაში.

მეფის მთავრობა და თურქეთის ხელისუფლება დაინტერესებულები იყვნენ მთიელთა გადასახლებით. ცარისტულ ხელისუფლებას, როგორც აღინიშნა, აწყობდა მთიელთა გადასახლება, მათ მიერ დატოვებული მიწები სჭირდებოდათ კოლონიზაციისათვის[476]. მეფის რუსეთის ამ მიზანს ემსახურებოდა და ყოველმხრივ მხარს უჭერდა თერგის ოლქის უფროსი ლორის-მელიქოვი ამ უკანასკნელის პრაქტიკული საქმიანობითა და რუსეთის გენერალ მუსა კუნდუხოვის პროვოკაციის

---

[472] Кануков И. დასახ. ნაშრომი, с. 84.
[473] აქტები, ტ. XII, გვ. 51—52, სბ. № 34.
[474] Кануков И. დასახ. ნაშრომი, с. 84.
[475] თოგოშვილი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 139.
[476] იქვე, გვ. 139—140.

შედეგად 1865 წ. თურქეთში ოსთა ჯგუფი[476] და 22000 ყარაბულაყი გადასახლდა[477].

მთიელთა თურქეთში გადასახლება დიდი პარტიებით 1859—1865 წწ. მოხდა. ამ წლებში გადასახლებულთა რიცხვი 700—750 ათასს აღწევდა[478], მარტო ყუბანის ოლქიდან გადასახლებულთა რაოდენობა ნახევარ მილიონს უახლოვდებოდა[479]. ძირითადად გადასახლდნენ ადიღე-ჩერქეზები, ნოღაელები, ყაბარდოელები, ყარაბულაყები და ოსები[480]. 1860—61 წწ. და 1865 წ. ყაბარდოდან 13 ათასი სული ანუ მთელი მოსახლეობის ერთი მეოთხედი ნაწილი გადასახლდა თურქეთში. გადასახლებამ იმდენად საყოველთაო ხასიათი მიიღო, რომ ადიღეს ზოგიერთი მკვიდრი ტომისაგან ადგილზე აღარავინ რჩებოდა[481]. თურქეთში გადასახლებულ მთიელთა დიდი ნაწილი თურქეთის მთავრობამ 1867 წლიდან ბულგარეთში გადაასახლა, რათა მთიელები იქაური ქრისტიანული მოსახლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა, თანაც ევროპის დიდი სახელმწიფოების ინიციატივით იქაური ხალხისათვის ავტონომიის მოთხოვნის შემთხვევაში ქრისტიანებისა და მაჰმადიანთა რაოდენობა გათანაბრებულიყო, რაც ავტონომიის მოთხოვ-

---

[476] ჩრდილო ოსეთიდან პირველი გადასახლება 1859 წ. მოხდა. გადასახლდნენ, პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები — ტუგანოვები, აბისალოვები და სხვ. თავიანთი გლეხებითა და მონა-ყმებით. გადასახლების მოთაე ოსეთის ფეოდალი აბისალოვი იყო. მეორე გადასახლება 1860 წ. მოხდა, ამჯერად დაახლოებით 300—350 კომლი გადასახლდა თურქეთში. ამ გადასახლების თავკაცი ოსეთის ცნობილი ფეოდალი ამბედ ცალიკოვი იყო. მათთან ერთად გადასახლდა დუდარ კანუკოვიც, თავის მცირეწლოვანი შვილით ინალ კანუკოვით. კანუკოვების ოჯახი იმავე, 1860 წ. 90 კომლთან ერთად უკან დაბრუნდა ოსეთში. 1875 წ. ინარ კანუკოვმა გამოაქვეყნა მთიელთა თურქეთში გადასახლების, იქაური ცხოვრების და უკან დაბრუნების აღწერა, რისი მომსწრე, თვითმხილველიც იყო (იხ. ССКГ, вып. IX. Тифлис, 1875, с. 84).

[477] История Кабардино-балкарской АССР, т. I, с. 234.

[478] თ ო გ ო შ ვ ი ლ ი გ. დასახ. ნაშრ., გვ. 140. რუსეთის გენერალი მუსა კუნდუხოვი თურქეთში გადასახლდა დასულთანის არმიაში დაიწყო სამსახური. 1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში მუსა ფაშას სახელით დივიზიას მეთაურობდა რუსეთისა და ბალკანელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. მუსა კუნდუხოვმა თურქეთში გადასახლებისას თან წაიყვანა თავის ნათესავთა 45 ოჯახი.

[479] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, с. 234.

[480] ოსთაგან ამ წლებში მხოლოდ 3000 სული გადასახლდა. XX ს. დასაწყისში თურქეთის 5 ვილაიეთში 15 ოსთა სოფელი იყო, საშუალოდ თითო სოფელში 50 კომლი ითვლებოდა. თუ თითო კომლში 5 სულს ვიანგარიშებდით, მაშინ თურქეთში მცხოვრებ ოსთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 3750 სულს შეადგენდა. იხ. გ. თოგოშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 140.

[481] გ ა ს ვ ი ა ნ ი გ. საადგილმამულო-საგლეხო რეფორმა ჩრდილო კავკასიაში, „ჩრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“, ნაკ. II, თბილისი, 1978, გვ. 88.

ნას გამორიცხავდა[482]. ჩრდილო კავკასიიდან გადასახლებულ მთიელებს თურქეთის მთავრობა ბალკანეთში სტრატეგიული მნიშვნელობის მხარეებსა და ადგილებში ასახლებდა, რათა ისინი საჭირო შემთხვევაში თურქეთისათვის საიმედო დასაყრდენი ყოფილიყვნენ.

თურქეთი მზად იყო მთიელთა მისაღებად, მაგრამ ვერავითარ პირობებს ვერ უქმნიდა მათ. ბოლოს გადასახლების ტემპმა ისე იმატა, რომ თურქეთის ემისრებმა კავკასიაში ხმა გაავრცელეს, რომ „რუსეთის ხელმწიფე და თურქეთის სულთანი შეთანხმდნენ, რათა კავკასიის მუსულმანები წავიდნენ თურქეთში, თურქეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები კი რუსეთში გადმოსახლდნენო“[483]. თურქეთში მიწები გამოყვეს ჩასულთა დასასახლებლად, თანაც ფულითაც ეხმარებიანო[484]. ასეთი ხმების გავრცელება კვლავ აღვივებდა თურქეთში გადასახლების სურვილს. თავიდან მეფის მთავრობა ხელს უწყობდა მთიელთა გადასახლებას თურქეთში, მაგრამ როცა გადასახლების მოთხოვნა გახდა მასიური, შეეცადა შეეზღუდა წამსვლელთა სურვილის დაკმაყოფილება. მაშინ მთიელებმა, მოტყუების მიზნით, მასიურად მექაში 1 წლით წასვლის ნებართვა ითხოვეს, ვითომცდა მუჰამედის კუბოს წინ თავდასახრელად[485]. ამ მოტივით ბევრი წავიდა თურქეთში და უკან აღარ დაბრუნებულა[486].

მალე ისეთი მასშტაბი მიიღო მექაში გადასვლამ, რომ კავკასიის არმიის მთავარსარდალი იძულებული გახდა გაეფრთხილებინა კავკასიის საზის მარჯვენა და მარცხენა ფრთის უფროსები, რათა თურქეთში წასვლის მსურველები გაეშვათ მხოლოდ არაუმეტეს 10—10 ოჯახისა ერთად. შემდეგში ნება დართო 40 ოჯახის ერთად წასვლისა. მექაში წამსვლელებს უცხადებდნენ: თქვენ ნება გეძლევათ 1 წლით თურქეთში ყოფნისა, შემდეგ კი უკან უნდა დაბრუნდეთო[487].

ჩვენი სახელმწიფოს ქვეშევრდომებს არ შეუძლიათ გახდნენ თურქეთის ქვეშევრდომები. თუ ვინმე ამას ჩაიდენს, კანონის თანახმად, ის მოღალატედ ჩაითვლება. მათ ქონებას კონფისკაცია გაუკეთდება. მათი გლეხები კი თავისუფლებას მიიღებენ. თუ იქ ჩასულს, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, დასჭირდება ვადის გაგრძელება ერთი წლის გასვლის შემდეგ, უნდა მიმართოს რუსეთის კონსულს თურქეთში, რომელიც დააკმაყოფილებს მთხოვნელს და ამის შესახებ

---

[482] თოგოშვილი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 140.
[483] აქტები, ტ. XII, გვ. 51, საბ. № 34.
[484] იქვე.
[485] აქტები, ტ. XII, გვ. 51, საბ. № 33.
[486] Грабовский Н. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 211.
[487] აქტები. ტ. XII, გვ. 51, საბ. № 33.

აცნობებს კავკასიის არმიის მთავარსარდალს თბილისში. ვინც ასე არ მოიქცევა, თურქეთში უნებართვოდ გადასახლებულად ჩაითვლება. თურქეთში წასასვლელად და იქ დასასახლებლად ვინც ნებართვას მიიღებს, მას შეუძლია თან წაიღოს თავისი ქონება, გლეხები კი, თუ წაყვებიან მხოლოდ თავიანთი ნებით[488]. მეფის ხელისუფლება დამოკიდებული წოდების გადასახლების წინააღმდეგი იყო, მაგრამ ყოველთვის არ ხერხდებოდა მათი დაყოლიება. ისინი ხშირად უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ თავიანთი მფლობელების გადაწყვეტილებას და მათთან ერთად მიდიოდნენ თურქეთში.

1864 წ. მარტში ყაბარდოში თურქეთის ემისრებისა და იქ გადასახლებულ მფლობელთა პროკლამაციები გაავრცელეს. პროკლამაციებით მოუწოდებდნენ მოსახლეობას თურქეთში გადასახლებისაკენ[489]. მოსახლეობა აქტიურად გამოეხმაურა მოწოდებას, მაგრამ სამხედრო ნაწილების ჩარევამ ხელი ააღებინა მათ გადაწყვეტილებაზე, თუმცა გადასახლება დაწესებულ ფარგლებში მაინც არ შეწყვეტილა. მარტო 1865 წ. 18 მაისიდან 17 სექტემბრამდე თერგის ოლქიდან თურქეთში გადასახლებულთა 28 ჯგუფი გაიგზავნა, რომელთა შორის 4989 ოჯახი — 11833 მამაკაცი და 11224 ქალი იყო[490].

გადასახლებულთა წასვლაზე ათეულ ათასობით მანეთი იხარჯებოდა, თუმცა მეფის მთავრობა ამ საქმით გაცილებით მეტ სარგებლობას მოელოდა და გაწეულ ხარჯებს არაფრად აგდებდა[491].

მთიელ მუსულმანთა თურქეთში გადასახლებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ისინი თითქმის არავითარ გამოსაღებს არ იხდიდნენ გადასახლებისათვის 1870 წლამდე. ამიტომაც იყო, რომ თურქეთში გადასახლება და საჭირო შემთხვევაში უკან დაბრუნება მათ დიდად არ აფიქრებდათ. ასევე იოლი იყო მექაში სალოცავად წასვლაც. იქ მიდიოდნენ 1 წლის ვადით და ხშირად უკან აღარ ბრუნდებოდნენ[492]. თავიანთ ახლობლებსაც თურქეთში ეპატიჟებოდნენ დასასახლებლად.

საჭირო გახდა დამაბრკოლებელი ბარიერების შექმნა, გადასახლებისა და მექაში წამსვლელთა რიცხვის შესამცირებლად.

1872 წ. აგვისტოში თერგის ოლქის უფროსს მოახსენებდა გადასახლების ინსპექტორი: [493] მექაში სალოცავად წამსვლელთა რიცხვის

---

[488] აქტები, ტ. XII, გვ. 53, სბ. № 34.

[489] Дзагуров Г. А. Переселение горцев в Турцию. Ростов-Дон, 1925, с. 62.

[490] იქვე, გვ. 139.

[491] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე, 154, ფ. 13—14.

[492] აქტები, ტ. XII, გვ. 52, სბ. № 33.

[493] Дзагуров Г. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

შესამცირებლად, საჭიროდ და სასარგებლოდ მიმაჩნია, რომ მათ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად გამოვიყენოთ ყველა დანარჩენი, რუსეთის ქვეშევრდომთათვის აუცილებელი, კანონმდებლობა: ა) დღემდე, ყველა მთიელი, ვინც თურქეთში მიდიოდა, საპასპორტო წესდების XIV ტომის 477-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, მათზე გაცემული ბლანკისათვის იხდიდა 50—50 კაპიკს, როგორი ვადითაც არ უნდა ყოფილიყო მათი გამგზავრება, ამიტომ სამართლიანად მიმაჩნია, მათზე გაგვევრცელებინა საპასპორტო წესდების 478-ე მუხლი.

ბ) სალოცავად წასვლის წინ, ყველა ვალდებულია თავისი საზოგადოებიდან წარმოადგინოს თავდები, რომელიც ვალდებულებას იკისრებს წამსვლელი პირის გამოსაღებისა და გადასახადის განაღდებისათვის, თუ იგი რაიმე მიზეზის გამო უკან აღარ დაბრუნდება დროზე, როგორც ეს მიღებულია თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებთან ახლოს მცხოვრებთათვის.

ამასთანავე სასარგებლოდ ვთვლი განისაზღვროს მექაში სალოცავად წამსვლელთა ნორმაც. დადგინდეს გაშვება 100 ოჯახიდან ერთი ღვთისმლოცველისა"[494]. ამდაგვარი და სხვა ბარიერების მეშვეობით მუსულმანთა თურქეთისაკენ ლტოლვა კლებულობდა. მთიელ ტომთაგან 1872 წ. მეტწილად ყაბარდოელები თხოულობდნენ თურქეთში გადასახლებას, სხვა მხარეებში გადასახლების მსურველთა რიცხვი კლებულობდა.

1870—1872 წწ. ყაბარდოელი მფლობელები დიდ აგიტაციურ მუშაობას ეწეოდნენ ყუბანსიქითა მთიელ ტომებში და, პირველ რიგში, ყაბარდოელებში, თურქეთში გადასახლებისათვის[495]. მეფის რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილო მფლობელები და უზდენები ჯერ კიდევ 1860 წლიდან ეწეოდნენ ასეთ საქმიანობას, რის გამოც ბევრმა მთიელმა მიატოვა თავისი ადილსამყოფელი[496]. მშრომელი მოსახლეობა თავს იკავებდა გადასახლებაზე, თუმცა ხშირად თავისდაუნებურად მიემგზავრებოდნენ თურქეთში.

უკანასკნელ ხანს, თერგის ოლქის უფროსი მოახსენებდა ბარონ ალექსანდრე პავლეს ძეს: ჩემდამი რწმუნებული ოლქის მთიელთა, და განსაკუთრებით ყაბარდოელთა, შორის ხმა გავრცელდა, რომ ყუბანსიქითა მთიელები მოითხოვენ საყოველთაო გადასახლებას თურქეთში[497]. ყაბარდოს მოსახლეობას შორის მყოფი რამდენიმე პიროვნება ჯერ კიდევ 1860 წლიდან ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ყაბარ-

---

[494] Дзагуров Г. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 172.
[495] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 160, ფ. 1—2.
[496] იქვე.
[497] იქვე.

დოელებზე. რასაც ადვილი შესაძლებელია აპყვეს ყაბარდოელთა ყუბანსიქით მცხოვრები თანატოლები[498].

1872 წ. 21 მარტს № 2418 მიმართვაში თერგის ოლქის უფროსი კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: „პატივი მაქვს მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ უკანასკნელ დროს ჩემდამი რწმუნებული ოლქის მთიელთა შორის საკმაოდ შემცირდა თურქეთში გადასახლებისადმი მისწრაფება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 300000 მთიელი მოსახლეობისაგან ძლივს შეიძლება დაითვალოს თურქეთში გადასახლებულთა 50—60 ოჯახი.

ამასთანავე, ვალდებული ვარ განვაცხადო, რომ, მთიელთა დღევანდელი განწყობილებიდან გამომდინარე, არ არის მოსალოდნელი მათი თურქეთში გადასახლების სურვილის კვლავ აღძვრა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ყაბარდოელთა ტომი“[499]. 1870-იან წლებში თურქეთისაკენ ლტოლვილთა რაოდენობის შემცირების მიზნით სხვადასხვა სიახლენი იქნა შემოღებული. თუ ადრე, გადასახლების წინ, ნოძრავსა და უძრავ ქონებას თავიანთ სასარგებლოდ ყიდიდნენ, ახალი წესით, გადასახლებულთა მოძრავი ქონება მათვე რჩებოდათ, თავიანთი სურვილისამებრ ყიდიდნენ ან თან მიჰქონდათ, უძრავი ქონება კი გადადიოდა ხაზინის ან აულის საზოგადოების სარგებლობაში.

სავალდებულო გახდა გადასახლების წინ ხელწერილების დადება, რომ ისინი უკან აღარ დაბრუნდებოდნენ. აულის საზოგადოებას კი ევალებოდა, არ მიეღოთ თურქეთიდან თვითნებურად დაბრუნებულები და სასწრაფოდ ეცნობებინათ პოლიციის უფროსისათვის.

ზემოხსენებულ სიახლესთან ერთად 1872 წ. დადგენილ იქნა: „კავკასიის და ამიერკავკასიის მხარეთა მუსულმანების თურქეთში გადასახლების წესების პროექტი“[500]:

1) ყოველი წოდების მუსულმანი, რომელიც მოისურვებს თურქეთში გადასახლებას, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ადგილობრივ სამაზრო ხელმძღვანელობას ან ქალაქის პოლიციას და თან წარადგინოს ხაზინიდან გაცემული ქვითარი, იმის შესახებ, რომ მან შეიტანა მომდევნო, მასზე დაკისრებული 10 წლის გამოსაღები და გადასახადი.

2) ყოველი თხოვნა დაწერილი უნდა იყოს დადგენილ საღერბო ქაღალდზე, ხელმოწერილი გადამწერის, შემთხზველის და იმ პირის მიერ, რომლის ხელითაც გადაეცემა თხოვნა ან სანდო პირის მი-

---

[498] Дзагуров Г. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

[499] იქვე, გვ. 172.

[500] იქვე, გვ. 172—173.

ერ, თუ მთხოვნელი წერა-კითხვის უცოდინარია. ადგილობრივ მცხოვრებთა ენაზე დაწერილ თხოვნას თან უნდა ერთვოდეს პოლიციის მიერ დამოწმებული თარგმანი რუსულ ენაზე.

პირები, რომელთაც არ დააკმაყოფილეს ყველა მოთხოვნა, და აგრეთვე ჯგუფური მთხოვნელები — მთელი საზოგადოების ან რამდენიმე ოჯახისა ერთად, დარჩებიან ყურადღების გარეშე, რის შესახებაც ვაცნობებთ ყოველ მთხოვნელს.

3) ადგილობრივი პოლიციის სამმართველო თხოვნის მიღებისას ვალდებულია: ა) ოჯახის ყოველ სრულწლოვან წევრს პოლიციის სამმართველოში ჩამოართვას ხელწერილი, იმის შესახებ, რომ მას თავისი ნებით და არა იძულებით სურს თურქეთში გაღასახლება და ბ) ასეთი ხელწერილის ჩამორთმევისას გამოაცხადოს ქალაქსა და მაზრაში, ხომ არავინ წამოუყენებს პრეტენზიას გადასახლებულს და როცა გადასახლების საქმეში წინააღმდეგნი არ აღმოჩნდებიან, საბუთებით შევა გუბერნიის ან ოლქის ხელმძღვანელთან, რომელიც ერთხელ კიდევ შეამოწმებს შესრულებულია თუ არა ყოველი პირობა და წარუდგენს მეფის ნაცვალს ნებართვის მისაცემად.

4) თურქეთში გაღასახლების მთხოვნელებს ეკრძალებათ გაყიდონ თავიანთი ქონება თხოვნის წარდგენიდან გადასახლებისათვის საბოლოოდ ნებართვის მიღებამდე[501].

ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ შემცირებულიყო თურქეთში წამსვლელთა რიცხვი.

მართლაც, 1860—1865 წწ. შეზღუდვა არ არსებობდა გადასახლების მოსურნეთათვის[502]; ვისაც მოესურვებოდა, გადაწყვეტდა წასვლას, შეეძლო დაუბრკოლებლად გაღგომოდა გზას[503]. ნაწილობრივ ამანაც განაპირობა ის ამბავი, რომ 5—6 წლის განმავლობაში თურქეთში გადასახლდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის შედარებით მეტი ნაწილი, ვინემ მომდევნო ათეული წლების მანძილზე[504].

მუსულმანთა თურქეთში გადასახლება XIX ს. 90-იან წლებამდე არ შეწყვეტილა, თუმცა მისი მასშტაბი შემცირდა 1860-იან წლებთან შედარებით.

ისევე, როგორც 1860-იან წლებში, მოვლენებითაც საკმაოდ ბევრი მუსულმანი დაბრუნდა თურქეთიდან, რისი მთავარი მიზეზიც იქ მათი ცხოვრების ცუდი პირობები იყო. გადასახლებულთა დიდი ნაწილი გადამდები ავადმყოფობით დაიხოცა, ბევრმა რუსეთის იმპერიას —

---

501 Грабовский Н. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 210.
502 საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 160, ფ. 1.
503 იქვე.
504 Дзагуров Г. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

თავის სამშობლოს მოაშურა. თავის წერილში რუსეთის ვიცე-კონსული ტრაპიზონში კავკასიის არმიის მთავარ შტაბის უფროსს აცნობებდა 1864 წ. 30 აპრილს: „აქ, თურქეთში, ჩერქეზებს ტიფი უჩნდებათ ცუდი ბინისა და უვარგისი საკვებისაგან. მძვინვარებს ტიფი ჩერქეზებსა და სომხებს შორის[505]. ტიფმა ათასობით იქ გადასახლებული იმსხვერპლა. იმავე წლის 10 ივნისს იგივე ვიცე-კონსული წერდა: „ტრაპიზონში გადასახლებიდან დღემდე (1864 წ. 10 ივნისამდე) გარდაიცვალა ჩასულთა 19000-ზე მეტი. ახლა სახეზეა 63000 სული (გადასახლებული), საშუალოდ დღეში 180—250 ადამიანი კვდება. სამსუნში 200 კაცი კვდება დღეში"[506]. გადასახლებულებს გაუცრუვდათ იმედები. თურქეთში არაადამიანურ პირობებში ჩაცვივდნენ[507]. უკან გამობრუნებაც ყველას არ შეეძლო. ყველას არ ჰქონდა ეკონომიკური შესაძლებლობა, ბევრს კი, ფიზიკურად დასუსტებულს, ვერ გაებედნა კანონით ან უკანონოდ, ფიქტიური საბუთებით, უკან — სამშობლოში დაბრუნება. მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში თურქეთიდან უკან გადმოსახლებაც აღარ შეიძლებოდა, მათ ხომ ხელწერილები ჰქონდათ დადებული, რომ უკან აღარ დაბრუნდებოდნენ. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, უკან დაბრუნებულთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობდა[508]. ზოგიერთნი ახერხებდნენ, თურქეთში რუსეთის წარმომადგენლის დახმარებით, უკან დაბრუნების ნებართვის მიღებას, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო. უფრო ხშირად ნებართვის გარეშე ან ფიქტიური ნებართვით ბრუნდებოდნენ უკან, თავიანთ აულებში, სადაც მათი ადგილმამულები სხვას ეკავა უკვე. იქმნებოდა ზედმეტი ხარჯების გაღების აუცილებლობა, რასაც რუსეთის აქაური ხელმძღვანელობა ერიდებოდა. უკანონოდ უკან დაბრუნებულთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა.

1872 წ. ვლადიკავკაზის ოკრუგის უფროსი, პოლკოვნიკი ელგაუ, თერგის ოლქის უფროსისადმი მიმართვაში სწერდა: „უკანასკნელ ხანს ჩემდამი რწმუნებულ ოლქში ნათესავებთან შესახვედრად ცხადდებიან ოლქიდან სხვადასხვა დროს თურქეთში მუდმივ საცხოვრებლად გადასახლებული პირები. მოსულები მოთხოვნისთანავე ადგენენ „ბილეთებს", მაგრამ ირკვევა, რომ უკან დაბრუნებულია გამოძახების გარეშე, რის გამოც ბილეთს კანონიერი უფლება არა აქვს. ამის გამო,

---

[505] История Кабардино-Балкарской АССР, т.I (с древнейших времен до марта 1917 г.), макет, Нальчик 1965, с. 321.

[506] იქვე.

[507] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 266, ფ. 4.

[508] იქვე.

ჩემი მხრივ, შეუძლებლად მიმაჩნია ასეთ პირებს მიეცეთ აქ ცხოვრების ნებართვა ხსენებული ბილეთებით[509].

თქვენო აღმატებულებავ! გიდგენთ სამ ბილეთს (ოთხი პირის), რომლებითაც გამოცხადდნენ თურქეთის ქვეშევრდომნი: თათარხან დუდაროვი, თებსარუკო საკიევი, ხანგირეი კუნდუხოვი და ასლანუკო დუდაროვი. უმორჩილესად გთხოვთ თქვენს ნებართვას ჩემდამი რწმუნებული ოლქიდან მათ უკან — თურქეთში გასაძევებლად[510].

გარდა ამისა, ნება მომეცით მომავალშიც გავაგზავნოთ უკან — თურქეთში ოლქში მოსული ყველა თურქეთის ქვეშევრდომი, რომლებსაც ექნებათ ზემოაღნიშნული გამოძახების გარეშე პასპორტისმაგვარი ბილეთები"[511].

ხელმძღვანელობამ კანონიერად მიიჩნია ზემოხსენებული მიმართვა და უბრძანა ოთხივე უკანონოდ ჩამოსული პირი არ დაეშვათ იქ საცხოვრებლად. თერგის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი აცნობებდა: „საზღვარგარეთიდან მოსულ პირებს იმპერიის საზღვრებში შემოსასვლელად უნდა ჰქონდეთ უცხო ქვეყნებში ჩვენი (რუსეთის) კონსულის მიერ მათზე გაცემული პასპორტი. ვინაიდან თურქეთიდან მოსულ პირებს: თათარხან დუდაროვს, თებსარუკო საკიევს, ხანგირეი კუნდუხოვს და ასლანუკო დუდაროვს ამგვარი პასპორტები არ გააჩნიათ, 516-ე მუხლის თანახმად, გთავაზობთ მათ საჩქაროდ გაძევებას უკან — თურქეთში"[512].

გადასახლებულთა უკან დაბრუნებას სამხედრო ხელმძღვანელობა ერიდებოდა იმის გამოც, რომ ჩამოსულები, რომლებმაც თურქეთშიც ვერ ჰპოვეს სასურველი პირობები, შეიძლებოდა აქ რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობას დადგომოდნენ და მოსახლეობაში მღელვარება გამოეწვიათ.

შემთხვევითი როდი იყო კავკასიის მეფისნაცვლისადმი თერგის ოლქის უფროსის მიმართვა, სადაც ატყობინებდა: „... ხშირია თურქეთში გადასახლებულთა უკან დაბრუნება, რის შესახებაც არაა საჭირო იცოდეს მთიელმა მოსახლეობამ, ვინაიდან შეიძლება ამ ამბავმა მღელვარება გამოიწვიოს"[513]. სამხედრო ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შეეწყვიტა, შეემცირებინა მაინც, თურქეთში გადასახლების მოტრფიალეთა რიცხვი. ამავე დროს მთლად შეეწყვიტა

---

[509] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 266, ფ. 4.
[510] იქვე.
[511] Дзагуров Г. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 172.
[512] იქვე.
[513] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 266, ფ. 4.

თურქეთში სხვადასხვა დროს გადასახლებულთა უკან დაბრუნება[514]. ადგილობრივი ხელმძღვანელობა საგლეხო-საადგილმამულო რეფორმის გატარებაზე ამყარებდა იმედებს. ფიქრობდნენ, მუსულმანთა ძირითადი მოსახლეობა — დაბალი ფენის წარმომადგენლები საბოლოოდ უარს იტყოდნენ თურქეთში გადასახლებაზე.

რეფორმამ დროებით, ისიც მცირე ხანს — მანამ გაერკვეოდნენ გატარებული ღონისძიების არსში — შეასუსტა გადასახლებაზე ფიქრი. მაგრამ საბოლოოდ ვერც რეფორმამ აღკვეთა მუსულმანთა გადასახლება თურქეთში, რამაც 1880—1890-იან წწ. კვლავ დიდი მასშტაბით იჩინა თავი კავკასიისა და ამიერკავკასიის მუსულმანთა შორის. კერძოდ, 1893 წ. იმდენად ბევრმა მოინდომა თურქეთში გადასახლება და გახშირდა უნებართვოდ წასვლა, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური თათბირი გაიმართა გადასახლების შესაჩერებელი მეთოდების გამომუშავებისათვის.

გადასახლების მსურველნი არცკი თხოულობდნენ წასვლის ნებართვას ან თუ ითხოვდნენ, პასუხს არ ელოდებოდნენ, ისე მიდიოდნენ თურქეთში. თურქეთში მიმავალთა რიცხვი გაიზარდა. გადასახლების პარალელურად თურქეთიდან ბრუნდებოდნენ ადრე გადასახლებულები.

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი 1902 წ. № 683 საიდუმლო მიმართვაში გუბერნატორს აცნობებდა: „1893 წ. კავკასიის მუსულმანთა შორის კვლავ აღიძრა თურქეთში მასიურად გადასახლების სურვილი. სხვა უარყოფით მხარეებთან ერთად თურქეთში გადასახლებასა და ხშირად უკან დაბრუნებას არევ-დარევა შეაქვს მიწითსარგებლობის საქმეში-ო“. შინაგან საქმეთა სამინისტროს 1899 წ. დადგენილებით, წინასწარ უნდა შეედგინათ შესაბამის ორგანოებს გადასახლებულთა სიები. ეს სიები საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა გაეცნო თურქეთის მთავრობის სათანადო ორგანოებისათვის და უკანასკნელთა თანხმობის შემდეგ მომხდარიყო გადასახლება. აქ კი ინახებოდა საბუთები, რომ გადასახლდა მუდმივ საცხოვრებლად თავისი ნებით, რის საფუძველზეც დაუშვებელი იყო თურქეთიდან უკან დაბრუნება. მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა არც XX ს. დასაწყისში შეწყვეტილა თურქეთში გადასახლება. პარალელურად, თურქეთში ცხოვრებით იმედგაცრუებული მთიელები ბრუნდებოდნენ სამშობლოში, მართალია, ძნელად და მცირე რაოდენობით, მაგრამ ფაქტია, რომ მსურველები ბევრნი იყვნენ და მხოლოდ ზოგიერთები ახერხებდნენ უკან დაბრუნებას.

---

[514] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 266, ფ. 4.

§ 9. თერგის ოლქის ხალხების რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ურთიერთობა რუსი ხალხის წინაპრებთან შორეულ წარსულში ღებულობს სათავეს. კიევის რუსეთის ხანაში მათ შორის უკვე გარკვეული სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობები ყალიბდება. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებდა ტამანის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბებული ტმუტარაკანის რუსული სამთავრო და ძველი დერბენტი. ჩრდილო კავკასიის მეშვეობით ძველი რუსეთი უკავშირდებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებსაც. მონღოლ-თათართა დაპყრობებმა შეაფერხეს ჩრდილო კავკასიის ხალხთა კონტაქტები ძველ რუსეთთან.

XVI ს-დან რუსეთ-ჩრდილო კავკასიის ხალხთა ურთიერთობაში ახალი პერიოდი დაიწყო. გაძლიერებულმა რუსეთის სახელმწიფომ დაამარცხა და შემოიერთა ყაზანისა და ასტრახანის სახანოები და გზა გაიკაფა კასპიის ზღვისაკენ. მისმა გამოჩენამ კავკასიაში ხსნის იმედი ჩაუსახა თურქეთისა და ყირიმის თავდასხმებისაგან გაწამებულ ჩრდილოკავკასიელ ხალხებს. თავდასხმებს მოჰქონდათ მონობის უღელი, ძარცვა, მოსახლეობის ტყვედ გაყიდვა. ყოველივე ეს აფერხებდა მათ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა თავკაცები იმედის თვალით შეჰყურებდნენ რუსეთს, შედიოდნენ მის მფარველობაში და გარეშე მტრებისაგან თავისი ტერიტორიების დაცვას სთხოვდნენ. რუსეთი, რომელიც ესწრაფვოდა საზღვრების გაფართოებას, თურქეთ-ყირიმისა და ირანის მეტოქეობის დაძლევას ამ გზაზე, საჭიროებდა დასაყრდენს ადგილობრივ კავკასიელ ხალხთა მხრიდან და ამიტომ აქტიურად ეხმაურებოდა მათ თხოვნას.

ასეთი ორმხრივი დაინტერესების მიუხედავად რუსეთ-ჩრდილო კავკასიის ხალხთა დაახლოების და უკანასკნელთა რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების საკითხის გადაჭრა ჭიანურდებოდა. ჩრდილო კავკასიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსეთი, თურქეთი და ირანი. მათგან არც ერთი არ თმობდა თავის პოზიციებს ჩრდილო კავკასიაში და ცდილობდა ადგილობრივ ზედაფენებში დასაყრდენი გაეჩინა. ამის შედეგი იყო რუსოფილებისა და თურქოფილების გაჩენა ზედაფენებში, რომელთა ბრძოლა ურთიერთშორის აბრკოლებდა რუსეთთან ჩრდილო კავკასიის დაახლოება-შეერთების პოზიტიურ პროცესს.

მაგრამ ცალკეულ დაბრკოლებათა მიუხედავად, რაც საერთაშორისო ურთიერთობათა სიმწვავით იყო გამოწვეული, XVIII ს. რუსული ორიენტაციის გაძლიერებამ გამოიწვია ოსების და ჩეჩენ-ინგუშე-

ბის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა (ადიღე-ჩერქეზ-ყაბარდოელები უფრო ადრე — XVI ს. შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში). ამან რუსეთის პოზიციები ჩრდილო კავკასიაში საგრძნობლად განამტკიცა და თურქეთისა და მისი აგენტურის მხრივ აქტიური მტრული წინააღმდეგობის მიუხედავად მისი მფარველობა აქ აღარ შეწყვეტილა. თურქეთის აგენტურა აქ მთიელ ხალხთა სოციალური ზედაფენების რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლებს აწყობდა, მაგრამ მშრომელი მოსახლეობა კარგად გრძნობდა, თუ რა მოჰქონდა თურქთა ბატონობას და რუსეთის მომხრედ გამოდიოდა.

ჩრდილო კავკასიის ხალხების, მათ შორის თერგის ოლქის ხალხების, რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლამ ამ ხალხთა ისტორიაში ახალი ფურცელი გადაშალა. არა მემამულეთა და კაპიტალისტთა რუსეთი თავის თვითმპყრობელურ-ბატონყმური წეს-წყობილებით, ყველა ეროვნების, მათ შორის რუსი მშრომელების მჩაგვრელი, არამედ ჭეშმარიტად პროგრესული რუსეთი თავისი დიდი ხალხით, თავისი შესანიშნავი დემოკრატიული და რევოლუციური ტრადიციებით, მოწინავე რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიით და მოწინავე კულტურით გახდა განმსაზღვრელი ჩრდილო კავკასიის ხალხებისა და რუსეთის ურთიერთობისა. რუსეთის შემადგენლობაში ჩრდილო კავკასიის ხალხთა შესვლა განამტკიცებდა მათ უშიშროებას, ასუსტებდა ან ხსნიდა ოსმანთა იმპერიისა და შაჰის ირანისაგან მომდინარე საფრთხეს. რუსეთთან შეერთების ერთ-ერთი პროგრესული შედეგი იყო ისეთი საზარელი მოვლენის ლიკვიდაცია, როგორიც იყო მონობა და მონათვაჭრობა[515].

ჩრდილო კავკასიის ხალხების რუსეთის სახელმწიფოში მოქცევამ ბოლო მოუღო შინაფეოდალურ და ტომთა შორის ბრძოლებს, ჩართო ისინი საერთო-რუსულ ბაზარში და გზა გაუხსნა მათ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების გზაზე გამოსვლისათვის; შექმნა პირობები დაეძლიათ პატრიარქალური ურთიერთობანი და საუკუნოვანი კარჩაკეტილობა. კავკასიის მთიელებში დაიწყო რუსული მოწინავე კულტურის შეღწევა, რამაც დიდი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მათი კულტურის განვითარებაზე.

მაჰმადიანი ბნელეთის მოციქულების, თურქეთის აგენტურის გაძლიერებული ცდების მიუხედავად, რომ ხელი შეეშალათ რუს და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის და-

---

[515] Нарочницкий А. Л. Прогрессивная роль России в исторических судьбах народов Северного Кавказа, «Великий Октябрь и передовая Россия в исторических судьбах народов Северного Кавказа», Грозный, 1982, с. 27.

მყარებისათვის, გაძლიერდა სწრაფვა სწავლა-განათლებისაკენ, გაჩნდა სკოლები, მთიელები პირველად ეზიარნენ ცოდნას.

რუსეთთან შეერთების პროგრესული შედეგი ჩრდილო კავკასიის ხალხისათვის იმაშიც მდგომარეობდა, რომ სწორედ მისი მეშვეობით შეძლო ბევრმა მათგანმა თავისი საუკუნოვანი ოცნების — მთიდან ბარში გადასახლების — განხორციელება და მიწის შიმშილისაგან თავის დაღწევა. ამან საწარმოო ძალების განვითარებისათვის ფართო ასპარეზი შექმნა, ხოლო საადგილმამულო-საგლეხო რეფორმამ სოციალურ-პოლიტიკური პირობები შექმნა ახალი წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრებისათვის.

ყოველივე ამის შედეგი იყო ჩრდილო კავკასიის ხალხთა მშრომელი მასების აქტიური მონაწილეობა რუსეთის იმპერიის ხალხთა ბრძოლაში ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, ამ ბრძოლის ლოგიკური შედეგი კი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც თავისუფალი შემოქმედებითი შრომისა და ბედნიერი ცხოვრების გზაზე გამოიყვანა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, მათ შორის ყოფილი თერგის ოლქის მრავალეროვანი მოსახლეობა.

თავი II

საზოგადოებრივი კლასები თერგის ოლქში

§ 1. თერგის ოლქის ადმინისტრაციული დაყოფა

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ კავკასიაში და, კერძოდ, თერგის ოლქში მართვა-გამგებლობის გასაუმჯობესებლად მეფის მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა და მმართველობის რეორგანიზაცია გადაწყვიტა. მათი მიზანი იყო ამ მხარეში მოსახლეობის სამოქალაქო ყოფის მოწყობა ისე. რომ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ზიანი არ მოსვლოდა. ხანგრძლივი ომის, კოლონიზაციისა და სხვა მიზეზების გამო ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა ტომებისა და ეროვნებების ხალხმა მოიყარა თავი.

ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ წარმოშობით, ენით, სარწმუნოებით. ადათ-წესებითა და სამოქალაქო განვითარების დონით. სხვადასხვა ტომისა და ეროვნების წარმომადგენლები ერთიმეორის მეზობლად სახლობდნენ, ხშირად კი ერთმანეთში იყვნენ არეულნი. თერგის ოლქში მოსახლეობის ამგვარი სიჭრელის გამო აუცილებელი გახდა ადმინისტრაციული დაყოფა და სამმართველო აპარატის რეორგანიზაცია.

მეფის მთავრობის მითითებით ადგილობრივი ადმინისტრაცია კაზაკთა ჩამოსახლებასა და მათგან ახალი სტანიცების შექმნას აგრძელებდა. კაზაკთა სტანიცები მხარის სამხედრო მოთხოვნილებათა შესაბამისად იქმნებოდა მდინარე თერგისა და მდინარე ყუბანის შესართავიდან ამ მდინარეთა სათავეებამდე. შემდეგში, მთიელთა თანდათანობითი დამორჩილების კვალობაზე, კაზაკთა დასახლება თერგისა და ყუბანსიქითა მხარეს გაგრძელდა. აქ დასახლება ხდებოდა არა ერთიმეორის მიყოლებით, არამედ აქა-იქ მთიელ ტომთა მეზობლად, ხშირად კი ცარიზმისადმი მტრულად განწყობილ ტომებს შორის.

კოლონიზაციის შედეგად კაზაკთა მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. კაზაკთა სტანიცებს შორის და მათ გვერდით სამოქალაქო მო-

სახლეობა ფეხს იკიდებდა[1]. მათ შორის იყვნენ მომთაბარე ნოღაელები, ყალმუხები და სხვ. მოსახლეობის ამ ნაირსახეობის მართვა-გამგებლობისათვის საჭირო იყო შესაბამისი ადმინისტრაციული მეთოდები და ხერხები. ვინაიდან სამხედრო მოქმედება ხშირად ცვლიდა მოსახლეობის შემადგენლობას, საჭირო იყო მართვის ფორმების შეცვლა. ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საჭირო შეიქმნა მთელი სივრცე, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სამხრეთით კავკასიის მთებამდე, ჩრდილოეთით ეკატერინოსლავისა და ასტრახანის გუბერნიის სტეპებისა და დონის ჯარების მიწების ჩათვლით სამ მთავარ ნაწილად: ყუბანისა და თერგის ოლქებად და სტავროპოლის გუბერნიად დაყოფილიყო[2].

ამრიგად, ომის დამთავრების შემდეგ, კავკასიის ხაზის არსებობამ თავისი დანიშნულება შეასრულა და უკვე ზედმეტი აღმოჩნდა. კავკასიის ხაზი გაუქმებულ იქნა. კავკასიის არმიის მთავარსარდლის გენ. ბარიატინსკის 1860 წ. 3 მაისის ბრძანებით ჩამოყალიბებულ იქნა ყუბანისა და თერგის ოლქები და სტავროპოლის გუბერნია. ხსენებულ ოლქთა და გუბერნიის ტერიტორია წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიას. დაღესტანი ამიერკავკასიაში შეიყვანეს და ცალკე ოლქად იქნა გამოცხადებული[3].

ამ ადმინისტრაციული დაყოფით თერგის ოლქი შედგებოდა: ვლადიკავკაზის (ოსების), ნალჩიკის (ყაბარდოელები და ბალყარები), გროზნოს, ვედენოს და არღუნის (ჩეჩნები), ხასავ-იურთის (ყუმიყები და ჩეჩნები) ოკრუგისა და კაზაკთა სამი განყოფილებისაგან (ოტდელისაგან).

თერგის ოლქის ამგვარ ადმინისტრაციულ დაყოფაში მალე ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო. 1865 წ. თერგის ოლქის ადმინისტრაციული დაყოფის ახალი პროექტი იქნა შემუშავებული. ამ პროექტით ოლქი 4 ოკრუგად უნდა დაყოფილიყო: პიატიგორსკის, ვლადიკავკაზის, გროზნოსა და ყიზლარის ოკრუგებად[4]. ოლქის ცალკეული ოკრუგები შედგებოდა: პიატიგორსკის — არსებული პიატიგორსკის ოკრუგი, ვოლგის პირველი და მეორე პოლკები, თერგის ჯარების მთიელთა პოლკის 4 სტანიცისა და ყუბანის ჯართა 5 სტანიცისაგან.

ვლადიკავკაზის ოკრუგში შედიოდა: თერგის ჯარების ვლადიკავკაზის პირველი და მეორე, სუნჯის პირველი, მთიელთა მეექვსე და მო-

---

[1] საქ. ცსა კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 121, ფურც. 7.

[2] იქვე.

[3] თ ო გ ო შ ვ ი ლ ი გ. ჩრდილოეთ კავკასია XIX ს. რეფორმის შემდგომ ხანაში, „ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები", თბ., 1978, გვ. 142.

[4] საქ. ცსა კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 83, ფურც. 3.

ზდოკის კაზაკთა პოლკების 2 სტანიცა. მთიელების: ყაბარდოს, ოსეთისა და ინგუშეთის ოკრუგები და ქალაქები: ვლადიკავკაზი და მოზდოკი. ოკრუგის ცენტრად დადგენილი იყო ვლადიკავკაზი.

გროზნოს ოკრუგში შედიოდა: თერგის ჯარების სუნჯის მეორე პოლკი და მთიელთა: ჩეჩნეთის, არღუნის, იჩქერიისა და მთის ოკრუგები. ოკრუგის ცენტრად დადგენილი იყო გროზნო.

ყიზლარის ოკრუგში შევიდა: არსებული ყიზლარის ოკრუგი, გრებენელთა, ყიზლარისა და თერგის ჯარების მოზდოკის პოლკთა 5 სტანიცა და ყუმიყეთის ოკრუგის მთიელები[5].

ოლქებსა და ოკრუგებს შორის საზღვრების დადგენისას მხედველობაში იყო მიღებული მიწის სამფლობელოები, რათა კაზაკებისა და მთიელთა საზოგადოებრივი მიწები არ დანაწევრებულიყო[6]. ამ ადმინისტრაციული დაყოფით, თერგის ოლქის მოსახლეობა შემდეგ სურათს იძლეოდა[7].

თერგის ოლქის ქალაქების, ოკრუგებისა, კაზაკთა სტანციებისა და ჯარის ნაწილების დასახელება	მოსახლეობის რიცხვი		ᲡᲣᲚ
	მამრ. სქესის	მდედრ. სქ.	
თერგის კაზაკთა ჯარი და ყუბანის ჯარი 5 სტანიცაში	64172	—	
ქალაქებში — პიატიგორსკსა და ყიზლარში ოკრუგებიანად .	83848	—	
ქალაქებში — ვლადიკავკაზსა, გეორგიევსკსა და მოზდოკში	11587	—	
მთიელები .	146830	—	
ᲡᲣᲚ	306437		

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ცხრილში მხოლოდ მამაკაცებია აღრიცხული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თერგის ოლქის მოსახლეობა 600000-ზე მეტი იყო.

ცალკე ოკრუგების მიხედვით მოსახლეობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

პიატიგორსკის ოკრუგში ცხოვრობდა	71215 სული
ვლადიკავკაზის ოკრუგში	92394 სული
გროზნოს ოკრუგში	80213 სული
ყიზლარის ოკრუგი	62615 სული
ᲡᲣᲚ ᲝᲚᲥᲨᲘ	306437[8]

[5] საქ. ცსა კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 76, ფურც. 25.

[6] საქ. ცსა კაკ, ფონდი 426, ანაწ. 3, საქმე 83, ფურც. 3.

[7] საარქივო მასალებში[7] მოტანილ სტატისტიკურ მონაცემებში მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებია მოცემული.

[8] როგორც აღინიშნა, ცხრილში მხოლოდ მამაკაცებია აღრიცხული.

თერგის ოლქის ადმინისტრაციული დაყოფის აღნიშნული პროექტი არ იქნა მიღებული. ფიქრობდნენ, რომ 4 ოკრუგად დაყოფა გაართულებდა საადგილმამულო-საგლეხო რეფორმისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარებას და, რაღა თქმა უნდა, თვით რეფორმის გატარებასაც. ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა ოლქის უფრო მეტ ოკრუგებად დაყოფა. ამ და სხვა მოსაზრებებით იმავე წელს თერგის ოლქი 8 ოკრუგად იქნა დაყოფილი იმ მოსაზრებით, რომ თითოეულ ოლქში რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო მოსახლეობის რაოდენობა. ეს კი შედარებით გააიოლებდა რეფორმის მომზადება-გატარებას და ოლქის მართვა-გამგებლობასაც.

ამრიგად, 1865 წ. თერგის ოლქი რვა ოკრუგად დაიყო.

თერგის ოლქის მთის ოკრუგები

ოკრუგების, უბნების ან სანაიბოთა დასახელება	ოკრუგთა უბნებისა ან სანაიბოთა სამძართველოების ადგილსამყოფელი	კომლთა რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა		სულ
			მამრ. სქ.	მდედ. სქ.	
1	2	3	4	5	6
ყაბარდოს ოკრუგი	ცხე-სიმაგრე ნალჩიკი				
უბნები:					
ბაქსანის	ბაქსანის საგუშაგო,	3282	11261	10444	21705
მცირე ყაბარდოს	დროებით ბეკოეიჩის აული	1659	5269	5066	10335
ჩერეკის	ჩერეკის საგუშაგო	2140	6391	5638	12029
მთის	დროებით, ხულამში შენობის მოწყობამდე, ნალჩიკი		5315	4840	10155
ს უ ლ ყაბარდოს ოკრუგში		7081	28236	25988	54224
ოსეთის ოკრუგი	ქ. ვლადიკავკაზი				
უბნები:					
თაგაურ-ქურთათის	იქვე . .	2752	12475	10981	23456
ალაგირ-ნარმამისონის	სტანიცა ალაგირი	2031	7152	5955	13107
დიგორის	სტანიცა არდონი	1247	5427	4812	10239
ს უ ლ ოსეთის ოკრუგში		6030	25054	21748	46802

1	2	3	4	5	6
ინგუშეთის ოკრუგი	ციხე-სიმაგრე ნაზრანი				
უბნები:					
ნაზრანის	იქვე . .	3326	8780	8559	17339
მთის	ქ. ვლადიკავკაზი	907	2915	2848	5763
ფსედახის	აული ფსედახი	1297	3539	3273	6812
სულ ინგუშეთის ოკრუგში		5530	15234	14680	29914
ჩეჩნეთის ოკრუგი	ციხე-სიმაგრე გროზნო				
სანაიბოები:					
აჩხოის	აული აჩხოი	845	2114	1956	4070
ურუს-მართანის	აული ურუს-მართანი	3207	8351	8132	16483
ავტურის	აული ცაცინ-იურთი	1915	4348	4273	8621
კაჩალიკის	აული ოისუნგური	2480	5976	5788	11764
თერგსზედა	აული სტარიიურთი	2687	6681	6150	12831
არღუნის	აული გერმენჩუკი	3116	7156	6615	13771
სულ ჩეჩნეთის ოკრუგში		14250	34626	32914	67540
იჩქერიის ოკრუგი	ციხე-სიმაგრე ვედენო				
სანაიბოები:					
ვედენოს	იქვე . .	1234	2616	2489	5105
დარღოს	აული ვორდალი	1534	3423	3371	6794
სულ იჩქერიის ოკრუგში		2768	6039	5860	11899
არღუნის ოკრუგი	ციხე-სიმაგრე შატოი				
სანაიბოები:					
ჩანტის	იტუმ-ყალე	1782	4879	4915	9794
შატოის	ციხე-სიმაგრე შატოი	1115	2512	2417	4929
ჭებერლოს	აული ჭებერლო	917	2330	2347	4677
შაროეს	აული შაროე	486	1343	1353	2696
სულ არღუნის ოკრუგში		4300	11064	11032	22096
ჯუმიყეთის ოკრუგი	ციხე-სიმაგრე ხასავ-იურთი				
უბნები:					
აქსაის	აული ტაშ-კიჩუ	2074	5716	5132	10848
ანდრეევის	სოფელი ანდრეევო	3239	7463	8512	15975
ნოღაის	აული ტოტა-იურთი	1751	4398	4013	8411
სულ ჯუმიყეთის ოკრუგში		7064	17577	17657	35234

1	2	3	4	5	6
მთის ოკრუგი	ციხე-სიმაგრე ქიშენ-აუხი				
სანაიბოები:					
აუხოს	აული იარაკ-სუაუხი	1259	2904	2689	5593
ზანდაკის	აული ნიენი-იერთი	1321	3965	2785	6750
სალათაუს	ციხე-სიმაგრე ბურ-თუნაი	1254	2811	2706	5517
სულ მთის ოკ-რუგში	—	3834	9680	8180	17860
სულ თერგის ოლქში	—	50857	147510	138059	285569[9]

ამრიგად, თერგის ოლქის მოსახლეობა 285569 სულს შეადგენდა. ტერიტორია კი — 29957,7 კვ. ვერსი ანუ 619,17 კვ. მილი ეკავათ[10].

ამ რიცხვში არ შედიოდა კაზაკთა ჯარები და არც კაზაკთა სტანიცების მოსახლეობა დაკავებული ტერიტორიით.

კაზაკთა ჯარების საერთო რაოდენობა სტანიცების კაზაკურ მოსახლეობასთან ერთად 115220 სულს ითვლიდა.

მათ მიერ დაკავებული ტერიტორია კი — 14053,6 კვ. ვერსს ანუ 290,62 კვ. მილს შეადგენდა.

თუ ავიღებთ თერგის ოლქის მთელ მოსახლეობას კაზაკებთან ერთად, მაშინ მათი რიცხვი 401754 სულს შეადგენდა, ტერიტორია კი — 440011,3 კვ. ვერსს ანუ 909,62 კვ. მილს[11].

[9] ССКГ, Вып. I, Тифлис, 1868 с. 6—9.

[10] იქვე, გვ. 9.

[11] Кавказский календарь на 1867 год, Тифлис, 1866, с. 310

თერგის ოლქის ტერიტორია, მოსახლეობა და დასახლების სიმჭიდროვე 1865 წ.[12]

ოკრუგების დასახელება	ტერიტორია		მოსახლეობის რაოდენობა	დასახლების სიმჭიდროვე	
	კვ. ვერსებში	კვ. მილებში		კვ. ვერსზე	კვ. მილზე
ყაბარდოს ოკრუგი[13]	10446,2	215,92	47035	4,5	217,8
ოსეთის	4681,6	100,89	46558	9,5	461,5
ინგუშეთის	2109,2	43,59	26153	12,3	597,2
ჩეჩნეთის [14]	3679,2	76,94	53750	14,6	706,9
არღუნის [15]	2167,2	44,79	21058	9,7	470,2
იჩქერიის	877,7	18,14	14522	16,5	800,5
მთის	1188,0	24,55	16568	13,9	673,2
ყუმიყეთის „	4806,6	95,25	60890	12,7	613,0
ს უ ლ	29957,7	619,17	286534	9,6	462,8
თერგის კაზაკთა ჯარის მიწები[16]	14053,6	290,45	115220	8,2	396,69
ს უ ლ თერგის ოლქში . .	44011,3	909,62	401754	9,1	441,7[17]

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თერგის ოლქის მთელი მოსახლეობის 2/5-ზე მეტს ანუ 40 %-ზე მეტს კაზაკობა შეადგენდა. მათი რიცხვი საკმაოდ მალე იზრდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და კერძოდ, თერგის ოლქში[18]. კაზაკები კოლონიური პოლიტიკის გატარებისათვის ამ მხარეში საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდნენ და ამიტომ იყო, რომ მეფის მთავრობა ასეულათასობით მანეთს ხარჯავდა კაზაკთა ჩამოსახლებისათვის.

1865 წ. მხარის ადმინისტრაციული დაყოფისას წინასწარ გათვალისწინებული იყო ის ადგილები, სადაც ათეულათასობით კაზაკთა ჯარები უნდა დაესახლებინათ თავიანთი ოჯახებით.

---

[12] ყაბარდოს, ოსეთის და ინგუშეთის ოკრუგთა ციფრობრივი მონაცემები 1864 წლისაა.

[13] ჩეჩნეთის ოკრუგის მონაცემები 1865 წლისაა.

[14] არღუნის, იჩქერიისა და მთის ოლქების მონაცემები 1864 წლისაა.

[15] ყუმიყეთის ოკრუგის მონაცემები 1865 წლისაა.

[16] თერგის კაზაკთა ჯარები შემდეგი პოლკებისაგან შედგებოდა: ლოლგის I და II, ვლადიკავკაზის I და II, სუნჯის I და II, მთის, მოზდოკისა და ყიზლარის. ჩამოთვლილ პოლკებს ყველას თავისი განსაკუთრებული მიწის ნაკვეთები ჰქონდათ.

[17] Стебницкий И. Статистическая таблица Кавказского края, Кавказский календарь на 1867 г., Тифлис, 1866, с. 310.

[18] Пантюхов И. И. დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

1865 წ. ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციული დაყოფა თითქმის უცვლელად დარჩა 1888 წლამდე. 1865 წ. ადმინისტრაციული დაყოფით შედარებით გაიოლდა მხარის მართვა-გამგებლობა და რეფორმის გატარებაც. საკმარისია ითქვას, რომ თერგის ოლქში საგლეხო რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოები სწრაფად წარიმართა, თვით რეფორმა კი სულ რამდენიმე თვეში გატარდა.

§ 2. გაბატონებული წოდების წარმომადგენლები თერგის ოლქში

ა) უაბარდოს ოკრუგი

გაბატონებული წოდების წარმომადგენელთა მრავალსახეობით თერგის ოლქში უაბარდოს ოკრუგი გამოირჩეოდა. უაბარდოში ძირითადად გაბატონებული წოდების ექვსი კატეგორია არსებობდა: ფში, ტლიახოტლიაჟი, დეჟენუგო, ბესლენ-უორკი, უორკ-შაოტლიახუსი და ფშეკეუ[19].

ფ შ ი. თავადებს უაბარდოულ ენაზე ეწოდებოდათ შფი, რაც უფრო მაღალს ნიშნავს[20]. მისი თავდაპირველი ცნება გვარის უხუცესს ემსგავსებოდა. მოგვიანებით, XVI - XVII სს. ფში-თავადის ცნება საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილში უმაღლესი მდგომარეობის მქონეს შეესაბამებოდა. XVIII ს. და XIXს. დასაწყისში „ფში"-ს ცნება უფრო კონკრეტულ სოციალურ ტერმინად იქცა და აულის ან აულების მფლობელს გამოხატავდა. ამ წოდების წარმომადგენლები მართავდნენ უაბარდოს ძველი დროიდან მოყოლებული რუსეთთან შეერთებამდე. თავადების თანდათანობით მომრავლებასთან და უაბარდოში მაჰმადიანური სარწმუნოების დამკვიდრებასთან დაკავშირებით, მათი ხელისუფლება დანაწევრდა, დაქუცმაცდა. უაბარდოელი ფში ანუ თავადი თავისი ღირსებითა და უფლება-მოვალეობით ეტოლებოდა ყარაჩაელ აქსიუკ-ს, ნოღაელ მურზას. აბაზინელ ახა-ს და ყუმიყელ ხანს ანუ თავადს[21]. უაბარდოელი თავადის ავტორიტეტი და ხალხზე გავლენა იმდენად დიდი ოყო, რომ მის ნება-სურვილს ემორჩილებოდა ყველა, მასზე დამოკიდებული ხალხი[22].

უაბარდოს დამოუკიდებლად არსებობის უკანასკნელ წლებში ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ ვალი და მეხკემი. ვალის თა-

---

[19] Боцвадзе Т. Социально-экономические отношения в Кабарде в первой половине XIX века, Тбилиси, 1965, с. 47.

[20] Ногмов Ш. Б. История одыгейского народа, Нальчик, 1958, с. 86.

[21] საქ ცსა, ფონდი 7, ანაწ. 8, საქმე 11, ფ. 8.

[22] ССКГ, Вып. III, с. 2—3.

ნამდებობა ყაბარდოში ყველაზე უხუცეს თავადს ეკუთვნოდა. თავადი სახელოვანი ტლიახოტლიაჟის დახმარებით, რომლის თანამდებობასაც კოძ-ი ეწოდებოდა, მართავდა ყაბარდოს საშინაო და საგარეო საქმეებს[23].

მეხკემი, რომელიც შედგებოდა სასულიერო წოდების წარმომადგენლებისა და რჩეული უორკებისაგან, ვალისა და კოძის მონაწილეობით წარმართავდა სასამართლო საქმეებს[24].

მეხკემი, გარდა სასამართლო საქმეებისა, მონაწილეობდა ყაბარდოში ახალი ზნე-ჩვეულებების დანერგვასა და ძველის შეცვლაში, რაც ძირითადად ვალის ფუნქციებში შედიოდა, თუმცა მეხკემის ჩაურევლად, არავითარი ახალი ჩვევის დანერგვა და არც ძველის შეცვლა ან გაუქმება არ ხდებოდა.

დიდი ყაბარდო ძველთაგანვე ოთხ ნაწილად იყო გაყოფილი, თავადთა ოთხ საგვარეულოს — კაიტუკინებს, ბეკუმურზინებს, მისოსტოვებსა და ატაჟუკინებს შორის.

მცირე ყაბარდო ორ ნაწილად იყოფოდა და თავადთა ორი საგვარეულო — მუდაროვები და ტაუსულთანოვები მართავდნენ. ამგვარი დანაწილება დიდსა და მცირე ყაბარდოს დამოუკიდებლად არსებობის პოლო წლებამდე შემორჩა. თითოეული ნაწილი, როგორც აღინიშნა, თავადის სამფლობელოს წარმოადგენდა.

ყაბარდოში თავადის წოდება იმდენად წმინდად იყო მიჩნეული მოსახლეობაში, რომ ყოველი ყაბარდოელი მზად იყო მთელი თავისი ქონება და სიცოცხლეც კი შეეწირა მფლობელის დასაცავად[25].

მფლობელები მოსახლეობას თავის ქვეშევრდომებს უწოდებდნენ. თავადს თითქმის განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა მის განმგებლობაში მყოფ მოსახლეობაზე[26].

გარდა ტლიახოტლიაჟისა და დეჟენუგოსი, თავადს შეეძლო თავისი ქვეშევრდომისათვის წაერთმია ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, შეეძლო წაერთმია ქალიშვილიც და ცოლიც კი. არ შეეძლო მხოლოდ მის სიცოცხლეს შეხებოდა[27]. თუ თავადს ბესლენ-უორკი ან უორკ-შაოტ-

---

[23] Привилегированныя сословия Кабардинского округа, ССКГ, Вып. III, С. 2.

[24] Дубровин Н. История войн и владичества русских на Кавказе, т. I, Спб, 1871, с. 217.

[25] Дебу И. О кавказской линии и присоединенном к ней черноморском войске или общия замечания о поселенных полках ограждающих кавказскую линию по соседственных городских народов, Спб, 1829, с. 100—101.

[26] Сталь К. Т. Эгнографический очерк черкесского народа, «Кавказский сборник», т. XXI, Тифлис, 1900, с. 143.

[27] საქ. ცსა, ფონდი 416, აღწერილობა 3, საქმე 98, ფ. 1.

ლახუსი მოკლავდა, ყაბარდოში არსებული ადათის მიხედვით მკვლელი და მისი მამრობითი სქესის შთამომავლობა და ახლო ნათესავები სიკვდილით ისჯებოდნენ, ოჯახის დანარჩენი შემადგენლობა მოკლული თავადის ჩამომავლობა ბონა-ყმობაში გადადიოდა, მკვლელის სახლი და ქონება ნადგურდებოდა[28].

იმ შემთხვევაში, როდესაც თავადს ტლიახოტლიაჟი ან დეჟენუგო მოკლავდა, ადათის მიხედვით, უკანასკნელთ უნდა გადაეხადათ სისხლის საფასური საკმაოდ დიდი თანხა[29].

ყაბადროელთა მიერ თავიანთი თავადისადმი მოკრძალება და პატივისცემა, ხალხური ეტიკეტის ადიღე-ხაბზე-ს მიხედვით, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა სიმაღლეზე იდგა იგი თავის ხალხში — საზოგადოებაში[30].

თუ თავადი ისეთ საზოგადოებაში აღმოჩნდებოდა , სადაც წარმოშობით მისი ტოლი არავინ იქნებოდა, პირველი ადგილი მას ეკუთვნოდა.

თავადი, როდესაც სახლიდან გავიდოდა, გარშემორტყმული უნდა ყოფილიყო დაახლოებული პირებით, რომლებიც საპატიო ამალას შეადგენდნენ[31].

ამალის წევრნი სხვადასხვა სამსახურს უწევდნენ თავადს. მიართმევდნენ და ჩამოართმევდნენ ცხენს, მიაწოდებდნენ და ჩამოართმევდნენ იარაღს, თუ საჭირო იქნებოდა თავიანთი უნაგირით ატარებდნენ თავადის ნაბადს და სხვ[32]. საჭირო შემთხვევაში ველზე ამზადებდნენ სადილს ან ვახშამს.

როდესაც თავადი ცხენზე იჯდა ან ფეხით მიდიოდა, თანმხლებნი შემდეგნაირად მოჰყვებოდნენ: დიდად პატივსაცემ უორკს მარცხენა მხარე ეკავა, დანარჩენი უორკები, მდგომარეობის მიხედვით, პირველს მიჰყვებოდნენ მარჯვენა მხარეს, სხვები უკანა მხარეს ნაწილდებოდნენ თავიანთი შეხედულებისამებრ.

ცხენზე მჯდომი ყოველი ყაბარდოელი, რომელიც თავადს შეხვდებოდა ველზე, ვალდებული იყო დაბრუნებულიყო უკან და მიეცილებინა იგი მანამ, სანამ მას თავადი არ გაუშვებდა[33].

ზოგიერთი თავადი ისეთი პატივმოყვარე იყო, რომ არა მარტო

---

[28] Грабовский Н. Ф. Привилегированные сословия Кабардинского округа, Сборник сведений о кавказских горцах, вып. III, с. 2—3.

[29] Кудашев В. დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

[30] ССКГ, вып. III, с. 3.

[31] იქვე.

[32] Кудашев В. დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[33] იქვე.

ცხენით მიმავალ ყაბარდოელს დააბრუნებდა უკან, არამედ ტვირთაკიდებულს ან დატვირთული ურმით მიმავალს და აიძულებდა საკმაოდ დიდ მანძილზე გაჰყოლოდა უკან. ზედმეტი პატივმოყვარეობითა და სიმკაცრით გამოირჩეოდნენ ტახტამიშევები, რომლებმაც ისე მოაბეზრეს ხალხს თავი, რომ საზოგადოებრივი განაჩენით თავადის წოდება ჩამოართვეს[34]; თემირგოელ თავადს ჯამბულატოვს კი 800 კომლი გაექცა და აბაძეხებში დასახლდა[35].

ყაბარდოში არსებულ ზნე-ჩვეულებათა მიხედვით გარდაცვლილ თავადს საზოგადოებრივ სასაფლაოზე არ მარხავდნენ. დაკრძალვა ხდებოდა განცალკევებით, უკეთეს ადგილას, დგამდნენ ძეგლს, რგავდნენ ხეს ცხენის დასაბმელად და სხვ. ყველა ახლომახლო აულში მცხოვრები ყაბარდოელი ვალდებული იყო გარდაცვლილი თავადის სახლში მისულიყო და მოესმინა ლოცვები[36]. მიცვალებულის ამგვარი პატივისცემა არსებობდა ყაბარდოს მეზობელ ტომებშიც — თაგაურებში, დიგორში, ბალყარეთში, ხულამში და სხვ.

ქორწინების მხრივ, შთამომავლობაზე თავიანთი უფლებების გადაცემისას, ყაბარდოში ზოგ შემთხვევაში ქალებს მეტი უპირატესობა ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს. მაგალითად, თუ მონა-ყმას თავისუფალი წოდების ქალთან შვილი შეეძინებოდა, იგი თავისუფალი წოდების წარმომადგენლად ითვლებოდა. თავადისა და არათავადური ჩამომავლობის ქალის შთამომავალი კი არ ითვლებოდა თავადად. არათანაბარი ქორწინებით შობილს ტუმას უწოდებდნენ, რომელიც წოდებრივად უორკტლიახოტლიაუზე მაღლა იდგა, თუმცა თავადის სრული უფლებები არ ჰქონდა[37].

ტუმას რომ თავადის უფლებები შეეძინა, საჭირო იყო მათი საგვარეულოს გადაწყვეტილება, რათა იგი თავიანთ ტოლად ეღიარებინათ. ამისათვის კი საჭირო იყო ტუმას რაიმე დამსახურებით, გმირობით ან გამბედაობით თავი გამოეჩინა ხალხის წინაშე[33]. ტუმას მიერ შეძენილი უფლებები პირველ რიგში საჭირო იყო ქონების გაყოფისას. იგი საგვარეულოს თავადთა ტოლად ითვლებოდა, და, რაღა თქმა უნდა, მათთან თანაბრად წილს მიიღებდა[39].

ტუმა თუ ჩვეულებრივ თავადის ქალს შეირთავდა, მათი შთამომავლობა ითვლებოდა თავადებად.

---

[34] ССКГ, вып. III, с. 4.
[35] Сталь К. Т. Указ. труд, с. 145.
[36] ССКГ, вып. III, с. 4.
[37] Сталь К. Т. Указ. труд, с. 143.
[38] ССКГ, вып. III, с. 5.
[39] იქვე.

თავადის შვილები შვიდ წლამდე და ხშირად თექვსმეტ წლამდეც რომელიმე უორკის ოჯახში იზრდებოდნენ. ყველასათვის ოცნება იყო თავადის შვილების აღზრდა თავის ოჯახში. ტლიახოტლიაკები და დეკენუგოები[40] ცდილობდნენ ამგვარი გზით თავადებთან დაახლოებას. თვითონ თავადები არავის იყვანდნენ აღსაზრდელად. ძალიან იშვიათი შემთხვევა იყო, როცა თავადი უორკისადმი კეთილგანწყობაში იყო და მის შვილს აღსაზრდელად აიყვანდა თავის ოჯახში.

ყაბარდოელ თავადთა ხელისუფლება მეტ-ნაკლებად მეზობელ ხალხებზეც ვრცელდებოდა. ყაბარდოდან საკმაოდ შორს მცხოვრები ტომები: ინგუშები, ყარაბულაყები, ქისტები, თაგაურელი და დიგორელი ოსები ყაბარდოელთა მეხარკეები იყვნენ[41]. ახლო მცხოვრებნი კი, ყარაჩაელები, ჩეგემები, ხულამები, ბეზენგიელები, ყაბარდოელთა მორჩილებაში იმყოფებოდნენ[42]. მხოლოდ ბალყარებმა, ხალხმრავლობითა და მიუვალი გზების გამო, შეძლეს შედარებით დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ყაბარდოელ თავადს შეეძლო ზემოჩამოთვლილი ოთხი ტომის: ყარაჩაელების, ჩეგემების, ხულამებისა და ბეზენგიელების წარმომადგენელთათვის ჩამოერთმია ქონება ისე, რომ ვერავინ ვერაფერს ეტყოდა[43].

თავადების შემდეგ მოდიოდნენ უორკები ანუ როგორც ყაბარდოში ეძახდნენ უზდენები. გენერალ ერმოლოვის მითითებით იაკუბ შარდანოვის მიერ შედეგენილ „ყაბარდოს ხალხური ჩვევებისა და ყაბარდოში არსებულ მმართველობის შესახებ“ წერილში ყაბარდოს უზდენები ოთხ კატეგორიადაა დაყოფილი.

ყაბარდოში პირველი კატეგორიის უზდენებს მიეკუთვნებოდა ტლიახოტლიაკი, რაც ძლევამოსილთაგან შობილს ნიშნავდა. ისინი თავიანთი ღირსებითა და უფლებამოსილებით ბესლენელთა, აბაძახელთა და შაფსუღთა მამასახლისების ტოლები იყვნენ. ტლიახოტლიაკის გვერდით ყაბარდოში დეკენუგო (ანუ ოქროს წყალში გავლებული, მოოქროვებული ვერცხლი) იდგა. მართალია, დეკენუგო წარმოშობით ტლიახოტლიაკზე დაბლა იდგა, მაგრამ ცდილობდა ამ უკანასკნელთან გათანაბრებას, თუმცა საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის წინ ისი-

---

[40] დეკენუგო ბესლენელთა და ყაბარდოელ თავადებს ემორჩილებოდა და ამ უკანასკნელზე იყო დამოკიდებული. წარმოშობით, ტლიახოტლიაკებთან შედარებით, ძალიან დაბლა იდგნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად თავიანთი აულები ჰქონდათ, სადაც ძირითადად აზატები ცხოვრობდნენ.

[41] Скитский Б. В. Хрестоматия по истории Осетии, ч. I, Орджоникидзе, 1956, с. 125.

[42] ССКГ, вып. III, с. 6.

[43] Сталь К. Т. Указ. труд, с. 145.

ნი ტლიახოტლიაჟებისაგან განსხვავებით, აბაზინელთა აგმისტა-დუს (დიდი უზდენი) ტოლად ცნეს[44]. ტლიახოტლიაჟები, თავიანთი ავტორიტეტითა და ხალხზე გავლენით, თითქმის თავადებს უთანაბრდებოდნენ[45].

მეორე კატეგორიის უზდენებს ეკუთვნოდნენ ბესლენ-უორკები ანუ ბესლენ-უზდენები. მესამე კატეგორიას ეკუთვნოდნენ უორკ-შაოტლახუსები.

ტლიახოტლიაჟები და დეჟენუგოები, როგორც აღინიშნა, იმდენად კეთილშობილნი და დიდი ავტორიტეტის მქონენი იყვნენ, რომ ხშირად თავადებიც კი სარგებლობდნენ მათი კეთილშობილებითა და ხალხზე გავლენით[46]. მათი ავტორიტეტი და ხმა უფრო გავლენიანი იყო, ვინემ თავადისა. ტლიახოტლიაჟსა და დეჟენუგოს სხვა პრივილეგიებიც ჰქონდათ. ისინი, თავადებისაგან განსხვავებით, აულებში ცხოვრობდნენ, უფლება ჰქონდათ მთელი აულით სხვაგან გადასახლებულიყვნენ, მხოლოდ ყაბარდოში, მფლობელის ტერიტორიაზე, ე. ი. ისეთ ადგილას, რომელიც მფლობელის სახელს ატარებდა[47]. თუ თავადთან უსიამოვნება შეემთხვეოდა, ტლიახოტლიაჟს უფლება ჰქონდა ყაბარდოელ სხვა თავადის მიწაზე გადასახლებულიყო[48]. ამ მხრივ ტლიახოტლიაჟს განსაკუთრებით დიდი უფლება ჰქონდა.

ქორწინებითი კავშირი ტლიახოტლიაჟებისა და დეჟენუგოსი, თითოეული მათგანის შიგნით ხდებოდა. ხშირად ცოლად მიჰყავდათ თაგაურელ ალდართა, დიგორელ ბადელიატთა ან მთის საზოგადოებიდან ტაუბიეთა ოჯახიდან. ე. ი. ქორწინებით კავშირს ამყარებდნენ თავიანთ ტოლ წოდების წარმომადგენლებთან[49].

ტლიახოტლიაჟისა და დეჟენუგოს წარმომადგენლები არ ცდილობდნენ და არც მიჰყავდათ თავადის ქალები ცოლად, სამაგიეროდ არც თავად ათხოვებდნენ თავიანთ ქალებს თავადებზე. რატომღაც არ ჩანს არც ცდა და არც მაგალითი იმისა, რომ ტლიახოტლიაჟის ან დეჟენუგოს ქალი შეერთოს თავადს ცოლად და პირიქით, თავადის ქალი რომ წაეყვანა ცოლად ტლიახოტლიაჟის ან დეჟენუგოს წოდების წარმომადგენელს.

სამაგიეროდ, იყო შემთხვევები, როცა ტლიახოტლიაჟსა და დეჟე-

---

[44] საქ. ცსსა, ფონდი, 7, ანაწ. 8, საქმე 11, ფ. 7.

[45] იქვე, ფ. 7; ყაბარდოელ უფროს თავადთა უზდენ ფშიშ-ხოეორკები ხდებოდნენ დეჟენუგოები.

[46] Боцвадзе Т. Указ труд, с. 103.

[47] Сталь К. Т. Указ. труд, с. 143.

[48] საქ. ცსა, ფ. 7, ანაწ. 8, საქმე 11, ფ. 12.

[49] Кудашев В. Указ. труд, с. 152.

ნუგოს შორის ხდებოდა უთანასწორო ქორწინება, თუმცა ამგვარი ქორწინების შედეგად შთამომავლობა არ კარგავდა უფლებებს ტუმას მსგავსად.

ტლიახოტლიაჟთა წოდების წარმომადგენელთა დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათი სისხლის საფასური გაცილებით მაღალი იყო დანარჩენ უორკთა სისხლის საფასურზე, მხოლოდ თავადთა სისხლის ფასს ჩამოუვარდებოდა[50]. ტლიახოტლაჟთა გავლენასა და ავტორიტეტზე მეტყველებდა ისიც, რომ ყაბარდოში დიდ დანაშაულად ითვლებოდა მათი განაწყენება, თუ ვინმე ამას ჩაიდენდა, უნდა დაეტოვებინა ყაბარდოს ტერიტორია და მთელი ოჯახით გადასახლებულიყო ყუბანს იქით, ან ოსეთში, სადაც გავლენიანი გვარის მფარველობით ეცდებოდა განაწყენებულ ტლიახოტლიაჟებთან შერიგებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საცხოვრებლად უკან ვეღარ დაბრუნდებოდა.

ტლიახოტლიაჟისა და დეჟენუგოს შემდეგ თავიანთი მდგომარეობით იდგნენ ბესლენ-უორკები, ბესლენ-უორკი, სათავადო უორკს, თავადის უორკს ნიშნავდა ყაბარდოში[51]. ყაბარდოელი თავადის უორკი ანუ ფშიშ-ხოვორკი, თანაბარი იყო ნოღაელთა უზდენის, აბაზინელთა აგმისტას, ყარაჩაელთა ჩანკას, ბეჟედუღთა ფშაოს-უორკისა და ნოღაელთა ტუმასი[52]. ბესლენ-უორკის ანუ ბესლენ-უზდენის წოდების მიღება იოლად შეეძლოთ უორკ-შაოტლახუსებსა და ადიღური მოდგმის ტომებს, რომლებიც ყაბარდოში ცხოვრობდნენ[53].

უორკ-შაოტლახუსს რომ ბესლენ-უორკის წოდება მიეღო, საჭირო იყო მხოლოდ მისი მონდომება და თავადის თანხმობა, ეს უკანასკნელი კი, თითქმის არასდროს იყო ამის წინააღმდეგი, პირიქით ამით ორივე მხარე იყო დაინტერესებული.

პირველის დაინტერესება გამოწვეული იყო იმით, რომ ბესლენ-უორკის წოდების მიღებისთანავე თავადი თანხმობასთან ერთად აძლევდა საჩუქარს, ვერცხლის ვაზას ან ვერცხლის სხვა ნაკეთობას, ხშირად კი, თოფს. გარდა ამ ერთდროული საჩუქრისა, ბესლენ-უორკს ეძლეოდა თავადის მიერ მიღებული ყალიმის ნაწილი[54], მას სხვა შემოსავალიც ჰქონდა თავადისაგან.

ერთი სიტყვით, უორკ-შაოტლახუსთა ლტოლვა ბესლენ-უორკობისაკენ ძირითადად მატერიალური დაინტერესებით იყო გამოწვეული.

---

[50] იქვე, გვ. 153.
[51] საქ. ცსა, ფონდი 7, ანაწ. 8, საქმე 11, ფ. 7.
[52] იქვე.
[53] Кудашев В. Указ. труд, с. 155.
[54] ССКГ, вып. III, с. 7.

ამგვარი სარგებლობის სამაგიეროდ, ბესლენ-უორკი ვალდებული იყო ეცხოვრა თავისი თავადის აულში, ანდა სხვაგან მის სამფლობელოში შემავალ მიწაზე. ამასთანავე ვალდებული იყო თანხლებოდა თავადს ყველგან, სადაც კი იგი მოგზაურობას მოისურვებდა[55].

ერთი სიტყვით, ბესლენ-უორკი ერთგულად ემსახურებოდა თავადს სიტყვით და საქმით. ხდებოდა რა უორკ-შაოტლახუსი ბესლენ-უორკად, ე. ი. თავადის უორკად ანუ თავადის უზდენად, იგი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისაკენ მიისწრაფოდა, თუმცა უფრო მეტად ხდებოდა თავადზე დამოკიდებული და ამ უკანასკნელის მსახური.

თუ ბესლენ-უორკსა და თავადს შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, თავადი უკანვე იღებდა გაცემულ საჩუქარს. ბესლენ-უორკს უფლება ჰქონდა გადასულიყო სხვა თავადებთან ან იშვიათად ტლიახოტლიაჟთან სამსახურისათვის. პირველი თავადისაგან წამოსვლის შემთხვევაში, ბესლენ-უორკს რჩებოდა თავისი წოდება, იგი კვლავ ბესლენ-უორკად იწოდებოდა. ე. ი. ბესლენ-უორკის წოდებას იღებდნენ პირველად თავადთან შეთანხმებით, მაგრამ უკანასკნელთან უთანხმოების გამო წასვლის შემთხვევაში, წოდება რჩებოდა სამუდამოდ და შთამომავლობით[56].

ბესლენ-უორკსა და თავადს შორის ისეთი ახლო და კარგი ურთიერთობა არსებობდა, რომ ძალიან იშვიათი შემთხვევა იყო მათ შორის უთანხმოება. თუ მაინც ამგვარი რამ მოხდებოდა, გარეშე პირთა ჩარევით იგი შერიგებით მთავრდებოდა, ვინაიდან ბესლენ-უორკის წასვლა თავადისაგან დიდ სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა ორივე მხარისათვის.

ბესლენ-უორკის შემდეგ იდგნენ უორკ-შაოტლახუსები, ანუ მესამე ხარისხის უზდენები[57]. ეს წოდება ყაბარდოში ძველი დროიდან არსებობდა[58]. უორკ-შაოტლახუსის წოდებას იღებდნენ ბესლენ-ფშიტლები ანუ სათავადო მონა-ყმები გამოსყიდვის გზით ან ხშირად ტლიახოტლიაჟისა და დეჟენუგოს მიერ მინიჭებული თავისუფლებით[59]. არც ერთი ბესლენ-ფშიტლი არ იყო ყაბარდოს მკვიდრი, ისინი სხვა მხარეებიდან იყვნენ გადმოსახლებულები. გადმოსახლების ძირითადი მიზეზი იყო სისხლის აღება. ისინი თავისუფლები იყვნენ თავიდან, თუმცა რომელიმე თავადის მფარველობაში იმყოფებოდნენ. ხშირი იყო ისეთი

---

[55] Кудашев В. Указ. труд., с. 156.
[56] Сталь К. Т. Указ. труд, с. 144—145.
[57] Боцвадзе Т. Указ. труд, с. 107.
[58] Кудашев В. Указ. труд, с. 156.
[59] ССКГ, вып. I, с. 7.

შემთხვევებიც, როცა ბესლენ-ფშიტლი თავადის შინამოსამსახურის როლს ასრულებდა. დროთა განმავლობაში მფარველმა თავადმა სცადა ბესლენ-ფშიტლის მონა-ყმად გადაქცევა, თუმცა ამას ვერ მიაღწიეს და საბოლოოდ აკრძალული იქნა ბესლენ-ფშიტლის ყიდვა-გაყიდვა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ბესლენ-ფშიტლს შეეძლო საბოლოოდ განთავისუფლებულიყო გამოსყიდვის ან ტლიახოტლიაჟისა და დეჟენუგოს მიერ ბოძებული თავისუფლებით, რის შემდეგაც ითვლებოდა უორკ-შაოტლახუსად.

ხშირად უორკ-შაოტლახუსი საჩუქრებისა და სხვა მატერიალური დაინტერესებით, რაღა თქმა უნდა თავისი სურვილით, ტლიახოტლიაჟის ან დეჟენუგოს ქვეშევრდომობას კისრულობდა და პირობას დებდა ისეთ ურთიერთობაში ყოფილიყო მასთან, როგორც ბესლენ-უორკები იყვნენ თავადებთან[60]. სამსახურს ისევე კისრულობდნენ, თუმცა უორკ-შაოტლახუსსა და ბესლენ-უორკს შორის დიდი განსხვავება იყო; პირველნი ასრულებდნენ შავ სამუშაოებს, მეორეთათვის კი შავი სამუშაოების შესრულება სამარცხვინოდ ითვლებოდა.

1862 წ., ყაბარდოელთა პირადი უფლებების გარჩევისას, გამოსყიდვის გზით განთავისუფლებული ბესლან-ფშიტლები ყაბარდოელ დეპუტატთა მიერ მიკუთვნებულ იქნენ არა უორკ-შაოტლახუსთა წოდებას, არამედ აზატთა წოდებას.

უზდენთა მეოთხე კატეგორიას ეკუთვნოდნენ ფშეკეუს წოდების წარმომადგენლები[61]. სიტყვა „ფშეკეუ“ ნიშნავს თავადის საფარს. ეს წოდება შეიქმნა სხვადასხვა გზით განთავისუფლებული აზატებისაგან. ისინი თავადის სრულ მორჩილებაში ითვლებოდნენ და ვალდებულნი იყვნენ თავადის ნება-სურვილი შეესრულებინათ, რისთვისაც თავადთა მფარველობით სარგებლობდნენ. ეს მფარველობა იმდენად დიდი იყო, რომ თუ ფშეკეუს მოკლავდა ვინმე, სისხლის აღება იმ თავადის ვალდებულებას შეადგენდა, ვის მფლობელობაში და სამსახურშიც მოკლული იმყოფებოდა. ამასთანავე, სისხლის საფასურის მეტი ნაწილი თავადს რჩებოდა. საფიქრებელია, რომ ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ თავადი თვითონ კისრულობდა მკვლელის სისხლის ან სისხლის საფასურის აღებას.

კავკასიის სხვა ხალხებთან, ფშეკეუს წარმომადგენელს ფშე-უნაოგს (ფში — თავადი, უნა — სახლი და ოგ — ეზო) უწოდებდნენ[62].

ფშეკეუს წარმომადგენლები თავადის ნება-სურვილის შემსრულებლები იყვნენ და ამიტომაც ხალხში საკმაოდ დიდი გავლენით სარ-

---

[60] Кудашев В. Указ. труд, с. 157.
[61] Боцвадзе Т. Указ. труд, с. 107.
[62] Сталь К. Т. Указ. труд, с. 144.

გებლობდნენ. მათ ხშირად საჩუქრებს აძლევდნენ „შავი ხალხის“ წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, ფშეკეუ თავადის სამფლობელოში მოურავისმაგვარ როლს ასრულებდა. ეს წოდება შთამომავლობითი იყო და საკმაოდ შემოსავლიანიც, განსაკუთრებით რუსული მმართველობის დამყარებამდე, როცა თავადები თავიანთ სამფლობელოებში შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ამ წოდებამ, თავადთა უფლებების დაქვეითებასთან ერთად, დაკარგა თავისი გავლენა უბრალო ხალხზე.

საინტერესო სოციალურ ჯგუფს ჰქმნიდნენ აზატები. ესენი იყვნენ დამოკიდებული წოდების ის წარმომადგენლები, რომლებიც მფლობელის მიმართ რაიმე დამსახურებისათვის გამოსაღებიდან სრულიად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ. ესენი უკვე სცილდებიან დამოუკიდებელ წოდებას, და თუ პრივილეგირებულ წოდებას არ ეკუთვნიან, თავისი მდგომარეობით მას უახლოვდებიან. ამრიგად, აზატთა წოდება წარმოიშვა დამოკიდებული მდგომარეობიდან განთავისუფლებულთაგან[63]. უკანასკნელად მათი განთავისუფლება რელიგიური რწმენით მოხდა, რათა მათი განთავისუფლებით გარდაცვლილ მფლობელთა სული ცხონებული ყოფილიყო[64]. აზატების წოდებას ეკუთვნოდნენ განთავისუფლებული ფშიტლები, რომლებიც მთლად არ თავისუფლდებოდნენ მფლობელთაგან. ისინი ვალდებულნი იყვნენ ეცხოვრათ მფლობელთან ახლოს. თუ მფლობელი სადმე წავიდოდა, საჭირო შემთხვევაში ცხენი უნდა ეთხოვებინათ (თუ ჰყავდა). თუ მფლობელს სტუმრები მოუვიდოდა, აზატი ვალდებული იყო სურსათ-სანოვაგე მიერთმია. აუცილებელი იყო ცხვრის მირთმევა. თან უნდა ხლებოდა მოგზაურობაში მფლობელს, თუკი უკანასკნელი მოისურვებდა. ერთი სიტყვით, აზატი არ იყო პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი, მას ზოგიერთი ვალდებულებანი გააჩნდა მფლობელის წინაშე, მაგრამ ვინაიდან იგი თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით შორს იყო დამოკიდებული წოდებისაგან, დიდი შეცდომა არ იქნება მიეკუთვნოს პრივილეგირებული წოდების დაბალი საფეხურის წარმომადგენლებს.

ყაბარდოს ოკრუგში შემავალ მთის საზოგადოებებში პრივილეგირებული წოდება იყო ტაუები, ჩანკა და უზდენი. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი იყვნენ ტაუბისათვის განსაკუთრებული სამსახური გაეწიათ[65].

ხუთივე საზოგადოებას, თავთავიანთი ტაუბიების საგვარეულო

---

[63] იქვე.
[64] ССКГ, вып. II, с. 7.
[65] Кудашев В. Указ. труд, с. 237.

ფლობდა. ბალყარეთში მისაკოვები, ჩეგემში ᲩᲛართველი ტაუბიები იყვნენ: ბარასბიევები, ქუჩუკოვები, ბეზენგის საზოგადოებაში — სუნშევები, ხულამში — შახმანოვები, ბაქსანში — ურუსბიევები[66].

1852 წლამდე რუსეთის წარმომადგენლების ოფიციალურ მიმოწერაში ტაუბიები მამასახლისებად იწოდებოდნენ. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მიიღო მთის საზოგადოებიდან წარგზავნილი დეპუტატები, რომლებმაც მადლობა მოახსენეს ძველი ხალხური სამართლის, ადათისა და სარწმუნოების დატოვებისათვის და ბოლოს მოითხოვეს მამასახლისის „წოდების“ შეცვლა ძველი ტაუბის წოდებით, რაზედაც იმპერატორისაგან თანხმობა მიიღეს. 1852 წლიდან მთის საზოგადოებებში პრივილეგირებული წოდების უმაღლეს საფეხურზე მდგომთ დაუბრუდათ ძველი სახელი ტაუბი[67].

ტაუბიები თავიანთი წარმოშობით მაღლა იდგნენ თანამემამულეებზე, რომლებიც საკმაოდ მჭიდრო მარწუხებში ჰყავდათ მოქცეული. ტაუბიეთა წარმომადგენლები საქორწინო კავშირს ამყარებდნენ მხოლოდ ტლიახოტლიაქებთან, დეყენუგოსთან, ალდარებთან და ბადელიატებთან. მთის ხუთივე საზოგადოებაში 13 საგვარეულო იყო.

აქედან ყველაზე მეტი ბალყარეთში სახლობდა. ტაუბიების მაღალ წარმოშობაზე მეტყველებდა ისიც, რომ ურუსბიევებში, ქუჩუკოვებში, სუნშევებში, შახმანოვებში და სხვ. ყალიმის ოდენობა 1000—1500 მანეთამდე აღწევდა.

ტაუბიების ხელში იყო სასამართლო წარმოება. თითქმის ისინი განაგებდნენ საზოგადოებების ყოველგვარ საქმიანობას.

ბ) ყუმიყეთის ოკრუგი

გაბატონებული წოდების სახეობათა სიმრავლით ყაბარდოს შემდეგ ყუმიყეთი იყო. ყუმიყეთში პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები იყვნენ: ხანები ანუ თავადები, ჩანკები, პირველი თანრიგის უზდენები ანუ სალა-უზდენები, დოგერეკ-უზდენები (ყუმიყეთის ბარში ადრე ჩამოსახლებული თავისუფალი მდგომარეობის ბინადარნი) და აზატები (წინათ განთავისუფლებულები და უკანასკნელ დროს ყმები), რომლებიც მეოთხე თაობიდან იწოდებოდნენ უბრალო უზდენებად[68].

ტარკის საშამხლოში უმაღლესი წოდების წარმომადგენლები იყვნენ ტარკის შამხლის საგვარეულოს შთამომავლობა. ტარკის საშამხლოს მფლობელები ძველთაგანვე იწოდებოდნენ შამხლებად. გარდა ამი-

---

[66] იქვე, გვ. 238.
[67] ССКГ, вып. III, с. 10.
[68] საქ. ცსა, ფონდი 220, აღწ. 1, ნიგნი II, ფურც. 10.

სა ჰქონდათ ტიტულებიც — ბუინაკის მფლობელი და დაღესტნის ვალი. ტარკის სამფლობელოს უკანასკნელი შამხლის, შამსუდინის მამას — გენერალ-ადიუტან აბუ-მუსლიმ-ხანს 1849 წ. რუსეთში ხელისუფლების მიერ თავადის წოდება მიეცა შთამომავლობით, უფროს ვაჟზე გადაცემის უფლებით[69]. აბუ-მუსელიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ თავადის წოდება გადავიდა მის უფროს ვაჟზე — გვარდიის როტმისტრ შამსუდინზე, რომელიც შამხლის ტიტულსაც ატარებდა ტარკის საშამხლოს გაუქმებამდე[70].

შამხლის შთამომავლობა იყოფოდა ორ წოდებად: მამის თანაბარი შთამომავლობის დედისაგან შობილნი — ბია ანუ ბეგი, დანარჩენები, უთანასწორო ქორწინების შედეგად შობილნი, იწოდებოდნენ ჩანკებად[71].

ამ ორი თანრიგის წარმომადგენელთა შორის, თავიანთი უფლებამოვალეობათა მხრივ, დიდი განსხვავება იყო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი მამის შვილები იყვნენ.

ამ საშამხლოში, გარდა შამხლის შთამომავლობისა, ზოგიერთ სოფელში იყვნენ სხვა საგვარეულოს ბეგები, რომლებიც ყარაჩი-ბეგებად იწოდებოდნენ[72]. ყარაჩი-ბეგები თავიანთი ღირსებით დაბლა იდგნენ შამხლის შთამომავალ ბეგებთან შედარებით, თუმცა ისინი თავიანთ თავს თვლიდნენ ძველად ტარკის მოსახლეობის მფლობელთა საგვარეულოს შთამომავლებად, რომლებიც ოდესღაც, დაღესტანში არაბთა გამოჩენამდე, მმართველობის სათავეში იდგნენ. მართლაც და, ძველად, ქონებით განთქმული ყარაჩი-ბეგები, ისე გამრავლდნენ და იმდენად მრავალ ნაწილად გაიყო მათი საგვარეულო, მიწები, სათიბები, საძოვრები, ტყეები და სხვ., რომ 1860-იან წლებში თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობით უბრალო ხალხისაგან არ გამოირჩეოდნენ[73]. მიუხედავად ამისა, ყარაჩი-ბეგებს მაინც მაღლა ეჭირათ თავი, უფრთხილდებოდნენ თავიანთ წოდებას და უბრალო ხალხთან შერწყმას ქორწინებითა თუ სხვა გზით გაურბოდნენ[74]. ყარაჩი-ბეგებშიც იყვნენ ჩანკები, რომლებიც ისეთსავე დამოკიდებულებაში იყვნენ მათთან, როგორც ზემოხსენებული ჩანკები იყვნენ შამხლის შთამომავალ ბეგებთან.

ორი სახის ჩანკებს შორის განსხვავება ის იყო, რომ შამხლის შთამომავალ ჩანკებს მაინც ბეგები ეწოდებოდათ, ყარაჩი-ბეგების შთამო-

---

[69] საქ. ცსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე № 1037, ფ. 1.

[70] Шамхалы тарковские (с ролословной таблицей), ССКГ, вып. I, с. 67.

[71] საქ. ცსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე № 1037, ფ. 1—2.

[72] საქ. ცსა, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე № 1037, ფ. 1—2.

[7] იქვე, ფ. 4.

[74] იქვე, ფ. 4—5.

მავალი ჩანკები კი ამას მოკლებულნი იყვნენ და თანაც უბრალო ხალხისაგან განსაკუთრებული უფლებებით არ გამოირჩეოდნენ[75].

ტარკის საშამხლოში ყარაჩი-ბეგების შემდეგ მოდიოდნენ უზდენები — თავისუფალი მოსახლენი. ისინი არ იყოფოდნენ თანრიგებად. მხოლოდ რამდენიმე სოფელში ზოგიერთი გვარის წარმომადგენლები, ქონების მიხედვით, თავიანთ თავს თვლიდნენ მაღალი რანგის უზდენებად, თუმცა მათ არავითარი განსხვავებული უფლებები არ ჰქონდათ ჩვეულებრივ უზდენებთან შედარებით და ეკონომიკურადაც თითქმის დიდად არ განსხვავდებოდნენ უზდენთა ძირითადი მოსახლეობისაგან.

ყუმიყეთის იმ მხარეებში, სადაც შამხლები არ იყენენ მმართველებად, გაბატონებული წოდების მაღალ საფეხურზე ხანები იდგნენ. თავისი მდგომარეობით და უფლება-მოვალეობით ყუმიყეთის ხანი თანასწორი იყო ყაბარდოელთა ფში-ს, ნოღაელთა მურზას, ყარაჩაელთა აქსიუკ-ის, აბაზინელთა ახა-სი[76] და საერთოდ ყველა ჩამოთვლილ სახეს შეიძლება საერთოდ ეწოდოს თავადი. ყუმიყეთში, შამხლების შემდეგ, პირველი ადგილი ხანებს ანუ თავადებს ეკავათ. აქ იყვნენ ნოღაელებიც, რომლებსაც თავიანთი თავადები ჰყავდათ. ყუმიყი თავადები ნოღაელ თავადებს აძლევდნენ შვილებს აღსაზრდელად. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება ჰქონოდათ. საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის წინ ყუმიყეთში 10 თავადური საგვარეულო არსებობდა: ენდრეიში—კაზანალიპოვები, აიდემიროვები, თემიროვები, მურთაზალი-აჯიევები. იახსაიში — ალიბეკოვები, კაპლანოვები, ელდაროვები, არსლანბეკოვები, იგივე ხაზბულატოვები და უიმიევები. კოსტეკში — ალიშევები, იგივე ამზინები[77].

დაღესტანში რუსების გამოჩენამდე ხანები დიდი გავლენით სარგებლობდნენ ხალხში. ხანის სახლი თავშესაფარი იყო, სადაც მკვლელსაც კი ვერავინ შეეხებოდა. ვისაც თავისუფალ მიწაზე უნდოდა დასახლება, ხანისათვის უნდა მიემართა, რომლის წინაშეც მცირე ვალდებულებას კისრულობდა[78]. ხანს ანუ თავადს ერთგულად ემსახურებოდნენ სალა უზდენები. ისინი მზად იყვნენ თავადისათვის მთელი თავისი ქონება გაეღოთ და, საჭირო შემთხვევაში, სიცოცხლეც კი შეეწირათ.

თავადები სხვა უზდენებსაც აძლევდნენ მიწებს,რისთვისაც ვალდებულები იყვნენ ემსახურათ ისევე, როგორც სალა-უზდენები ემსახურებოდნენ თავადს. თავადი ყოველთვის ცდილობდა თავისი ღირსების

---

[75] იქვე.

[76] საქ. ცსა. ფონდი 7, ანაწ. 8, საქმე 11, ფ. 8.

[77] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. IV, Тифлис, 1884, с. 30.

[78] Макаров Т. Кумыкский округ, газ. «Кавказ», 1860, № 78, с. 459.

ტოლ წარმოშობის ქალზე დაქორწინებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მუსულმანებში დაშვებული იყო მრავალცოლიანობა, ყუმიყებში იგი იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა[79]. თავადები თავიანთ შვილებს ხშირად სალა-უზდენებს აძლევდნენ აღსაზრდელად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თავადს მაღალი ღირსება და უფლებები ჰქონდა ყუმიყეთში.

თუ თავადს ვინმე მოკლავდა, მკვლელის ოჯახისათვის უზდენს უნდა გადაეხადა სამაგიერო. თუ მკვლელი თავადი იყო, მაშინ სამაგიერო მისი უზდენისათვის უნდა ეზღოთ[80]. თუ თავადი თხოვდა, უზდენს უნდა დაეთმო ყოველი ნივთი, როგორი ძვირფასიც არ უნდა ყოფილიყო იგი. უზდენები ეხმარებოდნენ თავადს სახლში, მაგრამ ისინი შავ სამუშაოებს არ ასრულებდნენ. ასეთ სამუშაოებს ასრულებდნენ თერეკემენები, ჩაგარები და მონები. თავადი ბიწას აძლევდა უზდენს არა იმიტომ, რომ გადასახადი ეხდევინებინა, არამედ იმისათვის, რომ მისი გული მოეგო და ერთგულება დაემსახურებინა. უზდენი ყველგან თან დაჰყვებოდა თავადს: გასეირნებისას, ნადირობისას, ხშირად იგი თავადთან იყო სახლში.

თუ თავადი და უზდენი ერთად მიდიოდნენ ან იდგნენ, უზდენი მარცხენა მხარეს იყო. თუ რამდენიმე უზდენი ახლდა თავადს, ისინი ორივე მხარეს იდგნენ, თავადი კი შუაში იყო. თუ თავადი იჯდა, უზდენები ფეხზე უნდა მდგარიყვნენ, გარდა ერთისა, მათ შორის უფროსისა. თავადი სადილობდა კვლავ ერთ-ერთ უფროსთან, სხვები ემსახურებოდნენ, როცა დაამთავრებდა სადილობას, დანარჩენები დასხდებოდნენ ნარჩენებზე სასადილოდ[81]. სამსახურისათვის თავადი იარაღით, ტანსაცმელითა და ცხენით ასაჩუქრებდა უზდენებს. თუ ვინმე თავადს აწყენინებდა, უზდენი სამაგიეროს გადაუხდიდა და პირიქით, თუ უზდენს ვინმე აწყენინებდა, თავადი გადაუხდიდა სამაგიეროს. თავადს არ შეეძლო უზდენის დასჯა, შეეძლო მხოლოდ მის მიერ ნაჩუქარი ცხენის, ნივთების და სხვ. ჩამორთმევა. თუ შერიგდებოდნენ, თავადი კვლავ უბრუნებდა ჩამორთმეულ საჩუქრებს და სხვა რაიმე ნივთს აძლევდა კიდევ დამატებით. ყუმიყეთში რუსეთის ხელისუფლების გავრცელების შემდეგ თავადებს მიწის ნაწილი ჩამოერთვათ[82]. მათ აღარ შეეძლოთ მიწისა და სხვა რაიმე ნივთების გაჩუქება. თავადებმა დაკარგეს უზდენებში სიმპატია და გავლენა.

ყუმიყეთში დიდი გავლენით სარგებლობდნენ სალა-უზდენები. თუ

---

[79] СМОМПК. Вып. IV, с. 31.

[80] Макаров Т. Кумыкский округ, «Кавказ», 1860, № 78. с. 459.

[81] იქვე.

[82] იქვე.

სალა-უზდენის ხმა სხვა წოდების წარმომადგენლის ხმას შეუერთდებოდა, თავადსაც კი აჯობებდა. ამიტომ იყო, რომ თავადები ყოველთვის ცდილობდნენ სალა-უზდენებთან კარგ განწყობილებაში ყოფილიყვნენ და საჭირო შემთხვევაში, ერთნაირი აზრი ჰქონოდათ. სალა-უზდენთა უხუცესები მცირე მნიშვნელობის სადავო საქმეებს არჩევდნენ. მთავარ სოფლებში სალა-უზდენებს თავიანთი კვარტალი ჰქონდათ. ძათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. ისინი თავიანთ მონა-ყმებთან ერთად გადიოდნენ მინდვრად სამუშაოდ. სალა-უზდენთა ბევრ წარმომადგენელს საკუთარი ხუტორები ჰქონდათ, სადაც თავისუფალი წოდების ხალხი ცხოვრობდა. ეს ხალხი მათ ყოველწლიურად ღალას უხდიდა. XIX ს. შუა ხანებში ენდრეიში სალა-უზდენთა შემდეგი გვარები არსებობდნენ: ყანდაუროვები, პაშტოვები, რეჯეფ-აჯიევები, კაზბეკები და ტუტუშჩევები[83]. აქსაიში იყვნენ: ტაულუევები, ყარაბუდაკოვები, აჩაკანოვები, კაჩალაევები. კოსტეკში ცხოვრობდნენ ტოკაევები, უმარ-აჯიევები და გებოკოვები. სალა-უზდენსა და თავადს შორის ადგილი ეკავა არათანაბარი ქორწინებით თავადისა და უზდენი ქალის შთამომავალს — ჩანკას.

სალა-უზდენების შემდეგ მეორე რიგის უზდენები, ალუ-უზდენები მოდიოდნენ. მათ აგრეთვე, უბრალოდ, უზდენს ან დიდ უზდენს უწოდებდნენ. ულუ-უზდენებს საკუთარი მიწა არ გააჩნდათ და ამუშავებდნენ თავადის ან სალა-უზდენის მიწას[84]. რიგითი უზდენები მხოლოდ თავისუფლებით სარგებლობდნენ. პირდაპირი მნიშვნელობით უზდენ-ია ის, ვინც თვითონ ცხოვრობს, თავისთვის[85].

ხსენებული რიგის უზდენებს უფლება ჰქონდათ წასულიყვნენ ერთი მფლობელიდან მეორესთან, როცა მოესურვებოდათ, ყოველგვარი შეფერხებისა და ვალდებულების გარეშე. ისინი ამაყობდნენ ხსენებული თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით, თუმცა, ქონების მხრივ, შორს იყვნენ თავადებისა და სალა-უზდენებისაგან. რაც შეეხება სასულიერო წოდებას, ყოველ სწავლულს შეეძლო ყოფილიყო ეფენდი ან ყადი[86]. თუმცა რეფორმის წინ ისინი არც ქონებითა და არც ხალხზე გავლენით ულუ-უზდენებისაგან არ განსხვავდებოდნენ.

გაბატონებული წოდების წარმომადგენლები მშრომელი ხალხის ექსპლოატაციით ცხოვრობდნენ. ბოლო ხანებში მათ ძველი ადათ-ჩვევებით დადგენილი გადასახადები გაადიდეს[87]. ხშირად აფართოებდნენ

---

[83] ტუტუშჩევები ყირიმიდან იყვნენ გადმოსულები.

[84] Макаров Т. Кумыкский округ. газ. «Кавказ», 1860, № 78, с. 459.

[85] იქვე.

[86] იქვე.

[87] საქ. ცსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე № 1037, ფ. 5—6.

თავიანთ მეურნეობებს, რის გამოც გლეხთა მიწის ნაკვეთები მცირდებოდა, რაც უბრალო ხალხის უკმაყოფილებასა და საჩივრებს იწვევდა[88]. 1860-იან წლებში ისე გახშირდა მშრომელი მოსახლეობის საჩივრები გაბატონებული კლასის ზედმეტი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რომ იგი ერთ-ერთი მიზეზთაგანი გახდა ყუმიყეთში ცალკეულ სამფლობელოთა გაუქმების დაჩქარებისათვის.

გ) ოსეთის ოკრუგი

ჩრდილო ოსეთი შედგებოდა ექვსი — თაგაურის, ქურთათის, ალაგირის, დიგორის, ზაკისა და ნარ-მამისონის საზოგადოებებისაგან[89].

ეს საზოგადოებები, თავის მხრივ, მცირერიცხოვან საზოგადოებებად იყო დაყოფილი, საგვარეულოთა მიხედვით. საზოგადოებების შიგნით ამგვარი დაყოფა XIX ს. მიწურულამდე არსებობდა[90], რაც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დაბალი დონის შედეგს წარმოადგენდა. ჩამოთვლილ საზოგადოებებში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონე სხვადასხვაგვარი იყო. ამ მხრივ შედარებით მაღლა იდგნენ თაგაურისა და დიგორის საზოგადოებები. ალაგირის, ქურთათის, ზაკისა და ნარ-მამისონის საზოგადოებებში ფეოდალური ურთიერთობა იმდენად დაბალ დონეზე იყო, რომ ზოგიერთი მაშინდელი მკვლევარის აზრით იქ წოდებრივი დაყოფა არ არსებობდა[91], და მხოლოდ საპატიო საგვარეულოები იყო, რომლებსაც ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდათ[92]. XIX ს. 60-იან წლებში ზემოხსენებულ ოთხ საზოგადოებაში წოდებრივი დაყოფის უარყოფა არ არის მართებული. იქ დიდი ხანია არსებობდნენ გაბატონებული და მათზე დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები. ამავე დროს, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ხსენებულ საზოგადოებებში ისე ღრმად არ იყო შეჭრილი ფეოდალური ურთიერთობა, როგორც თაგაურისა და დიგორის საზოგადოებებში[93].

გაბატონებული წოდების წარმომადგენლები და, რაღა თქმა უნდა, მათზე დამოკიდებული „შავი“ ხალხი, მეტ-ნაკლებად ექვსივე საზოგადოებაში არსებობდნენ.

---

[88] იქვე, ფ. 6.

[89] Лавров Д. Об Осетии и осетинах, СМОМПК, вып. III, Тифлис, 1883, с. 295.

[90] იქვე.

[91] Дубровин Н. Ф. История войн и владычества русских на Кавказе, т. I, ч. I, Спб, 1871, с. 357.

[92] Лавров Д. Указ. труд, с. 299.

[93] История Северо-Осетинской АССР, с. 94.

მართალია, გაბატონებული წოდების უმაღლესი კატეგორია (როგორც ყაბარდოს ფში-თავადი[94], ყუმიყეთის ხანი და თავადი, ნოღაის მურზა, ნატუხაელთა სულთანი და ფში და სხვ.) ჩრდილო ოსეთში არ არსებობდა, მაგრამ არსებობდა აზნაურის თანატოლი ალდარი, ბადელიატი, ცარგასატი და გაგუათი, რომლებიც უტოლდებოდნენ ყაბარდოს დეეენუგოს, უფრო ზუსტად კი, ტლიახოტლიაქს, ბესლენელთა, აბაძეხთა, შაფსუღთა და ნატუხაელთა მამასახლისებს[95].

ოსეთში პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები, საზოგადოებათა მიხედვით, სხვადასხვა სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი.

თაგაურის საზოგადოებაში პრივილეგირებული წოდება იყო თაგაური ანუ თაგიათა[96], რომლებიც 1847 წლიდან ალდარის სახელწოდებას ატარებდნენ[97]. თაგიათების (ალდარების) 11 გვარი იყო თაგაურში: თულათოვები, ქუნდუხოვები, მამსუროვები, ალდათოვები, თუღანოვები, თხოსტოვები, ესენოვები, კანუკოვები, შანაევები, დუდაროვები, ჯანტიევები. მათ რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში სტარშინებსაც უწოდებდნენ[98]. მათგან ყველაზე გავლენიანი საგვარეულო დუდაროვები იყო[99].

დიგორში პრივილეგირებული წოდება ერთმანეთის თითქმის თანატოლი ღირსების სამ მოდგმას აერთიანებდა: ბადელიათებს[100], ცაგა-

---

[94] П Ф А Ф В. Б. Указ. труд, с. 84.

[95] საქ. ცსა, ფონდი, 7, ანაწ. 8, საქმე 11, ფ. 7.

[96] ძველი გადმოცემით, სომხეთიდან გამოქცეული უფლისწული თაგა (თაგაორ სომხურად მეფეს ნიშნავს), ქურთასთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაში მოვიდა და ოსეთში, ალაგირის ხეობაში დასახლდა. პირველად ისინი აულ ქსურდში სახლობდნენ, როგორც თავადები. თაგა შემდეგში თავისი სამი შვილით თაგაურის ხეობაში აულ დარგავსში გადასახლდა. ერთი გადმოცემით, თაგას ალაგირში მეზობლებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. თაგაურში კი, სადაც მისი შთამომავლობა გადასახლდა, ხალხის ძარცვა დაუწყიათ, გამდიდრებულან და ძალით პრივილეგირებული მდგომარეობისათვის მიუღწევიათ, ხალხზე ბატონობა დაუწყიათ. იხ. П ф а ф В. Б. Материалы для истории Осетин, ССКГ, Вып. V, Тифлис, 1871, с. 80—81; აგრეთვე Ш а н а е в Дж. Осетинские народные сказания, гл. предание о пройсхождении тагаурцев, с. 35—38.

[97] Л а в р о в Д. Указ труд, с. 298.

[98] ЦГВИА, ф. ВУА, з. 6164, л. 1—12.

[99] ოსეთის ისტორია ძველის ისტორიულის წყაროებით, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1913, გვ. 195; М. М. Б л и е в, Осетия в первой трети XIX века, Ордж., 1964, с. 27.

[100] ბადელიატთა საგვარეულოს ფუძემდებელი, ძველი გადმოცემით, ბადელი (ბადალა) იყო. იგი მაჯარიდან მოსულა კარგად შეიარაღებული რაზმით, დაუკავებია თავისუფალი მიწა და მალე ალდარად, ფეოდალად ქცეულა. უბრალო დიგორელების გადმოცემითაც ბადელი დიგორში მაჯარიდან მოვიდა, ცეცხლმსროლი იარაღით. დიგორელებმა იგი დაიქირავეს ყაბარდოელ და ბალყარელ მტაცებელთა წინააღმდეგ,

სათებს[101] და გაგუათებს[102]. XIX ს. მეორე ნახევარში ოსეთში ბადელიათების შემდეგი გვარები იყვნენ ცნობილნი: თუღანოვები, კუბატიევები, ყარაჯაევები, კითუევები, კაბანოგები და სხვ[103]. მათგან ყველაზე გავლენიან გვარად თუღანოვები და კუბატიევები ითვლებოდნენ, რომლებსაც თავადებსაც კი უწოდებდნენ[104]. დიგორში არსებული გაბატონებული წოდების სამივე შტო მეტ-ნაკლებად ერთმანეთს უთანაბრდებოდა, ყოველ შემთხვევაში, გაბატონებული წოდების სამი დასახელებული მოდგმიდან ყველაზე უძველესი წარმოშობისად გაგუათები ითვლებოდნენ[105], თუმცა ბოლო ხანებში მათ ნაწილობრივ დაკარგეს წოდებრივი უპირატესობა[106]. დიგორში ბადელიათთა ხელისუფლების გაძლიერებამდე სთირდიგორის ცარგასათები პირველობდნენ[107].

ქურთათის საზოგადოებაში გაბატონებული წოდებაც ისეთივე წარმოშობისად იყო მიჩნეული, როგორც სხვა საზოგადოებებში. ქურთათში გაბატონებული წოდების წინაპრად თაგას ძმა ქურთა ითვლებოდა. ოსეთის ძველ ისტორიაში ქურთათის გაბატონებული წოდება თაუბიის სახელწოდებითაა მოცემული[108], ოსეთის ქრესტომათიის პირ-

---

სამეგიეროდ შეპპირდნენ ყოველ კომლს მიეცა ის, რაც გააჩნდა ბადელის შვილებმა ბადელისადმი ხალხის დანაპირები სავალდებულო ხარკით შეცვალეს, რის გამოც ხშირად სისხლისღვრას ჰქონდა ადგილი. ბადელიატებსა და დიგორელ ხალხს შორის ამ საკითხზე დავა XIX ს. შუახანებშიც არ შეწყვეტილა. იხ. Пфаф. В. Б. Материалы для истории осетин. ССКГ, вып. V, с. 85.

101 ცარგასადები, მათივე გადმოცემით, ჰამისონის ხეობიდან იყვნენ გადმოსულები. მოსახლეობამ მათ კლდის ამაღლებულ ადგილზე, რომელსაც ცარგასს (არწივი) უწოდებდნენ, ყარაულობა დააკისრა. მათ ევალებოდათ თავდამსხმელთა თვალყურის დევნება, რათა დროულად გაეფრთხილებინათ მოსახლეობა წინააღმდეგობის გასაწევად. მოგვიანებით მათ დაეკისრათ საძოვრების განსაზღვრა და მწყემსთა თვალყურის დევნება, რისთვისაც მოსახლეობა რძესა და ყველს აძლევდა. მათ მალე საძოვრები მიითვისეს და მოსახლეობისაგან გადასახადების აკრება დაიწყეს. მეორე გადმოცემით, ცარგასი ანუ სარგასი ჩრდილოეთიდან მოვიდა შარავშთან ერთად. ცარგასი დიგორში დასახლდა. მას სამი შვილი ჰყავდა, რომელთა შთამომავლობას წარმოადგენდნენ: ყარაბუგაევები, თიმაზოვები, და კანტემიროვები. შარვაში კი აფხაზეთში წავიდა, სადაც იგი თავად შარვაშიძეთა საგვარეულოს ფუძემდებლად იქცა.

102 ეს სახელწოდება მითური წინაპრის — გაგოსაგან წარმოიშვა, რომელიც ძველად დონიფარსში დასახლებულა და ხელქვეითები ჰყოლია.

103 Пфаф В. Б. Указ. труд, с. 85.

104 ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით, გვ. 195.

105 Пфаф В. Б. Указ. труд, с. 85.

106 იქვე.

107 Скитский Б. В. Хрестоматия по истории Осетии, ч. I, Орджоникидзе, 1956, с. 123.

108 ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1913, გვ. 195.

ველ ნაწილში კი — უზდენლაგის სახელწოდებით. ქურთათში ყველაზე ძლიერი და შეძლებული გვარი იყო: ცალიკოვი, ესიევი, თეზიევი და გურიევი[109].

ალაგირის საზოგადოებაშიც უზდენლაგი იყო პრივილეგირებული წოდება. აქ უზდენლაგთა წარმომადგენლები იყვნენ ცარაზონო

ლებაში იყო გარკვეული დროის განმავლობაში[113]. თაგაურში არსებობდა დამოკიდებული წოდების ყველაზე უუფლებო სახეობა — ქუსაგი ანუ მონა. მფლობელს შეეძლო მისი გაყიდვა, გაჩუქება ან ყოველგვარი გზით გასხვისება, როგორც ცალკე, ასევე მთელი ოჯახით[114]. ერთი სიტყვით, მფლობელი სრული ბატონ-პატრონი იყო ქუსაგისა.

დიგორში ფეოდალების — ბადელიათების ღირსება შთამომავლობითი იყო და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მოსახლეობა უკმაყოფილო .იყო ბადელიათთა გადასახადებით. ამასთანავე ამტკიცებდნენ, რომ ბადელიათებმა თვითნებურად მიითვისეს საზოგადოებრივი საძოვრები. ტყე და მიწები, რომ არავითარი უფლება არ ჰქონდათ მოსახლეობისაგან გადასახადების აღებისა.

სთირდიგორში პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები, როგორც ზემოთ აღინიშნა, იყვნენ ცარგასათები, რომლებიც თავიანთი ღირსებით ბადელიათების ტოლები იყვნენ. მშრომელი მოსახლეობა მათ ფეოდალურ უფლებებსაც უარყოფდა საძოვრებზე და მედგრად იბრძოდა ცარგასათთა თვითნებობის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლების შემდეგ XVIII ს. მათ თითქმის დაკარგეს საბატონო ბეგარისა და ღალის აღების უფლებები[115]. გაგუათთა უფლებები და გავლენა გლეხებზე უფრო სუსტი იყო ცარგასათებთან შედარებით. მართალია ხელისუფლების მიერ გაგუათები ფეოდალებად იქნენ მიჩნეული, მაგრამ მათ ცარგასათებზე დაბლა აყენებდნენ[116]. ამრიგად, დიგორში პრივილიგირებული წოდების სამი სახეობის არსებობა, ფეოდალური ურთიერთობების შედარებით განვითარების შედეგი იყო, ოსეთის სხვა საზოგადოებებთან შედარებით აქ დამოკიდებული წოდების სახეებიც მეტი იყო და მათი რაოდენობაც. ძირითად მასას აქაც ადამიხატები (ფარსაგლაგების შესატყვისი) შეადგენდნენ. როგორც ყველგან, აქაც არსებობდა ქავდასარდები და ქუსაგები. სხვა კუთხეებისაგან განსხვავებ-თ, დიგორში დამოკიდებული წოდების ცალკე სახეობა, ეგრეთ წოდებული ხეხესები არსებობდნენ. ყველა ჩამოთვლილი სახის დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები სხვადასხვა სახისა და რაოდენობის გადასახადებს უხდიდნენ მფლობელებს, ქუსაგები კი უშუალოდ მფლობელთა კუთვნილებას წარმოადგენდნენ.

ქურთათის საზოგადოებაში პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები იყვნენ ქურთათები. მათ ჰყავდათ ხელქვეითები — ფარ-

---

[113] ССКГ, вып. I, с. 44—45.
[114] იქვე, გვ. 38.
[115] История Северо-Осетинской АССР..., с. 97.
[116] იქვე.

საგლაგები, ქავდასარდები და ქუსაგები. ქურთათის საზოგადოებაში არ შეიძლებოდა პრივილეგირებული წოდების რიგებში შესვლა არც ფულით და არც დამსახურებით[117]. ქურთათები თავიანთი მიწებით სარგებლობისათვის ფარსაგლაგებს ღალას ახდევინებდნენ[118]. მათ შეეძლოთ სასამართლოს გარეშე დაესაჯათ ისინი. ფეოდალის ნებართვის გარეშე არც მის მიწაზე და არც მის აულში ფარსაგლაგს დასახლების უფლება არ ჰქონდა. ფეოდალი იცავდა მის მიწაზე მცხოვრებ ფარსაგლაგს.

ალაგირის ხეობაში იყო პრივილეგირებული წოდება სთირ ანუ თიხჯინ მიგგაგ (უზდენლაგი) და ფარსაგლაგი[119]. ამ ორი წოდების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა ისეთივე იყო, როგორც ქურთათის საზოგადოებაში. პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები მფარველობდნენ და იცავდნენ მათზე დამოკიდებული წოდების წარმომადგენლებს.

ფეოდალური ურთიერთობების საფუძველი ოსეთშიც იყო მიწაზე კერძო ფეოდალური საკუთრება. იგი ყალიბდებოდა მიწის საოჯახო, საგვარეულო და სათემო მფლობელობის საფუძველზე. მიწაზე საგვარეულო საკუთრება ნიღბავდა მიწის ფეოდალურ მისაკუთრეობას[120]. სათემო მიწითსარგებლობა XIX ს. დასაწყისისათვის ოსეთშიც ფაქტიურად იურიდიულ ფიქციას წარმოადგენდა.

ჩრდილო ოსეთში ალდარ-ბადელიათთა ბატონობა ემყარებოდა მათ განკარგულებაში მიწების მეტ-ნაკლებად დიდი ფართობების არსებობას, რაც ჰქმნიდა შესაძლებლობას მიეღოთ რენტა.

ფეოდალური წრეები არა მარტო უპირატეს როლს ასრულებდნენ ოსეთის სოციალურ ცხოვრებაში, არამედ ისინი წყვეტდნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებსაც.

რაც შეეხება საზოგადოებებს შიგნით წყობას და მმართველობას რეფორმის წინ ყველგან ერთნაირი იყო, ვინაიდან ყველგან ბოქაულები წარმართავდნენ საზოგადოების საქმიანობას. ბოქაულებს კი ოსეთის ოკრუგის უფროსი ხელმძღვანელობდა[121].

---

[117] Скитский Б. В. Указ. труд, с. 104.

[118] Скитский Б. В. Сословный вопрос в северной Осетии во второй половине XIX и в начале XX В., Известия СОНИИ, Т. XVI, Орджоникидзе, 1954, с. 74.

[119] იქვე, გვ. 74.

[120] Блиев М. М. Осетия в первой трети XIX века, Орджоникидзе, 1964, с. 20.

[121] Берже Ад. Краткий обзор горских племен на Кавказе. Кавказский календарь, Тифлис, 1857, с. 295.

დ) ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ოკრუგები

თერგის ოლქში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ყველაზე დაბალი დონით ჩეჩნეთ-ინგუშეთი გამოირჩეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ფეოდალური ურთიერთობა დიდი ხნის წინათ იყო ჩასახული, რეფორმის წინ ძნელი შესამჩნევი იყო მოსახლეობაში წოდებრივი დაყოფა. ამიტომ იყო, რომ თითქმის ყველა მკვლევარი[122] უარყოფდა ჩეჩნეთ-ინგუშეთში ფოდალური ურთიერთობების არსებობას. ისინი თვლიდნენ, რომ მოსახლეობაში არ იყო წოდებრივი დაყოფა, არ იყო გაბატონებული წოდება და იურიდიულად ყველანი თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ. ა. ბერჟე სრულიად უყოყმანოდ აღიარებდა: „ჩეჩნეთში არ იყო წოდებრივი დაყოფა, მათ შორის არავითარი ფეოდალური პრივილეგიები არ შეიმჩნეოდა"[123]. უ. ლაუდაევის აზრით, ჩეჩნებს არ ჰყავდათ თავადები, ყველანი ერთმანეთის თანაბარნი, არავისაგან დამოკიდებულნი არ იყვნენ. ისინი ამბობდნენ თავისუფალი ვართ როგორც მგლებიო[124].

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამდელი ავტორები და რიგი საბჭოთა მკვლევარების ხელაღებით უარჰყოფდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობაში წოდებრივ დაყოფას, დღეისათვის საკითხის ღრმა შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე თანდათანობით დგინდება იქ ფეოდალური ურთიერთობის არსებობა.

მართალია ჩეჩნეთ-ინგუშეთი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონით ისეთ დაბალ საფეხურზე იდგა, რომ იგი მეზობელ ჩრდილო ოსეთში ყველაზე ჩამორჩენილ ალაგირის, ქურთათის, ზახისა და ნარ-მამისონის საზოგადოებებს უთანაბრდებოდა, მაგრამ როგორც ჩამოთვლილ საზოგადოებებში, იქაც საზოგადოების კლასებად დაყოფის პროცესი დიდი ხნის დაწყებული იყო.

ჩეჩნეთ-ინგუშეთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების

---

[122] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1964; Ипполитов А. П. Этнографические очерки аргунского округа., ССКГ, вып. I, Тифлис, 1869; Попов И. М. Ичкерия, ССКГ, вып. IV, Тифилис, 1870; Лаудаев У. Чеченское племя, ССКГ, вып. VI, Тифлис, 1872; Берже А. П. Чечня и чеченцы, Тифлис, 1859; მისივე, Краткий обзор горских племен на Кавказе, КК на 1858 год, Тифлис, 1857. Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 — по 1803 год, чч. I и II, Спб, 1869; Грабовский Н. Ф. Экономический и домашний быт жителей горского участка Ингушетского округа, ССКГ, вып. III, Тифлис, 1870; მისივე, Ингуши, ССКГ, вып. IX, Тифилис, 1876, Ахриев Ч. Ингуши, ССКГ, вып. VIII, Тифлис, 1875, და სხვ.

[123] Берже А. П. Чечня и чеченцы, Тифлис, 1859, с. 90.

[124] Лаудаев У. Чеченское племя, ССКГ, вып. VI, с. 24.

განვითარების იმავე გზით მიდიოდა, როგორითაც სხვა ხალხები[125], მაგრამ ამ მხარეში არსებული ბუნებრივი პირობებისა და შინაგან თავისებურებათა გამო ფეოდალური ურთიერთობების განვითარება ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში ჯერ კიდევ ბლომად იყო გადმონაშთის სახით პირველყოფილი თემური და მონათმფლობელურ წყობილებათა ელემენტები, რომლის გვერდით უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი და ნელი ტემპით ვითარდებოდა ფეოდალური ურთიერთობანი. საზოგადოების განვითარების ეს სამი წყობა მჭირდოდ იყო გადახლართული ერთმანეთში, თუმცა დრო ნელი ტემპით, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების სასარგებლოდ მოქმედებდა. „შინაგანი, კონკრეტულ-ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით, ბუნებრივი პირობებისა და გარეპოლიტიკური ვითარების გამო ჩეჩნებისა და ინგუშების საზოგადოებრივი წყობილება განსახილველ პერიოდში მრავალწყობიანობით ხასიათდებოდა. მასში გადახლართული იყო და ერთდროულად თანაარსებობდნენ პირველყოფილი თემური, მონათმფლობელურ წყობილებათა და ფეოდალური ურთიერთობის ნიშნები“[126]. ყოველივე ამან განსაკუთრებულ ჩარჩოში მოაქცია საზოგადოების განვითარება და შეზღუდა ფეოდალური ურთიერთობის წინსვლის ტემპი, რის გამოც ხსენებულმა პროცესმა დასრულებული სახე ვერ მიიღო[127].

მიუხედავად ჩეჩნეთ-ინგუშეთში არსებული არახელსაყრელი პირობებისა, ფეოდალური ურთიერთობა იქ დიდი ხნის შეჭრილი იყო და, როგორც აღინიშნა, მცირედ, მაგრამ საზოგადოებაში წოდებრივი დაყოფა შეინიშნებოდა.

ჩეჩნეთში რეფორმის წინ რამდენიმე დაწინაურებული გვარი არსებობდა. ქონებრივი დაწინაურების ერთ-ერთ წყაროს ტყვეებით ვაჭრობა წარმოადგენდა. ტყვეთა მოტაცება და გაყიდვა მათ ადიღეელებიდან გადმოიღეს[128]. ჩეჩნები მეზობელ მხარეებში იტაცებდნენ ადამიანებს, ტყვეებად აქცევდნენ[129] და შორეულ ქვეყნებში ყიდიდნენ მონებად.

თანდათანობით მკვეთრად გამოიკვეთა მდიდართა, ძლიერთა გვარე-

---

[125] Таваका́лян Н.А. О классах и классовой борьбе в чечено-ингушском обществе во второй половине XVIII-первой половине XIX в. «Социальные отношения и классовая борьба в Чечено-Ингушетии в дореволюционный период (XI—нач. XX вв.)» °Грозный, 1979, с. 70.

[126] Тавакалян Н. А. Указ. труд, с. 70.

[127] შავხელიშვილი ა. საქართველო — ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI—XVIII სს., თბილისი, 1980, с. 40.

[128] Лаудаев У. Указ. труд, с. 26.

[129] აქტები, ტ. III, გვ. 663.

ბი. მდიდრებსა და ამავე დროს ძლიერ გვარებს საზოგადოებაში დიდი ხმა და გავლენა ჰქონდათ. დროთა განმავლობაში მათი უფლებები ფართოვდებოდა. ჩეჩნებს, მართალია, თავიანთი თავადები არ ჰყავდათ, მაგრამ მეზობელი ტომებიდან იწვევდნენ თავადებს, მათ მორჩილებას აღიარებდნენ და პირობას აძლევდნენ, რომ გადაუხდიდნენ გადასახადს — იასაკს[130]. გიულდენშტედტის თქმით, ჩეჩნებს ჰყავთ მთავრები. გაბატონებული გვარი არის ტურკანი და ენათესავება ავართა ხანს.

იჩქერიელებმა და შატოელთა ნაწილმა ნებაყოფლობით ავართა ხანების გვერდითი შტოს შთამომავლები, გუმბეთელ მელარდოევთა წარმომადგენლები მოიწვიეს თავადებად და გადასახადის — იასაკის მიცემას შეეპირდნენ. დიდი ჩეჩნეთის მოსახლეობამ, ყუმიყელი და მცირე ჩეჩნეთის მოსახლეობამ ყაბარდოელი თავადები მიიწვიეს და მორჩილება აღუთქვეს. მაგრამ პირობა მალე დაარღვიეს და უკან გარეკეს ეს მოწვეული თავადები. თერგის მარჯვენა მხარეს დასახლებული, თერგსზემო ჩეჩნები უყოყმანოდ ემორჩილებოდნენ თავადებს. მორჩილების მიზეზი ის იყო, რომ თავადებს მეფის რუსეთის აქაური წარმომადგენლები უჭერდნენ მხარს და, ამდენად, მეფის რუსეთის იარაღის წინაშე შიშით იყო ეს მორჩილება გაპირობებული[191]. მორჩილებისა და გამდიდრების წყაროს არსებული მიწის იჯარით გაცემაც წარმოადგენდა.

ჩეჩნეთში ხშირი იყო მიწითსარგებლობისათვის გადასახადების გაღება ფეოდალთა სასარგებლოდ. კაჩკალის სანაიბოს აულ ენგელიურთის ყოველი კომლი სახნავი მიწით სარგებლობისათვის აულის მფლობელს უხდიდა ორ საწყაო ხორბალს, ცხვრის ძოვებისათვის ყოველ 100 ცხვარზე ერთ ცხვარსა და ბატკანს[192].

სათიბით სარგებლობისათვის მიწისმფლობელს ერთნი უხდიდნენ ერთ ურემ თივას, აულ ამირ-აჯი-იურთის თითოეული კომლი კი იხდიდა 1 მანეთს ვერცხლით[193].

მთაში, სადაც ინგუშები ცხოვრობდნენ, ყოველ აულს თავისი პატრონი ჰყავდა, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში აულის სახელს ატარებდნენ[194].

---

[130] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 77.

[131] Лаудаев У. Указ. труд, с. 26.

[132] Исаев С. А. Из истории Социальных отношении и классовой борьбы в Чечено-Ингушетии в последней четверти XIX в., «Социальное отношеное и классовая борьба в Чечено-Ингушетии в дореволюционный период (IX—нач. XX в.)» Грозный, 1979, с. 103.

[133] Исаев С. А. Указ. труд, с. 103.

[134] Ахриев Ч. Ингушские праздники, ССКГ, вып. Y, Тифлис, 1872, с. 2.

აულის მოსახლეობა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა პატრონს. მის პატივსაცემად მართავდნენ დღესასწაულებს. თუ რომელიმეს გაუჭირდებოდა, პატრონს მიმართავდა დახმარებისათვის[135]. მოსახლეობა ყოვლისშემძლედ თვლიდა მას და ამიტომ ყოველგვარ ვალდებულებას ასრულებდა მის წინაშე[136].

ინგუშებში არსებულ წოდებრივ დაყოფაზე მიგვანიშნებს გიულდენშტედტიც: „ინგუშებს არ ჰყავთ აზნაურთა წოდება, მაგრამ მათში არიან დიდი ხნის ცნობილი გვარები: მასეკი, ბოსა, ჩევი და ფშანუვი, რომელთაგან ისინი ირჩევენ მამასახლისსა და მსაჯულს, თუმცა ისინი იმყოფებოდნენ ყაბარდოსა და ალკაის მთავრების მფარველობის ქვეშ, მაგრამ ყიზლარის კომენდანტის, პოლკოვნიკ ნეიმჩის მეშვეობით, შეიცვალეს ეს უმნიშვნელო ბატონები რუსეთის მფარველობით“[137]. ინგუშეთის მთაში ფეოდალური ურთიერთობა გაცილებით სუსტი და ძნელი შესამჩნევი იყო, ვიდრე ბარში.

ჩეჩნეთის მთაში ქონებრივი დიფერენციაცია უფრო ღრმა ხასიათს ატარებდა[138].

საერთოდ ჩეჩნეთ-ინგუშეთში მიწის თემური მფლობელობის შიგნით კერძო საკუთრებას ჰქონდა ადგილი. უმიწო გლეხთა ნატურალური გადასახადებით მიწის მეპატრონეები მდიდრდებოდნენ[139]. ხშირი იყო მიწის მეპატრონეთა მიერ სახნავ-სათესის, სათიბისა და საძოვრის იჯარით გაცემა უმიწო გლეხებზე. იჯარით გაცემულ ერთ დესეტინა სახნავ მიწაში მეპატრონე იღებდა 2 მან. და 50 კაპიკს[140]. ერთი დესეტინა სათიბის საიჯარო ფასი 3 მან. და 50 კაპ. იყო[141]. მთის მოსახლეობას უმიწობის გამო ბარისაკენ ეჭირა თვალი. ბარში ჩამოსახლებით ფიქრობდნენ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, თუმცა ბევრი ჩამოსახლებული ექცეოდა გაფეოდალების გზაზე დამდგარი ადგილობრივი და მეზობელი ტომებიდან მოსული მდიდრების უღელქვეშ[142]. ბარში ჩამოსახლების მოთავეები იმორჩილებდნენ ახლად ჩამოსახლებულებს, მათ ექსპლოატაციას ეწეოდნენ.

---

[135] იქვე.

[136] იქვე, გვ. 4

[137] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 73.

[138] Гриценко Н. П. Хасбулатов А. И. Классы и классовая борьба в Чечено-Ингушетии в XI—XIX вв., «Социальные отношения и классовая борьба в Чечено-Ингушетии в дореволюционный период (IX — нач. XX вв.)». Грозный, 1979, с. II.

[139] Мамакаев М. Чеченский тайп в период его разложения, Грозный, 1973, с. 8.

[140] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1052, ფ. 1.

[141] იქვე, ფ. 1.

[142] Мамакаев М. Указ. труд, с. 12.

XVIII-XIX სს. პირველ ნახევარში ჩეჩენმა „სტარშინამ“ (ასე უწოდებდნენ რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში კავკასიელ მთიელთა სოციალური ზედაფენის წარმომადგენლებს) ნოღაი-მირზამ მდინარე სუნჯასა და თერგს შორის შექმნა სოფელი ნოღაი-მირზა-იურთი. „სტარშ-ნა“ მამაქაევმა და განბიევმა — სოფელი მამაქაი-იურთი. გეირებეკოვმა სოფელი გუნეჯი-იურთი[143]. ჩეჩნეთიდან ყარაბულაყებთან გადასახლებულ მამათაი თამურხანოვს თავის სოფელში 200 კომლი ჰყავდა დასახლებული და სხვ. ისინი სოფლის თავკაცებად ითვლებოდნენ და თანდათანობით სოფლის მმართველებად იქცნენ. ამ სოფლებში ძირითადად გლესობა დასახლდა თავისი ნებით[144]. მფლობელები იყვნენ განეუევები, ჩულიკოვები, ბაზიევები ჩერმოევები, ხამბიევები და სხვ., რომლებმაც მეფის რუსეთის ერთგული სამსახურისათვის ოფიცრების ჩინები და ჯილდოები მიიღეს[145]. ინგუშები ნაზრანში დასახლდნენ და ყაბარდოელებსა და ჩეჩნებს გადასახადების გადახდას შეჰპირდნენ[146].

ინგუშეთში XIX ს. დასაწყისში სტარშინის უფლებები მდიდართა ცალკეულმა გვარებმა მიითვისეს და შთამომავლობით მამიდან შვილზე გადადიოდა[147].

ჩეჩნები და ინგუშები რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობას თავიანთი სტარშინების მეშვეობით ახორციელებდნენ. სტარშინები მოსახლეობის სახელით დებდნენ ფიცს რუსეთის ხელისუფლების ერთგულებაზე[148].

1810 წ. 31 დეკემბერს მაიორ მუსინ-პუშკინის გრაფ გუდოვიჩისადმი მიწერილ მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ ვლადიკავკაზში იველიჩ მესამესთან ერთგულებისა და რუსეთის სამსახურში განწესების თაობაზე მოსალაპარაკებლად მისულა მამათაი თამურხანოვი და დიდი ატაგის სოფლების სტარშინები: ცუცუ ჟანბატიევი და მურზაბეგ ალისულთანოვი[149].

1810 წ. ინგუშეთის რუსეთთან შეერთების აქტსაც სწორედ ინგუშთა წარჩინებული გვარების წარმომადგენლები აწერდნენ ხელს. ამრიგად, ზემომოყვანილი ფაქტებიდან ნათელია, რომ ჩეჩნეთ-ინგუ-

---

[143] Гриценко Н. П., Хасбулатов А. И. Указ. труд, с. 14.
[144] Бутков П. Г. Указ. труд, ч. II, с. 112.
[145] Гриценко Н. П. Хасбулатов А. И. Указ. труд, с. 14.
[146] იქვე.
[147] აქტები, ტ. IV, გვ. 894, სად. № 1375.
[148] აქტები, ტ. III, გვ. 672, სად. № 1151.
[149] იქვე, გვ. 663.

შეთშიც ფეოდალური ურთიერთობა არსებობდა განუვითარებელი სახით და თანდათან იკვეთებოდა შესატყვისი სოციალური კლასები.

§ 3. დამოკიდებული წოდებები თერგის ოლქში

დამოკიდებული წოდების ცალკეული სახეები და მათი რაოდენობა თერგის ოლქში გაცილებით მეტი იყო, ვინემ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ოლქებში. დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა სახეებით და მათი როგორც ცალ-ცალკე, ისე საერთო რაოდენობით გამოირჩეოდა ყაბარდოს ოკრუგი[150].

ყაბარდოში ბატონყმური ურთიერთობა ძველი დროიდან მომდინარეობდა. საკმარისია ითქვას, რომ როდესაც ყაბარდოელები დასახლებულან იქ, სადაც XIX ს. შუახანებში ცხოვრობდნენ, თან მრავალი მონა მოუყვანიათ, რომელთა რიცხვს თანდათანობით ზრდიდნენ ომიანობის დროს წამოყვანილ ტყვეთა ხარჯზე[151].

ყაბარდოელები ხშირად ბრძოლებს აწარმოებდნენ ყალმუხებთან, ყირიმის თათრებთან, ავარებთან და რუსებთანაც კი. ძველი გადმოცემით, ყაბარდოელებმა გაანადგურეს ტმუტარაკანის სამეფო, საიდანაც ტყვეები წამოიყვანეს[152].

ომების დროს, მატერიალური დოვლათის ხელში ჩაგდებასთან ერთად, ისინი ცდილობდნენ ტყვეთა წამოყვანას, რაც უფრო ხელსაყრელი იყო მათთვის. ათასობით ტყვე მოყავდათ ყაბარდოში და მონებად აქცევდნენ. ტყვე-მონათა შრომას და ხშირად მათ ყიდვა-გაყიდვას, ისე იყენენ შეჩვეულები, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგაც კი, 1860 წლამდე, ისინი თავს ესხმოდნენ მეზობელ მთიელ ტომებს, ხშირად რუსულ დასახლებებსაც კი და მიჰყავდათ ტყვეები. ხშირად რუსი სამხედრო მოსამსახურეებიც უგდიათ ხელთ და ტყვედ წამოუყვანიათ, რომლის გამოხსნაში, რუსი სამხედრო ხელმძღვანელობისაგან გასამრჯელოც მიუღიათ. იყო შემთხვევები, როცა გასამრჯელოს მაგივრად, რუსეთის იარაღის ძალაც უგემიათ. ყაბარდოში იმდენად იყო გავრცელებული, მიღებული ყმებისა და მონების ყოლა, რომ არც ერთი პრივილეგირებული ოჯახიდან გამოსული ქალიშვილი არ გათხოვრებოდა ისეთ კაცზე, რომელსაც საცოლისათვის მოსამსახურე-უნაუთი არ ეყოლებოდა[153]. ხშირად, თავადი გათხოვილ შვილს მზითევში უნაუთ ქალს აყოლებდა[154].

---

150 საქ. ცსა, კაკ, ფონდი, 416, ანაწ. 3, საქმე 323, ფ. 10.
151 ССКГ, вып. I, Тифлис, 1868, с. 15.
152 იქვე.
153 იქვე.
154 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 2.

პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები, თითქმის ყველა, უსაქმურად ატარებდნენ დროს. ისინი არავითარ სერიოზულ საქმიანობას არ ეწეოდნენ[155]. მათი ძირითადი საქმიანობა იყო „ცხენი და იარაღი". თავს იყრიდნენ გასართობად, დადიოდნენ სტუმრად. ზოგჯერ შორეულ აულებში მიდიოდნენ დროს გასატარებლად. ამრიგად, მათ არც დრო რჩებოდათ მეურნეობის საწარმოებლად და არც მონდომება ჰქონდათ. იცოდნენ, რომ ყოველგვარ სამეურნეო საქმეს — სახლშიც და მინდორშიც, მათი ყმები და მონები შეასრულებდნენ[156]. შემთხვევით, თუკი რომელიმე მფლობელი რაიმე სამეურნეო საქმეს წამოიწყებდა თავისი ხელით (ასეთი რამ ძალიან იშვიათი იყო), მისგან ყველა ახლობელი შეტრიალდებოდა, მასთან აღარ მივიდოდა, ვინაიდან რაიმე სამუშაოს შესრულება, ყოველგვარი შრომა პრივილეგირებული წოდებისათვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო[157].

ყაბარდოს პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებს უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობისაკენ ჰქონდა მიდრეკილება, როგორც ყველა ადამიანს, შრომა კი ვერ წარმოედგინათ[158]. იყენებდნენ ყმათა და მონათა შრომას, რისთვისაც ამ უკანასკნელთა დიდი რაოდენობა იყო საჭირო[159].

მფლობელები ხშირად, გამოსასყიდის მიღების მიზნით, ათავისუფლებდნენ ყმებს, მონებს და სხვა დამოკიდებული წოდების წარმომადგენელს. დროთა განმავლობაში მუშახელს მოკლებული მფლობელი ღარიბდებოდა, მას მხოლოდ პრივილეგირებული გვარი რჩებოდა, ეკონომიკურად კი, დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა დონეს უთანაბრდებოდა.

გამოსყიდვის გზით გათავისუფლებული ესა თუ ის წარმომადგენელი კი იშვიათად, მაგრამ იყო შემთხვევები, მდიდრდებოდა, ქონებასთან ერთად იძენდა ყმასაც[160] და თანდათანობით, ეკონომიკურად პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელს უთანასწორდებოდა. ზოგჯერ კი ქონებით მას უსწრებდა კიდეც[161].

დამოკიდებული წოდების ზოგიერთი სახის წარმომადგენლები არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ, მათი სიცოცხლეც კი მფლობელის ხელში იყო[162], რაც მხოლოდ XIX ს. 20-იან წლებში იქ-

---

155 Кудашев В. Указ. труд, с. 135.
156 საქ. ცსა, ფონდი, 7, ანაწ. 8, საქმე 9, ფ. 4—5.
157 იქვე, ფ. 2—3.
158 Кудашев В. Указ. труд, с. 136.
159 საქ ცსა. კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 27.
160 იქვე, ფ. 27—28.
161 იქვე.
162 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 315, ფ. 3.

ნა გაუქმებული[163]. მათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ მიწაზე. მიწა თავისუფალი წოდების წარმომადგენელთა საკუთრებას წარმოადგენდა[164]. თავისი შრომით შეძენილი ქონებაც კი მანამდე იყო მის საკუთრებაში, სანამ მფლობელთან იმყოფებოდა. თუ იგი თავს გამოისყიდიდა ან თავისუფლებას მიანიჭებდა მფლობელი, ამ უკანასკნელს რჩებოდა მისი უძრავი და მოძრავი ქონება, ყველაფერი რაც გააჩნდა[165]. მფლობელთან ყოფნის დროსაც არ ჰქონდა უფლება თავისი ქონება გამოეყენებინა ისე, როგორც მოისურვებდა. გასაყიდად ან პირუტყვის დასაკლავად მფლობელის ნებართვა იყო საჭირო. თანაც გაყიდული ქონების ან დაკლული პირუტყვის დიდი ნაწილი მისთვის უნდა მიეცა.

დამოკიდებული წოდების წარმომადგენელი თუ, გამოსყიდვით ან სხვა გზით, თავისუფლებას მიიღებდა, იგი მხოლოდ იწოდებოდა თავისუფლად, სინამდვილეში მას არ ჰქონდა იმისი უფლებაც კი, რომ თავისი ყოფილი მფლობელიდან სხვა აულში გადასახლებულიყო[166]. თუ ყოფილი მფლობელი მოისურვებდა სხვა ადგილზე გადასახლებას, გამოსყიდულს უფლება არ ჰქონდა თავის ადგილზე დარჩენილიყო, იგი თან უნდა წაჰყოლოდა მას[167].

გამოსყიდვით ან სხვა გზით განთავისუფლებულის ქალიშვილი თუ გათხოვდებოდა, მას მფლობელისათვის ცხენი უნდა მიეცა. როგორც ჩანს, გამოსყიდულ-თავისუფლებას მიღწეულნი ძალიან შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ, თუმცა დამოკიდებული წოდების წარმომადგენლებზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით საკმაოდ მაღალ დონეზე იდგნენ.

თერგის ოლქში დამოკიდებული წოდების ცალკეულ სახეთა ზოგი წარმომადგენელი მონურ მდგომარეობაში იყო. რეფორმის წინ, თერგის ოლქის ყაბარდოს ოკრუგში სხვადასხვა სახის დამოკიდებული წოდების ორივე სქესის 21348 სული ითვლებოდა[168], რომლებიც შემდეგ სახეებად იყოფოდნენ: ოგები, ლოგანაპუტები, უნაუთები (დიდსა და მცირე ყაბარდოში), ყარაყიშები, იასახჩები, ჩაგარები[169], კაზახები და ყარავაშები[170] (ყაბარდოს ოკრუგში შემავალ მთის საზოგადო-

---

[163] Кудашев В. Указ. труд, с. 135.
[164] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 315, ფ. 7.
[165] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 315, ფ. 6.
[166] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 397, ფ. 2.
[167] იქვე.
[168] ЦГВИА, фонд 1300, опись 25, дело 33, л 69.
[169] საქ. ცსა, კაკ, ფ. 416, ანაწ. 3, საქმე 397, ფ. 3, 4.
[170] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3; საქმე 397, ფ. 4.

ებებში — ხულამში. ბეზენგიში, ჩეგემში, ბალყარეთში და ურუსბიევში).

დამოკიდებული წოდების ყველა ჩამოთვლილ სახეთა წარმომადგენლები მხოლოდ დადგენილი შრომითი სამუშაობის ვალდებულები იყვნენ. სამუშაოთა ოდენობა და სახეები დადგენილი იყო ადათით. ფულადი გადასახადი არც ერთ მათგანს არ ეკისრა.

დამოკიდებული წოდების სახეები და ოდენობაც ძალიან მცირე იყო თერგის ოლქის სხვა ოკრუგებში, ბევრში კი საერთოდ არ არსებობდა დამოკიდებული წოდება — მონა-ყმები[171].

ყუმიყეთის ოკრუგში არსებობდნენ თერეკემენები, რომელთა რიცხვი 1257 სულს შეადგენდა[172].

ოსეთში დამოკიდებული წოდების სახე იყო ქავდასარდი, კუმიაგი და ყუსაკი. მათი რიცხვი რეფორმის წინ 1449 სულს შეადგენდა. აქედან 627 სული ყუსაკი იყო და 822 სული ქავდასარდი და კუმიაკი.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში დამოკიდებული წოდების მონა-ყმა სულ 294 სული იყო.

ა) ყაბარდოს ოკრუგი

დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები ყაბარდოს ოკრუგში თ-თქმის ხუთჯერ მეტი იყვნენ, ვიდრე თერგის ოლქის დანარჩენ 7 ოკრუგში.[173]. თერგის ოლქში სულ დამოკიდებული წოდების 25605 სული ითვლებოდა, აქედან 21348 სული ყაბარდოს ოკრუგზე მოდიოდა. ყაბარდოს ოკრუგი დამოკიდებული წოდების სახეების სიმრავლითაც გამოირჩეოდა ოლქის დანარჩენი ოკრუგებისაგან[17] ყაბარდოში და ყაბადროს ოკრუგში შემავალ მთის საზოგადოებებში დამოკიდებული წოდების რამდენიმე სახე არსებობდა. რომლებიც თავიანთი მდგომარეობით მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. დამოკიდებული წოდების ცალკეული სახეებიდან ყაბარდოში ყველაზე მცირე რაოდენობით იყვნენ ოგები[175]. ოგები ლოგანაპუტებიდან გამოდიოდნენ. იგი ამ წოდებას იღებდა მფლობელის ნება-სურვილით. როცა

---

[171] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1048, ფ. 2.

[172] იქვე, ფ. 1.

[173] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 27.

[174] ССКГ, вып. I, с. 40.

[175] დამოკიდებული წოდების ეს სახე თერგის ოლქის მხოლოდ ყაბარდოს ოკრუგში, დიდ ყაბარდოში არსებობდა, რომელთა რაოდენობა რეფორმის წინ 115 ოჯახს შეადგენდა.

მფლობელი რომელიმე ლოგანაპუტს ოგად აქცევდა, მფლობელი მისგან ქონების ნაწილს იღებდა[176]. ლოგანაპუტის ოგად გადაქცევა იშვიათად ხდებოდა. ამას მფლობელი აკეთებდა მაშინ, როცა მას ბევრი ლოგანაპუტი ჰყავდა და მათი შენახვა ზედმეტ ხარჯებთან იყო დაკავშირებული[177]. ასეთ შემთხვევაში, ლოგანაპუტს ოგის წოდებას აძლევდა იმ ვარაუდით, რომ იგი თავის მეურნეობას ეწეოდა და როცა გამდიდრდებოდა, მფლობელისაგან არამცთუ საქმელ-სასმელს აღარ მოითხოვდა, არამედ პირიქით, თუ საჭირო იქნებოდა, დაეხმარებოდა კიდეც მას. თუ ოგი არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას მფლობელის წინაშე, შეიძლებოდა კვლავ ლოგანაპუტად გადაექცია იგი[178]. ოგი ვალდებული იყო დაემუშავებინა მფლობელის მიერ ბოძებული მიწა ორი უღელი ხარით[179]. თუ იგი ვერ შეძლებდა ხსენებული საქმის შესრულებას, იგი კვლავ ლოგანაპუტობას დაუბრუნდებოდა[180]. ერთი სიტყვით, მფლობელი მას მიწას აძლევდა, რომ შეძლებული გამხდარიყო და საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდა მიწის პატრონს.

ოგები ვალდებულნი იყვნენ მთელი ოჯახით — 16 წლის ასაკიდან ზევით, მოხმარებოდნენ მფლობელს — 3 დღე მკაში, 2 დღე მომკილი ყანის შეგროვებისა და ბულში მიტანაზე. ამ სამუშაოებისაგან თავისუფლდებოდნენ მწყემსები და მეფუტკრეები, რომლებიც ოგების ცხვარს მწყემსავდნენ და ფუტკარს პატრონობდნენ. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი იყვნენ მფლობელისათვის სამი კალათი თაფლი მიეცათ. მკის დროს ოგები მფლობელის ხარჯზე იყვნენ. თავისი მიწის მოხვნისათვის ოგები იხდიდნენ გუთანზე 60 სარწყეო ფეტვს და შეძლებისდაგვარად, წელიწადში ორიდან ოთხ ურმამდე დამატებით ფეტვს[181], შვიდიდან 10 მარხილამდე შეშას[182]. გარდა ამისა, ყოველწლიურად, თუ საჭირო იქნებოდა, უნდა შეეკეთებინათ მფლობელის სახლი, მფლობელის სურვილისამებრ მიეტანათ ხე-ტყე ახალი სახლის ასაშენებლად.

თუ მფლობელი ან მისი შვილი დაქორწინდებოდა, ოგი ვალდებული იყო უღელი ხარი მიეცა ურვათის ანგარიშში და ახალდაქორწინებულნი ჰყოლოდა თავის სახლში ერთი წლის განმავლობაში, უზრუნველეყო ისინი სამქმელ-სასმელითა და ტანსაცმლით. თუ ოგი შვილს გაათხოვებდა, ბატონისათვის უნდა მიეცა უღელი ხარი და ორი

---

176 საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 2.
177 იქვე.
178 იქვე.
179 იქვე.
180 იქვე.
181 ერთი ურემი საშუალოდ 30 სარწყეო ფეტვს შეადგენდა.
182 საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 2.

ძროხა[183]; თუ ხარს დაკლავდა, მფლობელისათვის ხუთნეკიანი ნაჭერი უნდა მიერთმია. ოგს, რომელიც ამას არ შეასრულებდა, მფლობელი ართმევდა ხარს[184]. დღესასწაულზე იგი ცხვარს უგზავნიდა მფლობელს. ყოველი ოგი ვალდებული იყო, მოთხოვნისთანავე, ღამის ყარაულში გასულ-ყო მფლობელის მაგიერ[185].

შვილის გათხოვებისას, ისევე როგორც თავისი ან შვილის ქორწინებისას, ურვათის მიცემასა და აღებას თვითონ ოგი განაგებდა, მაშინ, როცა ლოგანაპუტისათვის ცოლს მფლობელი ყიდულობდა და თვითონვე იღებდა ურვათს, თუ მისი ლოგანაპუტის შვილი გათხოვდებოდა. გათხოვილის მამას მხოლოდ 10 მანეთი ეძლეოდა ურვათიდან.

შვილის გათხოვებისას იგი მფლობელს აძლევდა უღელ ხარსა და ორ ძროხას. იმ შემთხვევაში, როდესაც ოგის ოჯახი გაიყოფოდა, მფლობელი მათგან იღებდა 100 მანეთს ან 100 ცხვარს, თუ არც ერთი მათგანი არ გააჩნდა, მაშინ 5-6 წლის ბიჭს ან გოგოს აძლევდა ყმად.

თუ მფლობელს სტუმრები მოუვიდოდნენ, ოგები ვალდებულნი იყვნენ ისინი თავიანთ სახლში მიეწვიათ და გამასპინძლებოდნენ საჭმელ-სასმელით. უნდა გამოეკვებათ სტუმართა ცხენებიც. რამაზანის მარხვის დროს, ოგებს რიგრიგობით უნდა ემზადებინათ მფლობელისათვის ვახშამი. მფლობელის ან მისი ოჯახის სხვა წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კი, სადილები უნდა ემართათ მორიგეობით[186].

გარდა ჩამოთვლილი ვალდებულებებისა, ოგებს მეტი არაფერი ეკისრათ[187]. მათ დამოუკიდებელი, ცალკე მეურნეობა ჰქონდათ და არასდროს, არაფრით სარგებლობდნენ მფლობელისაგან[188].

ამრიგად, დამოუკიდებელი წოდებისათვის ოგები საკმაოდ თავისუფალნი და შეძლებულები იყვნენ, თუკი მათ 100 მანეთის ან 100 ცხვრის გადახდა შეეძლოთ. მათ საკუთარი მეურნეობა გააჩნდათ და ეკონომიკურად გაცილებით მაღლა იდგნენ ყმა გლეხებზე.

დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთაგან ოგების შემდეგ ლოგანაპუტები იდგნენ. ამ უკანასკნელთა მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო[189]. მამაკაცებს ზამთარ-ზაფხულ უნდა შეესრულებინათ ყოველგვარი სახის სამუშაო, როგორც სახლში, ასევე გარეთ—მინდვრად.

---

[183] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 2.

[184] იქვე.

[185] იქვე.

[186] ССКГ, вып. I, с. 18.

[187] Кудашеа В. Указ. труд, с. 132.

[188] Авалиани С. Л. Крестьянский вопрос в Закавказье, т. III, «Поселянская реформа...», Одесса, 1914, с. 20.

[189] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 1.

ტყიდან უნდა მოეზიდათ შეშა და საჭირო შემთხვევაში ხე-ტყე და ხის მასალა, მინდვრიდან — თივა და ხორბალი. მათვე ეკისრათ ფუტკრის, ცხვრის, საქონლისა და ცხენების მოვლა-პატრონობა.

ერთი სიტყვით, ლოგანაპუტი მფლობელის ყმა იყო, რომელიც ცალკე ცხოვრობდა ოჯახით, მაგრამ ვალდებული იყო უსიტყვოდ შეესრულებინა ყოველგვარი სამსახური, წლის ყოველ დროს[190]. მფლობელი ისე საქმავდა ლოგანაპუტს, რომ ამ უკანასკნელს შეძლებოდა თავისი სამუშაოების შესრულებაც. რადგან მფლობელი ლოგანაპუტს ყოველთვის თავისთვის ამუშავებდა, იგი ვალდებული იყო ყველაფრით უზრუნველეყო მისი ოჯახი[191]. ამიტომ მფლობელი ცდილობდა ლოგანაპუტისათვის საშუალება მიეცა თავისი მცირე მასშტაბის მეურნეობის საწარმოებლად. წინაალმდეგ შემთხვევაში, ლოგანაპუტის ოჯახის შენახვა მთლიანად დაეკისრებოდა. ლოგანაპუტის ოჯახს სხვა საშინაო სამუშაოებიც ევალა.

წელიწადში ორჯერ, ბაირამობისა და რამაზანის დღესასწაულების შემდეგ, ქალებს მფლობელის სახლში თეთრეული უნდა დაერეცხათ. ლოგანაპუტ ქალებს, უნაუთებთან ერთად, ოჯახის უფროსი თამბისათვის ნაბდები უნდა დაემზადებინათ. ავადმყოფობის ან მშობიარობის დროს მომვლელის როლი ეკისრებოდათ.

ლოგანაპუტი ზემოჩამოთვლილი ყოველგვარი სამსახურის შესრულებისას მფლობელის ხარჯზე იყო, მფლობელი ვალდებული იყო უზრუნველეყო იგი სასმელ-საჭმელითა და ტანსაცმლით. მფლობელი მოსავალს აღებისთანავე ანაწილებდა თავისი შეხედულებით. მოსავლის ნაწილს სათესლედ ინახავდა, ნაწილს მუშახელის საკვებად, ნაწილს სასტუმროდ, დანარჩენს კი ოჯახის წევრთა და ლოგანაპუტებისა და უნაუთთათვის.

ლოგანაპუტი იღებდა მფლობელის მიერ დაკლული მსხვილფეხა პირუტყვის შიგნეულს, კისერს, თავსა და ფეხებს. ცხვრის დაკვლისას კი მხოლოდ შიგნეულს. უნაუთებსავით, ლოგანაპუტები სამ წელიწადში ერთხელ იღებდნენ შვიდ-შვიდ ცხვრის ტყავს საქურქედ და კამეჩის ან ხარის ტყავის ნაჭერს სათასმედ[192].

ცხვრის გაკრეჭისას, კარგ თეთრსა და შავ მატყლს მფლობელი იღებდა თავისთვის, დანარჩენს კი თანაბრად უნაწილებდა ლოგანაპუტებისა და უნაუთების ოჯახების წევრებს, მათ შორის ბავშვებსაც.

მდიდარი მფლობელი, რომელსაც 1000-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა, ლოგანაპუტსა და უნაუთს აძლევდა 25-30 ცხვრის მატყლს. ტანსაც-

---

[190] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქე 1051, ფ. 1.

[191] იქვე.

[192] ССКГ, вып. I, с. 19.

მლისათვის საჭირო ბამბის ქსოვილის შესაძენად, მფლობელი მათ ნებას რთავდა წელიწადში ორჯერ ტყიდან შეშა ან ხე-ტყე გამოეტანათ და გაეყიდათ, მიღებული თანხა თვითონ მოეხმარათ. იმ შემთხვევაში, როდესაც მფლობელი ნაკლებად შეძლებული იყო, ჰყავდა მხოლოდ ორი ან სამი ლოგანაპუტი, მეურნეობაც, რაღა თქმა უნდა, მცირე და ნაკლებშემოსავლიანი გააჩნდა, მაშინ ლოგანაპუტის გაყიდული შეშის ან ხეტყის საფასურის ნახევარს მფლობელი იღებდა. ხშირად, ასეთი მფლობელი საშოვარზე უშვებდა თავის ლოგანაპუტს, მაშინაც შრომით მიღებული ფულის ნახევარს მფლობელი იღებდა.

მინდვრად მუშაობისას, ლოგანაპუტი მფლობელის ხარჯზე იყო. ყოველგვარ საშუალებასა და ქონებას მოკლებული ლოგანაპუტისათვის მფლობელს უნდა მიეცა უღელი ხარი, უცოლოსათვის კი, თუ იგი დაქორწინდებოდა, უღელ ხართან ერთად უნდა მიეცა ძროხა და ქვაბი[193]. როცა ლოგანაპუტი სრულწლოვანი გახდებოდა (18—20 წლისა), მფლობელი ვალდებული იყო მისთვის ეყიდა ის ქალიშვილი, რომელსაც იგი ამოირჩევდა ლოგანაპუტის ოჯახში, თუკი ქალიშვილის თანხმობა იქნებოდა, საფასური უნდა გადაეხადა ქალიშვილის მფლობელისათვის, საშუალოდ 200 მანეთი[194]. ამ თანხიდან 10 მანეთი საპატარძლოს ტანსაცმლის შესაძენად უნდა დახარჯულიყო.

ლოგანაპუტის მიერ ქალიშვილის გათხოვებისას, მფლობელი სასიძოს მფლობელისაგან იღებდა 200 მანეთს, საიდანაც მხოლოდ 10 მანეთი იხარჯებოდა გათხოვილისათვის ტანსაცმლის შეძენაზე. თუ თავადი ან ტლიახოტლიაჟი ქალს გაათხოვებდა და მისთვის გასატანებლად უნაუთი ქალი არ ჰყავდა, მაშინ თავიანთი ლოგანაპუტის ოჯახიდან იყვანდნენ გოგონას და გათხოვილ ქალს ატანდნენ უნაუთად. ქალბატონი ვალდებული იყო გაეთხოვებინა იგი თავისი ქმრის იმ მონა-ყმაზე, რომელსაც ეს ლოგანაპუტი-უნაუთი მოინდომებდა. ქორწინების შემდეგ, ისინი ორივენი ხდებოდნენ კარის მსახურები — ჟიხეფატეზ[195]. ამ ქორწინებიდან რამდენიმე შთამომავლობა გაჩნდება, ჟიხოფატეზი კვლავ ლოგანაპუტი ხდება და ცალკე სახლდება, რომ მფლობელი არ შეაწუხოს. მფლობელი მათგან ერთ გოგონას აიყვანს შინაყმად[196].

ოგებსა და ლოგანაპუტებს უფლება ჰქონდათ თავი გაბოესყიდათ, თუკი ამისი საშუალება გააჩნდათ. გამოსყიდვა ხდებოდა მფლობელისა და გამოსასყიდის ურთიერთშეთანხმებით[197]. გამოსასყიდი თანხის ოდე-

---

[193] Кудашев В. Указ. труд, с. 132.
[194] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 4.
[195] იქვე, ფ. 2.
[196] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 2.
[197] იქვე, ფ. 2.

ნობა მერყეობდა 150 მანეთიდან 500 მანეთამდე, თუკი მამაკაცი ჯანმრთელი, ახალგაზრდა და შრომისუნარიანი იყო[198]. შედარებით ნაკლები იყო გამოსასყიდი ქალისა და მცირეწლოვანთათვის.

იყო შემთხვევა, როცა მფლობელი გამოსასყიდში იღებდა ყმის ქონებას. თუკი იგი შეძლებული იყო, ჰყავდა პირუტყვი, ჰქონდა ფული და სხვა ნივთები. გარდა ჩამოთვლილისა, მფლობელი გამოსასყიდსაც იღებდა, იმ ვარაუდით, რომ გათვალისწინებული იქნებოდა მიღებული ქონება[199].

ერთი სიტყვით, თუ ოგი ან ლოგანაპუტი შეძლებული იყო, გამოსასყიდიც მაღალი ინიშნებოდა და პირიქით, თუ გასათავისუფლებელი ღარიბი იყო, გამოსაყიდის ოდენობა მცირე ენიშნებოდა, ვინაიდან დიდი თანხის გადახდა არ შეეძლო[200].

მდიდარი იქნებოდა თუ ღარიბი, გამოსყიდვის შემდეგ, ორივე უმწეო რჩებოდა, ვინაიდან ორივე — ღარიბიც და მდიდარიც, მფლობელს აძლევდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა[201]. ამის მიზეზი იყო ის, რომ შეძლებულის მიერ შეძენილი ქონების მიღებას მფლობელი თითქმის არ თვლიდა გამოსასყიდში.

ხშირად, ლოგანაპუტს არ ჰქონდა საშუალება ოჯახის ყველა წევრი ერთად გამოესყიდა. იგი ჯერ თავის მეუღლის გამოსყიდვას ახერხებდა, შემდეგ კი, როცა საშუალება ექნებოდა, შვილებს გამოისყიდიდა.

მფლობელს არ შეეძლო ოგის ან ლოგანაპუტის ოჯახთა წევრების გაყოფა, ცალ-ცალკე, სხვადასხვა ადგილებში გაყიდვა. მაშინაც კი, როდესაც მფლობელს ოგის ან ლოგანაპუტის ერთი ოჯახი ჰყავდა, მფლობელის ოჯახის გაყოფისასაც კი, ძალიან იშვიათად, რომ მათი ოჯახი გაენაწილებინათ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ უკანასკნელთა გაყიდვისას მყიდველს ვერ მონახავდნენ და თვით ოგის ან ლოგანაპუტის ოჯახს გამოსყიდვის საშუალება არ ჰქონდა. სხვა დროს დაუშვებელი იყო ოგის ან ლოგანაპუტის გაყიდვა უაბარდოს ფარგლებს გარეთ.

ლოგანაპუტის ყიდვის ან გაყიდვისათვის დადგენილი იყო საშუალო ფასი, რომლის გარშემოც მერყეობდა იგი კონკრეტულ შემთხვევებში. 12 წლამდე ბიჭისა და 10 წლამდე გოგონას ფასი მათი წლოვანებით ისაზღვრებოდა, ყოველი წელი 10 მანეთი ღირდა[202]. 12 წლიდან 45 წლამდე მამაკაცის ფასი — 200 მანეთი[203], ხოლო 10 წლიდან 45

---

[198] ССКГ, вып. I, с. 30.
[199] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფფ. 2—3.
[200] იქვე, ფ. 3.
[201] Кудашев В. Указ. труд, с. 132.
[202] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 4.
[203] იქვე.

წლამდე ქალის ფასი 180 მანეთი იყო. 45 წლის ზევით როგორც კაცის, ისე ქალის გასაყიდ ან საყიდელ ფასს მოსამართლე განსაზღვრავდა. დადგენილი ფასის ზევით გაყიდვა დაუშვებელი იყო და თუ ამგვარი რამ მოხდებოდა, ლოგანაპუტს უფლება ჰქონდა, სასამართლოში აღეძრა საქმე, რის შემდეგაც მფლობელი უყოყმანოდ აბრუნებდა დადგენილ ფასზე ზევით აღებულ ფულს[204].

იყო შემთხვევები, როცა ოგი ან ლოგანაპუტი, თავისი ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისთვის ყმებს იძენდა[205]. თუკი ხსენებული ოგი ან ლოგანაპუტი თავს გამოისყიდიდა, არსებული წესის თანახმად, მისი ყმები მფლობელს რჩებოდა[206].

ოგის ან ლოგანაპუტის ქონებას უმეტეს შემთხვევაში შეადგენდა: 1) ნაჩეგ-ი — საქორწინო საჩუქრები[207], რომელიც ქორწინების დროს მფლობელის მიერ იყო მიცემული. ასეთი საჩუქრის ფასი დაახლოებით 3-5 მანეთს შეადგენდა, ანდა ხბო, რომლის ფასიც იმავე ოდენობისა იქნებოდა.

2) დესერიგ-ი — ლოგანაპუტი ქალის მზითევი, ერთი ძროხა ან მისი საფასური[208].

ზემოხსენებული ორივე პირუტყვის ნამატი მთლიანად ლოგანაპუტი ქალის კუთვნილებას წარმოადგენდა და ქალის სიკვდილის შემდეგ ქმარზე გადადიოდა, ხოლო ორივეს სიკვდილის შემდეგ შვილების კუთვნილებად იქცეოდა, უშვილო ცოლ-ქმრის სიკვდილის შემდეგ კი მფლობელის ხელში გადადიოდა[209].

3) დიდოვოს-ბელიმ-ი — პირუტყვი, რომელიც ყმათა შრომით იყო შეძენილი. ამ გზით შეძენილი პირუტყვის გაყიდვა ან დაკვლა, მფლობელის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო[210].

თუ მფლობელის ნებართვით, ოგი ან ლოგანაპუტი დაკლავდა ამგვარ ანუ დიდოვის-ბელიმის ხარს ან ცხვარს, დაკლული პირუტყვის ნახევარი მფლობელისათვის უნდა მიერთმია[211].

ეს პირუტყვი ოგებს თვითონ უნდა ეკვებათ, ლოგანაპუტები კი, მფლობელის ხარჯზე კვებავდნენ.

მფლობელს შეეძლო გაეყიდა ოგის ან ლოგანაპუტის დიდოვოს-ბელიმი, ასეთ შემთხვევაში, მფლობელი იღებდა ორ ნაწილს, ოგი ან ლო-

---

[204] ССКГ, вып. I, с. 19.
[205] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 27.
[206] იქვე.
[207] იქვე, ფ. 3.
[208] იქვე, ფ. 3—4.
[209] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 3.
[210] ССКГ, вып. I, с. 19.
[211] იქვე.

განაპუტი კი მესამედს. მიღებული მესამედი ნაწილი კი უკვე მის განუყოფელ საკუთრებაში გადადიოდა და იქცეოდა მის—ოგის ან ლოგანაპუტის დისერიგად[212].

იმ შემთხვევაში, როდესაც მფლობელი გაყიდიდა ოგს ან ლოგანაპუტს, მათ დიდოვოს-ბელიმს თვითონ იტოვებდა, ვაყიდულნი კი დატოვებული დიდოვოს-ბელიმის საფასურს იღებდნენ ახალი მფლობელისაგან.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მფლობელი ყიდდა ყმას დიდოვოსბელიმიანად. სამაგიეროდ გასაყიდი ფასი მეტი იყო, ვინაიდან ფასში შედიოდა თან გაყოლებული დიდოვოს-ბელიმის საფასურიც. გამოსყიდვის შემთხვევაში კი იგი მფლობელს რჩებოდა[213].

ამრიგად, ცხადია, თუ როგორი შეზღუდული უფლებები და ცუდი ეკონომიკური პირობები ჰქონდათ ლოგანაპუტებს, რომელთა შრომის შედეგი მფლობელთა არსებობის წყაროს წარმოადგენდა და გამოსყიდვის შემთხვევაში მათ მიერ წლების მანძილზე შეძენილი ქონება მფლობელს რჩებოდა გამოსასყიდთან ერთად[214]. ლოგანაპუტის მდგომარეობასთან ახლოს იდგა ისტორიულ მეცნიერებაში ნაკლებად ცნობილი დამოკიდებული წოდების სახე — ლიხავა. ლიხავა შეეძლოთ ჰყოლოდათ მხოლოდ უაბარდოელ თავადებს[215]. თუ თავადის კუთვნილ ლოგანაპუტების ოჯახში რამდენიმე ახალგაზრდა მამრ. სქესის წარმომადგენელი იყო, რა თქმა უნდა, ისეთი ასაკის, რომელიც საშინაო საოჯახო საქმეებში გამოდგებოდა, თავადს შეეძლო ერთი მათგანი წაეყვანა თავის სახლში და გამოეყენებინა შინამოსამსახურედ (შინაყმად). ასეთ მოსამსახურეს ეწოდებოდა ლიხავა[216]. ლიხავას ცოლი და შვილები რჩებოდნენ თავის სახლში, ლოგანაპუტებად. ამ წოდების წარმომადგენლები ძალიან ცოტანი იყვნენ და ისიც მხოლოდ უაბარდოში, უაბარდოელ თავადთა ოჯახებში[217]. დამოკიდებული წოდების მეორე, აგრეთვე ნაკლებად ცნობილი სახეობა იყო ხაბზანტა. ეს სახეობაც მხოლოდ უაბარდოში არსებობდა და ისიც უაბარდოელი თავადების მფლობელობაში. ხაბზანტა იყო მონა-ყმა ყოველგვარი უფლების გარეშე. ხაბზანტა იგივე ყოფილი ლოგანაპუტი იყო, რომელმაც მფლობელის რისხვა დაიმსახურა. იგი შეიძლებოდა მფლობელს გაეყიდა, როგორც მშობლებისაგან, ასევე ცოლშვილისაგან ცალკე[218].

---

[212] ССКГ, вып. I, с. 19.
[213] Кудашев В. Указ. труд, с. 130.
[214] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ., 3, საქმე 1051, ფ. 3.
[215] იქვე, ფ. 1.
[216] Кудашев В. Указ. труд, с. 262—263.
[217] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფფ. 1—2.
[218] იქვე.

დამოკიდებული წოდების ერთ-ერთი სახეობა იყო უნაუთი. ამ სახეობას ეკუთვნოდა ყველა უკანონოდ დაბადებული, რომელსაც არავითარი უფლებები არ გააჩნდა, და მუდმივად ცხოვრობდა მფლობელის კარზე. ისინი ასრულებდნენ ყველა სახის სამუშაოს სახლში და კარზე. უნაუთი ქალი აკეთებდა ყველაფერს მფლობელის სახლში, კარზე და სამზარეულოში, უვლიდა შინაურ ფრინველს და სხვა[219]. ისინი უფრო ხშირად გოგონები ან უქმრო ქალები იყვნენ.

უნაუთი ქალის გარეშე ძნელი წარმოსადგენი იყო მფლობელის სახლ-კარი. მფლობელის ოჯახში ქალები არაფერს აკეთებდნენ, ყველაფერი მოსამსახურე-უნაუთის ხელით კეთდებოდა. ამგვარი, ყოვლისმომცველი შრომის მიუხედავად, უნაუთ ქალს არავითარი უფლება არ გააჩნდა, გათხოვების უფლებაც კი არ ჰქონდა[220]. მას შეეძლო მხოლოდ ჰყოლოდა დროებითი „ქმარი", უნაუთებიდან, ლოგანაპუტებიდან და თავისუფალი წოდების წარმომადგენელთაგანაც კი. ამგვარი შეუღლების შედეგად დაბადებული ბავშვები, ბიჭიც და გოგოც, უნაუთებად ითვლებოდნენ.

ხშირად უნაუთი ქალი თვით მფლობელისაგან აჩენდა ბავშვს, ქალს უფლება არ ჰქონდა ამაზე უარი ეთქვა მფლობელისათვის და თუ მაინც გაბედავდა და მის ნება-სურვილს არ შეასრულებდა, იგი ძალას იხმარდა, რაც დაშვებული იყო არსებული ჩვეულების მიხედვით[221]. ასეთ შემთხვევაში დაბადებული ბიჭი ან გოგო უნაუთებად ითვლებოდნენ.

უნაუთ კაცს, რომელიც 18-20 წლისა გახდებოდა, ნება ჰქონდა მფლობელისათვის ცოლის შერთვა ეთხოვა. მას შეეძლო ლოგანაპუტის შერთვა. მფლობელი ვალდებული იყო მისთვის ლოგანაპუტის ქალი ეყიდა. მფლობელი ლოგანაპუტის საცოლესათვის იხდიდა დაახლოებით 200 მანეთს. ამ თანხას იღებდა ლოგანაპუტი ქალის მფლობელი, ქალს მხოლოდ 10 მანეთი ხმარდებოდა[222]. ლოგანაპუტზე დაქორწინებისთანავე, უნაუთი ქმარი და მათი შთამომავლობაც ლოგანაპუტის უფლება-მოვალეობას იძენდნენ.

უნაუთები, როგორც კაცი ისე ქალი, არავითარ საკუთრებას არ ფლობდნენ, სასმელ-საჭმელსა და ტანსაცმელს მფლობელისაგან იღებდნენ. მფლობელს შეეძლო მათი გაყიდვა, როგორც მთელი ოჯახის ერთად, ასევე ცალ-ცალკე. ამასთანავე, მფლობელს უფლება ჰქონდა გაეყიდა ისინი იქ, სადაც მყიდველი გამოჩნდებოდა. უნაუთები ძირითადად

---

[219] იქვე, ფ. 1.
[220] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქე 1051, ფ. 3.
[221] Кудашев В. Указ. труд, с. 132.
[222] ССКГ, вып. I, с. 22.

გოგონები და გაუთხოვარი ქალები იყვნენ, ვინაიდან შინაყმები მეტწილად ისინი — მდედრ. სქესის წარმომადგენლები იყვნენ. შინაყმა მხოლოდ უნაუთთაგან უნდა აეყვანათ, სხვა წოდებიდან შინაყმის აყვანა არ შეიძლებოდა[223].

უნაუთის ფასი არ იყო ადათით დადგენილი. იგი ზოგჯერ მაღალი იყო, ზოგჯერ დაბალი. ფასი დამოკიდებული იყო მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთ შეთანხმებაზე. მათი საშუალო ფასი მერყეობდა 300 მანეთიდან 400 მანეთამდე.

მამაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო მეტი ფასი ჰქონდათ. ფასის ოდენობა დამოკიდებული იყო ქალის ტანის მოყვანილობაზე, სილამაზეზე, წლოვანებაზე და შრომისუნარიანობაზე[224]. ყველა ამ მონაცემით ქალის ფასი 500 მანეთამდე აღწევდა[225].

უნაუთი ქალი ორჯერ და ხშირად სამჯერ მეტი ღირდა ლოგანაპუტთან შედარებით[226]. უნაუთებს საკუთარი მკვიდრი ოჯახი არ გააჩნდათ. გარყვნილებაში შემჩნეული ყმა მფლობელს შეეძლო უნაუთად ექცია, არსებული ზნეჩვეულების მიხედვით დაშვებული იყო უნაუთის ოჯახის წევრთა ცალ-ცალკე გაყიდვა[227].

მთის საზოგადოებებში დამოკიდებული წოდების 4 სახეობა არსებობდა; ყარაყიში, იასახჩი, ჩაგარი, კაზახი[228].

ყარაყიშთა წარმომადგენლები შთამომავალნი იყვნენ იმ წინაპრებისა, რომლებიც მოყვანილნი და დასახლებულნი იყვნენ ყაბარდოს ტერიტორიაზე. ყარაყიშები ამუშავებდნენ მიწას საკუთრების უფლებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ამ მიწის გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ მფლობელის ნებართვის გარეშე. თუ ყარაყიშები სხვაგან გადასახლდებოდნენ, მიწის გაყიდვა შეეძლოთ თავიანთ ნათესავებზე, რომლებიც მფლობელის წინაშე ისეთივე ვალდებულებას იკისრებდნენ, როგორც მიწის გამყიდველი ძველი პატრონი კისრულობდა[229].

ყარაყიშის, რომელიც სხვა ადგილზე გადასახლებას მოისურვებდა, მაგრამ ნათესავები არ ჰყავდა, გადასახლების შემთხვევაში, მიწა მფლობელს რჩებოდა, ეს უკანასკნელი კი კვლავ სხვას მიიწვევდა ამ

---

223 საქ. ცსა, კაკ, ფონდი, 416, ანაწ. 3, საქმე 266, ფ. 5.

224 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 4.

225 ССКГ, вып. I, с. 22.

226 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 2.

227 მოგვიანებით, 1850-იანი წლების ბოლოს რუსეთის მთავრობამ ჩრ. კავკასიაში აკრძალა დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა ცალ-ცალკე გაყიდვა. საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 266, ფ. 1.

228 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 12.

229 ССКГ, вып. I, с. 24.

მიწაზე დასასახლებლად, იგივე უფლებითა და მოვალეობით[230]. ამრიგად, ყარაყიში თავდაპირველად მფლობელის მიერ თავის მიწაზე დასასახლებლად მოწვეული პირი იყო. მფლობელმა მათ მიწა მისცა შთამომავლობით პირად საკუთრებაში[231], მაგრამ იმ პირობით, რომ უნდა დაემუშავებინა მიწა კერძო საკუთრების უფლებით და შეესრულებინა თავისი ვალდებულებანი.

იმ შემთხვევაში, როცა იგი მფლობელისაგან სხვაგან მიდიოდა სამუდამოდ, კარგავდა უფლებას მიწაზე, რომელსაც იგი დიდი ხანია ფლობდა და ამუშავებდა, მიწა კვლავ ტაუბიის რჩებოდა[232].

ყარაყიშის მოვალეობა იყო მფლობელისათვის, თითოეულ ოჯახს, ერთი დღით გაეგზავნა ერთი შრომისუნარიანი მამაკაცი ხვნა-თესვისა, თიბვისას, თივისა და ხორბლის დაბინავებისას, — ყოველი სახის სამუშაოებისათვის ცალ-ცალკე[233]. მფლობელი ვალდებული იყო თავის მამულში მუშაობისას საჭმელ-სასმელით უზრუნველეყო ყარაყიშები, გარდა მთიბავებისა[234]. მთიბავებისათვის საჭმელად წელიწადში ერთხელ თითო ცხვარი უნდა გამოეყოთ მფლობელის იმ ქვეშევრდომებს, რომლებსაც 60 ცხვარზე მეტი ჰყავდათ. თითოეული ოჯახი ვალდებული იყო მფლობელის ერთი სული პირუტყვი ეკვება ზამთრის ორ თვეს. თუ ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად პირუტყვი მოკვდებოდა, საფასურს იხდიდა ყარაყიშთა ოჯახი[235].

ქონების გაყოფისას, ყარაყიში აძლევდა მფლობელს 10 მანეთიდან 100 მანეთამდე ან 300 მანეთად ღირებულ მიწის ნაკვეთს. ასეთი წესის გამო, ყარაყიში წლების მანძილზე ემზადებოდა ოჯახის გაყოფისათვის, რათა დაეგროვებინა დადგენილი თანხა მფლობელისათვის მისაცემად, რომ უფრო ძვირად — 300 მანეთად ღირებული მიწა არ დაეკარგა.

თუ რაიმე შემთხვევის გამო მფლობელი ვინმეს მოკლავდა, სისხლის საფასურის გადასახდელად ყარაყიშები შეძლებისდაგვარად აძლევდნენ 10 მანეთიდან 250 მანეთამდე. ანალოგიური შემთხვევის დროს მფლობელიც ვალდებული იყო ასეთივე თანხით დახმარებოდა ყარაყიშს.

ყარაყიშს ქალიშვილის გათხოვებისას მფლობელისათვის, ტაუბიისათვის უნდა მიეცა ორი სული პირუტყვი, რისთვისაც იგი ვალდებული იყო საჩუქარი მიერთმია ახლად გათხოვილისათვის[236].

---

230 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 13.
231 იქვე.
232 იქვე, ფ. 17.
233 იქვე, ფ. 13.
234 იქვე.
235 იქვე.
236 იქვე, ფ. 15.

უმემკვიდრეო ყარაყიშის გარდაცვალების შემდეგ, მისი მთელი მოძრავი და უძრავი ქონება მფლობელს რჩებოდა.

ყარაყიშები პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ და ამდენად მათი გაყიდვა, არსებული წესით, დაუშვებელი იყო, თუმცა მფლობელს უფლება ჰქონდა ის ვალდებულებები, რომლებიც ყარაყიშს ეკისრა, გაეყიდა ან გადაეცა სხვაზე. ასევე, ყარაყიშებსაც ჰქონდათ უფლება განთავისუფლებულიყვნენ თავიანთი ვალდებულებებისაგან გამოსყიდვის გზით. ვალდებულებათა წლიური საფასური 60 მანეთს არ აღემატებოდა[237]. როგორც ჩანს, ყარაყიშები პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ, მაგრამ, როგორც საბუთებიდან ირკვევა, თავისუფლებად არ ითვლებოდნენ, რადგან სხვა შეზღუდულ უფლებებთან ერთად მფლობელისათვის ყოველწლიურად 60 მანეთად ღირებული სამსახური უნდა გაეწიათ. ახალ წელს ტაუბიი — ე. ი. ყარაყიშის მფლობელი ხელქვეითებს უმასპინძლდებოდა[238], რაც იმას მოწმობს, რომ მფლობელსა და მონა-ყმას შორის არ უნდა ყოფილიყო მტრული დამოკიდებულება.

მთის საზოგადოებაში დამოკიდებული წოდების მეორე სახეობის წარმომადენლები, იასახჩები ხვნა-თესვას მისდევდნენ და სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობისათვის, მიწის ფართის ოდენობის პროპორციულად, იხდიდნენ 10-დან 40-მდე საწყაო ხორბალს წელიწადში ერთხელ[239]. სათიბისა და საძოვრებისათვის, პირუტყვის რაოდენობის მიხედვით, იხდიდნენ პირველ 4 წელიწადში 1-დან 3 ცხვრამდე, 4 წლის შემდეგ კი, სრული გადასახადი ეკისრათ, 15-დან 100 ცხვრამდე, ეკონომიკურად დაქვეითებული იასახჩები განთავისუფლებულები იყვნენ ამგვარი გადასახადისაგან.

გარდა აღნიშნული გადასახადისა, იასახჩის ოჯახი ვალდებული იყო გაზაფხულიდან დაზამთრებამდე მფლობელისათვის მიეცა ძროხა საწველად, ან ორი ცხვარი, შეეძლო ეს ვალდებულება 4 მანეთითაც შეეცვალა. იასახჩის ოჯახის გაყოფისას ორივე განაყოფი მფლობელს უხდიდა ისეთივე ოდენობის გადასახადს, რამდენსაც გაყოფამდე იხდიდა ოჯახი, გარდა სათიბისა და საძოვრის გადასახადისა, რომელიც 15-დან 100-მდე ცხვარს შეადგენდა. ამ გადასახადს ოჯახის ორივე ახალგანაყოფი სანახევროდ იხდიდა პირუტყვის ოდენობის მიხედვით[240].

გადასახადის ოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (წელიწადში 15-100 ცხვარი), იასახჩებს დიდი და მძიმე ტვირთი აწვათ, მაგრამ აქვე

---

[237] ССКГ, вып. I, с. 24.

[238] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 16.

[239] იქვე, ფ. 17.

[240] იქვე.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი გადასახადების გადამხდელთ ხშირად საკმაო ქონებაც ექნებოდათ. იშვიათად კი მათ შორის შეძლებულნი — მდიდრებიც კი იქნებოდნენ.

დამოკიდებული წოდების ერთ-ერთი სახეობა იყო ჩაგარი. ჩაგარები ასრულებდნენ ყოვლგვარ სამუშაოს, როგორსაც კი მფლობელი მოისურვებდა[241]. ამ მხრივ ჩაგარები დიდი და მცირე ყაბარდოს ლოგანაპუტებს წაგავდნენ[242]. ლოგანაპუტებისაგან განსხვავებით, ჩაგარები თავიანთ კმაყოფაზე იყვნენ, წელიწადში 2 ცხვარს აძლევდნენ მფლობელს, თუ ჰყავდათ.

ქალიშვილის გათხოვებისას ჩაგარი თვითონ იღებდა ურვათს და მფლობელს მხოლოდ ხარსა და ძროხას აძლევდა[243]. ზოგი მფლობელი არ იყო შეძლებული, არ ჰყავდა კაზახი ან ყარაყიში და უნდოდა მათი შეძენა, ფული კი არ ყოფნიდა, ასეთ შემთხვევაში, ჩაგარის ოჯახი ვალდებული იყო დაემატებინა ფული კაზახის ან ყარავაშის შესაძენად[244]. ამ უკანასკნელთა შეძენამდე კი ჩაგარები ვალდებულნი იყვნენ თვითონ შეესრულებინათ სამსახური მფლობელის სახლში რიგრიგობით. ამის გამო, ჩაგარები ყოველთვის მზად იყვნენ შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოთ თავიანთი მფლობელისათვის—მიეცათ ფული, რომ შეეძინა კაზახი ან ყარაყიში[245].

ჩაგართა ქონების ოჯახის წევრებს შორის გაყოფისას, მფლობელს უხდიდნენ მიწით, პირუტყვით ან ფულით — 300 მანეთს[246].

იასახჩს და ჩაგარს შეეძლოთ გამოესყიდათ თავი დამოკიდებულებისაგან, თუკი მათ სურვილი და საშუალება ექნებოდათ. მათი გამოსასყიდი ფასი თვით მფლობელის მიერ დგინდებოდა. საშუალო ფასი 1-დან 15 წლამდე ასაკის ბიჭის ან გოგოსი 10-დან 150 მანეთამდე აღწევდა. ე. ი. რამდენი წლისაც იყო, იმდენი 10 მანეთი ღირდა. 15 წლის ზევით შრომის უნარისა და გარეგნობის მიხედვით დგინდებოდა, მაგრამ არა უმეტეს 200 მანეთისა.

იასახჩები და ჩაგარები უმეტესად შეძლებულები იყვნენ და ამიტომაც იყო, რომ თუ ისინი განთავისუფლებას მოითხოვდნენ, მათგან მფლობელი მხოლოდ ქონებას ითხოვდა, იქიდანაც ხშირად განთავისუფლებულს ნაწილს თან ატანდა. ღარიბი ოჯახის გამოსყიდვისას მფლობელი ქონების გარდა ფულსაც იღებდა.

---

241 საქ. ცსა. კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1048, ფ. 1.

242 საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფფ. 17—18.

243 იქვე. ფ. 18.

244 იქვე.

245 იქვე.

246 იქვე, ფ. 8.

ჩაგარები და იასახჩები მფლობელის მიერ იყიდებოდნენ ერთად. ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა არ შეიძლებოდა[247]. იასახჩებსა და ჩაგარებს უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ ყმები, რომლებიც პატრონის გამოსყიდვის შემდეგ, თავიანთი ქონებით, მფლობელის განკარგულებაში გადადიოდა.

ოგებსა და ლოგანაპუტებსავით იასახჩებსა და ჩაგარებს საკუთრებაც გააჩნდათ: ნაჩეგ-ი, დესერიგ-ი და დიდოვოს-ბელიმ-ის ერთი მესამედი.

თერგის ოლქის ყაბარდოს ოკრუგში შემავალ მთის საზოგადოებებში — ხულამში, ბეზენგში, ჩეგემში, ბალყარეთსა და ურუსბიში, დამოკიდებული წოდების ერთ-ერთი სახეობა იყო კაზახი (მამაკაცი) და ყარავაში (ქალი). კაზახი და ყარავაში თავიანთი უფლებებითა და მოვალეობით ძალიან წააგავდნენ დიდი და მცირე ყაბარდოს უნაუთებს[248]. კაზახი და ყარავაში უადათონი იყვნენ და ამდენად მათი მდგომარეობა არ იყო განსაზღვრული ადათით[249]. ორივე სახეობა ერთნაირ მდგომარეობაში იყო. ყაბარდოს ოკრუგში დამოკიდებული წოდების ყველა სახეობა მეტ-ნაკლებად სავალალო მდგომარეობაში იყო, ზოგი კი მონურ პირობებში იმყოფებოდა.

მფლობელთა გაბატონებულ მდგომარეობას ისინი ალაჰის მიერ ბოძებულად თვლიდნენ და ამდენად მათდამი რაიმე წინააღმდეგობის გაწევა ალაჰის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯად ეჩვენებოდათ. ამგვარ რწმენას უნერგავდნენ საუკუნეების მანძილზე სასულიერო წოდების წარმომადგენლები. თუ მაინც სადმე დამოკიდებული წოდების რომელიმე წარმომადგენელი გაბედავდა მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევას, სასულიერო წოდების წარმომადგენლები, ბოლების თაოსნობით, რისხვას დაატეხდნენ ხმაამაღლებულს.

დამოკიდებული წოდების ყველა სახეობის წარმომადგენლები ერთგულად ემსახურებოდნენ თავიანთ მფლობელებს. უბრალო — „შავი“ ხალხი იმდენად იყო შეგუებული მფლობელთა თვითნებობას და მათ ექსპლოატაციას, რომ ვერ წარმოედგინათ უამისოდ, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი ერთგულებით 1822 წ. ყაბარდოს ოკრუგის დამოკიდებული წოდების ყველა სახეობა, მათი მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება სამ ძირითად კატეგორიად დაიყოს. პირველ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს უადათო მონები, ე. ი. მონები რომელთაც არავითარი უფლებები არ გააჩნდათ[250], მათი მდგომარეობა არ იყო განსაზღვრული ადათით. მფლობელს შეეძლო ისე მოპყრობოდა მათ, რო-

[247] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 266, ფ. 1.
[248] ССКГ, вып. I, с. 26—27.
[249] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 18.
[250] იქვე, ფ. 4.

გორც მას აწყობდა და როგორც მოისურვებდა. ერთი სიტყვით, უადათონი მფლობელთა სრულ მორჩილებაში იყვნენ და თავიანთი მდგომარეობით მონებს წარმოადგენდნენ. ისინი მფლობელის სახლში ცხოვრობდნენ. მათ შრომას და ბედს როგორც მოისურვებდნენ, ისე განაგებდნენ. მათ არ ჰქონდათ ქორწინების უფლება მანამ უადათოებად ითვლებოდნენ. მიუხედავად ამისა, თუ ქალიშვილი უკანონოდ ბავშვს დაბადებდა, მას არავინ გაიცხავდა, პირიქით მფლობელს ხელს აძლევდა ხელქვეითთა რაოდენობის ზრდა.

ამ კატეგორიის ე. ი. უადათოთა წარმომადგენლებს, როგორც აღინიშნა, არავითარი უფლებები არ გააჩნდათ. ისინი მფლობელის ისეთსავე საკუთრებას წარმოადგენდნენ, როგორც რაიმე საგანი, რომლის გაყიდვა, გაჩუქება და სხვა გზით გასხვისებაც შეიძლებოდა. ამ კატეგორიის წარმომადგენელთა ფასი დამოკიდებული იყო წლოვანებაზე, შრომისუნარიანობაზე, შეხედულებასა და რომელიმე ხელობის ცოდნაზე. აქედან გამომდინარე, გასაყიდი ფასი 100 მანეთიდან 500 მანეთამდე და ზევითაც აღწევდა. ყაბარდოში ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ უნაუთები, ყაბარდოს ოკრუგის მთის საზოგადოებებში—კაზახი (მამაკაცი) და ყარავაში (ქალი)[251], ყუმიყეთის ოკრუგში ყული (მამაკაცი) და ყარავაში (ქალი), ოსეთში — ქუსაგი, სულ თერგის ოლქში ამ კატეგორიის ორივე სქესის 4339 სული ირიცხებოდა, აქედან ყაბარდოს ოკრუგში იყო 2469 სული, 844 კაცი და 1625 ქალი.

მეორე კატეგორიას შეადგენდნენ დამოკიდებული წოდების ის წარმომადგენლები, რომლებიც ოფიციალურ მიმოწერაში ადათიანებად ანუ უფლებიან მონა-ყმებად იწოდებოდნენ. ისინი მფლობელთა ხელქვეითები იყვნენ. დამკვიდრებული ადათ-ჩვეევების თანახმად, მათ ჰქონდათ როგორც პირადი, ასევე ოჯახური და ქონებრივი უფლებები. მათი რაოდენობა თერგის ოლქში ვაცილებით მეტი იყო, ვინემ ზემოაღნიშნულ პირველ კატეგორიას მიკუთვნებულ წარმომადგენელთა რაოდენობა.

თერგის ოლქში ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ: ყაბარდოში — ლოგანაპუტები და ყაბარდოს ოკრუგში შემავალ მთის საზოგადოებებში — ჩაგარები. ლოგანაპუტები და ჩაგარები მხოლოდ ყაბარდოს ოკრუგში იყვნენ. დანარჩენ ოკრუგებში ამ კატეგორიის ე. ი. ადათიანთა წარმომადგენლები არ არსებობდნენ. ყაბარდოს ოკრუგში მათი რიცხვი 10990 სულს შეადგენდა.

მესამე კატეგორიას შეადგენდნენ იმ წოდების წარმომადგენლები, რომლებიც პირადად ნაკლებად დამოკიდებულები იყვნენ, ვიდრე

---

[251] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 18.

მეორე კატეგორიაში შემავალნი. ისინი ასრულებდნენ სავალდებულო სამსახურს დადგენილი წესის მიხედვით — განსაზღვრული რაოდენობის დღეებს მუშაობდნენ მფლობელთან, ან ამ უკანასკნელს უხდიდნენ დაწესებული ოდენობის სოფლის ნაწარმს.

მესამე კატეგორიაში შემავალი წოდება ძირითადად თავდახსნილებისაგან შეიქმნა, ისინი ზოგიერთი ვალდებულებისაგან განთავისუფლებულები იყვნენ მფლობელთა წინაშე დამსახურებისათვის. მათი გაყიდვა მფლობელს შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რაიმეს დააშავებდნენ.

მათ ჰქონდათ გამოსყიდვის უფლება, თუკი საშუალება ექნებოდათ. გამოსასყიდი ფასი მერყეობდა 100-დან 200 მანეთამდე. გამოსყიდვის შემდეგ თავისუფალთა რიგებში გადადიოდნენ. თერგის ოლქში ამგვარი წოდების წარმომადგენლები იყვნენ ოგები — განსაკუთრებით დიდ ყაბარდოში და ჩაგარები—ყუმ-ყეთის ოკრუგში. თერგის ოლქის დანარჩენ ოკრუგებში ამ წოდების წარმომადგენლები არ იყვნენ. მათი რიცხვი ყაბარდოსა და ყუმიყეთშიც მცირე იყო. ჩაგარების რიცხვი, ორივეს სქესის 1056 სულს შეადგენდა, ოგებისა კი—უფრო ნაკლებს, სულ 15 კომლს, ანუ ორივე სქესის 75 სულს. სულ ჩაგარებისა და ოგების საერთო რაოდენობა ორივე სქესის 1131 სულს შეადგენდა.

ჩამოთვლილი სამი კატეგორიის წოდებათა წარმომადგენლების გარდა, რომელთა საერთო რაოდენობა თერგის ოლქში, ორივე სქესის 15440 სულს შეადგენდა, მთის საზოგადოებებში არსებობდა ისეთი წოდება, რომლის წარმომადგენლებიც პირადად თავისუფლები იყვნენ, მაგრამ ამუშავებდნენ რა მაღალი წოდების წარმომადგენელთა კუთვნილ მიწებს, ამიტომ ამ უკანასკნელებზე იყვნენ დამოკიდებული, ე. ი. მიწითსარგებლობისათვის იყვნენ დამოკიდებულები.

მათი დამოკიდებულება გამოიხატებოდა იმაში, რომ არსებული წესით, ვალდებულები იყვნენ მფლობელისათვის ეხადათ სოფლის ნაწარმი, შინაური ფრინველი და პირუტყვი, განსაზღვრული დღეები ემუშავათ მფლობელის მამულში.

ამგვარ დამოკიდებულთა სახეები იყო: ყუმიყეთის ოკრუგში თერეკემენები — ორივე სქესის 1257 სული, ყაბარდოს ოკრუგის მთის საზოგადოებებში — ყარაყიშები, ორივე სქესის 4722 სული[252] და იასახჩები — ორივე სქესის 3166 სული. სულ ამ სახის წარმომადგენელთა საერთო რიცხვი თერგის ოლქში, ორივე სქესის 9145 სულს შეადგენდა[253].

---

[252] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 124, ფ. 4—5.
[253] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 124, ფ. 5.

თერგის ოლქის მთის საზოგადოებებში არსებული დამოკიდებული წოდების სახეები და მათი რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

დამოკიდებული წოდების სახეები	დამოკიდებული წოდების ორივე სქესის სულთა რაოდენობა				
	ყაბარდოს ოკრუგში	ყუმიყეთის ოკრუგში	ოსეთის ოკრუგში	ჩეჩნეთსა და ინგუშეთის ოკრუგში	ს უ ლ
უნაუფები, ყაზახები და ყარავაშები	2395	944	706	294	4339
ლოანაპუტები	10990	—	—	—	10990
ოგები და ჩაგარები	75	1056	—	—	1131
ყარავაშები, იასახჩები და თერეკემენები	7888	1257	—	—	9145
ს უ ლ	21348[254]	3257	706	294	25605[255]

მოყვანილ ცხრილში არაა შეტანილი თერგის ოლქში შემავალი იჩქერიის, მთისა და არღუნის ოკრუგები, ვინაიდან იქ თითქმის არ არსებობდნენ მონა-ყმები[256]. სამაგიეროდ, მოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ყაბარდოს ოკრუგში ყველაზე მეტი სახისა და რაოდენობის დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები იყვნენ. ამიტომ იყო, რომ დამოკიდებული წოდების განთავისუფლებისათვის წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები და განთავისუფლებაც სწორედ აქედან დაიწყო და მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ გააიოლა რეფორმის გატარება თერგის ოლქის სხვა ოკრუგებში.

ბ) ყუმიყეთის ოკრუგი

დამოკიდებული წოდების ცალკეული სახეობისა და მათი საერთო რაოდენობის მხრივ თერგის ოლქში, ყაბარდოს ოკრუგის შემდეგ, ყუმიყეთის ოკრუგი იგდა. მართალია, ყუმიყეთში მოსახლეობის რაოდენობა 1865 წ. მონაცემებით მეტი იყო[257], ვინემ ყაბარდოს ოკრუგში, მაგრამ დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა რაოდენობა ექვს-

[254] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 124, ფ. 5.
[255] ССКГ, вып. I, с. 40.
[256] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1051, ფ. 27.
[257] Кавказский календарь, Тифлис, 1866, с. 310.

ნახევარჯერ ნაკლები იყო ყაბარდოს ოკრუგში არსებულ დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა საერთო რაოდენობასთან შედარებით[258]. სამაგიეროდ, ყუმიყეთის ოკრუგში არსებული დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა საერთო რიცხვი თითქმის სამნახევარჯერ მეტი იყო ოსეთის, ჩეჩნეთისა და იგუშეთის ოკრუგებში არსებული დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა საერთო რაოდენობაზე.

ყუმიყეთის ოკრუგში დამოკიდებული წოდების სამი სახე არსებობდა: ჩაგარი, თერეკემენი და ყული ანუ მონა. მათი საერთო რაოდენობა 3257 სულს შეადგენდა, აქედან, ჩაგარები იყვნენ 1056, თერეკემენები 1257 და ყულები ანუ მონები 944 სული[259].

ჩაგარი. ჩაგართა წოდება ყუმიყეთში დიდი ხნის წინათ წარმოიშვა[260]. ამ წოდების წარმომადგენლები თავიანთი უფლებებითა და მოვალეობით დიდ ყაბარდოში არსებულ ოგებს უთანაბრდებოდნენ. რაც შეეხება ყაბარდოს ოკრუგის მთის საზოგადოებებში არსებულ ჩაგარებთან[261] შედარებით, ყუმიყეთის ოკრუგის ჩაგარები გაცილებით უკეთეს პირობებში იყვნენ, თუმცა 1850-იანი წლების ბოლოსაც მათ ზოგი ყმებს უწოდებდა[262], ზოგი თავადთა ყმობიდან გამოსულებს[263]. ამ ხალხმა ან თვითონ სთხოვეს თავადს მფარველობა, ან თავადმა გაათავისუფლა ივი ძლიერის შევიწროებისაგან და თავის კაბალაში მოაქცია.

ყუმიყეთის ოკრუგის ანდრეევის უბნის თავადები ჩაგართა წარმოშობის მიზეზებს ვერ ხსნიდნენ, მაგრამ დაახლოებით ამბობდნენ, რომ ეს წოდება მიეკუთვნათ გლეხებს, რომლებიც მათ სოფლებში დასახლდნენ, მათ მიწებზე. როგორ მოხდა ჩაგართა დამორჩილება — იარაღის ძალით მოაქციეს კაბალაში თუ ნაყიდები იყვნენ, ან თვითონ ითხოვეს თავადთა მფარველობა, როცა ყუმიყეთის ბარში მოვიდნენ, მფლობელებისათვის უცნობი იყო. სამაგიეროდ თავადები მტკიცედ აცხადებდნენ, რომ ყუმიყელი თავადების 9 თაობა ასე თვლიდა და 1850-იანი წლების ბოლოსაც ჩაგარები თავიანთ გლეხებად მიაჩნდათ მათ. ისინი

---

[258] ССКГ, вып. I, с. 40.

[259] იქვე.

[260] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ 3, საქმე 1053, ფ. 1.

[261] ყაბარდოს ოკრუგის მთის საზოგადოებებში ჩაგარები ყაბარდოს ღოგანაპუტებს უთანაბრდებოდნენ და ორივენი ადათიან მონებად ითვლებოდნენ.

[262] Макаров Т. Кумыкский округ, газ. «Кавказ», 1860, г, № 77.

[263] ჩაგარებიდან ნაწილი იმათი შთამომავლები იყვნენ, რომლებმაც პირობა მისცეს თავადებს, რომ მათგან სხვა ადგილას არ გადავიდოდნენ საცხოვრებლად. მეორე ნაწილი კი იმ წინაპართა მოდგმას წარმოადგენდა, რომლებმაც ასეთი პირობა არ დადეს თავადებთან. ამიტომ ჩაგართა ეს ნაწილი თავადთა სრულ მორჩილებაში არ იყვნენ, მათ თვითონ შეეძლოთ ჰყოლოდათ მონები.

ვალდებულნი იყვნენ მიწით სარგებლობისათვის ყუმიყეთში არსებული ადათ-წესების თანახმად ეხადათ სხვადასხვა სახის გადასახადები[264].

ყუმიყეთის ოლქის აქსაელთა თავადები ამტკიცებდნენ, რომ ჩაგარები თავიდანვე დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები იყვნენ. ისინი წარმოიქმნენ იმ მონათაგან, რომლებსაც თავადები თავიანთ სახლში კი არ ამყოფებდნენ, არამედ ასახლებდნენ თავიანთ სამფლობელო სოფლებში[265]. მათივე განმარტებით, ჩაგართა ნაწილი იმ მონათა შთამომავლები იყვნენ, რომლებიც მზითევში მოჰყვნენ ყაბარდოელ ქალებს ყუმიყელ თავადებზე გათხოვებისას[266].

ანდრეევის უბნის საპატიო მოხუცებისა და უზდენების აზრით ჩაგარები ეწოდებოდათ იმ მონა-ყმებს, რომლებიც თავადებმა და უზდენებმა გაათავისუფლეს სახლში სამსახურისაგან — შინამოსამსახურეობისაგან და დაასახლეს თავიანთ მიწებზე[267].

აქსაელთა საპატიო მოხუცები და უზდენები კი ამტკიცებდნენ, რომ ყუმიყეთის ბარში ჩაგარი ეწოდა იმ ხალხს, რომლებიც თავისუფლებად ითვლებოდნენ, მაგრამ მიწით სარგებლობისათვის ზოგიერთ გადასახადებს უხდიდნენ მფლობელ თავადებსა და უზდენებს. ამის გამო ჩაგარები მფლობელებზე დამოკიდებულები იყვნენ[268]. თვითონ ჩაგარები განსხვავებული აზრისანი იყვნენ თავიანთი წოდების წარმომავლობაზე.

ანდრეევის უბნის ჩაგარების აზრით, მათი წინაპრები ყუმიყეთის ბარში ყაბარდოდან, მთიდან და ნოღაის ველებიდან ჩამოსახლდნენ, ზოგი თავისი ნება-სურვილით, ნაწილი კი ამა თუ იმ მიზეზის გამო გამოიქცნენ. 1866 წ. საბუთებით, ყუმიყეთის ბარში მცხოვრები ჩაგარები იმ დროისათვის მეექვსე თუ მეშვიდე თაობის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი ყოველთვის თავისუფლები იყვნენ და ადგილობრივი ადათ-ჩვეულების თანახმად თავისუფალ მოსახლეთა უფლებებით სარგებლობდნენ, მონებად კი არასდროს ყოფილან[269]. აქსაელი ჩაგარები აცხადებდნენ, რომ მათ არ იციან საიდან და როდის მოვიდნენ მათი წინაპრები; გადმოცემით, მათი წინამორბედი იყო თავისუფალი ხალხი და არა მონები. თავად კაპლანოვის ჩაგარები ამტკიცებნენ, რომ მათი წინაპრები სხვადასხვა ტომთა წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა ადგილებიდან მოვიდნენ ყუმიყეთში და თუ მათ კაპლანოვების ჩაგარებს

---

[264] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 1.
[265] იქვე.
[266] იქვე.
[267] Макаров Т. Кумыкский округ, газ. «Кавказ», 1860, № 77.
[268] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 2.
[269] იქვე.

ეძახნენ, მხოლოდ იმისათვის, რომ კაპლანოვების მიწებზე ცხოვრობდნენ, და არა იმისათვის, რომ მათი მონები იყვნენ[270].

კაპლანოვთა ჩაგარების წარმომადგენლები—კონტუ-ოჯი, ჩაგარლი-ატაუ, ბატირბიი-ჯამოეოვი და ასეუ-კაზაკიევი, რომელთაგან პირველმა ორმა გამოისყიდა თავი, უკანასკნელები კი გამოსყიდვის გარეშე გათავისუფლდნენ, ამბობდნენ, რომ ისინი მონათა შთამომავლები და შემდეგში თავადის სახლიდან გადასახლებულები იყვნენ იმავე თავადის სოფელში, რისთვისაც ადათ-ჩვეულებით დადგენილ გადასახადებს იხდიდნენ[271]. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ ჩაგართა წოდება წარმოიქმნა ძველად, ყუმიყეთში სხვადასხვა ადგილებიდან და ტომებიდან ჩამოსახლებულებისაგან, რომლებიც საჭიროებდნენ ძლიერი და გავლენიანი თავადების მფარველობას. თავადებმა მოსულები თავისუფალ მიწებზე დაასახლეს იმ პირობით, რომ მიწითსარგებლობისათვის გარკვეული გადასახადები ეხადათ მფლობელთა სასარგებლოდ. ბოლო ხანებში მათ შეუერთდნენ მონათა ოჯახები, რომლებიც თავადებმა შინამოსამსახურეობიდან გაანთავისუფლეს[272], დაასახელეს თავიანთ მიწაზე და მოსულ ჩაგარებთან შედარებით გაცილებით მეტი გადასახადები დაუწესეს[273].

თავადები და უზდენები იმდენ მიწას აძლევდნენ ჩაგარებს, რამდენიც ესაჭიროებოდათ[274]. მიწით სარგებლობისათვის, როგორც აღინიშნა, ჩაგარები მფლობელს უხდიდნენ იასაკს ან პირობით გათვალისწინებულ გადასახადებს[275]. ჩაგარებს შეეძლოთ მიწის ყიდვა, უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ მონებიც, თუკი საშუალებას გამონახავდნენ მათ შესაძენად, თუმცა აქსაელი თავადები ამას უარყოფდნენ. ამგვარ უფლებებთან ერთად მათ არ შეეძლოთ ერთი აულიდან მეორეში, ანუ ერთი მფლობელიდან მეორესთან გადასულიყვნენ მფლობელის ნებართვის გარეშე. თუ ასეთი რამ მოხდებოდა, პირველი მფლობელი იღებდა ჩაგარისაგან 100 მანეთს ან იბრუნებდა წასულს უკან. თავადებს არ შეეძლოთ გადაესახლებინათ ჩაგარები სამი მთავარი აულიდან: ანდრეევიდან, აქსაიდან და კოსტეკიდან. სხვა პატარა სოფლებიდან კი თავადებს ჩაგართა გადასახლების უფლება ჰქონდათ. თავადს უფლება ჰქონდა ჩაგარი გაეყიდა, თუკი უკანასკნელი რაიმეს დააშავებდა[276]. მფლობელს შეეძლო ჩაგარი გაენთავისუფლებინა გადასახადებისაგან

---

270 იქვე.

271 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 2—3.

272 Макаров Т. Кумыкский округ, газ. «Кавказ», 1860, г., № 77.

273 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 2—3.

274 იქვე.

285 ССКГ, вып. I, с. 39.

276 გასვიანი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

ან გაენთავისუფლებინა დამოკიდებულებისაგან ფულით ან უფულოდ. ჩაგარის გათავისუფლებისათვის მფლობელი, თავისი შეხედულებით, იღებდა ფულს 10 მანეთიდან 200 მანეთამდე—მამაკაცზე; ქალის განთავისუფლებისათვის კი არაფერს იღებდნენ. მფლობელს შეეძლო დანაშაულისდაგვარად დაესაჯა ჩაგარი, მის სიცოცხლეს კი ვერ შეეხებოდა. ჩაგართა შინამოსამსახურედ აყვანა თავადს არ შეეძლო[277].

ჩაგართა მფლობელებზე დამოკიდებულება ყოველი თაობის შემდეგომ მცირდებოდა და ბოლოს გამოსყიდვით ისპობოდა[278].

ჩაგართა ქონებაზე, მათ სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც, თავადებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ. ჩაგარის სიკვდილის შემთხვევაში, თუ მას მამრობითი სქესის შთამომავალი არ ჰყავდა, ქონება მის ახლო ნათესავს რჩებოდა. თუ არც ახლო ნათესავი ჰყავდა მამრ. სქ. წარმომადგენელი, მაშინ გარდაცვლილი ჩაგარის ქონება თავადს რჩებოდა, ნაწილი კი გარდაცვლილის მდედრობითი სქესის შთამომავალს ან ახლო ნათესავს ეძლეოდა. საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ეს აღათ-წესი გენ. ერმოლოვმა გააუქმა, რის შემდეგაც ჩაგარის ქონება მემკვიდრეს ან ახლო ნათესავს რჩებოდა, რომელი სქესის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო. თუ ჩაგარს თავადის ნებართვით სახლი, წისქვილი ან სხვა რაიმე ნაგებობა ჰქონდა აშენებული ან ბაღი ჰქონდა თავისი შრომით გაშენებული, სხვა აულში გადასახლებისას თავის სასარგებლოდ ჰყიდიდა. თუ ჩაგარს ვინმე მოკლავდა, სისხლის აღების საქმეს თვითონვე განაგებდნენ თავადის მონაწილეობის გარეშე. თუ თავადს ვინმე მოკლავდა, ჩაგარს მონაწილეობა უნდა მიეღო სისხლის აღებაში[279]. ჩაგართა ქორწინების საქმეებში თავადები თითქმის არ ერეოდნენ[280]. შვილის დაქორწინებისას ან ქალის გათხოვებისას თავადთა ნებართვა არ იყო საჭირო. ჩაგართა ქორწინება ძირითადად ერთმანეთში, ამ წოდების შიგნით ხდებოდა [281]. იყო შემთხვევები, როცა ჩაგარები უზდენთა ქალებზე ქორწინდებოდნენ. მათი შვილები კვლავ ჩაგარებად იწოდებოდნენ. უზდენისა და ჩაგარი ქალის ქორწინების შედეგად დაბადებულები კი უზდენებად იწოდებოდნენ.

ანდრეევის უბნის ჩაგარები მიწით სარგებლობისათვის მფლობელებს უხდიდნენ ბულკას ან იასაკს და გარდა ამისა, მათგან დამოკიდებულნი არ იყვნენ. აქსაისა და ნოღაის უბნების ჩაგარები იხდიდნენ

---

[277] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 3.
[278] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ 3, საქმე 1048, ფ.1.
[279] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 415, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 3.
[280] გ ა ს ვ ი ა ნ ი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 120.
[281] იქვე.

ბულკას, იასაკს[282], მინდვრიდან თავიანთი ურმებით მოჰქონდათ ხორბალი, თივა და სხვ[283]. მდინარე სულაკის იქითა მხრიდან თავიანთი ურმებით მოჰქონდათ თავადებისათვის საფლავის ქვები. ჩაგარს თუ უღელი ხარი ჰყავდა, ვალდებული იყო მფლობელისათვის 12 ურემი შეშა მოეტანა საზამთროდ[284]. გარდა ამისა, ჩაგარები თავადებისათვის აშენებდნენ ბინას, ცალკე სამზარეულოს, თავლას, წნელით ღობავდნენ ეზოს და სხვ.[285]. ჩაგართა ქალები რეცხავდნენ და აშრობდნენ ხორბალს. მათვე ევალებოდათ ნაგებობათა გალესვა, თუმცა აქსაელთა ჩაგარების განცხადებით, მათ ბულკასა და იასაკის გარდა არავითარი ვალდებულება არ ჰქონდათ და თუ მაინც აკეთებდნენ, იძულებით; 1819 წლიდან კი იძულებითი ვალდებულებისაგან სამუდამოდ განთავისუფლდნენ.

ჩაგართა განთავისუფლება გადასახადებისაგან ზოგჯერ უფასოდ, ყოველგვარი გამოსაღების გარეშე ხდებოდა, სულის საცხონებლად. თავადი ან უზდენი სიკვდილის ან მექაში წასვლის წინ ავადმყოფობის შესამსუბუქებლად ათავისუფლებდა ჩაგარს გადასახადებისაგან[286]. გარდა თავადებისა, ყუმიყეთში ზოგ უზდენსაც ჰყავდა ჩაგარები. უზდენთა ჩაგარები არ სარგებლობდნენ თავადთა ჩაგარების უფლებებით და მათი ყოფა მონათა მდგომარეობას უახლოვდებოდა. ისინი არ სარგებლობდნენ პირადი, საოჯახო და ქონებრივი უფლებებით, რის გამოც რეფორმის წინა აღწერის დროს ისინი მონათა რიცხვში იქნენ ნაჩვენები[287]. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩაგარები სხვადასხვა მხარის ტომებიდან იყვნენ ყუმიყეთის ბარში ჩამოსახლებულები და, თავადთა მიწებით სარგებლობისათვის, ამ უკანასკნელთა დამოკიდებულებაში იყვნენ მოქცეულები, რაც მიწით სარგებლობისათვის სხვადასხვა გადასახადებში გამოიხატებოდა[288].

ყუმიყეთის ოკრუგში დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა შორის ყველაზე მეტი რაოდენობით თერეკემენები იყვნენ[289]. თავიანთი მდგომარეობით თერეკემენები უთანაბრდებოდნენ ყაბარდოს.

---

282 იასაკს ბეწვეულით ან საქონლით იხდიდნენ, ვისაც ცხვარი ჰყავდა, ისინი იხდიდნენ ე. წ. კენტ-იასაკს, შეშის სავალდებულო მოტანას ურემ-აგაჩი ეწოდებოდა და სხვ...

283 Шамхалы тарковские (с родословною таблицею), ССКГ, вып. I, с. 78.

284 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1048, ფ. 1.

285 გ ა ს ვ ი ა ნ ი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

286 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1052, ფ. 4.

287 იქვე.

288 Шамхалы Тарковские..., ССКГ, вып. I, с. 78.

289 ССКГ, вып. I, с. 40.

ოკრუგის მთის საზოგადოებების ყარაყიშებსა და იასახჩებს[290]. ყუმიყეთის თერეკემენები ნადირ-შაჰის ლაშქრის დამარცხებისას ტყვედ ჩავარდნილთა და დეზერტირთა შთამომავლები იყვნენ, რომლებიც ყუმიყეთის ბარში მდინარე სულაკის ორივე მხარეს დასახლდნენ თავადთა აულებში: ჩანტ-აულში, თემირ-აულში და კოსტეკში. ამიტომ იყო, რომ ყუმიყეთის ოკრუგში თერეკემენები მხოლოდ ორ საგვარეულოს — კაზანალიპოვებს და თემიროვებს ჰყავდათ[291].

თერეკემენები პირადად თავისუფლები იყვნენ, მხოლოდ მიწით სარგებლობისათვის იყვნენ დამოკიდებული მფლობელზე. მათ უნდა ეხადათ გადასახადები ფეტვის, ხორბლისა და სხვათა სახით[292]. მათვე ევალებოდათ ბეგარა — თავადის მამულში მუშაობა, საჭირო შემთხვევაში ურმების გამოყვანა და სხვ.; ვალდებულები იყვნენ თავადის ქალები მოგზაურობისას წაეყვანათ და მოეყვანათ თავიანთი ურმებით. მათვე ევალებოდათ რიგრიგობით ურემი გაეგზავნათ მთის საძოვრებზე გარეკილ თავადთა ცხვრისა და ძროხების მწყემსებთან, საიდანაც მოჰქონდათ რძე, ყველი, კარაქი, მატყლი და სხვ[293]. ერთი სიტყვით, თერეკემენები ურმებით ემსახურებოდნენ თავადებს ყოველგვარ საქმიანობაში[294]. თავადს უფლება ჰქონდა თერეკემენის სავალდებულო გადასახადები და ბეგარა სხვა პირისათვის გადაეცა სამუდამოდ ან დროებით. თავადს შეეძლო თერეკემენის განთავისუფლება გადასახადებისა და ბეგარისაგან, თუმცა ასეთი რამ იშვიათი იყო ყუმიყეთში. თავადს არ შეეძლო თერეკემენი სხვა ადგილას გადაესახლებინა ან ჩამოერთმია მიცემული მიწა. ზოგიერთ თერეკემენს არ ჰქონდა უფლება დაეტოვებინა თავისი ადგილსამყოფელი, მიწა და სხვაგან გადასახლებულიყო. ვისაც ასეთი უფლება ჰქონდა და ამას გამოიყენებდა, ვეღარ ისარგებლებდა იმ მიწით, რომელსაც მანამდე ამუშავებდა. თერეკემენთა ქორწინებითსა და სისხლის აღების საქმეებში თავადები არ ერეოდნენ და არც მათ ქონებაზე გააჩნდათ უფლებები[295]. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ თერეკემენები პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ და მფლობელებზე დამოკიდებულები იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ამ უკანასკნელთა მიწებზე სახლობდნენ და მათივე მიწებს ამუშავებდნენ. მიუხედავად სხვადასხვაგვარი გადასახადებისა და ბეგარისა, თერეკემენები ნახევრად თავისუფალ მდგომა-

---

[290] იქვე. გვ. 39.
[291] საქ. ცსა, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1048, ფ. 1.
[292] Макаров Т. Кумыкский округ, газ. «Кавказ», 1860 г., № 77.
[293] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 5.
[294] Макаров Т. Кумыкский округ, газ. «Кавказ», 1860 г., № 77.
[295] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 6.

რეობაში იმყოფებოდნენ. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ მათ მიწის ნადელთან ერთად თავისუფლება მიიღეს და სახელმწიფო გადასახადებიც შეეწერათ.

მონები. დამოკიდებული წოდების ამ კატეგორიის წარმომადგენლებს უუმიყეთში კაცს ყული, ხოლო ქალს ყარავაში ეწოდებოდათ. ყაბარდოში — უნაუთი, ყაბარდოს ოკრუგის მთის საზოგადოებებში კაცს — კაზახი, ქალს—ყარავაში, ოსეთში კი—ქუსაგი ეწოდებოდათ. მათი საერთო რიცხვი სამივე ოკრუგში 4339 სულს შეადგენდა[296]. აქედან უუმიყეთის ოკრუგზე ორივე სქესის 944 სული მოდიოდა[297] უუმიყეთის ოკრუგში მონათა არსებობას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა[298]. აქ ეს წოდება კავკასიის სხვადასხვა მხარეებში შეძენილი ტყვეებისაგან ჩამოყალიბდა. მათი მეტი ნაწილი თავდასხმების დროს, ნაწილი კი მოტყუებით წამოყვანილი და შემდეგ მონობაში გაყიდულები იყვნენ[299]. ზოგიერთნი უკანონოდ შობილ მდაბიო ადამიანთაგან წამოიშვნენ[300]. უუმიყეთში არსებული ადათ-ჩვეულებით ყველა წოდების წარმომადგენელს შეეძლო ჰყოლოდა მონა. ისინი მფლობელთა სრულ დამოკიდებულებაში იყვნენ და ამ უკანასკნელთა საკუთრებას წარმოადგენდნენ[301]. მფლობელს შეეძლო მონა გაეყიდა, გაეცვალა, გაეჩუქებინა და გაეთავისუფლებინა კიდეც. მათი გაყიდვა არ იყო შეზღუდული. თუ მათ ოჯახი ჰქონდათ[302], შეიძლებოდა ოჯახის წევრთა ცალ-ცალკე გაყიდვა. ხშირად, გაყიდვისას ცოლს აცილებდნენ ქმარს, შვილებს—მშობლებს. ყიდვა-გაყიდვა ხდებოდა მათ დაუკითხავად, მყიდველისა და გამყიდველის საჭიროებისა და შეთანხმებისამებრ[303]. მათ არ ჰქონდათ ქორწინების უფლება[304] არ ჰქონდათ პირადი საკუთრება, რაც გაანჩდათ ან შეიძენდნენ მფლობელებს ეკუთვნოდათ[305]. მფლობელი პასუხს არ აგებდა მათდამი ცუდი მოპყრობისათვის, არც დასახიჩრებისათვის, მკვლელობისათვისაც კი.

მონის მოკვლისათვის მფლობელი თვითონ იღებდა ზომებს მკვლელის მიმართ და მატერიალური შემოსავალიც მისი იყო. ასევე თვითონ

---

296 ССКГ, вып. I, с. 38.

297 იქვე, გვ. 40.

298 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 6.

299 იქვე.

300 გ ა ს ე ი ა ნ ი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

301 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1048, ფ. 1.

302 ოჯახი მათ თავიანთი ნებით კი არ ჰქონდათ შექმნილი, არამედ მფლობელის ნება-სურვილით. ქორწინება მფლობელის ნებართვით და მოლას მეშვეობით ხდებოდა, საცოლისა და საქმროს თანხმობა არ იყო საჭირო.

303 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 6.

304 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 315, ფ. 2.

305 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1048 ფ. 1.

მფლობელები აგებდნენ პასუხს მათი მონების მიერ ჩადენილი მკვლელობისას.

მონები ასრულებდნენ ყოველგვარ სამუშაოებს სახლში და გარეთ, რასაც კი მფლობელი მოისურვებდა. ამ მხრივ მათი შრომა არ იყო განსაზღვრული. შარიათის მიხედვით მფლობელები ვალდებულები იყვნენ თავიანთი მონების არსებობა უზრუნველეყოთ, არ დაევალებინათ მათთვის ისეთი სამუშაოს შესრულება, რასაც ვერ შეძლებდნენ და საერთოდ ადამიანურად მოპყრობოდნენ მათ[306]. მფლობელისა და მონა-ქალის კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვი თავისუფალი — დამოუკიდებული იყო. მონის შრომას მფლობელი ყოველდღიური კვებითა და ტანსაცმლით „ანაზღაურებდა". იშვიათი იყო შემთხვევა, როცა მფლობელი უღელ ხარს აძლევდა, რათა ბატონის სამუშაოების დამთავრების შემდეგ, თავისთვის ემუშავა[307]. ასეთ შემთხვევაში მფლობელი მონას აღარ აჭმევდა და არც ტანსაცმლით უზრუნველყოფას კისრულობდა[308]. თავადები ცდილობდნენ მონისათვის ისეთი პირობები შეექმნათ, რომ ეარსებათ. ამას იმიტომ კი არ აკეთებდნენ, რომ ადამიანური გრძნობა გააჩნდათ, არამედ იმიტომ, რომ მონის სიკვდილი მუშახელის დაკარგვას მოასწავებდა, მათი შრომის გარეშე კი წარმოუდგენელი იყო თავადთა არსებობა. გარდა ამისა, მონის ყიდვა დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული. ყუმიყეთში რუსეთის ჯარის შესვლამდე, ანდრეევში მთავარი ბაზარი არსებობდა, სადაც ხდებოდა მონების ყიდვა-გაყიდვა[309].

1819 წ. გენ. ერმოლოვმა, რუსეთის ჯარის მიერ ყუმიყეთის ბარის დაკავებისთანავე, ციხე-სიმაგრე ვნეზაპნოი ააშენა, ხსენებული ბაზარი გააუქმა, მონათა ყიდვა-გაყიდვა აკრძალა და ანდრეევის უფროს თავადს შეპე თემიროვს დაავალა მონათა ყიდვა-გაყიდვის ერთხელ და სამუდამოდ მოსპობა[310]. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ჩრ. კავკასიის მთიელ ტომებში მონების ყიდვა-გაყიდვა კვლავ გრძელდებოდა. 1846 წ. 5 აგვისტოს კავკასიის ხაზისა და შავი ზღვის ჯარების უფროსის № 907 ბრძანებით აიკრძალა მონათა გაყიდვა ერთი საზოგადოებიდან მეორე საზოგადოებაში[311]. 1861 წ. დადგენილ იქნა: 1. მფლობელებს თავიანთი მონები გაეყიდათ, გაეჩუქებინათ ან სხვა გზით გაესხვისებინათ მთელი ოჯახი ერთად და არავითარ შემთხვევაში არ

---

306 Макаров Т. Кумыкский округ. газ. «Кавказ». 1860 г., № 77.
307 საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 1053, ფ. 6.
308 იქვე.
309 იქვე.
310 იქვე.
311 იქვე.

დაეშვათ ოჯახის წევრთა დაცალკევება, სხვა ადგილებში გაყიდვა-გასხვისებით.

2. მონა ქალი, რომელიც თავისუფალ პირზე გათხოვდებოდა, არ შეიძლებოდა ქმრისაგან დაეცილებინათ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, ბავშვების დაცილება კი მშობლების თანხმობის გარეშე.

ყუმიყეთში მონის ფასი 300-დან 450 მანეთამდე აღწევდა, მონა ქალის ფასი კი 300-დან 500 მანეთამდე ვერცხლით. იშვიათად მფლობელი თავისი ნება-სურვილით ანთავისუფლებდა მონას გამოსყიდვის გარეშე, ზოგჯერ კი გამოსყიდვით.

პირველ შემთხვევაში, მფლობელები ანთავისუფლებდნენ მონებს სიკვდილის წინ სულის საცხონებლად, რაიმე ოჯახური მოვლენის აღსანიშნავად ან საპატიო სტუმრის პატივსაცემად[312]. მეორე შემთხვევაში, მფლობელი თხოულობდა განსაზღვრულ თანხას[313]. გამოსყიდვისათვის და გადახდისათვის უნიშნავდა ვადას — 2,3, და იშვიათად 4 წელს. გამოსასყიდი ფასი 100-დან 500 მანეთამდე აღწევდა[314]. ძალიან იშვიათი იყო, როცა მონას სხვისი დახმარების გარეშე შეეძლო გამოსყიდვა და ისიც მთელი ოჯახისა ერთად. უფრო ხშირად, ისინი გამოსასყიდ თანხას მოწყალებით აგროვებდნენ. მონა მიდიოდა ოკრუგის აულებში, თვალცრემლიანი თხოულობდა მოწყალებას, ხშირად სხვა ოკრუგის აულებშიც მიდიოდნენ მოწყალების საძიებლად. მაჰმადიანური სარწმუნოება გაჭირვებულთათვის მოწყალების გაცემთა სულის ცხონებას ქადაგებდა და ამიტომ იყო, რომ გამოსყიდვისათვის ფულის მთხოვნელს იშვიათად თუ ვინმე უარს ეტყოდა[315]. ზოგი ფულს სესხულობდა, ვინც რაიმე ხელობა იცოდა, მიდიოდა გამომუშავებაზე. ერთი სიტყვით, აგროვებდნენ საკმაო რაოდენობის თანხას, ზოგჯერ პირუტყვს, საოჯახო საგნებს, ხორბალს და სხვ. მიუხედავად ამისა, მაინც ძნელი იყო ამგვარი გზით საჭირო თანხის შეგროვება[316], მითუმეტეს, რომ სოფლებს ბევრმა მიაშურა მოწყალების მისაღებად. საბოლოოდ, როგორც დამოკიდებული წოდების ყველა წარმომადგენელი, ყუმიყეთის ყულები და ყარავაშებიც საგლეხო რეფორმის შედეგად განთავისუფლდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, ჩრდილოეთ კავკასიაში მონობა საბოლოოდ მოისპო.

---

[312] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 7.
[313] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1048, ფ. 1.
[314] ССКГ, вып. I, с. 38.
[315] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 7.
[316] Макаров Т. Кумыкский округ, газ. «Кавказ», 1860, г., № 77.

ბ) ოსეთის ოკრუგი

ყაბარდოსა და ყუმიყეთის ოკრუგებთან შედარებით ოსეთში გაცილებით მცირე იყო დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა საერთო რიცხვი[317], რაც ამ მხარეში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დაბალი დონის[318] შედეგი იყო. ფეოდალური ურთიერთობა ოსეთის ყველა საზოგადოებაში არსებობდა, მაგრამ განვითარების დონის მხრივ მათ შორის საგრძნობი განსხვავება შეინიშნებოდა.

საზოგადოებებს შორის ფეოდალიზმის განვითარების შედარებით მაღალი დონით დიგორის ხეობა და განსაკუთრებით ტაპანდიგორია და უალაგქომი გამოირჩეოდნენ[319], როგორც ოსეთის ყველა საზოგადოებაში, დიგორშიც გაბატონებული და მათზე დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები არსებობდნენ. გაბატონებული წოდების წარმომადგენლები იყვნენ ბადელიანები, რომელთანაც დამოკიდებულებაში იყვნენ: ადამიხატები, კუმიაგები და ქუსაგები[320]. მოსახლეობის ძირითად მასას ადამიხატები შეადგენდნენ, რომლებიც ბადელიათთა შვიდ საგვარეულოს შორის იყვნენ განაწილებულნი. ადამიხატები დამოკიდებული წოდების სხვა სახეებთან შედარებით გაცილებით თავისუფლები იყვნენ, თუმცა რამდენადმე მაინც ბადელიათებზე იყვნენ დამოკიდებულები. ადამიხატებს გარკვეული გადასახადებიც ეკისრათ[321]. მათ შეეძლოთ ერთი ბადელიათისაგან მეორესთან გადასულიყვნენ, მაგრამ გადასახადები კელავინდებურად უნდა ეხადათ ახალ მფლობელთან.

ადამიხატს თავისი მიწა ჰქონდა, რომელსაც იგი ამუშავებდა. მიუხედავად ამისა, მისი სრულუფლებიანი პატრონი, შთამომავლობით განმკარგულებელი მაინც არ იყო. მას არ შეეძლო გაეყიდა იგი, თუ ბატონს არ შეეკითხებოდა და არ შესთავაზებდა ყიდვას. ასევე შეზღუდული იყო ამ მიწის შთამომავლობით გადაცემა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ადამიხატის ოჯახში მამრობითი სქესის წარმომადგენელთა გარდაცვალების შემთხვევაში, ან საერთოდ, როცა ოჯახში მამრ. სქესის წარმომადგენელი არ იყო, მთელი მოძრავი და უძრავი ქონება ბადელიათის საკუთრებაში გადადიოდა. თუ ადამიხატი დიგორიდან წავიდოდა, მისი

---

[317] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 13.

[318] გასვიანი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

[319] История Северо-Осетинской АССР, с. 94.

[320] გასვიანი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

[321] Скитский Б. В. Сословный вопрос в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв., Известия «СОНИИ», т. XVI, Орджоникидзе, 1954, с. 87.

ქონება ფეოდალს რჩებოდა. ბადელიათის განკარგულებაში იყო ადამიხატის კუთვნილი პირუტყვიც.

თუ ადამიხატი შვილს გაათხოვებდა, ბადელიათისათვის უნდა მიეცა 1 ხარი; მამის სიკვდილის შემდეგ თუ ძმები გაიყრებოდნენ, ასევე ერთი ხარი უნდა მიეცათ მფლობელისათვის, ხოლო ქელეხის ან გარდაცვლილის რომელიმე მოსახსენებელ დღეს ერთი ცხვარი. თუ ადამიხატი პირუტყვს დაკლავდა, ბადელიათისათვის შესაფერისი ხორცის ნაჭერი უნდა მიერთმია. ადამიხატები მიწით სარგებლობისათვის იხდიდნენ გადასახადებს ოსეთის თითქმის ყველა საზოგადოებაში[322], მაგრამ იგი ყველგან ერთნაირი არ იყო. მთისწინეთში ადამიხატები არა მარტო ნატურალურ გადასახადებს იხდიდნენ, არამედ შრომამიგებითი სამუშაოებიც ეკისრებოდათ. ადამიხატთა ყოველ კომლს კვირაში 1 დღე თითო კაცი უნდა გამოეყვანა გუთნით სახნავად, შემდეგ პურეულის ასაღებად. მათვე ევალებოდათ ნატურალური გადასახადები. დიგორში არსებობდა დამოკიდებული წოდების სახე—ხეხესი[233].

ხეხესები მეზობელი ხეობებიდან იყვნენ გადმოსულები, ისინი თავისუფლები იყვნენ, მაგრამ ვინაიდან ფეოდალთა მიწებზე ცხოვრობდნენ, მიწის გადასახადებს იხდიდნენ. ოსეთში გავრცელებული იყო დამოკიდებული წოდების სახე — ქავდასარდი (კუმიაგი), რომელიც მხოლოდ ოსეთში არსებობდა. გაბატონებული წოდების წარმომადგენლები თავიანთი ღირსების ტოლი წოდების წარმომადგენელთა ქალებზე ქორწინდებოდნენ[321]. ხშირად ყაბარდოს მაღალი წრეებიდან (გარდა ყაბარდოელი თავადებისა) მოჰყავდათ ქალი ან პირიქით მათზე ათხოვებდნენ[325].

მაღალი წოდების წარმომადგენელ ქალს არ ეკადრებოდა საოჯახო და მითუმეტეს გარე სამუშაოები. ამიტომ ალდარს ან ფარსაგლაგს, რომელსაც საშუალება ჰქონდა, თავისუფალი წოდებიდან მოჰყავდა ე. წ. სახელობითი ცოლი, ნომილუსი, რომელიც ყოველგვარ სამუშაოებს ასრულებდა სახლში და გარეთაც[326]. სახელობითი ცოლის მოყვანა დაშვებული იყო მხოლოდ ალდარებსა და ფარსაგლაგებში, როგორც მაჰმადიანებში, ასევე ქრისტიანებში[327]. ასეთ ქორწინებისას ოსეთში არსებულ ურვათზე გაცილებით მეტი იყო გადასახდელი და ამიტომაც მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ ამ ნაბიჯის გადადგმა, რაც გამოწვეული

---

322 Лавров Д. Об Осетии и осетинах, с. 298.

323 იქვე.

324 Берже Ад. Указ. труд, с. 295.

325 Скитский Б. В. Указ. труд, с. 88

326 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 1.

327 ოსეთში გაბატონებული წოდების წარმომადგენელთა მეტი ნაწილი მაჰმადიანები იყვნენ, ნაშვიათად კი ქრისტიანები.

იყო ოსეთში მონებზე დიდი მოთხოვნილებითა და მათი გაუგონარი სიძვირით[328]. მოგვიანებით, სახელობითი ცოლის შერთვის უფლება ფარსაგლაგსაც მიეცა, თუკი მას საშუალება ექნებოდა. ფარსაგლაგთა მიერ სახელობითი ცოლის შერთვა იშვიათი იყო[329].

ამგვარი ქორწინებით, ოსეთის მაღალი წოდების წარმომადგენლები — ალდარები და ფარსაგლაგები, ოჯახისათვის საჭირო მუშახელს იძენდნენ, რათა მათთვის ეკეთებინათ ის საოჯახო საქმეები, რომელიც, როგორც აღინიშნა, შეუფერებელი იყო მაღალი წოდების ქალისათვის.

ასეთი ქორწინებით შობილს ქავდასარდი (დიგორში კუმიაგი) ეწოდებოდა[330]. ისინი იზრდებოდნენ მამის ოჯახში, დედასთან ერთად ან უდედოდ, „უფროსი" ცოლისაგან შობილ ბავშვებთან ე. ი. ქავდასარდის ან კუმიაგის მამით ნახევარ და-ძმასთან ერთად და უკანასკნელთა უმცროს და-ძმებად იწოდებოდნენ[331]. უფროსი ძმის ე. ი. ალდარის ან ფარსაგლაგის კანონიერი შვილის ვინმეს მიერ მოკვლის შემთხვევაში, სისხლის აღება ქავდასარდის ვალდებულებად ითვლებოდა და პირიქით, თუ ქავდასარდს ვინმე მოკლავდა, სისხლი, „უფროს" ძმას უნდა აეღო[332]. ქავდასარდის სისხლის ფასი ისეთივე იყო, როგორიც თავისუფალი წოდების წარმომადგენლის სისხლისა. ქავდასარდს შეეძლო დაქორწინებულიყო თავისუფალი წოდების წარმომადგენელ ქალზე, თუკი ურვათის გადახდის შესაძლებლობა ექნებოდა. მისი დამოკიდებულება მამასთან, ვისთანაც იგი იზრდებოდა, არ იყო მონური, იგი ღარიბი ადამიანის მდგომარეობას უფრო უახლოვდებოდა. ოჯახში უფროსის სიკვდილის შემდეგ, ქავდასარდი ან წავიდოდა იქიდან, ანდა უფრო ხშირად აგრძელებდა სამსახურს თავის „უფროს" ძმებთან. არჩევანი ქავდასარდზე იყო[333].

თუ იგი დატოვებდა გარდაცვლილი მამის — ალდარის ან ფარსაგლაგის სახლკარს, მას ეძლეოდა ოჯახის, როგორც მოძრავი ისე უძრავი, ქონების გარკვეული ნაწილი[334]. თუ რა ნაწილი მიეცემოდა ქავდასარდს წასვლისას, არ იყო დადგენილი. იგი დგინდებოდა ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, მოწვეული მედიატორების შეხედულებით[335]. ქავდასარდის წასვლა არ იყო ხელსაყრელი ოჯახისათვის, ვინაი-

---

[328] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 1.

[329] Шанаев Дж. Свадьба у северных осетин, ССКГ, вып. IV, Тифлис, 1870, с. 4.

[330] Скитский Б. В. Указ. труд, с. 70.

[331] საქ ცსა. კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 1.

[332] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 5.

[333] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 2.

[334] იქვე, გვ. 2.

[335] ССКГ, вып. I, с. 44.

დან მუშახელს კარგავდნენ[336]. ხშირად არ უშვებდნენ ქავდასარდს ოჯახიდან, რის საფუძველზეც სამუდამო შუღლი და მტრობა იჩენდა თავს.

ქავდასარდი მიწით სარგებლობისათვის თავის „უფროს“ ძმებს არავითარ გადასახადს არ უხდიდა, ითვლებოდა თავისუფალი წოდების წარმომადგენლად, თუმცა იწოდებოდა და რჩებოდა ქავდასარდად[337]. ბოლო ხანებში, XIX ს. 20-იან წლებში, როცა რუსეთის ადმინისტრაციამ დიდი უფლებები მიანიჭა პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებს, ურთიერთობა ქავდასარდებსა და ალდარ-ფარსაგლაგებს შორის სასტიკად გამწვავდა, მუდმივი შუღლი და გაუთავებელი დავა გაჩაღდა[338]. ქავდასარდები ამტკიცებდნენ, რომ მათი უფროსი მფლობელის სიკვდილის შემდეგ მთავრდებოდა მათი დამოკიდებულება იმ ოჯახთან, სადაც ისინი იზრდებოდნენ. ალდარები და ფარსაგლაგები ე. ი. მამები ან „უფროსი“ ძმები კი, პირიქით, ამტკიცებდნენ, რომ ქავდასარდები კვლავ თავის ძველებურ მდგომარეობაში უნდა დარჩენილიყვნენ უფროსის გარდაცვალების შემდეგ, მფლობელთა არანაკლებ სამი თაობის ხელში, გარდაცვლილის ჩათვლით[339].

ქავდასარდთა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა[348]. ალდარები და ფარსაგლაგები ამტკიცებდნენ, რომ ადათ-ჩვეულებით იყო დადგენილი:

1. ქავდასარდი ისევე ეკუთვნოდა მათ, როგორც სხვა მონები, იმ განსხვავებით რომ მფლობელს მისი გაყიდვა არ შეეძლო.

2. თუ მფლობელი არ იყო კმაყოფილი ქავდასარდით, მას ნება ჰქონდა არ მიეცა მისთვის დაქორწინების უფლება. მფლობელს ნებართვით დაქორწინებისას ურვათს მფლობელი იღებდა. ასეთი ქორწინებით შობილი ბავშვები მფლობელს ეკუთვნოდა, თუკი ქავდასარდი ოჯახიდან არ იყო გამოყოფილი.

3. ქავდასარდის ქალიშვილის გათხოვებისას ან ნომილუსად მიცემისას მფლობელი იღებდა ურვათს. თუ ქმარი გაეყრებოდა, მფლობელს თავის ოჯახში მიჰყავდა და მეორედ გათხოვებისას ურვათს კვლავ მფლობელი იღებდა. თუ მფლობელის ოჯახი გაიყრებოდა, ქავდასარდი რჩებოდა ერთ-ერთ „უფროს“ ძმასთან. თუ წავიდოდა, მიწაზე უფლება არ ჰქონდა, უნდა ეცხოვრა მფლობელის აულში. თუ უფროსი გარდაიცვლებოდა და შვილები არ გაიყრებოდნენ, ქავდასარდი მათთან რჩებო-

---

[336] ССКГ, вып. I, с. 44.
[337] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 124, გვ. 5.
[338] იქვე, გვ. 6.
[339] იქვე, ფ. 2.
[340] იქვე.

და. უშვილო ალდარის ან ფარსაგლაგის სიკვდილის შემდეგ ქავდასარდი გარდაცვლილის ახლო ნათესავთან რჩებოდა[341].

თუ მფლობელი ცუდად მოეკიდებოდა ქავდასარდს, ხალხი გაარჩევდა საქმეს და ქავდასარდს სრული პირადი თავისუფლება მიენიჭებოდა[342]. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა უშვილო ალდარის ან ფარსაგლაგის გარდაცვალების შემდეგ,მთელი მისიq ქონება ქავდასარდს დარჩა[343]. ასეთ შემთხვევაში ქავდასარდი ფარსაგლაგად იქცეოდა[344]. ამგვარი შემთხვევა ოსეთში იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ქავდასადრს უფლება ჰქონდა მონები — ქუსაგები ჰყოლოდა, თუმცა ესეც ძალზე იშვიათი იყო[345].

მიუხედავად იმისა, რომ ქავდასარდები და კუმიაგები ალდარ-ფარსაგლაგთა სისხლით ახლობლები იყვნენ და არა ამ უკანასკნელებზე მატერიალურად დამოკიდებულები, მათი მდგომარეობა რეფორმის წინ მონის მდგომარეობას უახლოვდებოდა[346]. ისინი მფლობელებს ქუსაგების მსგავსად ემსახურებოდნენ როგორც სახლში, ისევე გარეთ[347]. საგლეხო რეფორმის გატარებისას ოსეთის ოკრუგში სულ ორივე სქესის 822 სული, 309 კაცი და 513 ქალი, ქავდასარდი, კუმიაგი და ნომილუსი ითვლებოდა[348].

საზოგადოებრივ ურთიერთობათა რამდენადმე განსხვავებული სახე არსებობდა სთირდიგორისა და დონიფარსის ხეობებში. სთირდიგორში გაბატონებულთა საგვარეულოებს — ყარაბულაევებს, თაიმაზოვებსა და კანტემიროვებს — ცარგასათები ეწოდებოდათ[349], დონიფარსსა და ლეზგორში კი — გაგუათები[350].

გადმოცემით, გაგაუთები თავიანთი ღირსებებით არამცთუ უთანაბრდებოდნენ ბადელიათებსა და ცარგასათებს, არამედ მათთან შედარებით უფრო უძველეს პრივილეგირებულ წოდებად ითვლებოდნენ. XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში მათ დაკარგეს გავლენა ხალხზე და გაბატონებული წოდების დაკნინებულ წარმომადგენლებად

---

341 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 5.

342 იქვე.

343 იქვე, ფ. 7.

344 Скитский Б. В. Указ. труд, с. 106.

345 История Северо-Осетинской АССР, с. 98.

346 ССКГ, вып. I, с. 45.

347 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 13.

348 ССКГ, вып. I, с. 45.

349 История Северо-Осетинской АССР, с. 96.

350 ეს სახელწოდება წარმოიშვა მათი მითოლოგიური წინაპრის გაგო-საგან, რომელიც ვითომცდა, ძველად გადასახლდა დონიფარსში და ხალხის მფლობელი იყო. გაგუათებს მიეკუთვნებოდნენ: გობეგკაევები, კანუკოვები, კაბანოვები, ნაიფონოვები, ძირაევები, ძობლაევები, ბერიევები და სხვ.

იქცნენ. სთირდიგორის მშრომელი მოსახლეობა XIX ს. მეორე ნახევარშიც უხდიდნენ ცარგასათებს საძოვრებისათვის გადასახადს — კომლზე ერთ თავ ყველს. ცარგასათები გლეხობისაგან საბატონო ბეგარასა და ღალასაც მოითხოვდნენ. მშრომელი მოსახლეობა უარყოფდა ცარგასათთა უფლებებს საძოვრებზე და უარს აცხადებდა გადასახადებზე. გლეხობასა და ცარგასათებს შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ცარგასათებმა დახმარებისათვის ყაბარდოს ფეოდალებს მიმართეს, რომლებსაც მხარდაჭერისათვის თავიანთი მიწის ნაწილიც კი დაუთმეს[351]. ამ ბრძოლების შედეგად XVIII ს. ცარგასათებმა დაკარგეს საბატონო ბეგარისა და ღალის აღების უფლება. მეფის მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთა აზრით,გაგუათები ცარგასათებზე დაბლა იდგნენ.

სთირდიგორსა და დონიფარსში დამოკიდებულების ფორმები და ექსპლოატაციის სახეები და გზები ძირითადად ისეთივე იყო, როგორც ტაპანდიგორში. ფეოდალური ურთიერთობის ანალოგიური სურათი იყო თაგაურში[352]. აქაც საზოგადოების კლასები არსებობდა: ფეოდალები — თაგიათები და დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები — ფარსაგლაგები, ქავდასარდები და ქუსაგები — მონები[353]. თაგიათები 11 საგვარეულოდ იყოფოდნენ[354]. თავადთა ყველაზე გავლენიან საგვარეულოდ დუდაროვები, იგივე სალონიანები ითვლებოდნენ[355].

ძველად მთელი მიწები თაგიათებს ეკუთვნოდათ. მოგვიანებით, ხალხის უკმაყოფილებით შეშინებულებმა, თაგიათთა 8 საგვარეულომ თავიანთი მიწები ფარსაგლაგებს მიჰყიდეს და დაიტოვეს მხოლოდ ის ნაწილი, რომლსაც თვითონ ამუშავებდნენ თავიანთი ხალხით. იმ დროიდან ფარსაგლაგები განთავისუფლდნენ გადასახადებისაგან და დამოუკიდებელ-თავისუფალ ხალხად ითვლებოდნენ. თაგიათთა სამმა საგვარეულომ — დუდაროვებმა, კანუკოვებმა და ჯანტიევებმა, სხვებისაგან განსხვავებით, მიწები შეინარჩუნეს და ძველებურად მოითხოვდნენ გადასახადებს[356]. მათ თავიანთი ხელქვეითები ყოველწლიურად უხდიდნენ 1 ბატკანს, 1 ცხვარს, 1 ზვინ თივას, 1 თავ ცხვრის ყველს, 10 გირვანქა ერბოს.. პირუტყვის დაკვლისას შესაფერისი ნაჭერი უნდა მიერთმიათ მფლობელისათვის. გარდა ამისა, ყოველ კომლს უნდა გამოეყვანა 1 კაცი ერთი დღით სახნავში, თიბვასა და მკაში.

---

[351] История Северо-Осетинской АССР, с.97.

[352] Лавров Д. Указ. труд, с. 298.

[353] იქვე, გვ. 298.

[354] Леонтович Ф. И. Адаты Кавказских горцев, «Материалы по обычному праву Северного и Восточного Кавказа». т. II, Одесса, 1883, с. 12.

[355] ოსეთის ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით, აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, გვ. 195.

[356] История Северо-Осетинской АССР, с. 97, Блиев М. М. დასახ. ნაშრ., გვ. 25—26.

ფარსაგლაგთა ნაწილს, როგორც აღინიშნა, თავისი მიწები ჰქონდათ და ყოველგვარი გადასახადებისაგან თავისუფლები იყვნენ. მათ გვერდით იყვნენ ფარსაგლაგები, რომლებსაც მიწები არ ჰქონდათ და თაგიათთა მიწებზე ცხოვრობდნენ. მათ თავიანთი პირადი თავისუფლება და მფლობელთა ამორჩევის უფლება შერჩათ, მაგრამ იხდიდნენ გადასახადებს: დღესასწაულებზე, ქორწილში, ქელეხსა და გარდაცვლილის მოსაგონებელ დღეებში შესაფერისი ძღვენი უნდა მიერთმიათ. ასევე, უნდა ხლებოდნენ ფეოდალს მოგზაურობაში. ფარსაგლაგი სხვაგან გადასახლებისას სახლს ფეოდალს უტოვებდა. ასეთ ფარსაგლაგებს ფეოდალები იცავდნენ და მფარველობას უწევდნენ[357]. ფარსაგლაგებისა და ადამიხატების მცირე ნაწილი, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ფეოდალებს ჩამოცილდნენ, ცალკე დასახლდნენ და გადასახადებისაგან განთავისუფლდნენ[358], რამაც საკმაოდ დიდი ზარალი მოუტანა მფლობელებს[359].

ქურთათის საზოგადოებაშიც ფარსაგლაგები თავიანთი მდგომარეობით ორ ნაწილად იყოფოდნენ: ერთ ნაწილს თავისი მიწა ჰქონდა და თავისუფლებით სარგებლობდა, მეორე ნაწილი კი — ფეოდალთა მიწებზე ცხოვრობდა და იხდიდა გადასახადებს: 1 ბატკანს გაზაფხულზე, 1 ცხვარს შემოდგომაზე, 1 ტომარა ხორბალს, 1 ზვინ თივას, დღესასწაულებზე კი მფლობელისათვის ხაჭაპური და ლუდი უნდა მიერთმიათ.

ოსეთში ყველაზე უუფლებონი იყვნენ ქუსაგები — მონები. ასეთსავე მონებს ყუმიყეთში კაცს — ყული, ქალს კი ყარავაში ეწოდებოდა. ყაბარდოს ოკრუგის მთის საზოგადოებაში კაცს — კაზახი, ქალს კი ყარავაში ერქვა. ამ კატეგორიის დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა ძირითად წყაროს ტყვეები და ბაზარზე ნაყიდი მონები წარმოადგენდნენ.

მონებით ვაჭრობა ძირითადად ყუმიყეთსა და ჩერქეზეთში წარმოებდა[360]. ოსეთში მონებით ვაჭრობას ფეოდალები ეწეოდნენ[361] ისინი მეზობელ მხარეებში იტაცებდნენ ტყვეებს და ქვეყნის შორეულსა და მიყრუებულ ადგილებში ჰყიდიდნენ. ოსეთში ყველა მონა სხვადასხვა

---

[357] История Северо-Осетинской АССР, с. 98.

[358] Березов Б. П. Земельная реформа и отмена крепостного права в Северной Осетии, Орджоникидзе, 1979, с. 3.

[359] ფეოდალები ჩიოდნენ, რომ ფარსაგლაგებისა და ადამიხატების გათავისუფლებით დიდი ზარალ მოუვიდათ. მათი ანგარიშით დიგორის ბარში ბადელიანებმა ყოველწლიურად 192500 მან. დაკარგეს, თაგაურში კი 286800 მანეთზე მეტი.

[360] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1053, ფ. 6.

[361] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამ., ტფილისი, 1904, ეგ. 183.

გზით სხვა ქვეყნებიდან იყვნენ მოყვანილი[362]. მათ არავითარი უფლებები არ ჰქონდათ. მფლობელს შეეძლო მათი გაყიდვა, გაჩუქება, ყოველნაირი გზით გასხვისება და მოკვლაც კი. ისინი ყოველგვარ სამუშაოებს ასრულებდნენ[363]. მონათა ძირითადი მასა მფლობელთა სახლში ცხოვრობდა, იშვიათად კი ცალკე სახლობდა. ამ კატეგორიის ხალხზე დიდი მოთხოვნილება იყო მთელ ჩრდილო კავკასიაში და კერძოდ, ოსეთში, რაც მუშახელის უკმარობით იყო გამოწვეული. მონის გასაყიდი ფასი საშუალოდ 100 მანეთიდან 500 მანეთამდე და უფრო მაღლა ადიოდა[364]. ფასი დამოკიდებული იყო მონის ასაკზე, გარეგნობაზე, შრომის უნარსა და რაიმე ხელობის ცოდნაზე. მათ არც მიწაზე ჰქონდათ არავითარი უფლება და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მფლობელს განთავისუფლებისას მათთვის მიწა მიეცეს[365]. ზოგიერთებს, იშვიათად, ჰქონდათ ნაჩუქარი ქონება — 1 ძროხა, ან ცალი ხარი, სახედარი ან ცხენი[366]. მთელ ოსეთში მოიძებნებოდა რამდენიმე სული, რომლებსაც ჩამოთვლილზე მეტი სიმდიდრე გააჩნდა[367], იშვიათად, ზოგს საბოვარი ან სათიბი ჰქონდა[368]. მათი სამუშაო დრო და სამუშაოთა სახეები არ იყო განსაზღვრული, უნდა ემუშავათ ყოველთვის და ყველგან, სადაც კი მფლობელი მოისურვებდა.

ადათით, მონის მიერ თავისუფლების მიღება ოსეთში არ არსებობდა. იშვიათად იყო მაგალითი, როცა ავადმყოფი მფლობელი სიკვდილის წინ სულის საცხონებლად ტოვებდა ანდერძს ერთ-ერთი მონათაგანის განთავისუფლების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ სრულდებოდა. ზოგჯერ სნეულებით შეპყრობილი მფლობელი თავის სიცოცხლეში ანთავისუფლებდა ერთ-ერთ მონათაგანს, იმ რელიგიური რწმენით, რომ სამაგიეროდ ღმერთი მას განკურნავდა[369]. ოსეთში მთელი ოჯახის განთავისუფლების მაგალითი არ ყოფილა.

სულ თერგის ოლქში ამ კატეგორიის 4339 სული ითვლებოდა[370], აქედან ოსეთის ოკრუგში იყო ორივე სქესის 706 სული (371 კაცი და 335 ქალი)[371].

ისინი ეკუთვნოდნენ 131 მფლობელს. საშუალოდ თითო მფლო-

---

362 История Северо-Осетинской АССР, с. 95.
363 Шанаев Дж. Указ. труд, с. 3.
364 ССКГ, вып. I, с. 38.
365 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 13.
366 იქვე.
367 იქვე.
368 იქვე.
369 იქვე.
370 ССКГ, вып. I, с. 40.
371 საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1054, ფ. 13.

ბელზე ხუთნახევარ სულზე ნაკლები მოდიოდა. აქედან ზოგს 1 ჰყავდა, ზოგს კი რამდენიმე ათეულიც კი, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ.

ჩრდილო ოსეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიქმნა პირობები მთების ვიწრო ხეობებში უმიწობით სულშეხუთული მოსახლეობის ვლადიკავკაზის ანუ ოსეთის ბარში გადასახლებისათვის, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX ს. 20-30-იან წლებში. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსეთისათვის. მან მნიშვნელოვნად შეამცირა მიწის შიმშილი. 1 დესეტინა სახნავი მიწის ფასი 400-1000 მანეთს შეადგენდა. ბარში გადასახლებით არამარტო გადასახლებულთა მდგომარეობა უმჯობესდებოდა, არამედ მთაში დარჩენილთა მდგომარეობაც. გადასახლებულნი თავის მიწის ნაკვეთს ან ადგილზე დარჩენილ ნათესავებს უტოვებდნენ, ან იჯარით აძლევდნენ, ან კიდევ ჰყიდიდნენ[372].

მთიდან ბარში გადასახლებისას პირველ რიგში სოციალური ზედაფენების წარმომადგენლები იღებდნენ მიწას. ისინი შემდეგ მთის მოსახლეობას ეპატიჟებოდნენ ბარში მიწის საერთო მფლობელობისა და მისი კოლექტიური დამუშავების პირობით[373]. მაგრამ მთიელი გლეხები, რომელთაც იწვნიეს ფეოდალთა სიხარბე, არ ენდობოდნენ მათ და წერილობით გარანტიას ითხოვდნენ, რომ მომავალში მათ გადასახადებს არ მოსთხოვდნენ. ასეთი ხელწერილები ხშირად ფორმდებოდა XIX ს. 30-იან წლებიდან. ნიმუშად მოვიყვანთ 1836 წ. 20 მარტით დათარიღებულ ერთ ხელწერილს, რომელსაც სათანადო ბეჭდით ამტკიცებს ვლადიკავკაზის კომენდანტი: „...მივეცი ეს პირობა სმაილ ხოსონოვს მასზედ, რომ ხელისუფლების ნებართვით მასთან და მის საგვარეულოსთან ერთად მთავრობის მიერ გამოყოფილ ადგილზე, სადაც უნდა ვიცხოვროთ თანხმობით და მშვიდობიანად, ერთმანეთს არ ვაწყენინოთ, ერთად დავიცვათ მიწა... ვალდებულებას ვიღებ არ დავამძიმო არაფრით მათი მდგომარეობა როგორც თავისუფალი ხალხისა, არ ავიღო მათგან გადასახადები, არ დავაკისრო ბეგარა“[374].

მაგრამ ასეთი ხელწერილები საქმეს არ შველოდა. დროთა განმავლობაში ფეოდალები ბარში კოლექტიური მფლობელობის პირობით მიღებულ მიწებს ისაკუთრებდნენ, მათზე მოსახლე თანამემულეთ კი ხელქვეითებად იხდიდნენ, მიწით სარგებლობისათვის გადასახადებს აკისრებდნენ. ამან ოსეთის ბარში სოციალური ურთიერთობები ერთობ დაძაბა და ცარიზმი საადგილმამულო ურთიერთობათა მოგვარება-მო-

---

[372] იქვე.

[173] Березов Б. П. Земельный вопрос и аграрное движение на Северном Кавказе в дореформенный период, Орджоникидзе, 1978, с. 15.

[374] იქვე.

წესრიგების აუცილებლობის წინაშე დააყენა საგლეხო რეფორმამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე.

ამრიგად, ოსეთში გაბატონებული და დამოკიდებული წოდებების შესახებ მოტანილი მცირე მასალაც კი ნათლად ადასტურებს, რომ XIX ს. რეფორმამდელ ხანაში ჩრდილო ოსეთის ყველა საზოგადოებაში ფეოდალური ურთიერთობები მეტ-ნაკლები ზომით არსებობდა. განსხვავება ცალკეულ საზოგადოებას შორის, ამ თვალსაზრისით, გაპირობებული იყო ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, ერთი მხრივ, და გარე სამყაროსთან — განვითარებული ფეოდალური წყობილების მქონე მეზობლებთან ურთიერთობის ინტენსივობით, მეორე მხრივ.

დ) ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ოკრუგები

ჩეჩნები და ინგუშები ერთი მოდგმის ხალხები არიან და ამდენად მათი ყოფა-ცხოვრება და ადათ-ჩვეულებიც თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან.

საგლეხო რეფორმის გატარების წინ, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში იმდენად დაბალი იყო ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონე, რომ ძნელი შესამჩნევი იყო მოსახლეობაში კლასობრივი დაყოფა. ამიტომაც იყო, რომ ავტორები, რომლებიც ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ყოფა-ცხოვრებას აღწერდნენ, თითქმის ყველანი, ხელაღებით უარყოფდნენ იქ კლასობრივ დაყოფას, რომ არ იყვნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები და, რაღა თქმა უნდა, არც დამოკიდებული წოდების სახეები. მართალია, ჩეჩნეთ-ინგუშეთში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონე გაცილებით დაბალი იყო მეზობელ ყუმიყეთთან და ოსეთის ყველაზე დაბალი განვითარების საზოგადოებებთან შედარებითაც კი. მაგრამ იქ ფეოდალური ურთიერთობა დიდი ხნის ჩასახული იყო[375]. ამდენად, უმართებულოა იმისი მტკიცება, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში არ არსებობდა ფეოდალური ურთიერთობა, არ იყო კლასობრივი დაყოფა. ადრე ჩეჩნებს ჰყავდათ თავადები, მაგრამ შემდეგში გაანადგურეს ისინი და მეზობელი ტომებიდან მოიწვიეს თავადები[736]. გიულდენშტედტი სამართლიანად შენიშნავდა: „ჩეჩნებს ჰყავთ

---

[375] Гриценко Н. П., Хасбулатов А. И. Классы и классовая борьба в Чечено-Ингушетии в XI—XIX вв., —«Социальные отношения и классовая борьба в Чечено-Ингушетии в дореволюционный период (XI—нач. XX в.)", Грозный, 1979, с. 11—12.

[376] Ахмадов Ш. Б. К вопросу о социальных отношениях в Чечено-Ингушетии в XVIII веке, «Социальные отношения и классовая борьба в Чечено-Ингушетии в дореволюционный период (XI — нач. XX в.)», Грозный, 1979, с. 49.

მთავრები. გაბატონებული გვარი არის ტურკანი და ენათესავება ავართა ხანს[377]. ჩეჩნები ვერ იტანდნენ ბატონებს და ცოტახნის მორჩილების შემდეგ აიძულებდნენ მათ დაეტოვებინათ თავიანთი ადგილსამყოფელი"[378]. მთავარი ხასბულატი ჩეჩნებმა თვითონ მოკლეს[379], ვინაიდან ვერ შეეგუენ ბატონის ხელისუფლებას. ჩეჩნეთში ძირითადად მეზობელი ტომების წარმომადგენლები იყვნენ დაწინაურებული, რომლებიც ცდილობდნენ დაეკანონებინათ მოსახლეობაზე ბატონობა. ხშირად, ჩეჩნებს უხდებოდათ დაწინაურებულ „თავადთა" მიწებზე დასახლება, იმ პირობით, რომ მიწით სარგებლობისათვის გადასახადს იკისრებდნენ. რამდენიმე წელს იხდიდნენ გადასახადს, ცოტა რომ გაძლიერდებოდნენ, დადებულ პირობას უარყოფდნენ და გადასახადზე უარს აცხადებდნენ[380], ამბობდნენ: „მიწა ღმერთმა ყველასათვის შექმნაო"[381]. ჩეჩნების მიერ „ბატონების" გარეკვა იმდენად ხშირი იყო, რომ იძულებით წასულებმა, რუსეთის ხელისუფლების თანხმობით, ახალი სოფლები შექმნეს თერგის მარჯვენა ნაპირსა და მდ. სუნჯას შორის მდებარე დაბლოსზე — გრებენელთა და მოზდოკის კაზაკთა სტანიცების მოპირდაპირე მხარეს[382]. მფლობელები მოსულები იყვნენ აქსაიდან, ანდრეევიდან (ენდერი) და სხვ. ადგილებიდან. ისინი ჩეჩნეთში ასობით გლეხს ფლობდნენ. მაგალითად, დევლეთგირეები გერმენჩიკიდან და შალიდან იქნენ გაძევებულები. მათ ახალი სოფლები შექმნეს, სადაც 1784 წ. 400 კომლს ფლობდნენ. დიდი ჩეჩნეთიდან და თოფლიდან გაძევებულმა როსლანბეგებმა, როსლანბეგ აიდემოროვის დროს ორი სოფელი შექმნეს და 400 კომლს დაეუფლნენ. თოფლიდან გარეკილმა ტერლოვებმა ნაურის მოპირდაპირე მხარეს შექმნეს ზემო ნაური და ქვემო ნაური. თოფლიდან გაძევებული აქსაელი ხაზბულატოვები ნაურის ახლოს დასახლდნენ და ახალი სოფელი შექმნეს ტერლოვების გვერდით[383]. ახლად შექმნილ სოფლებში, გაძევებულ მფლობელებთან ერთად, თავისი ნებით სახლდებოდნენ ანუ უფრო ზუსტად მათ უერთდებოდნენ ჩეჩნები. მფლობელები ცდილობდნენ ჩეჩნებთან შეთანხმებულად ეცხოვრათ, რათა მათი ძარცვა და თავდასხმები თავიდან აეცილებინათ[384]. ამრიგად, თუ პრივილეგირებული წოდების რომელიმე წარმომადგენელი დასახლდებოდა ჩეჩნებს შორის, იგი კარგავდა თავის წოდებას

---

377 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გვ. 77.
378 Бутков П. Г. Указ. труд, ч. II, с. 112.
379 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გვ. 77.
380 Лаудаев У. Чеченское племя, ССКГ, вып. VI, с. 24.
381 იქვე.
382 Бутков П. Г. Указ. труд, ч. II, с. 112.
383 იქვე.
384 იქვე.

და დანარჩენ მეზობელთა ტოლი ხდებოდა[385], რაც დროებით ხასიათს ატარებდა. ექსპლოატაციის დაწყებისთანავე, მათ შორის სასტიკი უთანხმოება იჩენდა თავს. ჩეჩნეთ-ინგუშეთში არსებობდნენ ძლიერი და შედარებით სუსტი გვარები. ძლიერთა ხელში თავს იყრიდა მიწის ძირითადი ნაწილი[386]. ამიტომ ხშირი იყო ძლიერი გვარის მიერ სუსტების შევიწროება[387], გლეხთა ნაწილი წარჩინებულზე, ძლიერზე დამოკიდებული ხდებოდა[388]. ინგუშებშიც ასევე სუსტად იყო გამოკვეთილი მოსახლეობის კლასებად დაყოფა. ჩეჩნეთის მსგავსად, ფეოდალურმა ურთიერთობამ ინგუშეთშიც ვერ მიიღო დასრულებული სახე[389], რის გამოც ამ მხარეში თითქმის არ არსებობდა ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსული მონათა არც ერთი სახეობა, თვით საგლეხო რეფორმის გატარების დროსაც კი. აქ ჰყავდათ არაადგილობრივი წარმოშობის მონები და ისიც უმნიშვნელო რაოდენობით. ამ ხალხში ძველადგანვე არსებობდა მონათა კატეგორია, რომელთა ძირითად წყაროს სამხედრო ტყვეები[390] და ხშირად ბაზარზე ნაყიდი ადამიანები შეადგენდნენ. ყველა მონის მდგომარეობა თითქმის ერთნაირი იყო, მაგრამ მაინც ორ სახეობად იყოფოდნენ: ლაი და იასირი. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ იასირთა ბედი არ იყო განსაზღვრული. იასირი შეიძლებოდა გამოსყიდულიყო. შეეძლო იქვე, იმავე სოფელში დარჩენილიყო საცხოვრებლად, როგორც თავისუფალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, ან დაბრუნებულიყო სამშობლოში. ლაის დავიწყებული ჰქონდა თავისი წარმოშობა, ადრინდელი ვინაობა, რელიგია და მთლიანად ბატონის კუთვნილებად იყო ქცეული[391]. ლაის მდგომარეობა ბოლოს ისეთივე გახდა, როგორიც სხვა მხარეებში იყო მონების მდგომარეობა. ჩეჩნეთში ბატონს ამ კატეგორიის ე. ი. ლაის არამცთუ დასჯა, არამედ მოკვლაც კი შეეძლო[392], რაც იმაზე მეტყველ-

---

385 Лаудаев У. Указ. труд, с. 23.

386 შავხელიშვილი ა. საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI — XVIII სს-ში, თბილისი, 1980, გვ. 40.

387 ბორჩაშვილი ე. სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა ჩეჩნეთ-ინგუშეთში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაცული საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 80.

388 Гриценко Н. П. Хасбулатов А. И. Указ. труд, с. 12.

389 შავხელიშვილი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

390 Тавакалян Н. А. О классах и классовой борьбе в Чечено-Ингушском обществе во второй половине XVIII—первой половине XIX в., «Социальные отношения и классовая борьба в Чечено-Ингушетии в дореволюционный период (XI—нач. XX вв.).» Грозный, 1979, с. 71.

391 ბორჩაშვილი ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

392 Леонтович Ф. Указ. труд, с. 821.

ლებს, რომ ამ მხარეში არავითარი კანონები არ არსებობდა მფლობელსა და მონებს შორის ურთიერთობის რეგულირებისათვის.

თუ ბატონისაგან ლაი წავიდოდა და რომელიმე უფრო ძლიერ ოჯახს შეაფარებდა თავს, შემფარებელი ოჯახი ძველ ბატონთან შუამავლობას დაიწყებდა. თუ ყოფილი ბატონი მონას აღუთქვამდა პატიებას, გაქცეული უკან დაბრუნდებოდა. გაქცეულ ლაის დროებით ყველა ოჯახი შეიფარებდა, ვისთანაც კი მივიდოდა. შუამავლობასაც ყველა იკისრებდა ყოფილ მფლობელთან, მაგრამ სამუდამოდ არავინ მიიღებდა, ვინაიდან ბატონსა და შემფარებელს შორის შუღლი ჩამოვარდებოდა[393].

ჩეჩნეთში ხშირი იყო მფლობელთა მიერ მონების განთავისუფლების შემთხვევები. თუ ჩეჩენი მონას გაანთავისუფლებდა, მას წერილობით საბუთს აძლევდნენ. ამას ყადი ადგენდა ორი მოწმის თანდასწრებით. მონისაგან გასანთავისუფლებელ ფულს ყადი იღებდა, რომელიც შემდეგში მის ბატონს გადასცემდა. განთავისუფლებული მონა აზატი ე. ი. თავისუფალი ხდებოდა[394]. განთავისუფლებულის შვილებიც თავისუფლები იყვნენ ამ დღიდან. ყოფილი მონა საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი და ყველას თანაბარუფლებიანი ხდებოდა. ასეთი რამ მთის არც ერთ საზოგადოებაში და კავკასიის არც ერთ ხალხში არ ყოფილა და, რაღა თქმა უნდა, ჩეჩნეთში არსებული ადათ-ჩვეულების ზეგავლენის შედეგს წარმოადგენდა.

ახლად განთავისუფლებული მონა, არსებული წესჩვეულებების თანახმად, როგორც აღინიშნა, ყველას თანაბარი ხდებოდა, მაგრამ მაინც არ ჰქონდა ისეთი დაფასება და ავტორიტეტი საზოგადოებაში, როგორიც ადგილობრივ მცხოვრებლებს. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ჩეჩნეთსა და დაღესტანში ძალა და ხალხზე გავლენა, ავტორიტეტი დამოკიდებული იყო ნათესავთა სიმრავლეზე. მონობიდან გათავისუფლებულს კი, რომელიც სხვა მხარეში იყო გაყიდული და წლების მანძილზე სხვა ხალხში იმყოფებოდა, რა თქმა უნდა, ნათესაობა არ ეყოლებოდა. მონობის დროსაც იგი იმდენად შეჩვეული იყო ბატონის ოჯახსა და თავის მდგომარეობასთან, რომ განთავისუფლების შემთხვევაშიც კი, აღარ მიდიოდა ბატონისაგან. ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როცა განთავისუფლებული ბატონის ნათესავ ქალიშვილზე ქორწინდებოდა[395]. ხშირად კი თვით ბატონის სიძე ხდებოდა და ოჯახის არამცთუ სრულუფლებიანი, არამედ საპატიო წევრად იქცეოდა[396]. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ჩეჩნეთში გაბატონებული ადათ-ჩვეულები ხელს უწყობდა მონათა განთავისუფლებას შეღავათიან ფორმებში. აქ მონის შრომას ფართო ასპარეზი არ ჰქონდა. ამიტომაც ჩეჩნები არ

[393] Берже А. П. Чечня и чеченцы, Спб, 1859, с. 91.

[394] იქვე.

[395] Тавакалян Н. А. Указ. труд, с. 74.

იყვნენ დაინტერესებული ჰყოლოდათ დიდი რაოდენობით მონები, განსხვავებით მეზობელი ყუმიყეთისა[397] და ყაბარდოს[398] მფლობელებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა, რომ ასეთ დიდ ტომებში, როგორებიც იყვნენ ჩეჩნები — 67540[399] მოსახლითა და ინგუშები — 29912[400] სული მოსახლით, სულ 294 მონა ითვლებოდა[401]. აქედან, ინგუშეთზე 35 მონა მოდიოდა[402]. თუ მონათა რაოდენობას შეეუფარდებთ მოსახლეობის რიცხვს, მივიღებთ, რომ ჩეჩნეთში $262\frac{1}{2}$ სულზე 1 მონა მოდიოდა, ინგუშეთში კი დაახლოებით 855 სულზე — 1 მონა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში მონათა არსებობა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ჩეჩნი და ინგუში ხალხების ზოგიერთ (იჩქერიის, არღუნისა და მთის) ოკრუგებში არც მონა და არც სხვა სახის დამოკიდებული წოდების არც ერთი წარმომადგენელი არ აღირიცხა.

---

[396] Берже А. П. Указ. труд, с. 91.
[397] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 326, ფფ. 1—5.
[398] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფფ. 1—28.
[399] იქვე., ფ. 7.
[400] იქვე.
[401] იქვე, ფ. 27.
[402] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ., 3, საქმე 325, ფ. 2.

თავი III

საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება თერგის ოლქში

§ 1. საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება ყაბარდოს ოკრუგში

რუსეთში ბატონყმური ურთიერთობის გაუქმებამ დააჩქარა საადგილმამულო-საგლეხო რეფორმების გატარება ჩრდილოეთ კავკასიაში და კერძოდ, ყაბარდოში.

რეფორმის გატარება ამ მხარეში გამოწვეული იყო არა შინაგანი განვითარებით, არამედ მეფის რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური საჭიროებით[1]. რეფორმის გატარებით მეფის მთავრობა სრულებითაც არ ფიქრობდა მშრომელი მასების კეთილდღეობაზე. მას თავისი მიზანი ჰქონდა. თუ რეფორმამდე მთელმა ჩრდილოეთ კავკასიამ, და პირველ რიგში ყაბარდომ, ათეული წლების მანძილზე რუსეთის სამხედრო ნაწილების ათეულათასობით ადამიანის სიცოცხლე და მრავალი მილიონი მანეთი შეიწირა, ამიერიდან დღის წესრიგში დადგა ამ მხარის შემოსავლის წყაროდ გადაქცევა.

ყაბარდოში რეფორმის გატარება ნაკარნახევი იყო, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, აქ გაჩაღებული კლასთა ბრძოლით, რომელსაც აწარმოებდა ყაბარდოს მშრომელი მოსახლეობა, ფეოდალთა ექსპლოატაციისა და ცარისტული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ.

ბატონყმური ურთიერთობის შეზღუდვის მიზნით, 1859 წ. კავკასიის მთავარმმართველის ბარიატინსკის მითითებით მეფის რუსეთის წინააღმდეგ განწყობილ მფლობელთა და უზდენთა ხელქვეითები თავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან. იმ პრივილეგირებულთა ხელქვეითები, რომლებიც ვერ შეეგუენ ახალ რეჟიმს და თურქეთში გადასახლდნენ, თავისუფლდებოდნენ ურჩ მფლობელზე დამოკიდებულებისაგან, რაც ძირს უთხრიდა მფლობელთა ეკონომიკურ საფუძველს და მშრომელ მოსახლეობას კი რუსეთის ერთგულებისაკენ უბიძ-

---

[1] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, М., 1957, с. 302.

გებდა. ამ მდგომარეობით ისარგებლა გლეხობამ და მთებიდან ბარში ჩამოვიდნენ, რუსეთის ადმინისტრაციისაგან მიწის ნადელები მიიღეს, რის შედეგადაც ნალჩიკის ახლოს თავისუფალი აული შეიქმნა, სადაც 200 კომლი პირადი დამოკიდებულებიდან განთავისუფლებული გლეხი ითვლებოდა.

თავდაპირველად რეფორმა არ შეხებია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მეტ ნაწილს — ყაბარდოელებს, ბალყარებს, ოსებს და სხვ., მაგრამ, როცა ცნობილი გახდა, რომ იგი გავრცელდა ნოღაელებსა და თურქმენებზე, როგორც სხვა ტომებმა, ყაბარდოელთა გლეხობამაც მოითხოვა რეფორმის გატარება ყაბარდოში. კავკასიის მთავარმართებლის დავალებით, 1864 წ. მთიელთა სამმართველოს კანცელარიამ ადგილობრივ ხელმძღვანელობას მოსთხოვა ცნობები — თუ სად რამდენი და რა წოდების წარმომადგენელი იყო, რა რაოდენობის ადგილმამულსა და ხელქვითს ფლობდა[2].

1864 წ. განთავისუფლდნენ თერგის ჯარებში მომსახურეთა ხელქვეითნი — „აზიური წარმოშობის გლეხობა", ეს გავრცელდა მეფის არმიაში მომსახურე თავადთა ყმებზე. ამ ამბავმა დიდი მარეგულირებელი როლი შეასრულა მთელ გლეხობაზე, რამაც დააჩქარა მათი განთავისუფლება[3]. რეფორმის გატარებისას, მეფის მთავრობა ცდილობდა ისეთ ჩარჩოებში მოექცია იგი, რომ არ გაენაწყენებინა სამხედრო ნაწილებში მომსახურე მფლობელები და უზდენები, რომლებიც მეფის რუსეთის ერთგულ საქმიანობას ეწეოდნენ და ჯერ კიდევ საჭირონი იყვნენ იმპერიისათვის.

საადგილმამულო რეფორმა ყაბარდოში 1863 წ. დაიწყო და გაგრძელდა 1869 წლამდე. როგორც ქვემოთ დავინახავთ საადგილმამულო რეფორმის სრულყოფილად და საბოლოოდ გატარება კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდა — 80-იან წლებამდე[4]. გლეხთა განთავისუფლება კი მოხდა ძირითადად 1866 წ. 18 ნოემბრიდან 1867 წ. მარტის შუა რიცხვებამდე, ე. ი. ოთხი თვის განმავლობაში. გლეხთა ნადელების გამოყოფა ხდებოდა უფასოდ, განთავისუფლება კი გამოსყიდვით.

საადგილმამულო რეფორმის გატარებისათვის საჭირო იყო ზუსტად დადგენილიყო: რა რაოდენობის მიწები იყო ოლქში — ყაბარდოში, როგორი იყო მიწით სარგებლობის წესები და მიწისმფლობელობა[5]. ამ მიზნით 1861 წ. ნოემბერში დაიწყო მუშაობა სპეციალურმა კომი-

---

[2] Фадеев А. В. Россия и Кавказ в первой трети XIX в., с. 83.
[3] ССКГ, Вып. I, с. 28.
[4] ЦГВИА, фонд № 1300, оп. № 7, Ед. хр. 14, лл. 163—165.
[5] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, с. 304.

ტეტმა, რომელმაც შეძლებისდაგვარად დაადგინა ოლქში მიწების, ადგილმამულთა რაოდენობა, სარგებლობისა და მფლობელობის წესები.

შედგა მიწის მფლობელთა სიები, მათ შორის აღირიცხა თურქეთში გადასახლებულებიც[6]. კომიტეტმა განიხილა ადგილობრივ თავადაზნაურთა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ისინი გაეთანაბრებინათ რუსეთის აზნაურობასთან[7].

განხილულ იქნა 300-მდე სხვადასხვაგვარი განცხადება, რის საფუძველზეც დადგინდა ყაბარდოში დამკვიდრებული წოდებრივი დაყოფა და ფეოდალური მიწათმფლობელობა[8].

1850-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ ბრძოლა მიმდინარეობდა შამილის წინააღმდეგ და ყაბარდოშიც ხშირი იყო აჯანყებები, მეფის რუსეთის მთავრობა აქაურ მფლობელებსა და უზდენებს პირდებოდა ადგილ-მამულის შთამომავლობით საკუთრებაში დატოვებას.

60-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიაში შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა. სამხედრო ნაწილების სიმრავლის გამო მეფის რუსეთის კოლონიურ რეჟიმს აქ სერიოზული საფრთხე აღარ ელოდა და ყოველივე ამის გამო მეფის მთავრობამ ადრინდელი დაპირებები დაივიწყა და ფეოდალთა ინტერესების ნაწილობრივი შეზღუდვა დადგა დღის წესრიგში, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი მიწის როგორი მფლობელობა იქნებოდა უკეთესი ყაბარდოში: კერძო, თუ ჯერ კიდევ შემონახული თემური მიწათმფლობელობა.

1861 წ. რუსეთის არმიის გენერალმა გ. ორბელიანმა დაამუშავა რეფორმის გასატარებლად ახალი პროექტი და რუსეთის სამხედრო მინისტრს წაუყენა. ამ პროექტში ორბელიანი მიზანშეწონილად თვლიდა: დაეტოვებინათ თავადაზნაურობისათვის კერძო საკუთრებაში მიწის განსაზღვრული ნაწილი. დანარჩენ მიწებზე მათ ეკრძალებოდათ პრეტენზიების წამოყენება[9]. თავადაზნაურობას ეკრძალებოდა აგრეთვე პრეტენზიების წამოყენება მათ ყოფილ ხელქვეითთა მიწებზე.

მთავარსარდალი საჭიროდ თვლიდა მიწები მიეცათ იმ პირთათვის, რომლებიც წარმოშობით არ ეკუთვნოდნენ მაღალ წოდებას, მაგრამ „თავიანთი ერთგულებით დიდი სარგებლობა მოუტანეს მეფის მთავრობას“. ამრიგად, კავკასიის მთავარსარდლის პროექტი ითვალისწინებდა ყაბარდოში მიწის კერძო საკუთრების შეხამებას თემურ მიწათმფლობელობასთან.

---

[6] ССКГ, Вып. I, с. 28.

[7] История Кабардино-Балкарской АССР, с. 304.

[8] ЦГВИА, ф. № 1300, оп. № 7. Ед. хр., № I, л. 57.

[9] იქვე.

მეფის რუსეთის ცენტრალური მთავრობის დავალებით, 1863 წ. მაისში თერგის ოლქისათვის შეიქმნა საერთო კომისია, ცნობილი საზოგადო მოღვაწის დ. ს. კოძოკოვის[10] თავმჯდომარეობით. კომისიამ თავისი საქმიანობის დაწყებისთანავე, სახელმწიფო მიწებად ცნო ყაბარდოელთა თითქმის მთელი ადგილ-მამული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთავრობას შეეძლო თავის ნებაზე განეგო მიწის საკითხები. საკითხის ამგვარად დადგენამ, კომიტეტის თავმჯდომარეს შეუმსუბუქა საქმე.

კოძოკოვი მთელი მონდომებით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ყოველმხრივ ცდილობდა, ისე წარემართა საქმე, რომ მფლობელებსა და უზდენებს თავისი ნებით აეღოთ ხელი საგვარეულო მიწის ნაწილზე, რაც, მისი აზრით, უმიწაწყლო მოსახლეობას დაურიგდებოდა. ასეთი მიზანი ჰქონდა კოძოკოვს, რასაც მოჩვენებით, ლორის მელიქოვიც უჭერდა მხარს. რუსეთის მთავრობის ინტერესების დამცველს — ლორის მელიქოვს აწყობდა კოძოკოვის საქმიანობის პირველი ეტაპი — მიწის მფლობელთა კერძო საკუთრებაში არსებული საგვარეულო ადგილ-მამულის ნაწილი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე[11], თემურ მფლობელობაში გადადიოდა, რაც უმიწაწყლო მოსახლეობისათვის ესოდენ საჭირო იყო. ბოლოს მიწები ნადელებად მიეცემოდათ განთავისუფლებულ დაბალი ფენის წარმომადგენლებს.

ამრიგად საერთო ფონდებში უნდა გადასულიყო განთავისუფლებული („ჩამორთმეული") მიწები, რაც შემდეგში ნადელებად იქნებოდა დარიგებული. სინამდვილეში განთავისუფლებული მიწების დიდი ფონდი შეიქმნა, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთრებად დაურიგდათ ოფიცრებსა და მოხელეებს.

შეცდა კოძოკოვი, რის შესახებაც 1880-იან წლებში წერდა: „ვცდილობდი ვყოფილიყავი სახელმწიფოსათვის სასარგებლო, კერძოდ, ჩემი ხალხისათვის, მაგრამ მცდარ გზაზე მოვხვედი, ბევრი ცუდი გავაკეთე, რაც მტანჯავს, მაგრამ ეხლა აღარ შეიძლება გამოვასწორო... ასე მაგალითად: ყოველგვარ ზომებს ვიღებდი, რათა ყაბარდოელი თავადაზნაურობა მეიძულებინა თავისი სურვილით ეთქვათ უარი საგვარეულო მიწის ნაწილის საკუთრების უფლებაზე. ვფიქრობდი, ეს მიწები მთელი ყაბარდოელი ხალხის საკუთრებაში გადავიდოდა, ლორის მელიქოვიც მარწმუნებდა, რომ მასაც სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა.

---

[10] დ. ს. კოძოკოვი წარმოშობით ლარიბი ყაბარდოელის შვილი იყო, ტაბიევის აულიდან. პატარა ბიჭი კავკასიაში მომსახურე რუსმა წაიყვანა რუსეთში აღსაზრდელად. იგი პირველი ყაბარდოელი იყო, რომელმაც უნივერსიტეტში განათლება მიიღო. კავკასიაში დაბრუნებული საკმაოდ განათლებული პირი იყო. იგი დაიახლოვა თერგის ოლქის უფროსმა ლორის მელიქოვმა, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებოდა იგი.

[11] Кудашев В. Указ. труд, с. 195.

ბე შევცდი: მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეცათ ოფიცრებსა და მოხელეებს საკუთრებად"[12].

მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღო თვით კოძოკოვმაც. კომისიის მუშაობის პირველი ეტაპის შედეგი 1863 წ. 20 აგვისტოს აქტში აისახა.

ამ აქტით ყაბარდოში მიწის თემური მფლობელობის უფლებები იქნა შემოღებული, რაც მეფის მთავრობის ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რომელსაც უნდოდა დაეჩქარებინა სახელმწიფო გადასახადების შემოღება და გლეხთა განთავისუფლება ნადელებით[13]. იმავე დროს, საშუალება იქნებოდა მიწებით დაესაჩუქრებინათ ყაბარდოს დიდებულები, რომლებიც სახელმწიფო სამსახურს ეწეოდნენ. ეს კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა აქ დამყარებული კოლონიური რეჟიმის წინსვლისათვის.

საადგილმამულო რეფორმის მეორე ეტაპს წარმოადგენდა ყაბარდოს სოფლების გამსხვილება. თუ ადრე ყაბარდოს მოსახლეობა 116 სოფელში სახლობდა, 1865 წ. რამდენიმე მომიჯნავე სოფლის ერთად გაერთიანების შედეგად ყაბარდოში 39 სოფელი ჩამოყალიბდა[14]. სოფლების გამსხვილებით უფრო მოხერხებული ხდებოდა ადმინისტრაციისათვის ოლქის მართვა-გამგებლობა. გაიოლდა სოფლებისათვის მიწის ნადელების გამოყოფაც. 1865 წ. არაზუსტი ცნობებით, დიდი ყაბარდოს ადგილ-მამულთა რაოდენობა 623.883 დესეტინას შეადგენდა[15]. აქედან სოფლების სარგებლობაში იყო 313.608, საზაფხულო მთის საძოვრებისათვის 258.509 დესეტინა, 46.166 დეს. ეკავა ტყეებს. ყაბარდოს 39 სოფელს, ნადელების სახით, გამოეყო 300.000-ზე მეტი დესეტინა მიწა. ნორმა იმ სოფლებისათვის, რომლებსაც ვარგისი მიწები შეხვდათ კომლზე 36 დესეტინა იყო, იმ სოფელთა კომლებსა კი, რომლებსაც უვარგისი მიწები შეხვდათ — 41 დესეტინამდე აღწევდა.

სინამდვილეში, გლეხთა მიწების 70% უვარგისი იყო. ამასთან, ხშირად სოფლებს მიწის ფართი ეყოფოდა შორს, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, რაც ართულებდა მეურნეობის წარმოებას. მიწის ნაკვეთები მთის წინა ადგილებში, ფაქტიურად, ქვიანი იყო და ამიტომ მეურნეობა არარენტაბელური. ხშირად ნაკვეთი ბუჩქებით იყო დაფარული, რაც გამოუსადეგარსა ხდიდა მას ხვნა-თესვისათვის.

დიდი ყაბარდოს მიწებს აკლდებოდა მომიჯნავე მთის 5 საზოგადოებიდან — ბალყარეთის, ჩეგემის მცხოვრებთაგან, განსაკუთრებით

---

[12] Кудашев В. Указ. труд, с. 195.
[13] История Кабардино-Балкарской АССР..., с. 305.
[14] Кудашев В. Указ. труд, с. 205.
[15] ЦГВИА, ф. № 1300, оп. № 7, Ед. хранение № 14, ф. 163, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდი ყაბარდოს ადგილმამულთა რაოდენობის საერთო რიცხვი იყო არა 623883 დეს., არამედ მეტი — $653932\frac{1}{2}$ დესეტინა.

განთავისუფლებული ჩაგარებისა და კაზახების უმიწაწყლო 400 ოჯახის დასასახლებლად საჭირო ფართი. ამ ოთხასი ოჯახიდან 100 ოჯახი უნდა ჩამოსახლებულიყო ჰასაუთის აულში, სადაც სხვა ადგილებიდან ჩამოსულები ცხოვრობდნენ უკვე. დანარჩენი 300 ოჯახისათვის ყაბარდოს მიწებიდან უნდა ჩამოეჭრათ 4-8 ათასი დესეტინა. მთის ხუთივე საზოგადოების მცხოვრებთ ნება მიეცათ გამოსაღების გარეშე ესარგებლათ ყაბარდოელთა საერთო სარგებლობაში დატოვებული საძოვრებით[16].

ფაქტიურად, მიღებული ნადელებისაგან ოჯახზე სახნავი მიწა მოდიოდა 7,5-დან 15 დესეტინამდე, ე. ი. თითოეულ სულზე 1,25-დან 2,5 დესეტინამდე. ვ. ი. ლენინი წერდა: „მებატონეებმა არათუ დაიტაცეს, არათუ მიუზომეს გლეხებს უცუდესი, ხანდახან სრულიად უვარგისი მიწა, არამედ ყოველ ნაბიჯზე მახესაც უგებდნენ მათ, ე. ი. ისე გამიჯნეს მიწა, რომ გლეხები ხან უსაძოვროდ რჩებოდნენ, ხან უსათიბოდ, ხან უტყეოდ და ხან უწყალსალეკოდ“[17].

ამიტომ ხშირი იყო საჩივრები სახნავ-სათესი, სათიბი და საძოვარი მიწების უკმარობაზე.

სოფლები მიწებს იღებდნენ თემური მფლობელობის უფლებით.

როგორც რუსეთში, აქაც თემის წევრები ვალდებულები იყვნენ თავიანთი ნაკვეთებისათვის სახელმწიფო გადასახადი ეხადათ. ხშირი იყო შემთხვევა განაწილებული სახნავი და სათიბი მიწების ხელახალი გადანაწილებისა, რის მთავარ მიზეზსაც მოსახლეობის რაოდენობის ცვალებადობა წარმოადგენდა.

ტყეებიც სათემოდ იყო გამოცხადებული. ადგილობრივი მოსახლეობის თანაბრად შეეძლო სამხედრო ნაწილსაც ესარგებლა ტყით. ასეთივე უფლებები გააჩნდათ ახლო მდებარე სტანიცების კაზაკებსაც. ყაბარდოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს, ტყით სარგებლობის სხვადასხვაგვარი უფლებები ჰქონდათ. მაგალითად: აზატ გლეხს უფლება ჰქონდა ხე-ტყე გამოეტანა გასაყიდად წელიწადში ოთხჯერ, თანაც მაშინ, როცა მისთვის ხელსაყრელი იყო.

---

[16] მთის საზოგადოების მიწები ან საზოგადოების კუთვნილებაში იყო, ან კერძო პირის კუთვნილებად ითვლებოდა. საზოგადოების კუთვნილებაში იყო საძოვრები და სათიბები, სახნავ-სათესი კი კერძო პირთა სამფლობელოს შეადგენდა. მთის საზოგადოებათა მიწები 720 მფლობელზე იყო განაწილებული. თითოეულ მათგანს ჰქონდა 600 კვ. საჟენიდან რამდენიმე ასეულ დესეტინამდე. მთელ მოსახლეობას ჰყავდა 400 ათასი ცხვარი და თხა, 20-დან 30 ათასამდე რქოსანი საქონელი. მოსახლეობა კი 1020 ოჯახს, ანუ ოჯახზე თუ 6 სულს ვივარაუდებთ — 6120 სულს შეადგენდა

ამრიგად, ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 65 ცხვარი და 4 სული რქოსანი საქონელი. მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, რომ მთის საზოგადოების მცხოვრებნი არ იყვნენ ღარიბნი, მიუხედავად სახნავ-სათესად გამოუსადეგარი მამულებისა.

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 88.

ლოგანაპუტებს ხე-ტყის გამოტანა შეეძლოთ წელიწადში ორჯერ, ისიც არა სამუშაო დროს[18].

სოფლებისათვის ნადელების გამოყოფისას ყოველთვის არ იყო დაცული ნორმები. მიუხედავად იმისა, რომ სოფლისათვის მიწის რაოდენობა საკმარისი იყო კომლთა რაოდენობის მიხედვით, ხშირად ზოგ სოფელში კომლზე 41 დესეტინა მოდიოდა, მეტწილად კი, კომლზე 27, 23 და იშვიათად 16 დესეტინაც კი[19].

1865 წ. ბოლოსათვის ყაბარდოს სოფლებზე მიწების გამოყოფა თემური სარგებლობის პრინციპებზე ძირითადად დამთავრდა[20]. დაისვა საკითხი ნაწილობრივ ინტერესშელახული მფლობელებისა და უზდენების, საერთოდ პრივილეგირებული წოდებისათვის მიწების მიცემის შესახებ, იმ მოტივით, რომ თემური მიწათმფლობელების წესით, მაღალი წოდების წარმომადგენელნი სრულიადაც არ იქნებოდნენ დაკმაყოფილებულნი.

დიდსა და მცირე ყაბარდოში მაღალ წოდებას მიეკუთვნებოდნენ თავადები და პირველი კატეგორიის უზდენები (ტლიახოტლიაჟები და დეჟენუგო), სულ 160 ოჯახი. მეორე და მესამე კატეგორიის უზდენთა რიცხვი 1300 ოჯახამდე აღწევდა.

ყაბარდოში წოდებრივი უფლებების დადგენისას, თუ რომელ მათგანს უნდა მისცემოდა რუსეთის აზნაურთა უფლებები, გადაწყდა, რომ მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებაში მიეცათ თავადებისათვის, პირველი კატეგორიის უზდენებისა და მეორე კატეგორიის იმ უზდენებისათვის, რომლებიც სარგებლობდნენ ე. წ. აულის მფლობელთა უფლებებით (მამასახლისები), აგრეთვე მათთვის, ვინც წარმოშობით არ იყო მაღალი წოდებისა, მაგრამ თავიანთი საქმიანობით ხელისუფლების სასარგებლოდ საპატიო მდგომარეობა მოიპოვეს[21].

1866 წ. შეიქმნა ყაბარდოს კომისიის ცალკე ჯგუფი ოლქის უფროსის თავმჯდომარეობით. კომისიამ დაადგინა სიები იმ თავადაზნაურებისა, რომლებიც ღირსნი იყვნენ მიეღოთ მიწები საკუთრების უფლებით.

დადგენილ იქნა აგრეთვე მიწის მაქსიმალური ნორმა — 1500 დესეტინა, მინიმალური კი — 100 დესეტინა[22]. წოდებრივ საადგილმამულო კომისიამ უარყო ამგვარი დარიგება მიწის ნაკვეთებისა. კოძოკოვმა წარუდგინა ხელისუფლებას საწინააღმდეგო მოსაზრებანი, მაგრამ გა-

---

[18] ССКГ, Вып. I, с. 35.
[19] ЦГВИА, фонд № 1300, опись № 7, Ед. хранение № 14, ф. 35.
[20] История Кабардино-Балкарской АССР, с. 308.
[21] ССКГ, вып. II, с. 36.
[22] История Кабардино-Балкарской АССР, с. 307—308.

დაწყდა მიწების დარიგება შთამომავლობათა მიხედვით. აზნაურებზე მიამაგრეს 76.000 დეს.[23].

199 კომლიდან 136-მა მიიღო 100-დან 300-მდე დესეტინა მიწა, 23 კომლმა — 500-დან 1000-მდე, 6 ოჯახმა 1000—1000 დესეტინაზე მეტი.

გარდა ამისა, სოფლებს ჩამოეჭრათ მთელი სახნავ-სათესისა და სათიბთა მეათედი — 10 % სოფლის წარმომადგენელთათვის[24].

სულ 199 პრივილეგირებულთა კომლებზე გამოიყო 100000 დეს. მიწა, რაც სოფლების სარგებლობაში არსებული მიწების მესამედს შეადგენდა. 1869 წ. 23 დეკემბერს კავკასიის კომიტეტმა დაამტკიცა ყაბარდოში გატარებული რეფორმის ყველა ღონისძიება[25], თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ გამოირკვა, რომ მიწების ზემოხსენებულ გამიჯვნა-განაწილებაში საკმაოდ დიდი და სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული, რის გამოც 10 წლის შემდეგ ხელახალი განაწილება მოხდა ყაბარდოში[26]. ყაბარდოს მიწების განაწილების ზუსტი მონაცემები ჩაწერილია კავკასიის კომიტეტის ჟურნალში:

„ყაბარდოს მიწების განაწილება 1869 წლის 28 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული წესის მიხედვით[27].

1. 29 სოფელს, 5861 კომლი მოსახლეობით (ჰასაუთის გარეშე), მიეცათ 235459 დესეტინა მიწა.

ყაბარდოელ უმაღლეს წოდებათა შორის კერძო საკუთრების მამულების ჩამოსაყალიბებლად გადაწყდა — საერთო ფართობიდან გამოყოფილიყო 83550 დესეტინა; აქედან ა) დიდი ყაბარდოს საპატიო წოდების ადგილობრივ წარმომადგენლებს 114 ნაკვეთი — 59550 დესეტინა. ბ) მათვე სრულიად გამოუსადეგარი მიწების სანაცვლოდ მიეცათ 8000 დესეტინა. იმ ყაბარდოელებს, რომლებიც ვერ მოხვდნენ შედგენილ სიებში, აუცილებელია მიეცეთ მიწების ფართი — 4000 დესეტინა და გ) მცირე ყაბარდოს მაღალი წოდების წარმომადგენლებისათვის განსაკუთრებული ნაკვეთების მისაცემად, ვინაიდან იქ არ არსებობს საკმაო რაოდენობის მიწის ფართი, გამოიყოს 12000 დესეტინა.

შენიშვნა: ხსენებული მიზნისათვის გამოყოფილი 12000 დესეტინა მიწა, მისი უმაღლესობის — კავკასიის არმიის ყოფილი მთავარსარდლის ბრძანებით, რომელიც კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსის 1871 წლის 17-19 მარტის № 1166 თერგის ოლქის უფროსისადმი მი-

---

[23] ЦГВИА, фонд 1300, оп. 7, Ед. хр. I, лл. 57—58.
[24] იქვე.
[24] იქვე.
[25] იქვე.
[26] იქვე.
[27] ЦГВИА, ფონდი № 1300, აღწერილობა 7, ერთეული 14, ფფ. 163—165.

ცემულ პატაკშია მოხსენებული, შეერთებულია დიდი ყაბარდოს მკვიდრთა კერძო მიწებით უზრუნველსაყოფად შექმნილ საერთო რეზერვთან. სულ გამოეყო კერძო საკუთრებისათვის 83150 დესეტინა მიწა[28].

3. ყაბარდოს მეზობელ მთიელთა საზოგადოებებიდან განთავისუფლებულ ჩაგარების, კაზახთა და სხვა 400 უმიწო კომლთა დასაბინავებლად — 4000 დეს.

4. ადრე (1865 წ.) გამიჯნულ ნალჩიკის სიმაგრისა და ამ სიმაგრესთან დასახლებულ გარეუბნებისა და გერმანელთა კოლონიისათვის გადაწყვეტილ იქნა მომავლისათვისაც მიმაგრებული იქნეს 5000 დესეტინა მიწა.

5. შენიშვნა: 1869 წ. დადგენილებაში არაა ნაჩვენები პირუტყვის გადასარეკი გზების გაყვანა, თუმცა უკანასკნელი მოცემულია დასაპროექტებელ რუქაზე, რომელიც თან ერთვის ამ დადგენილებას.

6. შენიშვნა: ხსენებულ რუქაზე ნაჩვენებია მილიციონერთა-საგუშაგოებისათვის გამოსაყოფი ნაკვეთი, 1869 წ. დადგენილებაში კი იგი არაა მოცემული.

7. შენიშვნა: 1869 წ. დადგენილებაში არაა ნაჩვენები ცხენსაშენისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, იგი არც საპროექტო რუკაზეა მოცემული.

სულ 1869 წ. დადგენილებით, ყაბარდოს საერთო სარეზერვო მიწის ფონდიდან უნდა გამოყოფილიყო 328009 დესეტინა მიწა[29].

8. სოფელ ჰასაუთისათვის, იქ მცხოვრებ 108 კომლის მიხედვით, გამოყოფილი იყო 10359 დესეტინა მიწა. 96 დესეტინა 1 კომლზე.

შენიშვნა: 1869 წ. დადგენილებასთან დართულ სიაში, შენიშვნის ბრაფაში ჩაწერილია: სოფელ ჰასაუთში შეიძლება დასახლებულ იქნეს მთიელთა 100 ან 125 უმიწო კომლი (10359 დესეტინაზე).

9. შენიშვნა: აბუკოველების 1868 წ. ცნობებით, 44 კომლი უნდა განსახლებულიყო სოფლებში: აშაბოვოში, ბაბუკოვოში და კანოვოში, რომლებიც შედიან დიდი ყაბარდოს ზემოაღნიშნულ 29 სოფელის შემადგენლობაში, სადაც მათთვის გამოყოფილი იყო მიწის ნაკვეთები.

10. 225849 დესეტინა მთის მიწის ფართი მეტწილად საძოვრებისათვის და 59666 დესეტინა ტყე დატოვებულ იქნა რეზერვში. ამასთანავე, მის საიმპერატორო უმაღლესობას — კავკასიის არმიის მთავარსარდალს უფლება რჩებოდა, განესაზღვრა ამ მიწებით სარგებლობის წესები, როგორც ყაბარდოელთა, ისევე მათ მომიჯნავე მთიელთა

---

[28] იქვე.

[29] ЦГВИА, ფონდი № 1300, აღწერილობა 7, ერთეული 14, ფფ. 163—165.

საზოგადოების ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით—285515 დესეტინა.

სულ ყაბარდოს სარეზერვო მიწების ფართი, მცირე ეშქაკონის სახელმწიფო ნაკვეთის გამოკლებით, 1869 წ. დადგენილებით შეადგენდა 295.874 დესეტინას.

11. შენიშვნა: 1869 წ. 28 დეკემბერს, უმაღლესად დამტკიცებული ყაბარდოს მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის დაყოფის წესში არ იყო გათვალისწინებული თავისუფალ სახელმწიფო ყველსახარში საწარმოსათვის 300 დესეტინა მიწის ნაკვეთი.

1869 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, სულ დასანაწილებელი მიწის ფართი დიდ ყაბარდოში შეადგენდა 623883 დესეტინას[30].

როგორც მოტანილი საბუთებიდან ირკვევა, ყაბარდოს პრივილეგირებულმა წოდებამ და სხვა კერძო მესაკუთრეებმა, როგორიც იყვნენ ჩამხედრო მომსახურენი, სახელმწიფოს წინაშე დამსახურებულნი პირნი და სხვანი, 1869 წ. 28 დეკემბრის დადგენილებით, სოფლების მიწის ფართის თითქმის ნახევარი მიიღეს.

სოფლებზე განაწილებულ იქნა მიწები კომლთა მიხედვით. მოგვიანებითი საბუთის მიხედვით,საკომლო მიწის ნაკვეთის ზომა მერყეობდა 16-დან 41 დესეტინამდე.

დიდი და მცირე ყაბარდოს სოფლების მიერ მიწის ნადელების მიღების სია

დიდი ყაბარდოს სოფლები		კომლთა მიხედვით გამოყოფ. ნადელები	ნადელების საერთო რაოდ.	1886 წ. აღმოჩნდა კომლი	კომლზე მოდის დესეტინა
სოფელი	ჰასაუთი	58	5568	146	38
„	კარმოვი	206	10061	292	34
	გუნდელენი	246	3200	194	16
	ბაბუკოვა	172	8634	290	29
	აშაბოვა	328	10789	470	23
	კონოვია	256	10243	352	29
	ატაქუკინა I	214	11760	294	40
	„ II	178	6531	250	26
	ნაურზოვი	225	8707	352	24
	ატაქუკინა III	197	7705	285	27
	ლიფიშევა	116	5576	146	38
	კუჩმაზუკინი	204	7958	290	27
	ტამბიევა (ზარაუში)	237	8665	319	27
	ტიქეევი	145	3777	204	23
	კუდენეტოვი (კურგოვა)	124	4955	202	24

30 ЦГВИА, фонд № 1300, Ед. хранение № 14, лл. 163—165.

1	2	3	4	5
კუდენეტოვი (კაპბოტა)	208	7901	310	25
ტახტამიშევი	53	3017	76	39
ინალოვი	276	10308	359	28
კასაევი	212	7783	305	25
ტაჰბიევი II	193	8356	201	41
ჯაშერიტოვი	85	3219	115	27
შალუშინი	180	5395	271	19
ნალჩიკი (ჯალუმბიევი)	295	14018	415	33
დოგუშაკოვი	114	4515	135	33
კაშკატ-უ	72	800	76	10
ვერნე (კოჟოკოვა)	84	3332	111	30
ჯანხოტოვი	186	7410	310	23
მისოსტოვი	122	8289	138	60
დოკშუკინი	147	5124	198	25
ნიღნე-ჯოჟოკოვი	160	5628	213	26
დოკშოკოვი	166	5973	223	26
არგუზანი (ტოსტ-ნალიევი)	251	8005	359	22
ჯაისინი ანზოროვი	272	10188	430	23
ხატუანზოროვი	108	4653	148	31
კოგალკინი	148	5228	201	29
ს უ ლ	6237	245061	8680	

მცირე ყაბარდოს სოფლებში[31]:

სოფელ	აბაევი	147	6789	179	36
„	ბულატოვი	206	8860	246	36
„	ხაპცევი	156	6709	230	29
„	ახლოვი	194	7403	217	34
„	ბოროკოვსკი	163	6954	217	32
„	მურთაზოვი	175	6634	263	25
„	ბათაშევი	172	6568	185	35
„	ისლამოვი	282	9572	306	31
„	ასტემიროვი	175	6738	368	35
ს უ ლ		1670	66227	2211	

საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ, უფრო აშკარა გახდა მიწის ნაკლებობა. ფაქტიურად შემცირდა კომლთა ნადელების ფართობი. გახშირდა როგორც კერძო, ასევე კოლექტიური საჩივრები მიწის ნაკლე-

[31] ЦГВИА. фонд № 1300, опись № 7, Ед. хранение № 14, лл. 166—168.

ბობის გამო[32]. ჩიოდნენ ის გლეხებიც, რომლებიც, გაურკვეველი მიზეზების გამო უმიწოდ დარჩნენ; ასეთები ყაბარდოში 436 კომლი იყო. ყაბარდოს მაღალი წოდების წარმომადგენელთა ნაწილიც მოითხოვდა მიწის დიდ რაოდენობას, რასაც საფუძვლად უდებდნენ რუსეთის სახელმწიფოს წინაშე დამსახურებას. ყოველივე ზემოხსენებულის გამო, კავკასიის მეფისნაცვალი იძულებული გახდა გადაეხედა 1869 წ. დებულებისათვის და რამდენიმე ცვლილება შეეტანა მასში. 1879 წ. საკითხის ყოველმხრივი შესწავლით გამოირკვა, რომ 1869 წ. დადგენილებით მიწების განაწილებაში საკმაოდ ბევრი შეცდომა და უზუსტობა იყო დაშვებული. კერძოდ, მიწის რაოდენობაც არასწორად იყო დადგენილი. თუ 1869 წ. მონაცემებით ყაბარდოში სულ 623.883 დესეტინა მიწა იყო, 1879 წ. დადგენილებით, რა თქმა უნდა, საკითხის უკეთ შესწავლის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ყაბარდოს მიწების საერთო ფართობი 653.730 დესეტინას შეადგენდა.

ამ წელს ზოგიერთი შესწორება იქნა შეტანილი მიწის 1869 წ. დადგენილებით განაწილებაში. იმის დასანახად, თუ რა განსხვავება იყო 1869 წ. და 1879 წ. განაწილებაში, მოგვყავს ორთავე საბუთის შინაარსი.

დიდი ყაბარდოს მიწების განაწილება და გამიჯვნა, გადახრა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის განკარგულებით 1869 წ. 28 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული დადგენილებებიდან[33]:

ყაბარდოს მიწების განაწილება 1869 წ. 28 დეკემბერის უმაღლესად დამტკიცებული წესით, არსებული კავკასიის კომიტეტის ჟურნალის მიხედვით.

1) 29 სოფელს 5861 კომლი მოსახლეობით (ჰასაუთის გარეშე) მიეცათ 235459 დესეტინა მიწა.

2) ყაბარდოს უმაღლეს წოდებათა შორის კერძო საკუთრების მამულების ჩამოსაყალიბებლად გადაწყდა — საერთო ფართობიდან გამოიყოს 83550 დესეტინა, აქედან:

ა) საპატიო ადგილობრივ მკვიდრთ დიდ ყაბარდოსას 114 ნაკვეთი—59550 დეს.

მისი საიმპერატორო უმაღლესობის კავკასიის ყოფილ მეფისნაცვლის განკარგულებით დიდი ყაბარდოს მიწების ნატურით წარმოებული განაწილება.

1) მოხსენებული 29 აულისაგან შექმნილ 32 აულს 5861 კომლით (ამ რიცხვში არ ითვლება ჰასაუთის აული), გამოეყოთ მიწა.

ამ აულებისათვის მიწების მიკუთვნება უმაღლესად დამტკიცდა 1879 წ. 11 აპრილს—235393 დეს.

2) კერძო საკუთრებაში:

ა) თანახმად ლიტერ. ბ. სიისა, რომელიც 1869 წ. დადგენილებას ერთვის, დიდი ყაბარდოს საპატიო მკვიდრთ 147 უბანში გამოეყოთ ვარგისი მიწა—58150. დეს.; გამოუყენებელი (უვარგისი) — 2146 დესეტინა.

---

[32] ЦГВИА, фонд № 1300, опись № 7, Ед. хр. № 17, лл. 1—2.
[33] ЦГВИА, ფონდი 1300, აღწ. 7. საქ. 14, ფ. 163—165.

ბ) მათვე სრულიად გამოუსადეგარი მიწების სანაცვლოდ გამოეყოთ—8000 დეს.

3) უაბარდოს იმ მკვიდრთ, რომლებიც ვერ მოხვდნენ შედგენილ სიებში, აუცილებელია მიეცეთ მიწის ფართი—4000 დეს.

გ) მცირე უაბარდოს მაღალი წოდების წარჩინებულებისათვის სპეციალური ნაკვეთების მისაცემად, ვინაიდან იქ არ არსებობს საკმაო რაოდენობის მიწის ფართი, გამოიყოს 12000 დეს.

შენიშვნა: ხსენებული მიზნისათვის გამოყოფილი 12000 დესეტინა მიწა, მისი უმაღლესობის—კავკასიის არმიის ყოფილი მთავარსარდლის ბრძანებით, რომელიც კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსის 1871 წ. 17—19 მარტის № 1166, თერგის ოლქის უფროსისადმი მიცემულ პატაკში მოხსენებული, შეერთებულია დიდი უაბარდოს მკვიდრთა კერძო მიწებით უზრუნველსაყოფად შექმნილ საერთო რეზერვთან. სულ გამოიყო კერძო საკუთრებისათვის 83550 დეს. მიწა.

3) უაბარდოს მომიჯნავე მთიელთა საზოგადოებებიდან განთავისუფლებულ ჩაგარების, ყაზახთა და სხვათა 400 უმიწო კომლთა დასაბინავებლად—4000 დეს.

4) ადრე (1865 წ.) გამიჯნულ ნალჩიკის სიმაგრესა და ამ სიმაგრესთან დასახლებულ გარეუბნებისა და გერმანელთა კოლონიისათვის (ალექსანდროვის) გადაწყვეტილ იქნა მომავლისათვის მიმაგრებულიყო 5000 დეს.

5) შენიშვნა: 1869 წ. დადგენილებაში არაა ნაჩვენები პირუტყვის გადასარეკი გზების გაყვანა, თუმცა უკანასკნელი მოცემულია საპროექტო რუქაზე, რომელიც ამ დადგენილებას ერთვის.

ამ პირთათვის მიწის ნაკვეთების მიკუთვნება უმაღლესად დამტკიცდა 1879 წ. 11 აპრილს—60296 დესეტინა.

ბ) 26 პიროვნებას, რომლებიც სიებში გამოტოვებული აღმოჩნდნენ, მისი საიმპერატორო უმაღლესობის ნებართვით, რომელიც კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსის 1879 წ. 17—19 მარტის № 1166, თერგის ოლქის უფროსისადმი მიცემულ პატაკშია მოყვანილი—6041 დეს.

ვ) 32 პიროვნებას, რომლებიც აგრეთვე სიებში გამოტოვებულები აღმოჩნდნენ, 1879 წ. 11 აპრილს უმაღლესად დამტკიცებული სპეციალური რუქის საფუძველზე—8444 დეს.

გ) 1870 წ. 17 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცებული, კავკასიის კომიტეტის ჟურნალის საფუძველზე, ნალჩიკის საგარეუბნო აგარაკებიდან ბელანოვიჩსა და ბაბიჩს 100 დეს.

დ) 1881 წ. 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით საოლქო სამმართველოს ჟურნალის თანახმად, ანიშჩენკოს, იმავე აგარაკიდან სასოფლო-სამეურნეო მიზნით, შემდგომში კი საკუთრების უფლებით მიეცეს—5 $^1/_4$ დეს.

ე) 1879 წ. 14 ივლისის უზენაესი ბრძანებით ალმოვს 165 დეს. სულ კერძო საკუთრებაში გამიჯნულია 75.051 $^1/_4$ დეს.

3. ნადელებად, ხსენებული საზოგადოებებიდან 318 უმიწო ოჯახს, რომლებმაც დასახლება გუნდელენი და კაშკატაუ წარმოქმნეს—4000 დეს.

4) ნალჩიკის დასახლების (ყოფილი სიმაგრე) და ალექსანდროვის გერმანელთა კოლონიის სარგებლობაში, აღმოჩნდა 5549 $^1/_4$ დეს.

5) კავკასიის მთიელთა საზოგადოების სამმართველოს უფროსის 1871 წ. 17—19 მარტის №1166 და იმავე წლის 12—14 მაისის № 1974 თერგის ოლქის უფროსისადმი მიცემულ პატაკებში მოხსენებული მისი საიმპერატორო უმაღლესობის გან-

6) შენიშვნა: ხსენებულ რუქაზე ნაჩვენებია მილიციონერთა საგუშაგოებისათვის გამოსაყოფი ნაკვეთები, 1869 წ. დადგენილებაში კი. იგი არაა მოცემული.

7) შენიშვნა: 1869 წ. დადგენილებაში არაა ნაჩვენები ცხენსაშენისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, იგი არც საპროექტო რუქაზეა მოცემული. სულ 1869 წ. დადგენილებით ყაბარდოს საერთო სარეზერვო მიწის ფონდიდან უნდა გამოყოფილიყო 328009 დეს. მიწა.

8) სოფელ ჰასაუთისათვის, იქ მცხოვრებ 108 კომლის მიხედვით, გამოყოფილი იყო 10359 დესეტინა მიწა. 1 კომლზე— 96 დესეტინა.

შენიშვნა: 1869 წ. დადგენილებას თან ერთვის სია, სადაც შენიშვნის გრაფაში ჩაწერილია: სოფელ ჰასაუთში შეიძლება ჩასახლებულ იქნეს მთიელთა 100 ან 125 უმიწო კომლი— 10359 დეს.

9) შენიშვნა: 1868 წ. ცნობით აბუკოველთა 44 კომლი უნდა განსახლებულიყო სოფლებში: აშაბოვში, ბაბუკოეში და კანგოში, რომლებიც შედიან დიდი ყაბარდოს ზემოაღნიშნული 29 სოფლის შემადგენლობაში, სადაც მათთვის გამოყოფილი იყო მიწის ნაკვეთები.

10) 225849 დესეტინა მთის ფართი, მეტწილად, საძოვრებისათვის და 59.666 დესეტინა ტყე დატოვებულ იქნა რეზერვში. ამასთანავე მის საიმპერატორო უმაღლესობის ბრძანებულებით პირუტყვის გადასარეკი გზისათვის გამოიყო 3194 დეს.

6) თერგის ოლქის უფროსის განკარგულებით, მილიციის ორი საგუშაგოსათვის გამოიყო ორი ნაკვეთი (ბაქსანისა და ყურკუჟანის), თითოეულისათვის 500 დესეტინა. ხაზინის კუთვნილებაში არსებული ნაკვეთები 1875 წ. უზენაესი ბრძანებით გადაეცა შიდაგუბერნიის უმიწო გლეხთა სარგებლობაში—1000 დეს.

7) თერგის ოლქის უფროსის განკარგულებით. ცხენსაშენისათვის გამოიყო ამჟამად თერგის საქარხნო თაღლის მმართველის გამგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი 330 დეს. სულ 1879 წ. 11 აპრილს უმაღლესად დამტკიცებულ რუქაზე აღნიშნული, სინამდვილეში გამოყოფილი მიწა იყო 324517 $^1/_2$ დეს. ყაბარდოელთა საერთო სარეზერვო მიწებიდან.

8) შენიშვნა: თერგის ოლქის უფროსის განკარგულებით 1885 წ. შექმნილი კომისიის მიერ შედგენილი პროექტით, აღნიშნული 10359 დესეტინიდან მიეცათ დროებით ნადელად:

ა) ჰასაუთის აულის 58 კომლზე 5568 დეს. და ბ) უმიწო მთიელთა 344 კომლს მდინარე მალკასთან — 1300 დეს. და ჩიხობ-ყაბახის ხეობასთან—1880 დეს. სულ 9084 დეს.;

9) მალო-ეკშაკონის არსებული სახელმწიფო უბნიდან (20010 დეს.), რომელიც 1866 წ. უფასოდ სარგებლობაში მიეცათ მცირე ყაბარდოს მოსახლეობას და შემდგომში, დიდსა და მცირე ყაბარდოს შორის ორმხრივი შეთანხმებით შეეიდა ყაბარდოს სარეზერვო საძოვარი მიწის შემადგენლობაში. ზემოაღნიშნული კომისიის (1885 წ.) პროექტით, აბუკოველთა 84 ოჯახს გამოეყო დროებით მიწის ნაკვეთები, თითოეულ კომლზე 40 დეს. მიწის ვარაუდით, 3360 დეს.

10) ყაბარდოს მცხოვრებთა და მათთან მომიჯნავე მთის ხუთი საზოგადოების საერთო სარგებლობაში არსებული სარეზერვო საძოვრები, მიწები და ტყე, რომ-

ლესობის კავკასიის არმიის მთავარ სარდალს უფლება ჰქონდა განესაზღვრა ამ მიწებით სარგებლობის წესები, როგორც უაბარდოელთა, ისე მათი მომიჯნავე მთიელთა საზოგადოებების ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით 285.515 დეს. სულ უაბარდოს სარეზერვო მიწების ფართობი, მცირე ექშაკონის სახელმწიფო მიწების გამოკლებით. 1869 წ. დადგენილებით შეადგენდა 295 874 დეს.

11) შენიშვნა: 1869 წ. 28 დეკემბერს დამტკიცებული, უაბარდოს მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის დაყოფის წესში არ იყო გათვალისწინებული:

ა) თავისუფალი, სახელმწიფო მიწის ხსენებული 164 დესეტინა მიწის ნაკვეთი და

ბ) ურუსბაევთა ყველასახარში საწარმოსათვის 300 დესეტინა მიწა.

ლებიც შეიქმნა 1869 წ. დადგენილებით, თადარიგში დატოვებული მიწის, ტყისა და ზემოაღნიშნული განკარგულების სისრულეში მოყვანით დარჩენილი უაბარდოს მთელი თავისუფალი მიწები, მათ შორის ე. წ. მალო-ექშაკონის უბანი:

ა) 315383 დეს. დატოვებულია უზენაესი ბრძანებით 1889 წ. 21 მაისს, ხსენებული მოსახლეობის მუდმივ სარგებლობაში, დაყოფილია უბნებად მოსახლეობის 10 ჯგუფს შორის, უაბარდოში გვარებად, მთიელებთან კი საზოგადოებებად, თანახმად 1879 წ. 22 თებერვლის კავკასიის მეფის ნაცვლის დადგენილებისა და

ბ) კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარ სამმართველოს უფროსის 1881 წ. 25—26 აპრილის № 1345 თერგის ოლქის უფროსისადმი მიწერილ წერილში მოხსენებული კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის ნებართვით 160 დეს. მიწა გამოეყოთ დროებით, დამატებით ნადელებად კაილინ ანზოროვის აულს, ხელმძღვანელობის ნებართვით იქ. აულ კოგოლკინოდან გადასახლებულ ხაევების გვარის 4 ოჯახს 315543 დეს.

სულ უაბარდოს დროებით განაწილებულ სარეზერვო მიწის ფართობი, მათ შორის ე. წ. მალო-ექშაკონის უბნების ჩათვლით, შეიცავს 328951 დეს.

11) შენიშვნა: დიდი უაბარდოს მიწებიდან:

ა) თავისუფალ სახელმწიფო მიწებში ჩამოთვლილია 164 დეს., რომელიც შედის მდ. კიჩ-მალკის მახლობელ უბანში, ჩამოყალიბებული ექშაკონის სახელმწიფო ,აგარაკის ისეთივე უბანზე გაცვლით, რაც მოხდა კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარ სამმართველოს უფროსის 1877 წ. 30 ოქტომბრის № 3108 მოხსენებაში გადმოცემულ კავკასიის უფროსების განკარგულებით.

ბ) ურუსბიევთა ყველასახარში საწარმოსათვის გამოყოფილ იქნა 300 დეს. მიწის ნაკვეთი, რის უმაღლესად ბოძება პოლკოვნიკ ალექსანდრე ურუსბიევის შთამომავალთათვის მოხდა 1879 წ. 17 მაისს, სულ 464დეს.

სულ, 1869 წ. 28 დეკემბრის დადგენილებით დიდი უაბარდოს მიწის ფართი შეადგენდა 623883 დეს.	სულ სინამდვილეში განაწილებული დიდი უაბარდოს მიწები 653932½ დეს.

როგორც მოყვანილი ორი სხვადასხვა დროის, კერძოდ 1869 წ[34]. და 1879 წ. დადგენილებათა პარალელური ტექსტების შეჯერებით ირკვევა, პირველი დადგენილება საადგილმამულო რეფორმის შესახებ ბევრ სერიოზულსა და დიდ შეცდომას შეიცავდა: სიებში გამორჩენილი იყო პრივილეგირებული წოდების ბევრი წარმომადგენელი, 400-მდე უმიწო კომლი და რაც მთავარია მიწის საერთო რაოდენობაც დესეტინებში არ იყო სრულად დადგენილი. პირველი დადგენილებით იგი 623883 დესეტინას შეიცავდა, მეორე — 1879 წ. დადგენილებით კი 653.932½ დესეტინას.

ეს შეცდომები ძალიან ძნელად, დაგვიანებით სწორდება, რაც ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო მოსახლეობის უკმაყოფილებისა. გარდა ზემოხსენებულისა, მოსახლეობას აღელვებდა გავლენიანი პირების მიერ საზოგადოებრივი მიწების მითვისება. 1888-1897 წწ. მარტო მთიელთა 5 საზოგადოებაში მათ მიერ მითვისებულ იქნა 26 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 9000 დესეტინას უდრიდა. უაბარდოში განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა საძოვრების უკმარობა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ 80-იან წლებში კვლავ დასვა დღის წესრიგში მრავალჯერ განაწილებული მიწების ხელახალი გადანაწილება. საკითხი დადგა იმ საძოვრების შესახებ, რომლებიც მთიანსა და ზოლკის რაიონებში იყო.

ეს საძოვრები, სოფლისათვის მიწების გამოყოფის დროს, დარჩა საერთო სარგებლობაში. ოფიციალური საბუთებით იგი არ იყო უაბარდოელთა მფლობელობაში დატოვებული, რის გამოც მეფის მოხელენი განაგებდნენ თავიანთი შეხედულებისამებრ. უაბარდოელებმა რამდენჯერმე (1878, 1880, 1887 წწ.) ითხოვეს ზოლკისა და მთიანი საძოვრების მათ კუთვნილებად გამოცხადება.

1889 წ. 21 მაისს მთავრობამ უაბარდოელებს წერილობით აცნობა: „...მანამ უაბარდოელები იქცევიან ისე, როგორც შეჰფერის მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ერთგულ ქვეშევრდომებს, სათადარიგო საძოვრები დარჩება მათ მუდმივ სარგებლობაში“.

იმავე წლის ნოემბერში უაბარდო-ბალყარეთის რწმუნებულები შეიკრიბნენ ნალჩიკში, განიხილეს საძოვრებით სარგებლობის საკითხი

[34] ЦГВИА, фонд № 1300, оп. 7, ед. хранение № 14, лл. 163—163.

და შეადგინეს 8 მუხლისაგან შემდგარი წესი[35], რომელიც დამტკიცებულ იქნა 1890 წ. 6 იანვარს კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსისა— თავად დონდუკოვ — კორსაკოვის მიერ.

თანახმად მიღებული წესისა, მიწები იყოფოდა ყაბარდოში 10 ჯგუფ საგვარეულო სოფლებს შორის, ბალყარეთში კი საზოგადოებათა მიხედვით. კომლთა რაოდენობის გათვალისწინებით, სოფლის მცხოვრებთ უფლება ჰქონდათ ესარგებლათ საძოვრებით, რომლებიც, მათთვის იყო გამოყოფილი.

ტყე კი, 63.592 დესეტინის მოცულობით, დარჩა განუყოფელი, მოსახლეობის საერთო სარგებლობაში და ყაბარდოს საზოგადოებრივი სატყეოს გამგებლობაში.

საძოვრები შემდეგნაირად იყო განაწილებული საგვარეულო სოფლებზე[36]:

ნაკვეთებისა და სოფლის საზოგადოების დასახელება	კომლთა რაოდენობა	ზოლკის მიწებიდან დესეტინა	მთის საძოვ. დესეტინა	სულ დესეტინა
1. I ატაჟუკინთა გვარის სოფლების ჯგუფი: კორმოვა, ბაბუკოვა, აშაბოვა, კონოვა, ატაჟუკინი I, ატაჟუკინი II, ატაჟუკინი III, ლაფიშევი, ტახტამიშევი, კუდენეტოვი I, კუდენეტოვი II	2967	7.794	45.908	53.702
სრულიად უვარგისი	—	—	864	864
სულ	2967	7794	46772	54566
2. II მისოსტოვთა საგვარეულო სოფლების ჯგუფი: ნაურუზოვი, კუჩმაზუკინი, ტამბიევი I (ზარაკუშევი). ტიქეევი, კასაევი, ტამბიევი II და ინალოვი	2030	5.962	30781	36.743
3. III ბეკმურზინთა საგვარეულო სოფლების ჯგუფი: შალუშინო, კოშეროკოვი (კლიშბიევი), მისოსტოვი, ჯანხოტოვი, კაისინ-ანზოროვი, ხატუ-ანზოროვი და კოგოლკინი .	2028	5210	31496	36706
სრულიად უვარგისი	—	—	16330	16330
სულ	2028	5210	47826	53036
4. IV კაიტუკინთა საგვარეულო სოფლების ჯგუფი: ვერხნი-კოჟოკოვი, დოგოჟუკოვი, დოკშოკოვი. არგუდანი, ნიენე-კოჟოკოვი და დოკშუკინი	1.239	3.443	18980	22423

[35] Кудашев В. Указ. труд, с. 227.
[36] იქვე, გვ. 230.

1	2	3	4	5
5. V ტაუსულთანოვთა საგვარეულო სოფლების ჯგუფი (მცირე ყაბარდოს): ბატაშევი. მურთაზოვი, ბოროკოვი, აბაევი, ბულატოვი, ხაფცევი, ახლოვი, ისლამოვი და ასტემიროვი .	2.031	6.123	30636	36.759
6. VI ზოლკის საძოვრებიდან ყველა ხუთი გვარის სოფლებისათვის საერთო მფლობელობაში გამოიყო ერთი მიწის ნაკვეთი მარილიან ტბასთან .	—	1452	—	1452
7. VII ბალყარელთა საზოგადოების სოფლების ჯგუფი კაშკატაუსთან ერთად	669	—	12.109	12.109
8. VIII ბეზენგიევის საზოგადოების სოფლების ჯგუფი . . .	152	—	2.751	2.751
9. IX ხულამის საზოგადოების სოფლების ჯგუფი . . .	221	—	4.000	4000
10. X ჩეგემის საზოგადოების სოფლების ჯგუფი ჩიქახ-კობახით .	493	—	8923	8923
11. ურუსბიევის საზოგადოების სოფლების ჯგუფი კურკუჯანით (ეტეზოვი) .	343	—	6.208	6.208
თავიანთი ადგილმდებარეობის სიშორის გამო. შემდეგი სამი სოფელი საძოვარ ნაკვეთებს იღებენ თავისი სოფლების ახლოს:				
12. სოფელი ჰასაუთი	149	—	2.697	2.697
13. აბუკოვი	86	—	1.556	1.556
14. გუნდელენი . . .	229	—	5412	5412
15. საქონელი გადასარეკი გზებისა და მთელი მოსახლეობის დასადგომად (დიდი და მცირე ყაბარდოსი) და ხუთი მთის საზოგადოებისათვის	—	—	3160	3160
16. ყველა, უკლებლივ ყაბარდოელთა საზოგადო ტყე და ტყის მოტიტვლებული ადგილები	—	—	63592	63.592
სულ	12.707	29.984	28.403	315.387[37]

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ატაუკინთა საგვარეულოს ეკუთვნოდა 11 სოფელი, 2967 კომლით, რომლებმაც მიიღეს 54566 დესეტინა მიწა (53702 დეს. ვარგისი და 864 დეს. უვარგისი,) საშუალოდ თითოეულ კომლზე 18,1 დეს. ვარგისი და 0,3-მდე სრულიად უვარგისი მიწა გაიცა.

[37] Кудашев В. Указ. труд, с. 230—231.

მისოსტოვთა საგვარეულოს მფლობელობაში შედიოდა 7 სოფელი, 2030 კომლით. მათ მიიღეს ზოლკის მიწებიდან 5962 დესეტინა და მთის საძოვრებიდან 30781 დესეტინა, სულ 36743 დეს. თითოეულმა კომლმა მიიღო 18,1 დესეტინა მიწა. ბეკმურზინთა საგვარეულოს მფლობელობაში იყო 8 სოფელი, 2028 კომლით, რომლებმაც მიიღეს ზოლკის მიწებიდან 5210 დესეტინა და მთის საძოვრებიდან 31496 დესეტინა მიწა, მათვე მიეცათ 16330 დეს. სრულიად უვარგისი მიწა. სულ მიიღეს 53036 დესეტინა მიწა. აქაც თითოეულ კომლზე 18,1 დესეტინა ვარგისი და 8,04 დესეტინა უვარგისი მიწა განაწილდა.

კაიტუკინთა საგვარეულოს ჰქონდა 6 სოფელი, 1239 კომლით. მათ მიიღეს ზოლკის მიწებიდან 3443 და მთის საძოვრებიდან 18980 დეს. მიწა. სულ 22423 დეს. ამ სოფლებშიც თითოეულმა კომლმა მიიღო 18,1 დეს. მიწა. ტაუსულთანოვების საგვარეულოს ეკუთვნოდა 9 სოფელი მცირე ყაბარდოში. მოსახლეობა 2031 კომლს შეადგენდა. მათ ზოლკის მიწებიდან მიიღეს 6123 და მთის საძოვრებიდან 30636 დეს. სულ 36759 დეს. საშუალო საკომლო მიწის ნორმა აქაც 18,1 დესეტინას შეადგენდა.

გარდა ჩამოთვლილი მიწებისა, რომელიც მიიღო დიდი და მცირე ყაბარდოს დასახლებათა ხუთმა ჯგუფმა, მათ განკარგულებაში იყო აგრეთვე მლაშე ტბის პირას — ზოლკის საძოვრებიდან გამოყოფილი 1452 დეს. მიწის ნაკვეთი.

ბალყარეთის საზოგადოებაში კაშკატაუსთან ერთად შედიოდა 669 კომლი, რომლებმაც მთის საძოვრებიდან მიიღეს 12109 დესეტინა მიწა. თითოეულ კომლზე მოდიოდა 18,1 დესეტინა.

ბეზენგის საზოგადოებაში 152 კომლი ითვლებოდა. მათ მთის საძოვრებიდან მიიღეს 2751 დესეტინა და თითოეულ კომლზე აქაც 18,1 დეს. მოდიოდა.

ხულამის საზოგადოებაში 221 კომლი სახლობდა, რომლებმაც 4000 დეს. მიწა მიიღეს და თითოეული კომლის ნორმას 18, 1 დეს. მიწა შეადგენდა. ჩეგემის მთის საზოგადოება ჩიჟახ-კაბახი 493 კომლს ითვლიდა, რომლებმაც მთის საძოვრებიდან მიიღეს 8923 დეს. ე. ი. თითოეულ კომლზე 18,1 დესეტინა.

ურუსბიელთა საზოგადოებამ, ს. კურკუჟანთან ერთად, სადაც 343 კომლი ირიცხებოდა, მთის საძოვრებიდან მიიღო 6208 დეს., საიდანაც კომლზე ზუსტად 18,1 დეს. მოდიოდა. სოფელ ჰასაუთში ცხოვრობდა 149 კომლი. მათ 2697 დეს. საძოვარი მიიღეს. საკომლო ნორმამ აქაც 18,1 დეს. შეადგინა. სოფ. ამუკოვის 86 კომლმა 1556 დეს. მიწა მიიღო, ე. ი. კომლზე 18,1 დეს. სოფელ გუნდელენის მოსახლეობა 299 კომლისაგან შედგებოდა. მათ მიიღეს 5412 დეს. იმ ვარაუდით, რომ აქაც კომლზე 18,1 დეს. მოდიოდა.

ამრიგად, 315387 ღეს. საძოვრებიდან და ტყეებიდან 63592 დეს. ტყე და ტყის კორდები ყაბარდოელთა და მთიელთა საერთო სარგებლობაში დარჩა.

ზოლკის საძოვრებიდან 5 საგვარეულოს სოფელთა მოსახლეობის საერთო მფლობელობაში 1452 დეს. გამოიყო. 3160 დეს. დატოვებულ იქნა ყაბარდოელებისათვის პირუტყვის გადასარეკ გზაღ. დანარჩენი 247183 დეს. საძოვარი მიწა 12707 კომლზე იქნა განაწილებული.

ფაქტიურად 230216 დეს. განაწილებული იყო 12707 კომლზე. თითოეულ კომლზე საშუალოდ 18,1 დეს. ვარგისი მიწა მოდიოდა. ზოლკისა და მთის საძოვრების ასეთი დანაწილება არ აწყობდა მშრომელ მოსახლეობას. იგი ცხენსაშენთა მეპატრონეებისა და მდიდარ მეცხოველეთა ინტერესებს ემსახურებოდა.

თვით მეფის მთავრობა აღიარებდა: ყაბარდოს უღარიბესი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არა ჰყავს დიდი რაოდენობის ცხენი, და არც ცხვარი, ამიტომ ამ საძოვრებით მხოლოდ შეძლებულები ისარგებლებენო. მიუხედავად ასეთი კრიტიკული მიდგომისა, მეფის მთავრობამ მიიღო აღნიშნული განაწილების პროექტი და იგი ძალაში შევიდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები ძველებურად ისაკუთრებდნენ და არენდით აძლევდნენ გაღარიბებულ გლეხობას საზოგადო მიწებს.

მოსახლეობა უკმაყოფილო იყო მიწების განაწილებითა და ზედაფენების თვითნებობით. უკმაყოფილება დღითი დღე მატულობდა. გახშირდა საჩივრებიც. მოგვიანებით, 1894 წ. ყაბარდოს ოლქის უფროსი იძულებული გახდა კომისია შეექმნა ზოლკისა და მთის საძოვრებით სარგებლობის წესების შესამუშავებლად. კომისიამ არ მიიღო 1890 წ. საძოვრების განაწილების პრინციპი და ახალი პროექტი შეიმუშავა. ახალი პროექტით საძოვრების განაწილება უნდა მომხდარიყო პირუტყვის რაოდენობის პროპორციულად. ეს პროექტი თერგის ოლქის უფროსებმა მოიწონეს. თუმცა მოსახლეობა მაინც უკმაყოფილო დარჩა და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

§ 2. საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება ოსეთის ოკრუგში

ოსეთის ოკრუგი თავისი რელიეფით მთისა და ბარისაგან შედგებოდა და ესაზღვრებოდა ჩრდილოეთით მცირე ყაბარდოსა და იმ სახაზინო მიწებს, რომლებიც თავად ბეკოვიჩ-ჩერკასკების საგვარეულო საკუთრება იყო ადრე, აღმოსავლეთით ნაზრანოვის საზოგადოებას და მდ. თერგს, სამხრეთით თბილისის გუბერნიის დუშეთისა და გორის

მაზრებსა და რაჭას, დასავლეთით ყაბარდოს მთის საზოგადოებებს და დიდ ყაბარდოს.

ოსეთის ოკრუგი. რომელიც მდ. თერგის ორივე ნაპირზე იყო გაშლილი, შუაზე იყო გაკვეთილი ვლადიკავკაზის კაზაკთა პირველი პოლკის მიწებით.

ოკრუგის ბარის მცხოვრებთა სხვადასხვა დროს მთებიდან ჩამოსახლებისა და ხშირად რუსი ხელმძღვანელობის მიერ სხვა ადგილას გადასახლების გამო, არ იყო დადგენილი მიწის მფლობელობის წესები. რაც შეეხება მთიან ადგილებში მიწის მფლობელობისა და მიწითსარგებლობის უფლებები დადგენილი იყო ადათ-ჩვეულების მიხედვით[38]. ვლადიკავკაზის ოკრუგი შედგებოდა თაგაურის, დიგორის, ალაგირისა და ქურთათის საზოგადოებებისაგან[39]. თითოეულ მათგანს თავისი საზღვრები და მიწის ფართის განსაზღვრული რაოდენობა ჰქონდა დადგენილი კავკასიის მთავარსარდლის ვორონცოვის მიერ.

თაგაურის საზოგადოების მიერ დაკავებული მიწები კავკასიის მთავარსარდლის ვორონცოვის მითითებით იქნა 1853-1856 წწ. დაყოფილი ამ საზოგადოების მცხოვრებთა სარგებლობაში[40].

მიწის ნორმების დადგენა მოხდა საზოგადოების წოდებრივი დაყოფის საფუძველზე. გადაწყდა ალდარებს, როგორც ოსეთის უმაღლესი წოდების წარმომადგენლებს, ხელქვეითებზე უფლებების დაკარგვის ანაზღაურების მიზნით, კომლზე 226 დესეტინა მიწის ფართი გამოყოფოდათ[41]. უბრალო ხალხს კი — კომლზე 36—37$^1/_2$ დესეტინა. მოსახლეობისა და მიწის ფართის ზუსტი რაოდენობის დადგენით გამოირკვა, რომ ამგვარი განაწილებით თაგაურის საზოგადოების მიერ დაკავებული მიწები საკმარისი არ იქნებოდა, რის გამოც ზემოხსენებული მოსაზრება არ შესრულებულა.

1859 წ. მეორედ შეიქმნა წოდებრივ-საადგილმამულო კომიტეტი, რომელმაც საკითხის შესწავლისთანავე წამოაყენა წინადადება ალდართა ნადელების შემცირების შესახებ. 1860 წ. კომიტეტმა მიზანშეწონილად ცნო ალდართა წარმომადგენლების ორ თანრიგად გაყოფა— მეორე თანრიგის ალდარებისათვის მიეცათ 40 დესეტინა მიწა კომლზე, პირველი თანრიგის წარმომადგენლებისათვის კი — ცოტა მეტი.

ეს წინადადებაც არ იქნა მიღებული, ვინაიდან არც ამგვარი განაწილებისათვის კმაროდა მიწა.

კავკასიის მთავარსარდალმა ახლად შექმნილ კომისიას მიუთითა:

---

[38] Гаврилов П. А. Устройство поземельного быта горских племен Северного Кавказа, ССКГ, вып. II, Тифлис, 1869, с. 27.

[39] Кавказский календарь, Тифлис, 1858, с. 294.

[40] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 28.

1. თაგაურთა ბარის ყოველი აულისათვის, თემური მფლობელობის უფლებით, გამოეყოთ მიწა კომლთა რაოდენობის მიხედვით.

2. ალდართა წოდება, კომლთა რაოდენობის მიხედვით, ჩაერთოთ იმ საერთო საკომლო მიწების ანგარიშში, რომელიც გამოიყოფოდა თითოეული აულისათვის, იმ ანგარიშით, რომ მათაც ისეთივე ოდენობის ნადელები მიეღოთ, როგორსაც ყოველი კომლი მიიღებდა[42].

3. თუ კომისიის შემოწმების შედეგად აღმოჩნდებოდა, რომ ალდარი ნამვილად მიეკუთვნებოდა ალდართა წოდებას და იგი უკმაყოფილო იქნებოდა იმით, რომ მიიღო მიწის ნაკვეთი სხვა კომლთა კვალობაზე, მათ უფლება მიეცემოდათ ყუბანის ოლქში არსებული, თურქეთში გადასახლებულთა თავისუფალი მიწებიდან მიეღოთ ნადელები — კომლზე 300 დესეტინის ოდენობით[43], თერგის ოლქში მიწის მიღებაზე კი უარი უნდა ეთქვათ. თაგაურის ალდარებს არ უნდოდათ სხვა მხარეში გადასახლება და თხოულობდნენ თაგაურში მიეღოთ 40 დესეტინა და 260 დესეტინა კი ყუბანის ოლქში, საცხოვრებლად კი თაგაურს ირჩევდნენ[44]. თერგის ოლქის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ალდართა თხოვნის დაკმაყოფილებაზე; თუ ისინი 1866 წ. თებერვლამდე არ მიიღებდნენ თაგაურში დარჩენისას შეთავაზებულ ვარიანტს და არც ყუბანის ოლქში აიღებდნენ 300 დესეტინა მიწას, მაშინ საერთოდ უარი გამოეცხადებოდათ მიწის მიღებაზე[45]. ამ მითითების შესასრულებლად, კომისიის მიერ დაზუსტებულ იქნა თაგაურის საზოგადოების მიწებისა და კომლთა რაოდენობა, რის შედეგადაც დადგინდა საკომლო მიწის ოდენობა. დაზუსტდა, რომ თაგაურის საზოგადოებისათვის ნადელებად გასაცემი მიწის ოდენობა შეადგენდა 64.897 დესეტინას, მოსახლეობა კი 1650 კომლი იყო. კომლთა ამ რიცხვში შევიდა ალდართა ის ოჯახებიც, რომლებმაც უარი განაცხადეს ყუბანის ოლქში დასახლებაზე. ამგვარი მონაცემებით. საკომლო მიწის ოდენობა 39 დესეტინას შეადგენდა[46].

კომისიის მიერ დადგენილი საკომლო მიწის ოდენობა კავკასიის მთავარსარდალმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია, 1866 წ. 2 აპრილს დაამტკიცა იგი და თერგის ოლქის უფროსს შესთავაზა: 1. „დაევალოს

---

[41] История Северо-Осетинской АССР, с. 288.

[42] Скитский Б. В. Сословный вопрос в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв., Известия ОНИИ. Орджоникидзе, 1954, т. XVI, с. 70.

[43] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 29.

[44] Берозов Б. П. Земельная реформа и отмена крепостного права в Северной Осетии, Орджоникидзе, 1979, с. 37.

[45] იქვე.

[46] ЦГВИА, фонд 1300, оп. 7, Ед. хр. 16, лл. 13—14.

კომისიას, რომ ერთხელ კიდევ შეამოწმოს თაგაურის საზოგადოებისათვის ნადელებად მისაცემი მიწების საზღვრები და გამოარკვიოს საადგილმამულო საკითხთან დაკავშირებით, როგორც კერძო მესაკუთრეთა, ისე კაზაკთა და საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ წამოჭრილი ყოველი სადავო საკითხი.

2. ზოგიერთი, სრულიად უმნიშვნელო ცვლილებები იქნეს შეტანილი აულთა გადაადგილებაში და კომლთა გადასახლება სხვა აულში მოხდეს მხოლოდ მისი უმაღლესობის მიერ განსაკუთრებულად დამტკიცების საფუძველზე[47].

3. აულებს შორის დროებითი საზღვრები დადგინდეს სამიჯნე ნიშნებით, იმ ვარაუდით, რომ ყოველი აულის საბოლოო გამიჯვნა მოხდეს მომავალში, როცა აულებს შორის საზღვრებში მცირეოდენი ცვლილებები შევა საერთო გეგმის შედგენისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

4. აულებში არსებულ ეკლესიებს, ქრისტიანული სამღვდელოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად, გამოეყოს სამ-სამი საკომლო მიწის ფართი.

5. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ აულებს შორის განაწილებული მიწა თითოეული აულისათვისაა თემური სარგებლობისათვის და არა მთელი თაგაურის საზოგადოების სარგებლობისათვის"[48].

ამ მითითებათა გათვალისწინებით, 1866 წ. აპრილში დამთავრდა თაგაურის საზოგადოების 10 აულში მიწის განაწილება[49].

თემურ მფლობელობაში მამულების განაწილებით მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კმაყოფილი იყო[50]. მათ დეპუტატები გაგზავნეს თერგის ოლქის უფროსთან მადლობის გადასახდელად და ხელმწიფე იმპერატორისადმი ერთგულ ქვეშევრდომთა გრძნობის გამოსახატავად[51].

თაგაურის საადგილმამულო საკითხის მოგვარებისთანავე, გადაიჭრა სარედანტო მიწის საკითხიც. სარედანტო მიწად იწოდებოდა თერგის მარცხენა მხარეს, ვლადიკავკაზიდან 7 ვერსით დაცილებული 3408 დესეტინა მიწა, რომელიც ძველთაგანვე დუდაროვთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით, დუდაროვებმა ნებაყოფლობით დათმეს ვლადიკავკაზის საჭიროებისათვის ამ

---

[47] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 30.
[48] იქვე,
[49] Скитский Б. В. Указ. труд, с. 83.
[50] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 31.
[51] ЦГВИА, фонд 1300, оп. 7, Ед. хр. 16, л. 15.

მიწის ნაწილი — 1004 დესეტინა, დანარჩენი — 2403 დესეტინა დარჩა დუდაროვის საკუთრებად[52].

დ ი გ ო რ ი ს ბარის საზოგადოებაში მიწები, იმ 12954 დესეტინის გამოკლებით, რომელიც 1837 წ. ხელმწიფე-იმპერატორმა ტუგანოვების საგვარეულოს უბოძა, კავკასიის მთავარსარდლის ვორონცოვის მითითებით, ურთიერთ მტრული განწყობილების გამო, ცალკე აულებად გამოყვეს ქრისტიანული და მაჰმადიანური მოსახლეობისათვის.

თავისუფალ ქრისტიანთა აულს მიეცა 4870 დესეტინა მიწა, თავისუფალ მაჰმადიანთა აულს — 3760[53], დიგორის ბადელიატთა მაღალი წოდების 6 საგვარეულოს 5125 დესეტინა.

ადრეული ცნობებით, დიგორის ბარის საზოგადოებაში, გარდა უმაღლესი წოდების წარმომადგენლებისა — ბადელიატებისა, სახლობდა 583 ოჯახი, აქედან 263 ოჯახი წარმოადგენდა ქრისტიანთა აულის მოსახლეობას, 109 ოჯახი კი მაჰმადიანთა აულში ცხოვრობდა, 211 ოჯახი — უბრალო დიგორელი, ლეზგორი და ხესესი[54], ბადელიატების მიწებზე ცხოვრობდა[55]. თავისუფალ ქრისტიანთა აულის მიწის სიმცირის გამო და უბრალო დიგორელთა და სხვა უმიწო კომლთა უზრუნველსაყოფად, საჭირო შეიქნა მიწის დამატებითი ფონდის გამონახვა.

კავკასიის მთავარსარდალმა ბრძანა:

1. შემოწმდეს მაღალი წოდების წარმომადგენელთა მიწების ოდენობა, იმ მიზნით, რომ დადგინდეს, ფლობენ თუ არა მიწის იმ რაოდენობას, რომელიც მათ განუსაზღვრა კავკასიის მთავარსარდალმა ვორონცოვმა და მიეცეთ მათ სამოჯნო გეგმები და სიგელები, მხოლოდ დესეტინათა იმ რაოდენობაზე, რომელიც მათზე გაიცა და არა იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ფაქტიურად[56].

2. ვინაიდან ნავარაუდევი იყო ბარის ბადელიატებს გამოყოფოდათ შთამომავლობით პირად საკუთრებაში ხსენებული მიწები, უპირატესად, ხალხზე უფლების დაკარგვის გამო, ამიტომ სამუდამოდ გაუქმდეს როგორც საზოგადოების მიწებზე მცხოვრებთა, ასევე ბადელიატების ნაკვეთებზე დარჩენილ უბრალო დიგორელთა პი-

---

[52] დუდაროვების საკუთრებაში დარჩა 2403 დესეტინა და 875 საქენი მიწა და არა 5000-მდე დესეტინა მიწა, როგორც ბ. ვ. სკიტსკი აღნიშნავს შეცდომით. იხ. მისი ნაშრომი «Сословный вопрос в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX вв.», Известия СОНИИ, Орджоникидзе, 1954, с. 83.

[53] История Северо-Осетинской АССР, с. 193.

[54] ხეხესს ალაგირის საზოგადოებიდან გამოსულს უწოდებდნენ.

[55] Гаврилов П. А. Указ. труд. с. 31—32.

[56] იქვე გვ. 34.

რადი ბეგარა. რის შესახებაც გამოეცხადოთ როგორც უბრალო ხალხს, ისე მაღალი წოდების წარმომადგენლებს[57].

3. ლეზგორის 40 ოჯახი, რომლებიც ბადელიატთა მიწებზე ცხოვრობენ, მაგრამ უფასოდ სარგებლობენ ყაბარდოელთა მიწებით, გადასახლებული იქნენ დიდ ყაბარდოში მდ. ლესკენის სათავეებთან.

4. უმაღლესი წოდების წარმომადგენელთა მიწებზე მცხოვრებ ხეხესებსა და უბრალო დიგორელებს შეეთავაზოთ მიწის ნაკვეთები ყუბანის ოლქში.

5. უმაღლესი წოდების წარმომადგენელთა თვითნებობისა და შევიწროების თავიდან ასაცილებლად, მათ მიწებზე დარჩენილი ხეხესებისა და უბრალო დიგორელებისათვის დადგინდეს ზუსტი წესი, სადაც განსაზღვრულ იქნება ოდენობა იმ ბეგარისა, რომელიც უნდა უხადონ საველე სავარგულებით სარგებლობისათვის[58].

1865 წ. ზემოხსენებული ბრძანება გამოეცხადა დიგორელ ხალხს. ლეზგორელები გადასახლდნენ დიდ ყაბარდოში. უმიწო დიგორელებსა და ხეხესებს ნება მიეცათ იოლ პირობებში ბადელიატების მიწებით სარგებლობისა.

მაღალი წოდების წარმომადგენლებს, ამგვარი დათმობისათვის, მოეხსნათ მიწის ყოველწლიური გადასახადი—1 დესეტინაზე 2 კაპიკი[59]. დიგორის ბარის მიწების ზუსტი აღრიცხვა არ არსებობდა. საჭირო გახდა მიწის რაოდენობის დაზუსტება.

ეს სამუშაოები ჩატარებულ იქნა 1866-1867 წწ. და აღმოჩნდა, რომ თავისუფალ ქრისტიანთა აულის მიწის ფართი იყო არა 4870[60], არამედ 6480 დესეტინა, თავისუფალ მაჰმადიანთა აულის. მიწები, წინასწარი მონაცემებით, უნდა ყოფილიყო 3760[61], სინამდვილეში კი აღმოჩნდა 5175 დესეტინა.

ამრიგად, მეტი აღმოჩნდა 3025 დესეტინა მიწა. პარალელურად შემოწმებულ იქნა უმაღლესი წოდების წარმომადგენელთა მიწის ოდენობა და აღმოჩნდა, რომ ისინი 2250 დესეტინა მიწას ზედმეტად ფლობდნენ.

სულ საბუთებში გატარებული მიწის რაოდენობა მეტი აღმოჩნდა 5275 დესეტინით[62].

ახალი აღრიცხვის შედეგად, დიგორის ბარის მოსახლეობის რაო-

---

[57] Скитский Б. В. Указ. труд, с. 70—71.
[58] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 35.
[59] ЦГВИАМ, фонд 1300, оп. 7, Ед. хр. 16, с. 23.
[60] История Северо-Осетинской АССР, с. 193.
[61] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 31.
[62] ЦГВИАМ, фонд 1300, оп. 7, Ед. хр. 16, л. 26.

რაოდენობაც მეტი აღმოჩნდა, ვინემ ძველი მონაცემებით იყო ცნობილი. თავისუფალ ქრისტიანთა აულში 262 ოჯახი ცხოვრობდა (ერთი ოჯახით ნაკლები, ვინემ ადრე სახლობდნენ), თავისუფალ მაჰმადიანთა აულში — 152 ოჯახი (49 კომლით მეტი, ვინემ ადრე იყო) და 260 კომლი, ის უმიწო დიგორელები და ხეხესები, რომლებმაც უარი განაცხადეს ყუბანის ოლქში გადასახლებაზე.

თავისუფალ ქრისტიანთა აულში კომლზე 24 დესეტინა მოდიოდა, მაჰმადიანთა აულში კი კომლზე — 34 დესეტინა.

ამრიგად, მოსახლეობისა და მიწის ოდენობის დაზუსტებით, გამოირკვა, რომ ორ მომიჯნავე აულში მიწის სხვადასხვა საკომლო ნორმა გამოდიოდა, რაც დაუშვებლად მიიჩნია კავკასიის ხელმძღვანელობამ[63].

იმისათვის, რომ თავისუფალ ქრისტიანთა აულისა და თავისუფალ მაჰმადიანთა აულის მიწის საკომლო ნორმა გაეთანაბრებინათ, კავკასიის მთავარსარდალმა 1868 წ. 24 თებერვალს თერგის ოლქის უფროსს დაავალა:

1. დაეწყოთ უმაღლესი წოდების წარმომადგენელთა მიწების შემოწმება, დაეტოვებინათ მათთვის თავად ვორონცოვის მიერ დამტკიცებული მიწის ნორმა, ზედმეტი კი ჩამოეჭრათ და შეეერთებინათ თავისუფალ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა აულებთან.

2. თავისუფალ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა აულების საკომლო ნორმად მიეღოთ 24 დესეტინა.

აულებში დარჩენილ თავისუფალ მიწებზე დასახლებულიყვნენ ან უმიწო დიგორელები და ხეხესები ანდა, თუ ადგილობრივი პირობებით შესაძლებელი იქნება, ორთავე აულის თავისუფალი მიწები და ალდართა ჩამორთმეული ადგილები გაერთიანებულიყო, უმიწო დიგორელთა და ხეხესთა ცალკე დასახელება შექმნილიყო.

3. დიგორის ალდარებიდან, თუ ისინი თანახმები იქნებოდნენ, შეესყიდათ მიწების ნაწილი, რათა უმიწო დიგორელთა და ხეხესთა ყოველ კომლს ჰქონოდა მიწის საკომლო ნორმა — 24 დესეტინა[64].

მიღებული ადმინისტრაციული ზომების მეშვეობით, დიგორის ბარის საზოგადოებაში გატარებული საადგილმამულო რეფორმის შედეგად კომლზე 24 დესეტინა მიწა იქნა გაცემული.

ალაგირის საზოგადოება მთებიდან 1824 წ. ბარში ჩამოსახლებული ოსებისაგან შედგებოდა და არდონისა და სალოგარდანის აულებში სახლობდნენ. ორივე აულის მოსახლეობა 1864 წ. 400 კომლისაგან შედგებოდა. თავდაპირველად აულთა მცხოვრებნი მიწის დიდი ნაკვეთე-

---

[63] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 36.

[64] ЦГВИА, ф. 1300, оп 7, Ед. хр. 16, л. 26.

ბით სარგებლობდნენ. შემდეგში, აულებს გამოაკლდა მიწის ნაწილი არდონისა და ნიკოლაევის სტანიცებისა და ვლადიკავკაზის კაზაკთა პირველი პოლკისათვის.

მათვე გამოეყოთ ალაგირის ვერცხლისა და ტყვიის ქარხნისათვის საჭირო მიწის ფართი, რის შემდეგ არდონისა და სალოგარდანის აულებს დარჩათ 10820 დესეტინა მიწა. ცოტა მოგვიანებით, კავკასიის მთავარსარდლის მითითებით, ხსენებულ ქარხნებს ალაგირის საზოგადოების სასარგებლოდ ჩამოერთვათ 715 დესეტინა, რის შემდეგ აულთა მიწების საერთო რაოდენობა 11535 დესეტინა გახდა[65]. ამრიგად, ალაგირის საზოგადოების აულებში მიწის საკომლო ნორმამ 28 დესეტინას გადააჭარბა. თითოეულმა კომლმა მიიღო 28,9 დესეტინა მიწა.

ქურთათის ბარის საზოგადოება ფლობდა ვლადიკავკაზის კომენდანტის მიერ 1824 წ. მიზომილ მიწებს, ვლადიკავკაზის კაზაკთა პირველი პოლკის სტანიცა არხონისათვის გამოყოფილი ფართის გამოკლებით, — 14540 დესეტინას. მოსახლეობა 293 კომლისაგან შედგებოდა და ეკავათ სამი აული: ზედა და ქვედა ფიაგა და სავადაკე.

ქურთათის ბარის საზოგადოების 14520 დესეტინა მიწიდან, კავკასიის მთავარსარდლის მითითებით, 593 დესეტინა (დარ-გარდოს ველი) გადაეცა ამავე საზოგადოების მთის მეზსახლეობის ბერეგზანის აულს, დანარჩენი, 13927 დესეტინა, გაუნაწილდათ ზემოხსენებულ აულებს, კომლთა მიხედვით, თემური მფლობელობის უფლებით. ქურთათის ბარის საზოგადოების კუთვნილებაში დატოვებული მიწა — 13927 დესეტინა, განაწილებულ იქნა 293 კომლზე. საკომლო მიწის ნორმამ 47, 5 დესეტინას მიაღწია. სულ ვლადიკავკაზის ოკრუგში ოთხი საზოგადოების აულებს, თემური მფლობელობის უფლებით, მიეცათ 115799 დესეტინა მიწა, რაც განაწილდა მშრომელი მოსახლეობის 3018 კომლზე. ოკრუგში, საშუალოდ, მიწის საკომლო ნორმა უნდა ყოფილიყო 38 დესეტინა, მაგრამ იმის გამო, რომ ცალკეულ საზოგადოებებში დამოუკიდებლად გატარდა მიწის გამოყოფა-დანაწილება, სხვადასხვა საზოგადოების საკომლო ნორმა სხვადასხვა რაოდენობისა იყო. მაქსიმუმი — 47,5 დესეტინა და მინიმუმი — 24 დესეტინა.

თაგაურის საზოგადოების 10 აულში, საკომლო მიწის ნორმა 39 დესეტინა იყო. დიგორის ბარის საზოგადოების 3 აულში — 24 დესეტინა, ალაგირის საზოგადოების 2 აულში—29 და ქურთათის საზოგადოების 3 აულში — 47,5 დესეტინა.

---

[65] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 36.

§ 3. საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება ჩეჩნეთის ოკრუგში

ჩეჩნეთის ოკრუგში რეფორმის გატარება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ადგილმამულის სიმცირე ყველაზე მეტად ჩეჩნეთის ოკრუგში იგრძნობოდა, ვინაიდან მოსახლეობის სიმჭიდროვე გაცილებით მაღალი იყო, ვინემ თერგის ოლქის სხვა დანარჩენ ოკრუგებში. მოსახლეობაც ჯერ კიდევ არ იყო რუსეთისადმი ერთგულად განწყობილი და რაღა თქმა უნდა, ყოველგვარი სიახლის გატარების წინააღმდეგნი იყვნენ. საქმეს ართულებდა ისიც, რომ მთებიდან ბარში ჩამოსული ჩეჩნები, მამაპაპეულ მიწებს თავის საკუთრებაში იტოვებდნენ და ახალ საცხოვრებელ ადგილასაც მეურნეობას ეწეოდნენ, რასაც დიდი გაუგებრობა შეჰქონდა მიწით სარგებლობისა და მიწის მფლობელობის საქმეში[66]. ყოველივე ეს უნდა გაერკვიათ და დაედგინათ სპეციალურ კომისიებს საადგილმამულო რეფორმის გატარების წინ. რეფორმას ნადელებით უნდა დაეკმაყოფილებინა უმიწო მოსახლეობა[67].

კავკასიის ომის დამთავრებისთანავე, 1859 წ., კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ბარიატინსკიმ პროკლამაციით მიმართა ჩეჩნებს, სადაც ხელმწიფე-იმპერატორის სახელით ჰპირდებოდა: „... მიწა, ტყე და ბარი, სადაც ჩეჩენი ხალხი ცხოვრობდა 1839 წ. აჯანყებამდე, თქვენ მოგეცემათ მუდმივ მფლობელობაში.“ იქვე შენიშნავდა, რომ მათ არ დაუბრუნდებოდათ ის მიწები, რომლებიც ეკავათ სიმაგრეებს, სათიბი ადგილებით.

„ეს მიწები სამუდამოდ რჩება სახელმწიფოს კუთვნილებაში. მთის ზოლის ის მიწები და ტყე, რომლითაც აჯანყებამდე არ სარგებლობდა ხალხი, დარჩება სარეზერვოდ, მთავრობის განკარგულებაში“[68].

ამგვარი შეზღუდვის შემდეგ, ბარიატინსკი ჰპირდებოდა ხალხს, რომ ყოველ აულს მიეცემოდა მიწა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და არა კომლთა ოდენობის კვალობაზე. ყოველ აულს მიეცემოდა აქტი და გეგმა მიზომილი მიწის მუდმივი მფლობელობისათვის. აქვე აღნიშნული იყო, რომ „მთავრობის მიერ ნაჩუქარი მიწები და ის თავისუფალი მამული, რომელიც შემდეგშიც შეიძლება მიეცეთ საჩუქრად კერძო პირებს დამსახურებისათვის, სამუდამოდ დარჩება მათ შეუვალ კუთვნილებაში“[69].

---

[66] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 59.

[67] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, с др. вр. по март 1917 года, т. I, с. 119.

[68] იქვე.

[69] იქვე, გვ. 120.

მიუხედავად დაპირებისა, ადრე ჩამორთმეული მიწები არ დაუბრუნდათ ჩეჩნებს. მთიელთა კუთვნილი მიწების ხარჯზე შეიქმნა დიდძალი საკოლონიზაციო მიწის ფონდი ცარიზმის ერთგულ მსახურთა — გენერლების, მოხელეების, კაზაკთა და მთიელთა ზედაფენის წარმომადგენლებისათვის დასარიგებლად. ყოველივე ამის გამო, 1865 წლამდე ცხადი გახდა, რომ ჩეჩნეთში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მიწების თემური სარგებლობის უფლებით გამოყოფა შეუძლებელი იყო მამულების სიმცირის გამო[70]. მიწის სიმცირისა და სხვა პოლიტიკური მოსაზრების გამო, გადაწყდა: არამცთუ ხელი არ შეეშალათ ჩეჩენთა თურქეთში გადასახლებისათვის, არამედ ყოველმხრივ წაეხალისებინათ ისინი, რათა რაც შეიძლება მეტი გადასახლებულიყო. გადასახლების მსურველებს ფულად დახმარებას აძლევდნენ სამგზავრო ხარჯებისათვის[71].

გარდა ამგვარი ზომებისა, ადგილობრივი ხელმძღვანელობა ჩეჩენთა მამასახლისებს ავალებდა აგიტაცია გაეწიათ ჩეჩენთათვის თურქეთში გადასახლებაზე. გენერალი კუნდუხოვი 1865 წ. 27 აპრილს აულ სტუკოხიდან წერდა ლორის-მელიქოვს: „ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ. მე გამოვიძახე მცირე ჩეჩნეთიდან მამასახლისები: ხადისა და ჯენარალი, ასევე გამოვიძახე ზოგიერთები დიდი ჩეჩნეთიდან, მე მათ ვურჩიე, რომ ხალხის სიყვარულისათვის ეცადონ, რომ ამ წელს (1865) მოაწყონ თურქეთში გადასახლება, შესაძლებლობის ფარგლებში"[72]. ყოველივე ამას დაერთო რუსეთის სამხედრო ნაწილების შემოყვანის გადაწყვეტილება ჩეჩნეთის ახლოს. შემდეგ კი თვით ჩეჩნეთში. მთიელებისათვის ცნობილი გახდა, რომ სამხედრო ნაწილები მალე ჩეჩნეთში შევიდოდნენ, ხალხს განაიარაღებდნენ და დაიწყებოდა სხვა ადგილებში გადასახლება იარაღის ძალით.

1865 წ. 24 აპრილს, თავადი ალექსანდრე თუმანოვი გროზნოდან აცნობებდა ხელმძღვანელობას: „ამჟამად ჩეჩნეთში ხმები გავრცელდა, რომ ჯარის დიდი შენაერთები გადმოსხდა პეტროვსკში და იკრიბებიან თემირ-ხანშურში, რათა ჩეჩნეთში შევიდნენ და გადაასახლონ ხალხი და ნაწილიც განაიარაღონ"[73].

ამგვარი ვითარების გამო, ჩეჩნებმა დააჩქარეს გადასახლება. 1865 წ. ზაფხულში თურქეთში გადასახლდა ჩეჩენთა 5000 ოჯახი — 20000-მდე სული[74], ასეთი დიდი რაოდენობით გადასახლებას შედარებით უნდა

---

[70] Гаврилов П. А Указ. труд, с. 59.

[71] იქვე. გვ. 58.

[72] Дзагуров Г. А. Указ. труд, с. 81.

[73] იქვე, გვ. 77.

[74] Гаврилов П. А. Указ. труд. с. 58, «Сборник сведении о кавказских горцах», II, с. 58.

გაეიოლებინა რეფორმის გატარება, თუმცა, როგორც დავინახავთ, ასე არ მომხდარა.

1866 წ. შეიქმნა თერგის ოლქის საადგილმამულო კომისიის განსაკუთრებული დროებითი განყოფილება, რომელსაც ჩეჩნეთში არსებული მიწისმფლობელობისა და ხარგებლობის წესები უნდა გაერკვია და შეედგინა წინასწარი გეგმა აულებისათვის მიწის თემური მფლობელობით გადაცემისათვის. ახლად შექმნილ განყოფილებას უნდა დაედგინა ჩეჩნეთის ბარის მიწების საზღვრები კაზაკთა მამულებთან. გასარკვევი იყო აგრეთვე, თუ რა უფლების ძალით ეკავათ ყუმიყთა თავადებსა და უზდენებს ჩეჩნეთის ოკრუგის კაჩკალიკის სანაიბოს მიწების ნაწილი, რომელიც ყუმიყეთის ოკრუგს ემიჯნებოდა. კომისიის მიერ ჩეჩნეთის ოკრუგში წარმოდგენილი ცნობებით გამოირკვა, რომ ხსენებული სანაიბოს მიწების ნაწილს, კერძოდ 13400 დესეტინას, დიდი ხანია ფლობდნენ ყუმიყი თავადები და უზდენები ისეთივე უფლებით[75], როგორი უფლებითაც ყუმიყეთის ოკრუგის თავადები და უზდენები ფლობდნენ თავიანთი ოკრუგის ადგილმამულის ნახევარს. კავკასიის არმიის მთავარსარდალმა კანონიერად ცნო ზემოხსენებულ თავადთა და უზდენთა მიერ 13400 დესეტინა მიწის მფლობელობა და მიუთითა, რომ ისევე როგორც ყუმიყეთის ოკრუგში, თავადებსა და უზდენებს ჩამორთმეოდათ მამულის ნახევარი ე. ი. 6700 დესეტინა, რაც თემური მფლობელობის უფლებით დასარიგებელ მიწებს მიემატებოდა.

კავკასიის მთავარსარდალმა თერგის ოლქის უფროსს დაავალა ყუმიყი თავადებისა და უზდენების მფლობელობაში დარჩენილი 6700 დესეტინა მიწა შეესყიდათ ოკრუგის საჭიროებისათვის, თუკი მფლობელები თანახმანი იქნებოდნენ. 1867 წ. ზაფხულში ხსენებული 6700 დესეტინა შესყიდულ იქნა ყუმიყი თავადებისა და უზდენებისაგან, დესეტინა 3 მანეთად. სულ გადახდილ იქნა 2010 მანეთი. ჩამორთმეული და შესყიდული მიწები უნდა შეერთებოდა ჩეჩნეთის ოკრუგის იმ მიწებს, რომლებიც განკუთვნილი იყო აულებისათვის თემურ მფლობელობაში დასარიგებლად. მიუხედავად ამგვარი ზომების მიღებისა, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მიწის ნაკვეთების დარიგებისათვის კვლავ არასაკმარისი იყო არსებული მიწის ფონდი.

ჩეჩნეთის ოკრუგში ადგილმამულის უკმარობას დაემატა ისიც, რომ სახელმწიფო სამსახურში მყოფმა ბევრმა მოხელემ და ოფიცერმა, პოლკოვნიკებმა და გენერლებმა მიწის დიდი ნაკვეთები ჩაიგდეს ხელში.

1864 წ. შექმნილმა თერგის ოლქის წოდებრივ-საადგილმამულო კო-

---

[75] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 59.

ნისიან ათეულ ათასობთ დესეტინა ბარის საუკეთესო მიწა გასცა მეფის მოხელეებზე და ადგილობრივ დიდებულებზე. მაგალითად: ტაიმანოვებმა მიიღეს 6500 დესეტინა, ბეკოვიჩ-ჩერკასკებმა — 6350, კასიმუ-ქურუ-მოვნა და არცუ-ჩერმოევმა 556 დეს. თითოეულმა, ალხასოვებმა — 2800. ტურლოვებმა — 2000, ელდაროვებმა — 1400, მაიორმა შამურ-ზაევმა — 576 1/2, ბაზორკინმა 500 დესეტინაზე მეტი[76].

ამის გამო კიდვ უფრო შემცირდა მიწის ფონდი, რაც შეუძლებელსა ხდიდა რეფორმის გატარებას.

თერგის ოლქის საადგილმამულო კომისიის ჩეჩნეთის ოკრუგის განყოფილებამ მიწების დანაწილების საბოლოო პროექტის შედგენა დააგვიანა. დაგვიანების მიზეზი იყო: 1. ვერ გადაწყდა, შესაძლებელი იყო თუ არა ჩეჩნეთის ოკრუგში, მდ. სუნჯის მარჯვენა მხარეს არსებული მიწები, რომლებიც ხელმძღვანელობის პირადი განკარგულებით დატოვებულ იყო მეზობელი კაზაკი მოსახლეობის სარგებლობაში და აგრეთვე სიმაგრე ვოზდვიჟენსკის მახლობლად ჯარისათვის დატოვებული სათიბები გადასულიყო აულებისათვის გამოსაყოფი მიწის ფონდში და, 2. შეიძლებოდა თუ არა პროექტში შესულიყო მთის ზოლის მიწების ნაწილი. ამ საკითხების გადასაწყვეტად და თერგის ოლქის საადგილმამულო კომისიის ჩეჩნეთის ოკრუგის განყოფილების შემდგომი სამუშაო გეგმის შესადგენად, 1868 წ. მაისში, ოლქის უფროსის თავმჯდომარეობით, გროზნოში განსაკუთრებული კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტმა ერთხმად გადაწყვიტა, რომ მდ. სუნჯის მარჯვენა ნხარეს მდებარე კაზაკთა სარგებლობაში არსებული მიწების ჩამორთმევა და აულებისათვის დასარიგებელი მიწის ფონდში შეტანა არ შეესაბამებოდა რუსეთის მთავრობის პოლიტიკას. რაც შეეხება სიმაგრე ვოზდვიჟენსკის მახლობლად მდებარე სახაზინო მიწების გადაცემას ზემოხსენებულ მიწის ფონდში, ლორის-მელიქოვის აზრით, წინდაუხედაობა იქნებოდა, ვინაიდან ეს მიწები ახლო მომავალში რუსთა დასახლებისათვის იყო განკუთვნილი[77].

მთის ზოლის მიწების ჩეჩენთა სანადელო მიწებად გადაცემა კომიტეტმა მიზანშეწონილად ცნო, ვინაიდან იგი გამოწვეული იყო ბარის მიწების სიმცირით. მიწის ნაკლოვანების გამო იყო, რომ ხელმძღვანელობამ ნება დართო ჩეჩნებს გაეწმინდათ მთის ზოლში ადგილები და ახოებათ ექციათ ის, რაც მეურნეობისათვის გამოსადეგი იქნებოდა. გაწმენდილი ადგილები მხოლოდ მეურნეობისათვის უნდა გამოეყენებინათ და არავითარ შემთხვევაში დასახლებისათვის.

თერგის ოლქის საადგილმამულო კომისიის ჩეჩნეთის ოკრუგის განყო-

---

[76] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, с. 120.

[77] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 60—61.

ფილებას დაევალა, დაეჩქარებინა მიწების დარიგების პროექტის შედგენა, 1868 წ. ზაფხულში დაემთავრებინათ ჩეჩნეთის ოკრუგის საზღვრების დადგენა იჩქერისა და არგუნის ოკრუგებთან და გამოეყოთ კერძო მიწები ცალკე, შეედგინათ აულთა სარგებლობაში არსებული მიწების სამეურნეო აღწერილობა. დაეზუსტებინათ დასანაწილებელი მიწების რაოდენობა. აულებისათვის მიწების გამოყოფისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული მისი ვარგისიანობა და მოსახლეობის რაოდენობა. ყოველივე ეს უნდა მოესწროთ იმ ვარაუდით, რომ 1869 წ. გაზაფხულზე ან ზაფხულში მაინც აულებს მიწები გამოყოფილი ჰქონოდათ და აულებს შორისაც საზღვრები ყოფილიყო დადგენილი[78]. ეს დავალება საგანგებო განყოფილებამ შეასრულა, მაგრამ მიწა არ იყო საკმარისი, რის გამოც აულებისათვის მიწების გამოყოფა ნოსახლეობის რაოდენობის მიხედვით შეუძლებელი გახდა. მიწის ფონდის გასაზრდელად, კავკასიის არმიის მთავარსარდლის მითითებით, კერძო მესაკუთრეებს შეუმცირეს მიწის ოდენობა, ზოგ შემთხვევაში, მფლობელებთან შეთანხმებით, შეისყიდეს კიდეც მიწის ნაკვეთები. მთის ზოლის მიდამოებისა და ტყიანი ადგილების გაწმენდის ნებაც მისცეს[79] ჩეჩნებს, მაგრამ მიწის სიმცირეს თავი ვერ დააღწიეს, ვინაიდან თუ ზემოხსენებული ზომების მიღების შედეგად ათასობით დესეტინა ემატებოდა გასანაწილებელ მიწის ფონდს, ათიათასობით დესეტინას იტაცებდნენ მთავრობის მოხელეები, დაიწყო მიწების ყიდვა-გაყიდვაც. ამიტომ მიწის მესაკუთრეებს, გარდა უმაღლესად ნაწყალობევი მამულებისა, ჰქონდათ ნაყიდი ადგილებიც.

ა. ს. ბაზორკინმა კაზაკი ოფიცრისაგან შეისყიდა 250 დესეტინა მიწა. კაზაკ ოფიცრებსაც მიწის დიდი ნაკვეთები გააჩნდათ.

1870 წ. კანონით, კაზაკ გენერლებს ეძლეოდათ 1500 დესეტინა მიწა, შტაბს-ოფიცრებს — 400, ობერ-ოფიცრებს — 200, სამსახურიდან გადამდგარ ოფიცრებს ეძლეოდათ 100-დან 800 დესეტინამდე, რიგით კაზაკებს კი 30 დესეტინა თითოეულს.

ხსენებული კანონის თანახმად, სულ თერგის კაზაკთა ჯარის ოფიცრებმა და მოხელეებმა კერძო საკუთრებით მიიღეს 119.176 დესეტინა. ხშირი იყო შემთხვევა სამხედრო მოსამსახურეთა მიერ მიწების გაყიდვისა. კერძო საკუთრებაში მიღებული 119.760 დესეტინიდან XX ს. დასაწყისში 66 ათასი დესეტინა უკვე კულაკებისა და ვაჭართა ხელში იყო.

ამგვარი გარემოებით იყო გამოწვეული მიწის სიმცირის კვლავ გაღრმავება, რის გამოც მეფის მთავრობის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა განგებ დაიგიწყეს კავკასიის არმიის მთავარსარდლის დაპი-

[78] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, с. 120.

[79] Газрилов П. А. Указ. труд, с. 60.

რება, რომ ჩეჩნეთის ოკრუგში აულებს მიწები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დაურიგდებოდათ.

ნაცვლად დანაპირებისა, აულებს მიწები კომლთა რაოდენობის მიხედვით გაუნაწილეს, რის გამოც თითოეულ მოსახლეს ერთნაირი ნადელები კი არ მიეცათ, არამედ სხვადასხვა ზომის. ერთი ოჯახისაგან შემდგარ კომლს, რომელშიც 5-8 სული იყო, სულზე მეტი რაოდენობის მიწა ერგო, ვინემ იმ კომლის თითოეულ წევრს, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე ოჯახი იყო გაერთიანებული. ამიტომ იყო, რომ ჩეჩნეთის ოკრუგში საკომლო მიწის ოდენობა 16-დან 30 დესეტინამდე მერყეობდა.

თერგსზემო სანაიბო

ეს სანაიბო მთებიდან ჩამოსახლებული ჩეჩნებისაგან შეიქმნა. იგი მდინარე თერგის ახლოს მდებარეობდა და ოკრუგის ძირითადი ნაწილისაგან გამოყოფილი იყო სუნჯის, კაზაკთა პირველი და მეორე პოლკების მიწებით. ამ სანაიბოდან ომის დროს ყველა გადაასახლეს სხვა ადგილას. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ ჩამოსახლდნენ, მფარველობა ითხოვეს და თერგის ზემო სანაიბო შეიქმნა. სანაიბოს მიწების საერთო რაოდენობა 122400 დესეტინას შეადგენდა. აქედან 20 ათასამდე დესეტინა, 8 ნაკვეთად მიეცათ ადგილობრივ თავადებს: ალხასოვებს, ელდაროვებს, ტაიმონოვებს, ტურლოვებს, ბეკოვიჩ-ჩერკასკებს და სხვ., დანარჩენი — 102400 დესეტინა მიწა განაწილებულ იქნა აულთა საზოგადოებებს შორის, თუმცა განაწილებული იყო არა თანაბრად. საკომლო ნორმა არ იყო ერთნაირი, ხშირად მათ შორის დიდი განსხვავება იყო. სანაიბოს აღმოსავლეთი ნაწილი, დასავლეთთან შედარებით, ნაკლებ ტერიტორიას ფლობდა, სამაგიეროდ მოსახლეობის სიმჭიდროვე აქ მეტი იყო, ვინემ დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთ ნაწილში იყო კერძო მიწებიც, რის გამოც საკომლო ნორმა გაცილებით ნაკლები იყო. სანაიბოს დასავლეთი მხარე გაცილებით მეტ მიწის ფართს შეიცავდა. მოსახლეობის სიმჭიდროვე ნაკლები იყო, მაგრამ აულებს შორის არასწორი განაწილების გამო, მხედველობაში არ ყოფილა მიღებული მოსახლეობის რაოდენობა, ე. ი. განაწილება მოხდა არა სულადობის, არამედ კომლთა რაოდენობის მიხედვით. ამიტომ იყო, რომ ზოგ აულში საკომლო მიწის ნორმა ნაკლები იყო, ზოგან კი იმდენად დიდი მიწის ფართი მიიღეს, რომ ოჯახი ვერც კი ასწრებდა მოვლა-პატრონობას და მიწის ნაწილი გამოუყენებელი რჩებოდა[80].

---

[80] ССКГ, Вып. II, с. 55—56.

აუცილებელი იყო მიწის ხელახალი გადანაწილება აულებს შორის. 1863 წ. შედგა სანაიბოს მიწების გამიჯვნის პროექტი, სადაც მოცემული იყო აულებისათვის მისაცემი მიწების რაოდენობა, იმ ანგარიშით, რომ საკომლო მიწის ნორმა ყოფილიყო 33 დესეტინა. საკომლო მიწის ნაკლები ნორმა მიეცათ აულ ბრაგუნის მცხოვრებთ, ვინაიდან იქ' გაცილებით კარგი ხარისხის მიწები იყო. გადაწყდა კერძო მიწების საზღვრების გადაადგილება, შემცირების მიზნით, რაზეც მესაკუთრეებმა თანხმობა განაცხადეს. აქ მიწების რაოდენობა მეტი იყო მოსახლეობასთან შედარებით. გამოიყო სარეზერვო ნაკვეთები, სადაც გათვალისწინებული იყო ჩამოსახლება მცირე და დიდი ჩეჩნეთიდან. სულ სანაიბოს 13 აული იქნა მიწით დაკმაყოფილებული. ამ აულებში 1864 წ[81]. 2331 კომლი ცხოვრობდა. დარჩენილი მიწის ნაკვეთები განკუთვნილი იყო 1012 ოჯახის დასასახლებლად.

ზემოხსენებული პროექტი უმაღლესად იქნა დამტკიცებული და თერგსზემო სანაიბოს 13 აულს საკომლო მიწის ნორმად მიეცათ 33 დეს.

საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება იჩქერიის ოკრუგში

იჩქერია მთის რაიონი იყო. მას ესაზღვრებოდა ჩრდილოეთით ჩეჩნეთის ოკრუგი, აღმოსავლეთით მთის ოკრუგი, სამხრეთით დაღესტნის ოლქი, სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით არღუნის ოკრუგი[82].

იჩქერიის ტერიტორია გაუვალი ტყეებით დაფარულ მთებსა და მდინარეებს ეკავათ. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოედინებოდა მდინარეები: ბასი, ხულხულაუ, გუდერმესი და აქსაი ღრმა ხეობებით, რომლებიც მეურნეობისათვის გამოუსადეგარი იყო და აქა-იქ გაფანტული საძოვრებისა და სათიბების ფართობს ამცირებდა, ზოგან კი გამოუყენებელს ხდიდა.

ტერიტორია დაახლოებით 1000 კვ. ვერსს შეადგენდა, სადაც 40 აულში, 1868 წ[83]. კამერალური აღწერით, ორივე სქესის 12000 სული

---

[81] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, с. 120.

[82] ССКГ, Вып. II, с. 62.

[83] იჩქერიის აულთა უმეტესობა ახალი დასახლება იყო. იყო ძველი მოსახლეობაც ზოგიერთ აულში. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, უმიწობის გამო მეზობელი მხარეებიდან — არღუნიდან, მთის ოკრუგიდან და ჩეჩნეთიდან იყო გადმოსახლებული. აქაც მცირე იყო სათიბები და საძოვრები. სახნავ-სათესები კი სულ უმნიშვნელო. ადგილმამულის უკმარობამ განაპირობა მოსახლეობის კვლავ გადასახლება ჩეჩნეთში. გადასახლება რეფორმის პერიოდში მოხდა იმ მიზნით, რომ ნადელები მიელოთ. ამ მიზეზით საგრძნობლად იკლო აქ მოსახლეობის რიცხვმა. 1865 წ. ცნობით, იჩქერიაში 14522 სუ-

ითვლებოდა. დასახლებული ადგილები ორ სანაიბოს შეადგენდა: ვედენოსა და დარღოს. თავის მხრივ, ვედენოს სანაიბო 12 აულისაგან შედგებოდა. სანაიბოში 8 გვარის წარმომადგენლები სახლობდნენ და თითოეულ აულში ერთი გვარის ხალხი იყო თავმოყრილი.

1. ორ აულში — ხარაჩოიში და ცა-ვედენოში, ხარაჩოევების საგვარეულო სახლობდა. აულები მდინარე ხულხულაუს ახლოს მდებარეობდნენ, პირველი ხარაჩოევის, ხოლო მეორე ხულხულაუს ხეობასთან. ცა-ვედენოში ადრე, უმიწობის გამო, ჩრდილოეთ დაღესტნის აულ ცუდახარიდან გადმოსახლებულები სახლობდნენ. რუსეთის ჯარის მოახლოებისას, 1858 წ. იმამის რეზიდენციიდან—ვედენოდან ცუდახარელები უკანვე გადასახლდნენ ჩრდილოეთ დაღესტანში. გაუკაცრიელებული აული ხარაჩოელთა საგვარეულომ დაიკავა.

2. აული დიშნი-ვედენოც მდინარე ხულხულაუს ახლოს, აულებს— ცა-ვედენოსა და ხარაჩოის შორის მდებარეობდა. აქაც ხარაჩოელთა გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ამ საგვარეულოს ეკავა, ერთმანეთთან ახლოს განლაგებული, ზემოხსენებული სამივე აული.

3. ერსენოი მდებარეობდა ერსენოვის მთაზე. ცხოვრობდნენ ერსენოვები.

4. აული ეხიშბატოი მდებარეობდა მდინარეებს — გუდერმესსა და ხულხულაუს შორის. აქ მხოლოდ ეხიშბატოევების საგვარეულო სახლობდა.

5. აული გუნი ატარებდა მისი დამაარსებლის დუნდალ-ის სახელს. იგი მდინარე გუდერმესთან ახლოს—მთის ფერდობზე მდებარეობდა.

6. აული ხატუნი დასახლებული იყო ელისტანჯიევთა საგვარეულოს წარმომადგენლებით. ხატუნი 1800-იან წლებში დაარსდა და 1865 წ. მოსახლეობა უმიწობის გამო გადასახლდა ჩეჩნეთის ოკრუგში, სადაც შედარებით უკეთესი პირობები იყო მიწით სარგებლობის მხრივ.

7. იმავე ელისტანჯიევების საგვარეულოს ეკავა აული ტაუვენ-ი. ეს აული 1820-იან წლებში დაარსდა. ტყისნაპირა მიდამოების გაწმენდის შედეგად. მოსახლეობა აქ უმიწობის გამო გადმოსახლდა ელისტანჯის აულიდან. 40 წლის შემდეგ, 1858 წ., ადგილობრივი ხელისუფლების მითითებით, მოსახლეობამ კვლავ მიატოვა აული და სხვა ადგილას—მდ. ბასესთან გადავიდა საცხოვრებლად.

8. ჩერმოევთა საგვარეულოს საცხოვრებელი იყო აული მახკეტი, რომელიც მდ. ბასესთან ახლოს მდებარეობდა. აული მთაში, ყველაზე

ლი ითვლებოდა, 1868 წ. კი მხოლოდ 12000 სული, ე. ი. 3—4 წლის განმავლობაში 2522 სული გადასახლდა იჩქერიიდან.

მაღალ ადგილზე მდებარეობდა და ამიტომაც დაარქვეს მახკეტ-ი (ჩეჩნურად მახკ — მიწა, „და ეეტ — მაღლა). იჩქერიაში შამილის მისვლამდე ჩერმოევების საგვარეულო აული მთა ჩერმოი-ლამთან მდებარეობდა. შამილმა ხსენებული მთა „სახაზინო" და საკუთარი ცხენების საძოვრად გამოაცხადა და მოსახლეობა ჩერმოევების საგვარეულო მახკეტში გადაასახლა.

9. ჩერმოევთა საგვარეულოს ეკავა აული ზაზარგანი-ც. კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, მოსახლეობა გადაასახლეს ჩეჩნეთის ოკრუგში.

10. აგაშტი. აქ მოსახლეობა 1820-იან წლებში დაასახლეს. ადრე გაუვალი ტყით იყო დაფარული. აქაური შეშით მარაგდებოდა მეზობელი მხარეები. „აგაშტ" ყუმიყურად ნიშნავს შეშას. ამ მიდამოებში დასახლებამდეც დადიოდა ხალხი შეშის საკრელად, რის გამოც აულს სახელად აგაშტ-ი უწოდეს. აგაშტში ჭებერლოების საგვარეულო არღუნის ოკრუგიდან უმიწობის გამო გადმოსახლდა.

11. ჭებერლოელებს ეკავათ აული ზიევრხიც. ესენიც არღუნის ოკრუგის აულ რიგახოიდან იყვნენ გადმოსახლებულები. აქ დასახლების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ საძოვრებით სარგებლობა იყო.

იჩქერიის მეორე ნაწილი იყო დარღოს სანაიბო. სანაიბოში 28 აული შედიოდა, მოსახლეობას კი 10 გვარის წარმომადგენლები შეადგენდნენ: ცონტაროევი. ეიტი-კალინი, ენო-კალინი. იალხოი-მოხსოვი, შირდი-მოხკოვი, კურჩალინი, ბელმატოევი, გორდალინი, შუანინი და ალეროევი.

სულ ,როგორც აღინიშნა, იჩქერია 40 აულისაგან შედგებოდა, სადაც 1865 წ. 14522 სული ცხოვრობდა[84], ხოლო უმიწობის გამო გადასახლების შედეგად, 1868 წ. მოსახლეობის რიცხვი 12000-მდე შემცირდა. შემდეგში მოსახლეობა სულ გადასახლდა. დარჩნენ მხოლოდ რამდენიმე გვარის წარმომადგენლები, რომლებმაც სხვისი საძოვარ-სათიბები იგდეს ხელთ.

ცალკეულ აულთა დასახლების ისტორიიდან ჩანს, რომ ჩამოთვლილ საგვარეულოთა ძველი ადგილსამყოფელი ღარიბი იყო მამულებით. მათი იჩქერიაში დასახლების მიზანი იყო საძოვრებითა და სათიბებით სარგებლობა, თუმცა როგორც ჩანს, არც აქ იყო უკეთესი საცხოვრებელი პირობები. ძალიან მცირე იყო საძოვრები და სათიბებიც. სახნავ-სათესი მიწის უკმარობას უფრო მწვავედ განიცდიდნენ, ვინემ თერგის ოლქის სხვა მხარეებში. ამიტომ იყო, რომ 1859 წ. შემდეგ იჩქერიის მოსახლეობამ მეზობელ ოკრუგებს მიაშურა[85]. რეფორმის გატარე-

[84] Кавказский календарь на 1867 год, Тифлис. 1866, с. 310.
[85] Попов И. М. Указ. труд, с. 16.

ბისას კი ძირითადად ჩეჩნეთის ოკრუგში გადასახლდნენ, სადაც მამულების ძხრივ ოდნავ უკეთესი მდგომარეობა იყო. განსაკუთრებით ჩეჩენთა თურქეთში გადასახლების შემდეგ[86].

§ 4. საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება არღუნის ოკრუგსა და ინგუშეთის მთის უბანში

მოცემულ ოკრუგებსა და უბნებს ეკავათ თერგის ოლქის მთის ზოლის აღმოსავლეთ ნაწილი, მდინარე თერგსა და მდინარე სუნჯას შორის, რომელსაც სამხრეთით ესაზღვრებოდა ანდიის ქედი. მათ ტერიტორიაში შედიოდა ანდიის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობი, რომელზედაც პარალელურად მიემართებოდა ხეობები და ხშირი იყო მთის განშტოებანიც.

არღუნის ოკრუგში შედიოდა მთის რამდენიმე დიდი და ღრმა, თითქმის გაუვალი ხეობები[87]. მოსახლეობა განლაგებული იყო მთის ფერდობებზე, ხვნა-თესვისათვის ნაკლებად გამოსადეგ მიწებზე. ამიტომ იყო, რომ მათ ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა.

ინგუშეთის მთის უბანი მთის ორი ქვაბულისაგან (ღალღის, ჯეირახის) შედგებოდა, რომლებიც სამხრეთიდან ჩაკეტილები იყო მთავარი ქედის განტოტებებით, ჩრდილოეთით კი — ქედის კლდიანი მაღლობებით (ჰაროი-ლამი და გასახოი-ლამი).

ტერიტორია ძირითადად გაუვალი ადგილებისაგან, მეურნეობისათვის მიუხერხებელი მიდამოების, შიშველი კლდეების, ხეობებისა და გაუვალი ფერდობებისაგან შედგებოდა. რის გამოც მიწის უკმარობა მწვავედ იგრძნობოდა.

1865 წ. ცნობით, მთის უბანში 6 საზოგადოება იყო[88]: ჯეირახების, ქისტების, ღალღების, ცორების, აქებისა და მერეჯინების. ექვსივე საზოგადოებაში 120 პატარა 5 — 8-კომლიანი აული არსებობდა. მხოლოდ 3 — 4 აული იყო საკმაოდ მოზრდილი დასახლებით. მთელი მთის უბნის მოსახლეობა 1342 კომლს ანუ 7754 სულს შეადგენდა.

ცალკეულ საზოგადოებათა მიხედვით, მოსახლეობა ასე ნაწილდებოდა:

1) ჯეირახების — 109 კომლი ანუ ორივე სქესის 544 სული;
2) ქისტების — 329 კომლი, ანუ ორივე სქესის 1708 სული;
3) ღალღების — 558 კომლი ანუ ორივე სქესის 2866 სული;
4) ცორების — 122 კომლი ანუ ორივე სქესის 594 სული;

---

[86] Дзагуров Г. А. Указ. труд, с. 81.
[87] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 62.
[88] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, с. 122.

5) აქების — 153 კომლი ანუ ორივე სქესის 683 სული;

6) მერეჯინების — 71 კომლი ანუ ორივე სქესის 357 სული[89].

მოსახლეობა არცთუ დიდი იყო, მაგრამ საკმარისი არ ჰქონდათ არც სახნავ-სათესი, არც საძოვარი და არც სათიბი ადგილები[90]. ამიტომ მთელ თერგის ოლქში აქ ყველაზე ღარიბად ცხოვრობდნენ[91].

მთავრობა არ ფიქრობდა მთიან ადგილებში რეფორმის გატარებას. აქ, ძველთაგანვე, ადათ-ჩვეულებათა მიხედვით დამკვიდრებული მიწისმფლობელობისა და მიწითსარგებლობის უფლებები იყო შენარჩუნებული.

1865 წ. მოსახლეობაზე სახელმწიფო გადასახადების გაწერისას, კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გენ. ბარიატინსკიმ მთის მოსახლეობის შესახებ განაცხადა: მიწა, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ, სამუდამოდ დარჩება მათ სარგებლობაში, ამ მიწაზე მათი უფლება მანამ იქნება, სანამ ისინი მთავრობის ერთგულებას დაიცავენ"[92].

მოსახლეობის საადგილმამულო უფლებების გარკვევისათვის და მიწისმფლობელობისა და მიწითსარგებლობის წესებში ცვლილებების შეტანისათვის საჭირო იყო დადგენილიყო ცალკეულ აულთა კუთვნილებაში არსებული მიწების რაოდენობა და ხარისხი.

ამავე დროს გასარკვევი იყო, რომელი მიწები იყო კერძო და რომელი აულის საზოგადოებრივ საკუთრებაში. უნდა შეეკრიბათ აგრეთვე ცნობები ცალკეულ აულებში არსებული მიწისმფლობელობის წესების შესახებ. ზოგიერთ აულს მიტაცებული ჰქონდა მიწები მეზობელი აულისა, რაც დასადგენი და გადასაჭრელი იყო.

მთებში მიწების გამოყოფა სარგებლობის თემური უფლებებით, ისევე, როგორც ეს მოხდა ბარში, მთავრობის აზრით, არ იყო საჭირო და არც შესაძლებელი, ვინაიდან იგი დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, თანაც ათეული წლები დასჭირდებოდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მთაში პატარა ნაკვეთები, უმთავრესად სათიბები, შემორაგული იყო ქვებით, ზოგჯერ წნელის ღობით, ხშირად კი ბუნებრივად იყო გამოყოფილი, ნათელი გახდება, რომ მთაში გასამიჯნი მიწა არ იყო.

თერგის ოლქის მთიან რაიონებში მიწის ნაკლებობის გამო კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ბარიატინსკიმ 1866 წ. იჩქერიისა და მთის ოკრუგების მოსახლეობას ნება მისცა გაეწმინდათ ტყიანი ადგი-

---

[89] Грабовский Н. Ф. Экономический и домашний быт жителей горского участка ингушского округа. ССКГ, вып. III, с. 8.

[90] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 62—63.

[91] Очерки Чечено-Ингушской АССР, с. 121.

[92] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 63.

ლები და ექციათ სახნავ მიწებად. გაწმენდილი ადგილი იმის მუდმივ საკუთრებაში რჩებოდა, ვინც გაასუფთავებდა და სახნავად გამოსადეგს გახდიდა.

მთავარსარდლის ეს განკარგულება დამოწმებულ იქნა კავკასიის კომიტეტის ჟურნალში 1868 წ. 23 ივლისს. საბოლოოდ კი, უმაღლესად იქნა დამტკიცებული.

თანახმად მითითებისა, ტყიანი ადგილების გასუფთავება ძირითადად უნდა მომხდარიყო დიდი გზების ან გზაჯვარედინების ახლო მდებარე მიდამოებში, იქ, სადაც ახლო მომავალში გზების გაყვანა შეიძლებოდა.

ამგვარი მეთოდით ბევრმა მიიღო სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი, რის გამოც შედარებით გაიუმჯობესეს ცხოვრების პირობები, თუმცა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აუწერელ სიღარიბეს განიცდიდა.

§ 5. საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება ინგუშეთის ოკრუგსა დ ამავე ოკრუგის ნაზრანის საზოგადოებაში

ნაზრანის საზოგადოება შედგებოდა ინგუშებისა და ჩეჩენი ტომის მთიელებისაგან. ამ საზოგადოების ყველა წევრი თანასწორად სარგებლობდა მიწით.

მოგვიანებით, როცა საზოგადოების გვერდით, სუნჯის პირველი და ვლადიკავკაზის მეორე პოლკები დამკვიდრდნენ, რომელთა სარგებლობაში გადავიდა საზოგადოების მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, მოსახლეობაში გამეფებული სიმშვიდე დაირღვა. ცალკეულმა საზოგადოებებმა და ხშირად მიწის კერძო მესაკუთრეებმაც სათემო მამულის მიტაცება იწყეს.

1860 წ. კავკასიის არმიის მთავარსარდლის — ბარიატინსკის განკარგულებით, ნაზრანის საზოგადოების სარგებლობაში დატოვებულ იქნა მათ მიერ დაკავებული მიწის ფართი 62 ათასი დესეტინის მოცულობით.

ამიერიდან ნაზრანის საზოგადოების მიწებს ესაზღვრებოდა — დასავლეთით ოსეთის ოკრუგის თაგაურის საზოგადოების მიწები, ჩრდილოეთით მცირე ყაბარდოს მთები, აღმოსავლეთით და სამხრეთით სუნჯის პირველი და ვლადიკავკაზის მეორე კაზაკთა პოლკები[93]. ამგვარი ზომები იქნა მიღებული იმ მიზნით, რომ მოესპოთ საზოგადოების შიგნით არსებული შუღლი და უთანხმოებანი. კარზე მომდგარი რეფორმისათვის ნაზრანის საზოგადოებაში არსებული საადგილმამულო დამოკიდებულების გარკვევა, მოსახლეობის ეკონომიკური ყოფის შესწავლა

---

[93] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 50—51.

და მათი რაოდენობის ზუსტი დადგენა დაევალა თერგის ოლქის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიას. კომისიის მიერ დადგენილ იქნა, რომ ნაზრანის საზოგადოებისათვის ბარიატინსკის მიერ 1860 წ. დამტკიცებულ ტერიტორიაზე — 62 ათას დესეტინა მიწაზე — არსებულ 15 აულში 3715 კომლი ცხოვრობდა.

გარდა ხსენებული 15 აულისა, ნაზრანის საზოგადოებას მიეკუთვნა ხაზინის მიერ ბეკოვიჩ-ჩერკასკებიდან შესყიდული 16100 დესეტინაზე განლაგებული აულები: ფსედახი, ქესქემი, სოგოპში და ახბარზოი, სადაც 580 კომლი სახლობდა[94]. ნაზრანის საზოგადოების აულთა რიცხვი 19 გახდა, მოსახლეობა კი 4295 კომლი.

კომლთა ამ რაოდენობაზე არსებული მიწის ფონდის განაწილებით მცირე იქნებოდა საკომლო მიწის ნორმა. საჭირო იყო დამატებითი მიწების გამოძებნა. როგორც თერგის ოლქის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიამ დაადგინა, ნაზრანის საზოგადოების ტერიტორიაზე არ არსებობდა კერძო მესაკუთრეთა მიწები. არ იყო არც სახაზინო მიწები. მიწების გამონახვა სხვა გზით უნდა მომხდარიყო.

გარდა სახნავი მიწებისა, უტყეობის გამო, ნაზრანის საზოგადოების სასარგებლოდ 2500 დესეტინა ტყის მასივი უნდა ჩამორთმეოდა ვლადიკავკაზის კაზაკთა მეორე პოლკს. ჩამორთმეული ტყის სანაცვლოდ, ხსენებულ პოლკს უნდა გამოყოფოდა მიწები ყოფილი ყარაბულაყის თავისუფალი მამულებიდან.

მოსახლეობის ეკონომიკური ყოფის დადგენისას კომისიის მიერ გამორკვეულ იქნა, რომ საზოგადოების თითოეული ოჯახი საშუალოდ 5 სულისაგან შედგებოდა. ოჯახის საშუალო სიმდიდრეს წარმოადგენდა: 2 მუშა საქონელი, 1 ძროხა და 1 ხბო, 1 ცხენი და 12 ცხვარი. ამგვარი მეურნეობისათვის საშუალოდ საჭირო იყო 4 ზვინი თივა ან 8 დესეტინა სათიბი, 4 დესეტინა საძოვარი და 6 დესეტინა სახნავი მიწა.

ამგვარი გამოანგარიშების საფუძველზე, გაითვალისწინა რა ნაზრანის საზოგადოების მიწების ვარგისიანობა, ბარიატინსკიმ საჭიროდ ჩათვალა საკომლო მიწის ოდენობა 18 დესეტინით განსაზღვრულიყო. 1866 წ. 2 აპრილს დამტკიცებული იქნა:

1) ნაზრანის საზოგადოების 15 აულს და აგრეთვე აულებს: ფსედახს, ქესქემს, სოგოპშს და ახბარზოის, ე. ი. სულ 19 აულს გამოეყოთ მიწები იმ ანგარიშით, რომ საკომლო მიწის ნორმა 18 დესეტინა იყოს.

2. ნადელები გამოიყოს: ა) ნაზრანის საზოგადოებისათვის 1860 წ. ბარიატინსკის ბრძანებით მიზომილი 62807 დესეტინა მიწიდან, ამ რაოდენობას უნდა გამოაკლდეს ნაზრანისა და კამბილიევის საგუშაგოების მიერ დაკავებული 560 დესეტინა. ბ) ნაზრანის საზოგადოების ახლოს

---

[94] იქვე, გვ. 50.

მდებარე ბეკოვიჩ-ჩერკასკებიდან ხაზინის მიერ შესყიდული 16100 დესეტინა მიწა.

სულ 19 აულის მოსახლეობის რიცხვი 4295 ოჯახს შეადგენდა, მათზე გასანაწილებელი მიწის რაოდენობა კი 78347 დესეტინა იყო[95].

1866 წ. ზაფხულში ხსენებული მიწის ფონდი დროებით განაწილებული იქნა აულებს შორის.

საბოლოო განაწილების შედეგად, საკომლო მიწის ნორმად 18 დესეტინა იქნა მიღებული.

ამრიგად, საადგილმამულო რეფორმამ უფრო შეამცირა საკომლო მიწის ოდენობა. 18 დესეტინა არ კმაროდა ოჯახის ყოველმხრივ დაკმაყოფილებისათვის.

თვით იმდროინდელი რუსი მკვლევარები აღიარებდნენ ინგუშეთში მიწის უკმარისობას[96]. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ოსებთან შედარებით, ინგუშები უფრო მეტად არიან შევიწროებულები მიწის სიმცირით.

მოსახლეობის ზრდის გამო, თანდათან კლებულობდა მიწის ოდენობა 1 სულ მოსახლეზე.

მოგვიანებით, 90-იან წლებში ორივე სქესის 30681 სულ ბარის ინგუშებზე 59489 დესეტინა მიწა მოდიოდა[97], ე. ი. 1 სულ მოსახლეზე, საშუალოდ, 1,93 დესეტინა მიწა. აქ შედიოდა ვარგისი და მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწები[98]. ყველაზე რთული და დახლართული იყო მიწით სარგებლობა და მიწის მფლობელობა ინგუშთა მთის რაიონებში. იქ სახნავი და სათიბები იყო როგორც საკუთრებაში, ისე თემურ მფლობელობაში. ბარში ჩამოსახლებული ინგუშები, ხშირ შემთხვევაში, მთებში არ თმობდნენ ადრე მათ ხელში არსებულ მიწებს.

ზოგმა კი, მიიღო რა ბარში მიწის ნაკვეთი, ხელი აიღო მთის მიწებზე. ამგვარი ვითარების გამო, დროთა განმავლობაში, ძნელი გახდა კერძო მიწების გამორჩევა თემური მფლობელობის მიწებიდან.

ინგუშთა მიწები მთაში იმდენად მცირე იყო, რომ ზომავდნენ არა დესეტინებით, არამედ ზაგონებით[99]. მიწის მცირე ფართის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, მთის ქვედა ნაწილში თესდნენ ხორბალს, ზემოთ კი სათიბები ჰქონდათ. მიწის სიმცირე მესაქონლეობასაც მკვეთრად უშლიდა ხელს. შედარებით მდიდარი ინგუშები არენდით იღებდნენ მეზობელ კაზაკთა სტანიცების მიწებს და მეტი მოსავალი მოჰყავდათ, ეკონომიკური პირობებიც უკეთესი ჰქონდათ. მთის მოსახლეობის

---

[95] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 50—51.
[96] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, с. 121.
[97] იქვე.
[98] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 51.
[99] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, с. 121.

ძირითადი ნაწილი ღარიბად ცხოვრობდა. არც მოსავალი ჰქონდათ საკმარისი და საქონელიც მხოლოდ ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის კმარობდა[100]. ინგუშთა სიმდიდრეს შეადგენდა:

ცხენი	3572
სხვადასხვა რქოსანი საქონელი	16439
ცხვარი	58447

1873 წ. აღებული სხვადასხვა სახის ხორბალი შეადგენდა:

სიმინდი	48278	ჩეტვერტი
ხორბალი	12017	«—»
ფეტვი	917	«—»
ქერი	196	«—».
კარტოფილი	1000	«—»

ეს იყო მთელი წლის განმავლობაში 21610 სული ადამიანის დასაკმაყოფილებელი მოსავალი. თუ ინგუშთა ხსენებულ საერთო სიმდიდრეს გავყოფთ მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე, მივიღებთ:

1 სულ მოსახლეზე	1/6 ცხენი (6 კაცზე 1 ცხენი)
რქოსანი საქონელი	ერთზე ნაკლები
ცხვარი	3
სიმინდი	2,5 ჩეტვერტი
ხორბალი	0,5 »[101]

მთაში ინგუშთა მიწების სიმცირეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 90-იან წლებში ჯეირახების, მეცხალის, ხამხის და ცორის ინგუშთა საზოგადოებებზე, რომელთა მოსახლეობა, ორივე სქესის 11263 სულს შეადგენდა, 2519 დესეტინა ვარგისი მიწა მოდიოდა, ე. ი. სულზე 022 დესეტინა. მიწის ნაკლებობა თანდათან მატულობდა. XX ს. დასაწყისში მთაში მცხოვრებ ინგუშთა 1 სულზე 0,2 დეს. სახნავი მიწა მოდიოდა. ცალკეულ აულებში კი, მაგალითად სოფ. კოირახში, უფრო ნაკლები — 0.05 დესეტინა[102]. ერთი სიტყვით, თერგის ოლქში ყველაზე მცირე საკომლო მიწის ნაკვეთები ჰქონდათ ინგუშებს, რომლებიც მთებში სახლობდნენ. ამიტომ იყო, რომ წლის მოსავალი მათ 4 თვეს გაჭირვებით ყოფნიდათ. დანარჩენი 8 თვის სამყოფ ხორბალს ბარში ყიდულობდნენ.

---

[100] Грабовский Н. Ф. Ингуши (их жизнь и обычай), ССКГ, вып. IX, с. 34.

[101] იქვე, გვ. 36.

[102] Очерки истории Чечено-Ингушской АССР, с. 122.

§ 6. საადგილმამულო რეფორმის მომზადება და ბატარება ყუმიყეთის ოკრუგში, ანუ ყუმიყეთის ბარში

ოკრუგში სულ 401360 დესეტინა მიწა ითვლებოდა, მოსახლეობა კი — 6661 კომლი[103].

ოკრუგის მამულების ნაწილი თემური სარგებლობის უფლებით იყო, ნაწილი კი — კერძო მესაკუთრეთა ხელში — პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელთა კუთვნილებაში.

როგორც უკვე აღინიშნა, ყუმიყთა საზოგადოების პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები იყვნენ: თავადები, ჩანკები (უთანასწორო ქორწინებით შეძენილი თავადთა შვილები,) პირველი თანრიგის უზდენები(სალა-უზდენები)[104], უბრალო უზდენები (ყუმიყეთის ბარის ძველ ბინადართა ჩამომავალნი), დოგერეკ-უზდენები (ყუმიყეთის ბარში ადრე ჩამოსახლებული თავისუფალი მდგომარეობის ბინადარნი) და აზატები (წინათ განთავისუფლებულები და უკანასკნელ დროს ყმები), რომლებიც მეოთხე თაობიდან იწოდებოდნენ უბრალო უზდენებად[105].

გენერალ ერმოლოვის მითითებით, ყუმიყეთის ბარი 1819 წ. რუსეთის ჯარმა დაიკავა. სამხედრო ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებდა თავადებსა და ხელქვეითებს შორის არსებულ ურთიერთობას, ცდილობდა რუსეთის მომხრე თავადთა ინტერესების დაცვას, რათა დროებით დასაყრდენი შეექმნათ ოკრუგში. მფლობელებმა კი, ხედავდნენ რა სამხედრო ხელმძღვანელთა მხარდაჭერას, უფრო გააძლიერეს ხელქვეითთა ექსპლოატაცია. დიდებულთა მიერ შევიწროებული მოსახლეობა ხშირად საჩივრებით მიმართავდა ადგილობრივ სამხედრო ხელმძღვანელობას. ხშირი იყო მიწებისათვის დავა თავადებსა და უზდენებს შორისაც. ადგილობრივი ხელისუფლება რამდენჯერმე შეეცადა დაედგინა უმაღლესი წოდების წარმომადგენელთა და უბრალო ხალხის მიწისმფლობელობის უფლებები, მაგრამ ვერ მოხერხდა, იმის გამო, რომ ვერ დამტკიცდა თავადთა საგვარეულო უფლებები იმ მიწებზე, რომლებსაც ისინი ფლობდნენ. გაუგებრობის ბრალი იყო, ერთი მხრივ, ყუმიყეთში მიწის თემურ სარგებლობაში არსებობა და მეორე მხრივ მიწისმფლობელთა განკარგულებაში მემკვიდრეობითი მიწების არსებობა. რეფორმის წინ ყუმიყეთის მიწის დიდი ნაწილი 10 საგვარეულოს ხელში იყო[106]. მაგალითად, თემიროვების საგვარეულოს ეკუთვნოდა 70

---

[103] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 43.

[104] საქ. ცსა, ფონდი № 220, ანაწ. 3, წიგნი 11, ფ. 10.

[105] Газ. «Кавказ», 1860 г., № 78, с. 459.

[106] გასვიანი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

ათასი დესეტინა, ალიბეკოვებს 23 ათასი, უცმიევებს 40 ათასი, ალი-სულთან კაზანალიპოვებს 70 ათასი და ა. შ[107]. თავადები თავის საკუთრებად თვლიდნენ ყუმიყეთის მთელ ბარს, ცდილობდნენ ამის დამტკიცებასაც, მაგრამ ვერ დაასაბუთეს. სამხედრო ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ყუმიყეთის ბარის მიწები — 401360 დესეტინა, რომელსაც თავადები თავის საკუთრებად აცხადებდნენ, შუაზე გაეყოთ თავადებსა და „უბრალო" ხალხს შორის. 1864 წ. 13 ივლისის აქტით, ყუმიყეთის მიწათმფლობელებმა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მთელი მიწების ე. ი. 401360 დესეტინის 2/5 ანუ 160421 დესეტინა დაუთმეს მოსახლეობას. მფლობელთა კუთვნილებაში დარჩა მიწების 3/5 ანუ 240.816 დესეტინა.

თერგის ოლქის უფროსმა მფლობელებისაგან მოითხოვა მთელი მიწების ნახევრის გადაცემა „უბრალო" ხალხისათვის.

1865 წ. 5 თებერვალს შედგენილი აქტით, მფლობელები თანახმანი გახდნენ ხალხისათვის დაეთმოთ არა მიწების 2/5, არამედ ნახევარი, მათ ხელში არსებული 401360 დესეტინიდან ხალხისათვის ნადელებად დასარიგებლად გამოიყო 200.484 დესეტინა, მფლობელთა საკუთრებაში დარჩა 200.876 დესეტინა. ამრიგად, „უბრალო" ხალხისათვის თემური სარგებლობის უფლებით უნდა დარიგებულიყო 200.484 დესეტინა მიწა[108]. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყუმიყეთის ოკრუგის მკვიდრთა რაოდენობა 6500 კომლს შეადგენდა, გამოვა, რომ საკომლო მიწის ნორმა 31 დესეტინამდე აღწევდა. მიწა მაღალხარისხოვანი, ნოყიერი და მოსავლიანი იყო და 31 დესეტინა ოჯახისათვის ყოველმხრივ საკმარისი იქნებოდა[109].

1865 წ. 11 მარტს კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა ყუმიყეთის ოკრუგის მფლობელთა მიერ ხალხისათვის დათმობილი მიწების შესახებ ბრძანა:

1. ყუმიყეთის ოკრუგის მიწათმფლობელების მიერ 1865 წ. 5 თებერვალს შედგენილი აქტის საფუძველზე, მოსახლეობამ დაიწყოს მფლობელთა მიწების ნახევრის გამოყოფა.

2. მიწის ნადელების მიღებისას ანგარიშში ნუ შეიტანთ აულის მკვიდრთა კარმიდამოებს.

3. მიწისმფლობელებს გამოეცხადოთ, რომ მიწის დარჩენილი ნახევარი აღიარებული იქნება მათ სრულ საკუთრებაში საჭირო საბუთების გაცემით.

4. დაევალოს საადგილმამულო კომისიას მიწის ნახევარი ნაწილის

---

[107] გასვიანი გ. დასახ ნაშრომი, გვ. 107.
[108] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 43.
[109] საქ. ცსა, ფონდი № 220, ანაწ. I, წიგ. II, ფურც. 13.

ვაბოყოფისას დაუყოვნებლივ გაავლონ საზღვარი დროებითი ნიშნებით, რაც გეგმაში უნდა იქნეს გადატანილი.

5. ხალხისათვის გამოყოფილი მიწები ცნობილ იქნეს საზოგადოდ, იმ ვარაუდით, რომ კომლთა სიების შედგენის დამთავრებისას, კომისიამ აულებს შორის ნაკვეთების, მოსახლეობის რაოდენობისა და მიწების ვარგისიანობის გათვალისწინებით განაწილების გეგმა წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

ბ. მთავრობის განკარგულებაში დარჩეს ყველა სახაზინო მიწა, როგორც ნაყიდი, ასევე ჩამორთმეული და სხვადასხვა დროს ჯარისათვის გამოყოფილი სათიბებად[110].

ამ განკარგულების საფუძველზე თერგის საადგილმამულო კომისიამ, 1865 წ. ზაფხულში, მფლობელთა მიწები ორად გაყო. აქვე მიღებული იყო, რომ თუ მფლობელის მიწას ორ ნაწილად გაყოფდნენ ხალხის წარმომადგენლები, მფლობელს უფლება ჰქონდა თავისი ნაწილი თვითონ აერჩია და პირიქით, თუ მფლობელი გაყოფდა ორ ნაწილად მიწას, არჩევანის უფლება ჰქონდა ხალხს.

იმავე ზაფხულს თერგის ოლქის საადგილმამულო კომისიის დროებითმა განყოფილებამ განიხილა და გადაწყვიტა მიწისმფლობელთა ბევრი სადავო საკითხი.

1866 წ. ყუმიყეთის ოკრუგის მიწების განკარგულების საპროექტო რუქა და წინადადება მიწით სარგებლობის ახალი წესების შესახებ გადაეცა კავკასიის ჯარების მთავარსარდალს, რომელმაც იმავე წლის 18 აპრილს თერგის ოლქის უფროსს მისწერა — დაეწყო ნავარაუდევი ღონისძიების განხორციელება:

1. ხალხისათვის თემურ სარგებლობაში გადასაცემი მიწა — 200484 დეს.. განაწილდეს აულებზე თემური სარგებლობის უფლებით.

ნადელებით დასაკმაყოფილებელ ოჯახთა ანგარიშში არ იქნეს მიღებული:

ა) ჩეჩნების, აუხოვების, თავლიებისა და სალათაველთა 289 ოჯახი, რომლებიც ყუმიყეთის ოკრუგში გადასახლდნენ 1859 წ. შემდეგ.

ბ) მთიელ ებრაელთა 142 ოჯახი და ყუმიყეთის ოკრუგში მცხოვრებ სომეხთა 16 ოჯახი, ჩამოთვლილ ხალხთა ოჯახებს საკუთრებაში დარჩეთ კარმიდამო, რომელიც უკვე გააჩნიათ.

ყუმიყეთის ოკრუგის დანარჩენ მოსახლეობას—6661 კომლს მიეცეთ მიწის ნადელები, იმ ვარაუდით, რომ აქსაევის, ანდრეევისა და ნოღაის უბნების ბინადართა 5106 კომლის სანადელო ნორმა იყოს 28 დესეტინა, რისთვისაც საჭირო იქნება 142968 დესეტინა;

---

[110] Гаврилов П. А. Указ. труд, с. 43.

მომთაბარე 1555 ოჯახის სანადელო მიწის ნორმა განისაზღვროს 36 დესეტინათი, რაც მთლიანად 55. 980 დეს. შეადგენს.

ამრიგად, ზემოხსენებულ სამ უბანს გაუნაწილდებათ 142.968 დეს., მომთაბარეთა 1555 ოჯახს — 55.980, ე. ი. განაწილდება 198.948 დესეტინა. განაწილების შემდეგ თავისუფალი დარჩება 1928 დეს., რაც 2 უბნად უნდა გამოიყოს სავაჭროებისათვის ოჯარით გადასაცემად, მიღებული თანხა ჩაირიცხება საზოგადოების ხაზინაში.

2. ნადელების მიმღებნი მიწით სარგებლობისათვის ვალდებულნი არიან იხადონ დაწესებული სახელმწიფო გამოსაღები, რისთვისაც ყოველი აულის საზოგადოება ვალდებულია თავის დროზე იხადოს საკომლო ნადელების რაოდენობით გათვალისწინებული გადასახადი.

3. ყუმიყეთის ოკრუგში 8 თავისუფალი სახაზინო მიწის ნაკვეთის — 17411 დეს. — განაწილებამდე კომისიას დაევალოს:

ა) ძველი აქსაევის სახაზინო მიწებიდან გამოიყოს ნაკვეთი 550 დეს. ოდენობით, რომელიც, თანახმად ყოფილი მთავარსარდლის გენერალ ბარიატინსკის წინადადებისა, განკუთვნილი იყო პოლკოვნიკ ალი-პენზულაევისათვის.

ბ) შედგეს 1859 წ. ძველი აქსაევის სახაზინო მიწაზე დასახლებული აულების — გალიშისა და ბილიტის, სულ 78 კომლის, მიწის ნადელების გეგმა, ამასთანავე მხედველობაში იყოს მიღებული, რომ თუ შესაძლებელი იქნება, ორივე აული შეერთდეს და მიწა იმ ანგარიშით მიეცეთ, რომ აღმინისტრაციულად ისინი მიეკუთვნონ მთის ოკრუგის სალათავის საზოგადოებას. როგორც იყო ყოველთვის.

4. წარმოდგენილი იქნეს წინადადება 1859 წ. შემდეგ ყუმიყეთის ოკრუგში დასახლებულ, უნადელოდ დატოვებულ ჩეჩენთა, აუხოველთა, თავლიანთა და სალათაევთა 299 ოჯახის მიწით დაკმაყოფილების თაობაზე. ამასთანავე მათი დაკმაყოფილება შეიძლება მოხდეს თავისუფალი სახაზინო მიწით და განაწილების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ფართით.

5. მთის ებრაელთა 142 ოჯახი, რომლებიც ყუმიყეთის ოკრუგში ითვლებიან და არ აქვთ საცხოვრებელი ადგილები, ერთი წლის განმავლობაში მიეწეროს ქალაქის ერთ-ერთ საზოგადოებას, სხვა წევრთა თანაბრად სახელმწიფო გამოსაღების გადასახდელად. რომელიმე საზოგადოებაში ჩაწერა აუცილებელი იყოს იმისათვის, რომ იხადონ სახელმწიფო გამოსაღები. ამიტომ იყო, რომ სომეხთა 16 კომლს ებრძანა ჩაწერილიყვნენ რომელიმე საზოგადოებაში ერთი წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნებოდა საჭირო ზომები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მიწების თემურ სარგებლობაში დარიგებით, მთავრობა ცდილობდა საგადასახადო სისტემის შემო-

ლებას — გადასახადების აკრეფას მიწით სარგებლობისათვის. ამდენად, აუცილებელი იყო კომლთა ოკრუგის რომელიმე საზოგადოებაზე მიწერა. სხვა მიზეზებთან ერთად ამანაც დააჩქარა მიწების ნადელებად გამოყოფა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობისათვის.

ამრიგად, ყუმიყეთის ოკრუგში, საადგილმამულო რეფორმის შედეგად, მფლობელთა საკუთრებაში არსებული მიწები — 401.360 დესეტინა, გაყოფილ იქნა შუაზე, ნახევარი მათვე დარჩათ საკუთრების უფლებით, სათანადო საბუთების გაცემით[111].

მეორე ნახევარი, ცალკეული უმნიშვნელო მიწის ნაკვეთის დამატებით — 200876 დეს., დარიგებულ იქნა თემური მფლობელობით სარგებლობაში აულებზე კომლთა რაოდენობის მიხედვით.

აქსაევის, ანდრეევის, ნოღაის უბნებს, სადაც 5106 ოჯახი ითვლებოდა, ნადელებად მიეცათ საკომლო ნორმა — 28 დესეტინა. სულ დარიგებულ იქნა 142968 დესეტინა. მომთაბარეებს კი, რომელთა რაოდენობა 1555 კომლს უდრიდა, მიეცათ ოჯახზე 36 დესეტინა. 1866 წ. შეწუშავებული ყუმიყეთის ოკრუგის მიწების განაწილების გეგმის თანახმად მიწის ნადელები არ მიეცათ იმ 299 კომლ ჩეჩნებს, აუხოველებს, თავლინებსა და სალათაველებს, რომლებიც ყუმიყეთის ოკრუგში 1859 წ. შემდეგ დასახლდნენ[112]. უნადელოდ დარჩა მთის ებრაელთა 142 კომლი, რომლებიც ყუმიყეთში მცირე მიწას ფლობდნენ[113]. მიწის ნადელები ვერ მიიღო სომეხთა 16 ოჯახმა, რომლებიც ყუმიყეთის ოკრუგში ცხოვრობდნენ, მაგრამ აქაურ მკვიდრებად არ ითვლებოდნენ. ამრიგად, საადგილმამულო რეფორმის შემდეგ 457 კომლი დარჩა უმიწოდ. 20 ათასი დეს. მიწა კი მთავრობის განკარგულებაში დარჩა, სადაც შემდგომში, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, თევზის სარეწები და სახაზინო მამულები იქნა მოწყობილი. ყუმიყეთში რეფორმის გატარების შედეგად, ოკრუგში არსებული მიწის ფონდის ნახევარი მემამულეთა ხელში დარჩა. ნახევარი კი განაწილებული იქნა კომლთა რაოდენობის მიხედვით. საკომლო მიწის ნადელის ნორმა აქსაევის, ანდრეევისა და ნოღაის უბნებში 28 დესეტინა იყო, მომთაბარეების საკომლო მიწის ნადელი კი 36 დესეტინას შეადგენდა.

---

[111] საქ ცსა. ფონდი 220, ნაწ. I, წიგ. II, ფ. 14—16.

[112] მთებიდან ყველა ჩამოსახლებული, რომლებიც 1859 წლამდე დასახლდნენ ყუმიყეთის ოკრუგში, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ადგილობრივი მოსახლეობის თანაბარი უფლებებით სარგებლობდა. მათ მიწის ნადელებიც მიიღეს. 1859 წ. ე. ი. ომის დამთავრების შემდეგ ყუმიყეთის ოკრუგში ჩამოსახლებულებს კი ამგვარი უფლებები არ მიეცათ და, რაღა თქმა უნდა, მიწის ნადელებიც ვერ მიიღეს.

[113] გ ა ს ვ ი ა ნ ი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

საადგილმამულო რეფორმის გატარების შემდეგ, თერგის ოლქში შემავალ ოკრუგებში ყველგან ერთნაირი არ იყო საკომლო მიწის ოდენობა; იგი 16-დან 47,5 დესეტინამდე მერყეობდა, ყაბარდოში კი—16-დან 41 დესეტინამდე. ყაბარდოს ოკრუგის მთის 5 საზოგადოებაში ნორმად 18,1 დეს. იქნა მიღებული. ოსეთის ცალკეულ საზოგადოებებშიც არ იყო მიწის ერთნაირი ნორმა: დიგორელთა საზოგადოებაში 24 დეს.. ალაგირის საზოგადოებაში — 29, ქურთათის საზოგადოებაში 47,5 დესეტინა. ამრიგად, ჩრდილო ოსეთში საკომლო მიწის ნორმის მინიმუმი 24 დეს., ხოლო მაქსიმუმი 47, 5 დესეტინა იყო. ასეთი დიდი განსხვავების მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოებებში რეფორმა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქნა გატარებული. ჩეჩნეთში რეფორმის გატარება გააიოლა 1865 წ. 5000 კომლის თურქეთში გადასახლებამ. ნაზრანის ინგუშებში კომლმა 18 დეს. მიიღო, მთაში კი რეფორმამ თითქმის ცვლილებები ვერ შეიტანა; აქ საკომლო მიწის მაქსიმუმი 30 დეს. აღწევდა. ყუმიყეთში ზოგან 28 დეს., ზოგან კი — მომთაბარეებმა 36 დეს. მიიღეს.

რეფორმა სრულყოფილად ვერ გატარდა და თანაც გაჭიანურდა. მან ოდნავადაც ვერ შეამსუბუქა მოსახლეობის მდგომარეობა. მიწის დიდი ფართობი მიიღეს მეფის მოხელეებმა, მემამულეებმა და კაზაკმა კოლონისტებმა. რეფორმის შემდეგ მშრომელ მოსახლეობას ტყით სარგებლობის უფლებაც შეეზღუდა. ამიერიდან ტყით სარგებლობა ოკრუგის უფროსის ნებართვით შეიძლებოდა მხოლოდ, თანაც ფული უნდა გადაეხადათ.

გლეხები უარეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ისინი ხშირად მიმართავდნენ ხელისუფლებას საჩივრებით. თავიანთ საჩივრებში აღნიშნავდნენ სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების უკმარისობას, ტყით სარგებლობის შეზღუდვა-გართულებას და სხვ. ერთი სიტყვით, მშრომელმა მოსახლეობამ ვერ მიიღო საკმაო ოდენობის მიწის ფართი, რომ თავისი ოჯახის მოთხოვნილება მინიმალურად მაინც დაეკმაყოფილებინა.

მიუხედავად რეფორმის არასრულყოფილი ხასიათისა, მას დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. რეფორმამ ჩრდილო კავკასიაში და კერძოდ, თერგის ოლქში მნიშვნელოვნად შეცვალა ადგილობრივი მიწისმფლობელობის არსებული ფორმები, თემურ-გვაროვნული მიწისმფლობელობა რიგ შემთხვევაში მიწის კერძო მფლობელობით შეიცვალა. ხელი შეუწყო გლეხთა გამიჯვნასა და ბატონყმური ექსპლოატაციის ლიკვიდაციას. მემამულეებს ძირითადად მოესპოთ თემურ

მფლობელობაში არსებული, სათემო მიწების დატაცებისა და მშრომელი მოსახლეობისადმი თვითნებური, განუკითხავი მოპყრობის საშუალება[114]. რეფორმამ დააჩქარა ჩრდილო კავკასიაში გამეფებული კარჩაკეტილ-ნატურალური მეურნეობის რღვევა და მის სასაქონლო-კაპიტალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. თანდათანობით საფუძველი ეცლებოდა გლეხთა მიწაზე იძულებით მიმაგრებასა და მფლობელთა კაბალაში მოქცევას, რის გამოც არსებული ფეოდალური ურთიერთობა თავისუფალი დაქირავებული შრომით იცვლებოდა. საადგილმამულო რეფორმამ დააჩქარა ბატონყმური ურთიერთობის გაუქმება და ქვეყნის ახლებურ ყაიდაზე გარდაქმნა[115].

---

[114] ვ ა ს ვ ი ა ნ ი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 16[illegible].

[115] იქვე.

თავი IV

ბატონყმური ურთიერთობის თანდათანობითი შეზღუდვა. დამოკიდებული ფოდეგის განთავისუფლების ნორმების შემუშავება და გატარება თერგის ოლქში

ბატონყმურმა ურთიერთობამ ისეთ მახინჯ ფორმებს მიაღწია თერგის ოლქში, რომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით ყმა ძნელი გასარჩევი იყო მონისაგან.

ყაბარდოში მფლობელებს დიდხანს შემორჩათ ყმათა სიკვდილით დასჯის უფლება[1], რაც 1822 წ. 26 ივნისს იქნა გაუქმებული კავკასიის არმიის მთავარსარდლის გენერალ ერმოლოვის მითითებით. ამ დღეს გენ. ერმოლოვმა პროკლამაციით მიმართა ყაბარდოელ მფლობელებსა და უზდენებს: ...„მფლობელებსა და უზდენებს ვუტოვებ ძველ უფლებებს ხელქვეითების მიმართ, მაგრამ ამიერიდან ისპობა სიკვდილით დასჯის უფლება. რომელი მფლობელიც ან უზდენი დაარღვევს ამას, მკაცრად იქნება დასჯილი. მოკლულის ოჯახი კი მიიღებს თავისუფლებას“.

ამრიგად, მფლობელებსა და უზდენებს სასტიკად აეკრძალათ ხელქვეითთა სიკვდილით დასჯა. ეს გაბატონებული კლასის განუსაზღვრელი უფლებების ნაწილობრივ შეზღუდვას წარმოადგენდა.

ბატონყმური ურთიერთობის შეზღუდვის მიზნით, 1859 წ. კავკასიის არმიის მთავარსარდლის გენ. ბარიატინსკის მითითებით, რუსეთის წინააღმდეგ განწყობილ მფლობელთა და უზდენთა, აგრეთვე იმ პრივილეგირებულთა ხელქვეითები, რომლებიც ვერ შეეგუენ ახალ რეჟიმს და თურქეთში გადასახლდნენ, თავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან[2]. ეს ღონისძიება ძირს უთხრიდა მფლობელთა ეკონომიკურ საფუძველს და მშრომელ მოსახლეობას რუსეთის ერთგულებისაკენ უბიძგებდა. ბარიატინსკის ამ გადაწყვეტილებით ბევრმა ისარგებლა, მთებიდან ბარში ჩამოსახლდნენ. რუსეთის ადმინისტრაციისაგან მათ მიწის ნადელე-

---

[1] Кудашев В. Исторические сведения о кабардинском народе..., с. 130.
[2] Сборник сведении о кавказских горцах, вып. IX, с. 192.

ბი მიიღეს, რის შედეგადაც ნალჩიკის მახლობლად თავისუფალი აული შეიქმნა, სადაც 200 კომლი თავისუფალი გლეხი ცხოვრობდა[3].

რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა ბატონმყური უფლებების თანდათანობით შეზღუდვას.

1861 წ. 30 მარტს, გენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი კავკასიის არმიის მთავარსარდალს მოახსენებდა თავის მოსაზრებას ბატონყმური ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ. ეს შეზღუდვები პირველ ეტაპზე, მისი აზრით, შემდეგი იყო:

1) ყმათა ან მონათა მფლობელებს ჩამოერთვათ თავიანთ ხელქვეითთა ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვის ან სხვა გზით გასხვისების უფლებები.

2) ყმა ან მონა ქალი, რომელიც თავისუფალ მამაკაცზე გათხოვდება, არ იქნეს განცალკევებული ქმრისაგან ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. მათი შვილების განცალკევება კი მოხდეს მხოლოდ ორივეს— ცოლისა და ქმრის თანხმობით[4].

ეს აზრი მოიწონა კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გენ. ბარიატინსკიმ, რის შემდეგ თერგისა და ყუბანის ოლქთა უფროსებმაც გადაწყვიტეს მისი გატარება თავიანთ ოლქებში. „მაშინ, როცა რუსეთში გაუქმებულია ბატონყმობა, კავკასიაში მისი თანდათანობით შეზღუდვით უნდა დავიწყოთ ყმათა და მონების განთავისუფლება. ახლავე უნდა დადგინდეს წესი, რომ მონათა გაყიდვა დაშვებული იქნეს მხოლოდ გამოსყიდვის უფლებით; მონა-ყმა ივალდებულებს ამ გამოსყიდვისათვის იმუშაოს მისთვის განსაზღვრული წლების მანძილზე, მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა, რის შემდეგ მას თავისუფლება მიენიჭება... ერთი სიტყვით, ეს საქმე ისევე უნდა წარიმართოს, როგორც რუსეთში მოხდა, როცა ყმათა გამოსყიდვა ხდებოდა“[5].

კავკასიის არმიის მთავარსარდლის დავალებით, 1864 წ. მთიელთა სამმართველოს კანცელარიამ ადგილობრივ ხელისუფლებას მოსთხოვა ცნობები, თუ სად რა დამოკიდებული წოდების სახეები იყო და რა რაოდენობისა, რათა დაზუსტებულიყო დამოკიდებული წოდების სახეები და დადგენილიყო მათი საერთო რაოდენობა[6].

1864 წ. განთავისუფლებულ იქნენ თერგის ჯარებში მომსახურე „აზიური წარმოშობის გლეხობა“. განთავისუფლება გავრცელდა რუსეთის არმიაში მომსახურე თავადთა ყმებზეც.

თერგის ოლქში ბატონყმური ურთიერთობის შეზღუდვის შემდეგ

---

[3] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, с. 303.

[4] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 396, ფ. 1.

[5] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 396, ფ. 2.

[6] Фадеев А. В. Россия и Кавказ в первой трети XIX в., с. 83.

დამოკიდებული წოდების განთავისუფლება დაიწყო აქა-იქ. ახლოვდებოდა ბატონყმური ურთიერთობის გაუქმებისათვის სამზადისი.

ჩრდილოეთ კავკასიაში და კერძოდ, თერგის ოლქში საადგილმამულო რეფორმის შედეგად მიწის ნაკვეთების დარიგებისა და სახელმწიფო გადასახადების გაწერისთანავე, მეფის მთავრობამ ბატონყმური ურთიერთობის გაუქმება გადაწყვიტა. საკითხის შესასწავლად 1866 წ. სპეციალური კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტის პირველი სხდომა შედგა 1866 წ. 4 ივნისს, თბილისში, გენერალ კარცევის თავმჯდომარეობით.

ამ სხდომაზე ოლქის დამოკიდებული წოდების შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ პრივილეგირებული წოდებისა და დამოკიდებულთა სახეების შესახებ საბუთების უქონლობის გამო. კომიტეტს საკმაო დრო ჰქონდა თერგის ოლქის ყველა ოკრუგში არსებული დამოკიდებული წოდების სახეებისა და მათი რაოდენობის დადგენისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გარკვევისათვის.

ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ რეფორმის მომზადებისა და გატარების მიმდინარეობას თერგის ოლქის ცალკეული ოკრუგების მიხედვით.

§ 1. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ყაბარდოს ოკრუგში

დამოკიდებული წოდების სახეების, თითოეულის რაოდენობის დადგენის და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ცნობების შეკრება ყველაზე ძნელი აღმოჩნდა ყაბარდოს ოკრუგში. ეს აიხსნებოდა დამოკიდებული წოდების უკიდურესი სიჭრელით და სიმრავლით. საკმარისია ითქვას, რომ თერგის ოლქის ყველა ოკრუგში სულ დამოკიდებული წოდების 25605 სული ითვლებოდა, აქედან მარტო ყაბარდოს ოკრუგში 21348 სული იყო[7]. ამიტომ იყო, რომ ყაბარდოში მოსამზადებელი სამუშაოებისათვის დიდი დრო დაიხარჯა. სამაგიეროდ, ყაბარდოს ოკრუგში დამოკიდებული წოდების სხვადასხვა გზით გასათავისუფლებლად მიღებული დებულებები, განსაკუთრებით გამოსყიდვის სახეებისა და გამოსასყიდი თანხის ოდენობის შესახებ დადგენილებები გავრცელდა თერგის ოლქის სხვა ოკრუგებზეც. ამიტომ ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ყუმიყეთსა და ოსეთში საჭირო ცნობების შეკრებაც და რეფორმის გატარებაც მოკლე დროში მოხდა.

ყაბარდოს ოკრუგში რეფორმის წინა სამუშაოების უკეთ წარმართვისათვის, კავკასიის მთავარსარდლის 1866 წ. ოქტომბერში თერგის ოლქის უფროსისადმი — გენერალ-ადიუტ. ლორის-მელიქოვისადმი გაგ-

---

[7] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწერი ე, საქმე 323, ფ. 10.

ზავნილ მიმართვაში[8] აღნიშნული იყო: 1 ყაბარდოს ოკრუგში გლეხთა ყველა მფლობელს გამოეცხადოს, რომ მთავრობა მოუწოდებს მათ, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, გაანთავისუფლონ თავიანთი ხელქვეითები.

2. თავიანთ ხელქვეითებთან შეთანხმებისა და საბოლოოდ მათი განთავისუფლებისათვის მფლობელებს მიეცეთ ერთნახევარი წლის ვადა. ამ გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან. მთავრობა მისცემს ამ ერთნახევარ წელს მაშინ, თუკი მფლობელები ამ დროს ნამდვილად გამოიყენებენ „განთავისუფლების" საკითხებისათვის. თუ მთავრობა დაინახავს, რომ საქმე წინ არ მიდის, მაშინ თავისი შეხედულებით გადაწყვეტს ამ საკითხს.

3. ურთიერთ შეთანხმებისა და სხვა საკითხებისათვის ყაბარდოს ოკრუგში დაინიშნოს 2 ან 3 პიროვნება, რომლებმაც იციან ხალხის ყოფა და შეუძლიათ მოსახლეობის ნდობა დაიმსახურონ. ყაბარდოს ოკრუგი დაიყოს ცალკე რაიონებად, და თითოეული პიროვნება დაინიშნოს ცალკე უბანში. მფლობელებისა და ხელქვეითთათვის ახსნა-განმარტების მისაცემად ხაენებულ თითოეულ პირთან დაინიშნოს ოკრუგის სასამართლოს დეპუტატთაგან თითო წარმომადგენელი, მათ მაგიერ კი, ამ რაიონის მფლობელთა და გლეხთაგან შეირჩეს სამაგიერო კანდიდატები დროებით.

4. ამ დეპუტატთა საქმიანობა მფლობელებსა და ხელქვეითებს შორის ურთიერთ შეთანხმების შესახებ ოკრუგის სასამართლოზე იქნება განხილული პერიოდულად, რომლის თავმჯდომარე იქნება ოკრუგის უფროსი. გარჩეული და მიღებული საკითხების შესახებ ცნობები რეგულარულად მიეწოდოს კომიტეტის თავმჯდომარეს — გენ.-ადიუტ. კარცევს. შემუშავებული პროექტი განხილული იქნება უმაღლესად და დამტკიცდება, რის შემდეგ დაიწყება განთავისუფლება.

5) დადგინდება ნორმები, თუ რა ვალდებულება დაეკისრებათ მათ, როცა ურთიერთ შეთანხმებიდან გადავლენ აუცილებელ განთავისუფლებაზე.

6. უუფლებო მონა-ყმები—უნაუთები, კაზახები და ყარავაშები, მფლობელთა დამოკიდებულებაში დარჩნენ არა უმეტეს 6 წლისა, დღიდან ამ მიმართვის გამოქვეყნებისა. 6 წლის შემდეგ ისინი თავისუფლებად ჩაითვლებიან.

7. ყაბარდოს მთის საზოგადოებებში გლეხთა განთავისუფლებისას მხედველობის გარეშე არ უნდა დარჩეს მათი მიწის ნადელებით უზრუნველყოფა.

8. შესაძლებლად მიმაჩნია გამოიყოს თანხა განთავისუფლებულ

---

[8] იქვე, 23. 12.

მონა-ყმებისათვის, რათა მათ საშუალება მიეცეთ მეურნეობის საწარმოებლად, აგრეთვე ობლების, მოხუცებისა და საერთოდ, უსახლკაროთა დასახმარებლად. მანამ დადგინდება, თუ რამდენია დასახმარებელი და რა თანხა იქნება საჭირო, ნებას გაძლევთ ოკრუგის საგადასახადო თანხიდან დახარჯოთ საჭიროების შემთხვევაში.

9. ხელქვეითის გაყიდვა ერთი მფლობელის მიერ მეორეზე, ან გადაცემა არ იქნეს დაშვებული ხელქვეითის სურვილის გარეშე[9].

კავკასიის არმიის მთავარსარდლის ეს მიმართვა თერგის ოლქის უფროსმა ლორის-მელიქოვმა თავისი საქმიანობის სახელმძღვანელოდ მიიღო და სასწრაფოდ შეუდგა მის შესრულებას. დაინახა რა რთულ ვითარებას ჰქონდა ადგილი ყაბარდოს სინამდვილეში და 1867 წ. 12 ივნისს მთავარსარდალს მიწერა: 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტის შემდეგ კავკასიის ხელმძღვანელობის ძირითადი საზრუნავი დამოკიდებული წოდების განთავისუფლებაა.

კავკასიის მთებში არსებული დამოკიდებული წოდების სახეებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაურკვევლობა და ბოლოს მაღალი ფასი მონა-ყმებზე აძნელებს მათი გათავისუფლებისას რუსეთში არსებული მეთოდების გამოყენებას. არც ის არის შესაძლებელი, რომ ა/კავკასიის მაგალითზე აქაც 25 მანეთი მიეცეთ მფლობელებს მაბრობითი სქესის მონის განთავისუფლებისათვის[10].

მფლობელთათვის ნამდვილი დახმარება იქნება, თუკი მონა-ყმათა ფასის ნახევარს მაინც მიიღებენ. მაშინ მთავრობას დასჭირდებოდა მარტო თერგის ოლქში 2 მილიონ მანეთზე მეტი[11].

თერგის ოლქში 26000-მდე დამოკიდებული წოდების წარმომადგენელია, აქედან უმეტესი ნაწილი ყაბარდოშია, რომელთა განთავისუფლება რთული საქმეა. აქ ისე უნდა მივუდგეთ საქმეს, რომ არც მფლობელები და არც ხელქვეითები არ დაზარალდნენ[12].

ყაბარდოში დამოკიდებული წოდების განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტის დასაჩქარებლად შექმნილი იქნა მომრიგებელი სასამართლოები, სადაც შეევიდნენ მფლობელთა და ხელქვეითთა წარმომადგენლები. მომრიგებელი სასამართლოების წარმომადგენლები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ მფლობელებსა და ხელქვეითებს შორის ურთიერთ შეთანხმებაში. მომრიგებელმა სასამართლოებამ დიდი როლი შეასრულეს თერგის ოლქში მომავალი რეფორმის საფუძვლების შემუ-

---

[9] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 323, ფფ. 12—14.
[10] იქვე, ფ. 15.
[11] იქვე.
[12] იქვე.

შავებაში[13]. მათი დახმარებით დაჩქარდა მფლობელებსა და მათ ხელქვეითებს შორის ურთიერთ შეთანხმება უკანასკნელთა გასათავისუფლებლად.

კავკასიის არმიის მთავარსარდლის აქტიური ჩარევით ყაბარდოს მფლობელებმა თანხმობა განაცხადეს ხელქვეითთა გამოსყიდვით განთავისუფლებაზე.

დამოკიდებული წოდების წარმომადგენელს თუ არ ექნებოდა საშუალება, იგი მფლობელთან დარჩებოდა, როგორც დროებით ვალდებული, რამდენიმე წლით. ყველაზე დიდ გამოსასყიდ ვადას ითხოვდნენ უნაუთთათვის 6-8 წლამდე. კომიტეტის წევრებმა სასტიკად გაილაშქრეს მფლობელთა ამგვარი მოთხოვნის წინააღმდეგ. პოლკოვნიკმა ჩერქეზოვმა აღნიშნა, რომ მფლობელთა მიერ წამოყენებული პროექტი გლეხთა ინტერესების გაუთვალისწინებლად იყო შედგენილი და მანვე წამოაყენა წინადადება, რათა დამოკიდებული წოდების ყველა სახეობისათვის გამოსასყიდი ვადა ყოფილიყო არა უმეტეს 4 წლისა. ამასთანავე უნდა შემცირებულიყო გამოსასყიდი თანხა — 120 მანეთამდე სულზე (მოზრდილთათვის) და წლიური ჯამაგირი 30 მანეთით განისაზღვრებოდა, ანდა გამოსასყიდი თანხა ყოფილიყო 200 მანეთი, მაშინ წლიური სამსახურის ფასი 50 მანეთი იქნებოდა[14]. პოლკოვნიკ ჩერქეზოვის ამ მოსაზრების წინააღმდეგ გაილაშქრა კომიტეტის წევრმა პოლკოვნიკმა ნურიდმა, რომელმაც მფლობელთა ინტერესების დასაცავად განაცხადა: „მათ გააკეთეს ყველაფერი, რაც მოვითხოვეთ და მათი მხრივ შემდგომი დათმობების მოთხოვნა ხელმძღვანელობის მიერ ყმათა სასარგებლოდ დათმობის დაჟინებულ მოთხოვნას დაემსგავსება“[15].

მიუხედავად კომიტეტის წევრთა ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებისა, ისინი, როგორც კოლონიური რეჟიმის წარმომადგენლები, საბოლოოდ მაინც მფლობელთა ინტერესების დამცველები იყვნენ. მათი გამოსვლები, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, წარმოადგენდა „ბრძოლას გაბატონებული კლასის შიგნით, მეტწილად მემამულეების შიგნით, ბრძოლას მხოლოდ და მხოლოდ დათმობათა ოდენობის ფორმის გულისათვის“[16].

საბოლოოდ დადგენილ იქნა დამოკიდებული წოდების განთავისუფლების პროექტი, რომელიც 15 მუხლისაგან შედგებოდა. მოზრდილთა და შრომისუნარიან მონა-ყმათა (15-45 წლამდე) გამოსასყიდი თანხა დადგინდა 200 მანეთი. გამოსასყიდიდან ნაწილობრივ თავისუფლდე-

---

[13] საქ ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 323, გვ. 6.

[14] История Кабардино-Балкарской АССР, т. I, с. 311.

[15] იქვე, გვ. 310.

[16] ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი. თხზ. სრული კრებული, ტ. 17, გვ. 122.

ბოდნენ შრომისუნარმოკლებულები: ავადმყოფები, ხეიბრები, დასახიჩ-რებულები და სხვ., მათი ფასი შრომისუნარიანობის მიხედვით დგინ-დებოდა მომრიგებელი სასამართლოს მიერ.

მოზარდების (15 წლის ასაკამდე) გამოსასყიდი თანხა ითვლებოდა წლოვანების მიხედვით, რამდენი წლისაც იყო, იმდენ 10 მანეთს შეად-გენდა. იმას, ვისაც არ გააჩნდა გამოსასყიდი თანხა, რჩებოდა მფლო-ბელთან ექვსი წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში დროებითვალდე-ბულს უნდა შეესრულებინა ყოველგვარი სამუშაოები როგორც სახლ-ში, ასევე მინდვრად და ტყეში. სრულწლოვან, შრომისუნარიან დროე-ბით ვალდებული მამაკაცის წლიური სამსახურის ფასი 35-დან 70 მანეთამდე მერყეობდა, ქალის წლიური სამსახურის ფასი 25-დან 40 მანეთამდე.

დადგენილების თანახმად მფლობელები ვალდებულები იყვნენ უზ-რუნველეყოთ დროებითვალდებული საჭმელ-სასმელითა და ტანსაცმე-ლით, ოჯახის მცირეწლოვანებთან ერთად.

კომიტეტის მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მიღე-ბული დამოკიდებული წოდების განთავისუფლების ეს ნორმები მეტ-ნაკლებად თერგის ოლქის ყველა ოკრუგში იქნა ძირითად სახელმძღვა-ნელოდ მიღებული და მის საფუძველზე მოხდა ბატონყმობის გაუქმება ოლქის ყველა ოკრუგში.

ბატონყმობის გაუქმების წინ თერგის ოლქის ხუთ ოკრუგში[17] — ყა-ბარდოს, ყუმიყეთის, ოსეთის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ოკრუგებში 25605 სული, სხვადასხვა სახის დამოკიდებული წოდების წარმო-მადგენელი იყო. ოლქის დანარჩენ სამ—მთის, იჩქერიისა და არღუნის ოკრუგებში დამოკიდებული წოდების არც ერთი წარმომადგენელი არ იქნა ფიქსირებული[18]. ყაბარდოს ოკრუგში დამოკიდებული წოდე-ბის სხვადასხვა სახის 21348 სული—ორივე სქესის წარმომადგენელი ითვლებოდა. მათ შორის ადათიანები და უადათონი. მოყვანილი ციფ-რებიდან ნათლად ჩანს, რომ ყაბარდოს ოკრუგში დამოკიდებული წო-დების მრავალსახეობა არსებობდა. მათი საერთო რაოდენობა 3,2-ჯერ მეტი იყო, ვინემ თერგის ოლქის სხვა დანარჩენ ოკრუგებში ერ-თად. ამიტომ იყო, რომ ყაბარდოს ოკრუგში ყველაზე მეტი და დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული ბატონყმური ურთიერთობის გაუქმე-ბისათვის პროექტის შესამუშავებლად.

თერგის ოლქში პირველად ყაბარდოს ოკრუგში დაიწყო რეფორ-მისწინა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რის შედეგადაც შე-მუშავებული იქნა დამოკიდებული წოდების განთავისუფლების პროექ-

---

[17] ССКГ, вып. I, с. 40.

[18] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 1051, ფ. 28.

ტი. ეს პროექტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შემდგომში მეტ-ნაკლებად გამოყენებულ იქნა ოლქის სხვა ოკრუგებში, რამაც საგრძნობლად შეამცირა რეფორმის გატარების ვადები.

როგორც აღინიშნა, საგლეხო რეფორმის გატარების წინ ყაბარდოს ოკრუგში სხვადასხვა სახის დამოკიდებული წოდების 21348[19] სული ითვლებოდა[20].

	ადათიანნი		უადათონი	
	სულთა რაოდენობა		სულთა რაოდენობა	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
აქედან ყაბარდოს სამ უბანში—ბაქსანის, ჩერეკისა და მცირე ყაბარდოში	5881	4813	415	1183
ერთად .	1775	1561	429	442
მთის უბანში				

გარდა ამისა, მთის უბანში ყარაყიშების სახელწოდებით იყო 4722 სული და იასახჩების სახელწოდებით 3166 სული[21].

აღნიშნული რაოდენობის დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთაგან განთავისუფლებულ იქნენ:

პირველ სამ უბანში	ადათიანნი		უადათონი	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
უფასოდ—გამოსყიდვის გარეშე . .	494	592	3	3
ექვსი წლის ვადის გაგრძელებით გამოსყიდვით, თავდებით და უთავდებოდ .	4920	3963	45	47
ექვსი წლის ვადით სამეშაოზე დატოვებით	467	257	367	1127
მთის უბანში გამოსყიდვის გარეშე .	49	36	23	32
გამოსყიდვით, განთავისუფლებისას თანხის შეტანით	1399	1381	25	15
გამოსყიდვით, 6 წლის ვადაში გამოსასყიდის გადახდით .	57	12	—	—
სხვადასხვა დროით სავალდებულო სამსახურში დარჩენით 6 წლამდე .	320	132	381	395

სულ განთავისუფლებული იქნა 18468 სული კაცი და ქალი. დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა ნაწილი განთავისუფლებულ იქნა 1866 წ. 18 ნოემბერს. 2880 სული დარჩა დროებით ვალდებულებაში[22].

[19] ზოგი საარქივო საბუთის მიხედვით ეს რიცხვი 21221-ს უდრის.

[20] ისინი თავიანთი მოვალეობის მიხედვით შემდეგი სახელწოდებისა იყვნენ: ოგები, ლოგანაპუტები, უნაუთები (დიდსა და მცირე ყაბარდოში): მთის საზოგადოებებში: ყარაყიშები, იასახჩები, ჩაგარები.

[21] ССКГ, вып. I, с. 40—41.

[22] იქვე, გვ. 41.

აღსანიშნავია, რომ დამოკიდებული წოდების განთავისუფლება ყაბარდოს ოკრუგში სწრაფად მოხდა, რეფორმის გატარება დაიწყო 1866 წ. 18 ნოემბერს და ძირითადად 1867 წ. მარტის შუა რიცხვებში დამთავრდა, ე. ი. სულ რაღაც ოთხი თვის განმავლობაში.

ყმების განთავისუფლებისას მათი მოძრავი ქონება სამ ნაწილად იყოფოდა (მიწა, სახლი და სხვა ნაგებობა ორ ნაწილად), რომლის ორი ნაწილი მფლობელს რჩებოდა, მესამე ნაწილს კი განთავისუფლებული იღებდა. ასეთ შემთხვევაში ყმა თავისუფლდებოდა ფულადი გამოსასყიდის გარეშე. მიწის ნაწილიც გადადიოდა მფლობელის ხელში, ოჯახის გამოსასყიდი თანხის შეფარდებით. დანარჩენი ქონება კი შემდეგ იყოფოდა ორ ნაწილად: ერთი განთავისუფლებულ ყმას რჩებოდა, მეორე კი მფლობელს მიჰქონდა.

ყაბარდოს მთის საზოგადოების 776 უღარიბესმა, ორივე სქესის წარმომადგენელმა, რომელთაც არ შეეძლოთ გამოსასყიდის გაღახდა მთავრობისაგან მიიღეს დახმარება მფლობელებისათვის გადასახდელად. მთავრობამ დაასაჩუქრა აგრეთვე მფლობელები 204 სული მცირეწლოვან უნაუთების განთავისუფლებისათვის.

მთავრობის მიერ გამოყოფილი იქნა ფული უღარიბეს დროებითვალდებულზე გასაცემად.

ზემოხსენებული დამოკიდებული წოდების წარმომადგენლების ქონებას შეადგენდა: დიდსა და მცირე ყაბარდოს სამ უბანში 440 ცხენი, 10648 სული რქოსანი პირუტყვი, 5215 ცხვარი, 585 სკა ფუტკარი. ამ ქონებიდან განთავისუფლებისას მფლობელებმა წაიღეს: 105 ცხენი, 3682 რქოსანი საქონელი, 2001 ცხვარი, 139 სკა ფუტკარი.

განთავისუფლებულ ყმებს დარჩათ: 335 ცხენი, 6966 რქოსანი საქონელი, 3214 ცხვარი, 446 სკა ფუტკარი. თუ ჩამოთვლილ ქონებას გავყოფთ 12292 სულ ყოფილ ყმაზე, დავინახავთ, რომ 1 ცხენი მოდიოდა 31 სულზე, ერთ რქოსან საქონელზე ცოტა მეტი 2 სულზე, 1 ცხვარი 4 კაცზე. 1 სკა ფუტკარი 27 სულზე[23].

მთის უბანში ყმებს ჰყავდათ: 765 ცხენი, 6053 სული რქოსანი საქონელი, 40258 ცხვარი და 409 სახედარი. მათვე ჰქონდათ 1695 ქცევა (ზაგონ) სახნავი და 1048 ქცევა სათიბი მიწა[23]. მთის საზოგადოების დამოკიდებული წოდების განთავისუფლებისას მფლობელებმა მიიღეს: 443 ცხენი, 3979 სული რქოსანი საქონელი, 26414 ცხვარი, 155 სახედარი, 875 ქცევა სახნავი და 569 ქცევა სათიბი მიწა. განთავისუფლებულებს დარჩათ: 343 ცხენი, 2074 სული რქოსანი საქონელი, 13814 ცხვარი, 254 სახედარი, 820 ქცევა სახნავი და 479 ქცევა სათიბი მიწა. დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები, მართალია, დაზარალდნენ

---

[23] Сборник сведений о кавказских горцах, вып. III, с. 4.

განთავისუფლებისას, ქონების დიდი ნაწილი დაკარგეს, მაგრამ ამიერიდან მოისპო ბატონყმობის ის მახინჯი სახეები, რომელიც ყაბარდოში არსებობდა. მეფის მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლები ცდილობდნენ საგლეხო რეფორმის სწრაფად ჩატარებას, რომ გაჭიანურებით საქმე არ გართულებულიყო.

ხელისუფლების წარმომადგენელთა მონდომებამ მათთვის დადებითი შედეგი გამოიღო. თერგის ოლქის თითქმის ყველა ოკრუგის პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები თავიდან სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ თავისი ხელქვეითების განთავისუფლებისა, მაგრამ მეფის მთავრობის დაჟინებულმა მოთხოვნამ აიძულა მფლობელები, თვითონვე დაეჩქარებინათ გლეხთა განთავისუფლება. ბევრმა მფლობელმა, როგორც მთელ თერგის ოლქში, ისე ყაბარდოშიც, ხელქვეითთა ნაწილი უსასყიდლოდ გაანთავისუფლა. ბაქსანის უბანში 102-მა მფლობელმა გაათავისუფლა მონა-ყმა ქალი 71, უნაუთი ქალი 3, შინამოსამსახურე 11, მონა-ყმა კაცი 58, სულ 143 სული[24]. ჩერეკის უბანში 206-მა მფლობელმა უსასყიდლოდ გაათავისუფლა 218 ქალი და 195 მამაკაცი, ე. ი. სულ გათავისუფლებულ იქნა 413 სული. ჩერეკის უბანში ყველაზე მეტი დამოკიდებული წოდების წარმომადგენელი ჰყავდათ: ქუჩუკ ლაფიშევს 13 სული (8 სული მონა-ყმა კაცი და 5 მონა-ყმა ქალი), აკტოლა შიფშევს 12 სული (8 სული მონა-ყმა კაცი და 4 სული მონა-ყმა ქალი).

მცირე ყაბარდოს უბანში 201 მფლობელმა გამოსყიდვის გარეშე გაანთავისუფლა 399 სული ხელქვეითი და 12 უნაუთი კაცი და ქალი, სულ 411 სული, აქედან 203 მონა-ყმა კაცი და 208 მონა-ყმა ქალი.

მცირე ყაბარდოს უბანში ყველაზე მეტი ხელქვეითი გამოსასყიდის გარეშე გაანთავისუფლა ატაჟუკო ატაჟუკინმა — 59 სული (30 ქალი და 29 მამაკაცი[24]). მთის ერთ-ერთ უბანში 14-მა მფლობელმა გაათავისუფლა 52 მამაკაცი (აქედან 13 უნაუთი), 48 ქალი (აქედან 16 უნაუთი), სულ ამ უბანში გამოსყიდვის გარეშე გათავისუფლებულ იქნა 1000 სული[25].

კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა 1867 წ. 30 ნოემბერს მადლობა გამოუცხადა ყაბარდოელ მფლობელებს, რომლებმაც თავიანთი მონა-ყმების ნაწილი გამოსასყიდის გარეშე გაანთავისუფლეს[26].

ყაბარდოში ესოდენ სწრაფად და ორგანიზებულად გლეხთა განთავისუფლებისათვის კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა გენ. კარცევს დაავალა მისი სახელით მადლობა გამოეცხადებინა ყაბარდოს ოკრუგის

---

[24] ЦГВИА, фонд 1300, дело 25, л. 133.

[25] იქვე, ფ. 147—148.

[26] იქვე. ფ. 149—151.

უფროსისათვის — პოლკოვნიკ ნურიდისათვის და სხვა მოხელეებისათვის[27].

უფრო ადრე, 1867 წ. 23 აპრილს, № 49 ბრძანებით კავკასიის ჯარების მთავარსარდალი აცხადებდა: „ხელმწიფე იმპერატორის ნებართვით, 1866 წ. ნოემბერში თერგის ოლქის უფროსს ჩემ მიერ წინადადება მიეცა... დაეწყო ბატონყმობის მოსპობა ყაბარდოში. ამჟამად მე მივიღე შეტყობინება ყაბარდოში 21000 სული ყმა-გლეხის განთავისუფლების შესახებ. თერგის ოლქში რეფორმის ასე სწრაფად და სრულყოფილად გატარებისათვის, აგრეთვე მოსახლეობაში წამოჭრილი ყოველგვარი გაუგებრობის დროულად გადაჭრისათვის, რამაც უზრუნველყო ესოდენ სწრაფად რეფორმის გატარება, ჩემთვის სასიამოვნოა გამოვუცხადო გენერალ-ადიუტანტ ლორის-მელიქოვს გულითადი მადლობა“[28].

§ 2. საბლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ჩეჩნეთის ოკრუგში

ჩეჩნეთის ოკრუგში დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა სულ 259 სულს შეადგენდა[29]. ამიტომ იყო, რომ რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოები იოლ ფორმებში ჩატარდა, თანაც ზოგი რამ ყაბარდოს ოკრუგში შემუშავებული პროექტიდან იქნა გამოყენებული[30].

დამოკიდებული წოდების განთავისუფლების პროექტი ჩეჩნეთის ოკრუგის კომისიის მიერ იქნა შემუშავებული, რომლის თავმჯდომარეც ოკრუგის უფროსი იყო.

როგორც თერგის ოლქის უფროსის ლორის-მელიქოვის მიერ კავკასიის მთიელთა სამმართველოში გაგზავნილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, ჩეჩნეთის ოკრუგში დამოკიდებული წოდების გათავისუფლების პროექტი შემდეგნაირი იყო:

1) სრულწლოვანი და ჯანმრთელი მონა-ყმები, როგორც ცოლშვილიანები, ისე მარტოხელები, გამოსყიდვისას თავის მფლობელებს გადაუხდიდნენ შემდეგი ოდენობით: 16-დან 50 წლამდე—200 მანეთი, 50-დან 55 წლამდე—50 მანეთი, 55 წელს გადაცილებულები გათავისუფლდებოდნენ უფასოდ. თუ მონა-ყმას არ ჰქონდა გამოსყიდვის საშუალება, იგი რჩებოდა მფლობელთან დროებით ვალდებულად 6 წლის განმავლობაში.

2) მდედრობითი სქესის სრულწლოვანი და ჯანმრთელი მონა-ყმა,

[27] იქვე, გვ. 126.
[28] ЦГВИАМ, ф. 1300, д. 25, л. 133—134.
[29] ССКГ, вып. I, с. 40.
[30] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 325, ფ. 4.

16-დან 40 წლამდე, განთავისუფლებისათვის უხდიდა მფლობელს გამოსასყიდის სახით 150 მანეთს.

40-დან 45 წლამდე — 30 მანეთს, 45 წლის ასაკს ზევით თავისუფლდებოდნენ უფასოდ — გამოსასყიდის გარეშე. თუ მონა-ყმას არ ჰქონდა გამოსასყიდი საშუალება, იგი დროებით ვალდებულად რჩებოდა მფლობელთან 6 წლის ვადით, ე. ი. ისევე როგორც მამაკაცები. ამასთანავე, აღნიშნული იყო, რომ თუ მონა ქალი დროებითვალდებულებაში ყოფნისას გათხოვდებოდა, მას ეთვლებოდა ნამსახური წლების გასამრჯელო, რაც უნდა შესრულებულიყო ურვათის ნაწილით, გამოსასყიდის სრულ საფასურამდე, დანარჩენი თანხა რჩებოდა განთავისუფლებულ მონა-ყმას.

3) მონა-ყმის ოჯახის გამოსასყიდის განვადებით გადახდის დროს ოჯახის გარდაცვლილი წევრის გამოსასყიდის გადახდისაგან თავისუფლდებოდნენ დანარჩენი წევრები.

4) ვინაიდან გამოსასყიდის ვადის შემცირებით ორივე მხარე იყო დაინტერესებული, ამიტომ მონა-ყმათა განთავისუფლების კომისიას ევალებოდა გამოძებნა ისეთი პიროვნებისა, რომელიც ნებისმიერი ფასით ამსახურებდა თავისთან გასანთავისუფლებელს. ამ მიზნით დაშვებული იქნა მონა-ყმის გადასვლა მფლობელიდან სხვა პიროვნებასთან იმ ანგარიშით, რომ უკანასკნელს უნდა გადაეხადა მფლობელისათვის მონა-ყმის გამოსასყიდი თანხა ერთად ან ნაწილ-ნაწილ განსაზღვრული დროის განმავლობაში.

5) ორივე სქესის 10 წელს მიღწეული ბავშვები თავისუფლდებოდნენ იმ ანგარიშით, რომ როდესაც ისინი სრულწლოვანნი გახდებოდნენ, მფლობელს გადაუხდიდნენ იმ თანხას, რომელიც მათ უნდა მიეცათ განთავისუფლების დროს.

6) 10-დან 16 წლამდე ორივე სქესის ბავშვები მფლობელს გადაუხდიდნენ ყოველი წლისათვის 7 მანეთს, ანდა დარჩებოდნენ მფლობელთან დროებითვალდებულად 6 წლის განმავლობაში.

1 წლამდე ასაკის ბავშვები თავისუფლდებოდნენ უფასოდ.

7) მონა-ყმის გამოსასყიდი ფასის დადგენისას, კომისია მხედველობაში იღებდა მის ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობას; თუ გასანთავისუფლებელი დაინვალიდდებოდა ან სხვაგვარ ფიზიკურ ტრამვას მიიღებდა, იგი თავისუფლდებოდა გამოსასყიდის გარეშე[31].

შესათანხმებელ პირობებზე მფლობელსა და ხელქვეითზე ზეგავლენის მიზნით და აგრეთვე საჭირო განმარტებისათვის თერგის ოლქის უფროსმა ლორის-მელიქოვმა სპეციალური კომისია შექმნა ჩეჩნეთის ოკრუგის უფროსის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიოდა

---

[31] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 325, ფ. 5.

6 დეპუტატი მფლობელთაგან, 2 დეპუტატი მონა-ყმებისაგან. პოლკოვნიკი მურავიოვის დასახმარებლად დანიშნულ იქნენ ჩეჩნეთის ოკრუგის სასამართლოს თარჯიმანი კალმიკოვი, სასამართლოს საქმის მწარმოებელი შტაბსკაპიტანი მირსკი. ლორის-მელიქოვის ბეთაურობით, თერგის ოლქის მონა-ყმათა საქმეების საწარმოებლად ასიგნებული თანხიდან გამოეყოთ: კალმიკოვს—100 მან., შტაბსკაპიტან მირსკის — 75 მან., მონა-ყმათაგან თითოეულ დეპუტატს — 50 მან.[32].

ჩეჩნეთის ოკრუგის ზემოხსენებულმა კომისიამ, რომელსაც ოკრუგის უფროსი თავმჯდომარეობდა, განთავისუფლების პროექტის შედგენისათვის საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩაატარა. ამ სამუშაოების ჩატარება იმანაც გააადვილა, რომ ამ მხარეში, როგორც უკვე აღინიშნა, ძალიან მცირე რაოდენობით იყვნენ მონა-ყმები. ამასთანავე, აქ მონა-ყმათა მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში ისეთივე იყო, როგორც ოსეთში და ყუმიყეთში, რის გამოც ამ უკანასკნელი ოკრუგებიდან გადმოტანილი იქნა ზოგიერთი დებულებანი[33], რამაც დააჩქარა როგორც მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, ისე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვით რეფორმის გატარება.

ჩეჩნეთის ოკრუგში, მეფის მთავრობის წარმომადგენელთა დაჟინებითი მოთხოვნით, მფლობელებმა თანხმობა განაცხადეს ხელქვეითთა განთავისუფლებაზე. დიდი ნაწილი გამოსყიდვის გარეშე გაანთავისუფლეს, რისთვისაც ხელმძღვანელობის მადლობა დაიმსახურეს.

თერგის ოლქის კანცელარიის მმართველი კაპიტანი სმიკალოვი 1867 წ. 10 აგვისტოს № 106 ბრძანებაში აღნიშნავდა: „კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ინება მისი სახელით მადლობა გამოუცხადო ჩეჩნეთის ოკრუგის მცხოვრებლებს: ედიკ მულს, პოლკოვნიკ კასიმ ქორუმოვს, ბრაგუნოვის თავადს—ვაგან ტაიმაზოვს, ბრაგუნოველებს: მურზა ბეკ ბეკმურზაევს, ისაკ ქურიევს, მაიორ შედულ მურზიევს, პორუჩიკ სულეიმან ჩულიკოვს, როტმისტრ ულუბია ჩულიკოვს, ალიმატა მუსტოპაევს, მაიორ ბატუ შამურზაევს და სხვებს (20-მდე გვარია ჩამოთვლილი კიდევ), რომლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს მთავრობის მისწრაფებას, რათა მოსპობილიყო დამოკიდებული წოდების არსებობა ჩეჩნეთის ოკრუგში“[34].

საჩქაროდ გაანთავისუფლეს თავიანთი მონა-ყმები გამოსყიდვის გარეშე ქვემოთ დასახელებული სიის მიხედვით.

---

[32] საქ ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 325, ფ. 6.
[33] იქვე.
[34] ЦГВИА, фонд № 1300, опись 25, дело 33, лл. 90—91.

ᲪᲮᲠᲘᲚᲘ 3 მონა-ყმათა სია, რომლებიც მფლობელებმა გაანთავისუფლეს გამოსყიდვის გარეშე

№№	განთავისუფლებულთა სახელები	ვინ გაანთავისუფლა
1.	მონა-ყმა შაგა ბედიევა	
2.	მისი შვილები აპმადი	ედიკო მულლო
3.	მაპმუდი	
4.	ისლამბახი	
5.	მისი ქალიშვილი მიდელი	
6.	მონა-ყმა ქალი ტოკ�ილოკა	პოლკოვნიკი კოსიმოვი
7.	მისი ვაჟი ბატირ მირზა აბდურახმანი	კორუმოვი
8.	მონა-ყმა ქალი დომბიკე დოუჯოკა	
9.	მისი და ჯავკა	
10.	მონა-ყმა იალმაზი	ბრაგუნოველი თავადი
11.	მისი მეუღლე დუდე	ვავან ტაიმაზოვი
12.	მონა-ყმა აღა მირზა დევლეთ გელდიევი	კაპიტანი თავადი ასლან
13.	მონა-ყმა ჯაონბიკე	ტაიმაზოვი
14.	მონა-ყმა დეგენატე	ბეგ ტაიმაზოვი
15.	მონა-ყმა ძაგეოლი	ბრაგუნოველი მურზაბეკ
	მონა-ყმა ქალი არიუგიზ საუკოევი	ბეკმურზაევი
	მისი ქალიშვილი კიზაი	ბრაგუნოველი ისაკ
	მონა-ყმა კოდა სამადოვი	მურიევი
	მისი მეუღლე დაცი	
	ქალიშვილები: ზალიხაკი	ზაევიგი[35]
	ბაცაი	
	მისი ვაჟები: გადა	
	გავდა	

მხოლოდ ამ ერთი სიის მიხედვით, ჩეჩნეთში რამდენიმე მფლობელმა უსასყიდლოდ გაანთავისუფლა 22 სული ორივე სქესის მონა-ყმა. მონა-ყმათა ნაწილი გამოსყიდვით იქნა განთავისუფლებული, ხოლო ნაწილი დარჩა დროებით ვალდებულის მდგომარეობაში.

ერთი სიტყვით, ჩეჩნეთის ოკრუგში სწრაფად გატარდა მონა-ყმათა განთავისუფლება, რასაც ხელი შეუწყო მეფის მთავრობის წარმომადგენელთა მოთხოვნამ და მფლობელებისადმი ფულადმა დახმარებამ.

§ 3. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ინგუშეთის ოკრუგში

თერგის ოლქის ოკრუგებიდან, სადაც კი დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები იყვნენ, ინგუშეთის ოკრუგში მათი რაოდენობა ყვე-

[35] ЦГВИА, фонд, 1300, опись 25, дело 33, лл. 90—91.

ლაზე მცირე იყო — სულ 35 მონა-ყმა ითვლებოდა[36]. აქედან გამომდინარე, აქ განთავისუფლებისათვის დებულების შემუშავება და თვით განთავისუფლების პროცესიც, ნაკლებ სიძნელეებთან და, რაღა თქმა უნდა, ნაკლებ სირთულესთან იყო დაკავშირებული.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ინგუშეთში გადმოტანილი იქნა ოსეთის მონა-ყმებისა და ქავდასარდების განთავისუფლების დებულება. ამიტომაც იყო, რომ ინგუშეთის ოკრუგში პრაქტიკულად ბატონ-ყმური ურთიერთობის გაუქმება 6 დღეში დამთავრდა.

1867 წ. 9 აგვისტოს, მთავარსარდლის მითითებით და მისივე სახელით, გენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვმა მადლობა გამოუცხადა ინგუშეთის ოკრუგის მცხოვრებლებს, რომლებმაც გამოსყიდვის გარეშე გაანთავისუფლეს მონა-ყმები. მადლობგამოცხადებულთა სიაში იყვნენ: ელბერტ მალსაგოვი, მაიორი ბაზორკინი, შტაბსროტმისტრ ბონუხ ბაზორკინი და ოვაჟუკო ცუროვი. მადლობის ბრძანებას თან ერთვის სია განთავისუფლებული მონა-ყმებისა[37],

მფლობელთა მიერ (უსასყიდლოდ) განთავისუფლებულ დამოკიდებული წოდების წარმომადგენლების სია

	განთავისუფლებულთა სახელები	ვის მიერ განთავისუფლდნენ
1.	ომარ ელბერტოვი	კორნეტი ელბერტ მალსაგოვი
2.	ჯანაგიზ გალიგოვი	
3.	ანდრუშკა ირანიხი	
4.	ნაიმიზი გოგოევა	
5.	სურხაი ჯიგოევა	მაიორი ბაზორკინი
6.	იბრაგიმ ძიევი	
7.	ჰამზატ ეზიევი	
8.	ხასბი ასლამბეკოვი	შტაბსროტმისტრი ბინუხო
9.	მაჰომედ ბულატოლიევი	ბაზორკინი
10.	ალაჟუკო	
11.	ცინტი ცუროვი	ოვაჟუკო ცუროვი[38]
12.	ნაფზე ქავდასარდი	

იმის გამო, რომ თერგის ოლქის რეგიონებიდან ინგუშეთის ოკრუგში ყველაზე სუსტად იყო წარმოდგენილი წოდებრივი ურთიერთობანი, შესაბამისი მასალა არაა და მის შესახებ ჩვენი მსჯელობაც ამიტომ მოკლე და სქემატურია.

[36] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 325, ფ. 5.
[37] ЦГВИАМ, фонд № 1300, опись 25, дело 33, л. 88,
[38] იქვე, л. 88—89.

„მთიელ ტომებში დამოკიდებული წოდების განთავისუფლების კავკასიის კომიტეტის“ ხელმძღვანელობით მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა ვლადიკავკაზის ოკრუგში. ვლადიკავკაზის ოკრუგში — ოსეთში შედარებით მცირე რაოდენობის დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები იყვნენ. მათი რიცხვი რეფორმის წინ ორივე სქესის 1449 სულს შეადგენდა. აქედან 627 სული ქუსაგი და 822 ქავდასარდი და კუმიაგი. მიუხედავად ამისა, საკმაოდ რთულად და ძნელად მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები.

ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ დიგორის, თაგაურის, ქურთათისა და ალაგირის მაღალი წოდების და აგრეთვე უბრალო ხალხის წარმომადგენლებს მოსთხოვა თავიანთი შეხედულებების ჩამოყალიბება. შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა. კომიტეტის მუშაობის შედეგად მონა-ყმებისა და ქავდასარდთა განთავისუფლების სხვადასხვა, ერთიმეორისაგან განსხვავებული, პროექტები იქნა წარმოდგენილი[39].

დიგორის ბადელიატები მოითხოვდნენ გამოსასყიდს: მამრ. სქესის 15 წლიდან 45 წლამდე ასაკისათვის 250 მან., ქალის 15 წლიდან 45 წლამდე ასაკისათვის 200 მან. ერთი წლიდან 15 წლამდე, ორივე სქესისა — ყოველი წელი 10 მანეთი, 45 წელზე ზევით და ხეიბრები უნდა განთავისუფლებულიყვნენ მომრიგებელთა შეხედულებით[40].

თაგაურ-ქურთათისა და ალაგირ-მამისონის მხარეთა მფლობელების პროექტი შედარებით ნაკლებ გამოსასყიდ თანხას ითვალისწინებდა. მათი პროექტით, ორივე სქესის 15-დან 50 წლამდე წარმომადგენელნი თავისუფლდებოდნენ 180 მან. გამოსასყიდით. ერთი წლიდან 15 წლამდე ასაკის — 8 მანეთი ყოველი წლისათვის. 50 წლის ზევით თავისუფლდებოდნენ უფასოდ. მონა-ყმის ქონების ნახევარი მფლობელს ეძლეოდა, ნახევარს კი თვითონ იტოვებდა.

დიგორის „უბრალო“ ხალხი მოითხოვდა: 40 წელზე მეტი ასაკის ქალი და 50 წელს გადაცილებული მამაკაცი გათავისუფლებულიყო უფასოდ. უფასოდ უნდა განთავისუფლებულიყვნენ ხეიბრებიც. ქალებს 15 წლიდან 40 წლამდე და მამაკაცებს 50 წლამდე უნდა გადაეხადათ 180 მანეთი. ბიჭებს 1-დან 15 წლამდე — 8 მანეთი ყოველი წლისათვის, გოგონები კი უსასყიდლოდ, მოძრავი ქონება უნდა დარჩენოდა განთავისუფლებულს.

ასევე სხვადასხვა იყო მოთხოვნები ქავდასარდთა განთავისუფლებისათვის. დიგორელთა ზედაფენების მოთხოვნით, მამრობითი სქე-

---

[39] История Северо-Осетинской АССР, М., 1959, с. 195.

[40] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 324, ფ. 2.

სის წარმომადგენელი ან უნდა 6 წელი დარჩენილიყო დროებით ვალდებულად, ან გადაეხადა ყოველი წლისათვის 30 — 40 მანეთი, ე. ი. სულ 180 — 240 მანეთი. ქალებიც 6 წლით უნდა დარჩენილიყვნენ დროებით ვალდებულად, ანდა გადაეხადათ ურვათის ოდენობის თანხა. 6 წელზე ზემოთ ბიჭები მშობლებთან შედარებით ნაკლები ოდენობის გადასახადს იხდიდნენ. თაგაურელთა მოთხოვნით, მოზრდილნი 3 წლის მანძილზე უნდა ყოფილიყვნენ დროებით ვალდებულებაში. ანდა 75 მან. გადაეხადათ. ამ პროექტით უშვილო ნომილუსს გამოსასყიდი უნდა გადაეხადა ურვათის ფასი. 40 წლამდე ასაკის ნომილუსი, რომელსაც შვილები ჰყავდა, 6 წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო დროებით ვალდებულებაში. 40 წლის ზევით ასაკის ნომილუსი თავისუფლდებოდა გამოსყიდვის გარეშე. თაგაურელთა ამ პროექტს უახლოვდებოდა დიგორის „უბრალო“ ხალხის მოთხოვნა, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელნი მოითხოვდნენ შვილებიან ნომილუსთა უფასოდ გათავისუფლებას ყოველგვარ შემთხვევაში. ყველაზე რთული იყო ქავდასარდთა საკითხის გადაჭრა.

დიგორის მფლობელები არ ალხვავებდნენ ქავდასარდებს მონა-ყმებისაგან, თაგაურელი ალდარები კი მოითხოვდნენ ქავდასარდთა დატოვებას სამი თაობის ხელში. თვით ქავდასარდები სასტიკად უარყოფდნენ ამ მოთხოვნას. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა კომისიის თავმჯდომარეს — კოძოკოვს დაევალა. კოძოკოვის მიერ შედგენილი პროექტი იქნა საბოლოო გადაწყვეტილების საფუძვლად მიღებული.

ლორის-მელიქოვის მიერ გენ. კარცევისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებული იყო. თუ რა პირობებში უნდა მომხდარიყო ჩრ. ოსეთში დამოკიდებული წოდების განთავისუფლება. ოლქის უფროსი თხოულობდა ნებართვას, რათა წარდგენილი პროექტი მიღებული ყოფილიყო საბოლოოდ და სახელმძღვანელოდ რეფორმის გასატარებლად ოსეთის ოკრუგში. თერგის ოლქის უფროსის მიერ შედგენილ პროექტში აღნიშნული იყო: 1. თერგის ოლქის უფროსმა 1867 წ. 17 თებერვალს აღძრა შუამდგომლობა, რათა დამტკიცებული ყოფილიყო შეთანხმებათა საფუძველზე შედგენილი განთავისუფლების პროექტი, რომელიც შემუშავებულ იქნა ადგილობრივი ხელისუფლებისა და დეპუტატების მიერ და რაც დამტკიცებულ იქნა მეორე დღესვე, 18 თებერვალს, მთავარსარდლის თანაშემწის გენერალ-ადიუტ. კარცევის მიერ. ამასთან, კარცევმა მიუთითა, რომ ოსეთის ოკრუგში დამოკიდებული წოდების განთავისუფლება არ მომხდარიყო უფრო მძიმე პირობებში, ვინემ ყაბარდოში[41].

2. თერგის ოლქის უფროსის გენერალ-ადიუტ. ლორის-მელიქოვის

---

[41] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 124, ფ. 4.

მიერ წარმოდგენილი პროექტი მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ.

ოსეთის ოკრუგში უუფლებო მონა-ყმები (ქუსაგები) განთავისუფლდნენ შემდეგნაირად:

ა. განთავისუფლება მოხდეს უშუალოდ გამოსყიდვით, თვით გასანთავისუფლებელთა ხარჯზე, გარდა 50 წელს გადაცილებული მამაკაცისა და 45 წლის ასაკს გადაცილებული ქალისა, რომელებიც თავისუფლდებიან უფასოდ

ბ. გამოსასყიდი ფასი დგინდება ასაკის მიხედვით, 1-დან 15 წლამდე თითოეული წელი 8 მანეთი და 15 წლიდან 50 წლამდე — საერთოდ 180 მანეთი.

გ. დადგენილი გადასახადი, შეთანხმებისამებრ, შეიძლება გადახდილ იქნეს ერთად ან განვადებით, ანდა გასანთავისუფლებელის მიერ ყოფილ მფლობელთან აუცილებელი, დროებითვალდებული სამსახურის შედეგად.

დ. მფლობელთან გასათავისუფლებელის აუცილებელი სამსახური 6 წელზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს. ამასთანავე, როგორც მამაკაცის, ისე ქალის წლიური შრომა უნდა შეფასდეს და ჩაითვალოს გამოსასყიდის ანგარიშში.

ე. დასაშვებია დაუყოვნებელი განთავისუფლება ყოველგვარი ვალდებულებისაგან, თუკი გასანთავისუფლებელი გამომუშავებისათვის გადავა სხვა პირთან, რომელიც ივალდებულებს გამოსასყიდის გადახდას ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ.

ვ. ქალის გამოსასყიდი თანხა ნაწილდება თანაბრად ზემოაღნიშნულ 6 წელზე და თუ გათხოვდება, იგი ვალდებულია გადაუხადოს მფლობელს ურვათიდან ის თანხა, რის მაგიერიც არ უმსახურია.

ზ. გასანთავისუფლებელი ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილის შემთხვევაში მასზე გადაუხდელი ნაწილი იხსნება.

თ. ოსეთის ოკრუგში არსებული მცირერიცხოვანი უნაუთები და მათი შვილები, რომლებიც ყაბარდოშია ნაყიდი, განთავისუფლდებიან იგივე საფუძველზე, როგორც ყაბარდოში უნაუთები. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ისინი ღარიბები იყვნენ და შვილების გამოსყიდვის საშუალება არ ჰქონდათ. ასეთები იყო 145 სული, რისთვისაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყოფილ იქნა 12 ათასი მანეთი.

გარდა ხსენებული თანხისა, მთავრობამ გამოყო 8 ათასი მანეთი იმათ დასახმარებლად, რომლებიც განთავისუფლების შემდეგ უძლურნი იქნებოდნენ ეკონომიკურად. დახმარება ეძლეოდათ მეურნეობის შესაქმნელად[42].

მფლობელებსა და დამოკიდებული წოდების წარმომადგენლებს

---

[42] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 124, ფფ. 5—8.

შორის ურთიერთშეთანხმებისათვის მთელ ოსეთის ოკრუგში შეიქმნა 1 მომრიგებელი სასამართლო.

სასამართლო შედგებოდა. თავმჯდომარის (თავმჯდომარეს ნიშნავდა ოკრუგის უფროსი), ოკრუგის სასამართლოს დეპუტატისა და მფლობელებისა და დამოკიდებული წოდების დეპუტატებისაგან. სასამართლოს საქმიანობისათვის გამოყოფილი იყო 2270 მანეთი.

ოსეთში უუფლებო მცირეწლოვანი მონა-ყმების განთავისუფლებისას კომიტეტის მიერ მხედველობაში იქნა მიღებული ყაბარდოში მცირეწლოვან უნაუთთა უფასოდ განთავისუფლება, რაც გავრცელებული იქნა ოსეთზეც. ამისათვის მთავრობამ ერთდროული დახმარება მისცა მფლობელებს. ასევე ოსეთშიც მფლობელებისათვის მთავრობამ გამოყო 12 ათასი მანეთი[43].

კომიტეტი შესაძლებლად თვლის: 1) მცირეწლოვანები 1-დან 15 წლამდე განთავისუფლებულ იქნენ უფასოდ და

2) თერგის ოლქის უფროსის მიერ მოთხოვნილი თანხა — 12000 მანეთი განკუთვნილი იქნეს როგორც ღარიბ მფლობელთა დასახმარებლად, ასევე იმ მფლობელთათვის, რომლებიც უფასოდ გაანთავისუფლებენ მცირეწლოვანებს.

კომიტეტმა აუცილებლად ჩათვალა მთავრობის თანხებიდან დახმარება აღმოეჩინათ განთავისუფლებული ღარიბებისათვის, რისთვისაც 8000 მანეთი მოითხოვეს[44].

კომიტეტის გადაწყვეტილებით, თერგის ოლქის უფროსმა ოსეთის ოკრუგის უფროსს დაავალა, დამოკიდებული წოდების წარმომადგენლებს განთავისუფლებისთანავე მისცემოდათ მიწით სარგებლობის უფლება, ისევე როგორც სხვა წოდებათა წარმომადგენლებისათვის იყო გადაწყვეტილი. ოლქის უფროსის აზრით, განთავისუფლებულებს უნდა მისცემოდათ რამდენიმე წლით შეღავათები და დროებით განთავისუფლებულიყვნენ გადასახადებისა და სხვა ვალდებულებებისაგან. ხელმძღვანელობა ცდილობდა ისე ჩაეტარებინა დამოკიდებული წოდების განთავისუფლება, რომ არც მფლობელები ყოფილიყვნენ უკმაყოფილო და არც ქვეშევრდომები დაზარალებულიყვნენ. ოსეთის მფლობელები დათმობაზე წავიდნენ ქავდასარდებისა და ნომილუსთა განთავისუფლებისას, რის გამოც მადლობა მიიღეს კავკასიის არმიის მთავარსარდლისაგან[45].

საბოლოოდ დადგენილი იქნა განთავისუფლების პროექტი.

---

[43] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 124, ფ. 6.

[44] იქვე, ფ. 5.

[45] ЦГВИАМ, фонд 1300, опись 25, дело 33, л. 70 (приказы).

ა. პროექტის თანახმად ოსეთის ოკრუგში მამრობითი სქესის ყველა მოზრდილი კუმაიაგი და ქავდასარდი თავიანთი ოჯახებით, აგრეთვე მარტოხელებიც დაყოფილ იქნენ ორ ჯგუფად:

1. რომლებიც იმყოფებოდნენ იმ მფლობელებთან, რომლის სახელობითი ცოლიც (ნომილუსი) იყო მათი დედა და

2. რომლებიც ასეთი მფლობელის სიკვდილის შემდეგ იმყოფებოდნენ გარდაცვლილის შვილებთან.

პირველნი ვალდებულნი არიან ოჯახის ყველა სრულწლოვანისათვის (15-დან 50 წლამდე) და პირადად თავისი განთავისუფლებისათვის გადაიხადონ თითოეულზე 75 მანეთი.

მეორენი, კი ვალდებულები არიან გადაიხადონ 37 მანეთი და 50 კაპიკი ერთდროულად ან განვადებით, ანდა დარჩნენ მფლობელთან ადრინდელ დამოკიდებულებაში. პირველნი სამი წლით, მეორენი კი ერთნახევარი წლის ვადით[46].

ბ. მამრობითი სქესის შთამომავლობა 15 წლამდე და მოხუცები 50 წლის ზევით უნდა განთავისუფლდნენ დაუყოვნებლივ და უფასოდ.

გ) თუ მამრობითი სქესის კუმაიაგის და ქავდასარდის ოჯახის მფლობელი გარდაიცვლება, ოჯახის შემადგენლობა უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი ფულადი და აუცილებელი სამსახურის გარეშე.

დ) მდედრობითი სქესის მცირეწლოვანი (10 წლამდე) კუმაიაგი და ქავდასარდი, აგრეთვე 40 წელს მიღწეული ყველა ქალი თავისუფლდება უფასოდ[47].

ე) ყველა გათხოვილი კუმაიაგი და ქავდასარდი (აგრეთვე ნომილუსიც) განთავისუფლებისათვის მფლობელს მისცემს მათზე გადახდილ ურვათს, ამ გადასახადის ანგარიშში ჩაითვლება გათხოვების შემდეგ მფლობელთან გატარებული ყოველი ნამსახური წლისათვის 10 მანეთი.

ამგვარი ანგარიშის საფუძველზე ყველა, ვინც თავისი ნამსახური წლებით უკვე შეასრულა ურვათის საფასური თანხა, თავისუფლდებიან დაუყოვნებლივ. სხვები ურვათის საფასურის შესასრულებელ თანხას გადაიხდიან შეთანხმებისამებრ, ერთდროულად ან განვადებით, ანდა მფლობელის სახლში აუცილებელი სამსახურით, არაუმეტეს სამი წლით.

3. გაუთხოვარი გოგონები (10 წლის ზევით) თავისუფლდებიან მშობლებთან ერთად ან გათხოვებისას, რისთვისაც მფლობელს გადაუხდიან მიღებულ ურვათს (10 ხარი, თითო ხარის საშ. ფასი 10 მან.).

ზ) ყველა მცირეწლოვანი ობოლი, სრულწლოვანობამდე (18 წლამ-

---

[46] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 124, ფ. 5.

[47] იქვე, ფ. 6.

დე) ან გათხოვებამდე რჩებიან თავიანთ მფლობელებთან, შემდეგ კი თავისუფლდებიან: კაცები უფასოდ, გოგონები კი ვალდებულნი არიან გათხოვებისას მიღებული ურვათის ნახევარი მისცენ მფლობელს.

თ. ორივე სქესის ყველა უნათესავო მოზრდილი, დაუძლურებული, ხეიბარი და დასახიჩრებული სამუდამოდ უნდა დარჩნენ მფლობელის სახლში.

ი. გამოსასყიდი გადასახადი განისაზღვრება გასანთავისუფლებელისა და მფლობელის ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში იგი განისაზღვრება მომრიგებელი სასამართლოს მიერ. ამასთანავე, მომრიგებელ სასამართლოს და ადგილობრივ ხელისუფლებას ეკალებათ, შესაძლებლობისამებრ, არ დაუშვან გასანთავისუფლებელის დატოვება მფლობელთან დროებით ვალდებულად, რისთვისაც უნდა გამოინახოს პიროვნება, რომელიც მოინდომებს გასანთავისუფლებელის თავისთან აყვანას, განსაკუთრებით მარტოხელა ქალის, გამომუშავებული გასამრჯელოს გადახდის ვალდებულებით.

კ. ყველა დაოჯახებული ქავდასარდისა და კუმაიაგის მოძრავი და უძრავი ქონება ითვლება მათ განუყოფელ საკუთრებად[48].

ოსეთის ოკრუგში დამოკიდებული წოდების განთავისუფლების პროექტი თანდათანობით იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ოსეთში დამოკიდებული წოდების საერთო რიცხვი დიდი არ იყო, ადგილობრივი პირობების გამო აქ რეფორმისწინა სამუშაოები საკმაოდ რთულად და ძნელად მიმდინარეობდა. მონა-ყმების ძირითადი ნაწილი უშუალოდ მფლობელთა სახლებში ცხოვრობდნენ და არავითარი საკუთრება არ გააჩნდათ, გარდა იმ მონა-ყმებისა, რომლებიც ყაბარდოში იყვნენ შეძენილი. ყაბარდოელთა ადათ-ჩვეულების მიხედვით, მიწის მესაკუთრეებთან ცხოვრობდნენ, ცოტაოდენი მეურნეობაც გააჩნდათ და, აქედან გამომდინარე, მცირე ოდენობის საკუთარი მოძრავი და უძრავი ქონებაც ჰქონდათ[49]

თვითონ ოსეთის აღდარები და ბადელიატებიც ღარიბები იყვნენ, ვინაიდან მცირე მიწას ფლობდნენ და შემოსავალიც უმნიშვნელო ჰქონდად[50].

ამიტომ იყო, რომ ოსეთში პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები მონა-ყმათა განთავისუფლების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. ხელისუფლების ჩარევის შემდეგ დათანხმდნენ. მაგრამ დიდი გამოსასყიდი მოითხოვეს, განსაკუთრებით დიგორის ბადელიატებმა[51]. ბოლოს

---

[48] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 124, ფ. 6.

[49] საქ. ცსა, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 324, ფ. 2.

[50] იქვე, ფ. 3.

[51] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 324, ფ. 2.

მფლობელები იძულებული შეიქნენ ერთგვარი „ლმობიერება“ გამოეჩინათ მონა-ყმათა განთავისუფლების პირობების დადგენისას ხელისუფლების დაწოლით. ამიტომ იყო, რომ კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ოსეთის 56 მფლობელს ბრძანებით მადლობა გამოუცხადა[52].

მიუხედავად იმისა, რომ ოსეთში ძალიან გართულდა დამოკიდებული წოდების განთავისუფლების პროექტის დადგენისა და საბოლოოდ დამტკიცების საქმე, იგი შედარებით იოლად და მოკლე დროში იქნა ცხოვრებაში გატარებული.

როგორც ყველგან, აქაც რეფორმის სწრაფი ტემპით გატარებისათვის, ჩრ. ოსეთის ყოველ საზოგადოებაში, მომრიგებელი სასამართლოები იქნა ჩამოყალიბებული. სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ: მფლობელთა ორი წარმომადგენელი, 1 ქავდასარდი, საოკრუგო სასამართლოს 2 წარმომადგენელი. სასამართლოს მფლობელსა და გასანთავისუფლებელს შორის ხელშეკრულების აქტი უნდა შეედგინათ რუსულ ენაზე. აქტში აღნიშნული უნდა ყოფილიყო განთავისუფლების პირობები. საუბრის ასლი ეძლეოდათ ხელზე, დედანი კი იგზავნებოდა თერგის ოლქის სასამართლოში, განთავისუფლების მოწმობის გამოსაწერად[53].

საგლეხო რეფორმის შედეგად, ჩრდილო ოსეთში განთავისუფლებულ იქნა 627 მონა-ყმა, 822 ქავდასარდი, კუმაიაგი და ნომილუსი. ამ რიცხვიდან, 90 მონა-ყმა და 157 ქავდასარდი, კუმაიაგი და ნომილუსი გამოსყიდვის გარეშე—უფასოდ გაანთავისუფლეს. 69 მონა-ყმა, 132 ქავდასარდი და 4 კუმაიაგი განთავისუფლდა ხანდაზმულობისა და დასახიჩრებულობის გამო. 25 მონა-ყმა განთავისუფლდა თავდებთა შუამდგომლობით. გარდა ამისა, გამოსასყიდის გარეშე განთავისუფლდა მცირეწლოვანი 242 მონა-ყმა. მფლობელებთან დროებითვალდებულებად დარჩნენ: 201 მონა-ყმა და 223 ქავდასარდი და კუმაიაგი. განთავისუფლებულთა მდგომარეობა, როგორც აღინიშნა, აუტანელი იყო. ვლადიკავკაზის ოკრუგის უფროსი პოლკოვნიკი ელგაუ წერდა, რომ გასათავისუფლებელთა მდგომარეობა უაღრესად მძიმეა, რადგან მათ უნდა დაიწყონ ცხოვრება ყოველგვარი საშუალების გარეშე და თანაც მფლობელს უხადონ გამოსასყიდი თანხა[54].

განთავისუფლებულთა მძიმე ეკონომიკური პირობების გამო იყო, რომ კავკასიის არმიის მთავარსარდალმა მათ 8000 მან. გამოუყო დასახმარებლად და როგორც საერთოდ თერგის ოლქში, ჩრ. ოსეთშიც გაანთავისუფლეს ისინი გადასახადებისაგან 8 წლის ვადით, დღიდან განთავისუფლების დაწყებისა — 1867 წ. 18 ნოემბრიდან.

---

[52] ЦГВИАМ, фонд 1300, опись 25, дело 33, л. 69 (приказы).

[53] История Северо-Осетинской АССР, с. 107.

[54] იქვე. გვ. 198.

რეფორმის შედეგად ქავდასარდებსა და კუმაიაგებს მიწით სარგებლობის ისეთივე უფლება მიეცათ, როგორც ჩრდილო ოსეთის სხვა დამოკიდებული წოდების განთავისუფლებულებს ჰქონდათ.

ამრიგად, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა ჩრდილო ოსეთში საკმაოდ სწრაფად მოხდა გლეხთა განთავისუფლება, რაშიც დიდი როლი ითამაშა მეფის მთავრობის წარმომადგენელთა აქტიურმა ჩარევამ, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, ჩრ. ოსეთის მფლობელთა მონდომებამ, რაც ხელმძღვანელთა დაჟინებითი მოთხოვნისა და გაღებული ფულადი სახსრების შედეგი იყო. 1867 წ. 6 ივნისს კავკასიის მთავარსარდლის სახელით მადლობა გამოეცხადათ ოსეთის ოკრუგის მცხოვრებთ[55]: კაპიტან გაკა გუსოვს, პროპორშჩიკ ბიმბულატ ხუცისტავს, კორნეტ სავკუპა კუსოვს, კავდინა კუსოვს, კანშაუ ხაცხოტავს, ბიმბულატ მილზიხოვს, კრიმ სულთან კადიევს, სმაილა მრიკოევს, კასპოლა რომენოვს, ალდარ ბიტა შანაევს; ძმებს: მისოსტს და უვაუკო დუდაროვებს, პოდპორუჩიუ ცუკი კაზირევს და თემურკო ფიდაროვს[56], რომლებმაც მხარი დაუჭირეს ადმინისტრაციის ღონისძიებებს და თავიანთი მონა-ყმების ნაწილი გამოსყიდვის გარეშე — უფასოდ და ნაწილიც შეღავათიან ფასებში გაანთავისუფლეს[57].

§ 5. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ყუმიყეთის ოკრუგში

ყაბარდოს ოკრუგში ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული დებულებები მეტ-ნაკლებად თერგის ოლქის ყველა ოკრუგში იქნა გამოყენებული.

ყუმიყეთის მფლობელებმა იცოდნენ ყაბარდოელთა საქმიანობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით იცნობდნენ ყაბარდოელ მფლობელთა თავდაპირველ მოთხოვნებსა და საბოლოო გადაწყვეტილებებსაც. ყუმიყეთშიც თითქმის იგივე მოთხოვნები წამოაყენეს მფლობელებმა. თვითონ მფლობელებმა სთხოვეს ოკრუგის უფროსს, რათა უფლება ჰქონოდათ ხელქვეითებთან ურთიერშეთანხმებით გადაეწყვიტათ გამოსასყიდის ფორმები და ოდენობა. მათ ოკრუგის უფროსს გამოსყიდვის ორი ფორმა შესთავაზეს: განთავისუფლებისათვის განსაზღვრული დროის მანძილზე უნდა გადაეხადათ იქაური ადათის მიხედვით დადგენილი ოდენობის გამოსასყიდი, ან გამოსასყიდის ფასი უნდა შეეცვალათ დროებით სავალდებულო შრომით.

პირველ შემთხვევაში მფლობელის აზრით, გამოსასყიდის გადახდის

---

[55] ЦГВИАМ, фонд 1300, опись 25, дело 33, л. 47.
[56] იქვე, ფფ. 47—48.
[57] იქვე, ფ. 48.

ვადა 4-დან 6 წლამდე იყო განსაზღვრული. ამ ხნის განმავლობაში უნდა გადაეხადათ ორივე სქესის წარმომადგენლებს შემდეგი საფასური: მოზარდებს — 10 წლამდე — 100 მანეთი, 15 წლამდე — 150, 15-დან 50 წლამდე — 400[58], 50-დან 70 წლამდე — 100 მანეთი, 70 წელს გადაცილებულები თავისუფლდებოდნენ უფასოდ. განთავისუფლების მეორე ფორმით, მონა-ყმებს დროებით სავალდებულო შრომის რამდენიმე წლის საფასურით უნდა შეესრულებინათ გამოსასყიდი თანხის ოდენობა.

ყუმიყეთის დაბლობზე მცხოვრებ დამოკიდებულ წოდებათაგან, გარდა ჩაგარებისა და თერეკემენებისა, ყველანი ისეთსავე პირობებში იყვნენ, როგორც უნაუთები ყაბარდოს ოკრუგში. ადგილობრივი ხალხური ჩვეულების მიხედვით, მათ არ შეეძლოთ ჰქონოდათ რაიმე საკუთრება ან ქონება. რის გამოც გამოსასყიდი თანხის გადახდაც არ შეეძლოთ, ამიტომ ან შრომით უნდა მოეპოვებინათ საჭირო თანხა, ანდა მოწყალებით შეეგროვებინათ გამოსასყიდი, რასაც მრავალი წელი დასჭირდებოდა და მაინც საეჭვო იქნებოდა საჭირო თანხის შეგროვება მთავრობის მიერ დაშვებულ დროში[59]. მითუმეტეს, რომ მფლობელები წლიურ შრომას ძალზე მცირე შეფასებას აძლევდნენ, რის გამოც დროებით სავალდებულო სამსახური გაცილებით მეტ ხანს გასტანდა, ვინემ დაგეგმილი იყო[60]. ადგილობრივ ხელისუფლებას არც მფლობელთა ინტერესების შელახვა სურდა. ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებდა იმ ამბავს, რომ საადგილმამულო რეფორმის გატარების დროს ყუმიყეთის შეძლებულებმა თავიანთ საკუთრებაში არსებული მიწის ნახევარი გამოყვეს მოსახლეობისათვის, რის გამოც მათ მიწის ფართის ნახევარი ჩამოეჭრათ და ხელი აიღეს საადგილმამულო შემოსავალზე — „იასაკზე". მამულის ნახევარი მათ ხელში დარჩა, მაგრამ აღარ ეყოლებოდათ მონაყმები. რომელთა ფუნქციებშიც შედიოდა ყველა საშინაო და საველე სამუშაოები[61].

ყუმიყეთის მფლობელები ღარიბები იყვნენ, ისინი მხოლოდ საადგილმამულო იასაკის შემოსავლით ცხოვრობდნენ, ამ გადასახადს მოკლებულებს ძალიან გაუჭირდებოდათ მეურნეობის წარმოება. საჭირო იყო გამოსასყიდი თანხების მოკლე დროში მიღება, რათა ამ თანხებით განეგრძოთ მონა-ყმების მიერ წარმოებული მეურნეობა თავიანთი მიწების ნახევარზე, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ესარგებლათ ხელ-

---

[58] საქ. ცსა, კაკ. ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 326, ფ. 1.
[59] იქვე, ფ. 2.
[60] იქვე, ფ. 3.
[61] იქვე.

ქვეითთა დროებით-სავალდებულო შრომით[62]. ყუმიყეთის მფლობელებს არჩევანი აღარა რჩებოდათ — მთელ თერგის ოლქში თითქმის დადგინდა დამოკიდებული წოდების განთავისუფლების ფორმები. ყუმიყეთის მფლობელთა მხრივ დაყოვნება შეუძლებელი იყო იმ მხრივაც, რომ იქ არსებული დამოკიდებული წოდების მსგავსი სახის განთავისუფლების ფორმები ყაბარდოს ოკრუგში უკვე დადგენილი იყო.

„მე შევთავაზე ყუმიყეთის ოკრუგის უფროსს, — წერდა თერგის ოლქის უფროსი გენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვი გენ. კარცევს — რათა საჩქაროდ დაიწყონ მონა-ყმათა განთავისუფლება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რისთვისაც სახელმძღვანელოდ მიიღონ ყაბარდოს ოკრუგში მფლობელთა მიერ გამოშუშავებული უნ უთთა განთავისუფლების დებულება„[63]. გარდა ამისა, მიუთითებდა ლორის-მელიქოვი, მფლობელთა და მონა-ყმათა ინტერესების დაცვის მიზნით, სასარგებლოდ ვთვლი ორივე სქესის მონა-ყმათა განთავისუფლებისათვის და ვეთანხმო პოლკოვნიკ ვოიაკოვსკის აზრს, რათა გამოსასყიდი თანხა განისაზღვროს შემდეგნაირად:

12-დან 20 წლამდე ასაკის ყოველი წლისათვის გადახდილ იქნეს 10 მანეთი ვერცხლით. 20-დან 50 წლამდე — სულ 200 მანეთი; 50-დან 60 წლამდე—სულ 50 მანეთი. 60 წელს გადაცილებულები და აგრეთვე ხეიბრები, დასახიჩრებულები და შრომისუნარმოკლებულები განთავისუფლებულ იქნენ უფასოდ[64]. „მფლობელებს დაევალათ მონა-ყმათა და აგრეთვე მათი ოჯახის წარმომადგენელთა უზრუნველყოფა საჭმელ-სასმელითა და ტანსაცმლით“[65]. დადგენილ იქნა აუცილებელი დროებით სავალდებულო სამსახურის ვადა და წლიური შრომის ფასი. მოზარდთა წლიური სამსახური უნდა შეფასებულიყო არანაკლებ 30 და არაუმეტეს 50 მანეთისა. არასრულწლოვანთა წლიური სამსახურის ფასი დგინდებოდა წლოვანებათა მიხედვით.

თუ მონა-ყმა მოინდომებდა განთავისუფლებას გამოსყიდვით, მათ ჩაეთვლებოდათ ნამსახური წლების საფასური. ზემოხსენებული წლიური საფასურის მიხედვით დარჩენილ თანხას კი დაამატებდა ფულად. მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს აუცილებელი დროებით-სავალდებულო სამსახურიდან გასვლა შეეძლოთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჩაეთვლებოდათ ნამსახური წლების საფასური და დანარჩენს დაამატებდნენ გათხოვების დროს მიღებული ურვათიდან[66].

მცირეწლოვანები და ორივე სქესის ობლები 12 წლის ასაკამდე,

---

[62] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 316, ფ. 4.
[36] იქვე, ფ. 4.
[64] იქვე, ფ. 5.
[65] იქვე.
[66] იქვე.

რომელთა რაოდენობა 400 სულს არ აღემატებოდა, უნდა განთავისუფლებულიყვნენ უფასოდ, რისთვისაც ყუმიყეთის ოკრუგის უფროსი მთავრობისაგან თხოულობდა 20000 მანეთს მფლობელებზე დასარიგებლად.

ლორის-მელიქოვის აზრით, 20.000 მანეთის გაღება მის განკარგულებაში არსებული „მონა-ყმათა საქმეების საწარმოებლად" განკუთვნილი თანხებიდან დაუშვებელი იყო. იგი, ახსენებდა რა კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწეს გენ.-ადიუტანტ კარცევს ზემოხსენებულის შესახებ, დასძენდა: „ჩემს განკარგულებაში არსებული თერგის ოლქის მონაყმათა საქმეების საწარმოებლად განკუთვნილი თანხიდან შეუძლებლად მიმაჩნია ყუმიყეთის ოკრუგის უფროსის თხოვნის დაკმაყოფილება. ჩემი მხრივ გთხოვთ გამოგვიყოთ 12000 მანეთი ვერცხლით ზემოხსენებული აუცილებლობისათვის. ეს თანხა განაწილებული იქნება ღარიბ მფლობელებზე და მცირეწლოვანებისა და ობოლთა გამოსყიდვაზე"[67].

თერგის ოლქის უფროსის აზრით, ყუმიყეთის ოკრუგის მონა-ყმები განთავისუფლების შემდეგ განსაზღვრული წლების განმავლობაში უნდა განთავისუფლებულიყვნენ გადასახადებისაგან. გარდა ამისა, ლორის-მელიქოვი თხოვდა გენ.-ადიუტ. კარცევს: „გთხოვთ იშუამდგომლოთ მისი საიმპერატორო უმაღლესობის წინაშე, რათა თერგის ოლქის „მონა-ყმათა საქმეების საწარმოებელი" თანხიდან 8000 მანეთი გამოყენებულ იქნეს განთავისუფლებულ მონა-ყმათა დახმარებისათვის — თითოეულ ოჯახზე 30 მანეთი — დამოუკიდებელი მეურნეობის დაწყებისათვის„[68].

ყუმიყეთის დაბლობზე მცხოვრები მონა-ყმები, განთავისუფლების შემდეგ, ისარგებლებენ მიწის ნადელებით, მაგარამ ვინაიდან მათ არ გააჩნდათ ბინა, სამიწათმოქმედო-სამეურნეო იარაღები, მუშა-პირუტყვი და სათესლე მარცვალი, ვერ შეძლებენ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას და იქნებ განუსაზღვრელი დროის განმავლობაში მოხეტიალე მათხოვართა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ[69]. „ამგვარი დახმარება ესაჭიროებათ მხოლოდ უუფლებო მონებს ან კერძოდ მონა-ყმებს"[70].

ყუმიყეთის დაბლობზე მცხოვრები ჩაგარები და თერეკემენები (ორივე სქესის 2400 სული), რომლებიც მფლობელებს მიწით სარგებლობისათვის უხდიან გადასახადებს — იასაკ-სა და ბულკა-ს, განთავისუფლების შემდეგ, ყუმიყეთის დაბლობზე გატარებული საადგილმამუ-

---

[67] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 326, ფ. 5.
[69] იქვე, ფ. 6.
[69] იქვე, ფ. 6.
[70] იქვე, ფ. 5.

ლო რეფორმის შედეგად მიიღებენ ნადელებს და დამოკიდებული წოდების ხსენებული სახეები თავისთავად შეწყვეტენ არსებობას[71].

ლორის-მელიქოვის მითითებით, ყუმიყეთის ოკრუგში მონა-ყმათა განთავისუფლების პროექტის სასწრაფოდ დადგენისათვის ერთი საშუამავლო მომრიგებელი სასამართლო უნდა შექმნილიყო. სასამართლოს ახსნა-განმარტებები უნდა მიეცა როგორც მფლობელებისათვის, ასევე მონა-ყმებისათვის, რათა მიღწია მათ შორის ურთიერთშეთანხმებისათვის და, რაც მთავარია ორივე მხარისათვის მისაღებ ფორმებში. ამასთანავე, სასამართლოს დახმარებით უნდა გაცემულიყო, დანიშნულებისამებრ, ის თანხები, რომლებიც გამოიყოფოდა როგორც მთავრობის სახსრებიდან, ისე თერგის ოლქის მონა-ყმათა საქმეების საწარმოებელი თანხიდან.

სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა ყუმიყეთის ოლქის უფროსის თანაშემწე მაიორი გრიგოროვიჩი, მოადგილედ ამ ოკრუგის მცხოვრები, გადამდგარი კაპიტანი აჯიევი. სასამართლოს შემადგენლობაში შევიდოდა ორ-ორი დეპუტატი მფლობელებიდან და მონა-ყმათაგან.

სასამართლოს თავმჯდომარეს გარდა ჯამაგირისა, ექსტრა-ორდინალური ხარჯებისათვის 400 მანეთი გამოეყო. საკანცელარიო ნივთებისათვის მიეცა 50 მანეთი. გადამწერს გამოუყვეს 180 მანეთი წელიწადში, კაპიტან აჯიევს 400 მანეთი, მფლობელთა 2 დეპუტატს 200-200 მანეთი ვერცხლით თითოეულს და მონა-ყმათა დეპუტატებს თითოეულს 100 მანეთი ვერცხლით წელიწადში. სულ სასამართლოს შემადგენლობის შესანახად და საქმის საწარმოებლად 1630 მანეთი იქნა გამოყოფილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა საშუამავლო-მომრიგებელ სასამართლოებზე. ყველგან და ყუმიყეთის ოკრუგში კერძოდ, სასამართლოს თავისი მოღვაწეობისა და განთავისუფლების დებულების შემუშავების მსვლელობის შესახებ ცნობები უნდა მიეწოდებინა როგორც ყუმიყეთის ოკრუგის უფროსისათვის, ასევე თერგის ოლქის უფროსისათვის — თავად ლორის-მელიქოვისათვის[72].

სასამართლომ საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ბატონყმური ურთიერთობის გაუქმებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დროულად ჩასატარებლად, ყუმიყეთის ოკრუგში შემუშავებულ იქნა მონა-ყმათა განთავისუფლებისათვის გამოსყიდვის ნორმები და დადგინდა გამოსასყიდი თანხის ოდენობა. მოსამზადებელი სამუშაოები დროულად

---

[71] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 325, ფ. 5—6.
[72] იქვე, ფ. 6.

ჩაეარდა. საჭირო იყო მთავრობის მითითება, რათა დაეწყოთ რეფორმის გატარება.

მეფლობელებმა დამოკიდებულთა ნაწილი გამოსასყიდის გარეშე გაანთავისუფლეს, ნაწილი კი დარჩა მფლობელებთან დროებით გამოსასყიდი ოანხის შრომით ანაზღაურებისათვის. 1867 წ. 14 ოქტომბერს ყუმიყეთის მფლობელებმაც კავკასიის არმიის მთავარსარდლის მადლობა მიიღეს მთავრობის სათანადო ღონისძიების მხარდაჭერისათვის.

* * *

ამრიგად, მოკლე დროის განმავლობაში თერგის ოლქის ოკრუგებში ჩატარებულ იქნა მოსამზადებელი სამუშაოები. ამიერიდან აღარაფერი უშლიდა ხელს დამოკიდებული წოდების განთავისუფლებას ოლქის ყველა ოკრუგში, სადაც კი მონა-ყმები არსებობდნენ. მეფის მთავრობის მითითებით ხელმძღვანელობა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მოკლე დროში მომხდარიყო რეფორმის გატარება.

თერგის ოლქის ოკრუგთა უფროსებს დავალათ მათ ტერიტორიებზე არსებული მონა-ყმების რაოდენობის, მათი ცალკეული სახეებისა და უფლებების დადგენა. ამ სამუშაოების ჩასატარებლად საშუამავლო-მომრიგებელი სასამართლოები იქნა შექმნილი ყოველ ოკრუგში. სასამართლოებს უნდა დაეჩქარებინათ მფლობელებსა და მონა-ყმებს შორის ურთიერთშეთანხმება გამოსყიდვის ფორმებისა და საფასურის ოდენობის შესახებ.

სასამართლოში, გარდა ხელმძღვანელობისა, თავმჯდომარისა და მოადგილისა, დეპუტატების სახით შეყვანილ იქნენ მფლობელთა და მონა-ყმათა წარმომადგენლები. ხსენებულ სასამართლოთა შტატი იმდენად გაიზარდა, რომ მათ შესანახად 10000-მდე მანეთი იქნა გამოყოფილი. მალე დაზუსტდა თერგის ოლქის მონა-ყმათა და სხვა სახის დამოკიდებული წოდების ცალკეული სახეები და რაოდენობა.

სულ თერგის ოლქის ხუთ[73] ოკრუგში 25605 სული დამოკიდებული წოდების სხვადასხვა სახის წარმომადგენელი იყო. ჩრდილოეთ კავკასიაში და კერძოდ თერგის ოლქში საადგილმამულო რეფორმა მთლიანად არც კი იყო დამთავრებული, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ამ მხარეში არსებული დამოკიდებული წოდების — მონა-ყმათა განთავისუფლება მოინდომა გამოსყიდვის სახით.

---

[73] დანარჩენ ოკრუგებში მონა-ყმები არ არსებობდნენ.

იქ, სადაც ჯერ კიდევ არ იყო მიწის საკითხი მოგვარებული, 1864 წ. 4 ივნისს კავკასიის ხელმძღვანელობამ მონა-ყმათა რაოდენობის, სახეებისა და მათი უფლებების შესახებ ცნობების შეკრება გადაწყვიტა. ოკრუგის უფროსთა განცხადებით: „ამგვარი ცნობების შესაკრებ სამუშაოებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში, იგი უნდა დამუშავდეს მხოლოდ და მხოლოდ საადგილმამულო რეფორმის, პირადი და საგადასახადო საკითხების მოგვარების შემდეგ. კომისია ნაადრევად თვლის ამ საკითხის აღძვრას (დაწყებას), თერგის ოლქში არსებული დიდი რაოდენობის მფლობელთა უკმაყოფილების გამო. კომისიის აზრით, იგი ნაადრევია, მით უმეტეს, რომ ოლქის მოსახლეობა მიწის საკითხებთან დაკავშირებით გადაადგილებას განიცდის, რაც დიდ მუშაობასა და ფულად სახსრებს მოითხოვს[74].

კომისიის აზრი მოიწონა თერგის ოლქის უფროსმა ლორის-მელიქოვმა. ამ უკანასკნელმა კავკასიის ხელმძღვანელობას აცნობა თავისი გადაწყვეტილება. კომისიის აზრი კავკასიის ხელმძღვანელობამაც გაიზიარა. დამოკიდებული წოდების განთავისუფლება ზოგიერთ ადგილას მცირე ხნით — 1—1,2 წლით გადაიდო, საადგილმამულო რეფორმის დამთავრებამდე. საადგილმამულო რეფორმის გატარებისა და სახელმწიფო გადასახადების დადგენისთანავე ბატონყმობის გაუქმებისათვის საჭირო სამუშაოები დაიწყო, რის შემდეგაც უშუალოდ დამოკიდებული წოდების განთავისუფლება უნდა მომხდარიყო.

რეფორმის წინ თერგის ოლქში სულ 25605 სული სხვადასხვა სახის დამოკიდებული წოდების წარმომადგენელი იყო. აქედან, როგორც აღინიშნა, 21348 სული ყაბარდოს ოკრუგზე მოდიოდა. დანარჩენ ოთხ ოკრუგში კი — ყუმიყეთში, ოსეთში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში სულ 4257 სული ირიცხებოდა. კერძოდ, ყუმიყეთის ოკრუგში — 3257 სული, ოსეთის ოკრუგში — 706, ჩეჩნეთის ოკრუგში — 259, და ინგუშეთის ოკრუგში — 35 სული. დამოკიდებული წოდების წარმომადგენელთა ცალკეული სახეებისა და ოდენობის შესახებ ცნობების შეკრება ყველაზე რთული იყო ყაბარდოს ოკრუგში. ასევე ძნელი იყო დამოკიდებული წოდების გამოსყიდვის ნორმების დადგენა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი რამ ყაბარდოს ოკრუგში დადგენილი გამოსყიდვის ნორმებად სხვა ოკრუგებშიც იქნა გამოყენებული, რამაც საგრძნობლად დააჩქარა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება თერგის ოლქში და შემდეგ მათი ცხოვრებაში გატარება.

---

[74] საქ. ცსა, კაკ, ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე 322, ფ. 7.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ყველგან რუსეთის იმპერიაში, ისე აქაც. თერგის ოლქში აღნიშნული ღონისძიება ისე განხორციელდა, რომ მფლობელები არ დაზარალებულიყვნენ და დამოკიდებული წოდების წარმომადგენლები თითქმის უსახსროდ განთავისუფლდნენ, ან კვლავ წლების მანძილზე უნდა ეშრომათ გამოსასყიდი თანხის დასაფარავად ძველ მფლობელებთან, რეფორმას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თერგის ოლქის ეროვნულად და სოციალურად უაღრესად ჭრელი საზოგადოებისათვის. აქაც იგი მწვავე კლასობრივი ბრძოლის შედეგი იყო და დიდად შეუწყო ხელი ოლქის მოსახლეობის ჩართვას ახალ, ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

დასკვნა

საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის ისტორიული მნიშვნელობა

საადგილმამულო და საგლეხო რეფორმის გატარებამ მშრომელ მოსახლეობას სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. საუკეთესო მამულების უდიდესი ნაწილი კვლავ ძველ მფლობელთა კუთვნილებაში დარჩა. მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა მემამულეთა ინტერესების დაცვას.

რეფორმის პროექტის სახელმწიფო საბჭოში განხილვისას იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ საკმაოდ გულახდილად განაცხადა: „ყველაფერი, რის გაკეთებაც შეიძლებოდა მებატონეთა ინტერესების დასაცავად — გაკეთდა“[1].

მიწის საკმაოდ დიდი ნაწილი მეფის სამსახურში მყოფი მოხელეებისა და ხაზინის კუთვნილებაში გადავიდა. გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა სრულებით არ შეცვლილა უკეთესობისაკენ. მათი ძირითადი მასა უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. კვლავინდებურად უუფლებონი იყვნენ. ვ. ი. ლენინის სიტყვით, „მემამულეებმა რეფორმის დროს ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხები ვანთავისუფლდნენ გაძარცულ-გაღატაკებულნი“[2].

განთავისუფლებული გლეხობა იმდენად გაყვლიფეს მემამულეებმა და ისეთ უბწეო მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ მთავრობა იძულებული იყო რამდენიმე წლით გაენთავისუფლებინა ისინი სახელმწიფო გადასახადებისაგან.

ერთი სიტყვით, რეფორმა იყო მძარცველური, არასრულყოფილი და უკიდურესად მძიმე გლეხობისათვის.

აგრარულ რეფორმას, განსაკუთრებით მთებში, არ მოჰყოლია არავითარი შედეგი. იქ მიწასთან დაკავშირებული საკითხები ძველებურად გაურკვეველი დარჩა, რის გამოც გრძელდებოდა ბრძოლა ფეოდალებსა და გლეხობას შორის, განსაკუთრებით სავარგულებისათვის. ფეოდალები ძველებურად მოითხოვდნენ გლეხებისაგან სავარგულებით სარ-

---

[1] Краткая история СССР, в двух частях, часть I, Ленинград, 1972, с. 266.
[2] ლენინი ვ. ი. თხზ., ტ. 17, გვ. 87.

ვებლობისათვის ბეგარა-გადასახადებს. მშრომელი მოსახლეობა კვლავ განაგრძობდა ბრძოლას თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მიუხედავად ჩამოთვლილი უარყოფითი მხარეებისა, რეფორმას დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩრდილო კავკასიაში სხვადასხვა კატეგორიის 43833 სული ყმა-გლეხი და მონა იქნა განთავისუფლებული. მარტო თერგის ოლქში 23605 სული ყმა-გლეხი და მონა განთავისუფლდა. რეფორმის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში მთლიანად და სამუდამოდ მოისპო ბატონყმური ურთიერთობა. მემამულეებმა დაკარგეს გლეხთა გაყიდვა-გაჩუქებისა და მათ საოჯახო საქმეებში ჩარევის უფლებები. განთავისუფლებული გლეხობა თემის სრულუფლებიანი წევრი გახდა და თემური მფლობელობის წესით მიწით სარგებლობის უფლება მიიღო, რამაც შემდეგში ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდასა და სასაქონლო წარმოების განვითარებას.

გლეხობის უფლება მიეცა თავის სახელზე შეეძინა უძრავი ქონება, ეწარმოებინა საკუთარი მეურნეობა, ხელი მოეკიდა სავაჭრო თუ სამრეწველო საქმიანობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მემამულეთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება ძვირი დაუჯდა გლეხობას, იგი მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იყო ქვეყნის განვითარება.

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციამ ფართოდ გაუღო კარი ჩრდილოეთ კავკასიაში კაპიტალისტური ელემენტების შემოჭრას და დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება, ხელი შეუწყო მთიელი ხალხის გაერთიანებას, კონსოლიდაციასა და ცხოვრების დაწინაურებას[3].

საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის გატარება ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ თერგის ოლქში, მოასწავებდა რეგიონის მოქცევას რუსეთის ერთიან სამეურნეო ორგანიზმში, მისი ეკონომიკის ფეოდალურიდან კაპიტალისტურში გადასვლას, რის შედეგადაც ბურჟუაზიული ურთიერთობები აქაც გაბატონებული გახდა. ამან მოამწიფა პირობები იმისათვის, რომ გლეხთა მასებს აეთვისებინათ განმათავისუფლებელი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები, რამაც განსაზღვრა მათი აქტიური მონაწილეობა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის გაშლილ ბრძოლაში.

---

[3] გ ა ს ვ ი ა ნ ი გ. დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

ПОЗЕМЕЛЬНО-КРЕСТЬЯНСКАЯ РЕФОРМА В ТЕРСКОЙ ОБЛАСТИ

Резюме

В монографии на базе критического анализа богатого архивного материала, часть которого впервые вводится в научный оборот, источников и специальной научной литературы освещается социально-экономическое и политическое положение одной из значительной административных единиц Северного Кавказа — Терской области в период подготовки и проведения поземельной и крестьянской реформ.

Социально-экономическое и политическое положение входящих в Терскую область народов — кабардинцев, балкарцев, северных осетин, чеченцев и ингушей, кумыков и др. рассматривается в историческом аспекте. Показан длительный и сложный процесс отношений этих народов с Россией, а также прогрессивное значение вхождения в состав России для их дальнейшего развития.

Характеризуются хозяйственные занятия народов Терской области — земледелие, животноводство, домашние промыслы, торговля, их экономические связи друг с другом и с Россией. Появление казацких и русских поселений на Северном Кавказе рассмотрено на фоне колониальной политики царизма, однако одновременно подчеркнуто огромное значение этого явления в деле хозяйственного и культурного развития края.

Значительное место отведено характеристике социальной структуры входящих в Терскую область народов, показаны общественные классы, их взаимоотношения, различные категории господствующих и зависимых сословий, их права и обязанности, формы классовой борьбы и весь комплекс вопросов, связанных с социальным строем горцев.

Подробно освещены вопросы подготовки и проведения поземельной и крестьянской реформ. Сделана попытка показать особенности и уровень социального строя народов Терской области. Эти особенности предопределили формы и условия освобождения крепостных крестьян и рабов в различных ее районах.

В монографии четко показано, что несмотря на ограниченность и грабительский характер поземельно-крестьянская реформа в Терской области имела большое значение для дальнейшего социально-экономического и культурно-политического развития края.

საძიებელი

პირთა და ეთნიკური

ა

აბაზინელები 184
აბაკარ-დებირი 97
აბაძეხები 182, 183
აბდურახმანი ბ. 310
აბრაკ-ჰაჯი 97
აბუკოველები 256, 261
აბუ-მუსელიმ-ხანი 128, 190
აგიშპატოელები 101
ადილ-გირეი 123
ავალიანი ს. 210
აზამატოვი 4
ათაბაი 53
აიდემიროვები 191
აიდემიროვი ა. 83
აიდემიროვი რ. 244
აიტემირი 53
ალდათოვები 195
ალდელები 83, 84
ალდერბერგი 97
ალექსანდრე ბატონიშვილი 79, 99
ალექსანდრე II 327
ალექსანდრე პავლეს ძე 163
ალექსანდრე I 71, 72, 126
ალექსეევა ე. 7, 20
ალიბეკოვები 291
ალიბეგი 105
ალიშევები 191
ალღუზიანები 197
ალხანოვი ა. 87
ალხანოვები 278, 280
ამზინები 191
ანდალელები 93
ანზოროვები 262
ანზოროვი 58, 66
ანნა ივანეს ასული 24
ანიშჩენკო 260
ანჩაბაძე ზ. 9, 10, 16, 18, 48
აპრაქსინი პ. 22
არსლანბეკოვები 191
არსლანბეკოვი 44, 46
არჩილი 122
ასლამბეკოვი ხ. 311
ატაგელები 83
ატაჟუკინები 23, 180, 264, 265
ატაჟუკინი 28, 29, 31
აუხოელები 80, 95, 292
აფხაზოვი 10, 77
აქელები 80
აქსაელები 123, 126
აღა-მაჰმად ხანი 86
აჩაკანოვები 193
ახვერდი მაგომა 94
ახლოვები 58
ახმადოვი შ. 8, 243
ახრიევი ჩ. 200, 202
აჯიევი 323
აჰმედ-ხანი 91

ბ

ბადილა (ბადელი) 195
ბაზიევები 204
ბაზორკინი ბ. 311
ბამატი 125, 126
ბამატოვი დ. 34
ბამატოვი თ. 41
ბამატოვი მ. 23, 41—44, 58
ბაგრატიონები 72
ბალყარები 2, 46, 265
ბარიატინსკი 98—100, 106, 107, 179, 248, 275, 286, 150, 153
ბარკოვსკი 29

ბარტოლომეი 80
ბატიევი ც. 204
ბატირბიი-ჯამოვი 227
ბატირ-მირზა 96
ბაქარ ბატონიშვილი 27
ბაქსანელები 23, 24, 27, 40
ბედიევა ა. 310
ბედიევა ი. 310
ბედიევა მ. 310
ბედიევა შ. 310
ბეზენგიები 183, 265
ბეიბულატი 127
ბეკეტოვი 38
ბეკმურზაევი მ. 309, 310
ბეკმურზინები 180, 264, 266
ბეკოვიჩი ა. 23
ბეკოვიჩ-ჩერკასკები 50, 267, 268, 280, 287
ბელგატოვები 105, 283
ბელოკუროვი ს. 121
ბენტკოვსკი ი. 145, 150
ბერიევები 238
ბეროზოვი ბ. 57--59, 66, 69, 240, 242, 269
ბერქე ა. 8, 80—82, 93, 103, 104, 143, 199, 200, 235, 246, 247
ბესლანელები 7, 183
ბლაგოვეშენსკი 150, 153
ბლიევი მ. 5, 63, 65, 70, 71, 73, 74, 145, 149, 239, 245
ბორჩაშვილი ე. 8, 245
ბობროვსკი ა. 99
ბოსა 203
ბოცვაძე თ. 4, 7, 14, 60, 130, 179, 185—187
ბუდაი-შამხალი 122
ბუკინჰემი 37
ბულატოვი მ. 311
ბულგაკოვი 87
ბუტკოვი პ. 24, 28—31, 33—36, 38, 39, 42, 49, 51, 200
ბუშუევი ს. 4, 93, 95, 96, 105

გ

გაგო 238
გავრილოვი ნ. 107, 121, 268—279, 284—288, 291
გაიტემირი 97
გალიგოვი ჯ. 111
განბიევი 204
განეუევები 204
გარლი-ატაუ 227
გასვიანი გ. 160, 227—229, 234, 283
გასტოტი 15
გაჯიევი ს. 122—125
გებოკოევები 193
გეერებეკოვი 204
გელაშვილი გ. 13, 108
გელდიევი ა. 310
გელეხსტანოევები 14
გიზო 93
გილიაქსანოვი ა. 58
გირეი მ. 58
გიულდენშტედტი 13, 79, 82, 108, 110, 200, 202, 203, 244
გლავანი 13
გლაზენაპი 74
გობეგაევები 238
გოგოევა ნ. 311
გოლიცინი 54
გორდალინი 283
გრაბე 93, 95
გრაბოსკი ნ. 18, 19, 26—29, 40, 118, 119, 161, 165, 181, 209, 285, 289
გრეკოვი 91, 92
გრიგოროვიჩი 323
გრიცენკო ნ. 58, 203, 204, 243, 245
გუდოვიჩი 48, 75, 87—89, 204
გურიევი 197
გუსოვი გ. 319

დ

დადიანი 117
დათიევები 68
დანიელ-სულთანი 95
დებუ ი. 48, 180
დევლეთ-გირეი 44, 45, 47
დელპოცო 111, 116
დე-მედემი 38—40, 42—47, 82, 83, 110, 125
დენკევიჩი-პუშნინა ნ. 21
დიდიმოვი კ. 102, 103
დიგორელები 59, 272, 273
დიუბუა დე-მონპერე ფ. 21, 22

დოლგორუკოვი 27
დონდუკოვ-კორსაკოვი 264
დრუჟინინა ე. 36, 38, 40, 45
დუბა 97
დუდაროვები 68, 270, 271
დუდაროვი ა. 73, 74, 167
დუდაროვი თ. 167, 195, 239
დუდაროვი მ. 73, 319
დუდაროვი უ. 319
დუბროვინი ნ. 71, 95, 180, 194
დუბუი 53

ე

ეგლაუ 166
ევდოკიმოვი 99, 100
ეზბოლზუკოვი ი. 20
ეზიევი ჰ. 311
ეიტი-კალინები 105
ეკატერინე II 125
ელბერტოვი ო. 311
ელდარი 95
ელდაროვები 191, 278, 280
ელისაბედ პეტრეს ასული 27, 57
ელისტანჯიევები 105, 282
ელიხანოვი ზ. 62
ენგნეული 3, 4
ენ ნი მ. 51, 97
ენგელსი ფრ. 8.
ენო-კალინები 105
ერეკლე II 63
ერმოლოვი 51, 76, 183, 290, 297
ერსენოვები 105
ესაძე ს. 47
ესენოვები 195
ესენოვი 77
ესიევები 68
ესიევი 197
ეხიშპატოვები 105, 282

ვ

ვახუშტი ბატონიშვილი 59, 240
ველიამინოვი 92
ვოლფი 98
ვოიკოვსკი 321
ვორონცოვი ნ. 52—54, 96, 97, 132, 155, 268, 270, 273
ვრანგელი 100, 140, 151

ზ

ზაბლოცკი 55, 139, 140
ზუბაირი 126
ზუბოვი პ. 18

თ

თაგა 195, 196
თაგაურები 66, 182, 269
თავაქალიანი ნ. 5, 8, 201, 245, 246
თათრები 25, 36, 49
თაიმაზოვები 196
თამარ მეფე 81
თამურხანოვი მ. 204, 205
თარკის შამხალი 123
თევდორე ივანეს ძე 21
თეზიევები 197
თემიროვები 290
თემირგოელები 31
თოგოშვილი გ. 7, 152, 153, 157, 159, 160, 161, 173
თორგემენოვები 112
თუმანოვი ა. 276
თურქები 26, 36
თურქმენები 249
თულათოვი ბ. 77
თულანოვები 76, 195, 196
თუშები 102
თხოსტოევები 195

ი

იალურიევი 112
იალხოი 283
იარაგელი მუსამედი 91
იდაროვი თ. 20, 21, 32
იდაროვი მ. 20
იდაროვი სულთანი 20
ივანე ვასილის ძე 19, 20, 47
იველიჩ მესამე 87, 204
ინგუშები 32, 44, 57, 66, 73, 80, 83, 84, 90, 169
ინკოჰაჯი 97
იოსებ არქიეპისკოპოსი 57
იპოლიტოვი ა. 101, 102, 200
ირანიხინი ა. 311
ისსა 94
ისაევი ს. 202

იულონ ბატონიშვილი 73, 74
იუმიევები 191
იჩქერიელები 91, 201

კ

კაბანოვები 238
კადიევი კ. 319
კაზაკიევი ა. 277
კაზანალიპოვები 191, 291
კაზირევი ც. 319
კაიტუკინები 180, 266
კაიტუკინი ა. 23, 58
კაიტუკინი კ. 32
კაისანოვი კ. 34
კალმიკოვა ვ. 3, 20
კანაიბეკოვი მ. 58
კანამატოვი ე. 23
კანოკოვი ბ. 77
კანტემიროვები 196
კანუკოვები 68, 195, 197, 238, 239
კანუკოვი ი. 160
კაზბეკები 198
კაპლანოვები 191, 227
კარაკაიტაგელები 125
კარიდი ა. 91
კარცევი 299, 313, 321, 322
კასაევი დ. 45
კაშკარინი 122
კაშკატაუელები 59
კაჩკალიკები 80
კინდერბეევი ჩ. 89
კლაპროტი 59
კლუგენაუ 92
კნორინგი 71
კოგოლკინი ბ. 58
კოვალევსკი 55
კოვალენსკი ბ. 103
კოკიევი გ. 3, 4
კონტუ-ოჯი 227
კონჩოკინი კ. 30, 33
კრასილნიკოვი ფ. 13, 14
კრასნოშჩოკოვი 24
კრიდნერი 45
კრივენკო ვ. 43
კუბატიევები 68, 196
კუბატიევი 76
კუდაშოვი ვ. 17, 24, 30, 31, 39, 49, 181—188, 206, 207, 210, 212, 213, 215—217, 264, 297
კუმიკოვი ტ. 4
კუნდუხოვები 195
კუნდუხოვი მ. 160
კუნდუხოვი ხ. 167
კურგოკინი ბ. 31
კურგოკინი მ. 23
კურჩალინი 283
კუსოვი კ. 319
კუსოვი ს. 319
კუშეკა ე. 7

ლ

ლავროვი დ. 194, 235, 239
ლავროვი ლ. 6
ლაუდაევი უ. 8, 79, 200—202, 244, 245
ლებედევი ა. 57
ლენინი ვ. ი. 253, 302, 327
ლეონტოვიჩი ფ. 239 245
ლისანევიჩი 91, 92
ლიტვარიოვი 150, 153

მ

მააში 96
მაგომეტოვი ა. 65
მაკაროვი ტ. 191, 192, 225, 230, 232, 233
მალსაგოვი მ. 203
მამეტოვი გ. 30
მამსუროვები 68
მარდიხანოვი ა. 83
მარგრაფი 150, 153
მარიამ დედოფალი 72, 73
მარტიროსიანი გ. 86, 89
მარქსი კ. 64
მარქსი კ., ენგელსი ფრ. 8, 64
მასეკი 203
მაქსიმოვი ე. 144, 146—152
მაშუკი 20
მაძაევები 68
მეგდიშამხალი 1, 27
მელიქოვი ლ. 100, 276, 278, 298, 307, 313, 321, 322
მელიქიშვილი გ. 10
მენგლი-გირეი 50
მერეჯინები 119, 120, 284

შეხტი 125
მთიულები 75
მილზიხოვი ბ. 319
მილიუტინი 99
მირსკი 309
მისაკოვები 189, 193
მისოსტოვები 23, 29, 180, 204, 265
მისოსტოვი ა. 50
მიჩიკები 91
მიხეილ თეოდორეს ძე 122
მრიკოეევი ს. 319
მსტისლავ ვლადიმერის ძე 19
მუდაროვები 66, 180
მუდაროვი 59
მული ე. 309
მურზა ნ. 58
მურზიევი ი. 310
მუსაკაევი მ. 95
მურავიოვი 98
მურთაზალი 111
მურთაზალი ბ. 123
მუსა-მურზა 40
მუსინ-პუშკინი 87, 204
მუსტოპაევი ა. 309
მუჰამედი 161
მუჰამედ მოლა 97

ნ

ნადირ-შაპი 124, 125
ნაზრანელები 52, 80
ნაიფონოვები 238
ნალოევი ე. 6
ნარომნიცკი ა. 170
ნატუხაელები 195
ნახჩები 80
ნევსკაია ვ. 3, 6, 20
ნეიდგარდტი 51, 52
ნეიმჩი 203
ნესელროდე 127, 128
ნესტეროვი 52
ნიკოლოზ არქიმანდრიტი 57
ნიკოლოზ I 96, 99, 126, 160
ნოგმოვი შ. 20, 23, 179
ნოვიცკი ნ. 140
ნოღაელები 173, 191, 249
ნოღაი-მირზა 126, 160, 204
ნურადინი 22
ნურიდი 302

ო

ოკინები 119
ორბელიანი გრ. 250
ოსები 2, 32, 43, 46, 57, 110, 160, 249, 273

პ

პავლე I 126
პანინი ნ. 125
პანტიუხოვი ი. 144—146, 148, 151, 178
პასკევიჩი 77, 127
პაშტოვები 193
პახომი არქიმანდრიტი 62
პეტრე I 22, 23, 82, 95, 123, 124
პოლიევქტოვი მ. 21
პოპკა ი. 151, 154
პოპოვი ი. 104, 200, 283
პოტაპოვი 34
პოტიომკინი გრ. 85
პოტიომკინი პ. 83—85
პულო 93, 105, 106
პფაფი ვ. 195, 196

რ

რატიევი (რატიშვილი) 39
რეზა-ფაშა 56
რენენკამპფი 7
რეჯეფ-აჯიევი 193
რიკი 83, 84
რობაქიძე ალ. 9, 10
როზენი 105
რომანოვი მ. 122
რომენოვი კ. 319
რტიშევი 90
რუსები 18, 19, 102, 121, 156
რუსუდანი 81

ს

საად-ულუ 96
საიუბდულუ 53
საკიევი თ. 167

სალათაევები 293
სალონიანები 239
სამადოვი დ. 310
სამადოვი კ. 310
სამხოევი 112
საუკოვი ა. 310
საუკოვი კ. 310
სელიმ-გირეი 29
სვიატოსლავი 19
სიდაკოვი ჯ. 40, 41, 55
სკიტოკი ბ. 4, 5, 38, 66, 68, 110, 183, 196, 197, 199, 235, 236, 238, 269—272
სმიკალოვი 309
სომხები 146, 151, 152, 166
სტალი კ. 180, 184, 186, 187
სტებნიცკი ი. 129, 178
სიმონოვიჩი 90
სოლომონ I 63
სტუკკოხი 276
სულეიმან ეფენდი 56
სულეიმან ფაშა 126—128
სულთანოვი აბაკარ მურზა 89
სულთანოვი ბ. 89
სულთანოვი მ. 123
სუნშევები 189
სურხაი 105
სურხაი ხანი 122

ტ

ტაგანოვი დ. 40, 41
ტაიმაზოვი ა. 310
ტაიმაზოვი ბ. 89, 91, 310
ტაიმაზოვი ვ. 309, 310
ტანაშუკი 20
ტატაროვი 29, 31
ტატარხანოვი კ. 40, 41, 43, 44, 58
ტატიშჩევი 27
ტაულუელები 193
ტაუსულთანოვები 14, 23, 32, 58, 66, 180, 265, 266
ტაშოვ-ჰაჯი 93
ტახტამიშევები 182
ტერლოვები 84
ტოკაევები 193
ტოლოჩანოვი ნ. 60
ტოქილოკა 310
ტორმასოვი 120
ტოტლებენი 63
ტოტოევი მ. 5, 58, 59
ტუგანოვები 68, 160, 271
ტურკანი 201
ტურლოვები 278, 280
ტუტუშჩევები 193

უ

ულიანიცკი ვ. 36, 37
უმანსკი კ. 140
უმარ-აჯიევები 193
ურუსბაევი 262
ურუსბაელები 266
ურუსბიევები 183, 262
უცმიევები 291
უშურმა (შეიხ მანსური) 85
უჩარ-ხაჯა 92

ფ

ფადეევი ა. 5, 298
ფარნაოზ ბატონიშვილი 73, 74
ფელიცინი ე. 155
ფეტ-ალი-შაჰი 74
ფიდაროვი თ. 319
ფრეიტაგი 52—54
ფრაუენდორფი 31
ფშანუევი 203

ქ

ქანთარია მ. 11
ქისტები 80, 89, 90, 107, 108, 119, 284
ქორუმოვი ი. 309
ქორუმოვი კ. 309
ქუთათი პატერ-მიზა 62
ქურიეევი ი. 309
ქურუმოვი კ. 278

ღ

ღაზი მუჰამედი 92
ღალღები 80, 81, 108, 119, 284

ყ

ყაბარდოელები 2, 3, 6, 7, 13, 18
ყაზბულაყი 123, 124
ყალმუხები 22, 24, 39, 173

ყანდაურეები 193
ყარაბუგაევები 196
ყარაბუდაკოვები 193
ყარაბულაყები 160, 183, 204
ყარანოღაელები 146
ყირიმის ხანი 23, 24, 34, 111, 121, 143
ყუბანის სერასკირი 27, 38
ყუმიყები 6, 29, 32, 44, 90, 102, 107, 108...

შ

შავხელიშვილი ა. 8, 201, 245
შამილი 51, 57, 81, 92—95, 97, 102, 117, 118, 157, 283...
შამსუდინ ხანი 128, 129
შამურზაევი 278
შამურზაევი ბ. 309
შანაევი ბ. 77, 319
შანაევი დ. 236, 241
შარდანოვი ი. 183
შარვაში 196
შარვაშიძეები 196
შაფსუღები 183, 195
შახმანდარი 97
შახმანოვები 189
შუაიბი 94, 96
შუანინები 105, 283
შუბუტოველები 96
შჩეგოლევი 74
შჩედრინი ა. 45

ჩ

ჩაბან-შამხალი 123
ჩალუბეი 95
ჩეგემელები 183
ჩევი 203
ჩეკმენოვი ს. 3
ჩერკასკი ა. 58
ჩერკასკი ე. 23
ჩერკასკი 6, 58
ჩერმოევები 105, 204, 283
ჩერმოევი ა. 278
ჩერნიშევი 52, 54
ჩერქეზები 19, 20, 50, 52, 57, 155...
ჩერქეზოვი 302
ჩეჩნები 8, 10, 44, 57, 84—88, 110—114, 142, 275, 276...
ჩორინი ა. 38
ჩოფიკაშვილი ყ. 72
ჩუდინოვი ვ. 63, 77
ჩულიკოვები 204
ჩულიკოვი ს. 309
ჩულიკოვი უ. 309

ც

ცალიკოვი ა. 160
ცარაზონოვები 197
ცარგასი 196
ცინცაძე მ. 6, 7
ციციანოვი პ. 71—75
ცონტაროვები 105, 283
ცუროვი უ. 311
ცუროვი ც. 311

ძ

ძაგუროვი გ. 162—165, 276, 284
ძიევი ი. 311
ძირაევები 238
ძუმსოები 101

ჭ

ჭებერლოები 101, 283
ჭებერლოვები 105
ჭიჭინაძე ზ. 196, 239

ხ

ხადისა 276
ხაევები 262
ხაზბულატოვები 191
ხაზბულატოვი 244
ხამზინი ა. 124
ხამურზინი ა. 44
ხან მურზა მაგომედი 121
ხანოვი ა. 30
ხარაჩოევები 105, 282
ხასბულატოვი ა. 203, 204, 243, 245
ხაცხოტავი კ. 319
ხევსურები 75, 90
ხეთაგოვი ე. 62
ხოსონოვი ს. 242

ხულამები 183
ხუცისტოვი ბ. 319

ჯ

ჯამალედდინი 106
ჯამბულატოვები 23
ჯამბულატოვი 182
ჯანაევი ა. 5
ჯანაშვილი მ. 59
ჯანტიევები 197, 239
ჯეირახები 80, 108, 119, 284
ჯენარალი 276
ჯოგოევა ს. 311

ჰ

ჰაკი 34
ჰამზატ-ბეგი 92—94
ჰაჯი-ალი 93
ჰაჯი-ბეგი 96
ჰაჯი-მურატი 94, 96, 97

გეოგრაფიული

ა

აბაევი 258, 244
აბინი 133
აბუკოვო 265
აგაშტი 283
აგრახანი 121
ადიღე 6, 16
ადიღე-ჩერქეზეთი 130
ადრიანოპოლი 130
აეარია 95
ავსტრია 36, 37
ავტური 93, 105
აკუშა 81
ალაგირი 5, 8, 9, 57, 59, 68, 110, 175...
ალაგირის ხეობა 62
ალდა 85
ალექსანდროვსკაია 149
ალთი 109
აზოვი 22, 36
ალკაი 203
ალკუნი 120
ამიერკავკასია 64, 74, 75, 98, 117, 168, 301
ამირ-აჯი-იურთი 91, 136, 201
ანაპა 86, 130, 133
ანდია 104
ანდიის მთა 94, 97
ანდრეევი (ენდერი) 176
აჟალკა 80
არდონი 76, 175, 273
არდონსკაია 78
არმხი 119
არღუდანი 264
არღუზანი 264
არღუნი 82, 94, 282
არღუნის ოკრ. 101, 102, 104, 173, 224, 279, 281, 284, 303
არღუნის ხეობა 102
არხანგელსკის გუბ. 124
არხონი 274
არხონსკაია 78, 133
ასა 119, 120
ასტერმიროვი 265
ასტრახანი 41, 62, 68, 73, 121, 151, 168
ასტრახანის გუბ. 173
ატაჟუკინი I, II, III, 257, 264
ატაგი 83—85, 89, 91, 204
აუხო 79, 106, 177
აქსაი 80, 94, 104, 107, 121, 228, 244, 281
აქსაის უბანი 29
აღმოსავლეთ კავკასია 5
აშაბოვა 256, 257, 261, 264
აჩალუქი 109
აჩხოი 176
ახბარზოი 287
ახლოვი 52, 258
ახულგო 93, 105, 106
აჯიაული 83, 85

ბ

ბაბუკოვო 151, 256
ბაზორკინო 109

ბათაშევი 258, 265
ბალთა 71—73
ბალკანეთი 86, 161
ბალყარეთი 4—7, 9, 46, 182, 189, 208, 221, 266
ბასა 104, 281, 282
ბატალფაშინსკაია 136. 139
ბაქსანი (მდ.) 29, 40, 54, 189, 261
ბაქსანი (ც. ს.) 133
ბახჩისარაი 34
ბეზენგი 189, 208, 266
ბელგრადი 26, 28, 32, 33, 47, 62, 65
ბერეგზანი 274
ბეშთაუ 13, 49
ბეშთაუს ხეობა 45
ბიზანტია 62
ბილიტი 293
ბოროკოვი 265
ბოროკოვსკი 258
ბუინაკი 190
ბულატოვი 265
ბურთუნაი 177

გ

გაზინ-იურთი 79
გალიში 293
გელენჯიკი 133
გერგებილი 95
გერზელ-აული 91, 92
გერმენჩუკი 84, 176, 244
გეორგიევსკი 47, 117, 138, 156
გეხი 80, 84, 95, 119
გიმრი 92, 93, 105, 149
გოიტა 79
გორდალი 176
გორი 267
გორიაჩეოდსკაია 133
გორსკაია 149
გოსუდარსტვენნაია 149
გროზნო 5, 88, 90, 91, 102, 156, 276
გროზნოს ოკრ. 155, 173, 174
გუდერმესი 80, 104, 281, 282
გუმბეთი 93, 100, 104, 201
გუნდელენი 257, 260
გუნეჯი-იურთი 204
გუნი 282
გუნიბი 95, 100
გურია 64

დ

დარგავსი 195
დარგ-კოხი 77
დარდანელი 39
დარიალი 63, 64, 69...
დარღო 23, 96, 104, 105, 176, 283
დაღესტანი 53, 73, 81, 86, 90—92, 98, 117, 121, 127, 173, 189
დაღესტნის ოკრ. 9
დერბენტი 23, 123, 125, 126, 168
დიგორი 5, 8, 9, 57, 58, 68, 89, 182, 268, 270—274
დიშნი-ვედენო 282
დოგოშაკოვი 258
დოკშოკოვი 257, 264
დოკშუკინი 257
დოლაკოვო 109
დონი 35, 144, 146
დონიფარსი 196, 238, 239
დურ-დური 76
დუშეთი 267

ე

ევროპა 95
ეკაჟევო 109
ეკატერინოგრადი 132, 154
ეკატერინოდარი 132, 133
ეკატერინსკაია (შემდ. ეკატერინოგრადსკაია) 149
ელხოტოვო 66, 67
ენგელ-იურთი 104
ენდერი (ანდრეევი) 123, 124, 190, 191, 193, 225, 226, 228, 244
ერსენოი 282
ეშკაკონი 39, 262
ეხიშბატოი 282

ვ

ვედენო 104, 156, 176
ვედენოს ოკრ. 173
ველიკო-ლაგერნაია 132
ვლადიკავკაზი 5, 52, 54, 66, 71, 73, 75, 88, 111, 114, 132, 133, 140, 154, 156, 173, 274
ვლადიკავკაზის ოკრ. 155, 156, 173, 174, 274
ენეზაპნაია 90

ვოზდვიჟენსკაია 97, 103, 278
ვოლგა 35, 47, 144
ვორონეჟის გუბ. 154

ზ

ზაზარგანი 283
ზამანყული 67, 76
ზანდაკი 106, 177
ზარამაგი 62
ზაური 108
ზახა 62, 194, 200
ზიეერხი 283
ზუბატი 95

თ

თაგაური 5, 8, 57, 59, 61, 69, 110, 194, 239, 268, 270, 274
თარკი 109, 122, 124
თარკის საშამხლო 111, 116, 129, 145, 190, 192
თბილისი 4, 7, 20, 41, 47, 52, 162, 177, 267
თემირ-აული 230
თემირხანშურა 126
თერგი (მდ.) 13, 14, 30, 33, 44, 47, 56, 57, 79, 83, 84, 120, 145, 171
თერგი (ქალაქი) 122, 145
თერგის ოლქი 6, 8, 10, 11, 13, 104, 106, 129, 144, 146, 248, 251, 260, 269, 321—323
თერგის ხეობა 63, 66
თერგსზემო სანაიბო 28
თოფლი 244
თურქეთი 10, 14, 18—20, 25, 28, 29, 36, 42, 46, 56, 61, 85, 91, 98, 130, 161, 162

ი

იანდირსკოე 109
იარაკ-სუაუხი 177
იარიგი 91
იასი 86
იგალი 95
იზვესტნობროდსკაია 136, 139, 141
იმერეთი 64, 117
ინალოვი 257, 264
ინგლისი 36, 37, 56, 98
ინგუშეთი 82, 85, 94, 95, 101, 116, 117, 122, 200, 243
ინგუშეთის მთის უბანი 119, 120
ინგუშეთის ოკრ. 107, 176, 143, 244, 246, 303
ირანი 61, 73, 74, 86, 91, 103, 117, 122
ირიკაუ 67
ისლამოვი 265
ისტი-სუ 104
იტუმ-ყალე 176
იურთი (ქვ.) 177
იურთი (ძვ.) 176
იჩქერია 79, 95, 96, 100, 171...
იჩქერიის ოკრ. 104, 224

კ

კავკასია 3, 6, 9, 10, 13, 19, 30, 36, 39, 49, 51, 76, 98, 101, 121, 129, 142
კაზანიჩი 126
კაისინ-ანზოროვი 257, 264
კამბილიევი 287
კამენოგორსკაია 136
კარასი 43
კარდიუ 76
კარმოვო 257, 264
კასაევი 257, 264
კასპიის ზღვა 173
კაშკატაუ 257, 260, 265, 266
კაჩკალიკი 79, 94, 95
კაჩკალიკის სანაიბო 121
კაჩკალიკოვი 277
კახეთი 76, 82, 102
კიევი 168
კისლოვოდსკი 52
კიშენ-აული 177
კოგოლკინი 257, 262, 264
კოირახი 289
კონოვა 257, 264
კონსტანტინოგორსკაია 132, 133
კოპილი 38
კოჟოკოო (ზედა) 257, 264
კოჟოკოვი (ქვ.) 257, 264
კოსტუკი 191, 230
კოშერეტოვი 257, 264
კოჯარ-დოგუშთი 126
კრუპი 76
კუდენეტოვი I (კურგოვა) 257, 264

კუდენეტოვი II (კამბოტა) 257, 264
კულარახი 105
კუმა 13, 40
კურდიუკოვსკაია 145, 148
კურკუეანი 265, 266
კურსკაია 149
კურჯიპი 55
კუჩმაზუკინი 257, 264

ლ

ლაბა 52, 138
ლარსი 63, 71, 73—75
ლაფიშევი 257, 264
ლუკოვსკაია 148

მ

მაისტა 9
მაიურტუპი 91
მალკა 14, 29, 47, 54, 261
მალო-ლაგერნაია 132, 133
მამაქაი-იურთი 204
მართანი 80
მარინსკაია 149
მახკეტი 283
მაჯარი 13, 195
მახან-იურთი 104
მეკა 161—163
მთის ოკრ. 104, 107, 177, 224, 281, 285
მიატლო 95
მისოსტოვი 257
მიჩიკი 80, 94, 95
მოზდოკი 33—35, 40, 42, 44. 47—49, 64, 69, 71, 88, 136, 141, 142
მოსკოვი 4, 6, 13, 19, 20, 36, 60, 112
მურთაზოვი 258, 265

ნ

ნაზრანი 10, 79, 80, 92, 102, 117, 119
ნალჩიკი 3, 4, 6, 23, 29, 156, 175, 256, 260
ნალჩიკი (ყალუმბიევი) 258
ნალჩიკის ოკრ. 173
ნასირ-კურტი 109
ნაური 45, 82, 83, 85, 136, 244
ნაურუზოვი 257, 264
ნევინომისკაია 136
ნიკოლაევსკაია 76, 78, 274
ნოღაი 176, 195
ნოღაი-მირზა-იურთი 204
ნუსა 97

ო

ოისუნგური 176
ოლგინსკაია 77, 135
ორჯონიკიძე (ქალაქი) 58, 63, 64, 66, 68...
ოსეთი 5, 7—9, 57, 67—70, 174, 318, 319
ოსეთის ოკრ. 175, 194, 267, 268, 286, 303, 313, 316, 319
ოსმალეთი 117
ოსმანთა იმპერია 70
ოსტროვო-ჩეჩენსკაია 136
ოტემიში 124

პ

პავლოდოლსკაია 139
პავლოვსკაია 149
პეტერბურგი 31, 33, 36, 40, 41, 43, 47, 62, 71, 99, 126...
პიატიგორსკი 13, 132, 136, 156, 174
პიატიგორსკის ოკრ. 155, 173, 174
პოლონეთი 36
პრიშიბსკოე 139
პროხლადნაია 132—137, 140
პრუსია 36, 37

რ

რაზბუნი 76
რედანტი 63
რედუტი 132, 139
რიბახოი 283
რუსეთი 3—5, 13, 14, 19—21, 23, 33—34...
რუსეთის იმპ. 2, 14, 25, 33, 46, 165...

ს

სალათაი 90, 177
სალათაის სანაიბო 107
სალდატსკაია 149
სამეგრელო 64, 117
სამსუნი 166
საფრანგეთი 36, 56, 98

საქართველო 8, 9, 13, 46, 53, 54, 62, 71, 76, 102, 117
სამხრეთ ოსეთი 74, 77
სვიატოი-კრესტი 124
სთირდიგორი 198, 238, 239
სოგოშპი 287
სოლუგარდანი 76, 273, 274
სოხუმი 21
სპრსეთი 123, 163
სტავროპოლი 6, 47, 52, 105, 138, 173
სტამბოლი 157
სტაროგლადკოვსკაია 148
სუადაგი 66, 76
სულაკი 121, 123, 124, 146
სუნჯა 13, 14, 52, 57, 79, 82, 83, 84, 154, 155
სუნჟენსკაია 109, 153

ტ

ტაბასარანი 95
ტამანის ნახევარკუნძული 168
ტამბიევი I (ზარაკუშევი) 257, 264
ტამბიევი II 257, 264
ტამბიევი III 257, 264
ტაუენი 282
ტაშკი-ჩუ 176
ტახტამიშევი 257, 264
ტერელო 9
ტერკოტლი 144
ტეხნუცალი 100, 104
ტიქევი 257, 264
ტიუმენი 121
ტმუტარაკანის სამთ. 168
ტოპლი 84
ტოტა-იურთი 176
ტრაპიზონი 166

უ

უმანხან-იურთი 105
ურუსბი 208, 221
ურუს-მართანი 176
ურუხი 60
უსტ-ლაბინსკაია 132, 137, 140

ფ

ფლიევო 109
ფორტანგა 79, 80, 119
ფსედახი 176, 287

ქ

ქართლ-კახეთი 63, 82
ქარჯინი 67
ქესქემი 287
ქვედა ქარცი 66
ქსურდი 195
ქურთათი 5, 8, 9, 57, 59, 62, 68, 69, 194, 240, 268, 274
ქუჩუკ-კაინარჯი 3—5, 36, 45—47, 65...

უ

უაბარდო 4—7, 9, 10, 13, 141, 222, 297, 314, 316
უაბარდო (დიდი) 23, 25, 30
უაბარდო-ბალყარეთი 4, 130, 141
უაბარდო-ბალყარეთის ასსრ 6, 7, 13—15, 27, 46...
უაბარდო (მც.) 23, 25, 30, 40...
უაბარდოს ოკრ. 175, 179, 188, 205, 207, 224, 225, 229, 303
უადგარონი 76
უაზანი 19, 168
უაზიყუმუხი 81
უარაბუდახკენტი 121
უარაჩაი 3
უარაჩაი-ჩერკეზეთი 6, 130
უიზლარი 33— 35, 44, 61, 64, 81, 88, 108, 142
უიზლარის ოკრ. 173, 174
უირიმი 18—20, 168
უირიმის სახანო 20, 22, 26, 49
უუბანი 19, 36, 161
უუბანის ოლქი 146, 160, 173, 269, 273, 298
უუმიყეთი 2, 7, 9, 90, 96, 104, 116, 121, 122, 129, 192, 229—231, 234
უუმიყეთის ოკრ. 129, 224, 225, 319, 321—323

შ

შავი ზღვა 36, 52
შალი 84, 85, 244
შალეშკა 23, 29
შარო 100
შარო-არღუნი 79

შატოი 96, 100, 156, 176
შემახა 53
შიკარო 100
შჩედრინსკაია 30, 148

ჩ

ჩანტი 100, 176
ჩანტ-აული 230
ჩანტი-არღუნი 102
ჩეგემი 28, 29, 54, 189, 208, 221, 265, 266
ჩერეკი 23, 133
ჩერვლენსკაია 30
ჩერკასკი 3
ჩერნიგოვის გუბ. 154
ჩერნოიარსკაია 149
ჩერქეზეთი 3, 13
ჩეჩნეთი 8, 10, 78, 81, 83—85, 117...
ჩეჩნეთი (დიდი) 79, 83—87, 91, 94, 95, 102...
ჩეჩნეთ-ინგუშეთი 2—5, 9
ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ 5, 8, 82, 90
ჩეჩნეთი (მც.) 7, 9, 94, 95, 102...
ჩეჩნეთის ოკრ. 104, 275, 176, 280...
ჩირ-იურთი 95
ჩირკატი 93
ჩირკეი 81
ჩიხობ-კაბახი 261
ჩმი 73
ჩორტუ-ტაგი 87
ჩრ.-დას. კავკასია 19, 38, 47
ჩრდ. კავკასია 3—4, 7, 10, 11, 19, 21, 23, 25—29, 47, 49, 85, 143, 165—168...
ჩრდ. ოსეთი 3, 4, 7, 8, 57, 65, 68, 76, 130, 143, 190, 194, 195, 242

ც

ცენტეროი 93
ციცინ-იურთი 176
ცორი 9

ძ

ძაუჯიკაუ 5

წ

წმინდა გიორგის ციხე-სიმაგრე 133

ჭ

ჭებერლო 96, 176

ხ

ხან-ყალე 83, 87, 90, 91
ხალიმბეკ-აული 127
ხარკოვის გუბ. 154
ხასავ-იურთი 156
ხალიმბეკ-აული 127
ხამხი 289
ხან-ყალე 83—87, 90, 91
ხაპცევი 258, 265
ხარაჩოი 282
ხარკოვის გუბ. 154
ხასავ-იურთი 156, 176
ხასავ-იურთის ოკრ. 173
ხატუ-ანზუროვი 257, 264
ხატუნი 282
ხევსურეთი 101
ხეირი 81
ხულამი 182, 189, 266
ხულხულაუ 281, 282
ხუნძახი 92, 95

ჯ

ჯანხოტოვი 257, 264

ჰ

ჰამურზიევო 109
ჰასაუთი 253, 256, 257, 261, 265
ჰაჩარო 9

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. თერგის ოლქის ხალხების ურთიერთობა რუსეთთან

§ 1 უბარდოს ურთიერთობა რუსეთთან . 13

§ 2 ჩრდილო ოსეთის ურთიერთობა რუსეთთან 57

§ 3 ჩეჩნეთის ურთიერთობა რუსეთთან 78

§ 4 ინგუშეთის ურთიერთობა რუსეთთან 107

§ 5 ყუმიყეთის ურთიერთობა რუსეთთან . . 121

§ 6 თერგის ოლქის ხალხების სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობა რუსეთთან 130

§ 7 კაზაკთა ჩამოსახლება თერგის ოლქში 144

§ 8 ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ნაწილის თურქეთში გადასახლება 157

§ 9 თერგის ოლქის ხალხების რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა 169

თავი II. საზოგადოებრივი კლასები თერგის ოლქში

§ 1 თერგის ოლქის ადმინისტრაციული დაყოფა . . 172

§ 2 გაბატონებული წოდების წარმომადგენლები თერგის ოლქში 179

ა) უბარდოს ოკრუგი 179

ბ) ყუმიყეთის ოკრუგი 189

გ) ოსეთის ოკრუგი 194

დ) ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ოკრუგები 200

§ 3 დამოკიდებული წოდებები თერგის ოლქში . 205

ა) უბარდოს ოკრუგი 208

ბ) ყუმიყეთის ოკრუგი 224

გ) ოსეთის ოკრუგი 234

დ) ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ოკრუგები . . 243

თავი III. საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება თერგის ოლქში

§ 1 საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება უბარდოს ოკრუგში 248

§ 2 საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება ოსეთის ოკრუგში 267

§ 3 საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება ჩეჩნეთის ოკრუგში 275

§ 4 საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება იჩქერიის ოკრუგში 281

§ 5 საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება არღუნის ოკრუგსა და ინგუშეთის მთის უბანში . . . 284

§ 6 საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება ინგუშეთის ოკრუგსა და ამავე ოკრუგის ნაზრანის საზოგადოებაში . . . 286

§ 7 საადგილმამულო რეფორმის მომზადება და გატარება ყუმიყეთის ოკრუგში ანუ ყუმიყეთის ბარში 290

თავი IV. ბატონყმური ურთიერთობის თანდათანობითი შეზღუდვა, დამოკიდებული წოდების განთავისუფლების ნორმების შემუშავება და გატარება თერგის ოლქში 297

§ 1 საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება უბარდოს ოკრუგში 299

§ 2 საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ჩეჩნეთის ოკრუგში 307

§ 3 საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ინგუშეთის ოკრუგში 310

§ 4 საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ოსეთის ოკრუგში . 312

§ 5 საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ყუმიყეთის ოკრუგში 319

დასკვნა 324

საადგილმამულო-საგლეხო რეფორმის ისტორიული მნიშვნელობა 327

რეზიუმე . 329

საძიებელი 332

Михаил Георгиевич Гоникишвили

ПОЗЕМЕЛЬНО-КРЕСТЬЯНСКАЯ РЕФОРМА В ТЕРСКОЙ ОБЛАСТИ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. გ. გასეიანი
ისტ. მეცნ. დოქტ. ა. შავხელიშვილი

სბ 2335

რედაქტორი გ. თოგოშვილი
გამომც. რედაქტორი ლ. ჯვებენავა
მხატვარი ი. მკედლიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 22.VI 1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.X.1983;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 21,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.2;
უე 00903; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 2906;
ფასი 2 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19